

X 41918
2

Handwritten mark at the top left corner.

პალაზოზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
სახალხო განათლების ისტორიის სექცია

სწავლა-აღზრდის ინსტრუქცია საქართველოში

Handwritten number: 41918
Handwritten letter: K

მასალების კრებული



Handwritten number: შ. 2017-1187

სარედაქციო კალენდარი { ლ. გვანაძე
მ. ლომინაძე
ლ. ცინცინაძე

ტექსტი

კორექტორი შ. ბერიძე

გამომშვები ა. პისკუნოვი

გადაეცა წარმოებას 25/XII 1936

ხელმოწერილია დასაბეჭდათ 28/IV 1937

ტარაუი 1560

წიგნის ზომა 7×11

საბ. ქ.ღ. 72×105

სასტ. ნიშ. ფურც. 48:000

მათეულიტი № 10524

შეკეთის № 4458

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

წინამდებარე კრებული პირველი ცდაა იმ მუშაობის გამოსამზეურებლად, რომელსაც 1933 წლიდან აწარმოებს პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სახალხო განათლების ისტორიის სექცია განათლების ისტორიის პრობლემების კვლევა-ძიების დარგში.

სექციის მუშაობაში მონაწილეობენ კვალიფიციური მეცნიერ-მუშაკები და სათანადო გამოცდილებით და ცოდნით აღჭურვილი პედაგოგები. სექციის მიერ ჩატარებული მუშაობის შედეგად გამოვლენილია და შესწავლილი მრავალი უაღრესად საფულისმძიერო მასალა, რაც შეუქსა ჰფენს სწავლა-აღზრდის საქმეს ჩვენში უძველეს დროიდან დღევანდლამდე.

ჯერცელი მასალა შეგროვილი სწავლა-აღზრდის შესახებ მე-19 საუკუნეში, ასეთია: პედაგოგიური და პროფესიონალური განათლება, სასულიერო უწყებების სკოლები და განსაკუთრებით ტფილისის სასულიერო სემინარია, საერო განათლება, ქართული კულტურულ-განმანათლებელი საზოგადოებანი და ყველაზე მნიშვნელოვანი მათ შორის „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, რომლის ისტორია ცალკე იწერება სექციის მიერ; საყურადღებო მასალაა გამოვლენილი სწავლა-აღზრდის საქმეში რუსიფიკატორული პოლიტიკის შესახებ და სხვ. სექციაში დავროვილი მასალეფი ცხადჰყოფენ იმ დაკნინებასა და დაცემას, რომელიც განიცადა სახალხო განათლების საქმემ მენშევიკების ბატონობის პერიოდში. ამჟამად სექცია უმთავრესად მუშაობს საბჭოთა სკოლის ისტორიის მასალების შეგროვებაზე, რომელთა საფუძველზე განზრახულია ოქტომბრის რევოლუციის 20 წლის თავისათვის საბჭოთა სკოლის ისტორიის დაწერა. შრომაში ასახული იქნება სახალხო განათლების ძირეული გარდაქმნა და უჩვეულო აყვავება საქართველოში 1921 წლის შემდეგ.

წინამდებარე კრებულში მოცემულია, ქრონოლოგიური პრინციპის დაცვით, სახალხო განათლების საკითხებზე შეგროვილ საისტორიო მასალათა მცირე ნაწილი, ისიც სანახევროდ ნედლი სახით.

კრებული, რასაკვირველია, არ იძლევა სწავლა-განათლების განვითარების ჰოლიან სურათს, რადგან მთელი რიგი მიზეზების გამო სექციას ჯერ კიდევ ვერ შეუგროვებია კრებულში წარმოდგენილ პრობლემებზე ამომწურავი მასალა.

ამიტომ კრებულში მხოლოდ ნაწილობრივია გაშუქებული ცალკეული მოქმედებები განათლების საქმისა ჩვენში. ხშირი და ვრცელია ტექსტისა და დოკუმენტების ციტაცია, მაგრამ მოყვანილი საბუთები ყოველთვის კომენტირებულია და ვფიქრობთ, რომ იმ სახითაც, როგორაც წარმოდგენილია განათლების საქ-

შის ცალკე მომენტები კრებულში შემავალ წერილებში, მეცნიერულ ინტერესს და ღირებულებას არ უნდა იყენენ მოკლებულნი, მით უფრო, რომ ნათელს ჰყენენ მეტ-ნაკლებად უცნობ და ზოგჯერ დავიწყებულ თემებს:

პედაგოგიკის აღდგენა თავის უფლებებში, რასაც მოითხოვს საკ. კ. პ. ცენტრალური კომიტეტის 1936 წლ. 4 ივლისის ცნობილი დადგენილება, გს. ჟალებს მეტი ყურადღება მივაქციოთ კერძოდ პედაგოგიური მემკვიდრეობის შესწავლასა და კრიტიკულ ათვისებას, განათლების ისტორიის თვალსაზრისით: იმ ძეგლებისა და წყაროების გამოვლენას, რომელთა მარქსისტული დამუშავება ჩვენი სერიოზული და გადაუდებელი ამოცანაა.

მკითხველი უდიდეს დახმარებას გაგვიწევს, თუ მოგვაწვდის თავის შენიშვნებს კრებულში მოთავსებულ მასალებზე; ამით ის დაგვეხმარება საქართველოში სახალხო განათლების ისტორიის მასალების რაც შეიძლება უკეთ და სრულად გამოვლენასა და სათანადოდ დამუშავებაში.

შენიშვნები უნდა გამოიგზავნოს მისამართით:

ტიფლისი, ლომინაძის ქ. № 5, პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, სახალხო განათლების ისტორიის სექციას.

**პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის
სახალხო განათლების ისტორიის ს ე ქ ც ი ა.**

მასალები მეთაერთმევა საუკუნეში სნაჰა- ალზრის შესახებ¹

(ბიოგრაფი ათონელის ბიოგრაფიის მიხედვით)

ძველ ქართულ საზოგადოებრივ და აზროვნების განვითარების ეპოქალური გამოვლინება—ათონის სალიტერატურო სკოლა ქრონოლოგიურად ორი საუკუნის მიჯნაზე დგას. მე-10 საუკუნის 80-იან წლებში იწყება ის და მე-11 საუკუნის უკანასკნელ ათეულ წლებამდე აღწევს (დაახლოებით).

ათონის სკოლის სახელმძღვანელო იდეები მეათე საუკუნის საზოგადოებრივ ურთიერთობაში არის უმთავრესად მომწიფებული და ამ იდეების უდიდესი წარმომადგენლები (იოანე-თორნიკე, არსენი, იოანე და ეფთიმე) ან მთლიანად მეათე საუკუნის მოღვაწეები არიან, ან კიდევ ნაწილობრივ (ეფთიმე).

ათონის სკოლა მოცემული ასი წლის მანძილზე განვითარებას განიცდიდა და მის დასაწყისში ის იგივე არაა, რაც მის დასასრულს, მაგრამ მთავარ ხაზებში ის ერთი მთლიანი რჩება და ასეთ მთლიანობაშია შესაძლებელი ამ სკოლის წესიერი შესწავლა. ხოლო ასეთი შესწავლა იმას უფრო შეეფერება, ვის საკვლევო ფარგლებშიაც ამ სკოლის ნიადაგის შემზადებისა და მისი განვითარების პირველი ეპოქაც ქრონოლოგიურად შედის.

წარმოდგენილი მასალა შეიცავს ცნობებს სწავლა-აღზრდის შესახებ გიორგი მთაწმიდელის „ცხოვრების“ მიხედვით. ამ მასალებს თან ახლავს ახსნიდი და ზოგჯერ ხაზგასმით ხასიათის განმარტებანი.

რა თქმა უნდა, ეს მასალები, თუნდაც ამ ძეგლის ფარგლებშიაც აღებული, ოდნავად შემუშავებულად არ ჩაითვლება. ის არც შეიძლება შემუშავდეს მცენიერულად მანამ, სანამ ამა და წინარე საუკუნის ანალოგიური მასალა მთლიანად ამოკრეფილი და ვათვალისწინებული არ იქნება.

მხოლოდ ასეთ შედარებით შესწავლის ნიადაგზე შეიძლება საბოლოოდ მცენიერულად დადგენილი მასალა იქმნეს წარმოდგენილი.

* * *

გიორგი შეყენებული (სვიმეონ წმიდელი) მეტად საინტერესო პირია. ის თითონ არ ეწევა სამწერლობო მოღვაწეობას, მაგრამ დიდად იღწვის ასეთ საქმი-

¹ სახალხო განათლების ისტორიის სექციის 1933 წ. 21 ნომერის სხდომაზე წაკითხულ მოხსენების წერილობითი მასალა.

სათვის. „სურვიელი იყო წმიდა ესე ბერი, რათამცა კულად გამოვიწმინა-აჩინა მოწყალეზამან ლუთისამან ნათესავსა შორის ჩვენსა კაცი. რომელმანცა სრულყო ნაკულუღვანება ენისა ჩუენისა, რომელი იგი წმიდისა მამისა ჩუენისა ეფთიმესაგან დაშობილიყო... მისი უშუალო გავლენის და ზემოქმედების ქვეშ იწყებს სამწერლობო საქმიანობას გიორგი მთაწმიდელი. აგივე გიორგი შეყენებული საქაროდ მხედავს დაწერილ იქმნას გიორგი მთაწმიდელის ბიოგრაფია და ამ საქმეს ავალებს ჩვენს ბიოგრაფს. ასევე ზრუნავს გიორგი შეყენებული ათონის ქართველთა მონასტერში არარსებულ საეკლესიო ლიტერატურის შეძენის შესახებ... შავი მთიდან მას საკვირველი გავლენა აქვს ათონზე...“

ეს მოძღვართ-მოძღვარი, როგორც მას უწოდებს ჩენი ბიოგრაფი, წარმართავს ქართულ საეკლესიო მწერლობას სამხლეთ-გარეთის ქართულ საეკლესიო ცენტრებში... (ც-ბა გ-ი ათ. 279).

გიორგი ათონელის ბიოგრაფი განმარტავს: რაი არს ქებაი ლუთისაი?—დიდებაი და შესხმა წმიდათა მისთაი; **მითხრობა ცხოვრებისა და მოღვაწეობისა მათისა წერით და უწერელად, რათა ცნას ესე თესლმან სხუამან და შვილნი, რომელ იშვებოდინან, აღდგენ და მიუთხრობდენ მამანი მათნი შვილთა თვისთა“.**

მაშ. წმიდათა ცხოვრების „მითხრობა“ წერით თუ უწერელად ეს არის საღმრთო საქმე—„ქებაი ლუთისაი“ (იქვე, 280).

მორჩილება იდეალია მონაზონისა:

... რათა არა უღელი იგი ტკბილი მორჩილებისა განვაგლოთ ქედსა მას ზედასულისა ჩუენისასა მდებარე, ნუ უკვე პარებთა მათ და უღალთა ურჩებისათა შთაგვივიეთ, ვინა იგი აღმოსლეა შეუძლებელ არს—ამისთვის ვისწრაფი შენი ბრძანება შევასრულოვო, სწერს ჩენი ბიოგრაფი გიორგი შეყენებულს (იქვე, 280).

ვინმე დიდი ანტონი იყო ნეტარ მაკარის მოწაფე. ჟუკანასკნელმა შემსვავსებული ქება მიიღო თავის მოწაფისაგან, ამით ეს მოწაფე „ვითარცა ნების მყოფელი შვილი მისი სათნოებათა მისთა მკვდრად გამოჩნდა“.

შეხედულება: მამის კანონიერი მემკვიდრე ის შვილია, რომელიც მისი ნების მყოფელია—(ე. ი. მისი ნების აღმასრულებელი). მაშ, შვილის მამისადმი მორჩილება—იდეალია (იქვე, 280).

აღმზრდელობითი მნიშვნელობა დიდ პიროვნებათა ბიოგრაფიების, მათ საქმიანობის, მათ მოღვაწეობის შესწავლისა:

ეს წმიდათა „ცხოვრებაები“ იმიტომ უნდა იწერებოდეს, „რათა ჩუენ მოხსენებითა შრომათა და ღუაწლთა მათთათა დღითი დღე ფრთოვან ვიქმნებოდეთ, ბაძვად სათნოებთა მათთა წარვემატებოდეთ... (იქვე, 281).

დიდ პიროვნებათა ბიოგრაფიის ცოდნა-გავრცელება სავალდებულოა.

ეს თვით გიორგი მთაწმიდელის თქმააო.

„რომელთა უწყოდნიან სიტყვით გინა სმენით საღმრთოთა წერილთაგან გინა თუ მხილველქმნილ იყუნეს და აქუნდეს მეცნიერებაი სკლისა სარგებელთა და ღმრთისა სათნოთა ცხოვრებათა და მოღვაწეობათა, რომელნი წმიდათა მამათა აღასრულნეს, პირველად ესრეთ ვგერ არს, რათა მსგავსად ძალისა ბაძვად მათად მოსწრაფე იყუნენ და სათნოებათა მათთა ემუერებოდნენ და განმართონ ენაბრკვენილობა იგი სულისა... რომელთა ესე ყონ... მსმენელნიც იგი ბაძვად სათნოებათა მათთა აღლენენ (იქვე, 281).

სავალდებულოა დიდ პიროვნებათა ბიოგრაფიების, მათი მოღვაწეობის გავრცელება-გამქლავება: ამას დიდი აღმზრდელიობითი მნიშვნელობა აქვს. დაფარვა უნდა ისჯებოდეს:

„სიბრძნე დაფარული და საუნჯე უზინო, ვინ ირგოს მისგან?“

— „ტალანტისა დამფლველთა და წყაროსა დამყოფელთა და საუნჯისა უზინო მყოფელთა თანა დისაჯოს“. (ბასილი დიდს აციტირებს) (იქვე, 281).

გიორგი მთაწმიდელიო თავის სიყრმისა და სიკბუჯის თავგადასავალს „ვითარცა ერთგულსა შეილს არა დამიფარვიდა სარგებლობისათვის სულის ჩემისა“—ო. ჩანს: მამა თავის ერთგულ შეილს მოუთხრობს თავის სიყრმისა და სიკბუჯის თავგადასავალს აღზრდის მიზნით („სარგებლობისათვის სულისა“) (იქვე, 282).

მთელს მოღვაწეობას გ-ი მთაწმიდელისას ვერ მოგიტნობთო, გვაუწყებს ბიოგრაფი, ვიტყვიო მხოლოდ, „რომელთა იგი ხსენებაი წმინდაი არს და სარგებელ და სათნოებათა და მოღვაწეობათა მიმართ მაწუფველ, ვითარცა იტყვის გრიგოლ ლუთის-მეტყველი, ვითარმედ: „კაცსა რაიცა რაი უყვარს და აქებნ მისსა მიმართ მიისწრაფენ“. საუცხოვოდ ესმის—და სხვისი ციტატით მოხდენილად ამაგრებს—აღმზრდელიობითი მნიშვნელობა ასეთ შრომისა. ცხადია: მათ კარგად იციან, თუ რას აკითხებენ მოზარდებს (თუ მოზრდილებს რას უკითხავენ)-ყოველ შემთხვევაში, მათ აქვთ სრულიად გარკვეული შეხედულება წიგნის აღმზრდელიობით მნიშვნელობაზე და, ბუნებრივია, უნდა ჰქონდეთ შეხედულება თვითეულ წიგნზე უკანასკნელთა ამ მხრივ სარგებლიანობის თვალსაზრისით. (ეს მოსაზრება იყო მიხეზი, საქართველოდან რომ ეკითხებთან ექვთიმე მთაწმიდელს, თუ რა და რა წიგნი არ არის დასაშვები საკითხავად...) (იქვე, 282)

„ღირსთა მისთა“ ე. ი. ღირსეულ ადამიანთა აღმზრდელიობითი მნიშვნელობა: დრო და დრო ღმრთის მოწყალეობა გამოაჩენს „ღირსთა მისთა“ „ნუგეშიის-საცემლად უძღურისა ამის და დახსნილისა ნათესავისა ჩუენისა განამძლიე-

რებელად და განმამხნობელად, რაა ხედვითა და სმენითა სათნოებათა მათათა შურად და ბაძვად ღირსებისა მათისა აღვიძრვლით და ძალსა მას საცნაურსა სულისა ჩუენისასა, ვითარცა ორბისა სიჭაბუკესა, განვაჭაბუკებდეთ და, ვითარცა მთოარესა, ეგრეთ განვახლებდეთ, რომელ ღამესა შინა ამის ცხოვრებისასა, ვითარცა დღესა შინა, მუცნიერად ვილოდით...

ღირსთა მოღვაწეობის დანახვა თუ მოსმენა ჩეულებრივ ადამიანს, ხალხს ბაძვად, შურად (შეჯიბრებად) აღძრავს, ორბის (არწივის) სიჭაბუკეს (თვალთა ელვისებური სისწრაფე, ფრთების სიმტკიცე-მოუღლელობა, ენერგიის უშრეტობა), ე. ი. ახალგაზრდულ ენერგიას ანიჭებს, მთარის თვისებას განახლებისას წარმოუჩენს—სულიერად განახლებს, რომ ცხოვრების ბნელში, როგორც დღის სინათლებედ, გზა ადვილად გაიკვლიოს... (იქვე, 284).

ეფთვიმი იყო „მნათობი ნათესავისა ჩუენისა“, ის ამობრწყინდა „გონიერ-მყოფელად ნათესავისა ჩუენისა და განმაბრძნობელად უგუნურებისა ჩუენისა“, მან „უმეცრებისა ხაბურველი მოსძარცვა გონებათა ჩუენთა“, მან „ნაკულუფევანება ენისა ჩუენისა აღავსო და, რომელნი ესე ბარბაროზად წოდებულ ვიყვენით ელენთა მიერ უსწავლელობისათვის და უმეცრებისა ჩუენისა, მასთანევე აღგვრაცხნა.

რით ქმნა ასეთი რამ ეფთვიმი? ქრისტიანულ საღმრთის-მეტყველო ლიტერატურის ბერძნულიდან ქართულად გადმოთარგმნით, „სივრცითა და სიმაღლითა დღითი თარგმნულთა მათ წმინდათა წიგნთა მისთათა“, ე. ი. ასეთ თარგმნათა „სივრცითა“ და „სიმაღლითა“ ანუ სიმრავლით (ე. ი. ოდენობით ნაყოფიერი) და თარგმანის ღირსებით (ე. ი. მისი უნაკლულობით).

მაშ, უმეცრებიდან „მეცნიერებად“ მრსელისათვის, ბარბაროსობიდან ელინად (ე. ი. კულტურულ ადამიანად) ქცევისათვის, ბიოგრაფის აზრით, აუცილებელი იყო იმ სიბრძნის შეთვისება, რომელიც საღმრთის-მეტყველო ლიტერატურაში იყო დაუნჯებული. მისი ჩვენ ენაზე გადმოთარგმნა და შესწავლა საამისო ერთადერთ გზად ითვლებოდა (იქვე, 284).

საღმრთის-მეტყველო ლიტერატურის მთარგმნელი გიორგი არის „მუშაკი საღმრთოსა მადლისა“ (იქვე, 85).

ბიოგრაფი ასწერს თავის მასწავლებლის ცხოვრებას „შემდგომად ნათესავთა საწურთელად და გულისხმის საყოფელად“, ისევე როგორც თვით გიორგიმ ასწერა ექვთიმეს ცხოვრება „სახედ და ხატად სათნოებისა მომავალთა ნათესავთათვის“. მაშ, სწერს (სწერენ) სრულიად გარკვეული მიზნით: ჩამომავლობის აღსაზრდელად („საწურთელად“) და გასანათლებლად („გულისხმის საყოფელად“). ასეთი თხზულება კი არის სასწავლო წიგნი. ეს მიზნები (პედაგოგიური) გარკვეულ სახეს აძლევდენ თხზულებას: სწერდენ არა ყოველივეს, რაც იცოდენ (ეთქვათ, გიორგის შესახებ), არამედ იმას, რაც იყო „შეუნიერებად აღწერისა“. (იქვე, 284—285).

იაკობმა, გიორგის მამამ, თრიალეთში ნახა ქალი:

„იხილა რა **შუენიერება სატისა** მისისა და **ნარნარი** იგი და დაწყნარებულა ქცევა მისი და **განკრალული სახე**“, — მოეწონა ის და მშობლებს მისი ხელი სთხოვა.

მაშ, ქალს უნდა ჰქონოდა სილამაზე (შუენიერება სატისა), „დაწყნარებულ ქცევა“ და „განკრალული სახე“ (მორიდებულობა). აქ პირველი თვისება ბუნებრივია, ხოლო მეორე და მესამე **აღზრდის შედეგია**. აქ ქალის **აღზრდილობის იდეალია** წარმოდგენილი, რაც თავისთავად გულისხმობს აღზრდის საქმის ცოდნა-მოხმარებას მშობელთა და აღმზრდელთა მიერ (იქვე, 235).

გიორგის დედმამამ პირველი ქალი, თეკლა, **შვიდი წლის** როცა შეიქმნა, მონასტერში წაიყვანეს. წინამძღვარმა აიყვანა ის და „ვითარცა **შვილი** თვისი“ კეთილად აღზარდა“.

ეს თეკლა მონაზვნად იყო შეწირული. რომ იდეალური მონაზონი ყოფილიყო, ბევრს თავიდანვე — შვიდი წლიდან — მონასტერში აძლევენ აღსაზრდელად. ცხადია, არსებულყოფი უნდა სამონაზვნოდ აღზრდა განსხვავებული საეროდ **აღზრდისაგან**... მონასტერში შეიძლებოდა სამონაზვნოდ „კეთილად აღზრდა“ ე. ი. უნდა არსებულებოდა სხვა და სხვა სისატემე აღზრდის; საერო და სამონაზვნო (რომ ამას გარდა სხვა გვარი აღზრდაც არსებობდა, ეს ცხადია და ცნობილია, მაგრამ მათ შესახებ აქ უაღვილო იქნებოდა საუბარი) (იქვე, 286).

მარამს, გიორგის დედას, ძილში ეჩვენა: შვილი გეყოლება, გიორგი დაარქვი და ღმერთს შესწირეო. და ბიოგრაფი ურთავს: „ბერძულითა ენითა გიორგი მუშაკად გამოითარგმანების“...

„ნათესავთა საწურთელად“ და „გულის-ხმის საყოფელად“ დაწერილი ეს თხზულება, ბუნებრივია, სასწაულებრივს უხედა უშეებს. ესევე მიზნები ავალებენ მას იდეალიზაციას... აქ **სინამდვილე შესაძლებლობას** (მაშინდელი გაგებით), **ეთხზვის** და **პედაგოგიურად გამართული ნაშრომი გვეძლევა**... (იქვე, 286).

გიორგი დაბადებამდის მონაზვნად იყო შეწირული.

როგორც კი შეიქმნა **შვილის წლის**, ის „მონასტერსა ტაძრისსა დისა“ თვისისა თანა წარგზავნეს და შეჰვედრეს ღმერთსა.“

შვიდი წელი, როგორც ჩანს, მიღებული ყოფილა საკმაო ჰასაკად, რომ ბავშვი დედმამამ მოიცილოს და აღსაზრდელად გასცეს.

ჩანს, **სწავლა-აღზრდა იწყება შვიდი წლიდან**.. (იქვე, 287).

შვიდი წლის გიორგი მონასტერში წაიყვანეს იგი „სიყრმეხვე თვისისა მშობელთა მოღვაწეობისაგან დააკლდა“.

შვიდი წლის ბავშვი ჯერ კიდევ „ყრმა“ (იქვე, 287).

როგორც „მორჩი კეთილი აღმოცენებასვე თანა თვისსა ყოფადსა მას წარმატებასა აუწყებს ქვეყნის მოქმედთა“, ასევე გიორგიო „მოსაწავენდა წინასწარვე გამოღებად ნაყოფსა მას, რომელი ყოფად იყო, რამეთუ სიმანვილითა და მოსწრაფებითა გონებისათა საგონებელ იყო მზილველთაგან თუ: „აღუყუებდას თანა მეყუსულად ნაყოფსა გამოიღებს“-ო.

მამ, მაშინდელი პედაგოგიურ შეხედულებით ნერგ უნდა ყოფილიყო „კეთილი“, რომ აღმოცენებისასვე თავისი მომავალი წარმატება ეუწყებინა ე. ი. ადამიანს დაბადებთვე დაჰყვებოდა „სიკეთე“, ანუ ბუნებრივი ნიჭი, რომელიც საწინდარი იყო კეთილი ნაყოფის გამოღებისა. ასეთ ბუნებრივ ნიჭად ითვლებოდა „სიმანვილე და მოხწრაფება (ე. ი. სისწრაფე) გონებისა“ (იქვე, 287).

მაგრამ თანდაყოლილი ნიჭი არ კმარადა: აუტილებელი იყო „აღზრდა კეთილად“ და გიორგიც „ვითარცა ახალნერგი მუენიერი“, იზრდებოდა მონასტერსა მას შინა და ისწავლიდა წერილთა საღმრთოთა დედაკაცისა მისგან ღირსისა, ღისა თვისისა.

ამ დროს ის იყო 7-10 წლებს შორის (იქვე, 287).

„სიჩოთიანე თვისით მკვირცხლ იყო ღუთისა ყრმა იგი და ვითარცა დაყო მონასტერსა მას შინა სამი წელი და იქმნა მახაკითა ათისა წლისა, ხალო გონებითა, ვითარცა მსცოვანი და მოხუცებული იხილვებოდა საკვირველად მხილველთა და მსმენელთაგან“. ათი წლის ყმაწვილი საკმაოდ განვითარებულია გონებით (იქვე, 287).

როგორც ეხლაც, ისე ძველ დროსაც, ბუნებრივია, ყოფილა სოფლად „ჩუეულენად ყრმათა ველად განსღვისა მღერად და განცხრომად“... ე. ი. თამაშობა-შექცევა (იქვე, 287).

ბიოგრაფი განაგრძობს: „აქა სრულ ვყო სამცხეს ზრდილობისა მისისათვის სიტყუა და მერმე მოვიცვალო გონებითა და ხახულის მისღვისა და სწავლისა მისისა და ვთქუა თუ სრულიად განათლებისა მისისათვის ყოველივე სულ მცირედ და მოკლედ მოვითხრა... (იქვე, 287).

ყრმა იზრდება, ჰაბუცი სწავლობს და კაცი განათლება ხრულად.

აქ სწავლა-აღზრდის სამი საფეხურია თითქო წარმოდგენილი: ყრმობის, როცა მთავარი ყურადღება აღზრდას (ბუნებრივს და ხელოვნურს: „კეთილად აღზრდას“) ექცევა, შემდეგ, ჰაბუციობის ეამს, მთავარი ყურადღება სწავლას ექცევა, რაის შემდეგ და რაის შედეგად ადამიანი „სრულად განათლებდა“ (იქვე, 288).

გიორგი დიდ აზნაურთაგანი არაა. ბიძა მისი „კურაპალატი“ (ალბათ ბაგრატი III) „მწერალთა ზედა მთავარ“ ყოფილა.

ცხადია, კურაპალატი ჰყავს მწერლები, რომელთა „მთავარი“ არის გიორგი ათონელის ბიძა. სამწუხაროდ, საბოლოოდ დადგენილი არაა, თუ ვის ეწოდებოდა ამ დროს მწერალი, წიგნების გადამწერს, თუ საქმიანი საბუთების შემდგენელს, თუ ანგარიშის მწარმოებელს ან თუ იმ დაწესებულებისა? უკანასკნელთათვის ჩვენ გვაქვს სრულიად გარკვეული ტერმინი—**მწიგნობარი**. ეს ტერმინი XI საუკუნეშია ცნობილი იმდროს (და გაცილებით ამაზე ადრეც)... ამიტომ შეიძლება, თითქო, ვიფიქროთ, რომ ბიოგრაფის „მწერალი“ არის საეკლესიო (თუ საერო) წიგნთა გადამწერი. მაშინ მივიღებდით, რომ „კურაპალატი“ შეუქმნია მთელი დასი წიგნების გადამწერთა, რომელთა მეთაური ყოფილა გიორგი მწერალი. მართალია, ამის დამადასტურებელი პირდაპირი ცნობები ამ ხანისათვის არ მოგვეპოვება (ან უკეთ, სამისო დაკვირვება არაა შესრულებული), მაგრამ ეპოქის გათვალისწინებით ჩვენ სრული უფლება გვაქვს ამ დროისათვის ასეთი რამ ვივარაუდოთ. ცნობილია, მაგალითად, თუ როგორ ზრუნავენ ქართულად საღვთისმეტყველო ლიტერატურის გადმოთარგმნა-გაერცელებისათვის X—XI ს-ნის მეფე-ფეოდალები: დავით კურაპალატი, ბაგრატ კურაპალატი, მელქისედეკ კ-ზი, ბაგრატ IV, მარიამ დედოფალი, იოანე ბანაელი, გიორგი II, ლიპარიტ ქართლის ერისთავი და სხვა.

დავით კურაპალატი, მაგალითად, „ზედაისზედა მოუწერნ, რათა თარგმნიდეს და წარსცემდეს“.

ამ დროს წიგნის გაერცელება ადვილი საქმე არ იყო. მასალა (ეჭრათი) და გადამწერა დიდ ხარჯს მოითხოვდა და მდიდარს და ძლიერ ორგანიზაციებს (თუ პირთ) შეეძლოთ მხოლოდ მათი მრავლად გაერცელება. პროფ. ივ. ჯავახიშვილი—სრულიად სამართლიანად ვარაუდობს, რომ X-XII ს-ში ჩვენში უნდა არსებულიყო წიგნების გადამწერთა ამხანაგობანი. პ-ლი მკვლევარი ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ ხშირად ერთი და იგივე წიგნი გადამწერილია „ხელითა სამთა მწერალთა“, „ხელითა ორთა მწერალთა“ და ა. შ. რომ ეს **მწერლები** უსასყიდლოდ არ შრომობდენ, ეს ამავე წიგნების „ანდერძებიდან“ ჩანს. XI ს-ნის ერთი წიგნის ანდერძში გადამწერი ჩივის: მართალია, ჩემი წიგნი ცუდი ხელითაა დაწერილი, მაგრამ, რა ექნა, „სხუთი ღონე არა მქონდა, საფასისაგან გლახაკ ყოვლად ვიყავ და უსასყიდლოდ არავინ დამიწერდა“ (ქრონ. I, 209). ნიკორწმინდის XI საუკუნის სიგელში დაცულ ცნობაზე დაკვირვებით პროფ. ივ. ჯავახიშვილი ერთი საშუალო ტანის წიგნის მდიდრულად შემზადებას 20-24 დრაჰმანად ანგარიშობს. ათონის მონასტრის ბერს თეოდანე ხუცესს, რომელიც იყო „სწავლული ფრიად და ხელოვნებით მწერალი წიგნთა საღმრთოთა“ უფროს ათას ხუთასისა დრაჰმანის უწერიან წიგნი მონასტრისანი შინა და გარე“ (ც-ბა ი-ესი და ეფ-მესი, 57). ასეთ ცნობათა გათვალისწინებით სრულიად მართებულია ვივარაუდოთ წიგნების გადამწერთა ორგანიზაციები. ამნაირი ორგანიზაციები შესაძლებელია არსებულიყვნენ როგორც მონასტრებში, ისე საერო და საეკლესიო ფეოდალთა კარზე.

ასეთ კონტექსტში გიორგი ათონელის ბიძა, „გიორგი მწერალი, რომელიც ყოფილიყო მწერალთა ზედა მთავარ კურაპალატისათა“, ბუნებრივია, გავიგოთ, როგორც იმ ორგანიზაციის სათავეში მდგომი მოხელე, კურაპალატის კარზე რომ იყო შექმნილი ათონიდან (თუ სხვა ადგილებიდან) მოსულ ნათარგმნ წიგნების გადასაწერ-გასავრცელებლად (იქვე, 288).

10 წლის გიორგი მამამ ხახულს მიიყვანა. აქ ბერობდნენ მისი ბიძები გიორგი მწერალი და საბა. როცა ამათ „იხილეს გონიერება იგი და დაწყნარებულება სახისა მისისა და უშფოთველი იგი და აღუძრველი ქცევაი მისი, განიხარეს“—ო

ამ შეხედულებით, მაშ, ყმაწვილისათვის იდეალად ითვლებოდა: **გონიერება** აზროვნების უნარი), **დაწყნარებულება** სახისა მისისა, **უშფოთველი** და **აღუძრველი ქცევა**.

თუ პირველი ორი თვისება შეიძლება თანდაყოლილი იყოს, მეორე ორი „კეთილად აღზრდის“ შედეგია... (იქვე, 289).

ხახულს მიყვანილი გიორგი ჯერ კიდევ ყრმა იყო: ის ათი წლის იყო, მაგრამ ის „მოხუცებულობითა შემკული“ „და ჭაბუკი სიბერითა განშუენებული“ იყო, ვითარცა იტყვის დიდი ბასილი: „არამედ მხცე არს სიბრძნე და გონიერება კაცთა შორის, თუ არა სისპეტაკე თმათა არად სარგებელ არს“; იდეალია: **სიბრძნე** და **გონიერება** ყრმისა.

მსტოვანია და პატივსაცემი ის, **ვინც ბრძენი და გონიერი**ა და არა მხოლოდ თმა-თეთრი... (იქვე, 289).

როცა გიორგი მოიყვანეს ხახულის ლავრას, მაშინ იქ იყო „**მოდღვარი და განმანათლებელი ქუეყნისა ჩუენისა**“ დიდი ბასილი ბაგრატის-ძე.

რით იყო ბასილი ბაგრატის-ძე „**მოდღვარი** (მასწავლებელი) და განმანათლებელი ქუეყნისა ჩუენისა“ — არ ჩანს. იყო ის **საერთო ხელმძღვანელი**, დიდი ქონების **დამღები** და წიგნების გადაწერის საქმის მატერიალურად უზრუნველყოფელი, თუ ის თვით იყო გადამწერი? უფრო საფიქრებელია **პირველი** (სწორედ ასეთი განმანათლებელი იყო თორნიკეც) (იქვე, 289).

გიორგის ბიძებმა „**განიზრახეს**“ „**თანა-ზრახვითა**“ მამათათა (ხახულელ ბერთა: მაკარი წინამძღვარი, ბასილი ბაგრატის-ძე და ანტონი), „რათა პირველ ყოვლისა ღუთივ სულიერსა ვისმე და მწყემსსა კეთილსა შეჰვედრონ... [გიორგი], რათა **სულიერთა შასაკითა აღორძნდებოდის** და **საღმრთოთა მათ სწავლათა სძესა მის მიერ სუმიდეს** და **სიხრულედ სათნოებათა წარენატებოდის**...“

შხედავენ, ყრმას დიდი მომავალი აქვს; საკიროა მისი სათანადო სწავლა-
აღზრდა. ჩ ძები სხვა წარჩინებულ ბერებთან ერთად მსჯელობენ, თუ ვის მია-
ბარონ ყმაწვილი, „რათა სულიერითა ჰსაკითა აღორძინდებოდეს (ე. ი. რათა
ხორციელ ზრდასთან ერთად სულიერადაც— ე. ი. სწავლის წხრითაც—იზრდებო-
დეს) და „სისრულედ სათნოებათა წარემატებოდეს“ (იქვე, 290).

ნახულის ლავრაში ილარიონ თუალელი განთქმული მოძღვარი იყო, სათნო-
ება-მოღვაწეობაში მას ვერაინ შეედრებოდა..

ამ ილარიონს მიაბარეს გიორგი და „მონაზონებისა წარმართებად ევედრე-
ბოდეს“ ე. ი. ყმაწვილის მონაზვნად აღზრდა სთხოვეს. მანაც შეიწყნარა სთხოვნა
და „წესიერების მიმართ და სათნოებისა წურთად იწყო“ ე. ი. ყმაწვილის სამო-
ნაზვნოდ აღზრდა იწყო. ილარიონ მოძღვარი აღმზრდელია და არა წიგნის „მას-
წაველი“ (იქვე, 290).

25 წლის გიორგი მონაზვნად შედგა. თუმცაღა „მონაზონი იყო სიყრმიდან,
წუთ კურთხევა მონაზონებისა არა მიიღო, რამეთუ მოძღვარი მისი სულიერი
და ღუაწლთა მიმართ მონაზონებისათა მწურთელი, დიდი ილარიონ წუთ ხორც-
თა-ლა შინა იყო, და ხელთაგან მისთა მიიღო კურთხევა მონაზონებისა, რამეთუ
იგი იყო პირველი მოძღვარი მისი და მიზნზე ყოვლისა კეთილისა. (იქვე, 293).

გიორგი შავ მთას მივიდა. ის ამ დროს 25 წელს გადაშორებული იყო. 18 წლო-
ვანი სწავლის შედეგად ის სავსებით „განათლებული“ კაცი იყო.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, „ყოვლისა პირველად იწყო ძიებად წინამძღვრისა და
მოძღვარისა სულიერისა, რამეთუ უწყოდა, ვითარმედ: „თვინიერ მოძღვრისა არა
არს ცხოვრებაი სულისა და წარმართებაი მონაზონებისა და პოვა მთასა საკვირ-
ველსა ნაპრალსა შინა კლდისასა ბერი წმიდა შეყენებული, ვითარცა გერიტი
უბიწო და ტრედი უმანკო, კაცი ზეცისა და ანგელოზი ქუეყანისა“... გიორგის
ვიტყვი დაყუდებულსა“...

ამას „დაემოწაფა ნეტარი ესე“.

ამკარაა: მოძღვარი აქ მოწაფის მოღვაწეობის წარმართველია და არა
მისი საღმრთო წერილის მასწავლებელი.

საერთოდ უნდა ითქვას: მოძღვარი უპირატესად წეს-სათნოების მავალითა
და მასწავლებელი, მწრთენელია, აღმზრდელია და არა წიგნის (თუნდაც საეკლე-
სიო) მასწავლებელი. მასწავლებელს ძველ ქართულად „მასწავლელო“ ერქვა და
არა მოძღვარი. მოძღვარი ის იყო, ვინც მიუძღოდა ვისმე, წარმართავდა საით-
კენმე (აქედან: „დამოძღვრა“ ნიშნავს სწორ, უცთომელ გზაზე დაყენებას). ამი-
ტომაც მოხდა, რომ მოძღვარი ეწოდა ისეთ პირს, რომელსაც ჩვეულებრივ თავანთ
კოდებებს (სულიერს თუ ხორციელს ე. ი. ფიქრს, აზრს, ზრახვებს თუ მოქმედებას)
გაანდობენ, ის კიდევ სათანადო წესებს და გზებს უჩვენებდა „სულით შეურე-

ბულს“ „წარწყმდისაგან“ თავის დასაღწევად. მოძღვარი ეს იყო „სულისა... კეთილისა მასწავლებელი და უწესოებისა დამაყენებელი (გვ. 290). რა თქმა უნდა, მოძღვარი უნდა „მეცნიერი“ ყოფილიყო სეკლესიო სწავლათა, რომ ვინმე დაემოძღვრა, რომ მოძღვრობა შესძლებოდა. მით უფრო დიდი სათნოებითა და მეცნიერებით აღჭურვილი უნდა ყოფილიყო დიდი მონასტრების მოძღვართ-მოძღვარი, რომელიც მთელი ორგანიზაციის გონებრივ ცხოვრებას წარმართავდა. ამიტომაც უნდა რქმეოდეს მოძღვართ-მოძღვარს **პრონი** (რაც ბრძენს ნიშნავს). XVI ს. დასაწყისს გელათის მოძღვართ-მოძღვარს ილარიონს **პრონი** ეწოდება (იქვე, 293).

ალწრდის გვერდით და მისგან განცალკევებულად პატარა გიორგის „უწყეს სწავლათაცა სეკლესიოთა და სამღვდელთა, რომელთა შინა უმეტეს ყოველთა ჰასაკის სწორთა მისთასა წარებატა.“

აქედან შეიძლება გვეფიქრა, რომ აქ ჩვენ სკოლასთან გვაქვს საქმე, რომ ხახულის ლავრასთან არის სკოლა, სადაც ჰასაკით სწორანი (ერთი ხნისანი) სწავლობენ „სწავლათა სეკლესიოთა და სამღვდელთა“. თითქო მართლაც ამას გულისხმობს ბიოგრაფის ზიერ შედარება, რომ გიორგი „უმეტეს ყოველთა ჰასაკის სწორთა მისთასა წარებატა“. ასეთ გაგებისას უნდა დავვეშვა, რომ ეს სკოლა მონასტრთანაა და რომ მოსწავლენი გარშემო ადგილებიდან მოდიან ან კიდევ გიორგისავით ამ ყმაწვილებსაც ჰყავთ აქ მონასტერში გავლენიანი ახლო ნათესავეები და რომ ეს ყმაწვილებიც მონასტრის მამისა და სხვა გავლენიან მონაზვნების მიერ ნაკურთხნი „ეკლესიის ევლოგიის მონაწილენი“ იყვნენ და აქვე მონასტერში ცხოვრობდნენ...

დასასრულ, შეიძლება ასეც გავიგოთ: გიორგის მარტოს ასწავლიან. აქ სკოლასთან არ გვაქვს საქმე. და ბიოგრაფი ზოგადად ადარებს გიორგის წარმატებას მის ჰასაკის სწორებთან. სიფთხილეს ის გარემოება გვაფალებს, რომ ამ ხანების სამონასტრო წესდებათა თანახმად „ყრმა უწყურული“ (ე. ი. „შეულამგავი“ ახალგაზრდა) მონასტერში „ყოვლადვე“ არ დაიშვებოდა. უეჭველია, ამ საინტერესო საკითხს შემდეგი დაკვირვებები გადაწყვეტს (იქვე, 290).

ათი წლის გიორგიმ „მეყსა შინა (ე. ი. სწრაფად) ზეპირით დაისწავლა **საგალობლნი** იგი საწელიწდონი და **შეწყობილებანი** იგი გალობათანი“.

ამავე დროს „**საღმრთოთა წიგნთა**“ კითხვაში „უადრეს ძალისა თვისისა, დამურა და გამოციდა“... „და მაშინდელი იგი წერილთა გულის-ხმის ყოფა, ვითარცა წინდი რაიმე, მომავალთა საქმეთათვის მიიღო“.

... და საღრმითო წერილნი... რომელნი ოდენ ჩუენსა ენასა პოვნა, ყოველნივე კეთილად გულად იხტნა“...

ამრიგად: საგალობელს ზეპირად ასწავლიან, გალობაშიაც ავარჯიშებენ და ქართულ საღმრთის-მეტყველო ლიტერატურას („ძველის და ახალი სჯულის“—ე. ი. დაბდება-სახარება-სამოციქულო) განუწყვეტლად აკითხებენ.

კარვად იციან, რომ ბავშვობაში „წერილთა გულისხმის-ყოფა არის წინ-
დი“ (საწინდარი) ე. ი. საფუძველი „მომავალთა საქმეთათვის“ (იქვე, 290).

ბახულში გიორგი მ წედს სწავლობდა. 1021 წლის შემდეგ ახლო დროში ის თავის ბიძა, გიორგი მწერალთან ერთად კონსტანტინოპოლშია. ის ბიძა-მის-თან ერთად ფერის ჯოჯიკის-ძის მეუღლე მარიამს ახლავს აქ. ამ მანდილოსან-მა და გიორგი მწერალმა „სახსწავლოდ მისცეს ყრმა იგი გიორგი კაცთა ფილოსოფოსთა და რიტორთა ორთავე ცხოვრებითა შემკობილთა არა ერის-კაცთა, არამედ მონაზონთა და ლუთის მოშიშთა და ყოველთა მიერ წამებულ-თა“. საინტერესოა, რომ ბიოგრაფი ბახს უსვამს იმ გარემოებას, რომ ეს მასწავ-ლებელნი ყოველთა მიერ „წამებულნი“ იყვნენ, როგორც ცოდნით ისე ზნე-ობით (წამებული ე. ი. ცნობილი). ასე რომ მასწავლებელს არჩევდნენ იმის მიხედვით, თუ როგორი ცოდნისა და როგორი ზნეობისა იყო ის (იქვე, 291).

იდეალური მოწაფე — „გულს-მოღვინება, მოსწრაფე და გონება მახვილი“... გიორგი „მახვილთა გონებითა და მრავალ-ყამ გამოცდილთა მოსწრაფებითა წარე-მატა და მოსწრაფეთა გულსმოღვინეთა სიმახვილითა გონებისათა აღემატა და ორკერძოვე სრულქმნულთა ერთ კერძო თანაწარაჰდა, ვიდრეღა დიდად გან-კვირდეს ყრმანი იგი ბერძენთანი მისსა მას ეგოდენსა მოსწრაფებასა და სიმა-ხვილესა გონებისასა, ჰნატრიდეს გულს-მოღვინებასა მისსა და ძალისაებრ ბაძ-ვად მისსა აღიძრვოდეს“.

აქ უკვე სკოლაა, სადაც ყრმანი ბერძენთანი სწავლობენ..

მოსწავლისათვის მოსწრაფება - გულისმოღვინება აუცილებელია, მაგ-რამ, თუ მას სიმახვილე გონებისა არ დაჰყვა, ის „ორკერძოვე სრულქმნილი“ ვერაა.

ასე რომ ერთი მხარეა ბუნებითი ნიჭი-გონების სიმახვილე, მეორე არის სურვილი და შრომის მოყვარეობა. ამათი სინთეზი იძლევა „სრულქმნუ-ლობას“... (იქვე, 291)

გიორგიმ ამ სკოლაში „სწავლასა მას შინა“ დაყო „ათორმეტი წელი“ და, ვითარცა ქუეყანამ (ე. ი. მიწამ), კეთილი თესლი სწავლულულობისა შეიწყნა-რა ორნატა (ე. ი. ხნულთა) შინა სულისა თვისისათა, რომელი იგი ჟამსა თვისსა ვამოღებად ელევა...

საკმაო არ იყო სწავლულულების კეთილი თესლი ე. ი. კარგი სწავლა-მოძღვ-რება, მთავარი იყო ამ თესლის შეწყნარება, სულის ხნულებაში მიღება მისი რომ შემდეგ, სადაც ჯერ იყო, წარმოეჩინა. ე. ი. მთავარი იყო სწავლის შეთვისება რომლის გარეშე კეთილი თესლიც კი უნაყოფო იქნებოდა...

სწორი მოძღვრება და სწორი შეთვისება — ერთი იდეალური სასწავლო მთლი ანობა იყო.

...ხოლო ყრმაი გიორგი წარვიდა ხახულს მამის ძმისა თვისისა თანა საბაისა და, ვითარცა იქმნა ოცდა ხუთის წლის, ტკბილსა მას უღელსა მონაზონებისას ქედი თვისი მოუღრკია“.

ოცდა ხუთი წლის კაცი „ყრმა“?

უნდა ვიფიქროთ, „ყრმა გ-ი“ აქ ნახმარი აქვს ბიოგრაფს ბიძა მის გიორგი-საგან განსახსვავებლად; რომლის შესახებაც აქვე ლაპარაკობს.

...„თანაწარცყანა ყრმა გიორგი მამის-ძმისავე თვისისა“... (იქვე, 291).

ბიოგრაფს, ბუნებრივია, სურს უპასუხოს კითხვაზე: რაჟ გაზდა აუცილენ-ბელი X, XI ს-ში მთელი საღმრთის-მეტყველო ლიტერატურის თარგმნა: „დალაცათუ პირველთაგანვე გუაქუნდეს წერილნიცა და სარწმუნოებაი ჭეშმარი-ტი ზე განათალი, გარნა ქუეყანა ჩუენი შორს იყო ქუეყანისაგან საბერძნეთისა და, ვითარცა ლუარძლი რაიმე, დათესულ იყუნეს ქუეყანასა ჩუენსა ბოროტი იგი თესლი სომეხთანი, გულარძნილი და მანქანანი და ამის მიერ ფრიად გუე-ნებოდა, რამეთუ ნათესავი ჩვენი წრფელი იყო და უმანკო, ხოლო იგინი რეცა მიზეჳითა წესიერებისათა რეცა ცთუნებად გუაზმნობდეს და რომელნიმე წიგ-ნიცა გაუქუნდეს მათგან თარგმნილი.

ფრიად საინტერესო ცნობაა:

1. ქუეყანასა ჩუენსა ე. ი. საქართველოში ამ დროს (და უძველეს ხანიდა-ნაც) ცხოვრებულან სომეხებიც...

2. სარწმუნოებრივ პეჭრობაში პირველ ხანებში სომეხები სჯობნიან.

3. ძველი საღმრთო წერილი ყველა არც XI ს-ში ითვლებოდა სომხურიდან თარგმნილად: „რომელნი-მე წიგნიცა გუაქუნდეს მათგან თარგმნილი“...

რატომ არ სთარგმნეს ზელახლა სახარება? გიორგი „ხან-მეტსაც“ და „საბა-წმინდურსაც“ „კეთილად თარგმნის“ უწოდებს... მაშ ისინი სომხურიდან არ უთარ-გმნიათ? თუ გიორგის ჰგონია ასე? ეს საკითხი ჩვენს ამოცანას ამჟამად არ შეადგენს (იქვე, 294-295).

ეფთვიმე მთაწმიდელმა „ქუეყანა ჩუენი ამათ ზემოხსენებულთა ლუარძლთა-გან სრულიად განწმინდა მრავლად თარგმანებითა წმიდთა წერილთათა... და წესნი და კანონნი საეკლესიონი დამამტკიცებელნი სარწმუნოებისა ჩუენისანი ესე ყოველნი აღწერილად დაგვიტევნა“ და აქედანო (ე. ი. ათონიდან) „ვითარცა მდინარისაგან ედგეჳნისა ნაკადულნი ცხოვრებისანი პრსა ზედა ქუეყანისა და ნათესავისა ჩუენისაზა მიეფინნეს“.

ბუნებრივია, „გამახვილებული სამეტოქელ პირობები სათანადო სწავლა-აღ-ზრდის საჭიროებას ქმნიდენ. მოძღვრებაჲ ცენტრი შექმნილი იყო (ათონი). სა-ჭირო იყო ამ მოძღვრების სწორად შეთვისება... (იქვე, 295).

გიორგი შეყენებულმა გიორგი ათონელი წიგნების თარგმნად მიივლინა.. მოწაფემ დიდხანს არ დაიწყო დავალებული საქმე. ეს „ეუწყა ნეტარსა მას ბე-

რსა, მოძღვარსა შისსა გიორგის... შეწუხნა ფრიად და წარმოავლენა შავით მითთ მოწაფე თვისი. კაცი ღირსი და სახიერი, სახელით იოანე; დიდი მღვრვა მოჰმცნო არღა აღსრულებისათვის ნებისა მისისა. ხოლო ნეტარი ესე არა ურჩებით იქმოდა ამას...

მოწაფეს „შეწმინა ურჩებისათვის მოძღვრისა თვისისა“ და მღვდლად კურთხეული — წიგნების თარგმნას შეუდგა... მოწაფე მოვალეა აღასრულოს მოძღვრის ნება. (იქვე, 297).

ბიოგრაფი ასწერს, თუ როგორი შიშით და კრძალვით მიიღო გიორგიმ მღვდლობა და ურთავს: „არა იყო ეგვიეთარი, ვითარ ესე აწ: მრავალნი პირველ თავისა თვისა განწმენდისა სიტყვით განწმენდილ იქნებთან და ვითარცა უნდოხს რაისამე საქმისა მიმართ. ეგრეთ მღვდელობისა მიმართ მიისწრაფიან და პირუელ წუერთა გამოხელისა მოხუცებულთა უმოძღვრიან“...

მღვდლობა და მოძღვრობა გაადვილებულა. სიტყვით გაწმენდა საკმაოდ მიანჩიათ და უწვევრულებსაც კი მოხუცებულთა დამოძღვრის კადნიერება აქეთ... ყოველი ეს უტყუარი ნიშანია ახალი ხანის: გონება, აზრი ლამობს გადაღახოს მოცემულ სწავლის (სქოლასტიკური — ქრისტიანულ მოძღვრების) მიუწვდომლობა. ახალგაზრდობა (უწუერული) ყოველთვის ნოვატორია — აქაც ის ცდილობს. სწრაფად აითვისოს ქრისტიანული სიბრძნე და ამ სიბრძნის მასწავლებლობას პბედავს. მოხუცებულთაც კი უმოძღვრის... მღვდლობა ამიერიდან მიუწვდომელი, განუზომელად მაღალი და საშიში (როგორც ამას გვისახავენ „რომანტიკოსები“ გიორგი მერჩული და გიორგი ხუცეს-მოწაფონი, უკლი ნაკლებ, ვიდრე პირველი) კი არ არის, არამედ ადვილმისაღწევი. სწავლა: ახალგაზრდობის მიერ აღებული სიმადლე...

ყველა ეს მაჩვენებელია წინსვლის, სწავლის გავრცელების, ქრისტიანულ სქოლასტიკის ათვისება დაძღვის, გონების, აზრის წარმატების, საერო „სულის“ გაძლიერების, ახალი ეპოქის დაწყების... (იქვე, 297).

გიორგი ათონის შაჰასახლისი იქმნა. ის ასკეტურ ცხოვრებას შეუდგა „და ყოველნი სათნოებანი თავსა შორის თვისსა დაიფიჯა და თავი თვისი ყოველთა სახედ დაუდგა, არა სიტყვით ასწავლა, არამედ საქმიითა უჩვენა გზანი საუკუნოისა ცხოვრებისანი სამწყსოთა თვისთა“.

სწავლება ორგვარად შეიძლება: სიტყვით და საქმიით. უკანასკნელის უპირატესობა უდავოა, როცა საქმე სათნოების სწავლებას შეეხება... (იქვე, 298).

გიორგიმ ეკეთიმე ათონელის ცხოვრება დასწერა „და ხატად ცხოველად და ჭეგლად პირმეტყველად მომავალთა ნათესავთა აღგვიმართა, რომლისა იგი მკითხველი და მსმენელი სულთ და ხორციით განათლდებთან“...

აქ სრულად აქვთ შეგნებული შიზანიცა და საშუალებაც აღმზრდელობითი მნიშვნელობის სასწავლო წიგნის დაწერისა. (იქვე, 299).

გიორგიმ მახასხლისობას თავი დაანება. თავისუფლება მიიღო და სვიმონ-შვილს შრიდა. აქ მარიამ დედოფლის წყალობით „სამი კაცი და შური აღიღო“ და თარგმნას შეუდგა. ეს სამი კაცი, ჩანს, მისი ვადაშვილებია. (იქვე, 309).

გიორგისაო „უფროსნი წიგნი ღამით უთარგმნიან, და ესრე, შეუსვენებლად თარგმნიან... დღე და ღამე ტკბილსა მას თაფლსა წიგნთა საღმრთოთასა შურებოდა, რომელთა მიერ დაატკბო ენა ჩუენი და წმინდანი ეკლესიანი განაშუენნა და წერილთა თვისთა ოქროთა განამდიდრნა უხვად და გარდარეულად“ (ე. ი. ჭარბაღ).

გიორგიმ ზოგიერთი წიგნი

1. პირველად თარგმნა
2. „ოღესმე თარგმნილნი, ეგრევეთლად გამოლებულნი, გინა თუ ყამთა სიგრძითა უცებთა და უგუნურთა მხმარებელთაგან დაგესლებულნი... ბრძმედსა მას შინა კონებისა თვისისასა გამოადენა და გამოახურენა“.
3. ეფთიმეს მიერ შემოკლებულად თარგმნილნი „განასრულნა და განავრცნა“.
4. „რომელნიმე ბერძულსა შეაწამნა, სიტყვა—ღუხჭირობისა და ვერაგობისაგან განაშუენა და განაბრწყინენა, ვითარცა ეფთ თაჲადი სახარებთი და პავლე“.

ორტოდოქსალობის მწვერვალია:

ზოგი ჯერ სულ არაა თარგმნილი, ზოგი უნებლიეთი შეცთომებითაა დაგესლილი „უცებთა“ და უგუნურთა მხმარებელთაგან, ზოგი მოკლდაა თარგმნილი, ზოგი კიდევ განზრახ დაგესლილია ან კიდევ ასეთი „დღედისაგან“ არის გამოლებული.

ამიტომ: ზოგს პირველად სთარგმნის, ზოგს შეაწამებს ბერძულს და გაასწორებს, ზოგს ახლად სთარგმნის, ზოგს განასრულებს დაგანავრცობს... (იქვე, 310).

გიორგიმ 15 სხვადასხვა სახელწოდების წიგნი სთარგმნა. თუ როგორ მკაცრად ეპყრობოდა თარგმნის საქმეს, იქიდანაც ჩანს, რომ თურმე „რომელნი-მე წიგნი ორკეცად და სამკეცად გარდაწერილი არიან“.

ხოლო წიგნის კულტურისათვის მეტად საინტერესოა ადგილი: ხოლო თუ ვინმეს უნდეს ცნობის ძალი თითოეულისა წიგნისაი, თუ რაი სწერია, ამისვე წიგნის ბოლოსა პოოს აღრიცხულად და განმარტებულად თვითეულისა წიგნისა ზანდუკი და ანდერძი ლუთიე შეენიერად, რომელი წმიდამან ბერმან იოვანე პატრიკმან, პეტრიკ ყოფილმან აღწერა რა-ჟამს იგი თავისა თვისათვის გარდაიწერნა წმიდანი ესე წიგნი, ყოველი წულილად აღრიცხვა ვალობა და დასდებულნი ფრიადითა შრომითა და გულს-მოდგინებითა“.

წიგნს თან ახლავს „სამეცნიერო აპარატი“ (ამას აქამდისაც ვერ მივალწიეთ და სამეცნიერო წიგნებს ლექსების უხეირო კრებულებით ვებჭდავთ...) (იქვე, 310-311).

ბერძნები (მათი საეკლესიო წრეები) მეტად დაბალი წარმოდგენის არიან ქართველებზე. ანტიოქიის პატრიარქი ეუბნება გიორგის: „დაღაცა თუ ნათესავით ხარ ქართველი, სხვითა ყოვლითა სწავლულებითა სრულად ბერძენი ხარ“... ქართველებიო „ნათესავი ქარ უმეცარი და სამწყსო მცირე“...

„დაღაცათუ ნათესავით პართველი ხარ, ხოლო სწავლულებითა და მეცნიერებითა ჩუენივე სწორი ხარ“...

ბერძენი ბერები პატრიარქს მოახსენებენ: მონასტერში სამოცი კაცია ქართველიო. მათო „არა უწყყან, თუ რასა ზრახვენ, ანუ რა არს სარწმუნოება მათი“.

მაგრამ გიორგიმ თვალნათლივ აჩვენა ყოფილ ელინებს (ე. ი. ოდესმე კულტურა-განათლებით შეუდარებლად წინმდგომ ბერძნებს), რომ ქართველები „ბარბაროსები“ აღარ არიან, რომ ყოფილი ბარბაროსები დაეწივნენ ბერძნებს, საკუთარ კულტურულ ფეხზე დადგნენ. მან იწყო: „რად ესრეთ უგუნურად შეგირაცხიეს ნათესავი ქართველთა წრფელი და უმანკო“ და იწყო პასუხი, რაის გამო: „განკვირდა პატრიარქი ეპისკოპოსთა თესთა თანა სიმახვილეჲსა გონებისა მისისასა, რამეთუ, ვითარცა მდინარე დაუწყუდეღლად, ესრეთ დიოდეს სიტყუანი წმიდათა წერილთანი პირით მისით“... (იქვე, 313-316).

ბაგრატ მეფემოა გაიგო, „ვითარმედ სრულ იქმნა თარგმანებაი წიგნთა საღმრთოთა და მოირწყუნეს ეკლესიანი შავის მთისანი წიგნთა მისთა მდინარითა, სულთა განმანათლებელთა, რამეთუ ყოველთა მონასტერთა გარდაიწერნეს და უფროს ყოველთასა დიდად იღვაწა სულითა კურთხეულმან ანტონი ლიპარიტ-ყოფილმან და თვისისა მონასტრისა ბარლამ წმიდისთვის დააწერინა“.— თვით გიორგისო „გაყუფთილი შეუქმნა და სიმტკიცე თვისითა ხელითა დაუწერა“... ამის შემდეგ ბაგრატიც მოუწოდებს გიორგის საქართველოში, „რათა... თქუნენ მიერ... გავნათლდეთ და კუალად ეკლესიანი ჩვენნი აღიგხნეს მდინარეთა მათგან, სულთა განმაცხოველებელთა წიგნთა თქუნთა“.

სურათი ნათელია: საქრისტიანო ლიტერატურის სრული თარგმნის საქიროება მომწიფებულია. საკმაოდ არ მიაჩნიათ მხოლოდ საეკლესიოდ სახმარი წიგნები და წრფელობა-უმანკოება, რაც აქამდის სრულიად საკმაოდ ჩნდა. ლიტერატურული (საქრისტიანო ფილოსოფიის, ავოგრაფიის, თუ სხვა) მოთხოვნილება გაიზარდა. გიორგი თარგმანს იწყებს სვინაქსარით „რამეთუ ესე არს საფუძველი ეკლესიათა, რომლისა თეინიერ შეუძლებელ არს წარმართება ეკლესიისა“...

გიორგი თარგმნის, სამი მოწაფე სწერს. მონასტრებმა გადაიწერეს, საქართველოში იწვევენ, რომ აქაც განათლდნ... გიორგი წამოვიდა საქართველოში. მას თან ახლავან მოწაფეები. (იქვე, 317).

ბაგრატ მეფემ უფლისწული გიორგი გიორგი ათონელს შეჰვედრა (ჩაბარა). მოძღვარმა „სწავლანი ლუთივ სულიერნი და მცნებანი საღმრთონი აღუწერინა“ , მო-

წაფეს „და მისცა, რათა საზარდისოდ იკითხავდეს და იწურთიდეს და რათა უწყებთა კაცთა უჯვრო რაიმე და ღრკუ არა ასწაონ“... (იქვე, 320).

ათონიდან მოსულ გიორგისთან აღსარებდალ მოდიან: „მეფე, კათალიკოზი, მღვდელი და დიაკონი, მონაზონი და მოწესე, დიდებული და მთავარი, მდიდარი და გლახაკი“... და გიორგიმ „განანათლა ყოველი აღმოსავლეთი კაცმან ამაწ განათლებულმან ღმრთისა მიერ და ყოველივე ცხადი და დაფარული უწესობანი განმართან“. მოცემულია გადაჭარბებული სურათი, მაგრამ ის მაინც შეიძლება დავასკვნათ, რომ გიორგის (ათონის, შავი მთის) ავტორიტეტი დიდია. დიდია ცნობის და ცოდნის მოყვარებობაც და, მაშ, სწავლის სურვილი. რათქმაუნდა, გიორგისთან მისულთაგან ყველას სწავლა და თეორიულ-თეოსოფიური საკითხები არ აინტერესებდათ. უეჭველია, მრავალს სულ სხვა აინტერესებდა, სხვა ნუგეშს ეძებდა სახელგანთქმულ მოღვაწეში (ეს უდავოდ ჩანს იქიდან, თუ როგორ სწრაფად მიიღო ინფორმაცია გიორგიმ მრავალ უწესობათა შესახებ). მაგრამ თვით ეს გარემოებაც საზოგადოებრივ უკმაყოფილების, დუღილის და, მაშ, ცხოველი წინსვლის მაჩვენებელია, — როცა აუცილებელი ხდება „სწავლა“ (იქვე, 321).

სწავლისა და ცოდნის მოწყურებული საზოგადოება დიდი სარბიელი იყო სწავლულისა, დემოკრატის (ის წარმოშობითაც არ იყო ძალაღი წრის) და რეფორმისტ ბერისათვის (რევოლუციონური გიორგოში არა იყო რა)... მან ყოველივე ცხადი და დაფარული უწესობანი განმართან... იწყო მხილებად „მრავალთა უწესობათათვის“ „უშიშრად და თვალუხვავად, სიბრძნით და გონიერად“:

1. საეპისკოპოსო კათედრების დასყიდვა უღირს პირებზე
2. სამართლის მიდრეკა მდიდრებისკენ
3. უღირსი მღვდელების კურთხევა
4. საფასეთა დაუნჯება ეკლესიების მიერ
5. გლახაკთ გაუკეთხაობა... (იქვე, 321).

გიორგი ათონელმა საქართველოში 80 სული ადამიანი შეკრიბა და აღსაზრდელად წაიყვანა.

ამათგან ზოგი ისეთი იყო, რომ „წუთ არცა მარჯუენე უწყოდეს და არცა მარცხენე“... იყვნენ „პირველსა მას ჰასაკსა ქცევასა შინა; ხოლო სხუანი მეორესა მას ჰასაკსა შინა შესრულნი სიჩოებისაგან მცირედოდენ დაკლებულნი და ყრმად სახელდებულნი, კუალად მწყობრნი მესამენი მესამესა მას ჰასაკსა შინა სიჭაბუკისათა მოზარდნი და თმათა მათ მამაკაცობისთა მომლოდენი, ხოლო მეოთხენი, განწყობილნი ხუცესთა და მოხუცებულთა და ბერთანი, რომელნი იგი ნეთსით თვისით დაემონავენს... (იქვე, 325).

გიორგიმ 30 მოწაფე (უკეთ, მოსწავლე) შეაგროვა. და „არა სხუათა მოძღუ-
ართა მიერ ასწავლიდა ესოდენსა მას სიმრავლესა ანუ თუ სხუათა თანაშემწეთა
იხუმევდა, რათამცა თვით მცირედ რამე განისუენა, არამედ ყოვლითურთ თვით
ასწავენ და მოძღურინ მწყობრთა და მწყობრთა, ჰასაკეულთა და ჰასაკე-
ულთა“...

და არ განუსვენიაო... „ვიდრემდის უპირატესთა მათ შემდგომნი შეასწორნა,
ხოლო შესწორებულთა მათ შემდგომნი მათნი წარსწინა და ესრეთ, დალაცათუ
ჰასაკითა, ერთი მეორისა უმეტეს იხილვებოდა, ხოლო სწავლულებისა მიერ ურთი-
ერთას მოჰასაკე იყუნეს“.

მოწაფეები გიორგის ჰასაკის მიხედვით მწყობრებად დაუყვია. მისი პე-
დაგოგიური შეხედულებით ეს აუცილებელი იყო (შეიძლება ასე იყო მაშინ
საერთოდ).

მაგრამ მასვე შესაძლებლად მიიჩნია, რომ სხვადასხვა ჰასაკის მოსწავლენი
„სწავლულებისა მიერ ურთიერთის მოჰასაკე“ ყოფილიყვნენ ე. ი. ერთნაირი
ცოდნისა ყოფილიყვნენ. მაგრამ ასეთი რამ ჩვეულებრივი მოვლენა არ ყოფი-
და და გარკვეულ ჰასაკს თავისი სწავლულება შეიძლება ჰქონოდა. სწორედ
ამიტომაც, რომ გიორგის მიერ ასეთ სწავლებას განსაკუთრებით აღნიშნავს
ბიოგრაფი. (იქვე, 327).

რა იყო მიზეზი, რომ გიორგიმ ესოდენი ყმაწვილები გაიყვანა განსასწავლა-
დო, ჰკითხულობს ბიოგრაფი და უბასუხებს... ვინაიდან შრომა თავსიღვა და
მრავალნი წიგნი ეთარგმნეს და ენება, რათამცა ნათესავმან ჩუენმან დაისწავა,
ხოლო ვინაიდან შეუძლებელ იყო ჰასაკთა სრულთა და განმწყსებულთაგან
სწავლა, ამისათვის ბუნება იგი ლბილი და ჩვილი, რომელი, ვითარცა ცვილი
საბეტქდავსა, ეგრეთ მიიღებს სწავლულებასა, ესე ვითარი კრებული ორდნოდ
შემწყნარებულად სწავლათა თვისთა მოიპოვა, რომლისაგან არა განცრუენასასო-
ება მისი“.

მაშ, ამ ოთხმოც კაცს უნდა შეესრულებია აწინდელი საბეტქ მანქანის საქმე.
მაშინდელი ლიტერატურა უნდა გადაეწერათ და მთელ საქართველოში გაეცრცე-
ლებიათ.

მაშინ იმ შეხედულებისა იყვნენ, რომ ჰასაკით სრულსა და განმწყსებულთა სწავ-
ლა „შეუძლებელია“ რომ სწავლას უნდა „ბუნება ჩვილი და ლბილი“, რომელიც
ვითარცა ცვილი საბეტქდავსა, ეგრეთ მიიღებს სწავლულებასა“. (იქვე, 327-328).

გიორგიმ საქართველოში ხუთი წელი დაყო, ამ დროს „გარდაიწერნეს წიგნი
მისნი მრავალთა საეპისკოპოზოთა და მონასტერთა და მრავალნი საეკლესიონი
წესნი განმარტონა, რომელი რა ნაკლულეანება ჰოა და ყოველთავე: მეფეთა და
მთავართა, მდიდართა და გლახაკთა, დიდთა და მცირეთა გზანი საუკუნოსა
ცხოვრებისანი ასწავნა; მცნება და წესნი დაუსხნა წერით და უწერელად“...
(იქვე, 328).

გიორგი ბერძენთა მეფეს წარუდგა და ქება შეასხა. ბიოგრაფი ასწერს თავის მოძღვარს:... „სიტყვა პირისა მისისა მდაბალი და შემუსკრილი და მსმენელთა სასმენელსა მკვირცხედ შემავალი. რამეთუ საცნობელთა მისთა დაწყნარება შინაგანთა სულისა ძალთა აღუძრველობასა წარმოაჩინებდა, ხოლო სიტყვათა მდაბალთა მიერ და მახვილთა გონიერებასა სულისასა წაშებდა“...

მოცემულია სწავლული და მჭერმეტყველ ადამიანის სურათი. აქ მოცემული შეხედულება მჭერმეტყველებზე—ეს არის მაშინდელი საზოგადოების იდეალი ამ დარგში. მჭერმეტყველი ადამიანის მოცემული სურათი უდავოდ მოწმობს არა მარტო იმის ცოდნას, თუ ვინ იწოდებოდა მჭერმეტყველად, არამედ იმასაც თუ როგორი უნდა ყოფილიყო მჭერმეტყველი ადამიანი ქრისტიანულ რიტორიკის დაუფლების შედეგად. ეს კი შესაძლებელი იყო გარკვეულ სწავლა-ვარჯიშობის ნიადაგზე. (იქვე, 331).

ბერძენთ მეფე (კონსტანტინე დუკა) ეუბნება გიორგის: „პატროსანო მამაო, მე კაცი ვარ: სამხედროთა საქმეთა შინა აღზრდილი და ვერ წულილად მეცნიერ ვარ ყოველსა“ (საეკლესიო და სარწმუნოებრივ საკითხებში).

ორგვარი აღზრდა აქედანაც დასტურდება:

1. სასულიერო—საეკლესიო
2. საერო—სამხედრო (იქვე, 332).

1. ჰასაკი—ჩჩვილი (შვიდ წლამდე)
2. ჰასაკი—ყრმა... (325)
3. ჰასაკი—ჭაბუკი
4. ჰასაკი—სრული (327)
5. ჰასაკი—განმწყსებული (327, 346)
6. ჰასაკი—მოხუცებული (325)

სასწავლო ჰასაკია პირველი სამი.

50 წელი სიბერედ არ ითვლება (348)

გიორგიმ თავისი მოწაფეები მეფეს (კონსტანტინე დუკას) წარუდგინა. მეფემ უბრძანა „რათა ჟამობა ათქმის ობოლთა მათ თვისთა“. გიორგიმ „წმიდისა სვიმეონ მოხუცებულისა ვალობაი გვიბრძანა ვალობად“... ივალობეს. დიდი მადლი უბრძანა მეფემან ...„ბერსა, ვითარმედ: განგისწავლიან ბერძულსა გუარხა, ზედა, კეთილო ბერო, შვილნი შენნი და ბრძანა ათასი აკურა მიცემად მათდა“... უეჭველია, აქ იგულისხმება ვალობის „ბერძული გვარი“ ე, ი. ვალობის ბერძული წესი „რომელიც ასევე ვადმოლებს საგანი გამხდარა. ღმრთის-მეტყველების „ბერძული გვარის“ საბოლოო მიღებასთან ერთად. ვალობა, ცნობილია, ორგანული ნაწილი იყო ქრისტიანულ რელიგიის... (იქვე, 335).

შეხვედრება ფორმალურ აღზარისა და განათლების შესახებ და მათი ნუსები XVII საუკუნის საქართველოში

ამ საკითხის შესასწავლად ჩვენ ერთი სპეციალური ტრაქტატი მოგვეპოვება, ლექსად დაწერილი. ეს არის არჩილ მეფის თხზულება: „საქართველოს ზნეობა“ (ანუ „თავი საქართველოს ზნეობისა“, როგორც მას ეწოდება საუკეთესო ხელნაწერებში: № 424, წ. კ. საზოგადოებისა და № 22-ში სააზიო მუსეუმი-სა). სუსტი, როგორც პოეზიის ნაწარმოები, ეს თხზულება არსებითად ძვირფასს ცნობებს შეიცავს, და ამ მხრივ მისი მნიშვნელობა მით უფრო დიდია, რომ იგი გამოწვეული ყოფილა ასეთი სახელმძღვანელო წიგნის არსებობის რეალური საჭიროებით. ამის შესახებ თავით ავტორი მოგვითხრობს თავისი თხზულების ბოლოში:

„ბევრი კაცი იმიზეზებს, არა მყონდა მომეღელიო
ზნეობა რომ დამესწავლა, ხარისხ-ხარისხ ამეღელიო.
ახლა რაღა პასუხი გაქვსთ, აი, თქვენი მსწავლელიო!“
(ტ. ტ. 409-411)¹

ამით თვით თხზულებასაც უფრო რეალური, სინამდვილეწვეწონილი ხასიათი უნდა მისცემოდა. ეს ამონაწერი ავტორის შრომის მიზანსაც ცხადყოფს: ეს არის „ზნეობის სწავლება“. რომ „ზნეობა“ თხზულების მთავარი საგანია, — სათაურიდანაც აშკარაა, მაგრამ ტექსტშიაც ამის შესახებ გარკვეული ცნობები მოგვეპოვება:

„აწ ეს მომიღდა სათქმელად, რამდენი ზნეობა არის“-ო, ამბობს არჩილი (ტ. 9.). მეორე ადგილას კიდევ იგი მკითხველს მიჰპართავს:

„ნუ მომიწყინებ, მსმენელო, მოხსენებთა ამდენით,
არ მინდა იყუნეთ ზნეობის ავ-საქციელად წახდენით“ (ტ. ტ. 169-70).

როგორც ესმის არჩილს სიტყვა „ზნეობა“? რადგანაც „ზნეობა“ ნაწარმოებია სიტყვისაგან „ზნე“ და რადგან ამ უკანასკნელსაც იგი ხშირად ხმარობს,

¹ ხელნაწერი № 424, ყოფ. ქ. წ. წ. კ. გ. საზოგადოების წიგნთსაცავისა. ციტატები ყველგან აქედან არის მოყვანილი.

გაეარკვიოდ, თუ „ზნე“-ში რა შინაარსის სდებს ჩვენი ავტორი. „ზნე“ ჩვეულებრივად თვისებას, ჩვეულებას აღნიშნავს. მშვენიერად აქვს ეს სიტყვა განმარტებული საბა-სულხანს: „ჩუეულებით რაიცა საქმე სჭირდეს, კეთილი, თუ ბოროტი, ზნე იგი არს“. ასეთი მნიშვნელობით ხმარობს არჩილიც ამ სიტყვას:

„მუშაობაც კარგი ზნეა, ზედმდგომობა და სარჭრობა“ (ტ. 157)

„ეს ზნე სჭირს მათსა წერილსა (წმინდათა ბრძენთა), ვინც ეცდება დაისწავლის“ (ტ. 345, იხ. აგრეთვე ტ. ტ. 49, 232).

მაგრამ უფრო ხშირად ეს სიტყვა არჩილს ნახშიარი აქვს არა ყოველგვარი, არამედ საჭირო თვისებისა, დადებითი ხასიათის ცოდნის აღსანიშნავად:

„რა ზნეა, თორემ ქვეყანა არის, ვარგისობს ბრეყობა“, ამბობს აგი (ტ. 104). სხვა ადგილებშიაც ეს სიტყვა ამ მნიშვნელობით უნდა გაევიგოთ (იხ. ტ. ტ. 13, 17, 59, 301). სწორედ ამავე მნიშვნელობით ხმარობს არჩილი „ზნეობა“-საც:

„ყოველი ცოდნა ზნეობაა, საბაითიც რადგან ზნეობს“ (ტ. 285). რომ აქ ავტორი საჭირო და სასარგებლო ცოდნას გულისხმობს, შემდეგი ადგილიდანაც ცხადია:

„ზნეობა—საქციელები, არ ბნელობს, არის ნათელი,...

ეს უნდა კაცმან იცოდეს, მის მის დროს რაა საქნელი“

(ტ. 253—5).

ან კიდევ:

„არ მინდა იყნეთ ზნეობის ავ-საქციელად წახდენით“ (ტ. 170). მაშასადამე, ავტორი ზნეობას ყველა იმ თვისებებს უწოდებს, რომლებშიაც, მისი აზრით, შემკული უნდა იყოს ყოველი პირი, რომ საზოგადოების ღირსეულ წევრად ჩაითვალოს. ყველა დანარჩენი ადგილიც ამ აზრს ადასტურებს (იხ. ტ. ტ. 9, 21, 37, 94, 122, 297, 410 და სხვ.).¹ თუ ეს ასეა, ამ შემთხვევაში არჩილის თხზულების საგანი ჩვენს თემაზე უფრო ფართო უნდა იყოს. და ასეც არის: არჩილი ხშირად ისეთს რამეებზე ლაპარაკობს, რასაც ჩვენ ზრდილობას ვერ მივაკუთვნებთ (მაგ. ზოგადი ხასიათის ზნეობრივი (დღევანდელი მნიშვნელობით) თვისებები: „ისა კარგი ზნეობაა, ვინც გულისთა არ ბოროტობს“-ო, ტ. 288 და სხვ.).

ქართულ ზნეობები, ე. ი. ეს სავალდებულო წესები, ძალიან ბევრია, აე ტორს მოჰყავს იმდროინდელი შეხედულება ამის შესახებ:

„საქართველოში იტყვიან სამას სამოცდა ხუთსაო,

ზნეობას, სხვას არ ავდებენ ქვეყნისას, თუ არ მათსაო“.

(ტ. 401—2).

„უფრო არის (ზნეობა), ვერ მოთვალოს სამოც ხუთმან, ვერც სამასმა“, ამბობს იგი მეორე ადგილას (ტ. 32). თვით არჩილის აზრით კი ეს რიცხვი გაცი-

¹ ასეთისავე მნიშვნელობით აქვს არჩილს. ეს სიტყვა ნახშიარი სხვაგანაც:

„მე შერმაზან თან გამამყვა ზნეობისა სასწავლებლად, მჭერთინდის საღთო-საკაცობოს, თავი ჰქონდის თავსაველად“. (არჩილიანი, № 424, გვ. 19 B)

ლებით უფრო დიდია, ხუთი ათასამდე აღწევს (ტ. ტ. 403—404). და ამ დიდი და რთული მასალის გადმოსაცემად არჩილს თავისი მეთოდიც მოეპოება, ზოგად შეხედულებაზე დამყარებული. მისი აზრით, მასწავლებელმა მოსწავლეებს სასწავლო არ უნდა გაუძნელოს, არამედ თანდათანობით ადვილიდან ძნელზე გადავიდეს (ტ. ტ. 265—8). ამიტომ არის, რომ თვითონაც თავისი საგანი „ხარის-ხარისს ამეღელად“ (ტ. 410) დაულაგებია და ის ნაწილი თავისი თხზულებისა, რომელიც თვით მას უმნიშვნელოვანესად მიაჩნია, ე. ი. ზნეობა საღვთო, ბოლოში მოუქცევია:

„ამად ვსთქვი ასე გვიანად კარგები, ძნელად საცოდნი,
ძვირად მინახავს ამათი სრულად და კარგად ნაცოდნი“
(ტ. ტ. 261—2).

თავისი სამუშაოს გეგმაც ავტორს წინააღმდეგ მოუხაზავს. თხზულების დასაწყისში, ჩვეულებრივ ლეთისმეტყველურ შესავლის შემდგომ, იგი ამბობს:

„აწ ეს მომინდა სათქმელად, რამდენი ზნეობა არის,
სამლოთ და ანუ სამკედრო, მშვებლის და მოფავლახარის,
ლაშქრობის, ნადირობისა, რომელმან კაცი ახარის,
საქციელ სამსახურისა, ვინც იცის, ცოდნათაჲ კმარის“
(ტ. ტ. 9-12).

თუმცა თხზულების შინაარსი მთლიანად ამ გეგმაში არ ეტევა და არც მისი წესრიგი არის სავსებით დაცული (ერთისა და იმავე საგნის შესახებ ავტორი სხვადასხვა ადგილას ლაპარაკობს და თვით ჯგუფებიც არეულია), მაგრამ ზოგადად იგი (გეგმა) მართალია. ამიტომ მიეცემა მის დალაგების რიგს.

როგორც ზემომოყვანილ ამონაწერიდან ჩანს, ავტორი თავის თხზულების საგანს ორ დიდ ჯგუფად ჰყოფს: ზნეობა საღვთო, ე. ი. ის წესები, რომელთა მიხედვით უნდა მოიქცეს ადამიანი თავის დამოკიდებულებაში ღმერთთან, და სამხედრო, ე. ი. საერო. რადგანაც უკანასკნელი არჩილს უფრო ადვილად მიაჩნია, ამიტომ პირველს რიგში, — „საღვთო ზნეობის“ შესახებ ლაკონიური განცხადების შემდგომ „თავსაც სამლოთ. სჯობს, ბოლოსაც, კაცთა ზნე-საქმე რაც არი“, — სწორედ ამ „სამკედრო“ ზნეობას განიხილავს.

1. „**ზნეობა სამკედრო**“. ასე უწოდებს არჩილი ყველა იმ წესებს **საერო** ცხოვრებისას, რომელთა მიხედვით, მისი აზრით, უნდა მოიქცეს **გაზრდილი** ქართველი; და ყველა იმ თვისებას თუ ცოდნას ერისკაცისას, რომლებიც ასეთს ქართველს უნდა ახასიათებდეს. ეს წესები და ეს თვისებები მიუცილებელი სამკაულია ადამიანისათვის, რომ ის მისაღები წევრი იყოს არსებული ფეოდალური საზოგადოებისა, არსებითად, რათქმაუნდა, ამ საზოგადოების გაბატონებული კლასისა. აქედან გამომდინარეობს მათი სავალდებულო ხასიათი. ამ წესების უცოდინარობა და ამ თვისებების უქონლობა უზრდევლობასა და უწვრთნელობასა („თუ ვინ ესრე არა ზრდილობ, მაშ იქნები სვანი ყუდო, ტ. 204, იხ. აგრეთვე ტ. ტ. 208, 231 და სხვ.) პნიშნავს და საზოგადოებას უფლებას აძლევს ერთგვარი ზემოქმედება იხმაროს ასეთი წევრის მიმართ (იხ. ტ. ტ. 40,

96, 152, 155-6, 210-11). სამაგიეროდ, ზრდილი ადამიანი სასიამოვნო პირია საზოგადოებისათვის და საყვარელი ყმა მეფისა და ბატონისათვის (იხ. ტ. ტ. 20, 27, 232, 246 და სხვ.).

„სამკედრო“ ზნეობას არჩილი რამდენიმე ჯგუფად ჰყოფს: ზნეობა „მშვებლის და მოვალეხარის, ლაშქრობის, ნადირობის, საქციელისა და სამსახურის“ (ტ. ტ. 10-12) წესები. მაგრამ თეთი თხზულებაში ვრცელი ცნობები მოიპოვება ისეთი დარგების შესახებაც, რომლებიც ამ წინასწარს დაყოფაში არ შესულა. ვან-უიხილოთ თვითეული ცალკე:

ა) „მშვებლის ზნეობა“ ჩვენ, რა თქმა უნდა, ის წესები უნდა ვიგულისხმობთ, რომელთა მიხედვით უნდა მოიქცეს ადამიანი, როცა იგი, დღიურ საზრუნავს მოშორებული, დასვენებასა და მხიარულებას არის მოწადინებული. ქართველი ფეოდალი თავისუფალ დროს სხვადასხვა თამაშობაში (საპარეზობა, ტანთვარჯიშობა, ანუ ფუნდრუკი, — საბას ტერმინოლოგიით, — „მღერა“ ანუ „ყუმიარი“) და ლხინში ატარებდა. ამავე ჯგუფს ეკუთვნის თავისი ხასიათით ნადირობაც, მაგრამ ვინაიდან მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა და რადგან იგი არჩილსაც ცალკე აქვს განილული, აქედან უნდა ვამოიყოს. ასპარეზობასა და ტანთვარჯიშობას გართობაზე ის დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ, რომ ერთგვარს წინასწარს სამხედრო სკოლას წარმოადგენდნენ, სადაც იმ დროინდელი მეომარი (ჩვეულებრივად ფეოდალი) სწავლობდა იარაღის ხმარებას (ტ. ტ. 22, 53, 55), ცხენზე ჯდომას (ტ. ტ. 24, 54), სიციკიტესა და სიმარჯვეს მოძრაობაში (ტ. ტ. 23, 106-7), და სადაც საზოგადოდ სხეულს ივითარებდა. ამიტომაც აპყრობდნენ მას ასეთს ყურადღებას. არჩილიც ამიტომ მოითხოვს, რომ თვითეულმა იცოდეს: „მშვილდ-ისარი და ბურთობა“ (ტ. 22), თუ „ბურთის სროლა“ (ტ. 53), „აშფაშაჭი და ყაბაჩი“ (ე. ი. მიზანში სროლა, ტ. 53), „ხელძლიან ჯირითობა“ (ტ. 54). ეს თამაშობანი ცხენზე, ამხედრებულად, უნდა შესრულებულიყო შესაფერი-სის სიციკიტით:

„მშვილდ-ისარი და ბურთობა, ორივე ცხენ-ფიცხელები“ (ტ. 22). მაგრამ კარგი „ცხენოსნობა“ (ტ. 45) თავისთავადაც საჭირო თვისებად ითვლებოდა: „კარზე ცხენის გაქენება“ (ტ. 54)¹ არჩილს საგანგებოდ აქვს აღნიშნული. სამაგიეროდ, „ქვეითობაც“ საპატიოა, „ის უწინაც ვარგებულაო“, ამბობს არჩილი (ტ. 56) და მის დროსაც მნიშვნელობა არ დაუკარგავს. „მოუცდენი მეთოფობაც“ (ტ. 55) ასეთს სავალდებულო ცოდნას წარმოადგენდა. აღსანიშნავია, რომ არჩილის სიტყვით თოფი ახალშემოსული ყოფილა ხმარებაში: „ახლა ესეც ზნედაიღვა“-ო (ტ. 55). მოხსენებულია აგრეთვე „მესეფქობა“, სპეციალური ტერმინი უნდა იყოს; „სეფქა“ თავისთავად ისარის ერთს ტიპსა ჰქვია, მაგრამ ეს ტერმინი რას უნდა ჰნიშნავდეს, არ ვიცით. განცალკევებულია „ნავთხმარება“, მეტად საჭირო ცოდნა, რომელიც, არჩილის აზრით, მცურაობასაც სჯობია (57-60). კერძოდ ტანთვარჯიშობას უნდა მივაკუთვნოთ: „მცურაობა“ (57), „ხტო-

¹ საქართველოს ზოგიერთ კუთხეში (მაგ. აფხაზეთში) ვხვდებით იციან და ერთგვარ ზრდილობის წესად მიიჩნეოდა, — ცხენოსანი სტუმარი მასპინძლის ეზოში შესვლისას თუ განთავსებისას, ალაყაფის კარებთან ცხენს გააჭენებს უსათუოდ. ასეთს რასმე ხომ არ ვუღიხნობს არჩილი? — ნ. ჯ.

მა“ (67), „ქვისგდება“ (67), „რკინობა“ (ე. ი. ქილაობა და მისი ატრიბუტები — „მოგვერდი“, „ფანდი“ და სხვ.) (67), „ხარლიორდა და ჩალოი“ (66; „ჩალოი — საფუნდრუკო საგემელი ტილოსი“, „ხარლიორდა — მოგვერდი, ფუნდრუკი“ — საბა). ცალკე კატეგორიის, გონებრივი ხასიათის, გასართობს ეკუთვნოდა „ჭადრაქისა და ნარდის მღერა“ (65) და „სხვა რაც რამა ყუმარი“ (აქვე). მათი ცოდნა „ქარგ ზნედ“ ითვლებოდა.

განსაკუთრებულ შემთხვევისათვის გამართულს პურისკამას თუ ლხინს, რასაკვირველია, თავისი წესები ჰქონდა, ერთის მხრივ — მასპინძლისათვის და მეორეს მხრივ — სტუმრისათვის სავალდებულო. მასპინძელს უნდა შეეძლოს: „გარიგება მარაქისა, მის მის ალაგს კაცის დასმა“ (29), მასვე „სუფრის ბარაქიანობა“ (ც მოეთხოვება (30). კერძოდ სტუმრისათვის, და საზოგადოდ სუფრის, წესია „საამოვნო ჭამა და სმა“ (30), „წმიდად ჭამა და დიდი სმა“ (39), მაგრამ ვისაც ეს „დიდი სმა“ ზოგიერთი სამწუხარო შედეგის თავიდან აუცილებლად არ შეუძლია, ის სათანადოდ უნდა დაისაჯოს და შერცხვენოდ იქნას (40). ყველამ უნდა იცოდეს, რომ „ბევრგვარ უნდა ხილის დაჭრა, ბეჭის ვათლა, დანის მოსმა“ (31) და შეეძლოს კიდევაც ამაგების გაკეთება. ძველ ქართულ სუფრასთან განუყრელად დაკავშირებული იყო „ზმა და ხუმრობა“ (33) — და არჩილიც მოითხოვს თვითუფლისაგან ამათს ცოდნას და შესაფერისად თავის დაქვრას: სუფრაზე მზიარულება და გულგაშლილობაა საჭირო. „სიცილი“ (33), „სხვის ზმისა მალ გაცინება“ (33), „ქარგის აზნაურშეილისა სიტყვისა არ გამგუნება“ (34), „მუნასიბი ლექსი“ (შესაფერისი სიტყვა-პასუხი, ტ. 36) და, საზოგადოდ, სანდომი სულიერი განწყობილება — მიუცილებელი თვისებებია სუფრაზე. დამოლოს, სავალდებულოა, საერთოდ „მასპინძლობისა“, და ამასთან მჭიდროდ დაკავშირებული, „ჩუქების“ წესების ცოდნა (26).

ბ) თუ ყოველივე ეს „მშვებლისათვის“ სავალდებულო წესებს წარმოადგენდა, არსებობდა ასეთივე მოცავლაზარისთვისაც, ე. ი. იმისთვის, ვისაც ან პირადად ეწვია უბედურება, ან ვალდებული იყო სხვის მწუხარებაში მონაწილეობა მიეღო. ეს უბედურება ადამიანის სიკვდილს გულისხმობს. ასეთის შემთხვევისათვის „მოტიროლობა, გლოვის წესი, ზარი-აზა ზნედ დაილო“, ამბობს ჩვენი ავტორი და დასძენს: „უსარგებლო მკედრის და ცოცხლის“, ეს ჩვეულება „ერთმანერთის წაბაძვით დაწესდა“-ო (ტ. ტ. 61-63). გარკვევით არა ჩანს, რას უარყოფს არჩილი: მთლიანად გლოვისა და ტირილის წესებს, თუ მხოლოდ „ზარსა და აზა“-ს ჰგმობს. უფრო კი უკანასკნელი უნდა ვიგულისხმოთ. ვინაიდან იმ დროს ამ საერთო წესებს გლოვისას ისეთი მნიშვნელობა ჰქონდათ მოპოვებული, რომ საექვო არჩილს ისინი სულ ზედმეტად ჩაეთავლა¹. ჰგმობს არჩილი აგრეთვე ასეთ შემთხვევებში მიღებულ მარხულობას, რომელიც ზოგჯერ ერთი წელიწადი გრძელდებოდა (64).

გ) იმ დროს, როდესაც საქართველო ერთს მუდმივ სამხედრო ბანაკს წარმოადგენდა, ცხადია, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა სამხედრო

¹ თუმცა ჩვენი ვიცით, რომ დაახლოებით ნახევარ საუკუნის, შემდგომ კათალიკოს ანტონის მიერ მოწვეულმა კრებამ აკრძალა „ტირილი და უჯგრო გრაჟერი გლოვა“ (პ. ობზელიანი კიბ. გამოც. გვ. 167).

საქმეში გაწვრთნასა და დაბეჭდვებს. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდათ ამ თვისებებს ფეოდალის სოციალური მდგომარეობის თვალსაზრისითაც, რადგანაც მას ძალიან ხშირად პირად და დამოუკიდებელი ფიზიკური ჩარევაც სჭირდებოდა თავისი კლასობრივი ინტერესების დაცვის საქმეში. სწორედ ამ მიზნებს ისევე, როგორც ასპარეზობა, ემსახურებოდა ნადირობა. თავისთავად, ნადირობაც ფეოდალისათვის თავის განსაზღვრულ საქმე იყო, მაგრამ ამასთან ერთად იგი მის უფლებად რეალურსა და მნიშვნელოვან ინტერესებს აკმაყოფილებდა: იგი ავითარებდა იმ თვისებებს, რომლებიც საუკეთესო, და რაც უფრო მნიშვნელოვანია, მიუცილებელი სამკაული იყო მოლაშქრისათვის: ასეთი იყო: „მეჯინიობა (ე. ი. ჯინიბის ანუ მარტაფა ცხენის ტარება თუ ცხენის მოვლა), მკედრობა, ცხენსწიობა“ (45), „სარდლობა, ზავით სარჯლისა, დღედაღამ დაუზარობა, უწინ სიფრთხილე, გასინჯვა, სიტყვისა მწვე მიმხედარობა... შემართვა მეგრძოლთ თამამად, წინ წადგომისა დასწრობა, რაზმის გაწყობა კარგ გვარად“... (ტ. ტ. 277-281), იარაღის ხმარება „კომლის ცემა, ლახტის თამაში, ბევრგვარ ბრუნება შუბისა“ (109) და საერთო სიმარჯვე (117—120). ეს თვისებები, როგორც ვთქვით, სათანადო წრეების საარსებო ინტერესებს აკმაყოფილებდა და ამიტომაც აქცევს არჩილი მათ ასეთს ყურადღებას და მოითხოვს მათს შეძენას. ამ თვისებების უქონლობა საკმაო საფუძველი იყო ფეოდალური საზოგადოებისათვის, რომ გაეციტა თავისი გაუწვრთნელი და უსარგებლო წევრი: „ვისცა არა აქეს, უზრახვენ, სხვამან სხვას მიუუბნისა“ (112).

თვით ნადირობას არჩილი რამდენიმე დარგად ჰყოფს: „მომტეველობა მფრინვლებისა“ (46), „კურდღლობა“ (48), „თევზის ჭერა“ (93). ესენიც თავის რიგზე სწავლასხვა დარგად იყოფა, და თვითუღს მათგანს თავისი წესები ახასიათებს: „მომტეველობაც მფრინვლებისა ცალ-ცალკეა“, ამბობს არჩილი (46) და ჩამოთვლის: „მწყერობა“ (46, 97), „მეკოკებობა“ (97), „წეროს გეზით დამპყროლობა“ (94), ისევე ნადირობა (98). კურდღელზე ძალით ნადირობდენ (48), თევზის ჭერაც შეიძლება „წყლის წურვით“ ან „ბადის სროლით“ (93). რა თქმა უნდა, შემთხვევით გამოჩენია ავტორის ისეთი მნიშვნელოვანი დარგი, როგორცაა—მსხვილ გარეულ პირუტყვზე ნადირობა. ყველა ამისი ცოდნა საქალდეზულო იყო, მაგრამ ვაზრდილს ქართველ ფეოდალს განსაკუთრებული უნარიანობაც მოეთხოვებოდა. მას უნდა სცოდნოდა „ოსტატად ბაზიერობა“ (47), „ძაღლის კარგად მოტევება“ (48), „მეძებრის სწავლება“ (95), „ცხენისა და მფრინვლის ცნობა“ (49), „სტენა, წრუწუნ, ძახილი“ (98), „მაღე მიშველა ფრინველისა“ (100) და სხვ. კარგი მონადირისა და მოლაშქრისათვის უფრო საერთო ხასიათის თვისებებიც იყო საჭირო: ზოგიერთი იარაღის საკუთარეს ხელით დამზადება, მაგ.: „ქარქაშის კარგად მოზობლება“ (42), „ისრის თლა, სწორად ვამართვა, გაქლიბა, სეფქის გაწყობა, მშვილდის ჩავდება, ყულაჯი, ქარქაშის კარგა ჩაწყობა“ (101—102), „საცერის წყობა, მათრახის ბილდირვა რა შუბისა, ისარი სხვილი და გრძელი“... (110—111); „ჯაჭვისა და სხვა საჭურჭლის ცნობა“ (112), „გაწყობა და მორთულობა“ (114), სადავის გამოჩენვა „პირჩვილისა“ და „გამზიდარი“ (ე. ი. კისერ-მავარი) ცხენისათვის (282). არჩილის აზრით, საჭიროა აგრეთვე „მოვაიტრობაც“, ე. ი. საქონლის მკურნალობა. ამას

გარდა, იგი მოითხოვს იარაღისადმი ფაქიზს დამოკიდებულებას, „უჩირქოთ, წმინდათ კმარებას“ (43).

დ) ესლა უნდა გადავიდეთ ერთად ცხოვრებისა და საკუთრივ ზრდილობიანობის წესებზე. ამ ნორმების საერთო სახელის აღსანიშნავად არჩილს რამდენიმე ტერმინი მოეპოვება: ყველაზე ხშირად ნახმარია „საქციელი“ (იხ. ტ. ტ. 12, 21, 200, 237, 253, 360), უფრო იშვიათად „ზრდილობა“ (ტ. ტ. 204, 237) და „აზნაურშვილობა“ (ტ. ტ. 34, 209). ეს წესები ორ დიდ ჯგუფად იყოფა: „კარგ საქციელი“ (ტ. ტ. 360) და „ავსაქციელი“ (170), „ავსაქციელი მარტვილი“ (200).

უწინარეს ყოვლისა, საჭიროა გულღია და შემტკობი ხასიათის ქონება (17-20), და „თავის გუნების კაცს გარდა სხვისაც ბევრისა ვაწყობა“ (135), ასეთს თვით სეზებს ეკუთვნის „შესაყრელობა, ალერსი“ (17), „ხუმრობა“ (68), „ხუმრობის ადვილ შეტყობა“ (133) და საზოგადოდ „კარგად ჩამორთმა სიტყვისა“ (134, 34).

ამას მისდევს წესები. რომლებიც განსაზღვრავენ „წავლა-წამიჯლას, ზედგომას, ჯდომბა-ადგომას მოხდენით“ (171), ე. ი. ჩვეულებრივი ზრდილობიანობის ნორმები. მათი ხასიათი იცვლება იმისდამიხედვით, თუ ვის დამოკიდებულებას შეეხებიან ისინი: თავისებურია ყოველ ცალკე შემთხვევაში მოქცევის წესები ყმისა, ბატონის მიმართ, უფროს-უმცროსული და ტოლ-თანასწორისა.

ბატონყმური¹ ზრდილობიანობა ანარეკლია იმ საერთო სოციალ-ეკონომიური დამოკიდებულების, რომელიც მათ შორის არსებობდა. ამიტომ არის, რომ ყმისაგან ბატონისადმი მიმართულს ყოველივე მოქმედებაში პატივისცემის გრძნობა და მოწიწება უნდა გამოსჭვიოდეს (207, 213-6, 229-32), უპირველესი: ზნე ყმისა არის ბატონის მორჩილება, „ბატონის სიტყვის გაგონა“ (221) და მისი „ნების გათავება“ (ე. ი. ასრულება, 224, 195). „ბატონის დარბაზის კარი, რა გინდ რომ მაღალი იყოს, თავმოხრით უნდა შევიდეს, არც ლაჯში თავი გაიყოს“, ამბობს არჩილი (165—166). ბატონისაგან საბოძვარის მიღება, ან ბატონისათვის რისიმე მირთმევა „ორის კელით“ უნდა (189-190). „ავსაქციელად“ უნდა ჩაითვალოს ბატონისათვის ზურგის ან გვერდის შექცევა (193). მასთან სასმელის უშეკრად დალევა (197) და კბილით „თხილის მსხვრევა“ (198). ბატონთან ჯდომბა და დგომბა უწეროდ უნდა: სირცხვილია, რომ მჯდომი რასმე გარდაეყუდლოს და მდგომმა ფეხი დაიკავოს, ან ხელი ბოძს მოჰხვიოს (201-202). „ბატონყმური ლაპარაკიც სხვა არის“ (225); უზრდევლობა ბატონთან ლაპარაკის დროს „კელ-ფერკის თამაში“ (205), მასთან საუბარი „ეკლქემოკლობით“ უნდა (207). თუ ბატონი ლაპარაკობდეს, ყმას ჰხამს დუმილით მოუსმინოს (229—231). თუ ყმა ბატონს ახლავს ცხენით, წინ არ უნდა გარდაუაროს და არც ცხენის თავი დაუსწოროს, რომ სანახაობა არ დაუფაროს (241-243). ერთს ადგილას არჩილი ყმის ზნეობრივ ვალდებულებებსაც ეხება: ჰინც „ბატონის საიდუმლო სიტყვა გარეთ გაიტანოს“, იგი სასტიკად უნდა დაისაჯოს (153-156).

თუ ეს განსაკუთრებული პატივისცემა ბატონს თავისი სოციალურ მდგომარეობის გამო ჰქონდა მოპოვებული, ამისვე ღირსი იყო „უმფროსი“ (ე. ი. უხუ-

¹ არჩილი სიტყვა „ბატონ-ყმობას“ ფართო მნიშვნელობით ხმარობს: როგორც სოციალურის, ისე სახელმწიფო წყობილების მოვლენის აღსანიშნავად, მაგრამ უფრო ხშირად აქ მგონისა და მისი ვასალების (ფეოდალის) ურთიერთობა იგულისხმება.—ს. ჯ.

ცესი) კაცი თავისი წლოვანების გამო. ამიტომ, ბატონისა და უფროსი კაცის მიმართ, არჩილის აზრით, ერთნაირად უნდა მოიქცეს ადამიანი (ჯღომისა და ღვლომის წესი — „ბატონთან და უფროს კაცთან“ და სხვ., ტ. ტ. 200—204). საინტერესოა ერთი ხანა, რომელიც ამავე საგანს ეხება:

„უმცროსმან კაცმან უფროსი არ უნდა დაიწვიოსო.
აღგეს სჯობს, ისრე მჯღომელმან ქვემოზე დაიწვიოსო.
საჩოქეთ რა შეიყარნენ, უწინ მან წაიწვიოსო,
არცა უკამსად დამდაბლდეს, არც ბეწვად აიწვიოსო“

(173—176).

ეს „საჩოქეთ შეყრა“ მისაღმების დროს დაჩოქებას ხომ არ გულისხმობს? სიტყვა-პასუხიც უფროს-უმცროსული განსხვავებული უნდა იყოს: „სწორ უმცროსულ უმცროსულსა ქართულსაც აქვს დასახვა“—ო, ამბობს არჩილი (227).

„ტოლსა და ამხანაგთან (177) მოქცევა, რა თქმა უნდა, უფრო თავისუფალი ხასიათის იქნებოდა, მაგრამ აქაც თავისი წესები არსებობს, რომელთა გარდაღახვა არ შეიძლება: მარჯვნივ მჯღომს (სუფრახზე?) ამხანაგს მონაცემი მარცხენა ხელით უნდა ჩამოართვა, და პირიქით (191—192). განმარტოებულად მოსაუბრეებთან მისკლა არ შეიძლება მათდა მოუწვევლად. მათ კი ჰმართებსთ ვაირიონ საუბარში, ვინც შემოესწროთ (217—220). ამხანაგებმა რომ დაგვიწვიონ, „ორთავ თავს არ გარდუარო და ჩაუჯდე შუა სამე“, რომ ამით ორივეს ამოო (177-180).

დასასრულ, არსებობს ისეთი მოქცევის წესები, რომლებიც ყველასათვის ერთნაირად სავალდებულოა. არ შეიძლება ჯღომის დროს ფეხის ფეხზე გადადება (181², ზურგის კედელზე მიყუდება (185) ან ცალ თეძოზე დაჯღომა (187), თავის დაკიდება, როგორც ეს „თვალნაკლებ ოქრომქედელს“ სჩვევია (186). არ შეიძლება ადგომის დროს ხელის დაბჯენა (184) და ჯოხის მხარზე გაღება (იქვე), ან დაპარაკი, როცა პირში რამე გიძევეს (182). უზრდელობად ითვლება „ცხვირის გამოკრკა“ (188) და „კბილის საჩრჩნელის“ ხმარება (იქვე), „ავად

¹ ყვენიდან საქართველოში დაბრუნებულს ავად მზარგრძელს, ამირსასალარს, „წინა მოგებნეს ყოველნი მთავარი და წარჩინებულნი, თვით შანშა და ეგარსლან, რომელსა კინილა სახელიცა შეფობისა ეპყრა. და ვითარ მივახლა ავად, ჰგონებდა ჰონისაგან გარდაცდომად და გრეთ ხილვად ეგარსლანისაგან. ხოლო იგი დიდად განლაღებულ იყო: არა ინება წესისაებრ პატივით, ხილვად და ამბორისყოფად ავადისა. და ვითარ ინილა ავად, განძინდა, თავსა მათრაკითა უხეთქნა და უბრძანა მასქვემე დაწესებულთა, რათა ცხენისაგან უპატიოდ დაამკენეს ქვეყანად. და ყვესცა ეგრეთ. პატივისაგან უპატიოდ ყვეს და განძრცივი განძქეს, და მიერთვან უპატიოდ იქნა და საცინელ. და ესრეთ განავდეს შანშა და ავად და თავადთა საქართველოსათა“ (M 655, ტექსტი აღდგენილია.)

² 1615 წ. კახთა მეფე თეიმურაზ და ქართლის მეფე ლუარსაბ, შაჰაბახისაგან ლტოლვილნი, იპრეთს გარდაიხვეწენ, სადაც ისინი „ისტუმრა კეთილად გიორგი მეფემან დიდითა პატივითა ქუთათისს“. ლუარსაბ მაინც მალე გაბრუნდა უკან. ვახუშტის ასეთი ამბავი გაუგონია წასვლის მიზეზის შესახებ: „იტყვიან რამეთუ ისხდენ მეფენი ერთად. მაშინ გიორგი მეფემან მოიხადა ქედი და შემოიღდა ფეხი მუხლსა ზედა. ესე იუკადროსა მეფემან ლუარსაბ და შეირაცხა უპატიოდ და არარად შეგრაცხა და იტყოდლო: „რა იგი ხებაგს მტერსა, ჰყოს, ხოლო უმცირესისა ჩემისაგან არა დავითმინო“. და არღარაი უსმინა გიორგი მეფესა და წარვიდა, ვითარცა მწყრალი“. (საქ. ცხოვრება, ტიპ. გან., 299).

გალეჟეა“ (გაფურთხება) და „ცხვირის მოხოცა“ (238), „მუღამ უღვაშის გრეხა, (206), სიარული სიფრთხილით უნდა, რომ „წინ მავალს უკან რა მიჰყვე, ტალახი არ მოსცხო“ (239). ზრდილ კაცს უნდა შეეძლოს აგრეთვე „ტანსა და ფეკსა გაწყობა“ (41). შეიძლება აქვე მოვიხსენიოთ კიდევ ერთი საინტერესო დარჩენილი არჩილის: „უცხო მდიდარი მისს სადგომს მალ-მალე არ ნახო“-ო, ამბობს იგი (240) ¹.

ე) საქციელს არჩილის გეგმაში „სამსახური“ მისდევს. „სამსახური ბევრგვა-რია, საცოდნელადც ძნელია“, ამბობს ავტორი (245) და ჩამოსთვლის იმ მოვალეობას, რომლებიც აწვა იმ დროინდელ ქართველს მეფისა და ბატონის წინაშე და მათი შესრულების წესებს. აქაც ჩვენ ვხედავთ იმავე ხასიათის დამოკიდებულებას, რომელიც საეციფიკურ ელფერს აძლევდა ყმის მოქცევის ნორმებს ბატონის მიმართ.

ყმა ბატონის ერთგული, „მართლამქნელი“ უნდა იყოს (246), დაუზარელი და თამამი, ფიცხი და მალი ბრძანების შესრულებაში (247-8). „მღვიძარება და სიფხიზლე“ და იგივე სიმარჯვე, რომელსაც ასე ხშირად მოითხოვს არჩილი, აქაც მიუცილებელ თვისებად არის მიჩნეული სამსახურის მოვალეობათა ასრულების დროს (248—250). მაგრამ ვინც მოწოდებულია სახელმწიფო საქმეებში მონაწილეობის მისაღებად თავისი შთამომავლობისა თუ უფრო შემთხვევითი ხასიათის გარემოების გამო, მას უფრო მძიმე და საძნელო მოვალეობები აქვს დაკისრებული. ასეთი პირი ვალდებულია იმდენად მომზადებული იყოს, რომ შეეძლოს „მჩინელობა“ და „სიტყვის გაკეთა“ (141), საქორების დროს „ელჩობა, მოციქულობა“ და ამისათვის მიუცილებელი „სიტყვისა სწორად დასწავლა“ (142), დარბაზობის წესის ასრულება, „ადგილზედ მოდარბაზობა“ (251). საქორთა აგრეთვე სასამართლოს საქმეების ცოდნა: როგორც საკუთარი საქმის წარმოება სასამართლოში („მოჩივრობა“), ისე თვით მოსამართლის ფუნქციების ასრულების შეძლება. „ბჭობა“, „სამართლის მართლის ქნა“ (137).

ვ) ასეთი რთული და მნიშვნელოვანი მოვალეობების ასასრულებლად, რასაკვირველია, საჭირო იყო სათანადო განვითარება და განათლება. და მართლაც ამ მხრივ არჩილი საკმაოდ დიდს მოთხოვნილებებს უყენებს იმათ, ვისაც „ზნეობის სწავლა“ ჰქვართ. უწინარეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, „მწიგნობრობის“ ცოდნა არის საჭირო: „მწიგნობრობა ჭრელსადაგი“ (125), როგორც ხუცური, ისე მხედრული (127), „მსმენლობა“ (?), „მთარგმნელობა“ ანუ „ღრმის სიტყვის ადელი გამოთქმა“ (126), „კანანახი კამბალაი“—ჰკათიო კარნახი (128). საჭიროა აგრეთვე სხვადასხვა „დამწერლობის“ (129) ცოდნა:

„დამწერლობა ხუცურის და მკედრულს უნდა სხვადასხვა და, მკვარგოვანსა, ყვავის ფრჩხილოვანს, ასომთავრულს სმენ თავადა“ (129—39). „ანგარიში და რიცხვთ ცოდნაც“ (138), ცხადია, მიუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა. აგრეთვე სასურველ ცოდნად სთვლის არჩილი „მხატვრობას და მონახაზობას“ (131) და განსაკუთრებით უცხო „ენისა და წიგნის“ ცოდნას (121—123). მოხსენებულია აგრეთვე, როგორც სასურველი თვისებები, „გარეშე (ე. ი. საერო)

¹ შეადარე ამას იმ დროინდელ უცხოელ მოვზაურთა (მაგ. შარდენის) ცნობები ასეთი „ვიზიტორების“ შესახებ.

წიგნის“ ხასიაზოვნო კითხვა (132), და „ქრულ ძილისპირთა გარდათქმა“ (125).

საქიროდ მიგვაჩნია ეს საინტერესო სტროფები აქ მთლიანდა მოვიყვანოთ: „ენა და წიგნი რამდენი ვინც იცის, ესეც იხდნავდ ჩავაგდოთ თვითო ზნობად, სხვის ქვეყნის ამბის მომენად, მამ ერთად როგორ ვიტყოდეთ, იკითხონ სხვადასხვა ენად! ვინ სხვას ვერ ასმენს, ის ისმენს, იქ დაიწყებენ მიდენად. მწიგნობრობა ქრულ-სადაგი, ქრულ ძილისპირთა გარდათქმა, მსმენელობა, მთარგმნელობა — ღრმის სიტყვის ადვილ გამოთქმა, ხუცუურის და მკედრულის სხვადასხვაობს თვითოსა თქმა კანანახი კმა: მაღალი, ყინწვილადა ნუ იქათმა! დამწერლობა ხუცუურსა და მკედრულს უნდა სხვადასხვა და მტარგლოვანსა, ყვავისფრჩხილოვანს, ასომთავრულს სმენ თავადა, მხატვრობას, მონანახობას, არვინ ჩააგდებს ავადა, გარეშე წიგნის კითხვაზედ კმაყად ნუ იხავ-და“.

მაგრამ, საერთო განვითარების სისრულისათვის არჩილს მხოლოდ გონების გაწე-რთნა საკმარისად არ მიაჩნია: მისი აზრით, საქიროა აგრეთვე ერთგვარი ესთე-ტიკური განათლებაც. ამ უკანასკნელს ეკუთვნის: „სიმღერა და დასდებელი“ (25), „კარგი კმა და თან უსული (ე. ი. ლამაზი, 27), მუსიკა (37), სხვადასხვა ცეკვა (38). არჩილი კლდე უფრო შორს მიდის: მას მკითხაობაც კი (რამლის ყრა, მეს-ტროლობობა და სხვ.) საქირო ზნედ მიაჩნია (139) და მხოლოდ ბეჭე მკითხა-ობის შესახებ ამბობს: — „ცრულ თქმულო“ (140).

ხ) აქვე უნდა მოვიხსენიოთ ის ზოგიერთი თვისება, რომლებიც არჩილს „კარგ ზნე“ მიაჩნია, მაგრამ რომლებიც, როგორც ზემოთ მოყვანილი ნაწილი, მას თავის გეგმაში მოხსენებული არა აქვს, ასეთია: „მუშაობა“ (157), „ზედმდგომობა და სარქობა“ (ე. ი. ზედამხედველობა, თავის მეურნეობაში (157) და ამისათვის საქირო ცოდნა „ბარვა, წიდნვა, ხენა და თესვა, მკის და სთვლისა მის მის დრობა“ (158). საქიროა აგრეთვე შინაურს საოჯახო მეურნეობაში ერთგვარი გაწეობა: „მზარეულობა, ჭაშნიგის ცნობას ამბობენ კარგაო“ (164) და სხვადასხვა კელობის ცოდნა („ხელბუჩხობა, კულის გათლა, ვინ შალაფს კმარობს, ხარატობს“, 287).

შეიძლება აქვე აღნიშნულ იქმნას ის ნაწილობრივ, ზნეობრივ ელფერდაკ-რული თვისებები, რომლებიც აგრეთვე სავალდებულოდ მიაჩნია არჩილს: „შენე-წილზედან ნამუსი“ (273), „საიდუმლოს შენახვა“ (149), „პურადობა და გაცე-მა“ (273) და სხვ.

II. თავის მეთოდისდა თანახმად, ყველაზე ბოლოს არჩილი „სამღრთო ზნე-ობა“ზე მოგვითხრობს: „სამღრთო ზნეობა“, ე. ი. ღვთისმსახურება და სასული-ერო განათლება, ყველაზე მნიშვნელოვანი (13) და ძელი (261) დარგია „ზნე-ობათა“ შორის, და ამიტომ საქირო იყო მას ჯერ უფრო ადვილად შესათვისე-ბელი მასალა გადმოეცა თავისი მკითხველისათვის, რომ უფრო რთულისა და „ძნელსაცოდნის“ გაგება გაეადვილებინა მისთვის.

ღვთისმსახურება „საერო“ და განმარტოებულ, — „დაფარვით“ — ლოცვაში (269-272), ღვთის შიშსა (327, 357) და ღვთის ცნებათა ასრულებაში (360, 373, 355-6, 389-92) მდგომარეობს. მაგრამ როგორც ღვთისმსახურებისა, ისე ყოველ-გვარი სათნოების სიფუძვლად (353-356) არჩილს „სიბრძნე“ მიაჩნია. ამ სიტყვას

იგი ხმარობს ეიწრო მნიშვნელობით ლეთისმეტყველებისა თუ სასულიერო განათლების აღსანიშნავად. სხვა ყველაფერი წარმავალია, „სხვა ზნე ყველა მობრყვილება“ (301), მხოლოდ „სიბრძნე არის საზუღამო“ (308). თავის დროის ზნეობრივს დაცემას, ყველა ამ „ცრუ ფიცობას, ზაკვა-უნამუსობას, ლიქნასა და ლეთის შიმის გულით განეარდანას“ (325—327) არჩილი სწორედ „სამღრთო საქმის“ უმეტრებას (317) მიაწერს. ამიტომ არის, რომ ასეთს დიდს ყურადღებას აქცევს იგი ამ „ზნეობას“ და ასეთს ადგილს უთმობს მას იმ დროინდელ ფეოდალისათვის სავალდებულო თვისებებში. იგი მოუწოდებს ყველას, დაეწაფონ ამ ცხოველმყოფელ წყაროს, რომლის სმა „ზეშვით არ კმარა“ (368). ვისაც ოსტატი არა ჰყავს, რომ მისვან ისწავლოს (ასეთი „სიბრძნე“ „უფრო მტკიცეა“ — 329), მან უნდა თვითონ „მეგრჯელ წაიკითხოს“ (334) „სამღრთო წიგნი“, რომ „ღირლოვანი“ და „ღობამეტყველი“ (335) ადგილები გაიგოს და ამგვარად „გაიგნის სიბრძნის გზა და კვალი“ (336). ვინც „წმინდათა ბრძენთა წერილი“ (341) შეითვისა, მას უკვე „გული განხურვებული“ აქვს (353) ყოველივე „კარგსაქციელი-სათვის“ (360). არჩილი ჩამოსთვლის ყველა ამ „კარგ საქციელს“, წმინდა ეთიკური ხასიათისას, უმეტეს ნაწილად (354, 355, 356, 358, 359, 361, 369, 370, 374).

ჩვენ განვიხილეთ ყველა ის წესი, რომლებიც სავალდებულოდ ითვლებოდა XVII საუკ. გაზრდილი ქართველი ფეოდალისათვის, იმავე საუკუნისა და იმავე წრის ერთის საუკეთესოდ განათლებულის წარმომადგენლის მოწმობით. ჩვენ ვნახეთ, რომ უმეტეს შემთხვევაში შესაძლებელია ეს მოქცევის ნორმები იმ დროისა და მოცემული (ბატონყმური) საზოგადოების მოთხოვნილებებსა და საქორებებს, საუკუნის საერთო ხასიათს, დაუკავშიროთ (გარდა იმ ზოგიერთი წესებისა, რომელთაც უფრო ზოგადი ხასიათი აქვთ და ან ისეთებისა, რომელთათვის ასეთი მიზეზობრივი კავშირის დამყარება უფრო ძნელია). მაგრამ შესაძლებელია ეს წესები ყველა ქართულს ნიადაგზე განვითარებულიყო, თანდათანობით დროთა განმავლობაში, თუ ზოგიერთი მათგანის წარმოშობის ძირი საქართველოს გარეშე უნდა ვეძებოთ? ჩვენი ძეგლის ერთი ადგილი თითქოს პირდაპირი პასუხია ამ საკითხისა: თავისი თხზულების ბოლოში იგი ამბობს:

„საქართველოში იტყვიან სამის სამოცდა ხუთსაო
 ზნეობასჲ სხვას არ ადლებენ ქვეყნისას, თუ არ მათსაო“
 (ტ. ტ. 401-2).

მამასადაშე, ეს ზრდილობა, არჩილის აზრით, წმინდა ქართული ზრდილობა და სხვა ქვეყნებთან მას კავშირი არა აქვს. ამ განცხადებას ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ საკითხის გადასაწყვეტად, ჩვენ, რა თქმა უნდა, მხოლოდ მას ვერ დავემყარებთ. ამისათვის სხვა წყაროების შეჯერებაა საჭირო¹.

¹ იხილეთ უნებლიედ კიდევ ერთი საკითხი: ასხევეებს თუ არა არჩილი მოქცევის წესებს ქალისა და ვაჟისაის? თხზულებიდან ისე გამოდის, რომ მას თითქმის მხოლოდ ვაჟი ჰყავს მხედველობაში. — ხ. ჯ.

ქ. შარაშიძე.

ქართული ნაბეჭდი სახელმძღვანელოები გეოგრაფიულ საუკუნეში

1711 წლის ორიგინალური სახელმძღვანელო.

პირველი ქართული სახელმძღვანელო გამოვიდა ტფილისის სტამბიდან 1711 წელს.

ამ წიგნის თავფურცელი ამგვარად იკითხება:

„სწავლა თუ ვითარ მართებს მოძღვარსა სწავლება მოწაფისა:

აწ დაბეჭდული ქართულსა ენასა ზედა: ჟამსა მეფობისა უ[ფლ]ისა უ[ფლ]-ისა ჭიხოსროსისა: და შრომითა: გამგებელისა მისისა: უ[ფლ]ისა უ[ფლ]ისა ვახტანგისა: შემოკლებით თქმული და ვარიგებული გერმანე მღვდელ მონა-ზონისაგან: კელითა მიხაილ სტეფანეს ძისა უნგროვლანელისათა: ქალაქსა ტფილისისასა: წლია: [1711].

წიგნის შინაარსი კითხვა-მიგების სახით გადმოცემული საქრისტიანო მოძღვრებაა.

ტექსტს წამძღვარებული აქვს: 1. ვახტანგის უწყება, თუ როგორ მოიყვანა მან „მესტამბე ვლახეთით“ და გააკეთა სტამბა. და 2. ხუცეს-მონაზონის გერმანეს — სახელმძღვანელოს ავტორის — ერცელი წინასიტყვაობა, რომელიც ამჟღავნებს ეპოქისათვის მეტად დამახასიათებელ პედაგოგიურ პრინციპებს და გვაძლევს ვახტანგის სასწავლო-განმანათლებელი მოღვაწეობის საყურადღებო შეფასებას.

ავტორი მოგვითხრობს, რომ „მამულის რჯულის განმამდიერებელმა“ — ვახტანგმა „მოიხენა სტამბა“ — „დიდის საფასითა და წარსაგებელითა და აღავსო და განანათლა ქვეყანა ჩვენი წიგნებითა“. ხოლო ვახტანგის თანამოღვაწეს, გერმანეს — „აღუწერია“ „სარწმუნოება“ „ჩვენთა სარწმუნოებანთაგან შემოკლებით გამოკრებული და მცირედი რამ სწავლა შეიღის საიდუმლოსი“. ეს მას გაუკეთებია სრულიად გარკვეული მიზნით: „რათა იკითხედენ და ისწავლიდენ ყრმანი ახლად მოსწავლენი და მეცნიერებად ღმრთისა მოვიდოდენ და არ იყვნენ ჩვენგან განშორებულთა მწვალებელთ შვილთაგან დაწუნებულნი და სიტყვა-უგებელნი“.

როგორც სჩანს, ვახტანგის დროს ოფიციალური ეკლესიისაგან ჩამოშორებული ყოფილა საქმარისად მნიშვნელოვანი ჯგუფი „მწვალებლებისა“. ამ „მწვალებელთა“ შვილები, ეტყობა, გავრცონილი ყოფილან საქრისტიანო დოგმების ცოდ-

ნაში და ოფიციალური ქრისტიანობის მიმდევართა შვილებს სჯობნიდნენ კამათის დროს და „მართლმადიდებელთა“ შვილები რჩებოდნენ „დაწუნებულნი და სიტყვაუგებელნი“.


ამგვარად, სახელმძღვანელოს შედგენის და გამოცემის საბაზად გამხდარა „კათოლიკური“ მოძრაობის გაძლიერება საქართველოში—ცნობილია, რომ კათოლიკური გავლენის სფეროში ამჟღეროს მოხვედრილი იყვნენ ქართველ ლიდებულთა ბრწყინვალე წარმომადგენლები (სხვათა შორის სულხან-საბა ორბელიანი და მისი ძმები) და თვით სამეფო „გვარეულობის წევრებიც კი.

კაპიტალისტური ევროპიდან მოსული მისიონერების—ბურჟუაზიის ამ მოწინავე, მზევრავი რაზმების—ძლიერ მოძრაობას ქართულმა ოფიციალურმა ქრისტიანობამ დაუპირისპირა იგივე იარაღი, რომლითაც იბრძოდა კულტურულად უფრო ქმლავრი მტერი—იდუშურად დარაზმვა მოზარდი თაობისა, სწავლა-გავრთენის საშუალებით.

მაგრამ ნორჩი თაობისათვის გაუგებარი ენით დაწერილი „მთაწმინდელ მამათა“ დროინდელი ქართული ტექსტების კითხვით და გაზებრივებით მდგომარეობის გამოსწორება შეუძლებელი იყო. საჭირო იყო ახლად მოსწავლე ყრმათა გონებრივი ჰორიზონტის გასაფართოებლად უადვილესი გზის გამოძებნა. ძველი მასალა ახალი წესით, გაუმჯობესებული მეთოდით უნდა მიეწოდებინათ ბავშვებისათვის.

აი ამან გამოიწვია არქაული ენით დაწერილი ტექსტების კითხვის და გაზებრივების წესის უკუგდება და გერმანე ხუცეს-მონაზონიც გაბედულად მიდის ამ ახალი გზით: მის სახელმძღვანელოში სარწმუნოების ელემენტები ხალხური ანუ „საერო, სოფლურის სიტყვით“ არის ვადმოცემული.

„ამი(ს)თვის დავსწერე საეროს სიტყვითა — განმარტავს ავტორი—რომ ახლად მოსწავლენი ყრმანი სიადვილისათვის მსწრაფლ ზედ მიიწოდენ რეთ — მეცნიერებად აღიყვანებდენ გონებასა მათსა“.



1711 წელს თბილისის სტამბაში დაბეჭდილი

სახელმძღვანელოს თავფურცელი:

(ნაშედილი ზომა 12,5×8,5) 311 გვ. (შეცდომით 411 აღნუსხულია მხედრული ასოებით. დართული აქვს ვახტანგის სამეფო დერბი შეწყვლია ორნამენტებით. წინ უძღვის ვახტანგის წინასიტყვაობა (გვ. გ-დ, 3,4) და ავტორის მიმართვა მკითხველთაძენი (გვ. ე-ი, 5-10). ბოლოში მოთავსებულია ავტორისავე უბოლოსიტყვაობა (გვ. უა-შეცდომით აუ, ნამდვილად კი 311), ტექსტს უჭირავს 300 გვ. (11-311).

აქ წამოყენებულია სწავლებლის ორი ახალი პრინციპი, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული:

1. „მსწრაფლ“-ი შეთვისებისათვის აუცილებელ პირობად ცნობილია შესავთისებელი მასალის სიადგილე.

2. სიადგილის პრინციპი კიდევ თავისთავად აყენებს სახელმძღვანელო წიგნის ენის გამარტივების პრინციპს.

ამ სახით წიგნური, არქაული ენის ადგილს სახელმძღვანელოში „საერო, სოფლური სიტყვა“—სალაპარაკო ენა, ხალხური მეტყველება იჭერს.

გერმანე ხუცეს-მონაზოი ინდივიდუალურად ვერ შემოიღებდა ასეთ რეფორმას. წინასიტყვაობა მოწმობს, რომ წიგნი გამოიცა გაბედული ნოვატორის და რეფორმატორის ვახტანგის წახალისებით და მფარველობით:

„ესეცა არ უგულებელს ყო ყრმათათვისცა დიდად მოღვაწემ და სწავლა-შემატების გულს მოდგინემ, სულიერად და ხორციელად გამგებობის ტრფიალმან... ვახტანგ და დაბეჟედინა თვისთა საფასეთა წარსაგებელითა“.

ეს ამონაკვეთი ვახტანგის დახასიათებისათვის საინტერესო მასალას წარმოადგენს. თანამედროვე და თანამოღვაწე პირის ჩვენებით ვახტანგე ყოფილა „ყრმათათვისცა დიდად მოღვაწე და სწავლა-შემატების გულსმოდგინე“.—მეტად საყურადღებოა აგრეთვე გერმანეს თქმა: „სულიერად და ხორციელად გამგებობის ტრფიალმან... ვახტანგ“. ეტყობა ვახტანგის თანამედროვენი ცხადად ხედავენ რჯულმდებელი მეფის მონარქისტულ-აბსოლუტისტურ ტენდენციებს. ცნობილია, რომ ვახტანგი უფლისწულობაშივე გაბედულად მიიწვედა მტკიცე ხელისუფლებისაკენ: ასწორებდა საეკლესიო წიგნებს და სტამბის მეშვეობით ახდენდა ერთგვარ უნიფიკაციას ქვეყნის ფეოდალური დაქაქსულობიდან გამოყვანისა და მეფის ხელისუფლებისათვის დამორჩილების მიზნით.

„აიათი ანუ ძმწულები ცოდნა“

მეორე წიგნი, რომელიც შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც სახელმძღვანელო, დაიბეჭდა ტფილისის სტამბაშივე 1721 წელს. ეს წიგნი ცნობილია ლიტერატურაში, როგორც პირველნაბეჭდი მეცნიერული შინაარსის ნაწარმოები. მრავალ ორიგინ. ლურ. და ნათარგმნ მეცნიერულ თხზულებათაგან ვახტანგმა ამ ერთადერთი წიგნის გამოქვეყნება მოახერხა სტამბის საშუალებით.

წიგნის სათაური არის „აიათი ანუ ქმწულების ცოდნა“ (თავფურცელზე (ქარაგმების გახსნით) ვკითხულობთ:

„სპარსულისაგან. ქართულად თარგმნილი მეფეთ მეფის ვახტანგისაგან: ჟამსა აშღლებულისა და სახელოვანის მეფედ მეფის და სრულიად ერანის სპასალარისა უფლისაა უფლისაა მისევე ვახტანგისსა, იესიან დავითიან სოლომონიან პანკრატივანისსა: გაიმართა კელითა მროველ ეპისკოპოზის ნიკოლოზ ორბელის ძისათა: ქალაქსა ტფილისისასა: — ქრისტეს აქეთ: ჩღვა: — (1721) აგვისტოს იღ: — (14)“.

საყურადღებოა, რომ ამ კოსმოგრაფიულ-გეოდეზიური თხზულების მთარგმნელი და გამომცემელი ვახტანგ VI მის დაბეჭდვას, აწინდელი ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, აქტუალური მნიშვნელობის საქმედ თვლის. მან იცის, რომ კაცობრიობის საღაროში ბევრი ისეთი განძია, რაც განუწყვეტელი ომიანობით ჩამორჩენილი ქართველობისათვის დღემდის მიუწვდომელი ყოფილა: „განმარტნეს ფილოსოფოსთა მრავალ მეცნიერებანი და მათნი სწავლანიო“, ამბობს „ვახტანგი წინასიტყვაობაში“ და ესეცა ვარსკვლავთა რაცხვა სხვა ერთი მათგანივე არს და საქართველო მრავალგზის მტერთაგან მოხრებულ იყო და არღა დაშთომილ იყო ქართულსა ენასა ზედა სწავლა ესე ფილასოფთა“. აღნიშნავს რა ძველი კულტურული საგანძურების განადგურებას „ფეოდალურ საქართველოში, ვახტანგი დასძენს, რომ „სხვათა ენისა კაცნი ქართველთა ეციხოლნენ“ მათი ჩამორჩენილობის გამო.

იბ



სწავლათ თუ ვითარ მართებს შიძი
ვარსა სწავლებათ შწიფისა


შწიფე ჭკითხეს : და შიძვიარი ას
წავლის :

(უწყოდეთა რამეთუ შწ : იტყვის
შიწიფეს : ღმამ : იტყვის
მოძღვარსა :)

შწ : ვინ არს ღთის : ან რა შეუძლია

ში : ღთის ძლიერი არის : ღმკვედში

ფე : და დაშადაბელი ყოვლისა
ხილულისა ღმუხილავისა : ცათა



1711 წელს თბილისში დაბეჭდილი სახელმძღვანელოს პირველი გვერდი.

1711 წელს თბილისში დაბეჭდილი სახელმძღვანელოს წინასიტყვაობის ერთი გვერდის ფოტო-პირი.

ამ სამარტყვიზო ჩამორჩენილობასთან ბრძოლას ისახავდა მიზნად ვახტანგი, როცა „აიათის“ ქართულ თარგმანს აქვეყნებდა: „ნუ უკუვე ისწავონ და წადიერ იყვნენ ფილოსოფოსობისადო“ — ამბობს გამომცემელი, რითაც ცათვის სასწავლო-განმანათლებელ ტენდენციას ამჟღავნებს.

მთარგმნელის წინაშე უნდა წამოჭრილიყო მეცნიერული ტერმინოლოგიის დაძლევის პრობლემა. ვახტანგი ჩვეულებრივი გამბედაობით სჭრის ამ პრობლემას და გვაძლევს ელემენტარული გეომეტრიულ - კოსმოგრაფიულ - გეოდეზიური ცნობების გადმოსაცემად პირველი ცდისათვის საოცრად ნათელ და ზუსტ განმარტებებს.

როგორც ვთქვით, ამ წიგნის გამოცემა მიზნად ისახავდა: 1. ზუსტი მეცნიერებისადმი ინტერესის გაღვივებას საქართველოში და 2. იმ დროინდელი განათლებული ქართველისათვის მისაწვდომი ცოდნის ფართოდ გავრცელებას.


ამ ფართოდ გავრცელების მიზნით გამოიყენა ვახტანგმა საბეჭდავი დაზვა.

სწავლა - განათლების ისტორიის თვალსაზრისით მეტად საყურადღებოა სწორედ ეს ტექნიკური საშუალება, რომელსაც მიმართა ვახტანგმა მეცნიერების პოპულარიზაციისათვის. უდიდესი ყურადღების ღირსია თვით ის ფაქტი, რომ ვახტანგმა გამოიჩინა, ასე ვთქვათ, ნებისყოფა ცოდნის ფართოდ გავრცელებისა.

სხვა საკითხია: რას წარმოადგენს „სწავლა ესე ფილასოფთა“ ე. ი. ის ცოდნა, თვით შინაარსი იმის, რაც ასობით და ათასობით უნდა გავრცელებულიყო ქართველ მოზარდ თაობაში მეთვრამეტე საუკუნის 20-იან წლებში.

ჩვენ ვიცით, რომ მეთექვსმეტე საუკუნის შუაგულში (1543 წ.) დასავლეთ ევროპაში სტამბიდან გამოვიდა წიგნი, რომელიც კოპერნიკის მათემატიკურ-ასტრონომიულ სისტემას შეიცავდა.

1632 წელში დაიბეჭდა გალილის „საუბარი მსოფლიოს ორი მთავარი სისტემისათვის—პტოლო-



„აიათი“-ს თავფურცლის პირი

მეოსისა [და კოპერნიკისა] — ხოლო მეჩვიდმეტე საუკუნის მიწურულში და მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში ნიუტონის გენიოსობამ სრულად ახალი შუქი მოჰფინა მსოფლიოს აგებულობისა და მოძრაობის საკითხებს.

ამ დიდი აღმოჩენების სინათლეზე ვახტანგის „სწავლა... ფილასოფთა“, ცოტა არ იყოს, უმწეოდ გამოიყურება და საუკუნეებით დაშორებულია იმას, რასაც მისწვდა მისი თანამედროვე ევროპის მოწინავე ასტრონომიული აზროვნება.

სხვათრივ არც შეიძლება ყოფილიყო. ცნობილია, რომ თვით ევროპაშიაც მეცნიერების განვითარება არ მიიმართებოდა სწორი და ნათელი გზებით. მეჩვიდმეტე საუკუნის მიჯნაზე—სახელდობრ 1600 წელში—რომის „წმინდა“ ინკვიზიციამ საქვეყნოდ დასწვა ჯორდანო ბრუნო, რომელიც თავის თხზულებებში კოპერნიკის თეორიას ავითარებდა. აღმავლი ბურჟუაზიული ევროპის მეცნიერების მნათობთა თხზულებები თვით მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისშიაც იღვენებოდნენ სასულიერო ცენზურისაგან.

აქ აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება: კათოლიკე მისიონერის პატრი რეჯინალდოს მოხსენების თანახმად, ვახტანგი 1709 წელში ასტრონომიას სწავლობს „პატრი უფროსისაგან“, „კარგად ითვისებს და ძალიან კმაყოფილიცაა“¹.


ჩვენ არ ვიცით რას აწვდიდა ასტრონომიის გაკეთილებზე პატრი უფროსი“ ცოდნის წყურვილით გატაცებულს 27 წლის ვახტანგს. საეკეო არის, რომ ესწავალეთის მეცნიერების უკანასკნელი სიტყვა ყოფილიყოს. უფრო საფიქრებელია, რომ ეს სწავლება ვახტანგის მხრით გამოკითხვის ხასიათს ატარებდა. ხოლო ვახტანგი, ცხადია, ეკითხებოდა იმას, რაც მას აინტერესებდა და ეს კითხვები მაშინდელი განათლებული ქართველობის განსწავლულობის დონეზე დიდად დაშორებული ვერ იქნებოდა. თვით „პატრი უფროსიც“ ხომ საქართველოში მოიტანდა ცოდნის მხოლოდ იმ ჯამს, რაც მისი მომავლინებელი რომის ოფიციალური ეკლესიისა და წმ. ინკვიზიციისაგან მოწონებული და ნებადართული იყო.

და როცა ვახტანგს დასკირდა საფუძელიანი რამ მიეცა მოზარდი თაობისათვის ვარსკვლავთმრიცხაობის ქლარეში, ის წიძლებული გახდა ირანულ-თურქულ-არაბული—ამ დროს საკმარისად დაშრეტილი—კულტურული წყაროებისათვის მიემართა. სწორედ ეს გარემოება არის დამახასიათებელი საქართველოს კულტურული ვითარებისათვის მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნის მიჯნაზე: ერთი მხრით, მეცნიერული ინტერესის გაცხოველება და გაღრმავება, რის სათავეც ევროპის



აქაისა ლაქის თარგო
აქა ლაქის თარგო

ქისაც ამ წინის ამბის შეგუება უნდა ღარი ღია :
უირველი რივი ეს არის რომ : რაკრამ ფერი ინლისას ანტარშითა იქნება :
უა მეორე რივი ისარი მიხლომითა ღნიშნებითა შეიგუო ზის ღიოქის :
უირველი ესეებნა რაკრამ ფერი რომ არ გაიყოფის წინწალი ქქიან :
ღუე უთარგად გაიყოფება ხანი ქქიან :
ღყო რად გაიყოფება გენსაცა ღ სიღმეშქქ იმას სიფრიფანა ქქიან :
ღივავეც ქქიან :
ღათუ სამ რივად გაიყოფება ნა სიღმესა ღ სიღმეშქქ :
ღიან სხეული ქქიან :
ღართი ხანი რივ გასწოა ღსეულ წინწალები ღსსა . ღ ის წინწალები უფრო ერთმანეთის რივ იყოლ ღმაღა ღაღაო არიყოს იმას გამართული სწორი ხანი ქქიან .



„აიათი“-ს მბრველი გვერდის პირი.

1 მ. თამარაშვილი. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის გვ. 339.

სავაჭრო კაპიტალთან გზების შეხვედრაში იმალება და მეორე მხრით ის, რომ ეს გაღრმავებული ინტერესი უძლურია დაეწაფოს დასავლური მეცნიერების პირველწყაროებს და შეიმართება ძველი კულტურული კავშირის აღდგენა-განახლების გზით, მაგრამ ამ გზით მოაოვებული ცოდნის ფართოდ გავრცელების მიზნით ევროპის განვითარებულ ტექნიკას იყენებს (სტამბა).

უცნაური რამ ხდება: ახალ ტიკში ისხმება მოძმარებული ღვინო: საშუალო საუკუნოებრივი შინაარსი გადმოიცემა მარტივი, ხალხური ენით და იბეჭდება მშვენიერი მხედრული შრიფტით, ათასობით გასავრცელებლად „ახლად მოსწავლე“ ყრმათა შორის. ერთი გარემოება არის კიდევ ყურადღების ღირსი:

1721 წელს ტფილისის სტამბამ დაბეჭდა ირანულიდან ნათარგმნი კოსმოგრაფია. თვით ირანში კი არც ამ დროს და არც მთელი მეთევამეტე საუკუნის განმავლობაში სტამბისათვის არ მიუშართავთ.

ამ მხრივ ვახტანგის დროინდელმა საქართველომ გაუსწრო თავის ძველ მასწავლებელს.

მოსკოვში 1732—1737 წ. დაბეჭდილი ქართული სახელმძღვანელო

ვახტანგის პოლიტიკური მოღვაწეობა ქართლის სამეფოში 1723 წლის ცნობილი კატასტროფით დაბოლოვდა და ტფილისის სტამბა ათეული წლებით დაიმარხა ნანგრევების ქვეშ.

მაგრამ ვახტანგსა და მის თანამოღვაწეებს არ შეუწყვეტიათ კულტურული მუშაობა. ემიგრაციაში მყოფი ვახტანგის ინიციატივით დაწყებული მოსკოვის არჩილისეული ქართული სტამბის განახლების საქმე მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ განხორციელდა.

საყურადღებოა, რომ პირველი წიგნი, რომელიც მოსკოვის განახლებულ ქართულ სტამბაში დაიბეჭდა, სასწავლო სახელმძღვანელო არის. მისი სათაურია: „პირველი სასწავლო ყრმათათვის“.

ამ წიგნის ერთად-ერთი ცალი მოიპოება ტფილისის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის „წერა-კითხვის“ ფონდში. წიგნს თავფურცელი აკლია. აკლია აგრეთვე რამდენიმე გვერდი თავში და შუაში. ბოლოში დაბეჭდილი „უწყებიდან“ გავიგებთ, რომ: „პირველი ესე სასწავლო ყრმათათვის რუსულისაგან ქართულად გადმოითარგმნა ბატონიშვილის დარეჯანას (არჩილის ასულის) მოლარეთხუცის გაბრიელისაგან და ქართულს¹ ენაზე გასწორდა არქიმანდრიტის გერმანესაგან. და დაიბეჭდა სამეფოსა ქალაქსა მოსკოვს... ბატონიშვილის დარეჯანას სასახლეში. მის და მის პალატის ყრმათა შეწევნითა და ხელის მომართვითა. სტამბისა და ბეჭდვის ზედამდგომელი მღვდელ-მონაზონი ქრისტეფორე“ და სხვ.

ხსენებული „უწყება“ მოწმობს, რომ ეს წიგნი რუსულიდან ნათარგმნი სახელმძღვანელოა. მისი პირველი 12 გვერდი უჭირავს შეხვედრას, სადაც განმარტებულია კეთილი აღზრდის მნიშვნელობა ბავშვის ბუნებაში იმ თავიდანვე (აღამის ცთუნებიდან) ჩანერგილი ეშმაკეული ბოროტების აღმოსაფხვრელად.

¹ ტექსტში სწავრია „ქართულის“

ეს რუსულიდან ნათარგმნი წინასიტყვაობა არის. იგი ეკუთვნის სახელმძღვანელოს ავტორს, პეტრე პირველის თანამოღვაწეს თეოდანე პროკოპოვიჩს და იმდროინდელი რუსული პედაგოგიური აზროვნებისათვის დამახასიათებელ საპოლემიკო საკითხებს ეხება.

ზოგი ფიქრობსო—გვეუბნება ავტორი, რომ ბავშვმა მხოლოდ წერა-კითხვა უნდა ისწავლოს, ხოლო წაკითხულის შინაარსის შეთვისება და აზრის გაგება ზედმეტად მიაწინათო. თეოდანე პროკოპოვიჩი, რა თქმა უნდა, ამ აზრს არ იზიარებს და ამტკიცებს, რომ ბავშვს წაკითხულის გაგებაც უნდა შეეძლოს. „ვიეთნიმე გონებენ უმჯობესსა ყრმათათვის, რათა ასწავონ წერილთა კითხვა და ძალნი, რომელ არიან წერილსა, ესე არა აუწყონ. ესე ვითარი განზრახვა ამოა არის და ურგებ. რომელ რაჲსარგებელ არს რათა უწყოდენ წიგნთა აღმოკითხვა და რომელნიცა მას შინა წერილ არიან, ვერ გულისხმა ჰყოფდენ კეთილად სიტყვათა მათ, რომელსა აღმოკითხვენ, გინა სხვასა“.

„კეთილად აღზრდის“ საჭიროებას ავტორი ფსალმუნის მეთათვრამეტე მუსლით ასაბუთებს და ამტკიცებს, რომ მხოლოდ კითხვის მექანიზმის შეთვისება ყოველად უსარგებლო ცოდნაა, ვინაიდან:

„მრავალნი არიან წერილთა მკითხველნი, რომელთა მცნება ღმრთისა და სარწმუნოება და ძალი ლოცვისა არა უწყიან და დიდად უგუჟურ არიან“.

ასეთი „მკითხველები“ წერა-კითხვის უცოდინარზე უარესნი არიან.

„ესე ვითარნი წერილთა მკითხველნი უდარეს ყოველთასა არიან, რომელთა არა უცნობიეს ძალი სიტყვისა“...

სახელმძღვანელოს ავტორი, სწავლული მღვდელმთავარი, თავგამოდებით იცავს შეგნებულ კითხვისა და წაკითხულის აზრის გაგების პრინციპს:

„ჯერ არს გამოძიება საღრმთოთა წერილთა და სიტყვათა ღმრთისათა“. „ჯერ არს, რათა კევილად ასწავოთ მათ (ყრმათ) და ზრუნვა გაქენდესთ მათთვის, რათა ისწავონ ძალი წიგნისა. ამის და მარადის ჰკითხვედნ მათ: უწყიანა და ახსოვთ სწავლანი იგი ანუ არა“—ო.

ვრცელ წინასიტყვაობას მოსდევს საკითხავი სავარჯიშო. ქვევით ჩამოწერილია ქართული ანბანი. შემდეგ დაქარაგმული სიტყვებია ჩამოწერილი სავარჯიშოდ. მეოცე გვერდზე მოთავსებულია არაბული ციფრები 1-დან 1000-დე. ასამდის—ყოველი ცალკეული ერთეული და.

მ . ზო რს რჩ რსრჩ რს . 4 . მწ
 ყა მხოჲ მუ ყჩა მსსა ყაოჲ მჩ .
 მ . მწ ყა მწ მჩსა მუჩ ყა მწ
 ყს მსსა მ . მ . მჩ მწ მ . მ .
 მ . მწ მწ მწ . მ . მ . მ . მ . მ .
 მ . მ . მ . მ . მ . მ . მ . მ . მ .
 მ . მ . მ . მ . მ . მ . მ . მ . მ .
 მ . მ . მ . მ . მ . მ . მ . მ . მ .
 მ . მ . მ . მ . მ . მ . მ . მ . მ .
 მ . მ . მ . მ . მ . მ . მ . მ . მ .



„პირველი სასწავლო ყრმათათვის“. მოსკოვი 1732—1737 წ.წ.—ქარაგუმბი.

შემდეგ ასეულები 100-დან 1000-დის. ამის შემდეგ იწყება: ათი მცნების განმარტება კითხვა-მიგების სახით.

ცალ-ცალკე განმარტებული ყოველი მცნება. ათი მცნების შემდეგ მოთასვებულია „მამაო ჩვენოს“ განმარტება—„თარგმანი საუფლოსა! ლოცვისა მამაო ჩვენოსი“.

საქრისტიანო მოძღვარებან,
მოკლედ დარიგებულთი
მარტვლთისთაჲს
შეკირნდ დამსწავლებლათი.

დამისტამბან
წმიდან ქრომის ქალაქს
სასწავლეთსა შინა,
ჩომელსა თუნავთლად ქქვიანს:
ეთოფავანდა ჯიდე

მთავრობასა
ბუნელიკტე მეთოთხმეტე
ქრომის კაჯისასა.

წიგნად
წიგნად

ქრონიკონი ქრისტესი 1741.
ესე იგი არს: ჩ.დ.მ.ა.
ბრძანებით თუფროსთა

რომში 1741 წელს დაბეჭდილი სახელმძღვანელოს თავფურცელი

სებული ვრცელი აღწერილობა თეოფანე პროკოპოვიჩის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოსი და ამ სახელმძღვანელოს შეფასება². რუსული გამოცემის სათაურია: „Первое учение отроком в нем же буквы и слоги.—Та же: краткое толкование законного десятисловия, молитвы господни, символа веры и девяти блаженств“.

ამ წიგნის სპირველი გამოცემა დაიბეჭდა პეტერბურგის სტამბაში 1720 წ. თეოფანე პროკოპოვიჩს შეუდგენია ეს სახელმძღვანელო პეტრე 1-ლის მიითითებით.

შემდეგ განუმარტავად მოთავსებულია მთავარ-ანგელოზისა და ღვთისმშობლის ლოცვა. 59 (ნთ) გვერდზე: „აღსარება მართლისა სარწმუნოებისა, რომელი გამოცხადებულ არს თარგმანითურთ თვისით“.

და, უკანასკნელ — „მოკლედ თარგმნილნი ნეტარებანი სახარებისანი“.

მიუხედავად იმისა, რომ ტექსტი ნათარგმნია, იგი იკითხება მსუბუქად და გამართული, ორიგინალური ქართული ნაწარმოების შთაბეჭდილებას გვაძლევს. საყურადღებოა თარგმანის შესრულების წესი: მთარგმნელი არის დარეჯან არჩილის ასულის მოლარეთუხუცესი გაბრიელ ჩხეიძე, ხოლო სტილისტური რედაქცია ჩაუტარებია ტფილისის 1711 წლის სახელმძღვანელოს ავტორს მღვდელ-მონაზონს გერმანეს, რომელიც აქ არქიმანდრიტად იხსენიება.

სამწუხაროდ ხელთ არა გვაქვს ამ წიგნის რუსული დედანი. მის მაგიერობას ნაწილობრივ სწევს პ. პეკარსკის ცნობილ კაპიტალურ გამოკვლევაში „Наука и литература в России при Петре Великом“—მოთავე-

¹ ტექსტში „საოფლოსა“.

² 5. ტ. II, გვ. 479, 548, 549. აგრეთვე ტ. I-ის გვ. 178-182.


თუმცა ამ დროს რუსულ ნაბეჭდ „Букварь“-ს აითქმის ასეული წლის წარსული ჰქონდა (პირველი Букварь-ი დაიბეჭდა მოსკოვში 1634 წ., მაგრამ ამ ხნის განმავლობაში რუსულ სახელმძღვანელოს თითქმის არაერთი წარმატება არ დასტუვბია და 1720 წლამდე გამოსული ყველა „Букварь“-ი დაწერილი იყო მძიმე, გაუგებარი ენით და მხოლოდ რიტორიული ფრაზების კრებულს წარმოადგენდა¹. ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად პეტრემ მიმართა სასულიერო უწყების მესვეურთ, რომ შეედგინათ მარტივი ენით დაწერილი სახელმძღვანელო წიგნი. წიგნის შემდგენელი და მისი წინასიტყვაობის ავტორი გვარწმუნებს რომ „ღმერთმა ჩააგონა პეტრეს ებრძანებინა ესოდენ ბრძნული რჩევა: შეთხზეა წიგნისა საღმრთო სჯულის ნათელი განმარტებით და დაბეჭდეა მისი ანბანიტურთ“— „И вдохнул ему [Петру] бог... таковой премудрый совет повелеть сочинити книжицу с ясным толкованием закона божия... и напечатать оную с букварем“².

3. პეტარსკი ამ გამოცემას დიდ წარმატებად თვლის— „პირველი სასწავლო ყრმათათვის“ სწავლების წესი თავისი დროისათვის ახალი რამ ყოფილა.

„Способ обучения, предлагаемый в первом учении отроком, был для своего времени нововведением“. წიგნს რუსულ რეაქციონურ წრეებში უკმაყოფილება და მითქმა-მოთქმა გამოუწვევია.

მიუხედავად ამისა „პირველი სასწავლო ყრმათათვის“ პეტრეს დროს საყოველთაოდ ყოფილა შემოღებული არა თუ სასულიერო, არამედ საერო პირების სწავლების დროსაც. „Первое учение, отроком при Петре было введено во всеобщее употребление при обучении не только духовных, но и мирян“³. 1723 წელს გამოცემული ბრძანებით ეს წიგნი ეკლესიებშიაც უნდა ეკითხათ ნალხისათვის ძველი, გაუგებარი ტექსტების ნაცვლად. აი ეს პოპულარული და თავისი დრო-

სქრისტინტანო მძღუტრებან, 1



მოკლე
სქრისტინტანო მძღუტრებან
შეაჩრდ დანსსწავლებელი.

ლა ლა

ქრისტინტანის ბოლო-ს, ჭ წმინდის
ჯვარის ხიშხსნა ზედა,

✦

მოძღუტარი ჭკითსნეს
მოწაფესა:

ღმერთსა

მეუტეს ქრისტინტანის ხანა
მოწაფე უკმაყოფილებს,
ქრისტინტანის ვან ღმრის წყა-
ლო-ბითა,

A 2 მმ.

რომში 1741 წელს დაბეჭდილი სახელმძღვანელოს პირველი გვერდი.

¹ ნ. პეტარსკის ხსენებული გამოკვლევის ტ. I, გვ. 168.

² ნ. პეტარსკის ხსენებული წიგნი. გვ. 170, 171.

³ იგივე, გვ. 182.

⁴ იქვე

სთვის ახალი მეთოდების მატარებელი სახელმძღვანელო აურჩევია სათარგმნად ქართველ ემიგრანტთა კოლონიას მოსკოვში 1732-1737 წ.წ. შესაძლებელია, რომ არჩევანი თვით თეოდანე პროკოპოვიჩის მონაწილეობითაც მოხდა—ჩვენ ვიცით, რომ მოსკოვის ქართული სტამბის განახლების ერთი მთავარ მონაწილეთაგანი—იოსებ სამებელი—თეოდანე პროკოპოვიჩის მოადგილედ იყო დანიშნული და ბუნებრივად უნდა ჰქონოდა მასთან ახლო ურთიერთობა და ხშირად ახრთა ვაცელა-გამოცელა.

საყურადღებოა, რომ წიგნის წინასიტყვაობის ქართულ თარგმანში გამოტოვებულია ორიგინალის ისეთი ადგილები, რომლებიც სპეციფიკურად რუსულ მოვლენებს შეეხება და ქართველი მკითხველისათვის ზედმეტი და აზრის დამაჩრდილებელი უნდა ყოფილიყო.

როგორი 1741 წელს დაზღვევითი ქართული სახელმძღვანელო

აქ არ მომისხენება მთელი რიგი ქართული და ქართულ-იტალიური ნაბეჭდი გამოცემებისა, რომელიც დაბეჭდა რომის „პროპაგანდამ“ 1629 წლიდან მოყოლებული 1741 წლამდე.

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
14	15	16	17	18	19	20	21	22	23			
24	25	26	27	28	29	30	31	32	33			
34	35	36	37	38	39	40	41	42	43			
44	45	46	47	48	49	50	51	52	53			
54	55	56	57	58	59	60	61	62	63			
64	65	66	67	68	69	70	71	72	73			
74	75	76	77	78	79	80	81	82	83			
84	85	86	87	88	89	90	91	92	93			
94	95	96	97	98	99	100	200	300				
400	500	600	700	800	900	1000						



პირველსაწავლო ყბაშათვის მოსკოვი. 1732-1737

თითქმის ყოველი ამ გამოცემათაგანი ქართული ანბანით იწყება, დაწერილია მეტად მარტივი ხალხური ენით, დაბეჭდილია მუდამ მხედრული შრიფტით. მაგრამ ჩვენ ვერ ჩავთვლით მათ სახელმძღვანელო წიგნებად: ეს გამოცემები დანიშნულია კათოლიციზმის ფართო პროპაგანდისათვის საქართველოში და შეძლების დავგარად ვრცელდებოდა ყოველი ასაკის მკითხველთა შორის.

მაგრამ ამ გამოცემებში არის ერთი პატარა წიგნი, დაბეჭდილი რომში 1741 წელს, შემდეგი სათაურით:

„საქრისტიანო მოძღვარება, მოკლედ დარიგებული მარტვილოთათვის ზეპირად დასახწავლებლად“. დაისტამბა წმიდა პრომის ქლაქს სასწავლოსა შინა, რომელსა ფრანგულად ჰქვიან უროფაგანდა ვლდ. მთავრობასა ბენედიკტე მეთოთხმეტე პრომის პაპისასა. ქორონიკონი ქრისტესი 1741. ესე იგი: არს: ჩ. ლ. მ. ა. ბრძანებითა უფროსთა.“ (სურათები იხ. გვ. 42-43).

წიგნი დაწერილია მოძღვარსა და მოწოდეს შუა კითხვა-პასუხის სახით. თავუჯურცლის მეორე გვერდზე მოთავსებულია „ლოცვა საქრისტიანო მოძღვარების

სწავლების პირველ სათქმელი“. შემდეგ—პირველი ანუხსული გვერდიდან იწყება თვით საქრისტიანო მოძღუარება და თავდება 78 გვერზე. 79-92 გვ. მოთავსებულია სხვადასხვა ლოცვები.

ეს გამოცემა მიტომ გამოვარჩიეთ რომის პროპაგანდის სხვა გამოცემებში, რომ იგი არის დანიშნული „მარტივლათვის“. ხოლო მარტივი საბას განმარტებული აქვს ამგვარად:

მარტივი ლათინთა ენა, მოწამეს უწოდენ, ხოლო მესხნი ყრმასა უწოდენო, (ს. ს. ორბელიანი „ქართული ლექსიკონი“ გვ. 197, 1928 წ. გ-მა. ხაზი ჩემია—ქ. შ.). აქედან ცაღია, რომ მოკლედ დარიგებული საქრისტიანო მოძღუარების სახით ამ შემთხვევაში გვაქვს არა ყოველი ასაკისათვის დანიშნული საპროპაგანდო წიგნი, არამედ მარტივლათვის ანუ ყმაწვილთათვის სავანებოდ შერჩეული მასალის კრებული—ანუ სახელმძღვანელო.

დ. კარიჭაშვილის დასკვნით¹ სახელმძღვანელოს ავტორი ან მთარგმნელი უნდა იყოს გორელი კათოლიკე დავით ტლუკაშვილი.

წიგნის ხალხური და ალავ ვულგარული ენა მოწმობს, რომ მისი ავტორი მართლაც ის დავით ტლუკაშვილი უნდა იყოს, რომელმაც 1733 წ. თარგმნა „იტალიანის ენისაგან ქართველს (?) მხედრულს“ ენასა (?) ზედა“ „საქრისტიანო მოძღუარება გინა უწრთნა“, დაბეჭდილი რომში. 1741 წ. იგივე „მოძღვარება“ იმავე ავტორის მოკლედ დაუწერია „მარტივლათვის“.

ტლუკაშთან დავითი 1733 წელს თარგმნილი წიგნის წინასიტყვაობაში თვითნავე იხდის ბოდიშს თავისი ენის ვულგარიზმებისთვის. მისი „წურთნა წამკითხელთათვის“ გვაუწყებს: „აწუ ესრედ უწყოდეთ, რომე ეს საქრისტიანო მოძღუარება ფრიად მსოფლიერს ენასა ზედა აღვწერე. ამისათვის, რამეთუ ენა ქართველის ხუცური (?) თავად არ ვიცოდი და თუ რამე ცოტა ვიცოდი, ისიცა და მხედრული ენაც დამავიწყდა. ჭეშმარიტად ასერ თითქმის ათი წელიწადი არის, რომ ქართველის ენისა და წიგნის მონატრე შევიქენ. ხოლო მისთვის ურიცხვთა ადგილთა სიტყუანი უშეგნიერნი ჩაურთევ პარის წილად ხანი და სხვადა ამისაებრ მრავალნი ღლუარქნილი“—ო.

მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის სახელმძღვანელოები

რომში 1741 წელს დაბეჭდილი „საქრისტიანო მოძღუარება მოკლედ დარიგებული მარტივლათვის“ უკანასკნელი ნაბეჭდი წიგნია მეთვრამეტე საუკუნის მანძილზე, რომელიც გარკვევით ატარებს სასწავლო სახელმძღვანელოს ხასიათს.


მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ნაბეჭდ გამოცემებში სასულიეროსაველსიო შინაარსის წიგნებში—განსაკუთრებით დავითის თავსა ან ბოლოში ზოგჯერ რამდენიმე გვერდი აქვს მიჩენილი ქართულს ანბანს და არაბულ ციფრებს. ამგვარ წიგნებში ყველაზე ტიპიურია ტფილისში 1783-1788 წ.წ. შუა დაბეჭდილი დავითნი. (სურათი იხ. გვ. 44)–

ეს წიგნი ამჟამად ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს. მისი ერთადერთი ცალი საქართველოში² აღმოაჩნდა პროფ. აკ. შანიძეს, რომელმაც 1934 წ.

¹ დ. კარიჭაშვილი. ქართულ წიგნის ბეჭდვის ისტორია, ტფ. 1923 წ. გვ. 42.

² მეორე ცალი უთავფურცელი და უთარილო ლ. ილინის წიგნისაცავენა დაცულრ.

შემოდგომამზე შესწირა იგი ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ რუსთველის ინსტიტუტის ბიბლიოთეკას. წიგნის ზომაა 16×10. შავტყავადაკრული ფიცრული ყდა შემოგლეჯილი აქვს. თავფურცელი კარგად არის შენახული. მხოლოდ წიგნის გამოცემის თარიღი აღარ იკითხება. ის მოთავსებული ყოფილა თავფურცლის მეორე გვერდზე, ზევითა კიდებზე. აკინძვის დროს წიგნის ნაპირები ღრმად შემოუკვეთიათ, რის გამო თარიღის ამოკითხვა შეუძლებელია. იკითხება მხოლოდ მეორე სტრიქონი: „თთუესა იულისსა, რიცხესა ივ. (16)“.



ტბილისში 1783—1788 წ.წ. შუა დაბეჭდილი და ვითნის თავფურცელი

დავითნის ჩვეულებრივი ტექსტი, რომელიც ჩვენი საკითხისათვის ინტერესს არ წარმოადგენს.

დ ა ხ კ ვ ნ ა

მეთვრამეტე საუკუნის მანძილზე ჩვენ მოგვეპოვება მხოლოდ ოთხიოდე ნაბეჭდი სახელმძღვანელო.

მიუხედავად რიცხობრივი უმნიშვნელობისა, ხსენებული მასალა უდიდეს ინტერესს წარმოადგენს, როგორც ქართული კულტურის ზოგადი საკითხების გა-

ტექსტის პირველი ფურცლები ა-(1) დან კ-ბ (22)-დე მოგლეჯილია. კბ-(22) გვერდიდან მოყოლებული მ-(40) გვერდამდე ფურცლები დასიანებულია. წიგნი არეულად არის აკინძული.

დავითნის ტექსტს წინ უძღვის კითხვა-მიგება. დასაწყისი კითხვა-მიგებისა მოხეულია. ტექსტი (გაჭირვებით) იკითხება მხოლოდ მე-22-ე გვერდიდან (კბ) „...ცათა ჰწებავს ცხოურებაი და მეცნიერებისა ჰეშმარიტებისა მოსლუაი“.

„კი (კითხვა) რაი არს ნება კაცებისა.

„მი (მიგება) ნება კაცებისა არს, რომელ ითხოვა ჰსუმად, ვითა იგი ჯვარსა ზედა.

„კი რომელი არს საქმე კაცობრივი.

„მი კაცობრივი საქმე არს, რომელ ეიღოდა გზათა და დაჰშურა და სხუანი მსგავსნი ამისნი.

„კი გვაგონებასა აღვიარებ ვანსორციელებისათვის“... და სხვ.

კითხვა-მიგება ბოლოვდება 45 გვერდზე. ამავე გვერდზე, ქვემოთ—დაბეჭდილია ქართული ნუსხური (ხუც.) ანბანი რიგზე. ანბანს შემდეგ იწყება

სარკვევად მეთვრამეტე საუკუნის ფარგლებში, აგრეთვე კერძოდ სწავლა-განათლებლის საქმის შესწავლისათვის ამ საუკუნეში.

ყურადღების ცენტრს თავისთავად იჭერს ვახტანგის დროს ტფილისის პირველ სტამბაში (1709—1722 წ.წ.) დაბეჭდილი ორი სახელმძღვანელო. მათი წინასიტყვაობანი, სტილი, რომლითაც გადმოცემულია სასწავლო მასალა, მხედრული შრიფტი, რომელიც გამოყენებულია ამ წიგნების დასაბეჭდად, სრულიად თავისებურ ელფერს აძლევს ამ სახელმძღვანელოებს.

ცხადია, რომ ამ დროს არა თუ წარმოშობილა გარკვეული ტიპის სახელმძღვანელოს საჭიროება, არამედ ყოფილა, ასე ვთქვათ, იდეოლოგიური და ნივთიერ-ტექნიკური საშუალებაც ამ საჭიროების დასაკმაყოფილებლად.

ქართული პედაგოგიური აზრის განვითარების ისტორიისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს 1711 წლის სახელმძღვანელოს წინასიტყვაობაში წამოყენებულ პრინციპებს.

1. ყმაწვილებისათვის ადვილად შესათვისებელი მასალის მიწოდების პრინციპი და, ამასთან დაკავშირებული

2. ენის გამარტივება, სასაუბრო, ხალხური ენის შემოღება.

სხვა გამოკვლევაში¹ მე ვეცემალდე ეცხები მეთვრამეტე საუკუნის პირველი ოცეული წლის საქართველოს კულტურულ-პოლიტიკურსა და ეკონომიურ ვითარებას და ქართული კულტურის ისტორიაში ცნობილ „აღორძინებას“ (მე-17-18 სს. ხალი სოციალ-ეკონომიური წყობილების ჩახახვას ვუკავშირებ.

„მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისიდან გაიჩნდა ოსმალეთის ჯებირი დასავლეთისა და აღმოსავლეთის სავაჭრო ბაზრებს შუა. ამავე საუკუნის მიწურულამდე საქართველოს გზით სპარსეთ-ინდოეთისაკენ მძლავრ ნაკადად მიდის ევროპის ვაჭრებისა და მოგზაურების გრძელი წყება. სავაჭრო კაპიტალის ექსპანსიის კავკასიაში, კერძოდ საქართველოს ფეოდალურ ერთეულებში, უკავშირდება კათოლიკური სამისიონერო მოძრაობა. ამ დიდი მოძრაობის ინტენსივობა ემოხვევა საქართველოს შინაგანი პოლიტიკური და ეკონომიური ცბოვრების უღრმეს კრიზისს (ფეოდალიზმის გახრწნა და გარეშე ძალების შემოსევა). ისტორიული კატასტროფების გამო საქართველოს ძველი, დიდი კულტურა დაძირული და გადმოგარდნილია თავისი ღერძიდან. სოციალ-ეკონომიური კრიზისი ვართულებულია ღრმა ზნეობრივ-იდეოლოგიური კრიზისით. ახალი მოკავშირეების და მფარველების ძებნა ეკონომიურად დაწინაურებულ ქართლის ხელისუფალთა მიერ. ახალი კულტურულ-სარწმუნოებრივი სიმპათიები და ახალი ორიენტაციის აღების წყურვილი მონარქიული სისტემის შესაქმნელად და გასამტკიცებლად— გადაუჯვარედინება დასავლეთ ევროპის სავაჭრო კაპიტალისათვის ახალი ბაზრებისა და სავაჭრო გზების მაძიებელთა მოძრაობას. ეს გადაუჯვარედინებელი მოძრაობა, რომელსაც სრულიად გარკვეული, რეალური მიზნები აქვს, ფეოდალური ანარქიისა და ქაოსის დასაძლევად ახალ დამრავლავ კულტურულ-ეკონომიურ ძალებს აწვევს სამოქმედოდ. ქართლის სამეფოში ისახება ძლიერი ეროვ-

¹ „პირველი სტამბის წარმოშობა ტფილისში“ წაკითხულია მოხსენების სახით რუსთველი ინსტიტუტში—

ნულ-მონარქიული ხელისუფლების შექმნის ტენდენცია. ამ ძლიერი ხელისუფლების იდეის გარშემო დარაზმული ფენების ინტენსიური კულტურული საქმიანობა განსაცვიფრებელი სისრულით შედევანდება ვახტანგ VI გამგებლობის და მეფობის პერიოდში (1703—1723). მაგრამ დაუძლეველი წინააღმდეგობანი ქართლისა და საქართველოს სხვა კუთხეების შინაგან სოციალ-პოლიტიკურსა და საგარეო ურთიერთობაში ვახტანგის მიერ საქმიანობას 1723 წლის კატასტროფით ამთავრებს.

ვახტანგის მოღვაწეობა, რამდენადაც იგი მიმართული იყო ფეოდალიზმის ზღუდეების დანგრევის და ახალ-საეპოქო-შინამრეწველო ეკონომიურ ძალებზე დაყრდნობით, მონარქიული წყობილების განმტკიცებისათვის—იყო პროგრესული მოვლენა და ქართული კულტურის ნამდვილი აღორძინების ნიშნებს ატარებდა.

სახელმძღვანელოების გამოცემა და სწავლა-აღზრდის საქმე არ შეიძლება განვიხილოთ ზოგად კულტურულ ვითარებასთან დაუკავშირებლად. ვახტანგის სტამბის ორი სახელმძღვანელო წიგნი ეპოქის დამახასიათებელია, როგორც ძალად ტექნიკური კულტურით, აგრეთვე სტილითაც.

მაგრამ თუ ჩვენ მოვიწინდინებთ ამ საქმის ერთიანი გენეზისის, გაბმულის, თანამიმდევრობით განვითარებული მსვლელობის დანახვას მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისიდან მეცხრამეტე საუკუნის მიჯნამდე, იძულებული ვიქნებით აღვნიშნოთ შემდეგი ფაქტები:

ვახტანგის დროს ასეთი ბრწყინვალეობით გაშლილი ფურცლები ქართული ნაბეჭდი სახელმძღვანელოს ისტორიაა, აღარ გვიჩვენებს შემდგომი ზრდის და წინსვლის ეტაპებს; ეს არც არის გასაკვირი: პოლიტიკურმა კატასტროფამ ეკონომიური დაქვეითება გამოიწვია. ქართლ-კახეთი ისევ სილატაკის და გავეოანების ასპარეზად იქცა. ფეოდალუობა რეაქციამ, ეკლესიის მეთაურობით, სრულს კომპენსაციას მიაღწია. შეიძლება ითქვას, რომ ვახტანგის საქართველოში ყოფნის დროსვე დაიწყო კლერიკალურ-ფეოდალური რეაქცია. (მოვივროთ ვახტანგის საწინააღმდეგოდ მიმართული შეთქმულება, რომელსაც მხარს უჭერდა მისი ძმა—ლომენტი კათალიკოსი).

ამავე დროს მოხდა ერთი უდიდესი ნინიშენლობის ფაქტი: ვახტანგი და მასთან ერთად 1.400 მისი ერთგული ქართველი სამუდამოდ გაშორდა საქართველოს. თუ მოვივროთ, რომ მოსკოვს გადაიხვეწნენ: ვახტანგი ბაქარითურთ, ვახუშტი, სულხან-საბა ორბელიანი, თავისი ძმებითურთ და საერთოდ იმდროინდელი ქართული კულტურის მოღვაწეების მთელი კრებული, ჩვენთვის ცხადი იქნება უარყოფითი შედეგ ან ფაქტებისა მეთვრამეტე საუკუნის საქართველოს კულტურულ განვითარებისათვის: კულტურული საქმიანობის ცენტრი გადატანილია მოსკოვში, რომელიც მაშინდელი პოლიტიკური ითარების და მიმოსვლის საშუალებათა მდგომარეობის მიხედვით, წარმოუდგენლად დაშორებული იყო საქართველოზე. მიუხედავად ამისა აქ არა თუ იწერებოდა, იბეჭდებოდა კიდევაც ქართული წიგნები, რომელთა უპირველესი დანიშნულება საქართველოში გავრცელება იყო.

როგორც ზემოთ ითქვა, მოსკოვში განახლებულ ქართულ სტამბაში პირველად დაიბეჭდა სასწავლო სახელმძღვანელო: „პირველი სასწავლო ყრმათათვის“.

რა თქმა უნდა, ეს წიგნი არ წარმოადგენს ნაბიჯის წინ წადგმას ტფილისში 1711 წ. დაბეჭდილი სახელმძღვანელოს მიმართ. უპირველეს ყოვლისა ეს არის ნათარგმნი და არა ორიგინალური თხზულება.

მეორე თვალსაზრისით განსხვავება ამ წიგნისა არის ხუცუბრი შრიფტი. ჩვენ ვიცით, რომ ვახტანგი საქმარისად ფართოდ იყენებდა მხედრულ შრიფტს და ეს არ იყო შემთხვევითი საქმე. ვახუშტის მოწმობით, ვახტანგს მხედრული შრიფტის მეოხებით უნდადა ნაბეჭდი წიგნი საეკლესიო-სასულიერო ფარგლებს იქით გაეტანა, ფართოდ გაეგრძელებია „საეროთა“ შორის.¹ ეს პრინციპი მოსკოვის სტამბის წიგნების შრიფტის არჩევაში აღარ ჩანს.

რაც შეეხება „პირველი სასწავლოს“ შინაარსს, არც ამ მხრივ არის რაიმე ახალი აქ მოცემული: გერმანე ხუცეს-მონაზონის მოკლე და სადა წინასიტყვაობასთან შედარებით თეოფანე პროკოპოვიჩის წინასიტყვაობა გაკვიანურებული და რიტორიულია.

რომში 1741 წელს დაბეჭდილი სახელმძღვანელოზე დიდ ხანს აღარ შეგჩერდებით—ვიტყვიით მხოლოდ, რომ მისი მხედრული შრიფტი, ჩამოსხმული რომში 1629 წ. პირველი ქართული სტამბისათვის, უმეტეელია ნათესაურად უკავშირდება ვახტანგის მხედრული შრიფტით ნაბეჭდ გამოცემებს. შეიძლება დაბეჭდვით ითქვას, რომ რომის პირველი ქართული სტამბის ტრადიციამ გადავიღა მხედრული შრიფტისათვის მოქალაქეობრივი უფლების მოპოება ტფილისის 1-ლ სტამბის გამოცემებში (1709--1722). არ შეიძლება არ აღვნიშნოთ აგრეთვე, რომ კათოლიკობის პროპაგანდისათვის გამოცემული რომში დაბეჭდილი წიგნების ენაც მარტივი და გასაგები იყო. თუმცა ამ წიგნების დიდი ნაწილის ქართული ენა ხშირად გამოუცნობლად დამახინჯებულია იტალიანისმებისა და ლათინისმების გამო, მაგრამ პრინციპი ხალხური ენით გადმოცემის და მით წიგნისათვის პოპულარული ხასიათის მიცემისა მაინც იქიდან მომდინარეობს.

რაც შეეხება 1783--1788 წ.წ. შუა დაბეჭდილსა და სასწავლო-სახელმძღვანელოდ დანიშნულ დავითნს, ეს წიგნი, როგორც ტექნიკური ვაფორმების მხრივ, აგრეთვე შრიფტით (ნუსხა ხუცური) და განსაკუთრებით, „კითხვა-მიგების“ სტილით—გარკვევით უკან დახვევის ნიშნებს ატარებს.

მას შემდეგ, რაც წიგნმა ბეჭდვის საშუალებით იწყო გავრცელება, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც თვით საქართველოშიაც შემოვიდა ნაბეჭდი წიგნი (1629 წ. შემდეგ) და ტფილისში თანამედროვე ტექნიკის წესზე მოეწყო სტამბა (1709 წ.) — ბუნებრივია, რომ ჩვენ მთელი ყურადღება შევაჩერეთ სწორედ ნაბეჭდ ფაქტებზე. სახელმძღვანელო წიგნის ახალი ტიპი ბეჭდვის გარეშე წარმოუდგენელიც არის სავაჭრო კაპიტალის ეპოქაში. ამით არ გვინდა დაეჩრდილოთ ქართული მეცნიერების და მწერლობის იმ უდიდესი ნიმუშების მნიშვნელობა, რომელთაც მხოლოდ მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეში ელირსათ დაბეჭდვა. მაგრამ წიგნში ჩვენ სოციალური ურთიერთობის ნაყოფს და უდიდესი სოციალური ფუნქციის აღმასრულებელ მოვლენას ვხედავთ. ამ თვალსაზრისით ნაბეჭდ წიგნსა და ხელნაწერს შუა ისეთივე დიდი უფსკრულია, როგორც შინამრეწველურად დამზადე-

¹ ვახუშტის ისტორია „საქართველოს ცხოვრება“, ზ. კვიციანიძის გამოცემა, გვ. 109.

ბულ ნახელავ შედევრსა და ფაბრიკატს შორის. იმ დროს, როცა ხელნაწერი სახელმძღვანელო უფლებას ვეძღვეს ვილაპარაკოთ ადამიანების ერთეულებზე და ათეულებზე, რომელთაც ის ემსახურებოდა, ნაბეჭდი სახელმძღვანელო უკვე ასეულებისა და ათასეულების ხელში უნდა დატრიალებულიყო.

შეტის თქმაც შეიძლება: სახელმძღვანელო ამ სიტყვის ნამდვილი გაგებით მხოლოდ ნაბეჭდი შეიძლება ყოფილიყო და ნაბეჭდი სახელმძღვანელოს საჭიროების წარმოშობა, ასეთი სახელმძღვანელოს გამოცემის ფაქტი—სწავლავანათლების ფეოდალური ზღუდეებიდან გამოსვლის ერთ-ერთ „პირველ მერცხალთაგანად“ შეიძლება ჩაითვალოს.

სანამ წიგნი მხოლოდ ფუფუნების საგანი იყო, მისი სოციალური ფუნქცია გაცილებით უფრო გიწროდ იყო შემოფარგლული.

ნაბეჭდი სახელმძღვანელოს არსებობის ფაქტს სასკოლო მეთოდების და სისტემის ძიებამდე მივყვართ, ვინაიდან ინდივიდუალური აღზრდის სისტემასთან შეუთავსებელია ნაბეჭდი სახელმძღვანელოს არსებობა.

წინამდებარე გამოკვლევისათვის გამოყენებულ წყაროები

და ლიტერატურა:

1. „სწავლა, თუ ვითარ მართებს მოძღვარსა სწავლება მოწაფისა“ ტფილისი 1711 წ. (რუსთველის ინსტიტუტის ცალი).
2. „აიათი ანუ ქმნულების ცნობა“. ტფილისი 1721 წ. (ტფ. სახ. უნივერ. ცალი).
3. „პირველი სასწავლო ყრმათათვის“. მოსკოვი 1732—1737 წ.წ. (იქვე).
4. „საქრისტიანო მოძღუარება, მოკლედ დარიცხული მარტილობათვის“... რომი 1741 წ. (ტფ. სახ. უნივ. ბიბლ.).
5. „დავითნი“ ტფილისი 1783—1788 წ.წ. შუა (რუსთველის ინსტ. ცალი).
6. „დავითნი“ მოსკოვი 1705 წ. (საისტორიო-საეთნოგრაფიო სახ. ბიბლ. ცალი).
7. მ. თამარაშვილი—ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის გვ. 339.
8. П. Пекарский. Наука и литература при Петре Великом т. I, გვ. 170, 171, 178, 182, ... т. II, გვ. 479, 548, 549.
9. ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, ზ. კიკინაძის გ-მა ტფ. 1911 წ.
10. დ. კარიჭაშვილი „ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია მე-17 საუკ. და მე-18 საუკ.“ ტფ. 1929 წ.
11. А. Берри. Краткая история астрономии, перев. с англ. Москва—1904.
12. სპარსულ-ქართული ცდანი. I გ. მარრი. ულუბეგის ზიჯის ვახტანგი-სეული თარგმანი, სპარსულ-ქართული ლექსიკონით. ლენინგრადი 1926 წ. გვ. 13-15 —ორი ნაკვეთი ვახტანგის მიერ ნათარგმნ კოსმოგრაფიიდან.

საჯარო პაექრობა თელავის სემინარიაში

წინამდებარე ტექსტი წარმოადგენს თელავის სემინარიაში ჩატარებულ საჯარო დისპუტის ან გამოცდის, ასე ეთქვათ, სტენოგრაფიულ ანგარიშს. ასეთი დისპუტები (პაექრობანი) მიზნად ისახავდა სასწავლო წელში შესრულებულ მუშაობის შეჯამება-შემოწმებას და იმართებოდა ამათუთი დისციპლინის კურსის მოსმენის შემდეგ. საჯარო დისპუტები ჩვეულებრივი მოვლენა იყო რუსულ-სლავურ სასულიერო სასწავლებლების პრაქტიკაში. ქართული სემინარიებიც (ტვილისისა და თელავის) შესაფერისი ტიპის რუსული სასწავლებლების გვემანე იყო მოწყობილი და. როგორც ჩვენი დოკუმენტიდან ჩანს, საჯარო გამოცდა—პაექრობანი აქცე ყოფილა მიღებული. კერძოდ ამჟამად საინტერესო პაექრობას აღვილი ჰქონია თელავში 1783 წლის მაისის 28-ს¹ ე. ი. სემინარიის გახსნის წლის თავზე. ² მაშასადამე, ეს დისპუტი წარმოადგენდა დიდ სადღესასწაულო აქტსაც თელავის სასწავლებლის ცხოვრებაში.

სწავლა-აღზრდა ქართულ სემინარიებშიც, რასაკვირველია, კლერიკალურ-სქოლასტიკურ პრინციპებს ემყარებოდა. ხოლო ამ შემთხვევაში დიდ როლს თამაშობდა საგრამატიკო დისციპლინები. 1783 წლის საზეიმო სნდომის დისპუტიც სწორედ საგრამატიკო თემისადმი ყოფილა მიძღვნილი. ძირითადი მოხსენება ჩაუტარებია სემინარიის რექტორს გაიოზ არქიმანდრიტს (1746—1821) შემდეგ თემაზე: „მოკლედ ცხადყოფისათვის საღრამატიკოთა ჰაზრთა სარგებლობისა“ (გვ. 5—11). მოხსენებასთან ერთად გაიოზს წარუდგენია 12 მუხლისაგან შემდგარი თეზისები, ანუ დადებულება („დადებულება საღრამატიკო საზოგადოისა პაექრობისათვის“ გვ. 12—14). როგორც ჩანს, გაიოზის თეზისები წინასწარ შეთან-

¹ ტექსტის თავ-ფურცელზე აღნიშნულია თვესა იანვარსაო, ხოლო თარიღი დასახელებული არაა: გადამწერის ეს უნებლიე შეცდომა გამოსწორებულია წინასიტყვაობაში—ა. ბ.

² ჩვენამდე მოღწეულია თელავის სემინარიის საზეიმო გახსნის თქმაც. ეს თქმი თავის დროზე გაოქავებულ კიდევაც ნ. მთვარელიშვილმა „იფერია“-ში. (1881. VIII „თელავის სემინარია და პირველი მისი რექტორი გაიოზ ნაცვლიშვილი“, გვ. 90—117). აქიდან ჩანს, რომ თელავის სემინარიის გახსნას ადგილი ჰქონია 1782 წლის მაისის 28-ს და არა 1783 წელს, როგორც ამას ფიქრობენ პროფ. კ. კეკელიძე („ქართ. ლიტ. ისტორია“, ტ. I, გვ. 89) და ა. ცაგარელა („Сведения о памятниках Грузинской письменности“, I, 1886, стр. XXXVIII). ა. ბ.

ხმებუღი ყოღილა „სემინარიათა დირექტორსა და პროტექტორს“ ანტონ კათალიკოსთან (1719 — 1786), რომელიც, სხვათა შორის, გრამატიკის საკითხებშიც დიდ ავტორიტეტად ითვლებოდა. თითონ გაიოზი რამოდენიმეჯერ იმოწმებს ანტონის გრამატიკას, ერთგან ის პირდაპირ აცხადებს, რომ ანტონისაგან „მომიღიეს ჰაზრნი ამის ძვირდასისა სწავლულღებისა“ და რომ „ანტონის მიერ დიდღვენე საფუძღვეღნი ყოველთა ცნობათანი“. კერძოდ ანტონის გრამატიკა ძირითად სახელმძღვანელოდ იყო მიღებული ქართულ სემინარიასში.

გაიოზის თეზისების გარშემო გაშღილა საჯარო პაექრობა და იმის მიხედღვით შეუმოწმებიათ სემინარისტთა წარჩინება. სემინარისტთა სიტყვა-პასუხიც 12 მუხღლისაგან შედგება (გვ. 15 — 20). თითოეული სიტყვა-პასუხი მიზნად ისახავს გაიოზის სათანადო თეზისის განმარტება-დამტკიცებას.

დასასრულ პაექრობის ანგარიშს დართული აქვს სპეციალური თავი: „სახღლვარი ღრამმატიკისა“ (გვ. 20 — 24), რომღის დასწავღა სემინარისტებს, აღბად, ზეპირად მოეთხოვებოდათ.

1783 წღის საჯარო პაექრობას განსაკუთრებულად საზეიმო ხასიათი ჰქონია, ამიტომაც სხდომაზე დიდი ადღილი დათმობია დღესასწაუღის ოფიციალურ მზარეს, პარაკლისებს, ლოცღებს, საზოტბო და სამადღობელო სიტყღებს და მისთანებს¹. სათანადო მღვდელთმსახურების შესრულღების შემდგ სიტყვა მისცემია „კათედღრიით“ სემინარიის რექტორს. რექტორის სიტყღის პირველი ნახევარი მიღღვნიღღა ირაკლი მეორის საქებ-სადიდებლად (თითონ ირაკლი ზემის არ დასწრებია) და წარმოადგენს პირმოთენობითა და ენაწყღიანობით სავსე მჭკრემტყველურ-ხეღოღენის ნიმუშს. ირაკლის გვერდით მოკლედ შექებულია ტახტის მემკვიდრე გიორგი ბატონიშვიღი და კათალიკოსი ანტონი (ზეიმის არც ესენი დასწრებია). ირაკღისა და ანტონის ქებით დაუსრულებია გაიოზს თვისი სიტყღის თეორეტიული ნაწიღი. დასასრულ რექტორს პათეტიკური სამადღობეღი სიტყღით მიუმართავს დისპუტზე მყოფ დღოხითღოხ ნეკრესეღისა და იქ დამსწრე საბატო სტუმრებისათვის.²

პაექრობის ტექსტის მნიშვნეღობა დღიღა: ეს საუცხოო დოკუმენტი XVIII საუღუნის ქართული სემინარიების პრაქტიკულ-პედაგოგიური ცხოვრების შესასწავღლად, ამღღღენებს სემინარიის მასწავღებელთა და მსმენელთა თეორიული მომზადღების დღნეს და მათი სამეცნიერო ინტერესების წრესაც გღიღვალისწინებს. ტექსტი არაა მოკლღებული ვიწრო საგრამატიკო-საენათმეცნიერო ინტერესებსაც.

ეს დღდაღ მნიშვნეღოვანი დოკუმენტი ჩვენამღე მოღწეულა დავით რექტორის გაღაწერიღი ხეღნაწერის მიხედღვით. როგორც ბოლო მინაწერიღან ჩანს, ხეღნაწერი გაღანუსხულია 1792 წღეს: „ალექსის-ძე თეღვაღის ქაღაქის სემინარიის რექტორი, დავით, იღღის თეღსა, რიცხესა 18, წღესა ქრისტეს აქეთ 1792)“³. დავითი, გარდა იმისა რომ იყო ჩინებული მწიგნობარი, გაიოზს მემკვიდრეობდა თეღვაღის სემინარიას რექტორის თანამღებობაზე. საფიქრებელია, რომ

¹ საჯარო პაექრობის შესავღის—სახეიმო ნაწიღის აღწერიღობა ამ წერიღში გამოტოვებულია.

² სემინარიის საჯარო დისპუტების ცერემონიული მოკლედ აწერიღი აქვს იღვანე ბატონიშვიღსაც თავის „კაღმასობაში“ (ზ. ჰიჭინაღის გამოცემა, 1895, გვ. 125 — 126).

დავითი თითონ დაესწრო მის მიერ ასე სრულად აწერილ ზეიმს, ყოველ შემთხვევაში მის განკარგულებაში პირველი წყაროები იქნებოდა (ვაიოზი, როგორც ჩანს, მოხსენებებს წერილობით აღგენდა). დავით რექტორის ხელნაწერი ძველად იმყოფებოდა ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის იოვანე ბატონიშვილისეულ კოლექციაში. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ სხვა მრავალ დაცულსა და საქართველოს მუზეუმში (ჩ კოლექცია, № 2291). ამ ხელნაწერის შესახებ მოკლე და ზოგადი ცნობები მოიპოება ალ. ცაგარლის ზევით დასახელებულ წიგნში (გვ. XXXVIII—XL). საკუთრივ ვაიოზის მოხსენება დაბეჭდა კიდეც (თუმცა არა სავსებით დამაკმაყოფილებლად) ალ. ხასანაშვილმა „მოამბე“-ში, 1902 წ.

კითხვის გასაადვილებლად ჩვენ მიერ ტექსტიდან განდევნილია ე. წ. ზედმეტი ასოები, რომლებსაც დავით რექტორი პედანტიურად იცავს. აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ თავფურცლის მიხედვით ტექსტის სათაურად მიჩნეულია შემდეგი:

„სიტყვა ხალამამატიკოა

დასრულებასა ზედა ღრამმატიკისასა თელავის სემინარიის სემინარისტთაგან.“
წელსა 1783, თვესა მაისსა 28,

ღღესა საზოგადოსა პაეკრობისასა:

სემინარიასა შინა.

ყოველად უბრწყინვალესისა და უკეთილმსახურესისა მეფისა ირაკლი მეორისა ყოვლისა საქართველოსა“.

1. მოკლე სხალყოუისათვის საღამამატიკოთა ჰაზრთა საკვებლობისა

ყოველთა მათ ნიჭთა შორის კეთილშობილთა, რომლითაცა პატიონსებს კაცი სხვათა ცხოველთა ზედა, არს სიტყვაი, რომელიცა მოსცემია კაცსა ღვთისაგან ამისათვის, რათა ჰაზრი თვისი აზაროს სხვათა, ე. ი. ა [რს], რათა იგი—რაიცა აქეს გონებასა შინა—გამოუცხადოს სხვასა და შეამცნოს მას იგი. სარგებლობა ამისი ესოდნ დიდ არს, რაოდენცა აწ განვრცელდების მეცნიერება პირსა ზედა ყოვლისა ქვეყანისასა. ფრიად უკვე ვიწროსა შინა ზღუდესა შეიწყდებოდა, უკეთუ თვითთული კაცი ვერ შემძლებელ იქნებოდა შემეცნებად აზრისა თვისისა სხვათადა.

ფრიად დიდ არს შემოქმედისა იგი სიბრძნე, რომელმანცა ნიჭებულგვყო ჩვენ სიტყვითა და ნიჭებულგვყო სასმენელითა. და უფროს განსაკვირებელ არს ამისდაში განსაზღვრებულნი იგი წევრნი, თუ ვითარითა სიბრძნითა არიან აღჭურვილნი, რომელთაცა გონებასა შინა წარმოადგინება არა შესაძლებელ არს, თვინერ დიადისა განკვირებისა გამოუთქმელისათვის სიბრძნისა. შემოქმედისა და თვინერ უღრმესისა კრძალულებისა და მადლობისა მოწყალებისა უმაღლესისა ჰოფლის შექმისა.

დავიდუმებ აქა ორღანოებიითა მათ წვერთათვის და განეჰსჯი უკვე მოკლედ ურიცხვთათვის სხვაობათა: პირველად ხმისა და მეორედ თქმისა.

განეჰკვირდეთ უკვე სამართლად ურიცხვთათვის სხვაობათა იდეათა ანუ მოგონებათასა. რომელნიცა ზედეთისა სავარძნობელითა წარმოდგებთან გონებასა შინა. ამის თანა არა მცირედ განეკვირებად სათანადო არს ურიცხვთა მათ სიმრავლეთა იდეათასა, რომელთაცა მივიღებთ სმენისა და სხვათა სავარძნოთა ძლით, რომლისაცა ჰრწმუნებისათვის სათანადო არს სხვაობად ხმათა უმთავრესთა ცელილებათა ზედა მისთა.

პირველად იცვალების ხმა გამონზობასა ზედა. რომლისაცა სახენი არიან მახვილობა და მოხრილობა ხმისა. მეორედ—სულის კეთისა ზედა, და ამის სახენი არიან ბრჯგუობა, ანუ მქისეობა და ლბილობა, ანუ ლიტონობა. მესამედ—დროებითსა ზედა, რომლისაცა სახედ თქმულ არიან სიგრძე და სიმოკლე ხმისა. ხოლო სხვათა შედგმულთა ხმათათვის არღა მოვიხსენიებ, რომელთაცა შედგმულება ოდესმე ტყბილ სასმენ არს და ოდესმე ურჩხ, რომელთაცა ზედმიწევნილობითითა სმენითა მრავალთა შორის ერთა შემძლებელ ვართ ხმისაებრ განრჩევად მეცნთა ჩვენთა, ანუ ჩვენ მიერ შემეცნებულთა, ანუ სხვაობასა სხვათა და სხვათა ერთასა, რომელთაცა ადვილ გულ[ის] ხმებად შემძლებელ ვართ. უკეთუ გარემოსთა ჩვენთა მეზობელთა ერთა გამონზობასა ხმათასა ვისმენთ, ვითარცა სპარსთა, სირთა. ლეკთა, ოგსთა, ჩარქეზთა და სხვათა მთიულთათა კაკასისითა, არღა მომხსენებელი მწიგნობართა ერთა და ნათესავეთანი, რომელთაცა სხვაობა გამონზობისა ურიცხვ არს.

ესე ვითარან გამონზობისა სხვაობამან ხმათამან ჰყო სხვაობაცა წიგნთა ღრამშთა ძლით დანაკვეთებულთა, რომელთაცა საკუთრად უწოდთ ჩვენ ასოდ.

ხოლო გამონზობისათვის ესე ვითართა ხმათასა არიან ორღანო: ბავენი, კბილნი, ენა, სასა, ხორხი მახლობელ-მდებარით კერძოებითურთ თვისით და ნესტონი ცხვირთანნი.

მოდრაობა ორღანოთა ამით იქმნების ორ სახედ, რომელთაგანცა წარმოებული გამონზობა იქმნების ოდესმე გრძელ და საცნაურ და ოდესმე მოკლე და უცნაურ. რომელთაცა ასოთა მიერ გრძელნი იგი გამონზობანი დაინიშენიან, ზედწოდებულებენ ხმოვანად და რომელთაცა ძლით მოკლედ, ანუ სრულიად ვერაზედ—წოდებულებენ უხმოად. სხვადასხვაობანი მოძრაობანი ბავეთა და ხორხისანი ჰყოფენ სხვადასხვა ხმაობასა ასოთასა, რომელთათვისცა უცრცველესად აღწერილ არს დიდასკალოისა და მწყემსისა ჩვენისა მიერ მეორედ ქმნილსა ღრამშატუკასა შინა (ღრამშატუკა], ანტონი, ნაწილი 3, ზედადართვა § 13).

ამით ხმოვანთა და უხმოთა შეერთებათა ძლით გამოვალნ ვითარმე სხვაობა ხმათა, რომელთაცა უწოდთ ჩვენ მარცვლად ერთისათვის გამონზობისა ხმათასა განუწყვედილად და ოდეს ამით მარცვალთა შეერთებათა ძლით გამოვალნ სულას კვეთით ხმანი და დამნიშენელ იქმნებიან ვითარბამე ნივთთა, ანუ საქმეთა—იგი წოდებულ (არს) ლექსად.

მიხედვითა ხილულისა ამის სოფლისათა განვიცდით ორთა რაიმეთა ნივთთა, ე. ი. ა. პირველსა ნივთსა შექონსა გრძნობისასა და მეორესა ნივთთა მათ მგრძნობელთა სხვადასხვაობასა მოქმედებათასა.

ხოლო ვინადგან ნიჭებულ არს კაცი სიტყვიერებითა ამისთვის, რათა პაზრი თვისი აზიაროს სხვათა, მაშა შემძლებელცა არს იგი წარმოდგინებად თვის შორის იდეთა და საქმეთა ნივთისა, რომელთაცა აზიარებს სხვათა. და ესრეთ გამოხატვასა მას და წარმოდგომისა ნივთისა ეწოდების სახელი, ხოლო გამოხატვასა მოქმედებისასა—ზმნა. და ვინადგან ორნი ესე ლექსნი ჰნიშვნენ ნივთსა და მოქმედებასა ნივთისასა, მაშა უსაკუთრეს არს რათა უპირველესობაი მიიღონ ნაწილთა შორის სიტყვისათა.

მრავალმან იდეამან და სიმარჯვით წარმოდგომამან ნივთამან და მოკლედ და გაუმეორებლად სხვათადმი ცხადყოფისათვის მოკლედ პაზრისა თვისისა აიძულა კაცსა ამისადმი მეცადინობად, თუ ვითარ მოკლე ჰყოს სიტყვა თვისი და გამოახვას შემაწუხებელი განმეორებანი ერთისა ლექსისანი. ესე ვითარნი ლექსნი არიან ნაცვალსახელი, ზმნისზედა და შორისდებული. ნაცვალსახელი შემოეალს სიტყვასა შინა ნაცვალად სახელისა. ზმნისზედა ცხად ჰყოფს ერთითა წარმოთქმითა ვითარებასა და გარემოებასა ზმნისასა. ხოლო შორისდებული წარმოადგენს და დანიშნავს მოკლედ მოძრაობასა და ვნებასა კაცობრივისა სულისასა.

მიდმოქცევამან კაცობრივისა გონებისამან აიძულა ესრეთვე პოვნად ღონისა ამის, რათა მოქმედება კაცობრივი მოკლედ გამოხატოს და მოკლედვე წარმოადგინოს მოქმედი და ვნებელი. პირველსა უწოდა მიმღეობად და მეორესა სახელზმნად და განუსაზღვრებლად ანუ უჩინოდ. ესრეთვე თანდებული მნიშვნელად გარემოთა და მდგომარეობათა სახელისათა და კავშირი შეერთებისათვის და გარდაბმისა, სხვათა და სხვათა სახელთა ანუ საქმეთა ერთისა პაზრისადმი.

ამათ ყოველთა მიერ ცხად არს, ვითარმედ სახელი და ზმნა არიან უცვალელებლად საჭირონი ნაწილნი კაცობრივისა სიტყვიერებისანი. ხოლო ნაცვალსახელი, მიმღეობა, ზმნისზედა, კავშირი და შორისდებული არიან სახმარი მოკლედ დამნიშვნელობისათვის მათისა, რომლითაცა კაცობრივისა სიტყვასა აქვს რვანი ნაწილნი: 1. სახელწოდებისათვის ნივთისა. 2. ნაცვალსახელი—მოკლედყოფისათვის სახელისა. 3. ზმნა—ცხადყოფისათვის მოქმედებისა. 4. მიმღეობა—ერთმნიშვნელობისათვის მოქმედების სახელისა თანა. 5. თანდებული—ჩვენებისათვის ნივთის გარემოსა. 6. ზმნისზედა—მოკლედ გამოხატვისათვის ვითარებათა ზმნათასა. 7. კავშირი—შეერთებისათვის სხვათა და სხვათა ნივთთა და საქმეთასა და 8. შორისდებული—მოკლედ ცხადყოფისათვის სულის მოძრაობით.

ყოველთა ნივთთა სოფელსა ამას შინა მყოფთა აქვს ვითარნიმე ზიარება მგავსებისა ძლით, რომელნიცა დანიშნვიან ერთითა ლექსითა, ე. ი. ა. ერთითა სახელითა და ეწოდების ლექსსა მას საზოგადო. და რომელთაცა შორის აღირიცხვის ერთითა ლექსითა დანიშვნა მრავალთა შეკრებულთა ნივთთა წოდებულნი (არს) ლექსად შემკრებლობითად. ხოლო ერთისა განუკრეღისა და განუკვეთელისა ნივთისა დამნიშვნელსა ლექსსა—კერძობით.

წარმოდგომა მრავალთა ნივთთა მიიყვანს გონებასა ჩვენსა, რათა გამოიძიოს ვითარებაიცა მისი; და ესრეთ ლექსი დამნიშნელი თავით თვისით ნივთისა იწოდების არსებობად, ხოლო ლექსი თავით თვისით ვერ შემძლე ცხადყოფისა რაინსამე ნივთისა, არამედ სხვასა ზედა შესვლითა გამომაცხადებელი ვითარებისა მისისა, იწოდების ზედშესრულად.

ყოველი ნივთი განყოფილ არს ორთა ზედა სახეთა, ე. ი. ა. ცხოველად და არა ცხოველად, რომელთასა ბირველისა მის დამნიშვნელისა ლექსსა ეწოდების საზოგადო, ვინადგან ორთავე გვართა ცხოველთასა დანიშნავს ერთითა ლექსითა. და ოდეს განყოფილად წარმოადგენს ლექსი იგი გვართა მათ, მაშინ ერთსა მათგანსა ეწოდების მამრობითი და მეორესა მდედრობითი. ხოლო მეორისა დამნიშვნელსა, ე. ი. ა. არა ცხოველისასა ეწოდების უმეშვეობითი.

შსგავსადე ერთითა ლექსითა დამნიშვნელსა — მარტივი, და ორითა ანუ სამითა დამნიშვნელსა ერთისა ნივთისასა ჰრთული ანუ ზედპრთული.

ყოველთა ნივთთა წარმოვაცენებთ გონებასა შინა რიცხვისაებრ მათისა — ერთსა ანუ მრავალსა — რომლისათვისცა ერთისა დამნიშვნელსა ლექსსა ეწოდების მხოლოდობითი და მრავლისასა მრავლობითი; რომელსაცა შინა ჰსჩანს კვალად შეცადინობა კაცისა შემოკლებისათვის სიტყვათასა, ვინადგან, უკეთუ ერთი ნივთი ერთითა უკვე ლექსითა დაენიშნა და სიმრავლე მისი მისევე ერთისა ლექსისა მრავალუხის მოღებითა გამოეხატა, განგრძელდებოდამცა ფრიად სიტყვაი უგვანად.

ყოველნი ლექსნი ურთიერთისადმი შემწედ და ნაცვალგები, მდებარებენ სიტყვასა შინა ცხადყოფისათვის ურთიერთისა გარეშობისა. და ესრეთ ოდეს ლექსი მარტივად და წრფელად წარმოადგენს ნივთსა, და ლექსი იგი წოდებულ (არს) წრფელობითად. ხოლო ოდეს წარმოადგენს სხვისა რაისამე ნივთისა შესაბამსა, წოდებულ[ია] ნათესაობითად, კვალად ოდეს ნიშნავს ლექსი ნივთსა შესაბამად სხვისა ნივთისა — იგი წოდებულ[ია] მიცემითად. და ოდეს ერთისა ნივთისა მოქმედებასა ცხადყოფის სხვისა ნივთსა ზედ, იწოდების შემასმენლობითად. ხოლო ოდეს ნივთი წარმოადგების ღონედ, ანუ საჭურველად, მაშინ ლექსა დამნიშნელი მისი იწოდების მოქმედებითად ანუ დაწყებითად. და ოდეს ლექსი მნიშვნელობს ცხადყოფასა სხვისა მოქმედებისასა, მაშინ წოდებულ[ია] ლექსი იგი მოთხრობითად. და უკანასკნელ ოდეს ლექსითა რაითამე დაენიშნავთ საუბარსა სხვისადმი ნივთისა, მას წოდებულეწყოფთ წოდებითად. და ესრეთ ცვლილებათა ამით ერთისა და მისევე ლექსისათა სხვისა და სხვისა მიმართ მნიშვნელობისა წოდებულეწყოფთ ბრუნვად, რომელთაცა რიცხვი არს რვა ქართულებრ.

და ესრეთ შემეცნებულთა ნივთის ყოფისათა თანა გვაქვს ცნობაიცა მოქმედებისა მისისა, რომლისაცა მოქმედება ორგვარობს: ერთი არს რომელიცა წარმოაყენებს სხვასა; და ლექსი დამნიშნელი ამის მოქმედებისა იწოდების შემოქმედებითად. და მეორე არს, რომელიცა წარმოადგების სხვისაგან ნივთისა, რომლისაცა მოქმედებისა დამნიშვნელსა ლექსსა ეწოდების ვნებითად. გარნა კვალად არიან ლექსნი მნიშვნელნი მოქმედებისანი, რომელნიცა ვერ სადამე აწარმოებენ ნამოქმედებასა და ესე წოდებულ [არს] უმეშვეობითად.

ხოლო ვინაითგან კაცი თანამდებ არს, რათა ჰაზრი თვისი აზიაროს სხვათა, მაშა თანა აძს, რათა ცხადჰყოს აწინდელი არსა საქმე იგი, ანუ ქმნილი და ანუ ყოფადი. და ესრეთ ლექსსა მნიშვნელსა აწინდელისა მოქმედებისასა ეწოდების აწმყოი, ხოლო წარსულისა ანუ ქმნილისასა — ნამყოი, და ყოფადისასა — მყოობადი. ვინა სამი ესე დრო ყოველსა მოქმედებასა თვის ეყვის ცხადყოფისათვის უბრწყინვალესისა ჰაზრისა.

კვლად ოდესცა კაცი ითანამდება ზიარყოფად ჰაზრი თვისი სხვათად და გაზღაფიებდა იგი ცნობისათვის მესამისა, ამის გამო დაინიშნა მოქმედება საშობა მიზართ პირთა, ე. ი. ა. პირველი მზიარებელი ჰაზრისა თვისისა სხვისადმი. მეორე—ვისდამიცა არს ზიარება იგი ჰაზრისა და მესამე—ვისთვისცა, ანუ რომლისათვისცა არს ჰაზრი იგი.

კვლად მოქმედებანი ცხად იქმნებიან ოდესმე სრულებით და თვინიერ სხვისა რაისმე მიზეზისა რომელიცა წოდებულ არს საზღვრებითად. ოდესმე—მაიჭლებელად სხვისა მოქმედებისადმი და ესე წოდებულ—ბრძანებითად. ხოლო ოდესმე მიზეზითა რაითამე დამაბრკოლებელითა, რომელთაგანსა ერთსა ეწოდების საწადი და მეორესა ვიპოტეტიკაი (პიპოტეტიკაი) ანუ თუობითი.

მეცადინობისამებრ კაცობრივისა მოსწრაფებისა, რათა ჰაზრი თვისი ჰყოს შემოკლებით საგულხზმოდ სხვისადმი, ამას ძლით შემომხულ არს ზმნათა შორის სმით გარდასვლითი, რომლითაცა ერთითა წარმოთქმითა ცხადჰყოფს მოქმედებასა სხვისასა სხვისა მიმართ, რომლითაცა ყოვლადშვენიერებს და ჩინებულებს ენა ქართული სხვათა ენათა ზედა, მსგავსადვე ზმნანიცა იგი პირნაკლნი—დაკლებულნი პირველისა და მეორისა პირისანი—უდიდეს შვენიერებად მოსცემიან ენასა ქართულებრსა.

ხოლო ვინადგან ნიჭებულემა სიტყვიერებისა კაცისა არს მიზეზითა ზიარებისათა სხვისადმი ჰაზრისა თვისისა სრულებით ვინა საკირო არს, რათა მოქმედებისა მის ცხადყოფასა შინა საკიროდ იყვნენ ლექსნი სამნი, რომელთაგანსა ერთსა თანა აძს ცხადყოფა მოქმედისა, რომელსაცა უწოდთ ჩვენ უფლად ანუ სახელად ზმნისა; და მეორესა მოქმედებისა, რომელიცა წოდებულ არს ზმნად, და მესამესა მიმდელ მოქმედებისა—წოდებული საძიებოდ ზმნისა. ესე არს შეწყობა ნაწილთა სიტყვისათა, რომელიცა წოდებულ (არს) სვინტაქსად. და სხვანი ნაწილნი სიტყვისანი დაიდებიან შეწყობით სიტყვასა შინა, რათა ცხადჰყოს შემოკლებით ვითარება ანუ ვარემოება სახელისა ანუ ზმნისა და ანუ ყოვლადისა ჰაზრისა. ხოლო ვრცლად ჰაზრი ამის ყოვლად-შვენიერისა გნოსისა და ფრიადი სარგებლობა მისი სიტყვიერებისათვის ცხად ქმნილ არს შესაბამად დიდსაკალოისა ჩვენისა მიერ და პირველად მომცემისა ამის ცნობისა ქართულებრსა ზედა ენასა მეორედ ქმნილსა მისსა ღრამატიკისა შინა, ვნაწილნი, თავნი 14, § 911.

უკანასკნელ ვიტყვი, ვითარმედ ღრამატიკა არს ჰაზრი ფილოსოფოსებრი ყოვლისა კაცობრივისა სიტყვიერებისათვის და თვინიერ ამის ცნობისა რიტორი არს მოკლსიტყვა და ბნელ-მესტიხე, ანუ მოშაირე ელამ და მრულ, ფილოსოფოსი უსაფუძვლო, მესიტორიე უსამაოვნო და აღრულ და ღვთისმეტყველი საიკო, ხოლო მსაჯული უსარგებლო თავისა თვისისა და სხვათაცა. და ვინადგან ღრამატიკასა შინა აქვს ყოველთა ცნობათა ესოდენი საკიროება, ამისთვის დასაბამად ყოველთა ცნობათა დაუღვიესთ ბრძენთა ვითარცა კარი ყოვლისა სიტყვიერებითისა ცნობისა, რომლისათვისცა განსაზღვრებს ესთა (sic) **იოანე პეტრიწი** ფილოსოფოსი, ვითარმედ: „ღრამატიკა არს გამომცდელი მოქმედთა, ანუ აღმწერელთა“— და ზედა დაურთავს, ვითარმედ— „უშჯობეს არსო ნაქმართა განმარჩველობა“¹...

¹ უკანასკნელი ორი აბზაცი გაშტოვებულია—რედ.

საღრმავანო საზოგადოისა ააქროზისათვის

წინამოდებული თელავის სემინარიასა შინა წელსა 1783, რომელსაცა უწმიდესსა და უნეტარესსა ყოვლისა საქართველოსა მამათმთავარს და მუნებურთა გნოსისთა დიდსაქალოსს¹ და სემინარიათა დირექტორს და პროტექტორს მეფის ძეს ანტონის მხართმეფს მონებრის სიმდაბლით მისვე სემინარიის რეკტორი არხიმანდრიტი გაიოს.

ა. ღრამბატიკა არს ცნობა ესე ვითარი, რომელიცა გარდამოსცემს განყოფითად ყოველთა კაცობრივთა სიტყვიერებითთა აღნაქესთა. მაშა, ყოველთა სიტყვიერებითთა ცნობათა მოაქესთ ამის მიერ მდგომარეობა თვისი.

ბ. ღრამბატიკა არა თუ ოდენ ძეგალთა და ძნელთა აღნაქესთა შემეცნებისათვის ჯერარს სწავლად—არამედ უფროსლა ამისთვის, ვითარმედ თავით თვისით არს ფრიად საჭირო და სასარგებლო კაცისა. ვინა არა შესაძლებელ არს, რათა იყოს იგი და ეწოდებოდეს ცნობად მონებითად და არა აზნაურებითად.

გ. უმთავრესნი ნაწილნი ღრამბატიკისანი არიან დასაბამნი და საფუძველნი ყოვლისა კაცობრივისა აღმოხვევისანი.

დ. ნაწილთა შორის სიტყვისათა უპირველესნი და უსაჭიროესნი არიან სახელი და ზმნა.

ე. მიმღობასა და სახელზმნასა აქვს უსარგებლესი სიმარჯვე სიტყვისა თხზვასა შინა, ვინადგან ერთი მათგანი მნიშვნელ არს მოქმედთა ანუ ვნებულთა და მეორე თვით საქმესა მას წარმოადგენს სახელებრ დამნიშვნელობითა.

ვ. სენტაქსსა შინა სათანადო არს დადებად სამნი ლექსნი, რათა ჰაზრი ცხად იქმნეს.

ზ. თხზულსა სიტყვასა შინა მდებარესა პირველსა ლექსსა თანა ამს ქვემდებარე ყოფად მოქმედებისა

ც. თხზულსა სიტყვასა შინა ჯერარს, რათა შესამეზან ლექსმან ცხადპყოს პირველი ლექსი ქვემდებარედ მოქმედებისა.

თ. მეოთხე ლექსი და კვეთებით შესრულ სიტყვასა შინა, რომელიცა ჰყოფს განკიდებასა მოქმედებისა ვითარებისასა, წოდებულ (არს) საძიებოდ ბუნებისად.

ი. გარდა სახელისა და ზმნისა არცა ერთი სიტყვის ნაწილთაგანი არს საჭირო თხზვისათვის ლექსთასა, ვინადგან ოდესმე დაიდებიან თხზვასა შინა ლექსთასა და ოდესმე არა თხოვისამებრ ბუნებისა.

ია. კითხვითნი ლექსნი უცვალებელად საჭირო არიან, რათა დაიდვნენ თხზვასა შინა ლექსთასა.

იბ. ბრწყინვალე ყოფისათვის ჰაზრთა და ხმათასა საჭიროდ შერაცხილ არიან ნიშანნი-მართლწერისანი, გარდა რომელთასა ბნელ იქმნების სიტყვა უფროსლა მაშინ, ოდესცა სიმრავლე ლექსთა არს შეყრილ.

* * *

ა. ღრამბატიკა არს ცნობა ესევეთარი, რომელიცა გარდამოსცემს განყოფითად ყოველთა კაცობრივთა სიტყვიერებითთა აღნაქესთა. მაშა, ყოველთა

¹ სიბრძნეთა მასწავლებელს—ა. ბ.

სიტყვიერებითა ცნობათა ამის მიერ მოაქვს მდგომარეობა თვისი. ღრამმატიკასა ძალუძს, რათა ყოველნი ძნელნი აღნაქესნი საგულხზოდ განჰკარგულ-ჰყოს, რომლითაცა მოსცეს ცნობა საქმისა განრჩევით მოქმედისა და ვნებულისა, და ვინადგან ყოველსა შინა სიტყვიერებისა ცნობათა გარდმოცემიან ჰაზრნი საქმისა მოქმედითურთ და ვნებულთ. და ღრამმატიკასა ძალუძს ოდენ გამოძიება ამის კანონიერად, ვინა ყოველთა სიტყვიერებითა ცნობათა მოაქვს ამის მიერ ძალი.

ღრამმატიკა არს სწავლა ყოველთა კაცობრივთა გამოხმობათა და დაწყებული მუნით. სადიდგანცა შესაძლებელ არს, პარტიებისა ხმისა წარმოება ვიდრე შესრულებადმდე სიტყვისა, ე. ი. ა. ვიდრე სრულებადმდე ჰაზრისა. და ვინადგან ყოველთა სიტყვიერებისა აღნაქესსა ამის მიერ მოაქვს მდგომარეობა თვისი.

ბ. ღრამმატიკასა გარდა ვანრჩევით გარდამოცემისა ყოველთა სიტყვიერებითა აღნაქესთა, რომელთაცა მოაქვს მის მიერ მდგომარეობა თვისი, აქვს ფრადი სარგებლობა და საჭიროება ამისთვის, ვინადგან კაცი ნიჭებულ არს სიტყვიერებითა, რომლითაცა მოაქვს უპატიონესობა სხვათა ცხოველთა ზედა.

ხოლო სიტყვიერებისა ამის მიხეზი ესე არს, რათა ჰაზრი თვისი გამოუცხადოს სხვათა. და უკეთუ არ უწყვი ცხადყოფა სიტყვის შეწყობისამებრ საღრამმატიკოსისა ხელოვნებისა, და ანუ უკეთუ ვერ შევემეცნები ჰაზრთა სხვათა ჩემდამო წინამდებარეთასა — მცალითებრ წინა დავჰსდებ და გეტყვი ვითარმედ „თანამდებ ვართ ჩვენ მაღლობად“ და თუ არა უწყვი შენ წესი საღრამმატიკოსსა ხელოვნებისა, მაშინ გეოცნების ვითარმცა სრულვკაცე მე ჰაზრი ჩემი. მაგრამ შეცდები, ვინადგან ითხოვს აქა წესი ღრამმატიკოსობითისა ხელოვნებისა ძიებულსა ხმისა მისგან უჩინოსა ამას, ვითარმედ „თანამდებ ვართ ჩვენ მაღლობად მეფისა ირაკლისა“. და კვალად აქა ეოცნების ვითარცა უმეცარსა ღრამმატიკოსობითისა ხელოვნებისასა, ვითამც სრულება მიიღო სიტყვამან. მაგრა არა, ვინადგან ღრამმატიკოსობითისა ხელოვნება ეძიებს სხვასა სიტყვასა სრულმარყოფსა ჰაზრისასა ამას, ვითარმედ „თანამდებ ვართ ჩვენ მაღლობად კეთილმსახურისა მეფისა ირაკლისა ესე ვითარისათვის მამებრივისა მოწყალეებისა მისისა, რომლითაცა ენა — ბრგვნილებისა ჩვენისა აღტყვებასა შეეწა“.

ვინა ღრამმატიკა არს საჭირო შემეცნებისათვის ჰაზრისა, და ესე ვითარისა გონებისა განსვენებულთა ძიებათათვის არს ცნობა აზნაურებითი.

გ. მაშა, ოთხი იგი ნაწილი უმთავრესნი საღრამმატიკონი არიან საფუძველნი და დასაბამნი კაცობრივისა ცნობისანი.

ვინაიდან ყოველი ჰაზრი შემეცნებულ იქმნების სხვათადმი ვითარითამე ნიშნითა, რომელთა ნიშანთა შორის უმარჯვესი და უსახარესი არს ხმა ნაწვეროვანი, ე. ი. ა. ხმა სიტყვიერი, რომელიცა ცხად იქმნების და დაიხატების მოძრაობითა ბაგეთა და სხვათა მახლობელ მისთა მდებარეთა კერძოთაგან, ე. ი. ა. კბილთა, ენისა, სასისა, ხორხისა და ნესტოთა საყნოსელთასა, რომელთა სხვადასხვათა ძლით მოძრაობათასა სხვად და სხვად გამოსცემენ ხმათა. და ამისებრ სხვაობენცა წიგნი ანბანად წოდებულნი; ვინადგან აღსმისათვის ძლით ბაგეთასა წარმოებს ხმა მოკრძედ სწორე და ხმა ესე დანიშნულ არს ასოითა ანით, და მცირედ დახრასა ქვემისა ბაგისასა გამოხმობილი ხმა დანიშნების ასოითა ნეთ, და მცირედ განხმითა ბაგეთათა და არა მოძრაობითა გამოსრული ხმა დანიშნულ

არს ინითა, ბაგეთა მოხუჭვით მომრგვალებულთა მიერ წარმოებული ხმა დანიშნული არს ინითა, ხოლო ესრეთითა მდგომარეობითა ბაგეთა და მცირედ წინარე წარმოყიდებითა გამოსრული ხმა არს დანიშნულ უნითა.

ხოლო ასონი ესე ჩვენისამებრ ხელოვნებისა იწოდებიან ხმოვანად, ვინადგან მარტივთა მიერ წიგნთა მარტივი ხმანი დანიშნვიან. ხოლო სხვანი დაშთობილნი ასონი იწოდებიან უხმოდ ამისთვის, ვინადგან თვინიერ ხმოვანისა თანაშეწებითა ვერ შემძლებელ არიან მარტივთა გამოხმობათა დანიშვნად. ვითარ ხანი ბაგეთა ურთიერთარს მჭირსდ ქლიერად შეხებითა თვინიერ ხმოვანისა რომლისამე ვერ სადამე დამნიშვნელ არს ხმისა მარტივისა. და განი მცირედ ხორხისა მოძრობითა ვერ სადამე დამნიშვნელ არს ხმისა, უკეთუ არა შეერთდა ხმოვანსა რომელსამე. და ესრეთ სხვანი.

ხოლო რათა გამოხმობა თავისუფალი შეწებითა ასოთათა იქმნას, ესე წოდებულ [არს] მარცვლად, და შეწებული და შედგმული მარცვალთა მიერ ხმა დამნიშვნელი ნივთისა ანუ საქმისა—იწოდების ხმად დამნიშვნელად, რომელსაცა ვჰრაცხთ ჩვენ მესამედ უმთავრესად ნაწილად ღრამმატიკისად, რომელ არს ლექსი. ხოლო ლექსნი ესე შეყრილნი ურთიერთარს და ცხადმყოფელნი სრულებით კაცობრივისა ჰაზრისანი—იწოდების სიტყვად. ვინა ამის მიერ უმთავრესნი ესე ნაწილნი ღრამმატიკისანი არიან დასაბამნი ყოვლისა კაცობრივისა ცნობისანი.

დ. თუმცა ვგრეთ დაამტკიცებ შენ, მაგრამ ცხადყოფისათვის წერილობითისა აღნაქსისა საჭიროდ დაიდებიან სახელი და ზმნა. ვინადგან ყოვლისა მემართ ჰაზრისა შემეცნებისა ჯერარს პირველად ცხადყოფა ნივთისა, რომელიცა დანიშვნის სახელით და მერე ცხადყოფა მოქმედებისა მის ნივთისა, რომელიცა დანიშვნის ზმნითა. ვინა სახელი და ზმნა უსაჭიროესნი არიან ლექსნი ცხადყოფისათვის ჰაზრისა.

ე. მართალ არს, ვითარმედ შემეცნებასა შინა ჰაზრათასა საჭიროდ დაიდებიან ორნი იგი ლექსნი, რომელ არს სახელი და ზმნა, გარნა შემეცნებისათვის ქემდებარე ყოფისა მოქმედებისა და ვნებისა ფრიად სახმარ არს მიმლობა, და შემეცნებისათვის თვით საქმისა—სახელზმნა. მაგალითებრ ცხადყოფილ ჰაზრას ჩემსა შენდამი, ვითარმედ „ექსწერ მე წიგნსა“, რომელსა აქა უკეთუ მკითხვიდე მე, ვითარმედ „რაი არს საქმე ეგე?“ მოგივებ, ვითარმედ „წერა“—აჰა, სახელზმნა, რომლითაცა ცხადიქმნა საქმე იგი. და კვალად უკეთუ მკითხვიდე მე, ვითარმედ „ეინ არს მოქმედი?“ მოგივებ, ვითარმედ „მოწერალი“—აჰა, მიმლობა ცხადყოფი მოქმედებისა. და კვალად ოდეს მკითხავ, ვითარმედ „რაი იმოქმედების?“ მოგივებ, ვითარმედ „წერილი“. და ესეცა მიმლობავე არს მნიშვნელი მოქმედებულისა. ვინა მიმლობა და სახელზმნა საჭირო არიან შემეცნებისათვის ჰაზრათასა.

ვ. შემეცნებისათვის ჰაზრათასა და ცხადყოფისათვის მისისა საჭირო არს, რათა დაიდენეს სამნი ლექსნი: ერთი მნიშვნელი მოქმედისა, მეორე—მნიშვნელი მოქმედებისა და მესამე მნიშვნელი ვნებულისა. მაგალითებრ, ოდეს წინა დავსდებ შენდამი, ვითარმედ „მე მისწავიეს ღრამმატიკი“ აქ არს ლექსი სამი: ერთი მნიშვნელად მოქმედისა, რომელ არს ნაცვალსახელი ესე „მე“ ნაცვლად სახელისა ამის. ხოლო მეორე ლექსი არს ცხადყოფი მოქმედებისა, რომელ არს „მისწა-

ვიეს“ და მესამე ლექსი მნიშვნელოდ მოქმედებულისა, რომელ არს „წერილი“ [?] [უნდა: ღრამბატიკაი.]

ზ. ყოვლისა აღნაქესა შინა სათანადო არს ძიებად საქმე და მოქმედი მისი, ე. ი. ა. ვისდაცა განკუთვნად ჯგერარს საქმე იგი, რათა შესმენილ იქმნას მის ზედა მოქმედება იგი. მაგალითებრ, ოდეს ვიტყვი ვითარმედ „აღვიარებ ერთსა ღმერთსა შემოქმედსა ყოველთასა“—მაშინ მოქმედი ვარ მე და, მაშა, ქვემდებარეცა აღსარებისა მის ღვთისა. და ამისთვის სათანადო არს, რათა აღნაქესსა შინა პირველი ლექსი ცხად იქმნეს ქვემდებარედ მოქმედებისა.

ც. მართალ არს, რათა პირველი ლექსი აღნაქესსა შინა ცხადიქმნეს ქვემდებარედ მოქმედებისა, მაგრა თვინიერ მესამისა ლექსისა შეუძლებელ არს, რათა განარჩევით ცხად იქმნეს ქვემდებარეობა მისი განკუთვნით, ვითარ მაგალითსა შინა შენსა ვითარმედ „აღვიარებ...“ რომელიცა თუმცა ქვემდებარე გყოფს შენ მოქმედისა, რომელ არს აღსარებისა, გარნა არა სცნაურ არს თუ რაისა აღიარებ. და ოდეს ზმნასა მას დასძინებ თვისგან ძიებულსა რომელ არს ლექსი მესამე, ესე იგი „ერთსა ღმერთსა“, მაშინ განარჩევით ცხად იქმნები ქვემდებარედ ერთისა ღვთისა აღსარებისა. ვინა მესამე ლექსი არს ცხადყოფი პირველისა ლექსისა ქვემდებარეობისა.

თ. თუმცა მესამე ლექსი ითანამდებებს საქმისა მისი ქვემდებარედ ცხადყოფასა პირველისა ლექსისასა, გარნა შეზღუდვის რათა მეოთხეცა ლექსი დასჭირდეს უბრწყინვალეს ცხადყოფისათვის პირველისა ლექსისა ქვემდებარეობისასა. რომელსაცა უწოდთ ჩვენ მეოთხესა მას ლექსსა ბუნებითსა საძიებოდ ზმნისა. მაგალითებრ, „მიავლინა ღმერთმან ცეცხლი სახიდ აზაილისად“. აქა თუმცა ცხად არს მესამითა ლექსითა ღმერთი მიმავლინებულად ცეცხლისა, გრნა საზოგადოსა ძლით ცეცხლის მივლინებზსა ვერ ვჰსცნობთ პირველისა ლექსისა გარჩევით ქვემდებარეობასა. და ოდეს დავსძინებთ, ვითარმედ „მიავლინა ღმერთმან ცეცხლი სახიდ აზაილისა“ მაშინ მეოთხე იგი ლექსი ჰყოფს განკიდებასა მოქმედებისასა „სახიდ აზაილისა“. და ესრეთ პირველი იგი ლექსი ცხად იქმნების „მიმავლინებულად ცეცხლისა სახიდ აზაილისა“.

ი. რვა რიცხვად განყოფილთა მათ შორის ნაწილთა სიტყვისათა უპირველეს საჭიროებად დაიდებიან სახელი და ზმნა. ხოლო სხვანი დაშთომილნი დაიდებიან მაშინ, ოდესცა იღვანი რეთთა და საქმეთანი შეკრბებიან ერთად. მაგალითებრ: „მიწყალე მე, ღმერთო, დიდითა წყალობითა შენითა, და მრავლთა მოწყალებითა შენითა აღზოცე უსჯულოება ჩემი“. აქა მხოლოდ ჰაზრისა ცხადყოფელად საჭირო არს „აღზოცა“ ცოდვათა ღვთისა მიერ, ხოლო სხვანი ნაწილნი სიტყვისანი არა არიან საჭირო დადებად. თუმცა ვითარ ყოფისათვის სახელისა და ზმნისა დადებულ არიან სხვანიცა ნაწილნი სიტყვისანი, გარნა არა საჭიროდ.

ია. ყოველისა სიტყვიერებითისა აღნაქესისა ჰაზრისა შემეცნებასა შინა საჭირო არს საკითხავთა ლექსთა ხმარებად. რამეთუ ოდეს გენებოს შემეცნება სიტყვისა ამის, ვითარმედ „ესრეთ ბრწყინევიდნი ნათელი თქვენი წინაშე კაცთა, რათა იხილნენ საქმენი თქვენნი კეთილნი და აღიდებდნენ მამასა თქვენსა ზეცათასა“. ამას შინა უკეთუ გნებავს შემეცნება ჰაზრისა, მაშინ თანა გაძს გამო-

ძიებად საკითხავითა ესრეთა: „ბრწყინევიდნი“; იკითხებიან თუ „რაი ბრწყინევიდნი?“ მიეგების — „ნათელი“, ვისი? — თქვენი. ვითარ ბრწყინევიდნი? — ესრეთ. წინაშე ვისა ბრწყინევიდნი? — წინაშე კაცთა. რათა ბრწყინევიდნი? „რათა იხილნენ საქმენი თქვენნი კეთილნი. ვინ იხილნენ? — კაცთა. რა იხილნენ კაცთა? — საქმენი. ვითარნი საქმენი? — კეთილნი. ვისნი საქმენი კეთილნი? თქვენნი. და რა ჰქმნან ხილვითა მით საქმისა კეთილისათა? და აღიდებდენ მამასა თქვენსა ზეცათასა. ვინ აღიდებდენ? — კაცნი მხილველნი კეთილთა საქმეთანი. ვის აღიდებდენ? — მამასა. ვითარსა მამასა? — ზეცათასა. ვისსა მამასა? — თქვენსა.

ვინა საჭირო არიან საკითხავნი ლექსნი შემეცნებასა შინა ჰაზრთასა.

იხ. ნათელყოფისათვის ჰაზრთასა სათანადო არიან ხმარებად აღნაქესა შინა ღრამმ[ატკასა] ნიშანი რაიმენი, რომელთა ძლით აღნაქესი იგი სულის კვეთითა აღმოიკითხების, რომელიცა განიყოფების არასრულად, სრულად და დასასრულად. არასრულსა ნიშანსა ეწოდების მიმე (,) , სრულისასა წერტილი (.) და დასასრულისასა ორი წერტილი (:)

მიმე ზგი ცხადყოფს ერთსა შინა სიტყვასა სხვათა და სხვათა ღექსთა ერთებრისა ჰაზრისა მექონთ ზნათა ანუ სახელთა. მაგალ. სიბრძნე და სწავლულობა: არიან სათნოებანი კეთილნი. შევიყვარებ და შეუდგები სიბრძნესა: ხოლო წერტილი სრულყოფასა ერთისა ჰაზრისასა ცხადჰყოფს. მაგ. შეუდგებით სიბრძნესა. რათა საუკუნოდ შედგობდეთ. და უკანასკნელ ორი იგი წერტილი დაისხმის შესრულებასა ზედა ყოვლადისა ჰაზრისასა. რომელსაცა მრავალნი სიტყვანი უპყრიან თვის შორის. მაგ.: უგუნური უმრავლესთა იკითხვენ. გარნა ბრძენი და გონიერი მცირეთა მიუგებნ:

III. საზღვარი ღრამმაჰქმნისა

ღრამმატიკა არს შემძლებლობა მართლუნობად და წესიერ-წერად. ღრამმატიკის უმთავრესნი ნაწილნი არიან ოთხნი: 1. წიგნი, 2. მარცვალი. 3. ლექსი და 4. სიტყვა.

საზღვარი წიგნისა: წიგნი არს ღრამი ნაკვეთი რაიმე მნიშვნელი ყოვლისა წერილისა. საზღვარი მარცვლისა: მარცვალი არს ოხვრა (ოხრუა) რაიმე ნაწიეროანი ასოისა ძლით შედგმული, ანუ მარტავი.

საზღვარი ლექსისა: ლექსი არს ნიშანი მოგონებისა ნებისაებრ ჩენისა.

საზღვარი სიტყვისა: სიტყვა არს შეერთება ლექსთა ცხადყოფი მოგონებისა. სიტყვა განიყოფება ორად: სრულად და უსრულად. სიტყვის ნაწილი არიან რვა: 1. სახელი, 2. ნაცვალ სახელი, 3. ზმნა, 4. მიმღობა, 5. კავშირი, [6 — 7?] და 8 შორისდებული.

საზღვარი სახელისა: სახელი არს ნაწილი სიტყვისა განმრჩევი წოდებით თვითონისა მყოფთა არსებისა. სახელი განიყოფება ორად: არსებითად და ზედ-შესრულად. არსებითი სახელი განიყოფება სამად: მხოლოდობითად, საზოგადოდ და შეკრებულობითად. ზედშესრული სახელი განიყოფების სამად: დადებითად, შემსგავსებისად, და უდადებითესად. სახელის მდევარი არიან ხუთნი: 1. ნათესავი. 2. ნაკვეთი, 3. სახე. 4. რიცხვი, 5. ბრუნვა. ნათესავი განიყოფება ოთხად:

მამრობითად, მდედრობითად, საზოგადოდ და უმეშვეობითად. ნაკვეთი განიყოფება ორად: მარტივად და რთულად. სახე განიყოფება ორად: პირველ—სახედ და სხმით-გარდასვლითად, რიცხვი განიყოფება ორად: მხოლოდობითად და მრავლობითად. პრუნვანი არიან რვანი: წრფე[ლობითი], ნათესაობ[ითი], მიცემითი, შემას[მწენლობითი], დარწყებითი, მოთქრობითი, მოქმედებითი, წოდებ[ითი], კერძობითი სახელნი არიან ესენი: რომელიმე, ვინ, ვინმე, ზოგი და რაიმე.

საზღვარი ნაცვალსახელისა: ნაცვალსახელი არს ნაწილი სიტყვისა განმრჩევი ზედწოდებით არსებისა პირობითად. ნაცვალსახელი განიყოფება ოთხად: 1. არსებითად, 2. ჩვენებითად, 3. მოგებითად, 4. კვლა-მოღებითად. კვლა-მოღებითი განიყოფება ოთხად: 1. კერძობითად, 2. კითხვითად, 3. კვლა-მოღებითად 4. კავშირად. ნაცვალსახელის მდევარნი არიან ექვსნი: 1. ნათესავი, 2. ნაკვეთი 3. სახე, 4. რიცხვი, 5. პირი, 6. ბრუნვა. ნათესავი ნაცვალსახელისა განიყოფება სამად: 1. მდედრობითად, 2. საზოგადოდ და 3. უმეშვეობითად. ნაკვეთი განიყოფება ორად: მარტივად და რთულად. სახე განიყოფება ორად: პირველ-სახედ და სხმით-გარდასვლითად. რიცხვი განიყოფება ორად: მხოლოდობითად და მრავლობითად. პირი განიყოფება სამად: პირველ პირად, მეორედ და მესამედ.

საზღვარი ზმნისა: ზმნა არს ნაწილი სიტყვისა განმრჩევი არსებისა ყოფისა ქმნათა და ენებათა მისთა დროებითად. ზმნა განიყოფება ორად: კანონიერად და უკანონოდ. ზმნა წარმოდგების ყოველთა სიტყვის ნაწილთაგან, გარდა ნაცვალ-სახელისა და ნაცვალსახელისაგან პიროვნებს. ზმნის მდევარნი არიან რვანი: 1. ნათესავი, 2. ნაკვეთი, 3. სახე, 4. რიცხვი, 5. პირი, 6. დრო, 7. სქესი, 8. უღ-ლეა. ნათესავი განიყოფება სამად: შემოქმედებითად, ვნებითად და უმეშვეობითად. უმეშვეობითი განიყოფება ორად: ხატ-შემოქმედებითად და ხატ-ენებითად. ნაკვეთი განიყოფება სამად: მარტივად, რთულად და ზედ-დადებულად. სახე განიყოფება სამად: პირველ-სახედ, სხმით-გარდასვლითად და მრჩობლ-სხმით-გარდასვლითად. რიცხვი განიყოფება ორად: მხოლოდობითად და მრავლობითად. პირი განიყოფება სამად: პირველ პირად, მეორედ და მესამედ. დრო—სამად: აწყმოდ, ნამყოდ და მყობადად. დრო ნამყო განიყოფება ოთხად: უსრულად, სრულად, უსრულესად და უუსრულესად. სქესი განიყოფება ხუთად: საზღვრებითად, ბრძანებითად, საწადად, უკეთუობითად და განუსაზღვრებულად (ესე იგი უწინოდ). მთულღებელი ზმნათანი არიან რვანი: 1. ა, 2. ე. 3. ო, 4. ი, 5. ო, 6. უ, 7. ვ, 8. ჯ.

ზმნანი პირნაკლი არიან ექვს ხატნი: პირველი ხატი არს შეგკრავ და შეგკრავს. მეორე ხატი არს—შემკრავ და შემკრავს. მესამე ხატი—შემეკრვი და შეეკრვი. მეოთხე ხატი—შეგეკრვი და შეეეკრვი, მეხუთე ხატი: შემეკრვი და შემეკრვის, მეექვსე ხატი—თოვს, წვიმს, ელავს და თენდების.

ზმნათა შინა იცნობებიან ოთხნი რაიმენი: 1. ძირი ზმნისა, 2. ასონი მათულღებელი, 3. წიგნი მაპიროვნენი. 4. ნიშანი მამრავლენი.

საზღვარი სახელზმნისა: სახელზმნა არს გარჩევა წოდებით მნიშვნელი ქმნისა ანუ ენებისა. სახელზმნა შეიწყნარებს ყოველთა მდევართა სახელისათა გარდა ნათესავისა და შეიწყნარებს რომელთამე მდევართა ზმნისათა: 1. ნათესავსა, 2. ნა-

კეთსა და 3. რიცხვსა; და ამისთვის ეწოდების სახელზმნად. განუსაზღვრებელი წარმოდგების სახელზმნათაგან. განუსაზღვრებელსა ემდევრების დრო აწმყო და მყოლობადი. განუსაზღვრებელის აწმყოს დროს ნიშანი არიან „ად“, „ის“. მაგალითი: ხარებად შეიწყნარებს. „ის“ მაგალითი: უკეთუ გნებავს შეწყნარებოს (sic) იგი არს ილია, რომელ მოვალს.

განუსაზღვრებელი მყოობადსა დროსა შინა იქმნების ნიადაგ ვნებითად და აქეს ნიშნად მყოობადსა დროსა შინა „დი“ მაგალითად: წერად.

საზღვარი მიმღეობისა: მიმღეობა არს ნაწილი სიტყვისა ცხადმყოფი ნივთის მყოფისა ქმნათა და ვნებათა მისთა დროებითად. მიმღეობა მიიღებს სამთა დროთა: აწმყოსა, ნამყოსა და მყოობადსა. მიმღეობა აწმყოს დროში არს შემოქმედებითი, ნამყოსა და მყოობადში არს ვნებითი.

მიმღეობა შეიწყნარებს რომელთაზე მღევართა ზმნისათა, ესე იგი ნათესავსა, ნაკეთსა, სახესა, რიცხვსა და დროსა. მიმღეობა შეიწყნარებს ხუთთაყე მღევართა სახელისათა.

საზღვარი თანდებულისა: თანდებული არს ნაწილი სიტყვისა, რომლითა იცხადებიან გარემონი არსებისანი. ბუნება თანდებულთა არს მიღება ძიებათა პირად-პირადად; და მით უკვე იცხადებიან თუ რომელსა არსებასა ეგარემოებიან. მაგალითად: წინარე, უკან, შორის, ესე არს თვისება თანდებულისა—არ მნიშვნელობა არსებისა ანუ არსისა, არამედ გარემოთა მისთა.

სადაცა ბრუნვილისა სახელისა თანა არა მდებარეობდეს თანდებული, მუნ ცნობასა მოკცემს თვისსა, ვითარმედ ზედშესრულ სახელგეს.

საზღვარი ზმნისზედისა: ზმნისზედა არს ნაწილი სიტყვისა ცხადმყოფი არსისა რომელობათა ქმნათა მიმართ ანუ ვნებათა. ზმნისზედა განიწვალების ოთხად: ვითარებითად, რაოდენობითად, ოდესობითად და სადაობითად. ხოლო ყოველნი იგი ზმნისზედანი ოთხთა ამათ ნათესავთა ეშედრგინებიან.

საზღვარი კავშირისა: კავშირი არს ნაწილი სიტყვისა, რომელი მოჰკიდებს ურთიერთარს შეწევით ლექსთა ანუ სიტყვათა სრულთა ანუ უსრულთა. თვისება კავშირისა არს ვითარმედ არცა იბრუნვის სახელეზბრ და არცა იუღლვის ზმნეზბრ, გარნა ოდესმე ხმელ იქმნების ზმნისზედაეზბრ.

საზღვარი შორისდებულისა: შორისდებული არს ნაწილი სიტყვისა ცხადმყოფი ვითარებათა სხვათა და სხვათა პსიხისა ვნებითა. არ არს მნიშვნელ არსებათა შორისდებული, არამედ ვითარებათა ვნებისა უსხეულოთა არსებისათა.

იწვალების შორისდებული პირად-პირადთა მიმართა სახეთა. არა ჰსდევნენ გარემონი, ესე იგი მღევარნი ვითარმედ ნათესავი აქეს, არცა ნაკვეთი, არცა სახეი, არცა რიცხვი, არცა ბრუნვა, არცა უღლვა, არცა დრო, არცა პირი. შორისდებული არ არს ვნება პსიხისა, არამედ მნიშვნელი ვნებისა.

საზღვარი სვინტაქსისა: სვინტაქსი არს განკარგვა წესიერ თანხმობითი ნაწილთა ზელოვნებითსა ყოვლადსა შინა. სიტყვის ნაწილთა თანხმობა არს ოთხგვარად: 1. ზმნა სახელისა თანა, 2. არსებითი ზედშესრულისა თანა, 3. წინამსბროლი კვლავ-მიმღებისა თანა, 4. კითხვა მიგებისა თანა. 1. ზმნა და სახელი თანხმობს რიცხვითა და პირითა. 2. არსებითი და ზედშესრული თანხმობს რიცხვით-

თა და ბრუნვითა. 3. წინამძსრბოლი და კვლავ-მიმღები ნაცვალსახელი თან-
ხმაობს მხოლოდ რიცხვითა. 4. კითხვა-მიგება თანხმაობს მხოლოდ ბრუნვითა.

სიტყვის ნაწილნი რომელნიცა ითხოვენ ძიებათა არიან ესენი: 1. ყოველი
ზმნანი პიროვანი, 2. განუსაზღვრებლნი. 3. სახელზმნანი, 4. მიმღობანი, 5. სა-
ხელნი ზედშესრულნი, 6. თანდებულნი.

ძიება არს ორგვარ: ნათესაობითი და ბუნებითი. შემოკმედებითი ზმნა მიი-
ღებს ნათესაეისამებრსა და ბუნებრთისა. უმეშვეობითი ზმნა მხოლოდ ბუნების
ძიებასა. ყოველნი ზმნანი შემოკმედებითნი მიიღებენ საძიებლად ბრუნვითა
წრფელობითთა, მიცემითთა და შემასმენელობითთა.

კითხვისა და წერის შესწავლის მეოთხედი ძველ საქართველოში

ჩვენს სკოლებში დღეს კითხვასა და წერას ორი მთავარი მეთოდის საშუალებით ასწავლიან. ერთ მეთოდს ბგერითი ანალიტურ-სინთეტური ეწოდება, მეორეს—მთლიან სიტყვათა, ანუ ამერიკული მეთოდი. პრაქტიკაში ხშირად გვხვდება ამ ორი მეთოდის თავისებური სინთეზი, შერწყმა, რაც მესამე მეთოდს იძლევა, შერეულს.

ეს მეთოდები პრინციპულად განირჩევა იმ მეთოდისაგან, რომლის მიხედვით ძველად წარმოებდა კითხვისა და წერის შესწავლა. ძველ მეთოდს ანბანთა მეთოდს უწოდებენ, სულხან-საბა ორბელიანის ტერმინოლოგიით კი შეგვიძლია ვუწოდოთ „სწავლა ანბანურად“. ეს მეთოდი გასული საუკუნის მეორე ნახევრამდის ბატონობდა პედაგოგიკაში. შემდეგ კი ფეხი მოიკიდა და სწრაფადაც გავრცელდა სახმო ანუ ბგერითი მეთოდი, რომლის სამშობლოდ გერმანია ითვლება.

„სწავლა ანბანურად“ ყველა განათლებულ ხალხებში იყო გავრცელებული. აპრიორულად და ისტორიული საბუთის უწინარესად ვამბობდით, რომ ეს მეთოდი, ალბად, არსებობდა ძველ საქართველოშიცო. მაგრამ ქვემო მოყვანილი უტყუარი ცნობების შემდეგ ურყევი ისტორიული საბუთი მოგვეპოება ალბათობით გამოთქმული აზრის დასამტკიცებლად. ამის უტყუარ საბუთს ერთის მხრივ იძლევა მე-17-18 ს. ს. მოღვაწე ს. ს. ორბელიანი (1658—1725 წ.) და მეორეს მხრივ ჩვენი ლიტერატურის ის ყანრი, რომელსაც „ანბანთ ქებას“ უწოდებენ და, რომელიც ჯერ კიდევ თეიმურაზ I (1591—1663 წ.) ლექსებში გვხვდება.

ს. ს. ორბელიანის ლიტერატურული მემკვიდრეობა იმაზე უფრო მდიდარი აღმოჩნდა, ვიდრე დღემდის გვეგონა. გარდა მხატვრული ლიტერატურისა, მას მოღვაწეობა გაუწევია პედაგოგიურ სფეროშიც. მისი ცნობილი ლექსიკონის პირველ გამოცემას (1884 წ.), რომლის რედაქტორ-გამომცემელი პოეტი რაფ. ერისთავი იყო, წინ მიუძღვის ასეთი განყოფილება: „ანბანი პირველად სასწავლო ყრმათათვის“ (XVII გვ.). ოდნავი დაკვირვება საჭირო, რომ ს. ს. ორბელიანის მხოლოდ ერთ ნახევარ გვერდზე მოთავსებულმა ცნობებმა ნათლად დაგვარწმუნოს, რომ აქ საქმე გვაქვს წერა-კითხვის სწავლების ანბანურ მეთოდთან. ამ მეთოდის მიხედვით მოწაფეს ჯერ მტკიცედ უნდა გაეზიარებინა თავიდან ბოლომდე მთელი ალფაბეტი. გაზიარების შემდეგ უნდა გამოეცნო თითოეული ასო.

და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება მეორე ნაბიჯის გადადგმა—ამოსაღებზე გადასვლა, ე. ი. ამოკითხვის დაწყება.

ს. ს. ორბელიანის მასალაში ზუსტად არის ეს მომენტები დატული. პირველად იგი იძლევა რიგზე დალაგებულ ქართულ ალფაბეტს, რომელშიც 39 ასოა: მოვიყვანოთ ეს ალფაბეტი:

ა, ბ, გ, დ, ე, ე, ზ, ც, თ, ი, კ, ლ, მ, ნ, ა, ო, პ, ჟ, რ, ს, ტ, უ, ვ, ფ, ქ, ლ, ყ, მ, ჩ, ც, ძ, წ, ჭ, ხ, კ, ჯ, ჰ, ჳ, ფ.

მთელი ალფაბეტის ასეთნაირად მოცემის შემდეგ, ორბელიანი თითოეული ანბანის სახელწოდებას იძლევა:

ა, ან, ბ, ბან, გ, გან, დ, დონ, ე, ენ, ვ, ვინ, ზ, ზენ, ც, ცე, თ, თან, ი, ინ, კ, კან, ლ, ლას, მ, მან, ნ, ნარ, ო, ონ, პ, პარ, ჟ, ჟან, რ, რაე, ს, სან, ტ, ტარ, უ, უნ, ვ, ვე, ფ, ფარ, ქ, ქარ, ლ, ლან, ყ, ყარ, შ, შინ, ჩ, ჩინ, ც, ცან, ძ, ძილ, წ, წილ, ჭ, ჭარ, ხ, ხარ, კ, კარ, ჯ, ჯან, ჰ, ჰე, ჳ, ოე, ფ, ფა.

ამ ალფაბეტს ბოლოში მიწერილი აქვს ასე: „და, ესე სიტყვის შემკვრავია, რომელსაც ზეით ანი უჯდეს“. ფ-ს შესახებ ორბელიანი სწერს: „ესე ფარსა და ვეს საშუალად ითქმის. ძველს წიგნში ახლა ეიპოვეთ, სხვათა ენის თარგმანებათა შინა, ფრიად საკმარი არს, ამისათვის ბოლოს დავსვი და ზეით ანი აზის, სიტყვის შემკვრავია და თუ გვერდით დაუსვან, სიტყვის რიგია. ყოვლის ენის ანბანთა ბოლო უწერია მეც ამისათვის ჩაურთე“.

ამოსაღებზე გადასვლა, ანუ ამოკითხვის პროცესი ყველაზე ძნელი საქმე იყო ანბანთა მეთოდის მიხედვით, ეს იყო ამ მეთოდის აქტიულის ტერფი და სწორედ ამ ტერფის სისუსტემ დაღუპა იგი.

ვთქვათ, მოწაფემ გაიზეპირა ალფაბეტი და დაიხსომა თითოეული ასოს მონახულობა, ახლა ამოსაღებზე უნდა გადავიდეს. ამოსაკითხავად მისცეს, მაგალითისათვის, სიტყვა: მამა. ალფაბეტის გაზეპირების პროცესში ამ ასოების სახელები მან ასე დაისწავლა: მან-ან, მან-ან. მთელი საიდუმლოება იმაში იყო ჩამარბული, თუ რა გზით უნდა მიხედრილიყო ბავშვი, რომ აქ დაბეჭდილია მამა და არა მან-ან მან-ან. უფრო რთული სიტყვა საქმეს კიდევ უფრო ართულებდა. მაგ.. სიტყვა ხელი პირველად ასე უნდა ამოკითხა: ხანანლასინ და შემდეგ უნდა მიხედრილიყო, რომ აქ ხელი ეწერა.

ამ პროცესის გასაადვილებლად მიმართავენ შემდეგ საშუალებას: ცალკე მარცვლების დაზეპირებას სწორედ ასეთის წესითა და თანამიმდევრობით, როგორც ეს აქვს ს. ს. ორბელიანს.

ალფაბეტის შემდეგ ორბელიანის ლექსიკონში ვკითხულობთ: „მეორედ კმარება ანბანის რიგისა, სადა კმიანი ასო საკმარ არს რიგითა“. შემდეგ მოყვება ასეთნაირად დალაგებული მარცვლები:

ბა	ბე	ბი	ბო	ბუ
ვა	ვე	ვი	ვო	ვუ
და	დე	დი	დო	დუ
ეა	ეე	ეი	ეო	ეუ
ზა	ზე	ზი	ზო	ზუ
თა	თე	თი	თო	თუ

კა კე კი კო კუ
 ლა ლე ლი ლო ლუ
 მა მე მი მო მუ
 ნა ნე ნი ნო ნუ
 პა პე პი პო პუ

ქა ქე ქი ქო ქუ და ასე ბოლომდის, ყველა თან-
 ხმოვანთან ხმოვანების მირთვით.

როგორც ხედავთ, თითოეულ თანხმოვანს თან უზის ერთი ხმოვანი. ქართულ-
 ალფაბეტში სულ არის 28 თანხმოვანი, თუ თითოეულ მათგანს ხუთ-ხუთჯერ
 მიეუმატებთ ხუთ ხმოვანს—ა, ე, ი, ო, უ,—სულ მივიღებთ 140 მარცვალს. თი-
 თოეული მარცვალი ასე უნდა დაეზეპირებინა ბავშვს: ბან ან-ბა, ბან ენ-ბე, ბან
 ინ-ბი, ბან ონ-ბო, ბან უნ-ბუ, გან ან-გა და ასე ბოლომდის.

როცა ასეთნაირად ბოლომდის იქნებოდა გაზეპირებული მარცვლები და თა-
 ნაც მხედველობის მხრით განმტკიცდებოდა ორი შეერთებული ანბანის მოხაზულო-
 ბის დახსომება, მაშინ შეიძლებოდა სიტყვების ამოკითხვაზე გადასვლა. ვთქვათ, ამ
 დროს ბავშვს წასაკითხავად მისცეს სიტყვა „ხელი“, რომელიც შედგება ორი
 მარცვლისაგან: ხე-ლი. ეს მარცვლები მას უკვე აქვს დაზეპირებული, ამიტომ მა-
 თი მოგონება და შეერთების შემდეგ ამოკითხვა შედარებით იოლი საქმეა. ს. ს.
 ორბელიანი სიტყვათა ამოკითხვის ამ უკანასკნელ საფეხურს ასე ასათაურებს:
 „მესამე სწავლა ანბანურად გენკის¹ გარჩევით პირველი ამოღებისა“. სათაურის
 შემდეგ მას მოყავს ამოსაკითხავად მარცვლებად დაწერილი „ლოცვა უფლისა“—
 „მამაო ჩვენო“ ბოლომდის. ეს ლოცვა, ალბათ, ჯერ ზეპირად იქნებოდა დას-
 წავლილი და მერე განიკუთვნებოდა ამოსაკითხავ მასალად.

გაზეპირების მომენტი ეჭვი არ არის, რომ ამოკითხვის პროცესს ერთობ დააჩ-
 ქარებდა.

ეს ლოცვა ასეა დამარცვლული: მა-მაო ჩუე-ნო, რო-მელ ხარ ცა-თა ში-ნა,
 წმი-და იყავნ სა-ხე-ლი შე-ნი და სხვ.

ამოსაღების დაძღვევის შემდეგ ანბანთა მეთოდის მიხედვით იწყებდნენ წერის
 შესწავლას. სწავლობდნენ ჯერ ცალკე ასოების წერას და მერე მთლიანი სიტ-
 ყვების დაწერას. ს. ს. ორბელიანს წერის დაწყების შესახებ არაფერი აქვს ნათ-
 ქვამი, მაგრამ უნდა ვივალისხსოთ, რომ ეს მომენტი ჩვენშიც იმ გზით მიდიოდა
 რა გზითაც მას სხვა ხალხებში უვლია. სხვაგან წერას სწორედ ისე სწავლობდნენ,
 როგორც ზევით ვთქვით.

უნდა აღინიშნოს, რომ ს. ს. ორბელიანის მიერ მოცემულ მარცვალთა და-
 ზეპირებაში გამოტოვებულია ერთი თვალსაჩინო საფეხური: სამ ბგერიანი მარ-
 ცვალი და მისი დაზეპირება, მაგ., სიტყვა „მა-მაო“ სამმარცვლოვანია—მა-მა-ო,
 ორბელიანს კი ორ მარცვლოვანად აქვს წარმოდგენილი მა-მაო; მეორე მარცვალ-
 შიკ სამი ბგერია შეერთებული; სიტყვა „ჩუე-ნო“, მართალია, ორ მარცვლად
 არის ორბელიანის მიერ მოყვანილი, მაგრამ პირველ მარცვალში სამი ბგერაა,
 მეორეში კი—ორი. ორბგერიანი მარცვალი, როგორც ვნახეთ, მოწაფეს დაზეპირე-

¹ გენკი—კერძოს დამნიშვნელი სახელია ს.ს. ორბელიანის „ქართული ლექსიკონი“ გვ. 56-

ბული აქვს და უნდა ვიფიქროთ, რომ ამოკითხავს, მაგრამ სამბგერიანის ამოკითხვა მას არ გაუზიარებია, მაშ საიდან შეძლებს ამოკითხვას? ეს საფეხური ორბელიანს გამოტოვებული აქვს.

ჩვენს ხელთ არის რუსულ ენაზე 1861 წელს გამოცემული საანბანო წიგნაკი „Новейшая полная Российская азбука“, რომელიც შედგენილია ანბანთა მეთოდის თანახმად. ამ წიგნის 27 გვერდზე ასეთი განყოფილებაა: „Склады. Из соединения одной, двух или нескольких согласных букв с гласной составляют склады“. შემდეგ მოყვანილია ს. ს. ორბელიანის მსგავსად ორ ბგერიანი მარცვლები, მაგრამ ცოტა სხვა წესით დალაგებული: ჯერ მოდის თითოეულ თანხმოვანთან მიმატებული ანი, მერე ვანი, ინი და ასე ბოლომდის ნა, ვა, გა, და, ჯა, და სხვა. მერე მოყვება ნე, ვე, გე, და ა. შ. მერე ნი, ვი, გი, დი, ჯი. სულ უნდა გაზეპირებულიყო 185 მარცვალი. შემდეგ იწყება სამბგერიანი მარცვლები ასეთი წესით: ნრა, ვრა, გრა, ძრა, ჯრა, კრა, ლრა, მრა, ნრა, პრა, ტრა, ფრა, ხრა, ძრა, ძრა, შრა, შრა, შემდეგ ნრე, ვრე, ძრე, გრე, და სხ. ამას მოყვება ნრი, ვრი, გრი, ძრი, ჯრი. შემდეგ: კიდე: ნრი ვრი, გრი, და ა. შ. სულ გასაზიარებლად მოდის 180 სამბგერიანი მარცვალი; როგორც ზევით ენახეთ, ორმარცვლოვანი მარცვალი 185 იყო, მაშასადამე სულ უნდა გაზეპირებულიყო 365 მარცვალი.

ვინაიდან სამბგერიანი მარცვალი ისეთივე კანონიერი მოვლენაა, როგორც ორბგერიანი, უნდა დავასკვნათ, რომ ს. ს. ორბელიანს ეს მომენტი გამოტოვებული აქვს. რუსული ანბანი კი უფრო მთლიან სურათს იძლევა. მაგრამ, შესაძლებელია, ქვევით მოყვანილმა ჩვენმა მოსაზრებამ ორბელიანის ეს ხარვეზი ამოაქოს.

როგორც რუსული წიგნაკის მაგალითზე ენახეთ სამბგერიანი მარცვლების შერჩევა შემთხვევითი ხასიათისა და არა რაიმე პრინციპზე აგებული: რატომ არის მოყვანილი: ნრა, ვრა, გრა და არა, ვტქვათ, ნვა, ნგა, ნდა და ან კიდე ნკა, ვკა, გკა და ა. შ. აღფაბეტის რიგი კი იმას მოითხოვდა.

აშკარაა, რომ აქ რაღაც ხელოვნური ხერხის გამოყენებასთან გვაქვს საქმე და არა მფაფქრებულ პედაგოგიურ პრინციპებთან, რომელიც ანბანთა მეთოდის პრინციპებს უნდა ემყარებოდეს.

შესაძლებელია ს. ს. ორბელიანიც შეგნებულად ტოვებს სამბგერიან მარცვალს და დარწმუნებულია, რომ თუ ორბგერიანი მარცვლის ამოკითხვა იქნება დაძლეული, მაშინ სამბგერიანის ამოკითხვაც არ იქნება ძნელი. შესაძლებელია ისიც ითქვას, რომ ჯერ ისეთი სიტყვების ამოკითხვას შეაჩვევდნენ, რომელშიც ორ-ორ ბგერიანი მარცვლებია: ხე-ლი, ფე-ხი, კე-დე-ლი, მა-მა-ლი, მერე კი სამბგერიანებზე გადადიოდნენ, მაგ. ხმა-ლი და სხვა, აქ მოწაფის მიხედვით უნარზე იყო ყველაფერი დამოკიდებული. თუ დაუკვირდებით, არც დასახელებული რუსული საანბანო წიგნი იძლევა ყველა იმ მარცვლებს, რომელიც პრაქტიკაში გვხვდება, მაშასადამე, ამოკითხვის პროცესს ვერც მოყვანილი 180 სამბგერიანი მარცვალი აჩქარებს. მოწაფის მიხედვით აქაც აუცილებელი რამ არის, ასოთა შერწყმას მოწაფე თვითონ უნდა მიხვედროდა.

ანნაირად, ეს მეთოდი მეტად ძნელია და მთელ მუშაობას ანბანთა და აუარებელ მარცვალთა მექანიკურად გაზეპირებაზე ამყარებდა. კითხვისა და წერის შესწავლის პროცესს ძველად ორი-სამი წელიწადი ჰქირდებოდა, ახლა კი თვენახევარია საჭირო. (ამიტომ იყო, რომ ძველი დროის ქართველები პოეტ დ. გურამიშვილის პირით ამბობენ: „სწავლის ძირი არის მწარეო“. რუსები კი იტყობდნენ: „Корень учения горек“-ო.) ამ სიმწარეს კიდევ უფრო აღრმავებდა ოდნავი შებოძიებისათვის წარმოებული ფიზიკური სასჯელი, ქართული წიგნბუღალა, ხოლო რუსული БАТЮЖКА.

ძველი დროის პედაგოგიური აზრი აშკარად გრძნობდა წერა-კითხვის შესწავლის ამ სიძნელეს და ყოველის მხრით ცდილობდა მის გაადვილებას. ჩვენი ძველი მწერლობა თვით აკაკი წერეთლამდის იცნობს ერთი ქანრის ლექსებს, რომელსაც „ანბანთ ქებას“ უწოდებენ. პირველი ანბანთ ქება მოცემული აქვს მე-16-17 საუკუნის მგოსანს — თეიმურაზ I, ბოლონდელი კი — აკაკი წერეთელს.

დიდი ხნის განმავლობაში „ანბანთ ქების“ სოციალური ფუნქცია კერძოთ ჩვენთვის არ იყო ნათელი, ბოლოს კი გამომარკვია შემდეგმა გარემოებამ.

1919 თუ 1920 წელში, ხონის სემინარიაში მასწავლებლობის დროს, მე გავიგე, რომ ერთმა ხონელმა მოხუცმა — მწიგნობარმა გოგილო ბახტაძემ, რომელიც ძველად წერაკითხვას ასწავლიდა შემთხვევით შვედროვილ მსურველებს (საშინაო სკოლაში), იცის ანბანთა მეთოდის მიხედვით თავისებური სწავლებები. მე მაშინვე მოვინახე ეს მოხუცი და ვთხოვე აეწერა ჩემთვის ის საშუალებანი, რომელსაც იგი მიმართავდა პრაქტიკაში. გოგილო ბახტაძემ დიდის ყურადღებით გამაცნო თავისი მუშაობის ხასიათი და ბოლოს მითხრა, რომ აღფაბეტის უკეთ და ჩქარა დასამახსოვრებლად იგი მოწაფეებს ასწავლიდა ასეთ ლექსს:

„ალალებს ბაგებს გულთ დასადაგებს“ და სხვ. სამწუხაროთ მან ერთი ტაეპის მეტი ვერ მოიგონა. მიემართე ხონში ძველ მწიგნობრობის მცოდნე სებაპირთ, რომლებზედაც ბახტაძემ მიმითითა, მაგრამ იმედი არც აქ გამიმართლდა: ის ლექსი ვერ აღვადგინე — არც სხვებს ახსოვდათ.

გავიდა თითქმის ათ წელიწადზე მეტი და 1932 წელს გამომცემლობა „ფედერაციის“ მიერ გამოცემულ ბესიკის ლექსებში მთლიანად ვხვდები იმ ლექსს, რომლის აღდგენა ერთდროს ვერ მოვახერხე. ამ გამოცემის 103 გვერდზე ეს ლექსი ასე იკითხება:

„ალალებს ბაგებს გულთ დასადაგებს.
ელვარებს, ვფუცავ, ზე ცთერულად.
თვალთ ინდი კაზმავს, ლალს მინა ნაზავს.
ოდეს პირით ჟღერს რიტარებულად,
სუმბულთ ტევანსა უფენს ფშევეასა.
ქონან დაწე-ყელნი შემკულ ჩენულად.
ცნობენ ძოწ წყალნი, ჭვირობენ ხალნი.
კმობს ჯავართა ჰაი, ზ ცნებულად.“

ამ ლექსში სიტყვები ისეა დალაგებული, რომ მათი პირველი ასოების შვერება ქართული აღფაბეტის რიგს მოგვცემს. ვინც ლექსს გაიზეპირებდა, იგუ-

ლისხმებდა, რომ მან ქართული აღფაბეტი ზეპირად იცოდა,—ლექსის ფორმა გამოყენებულია აღფაბეტის უკეთ დასსომების მიზნით.

ამ დასკვნის გამოტანის შემდეგ ჩემთვის ნათელი შეიქნა ძველ ქართულ და ნაწილობრივ ახალ ქართულ ლიტერატურაში საკმაოდ ცნობილი ლექსების ჟანრის „ანბანთ ქების“ მიზანდასახულება—სოციალური ფუნქცია: მათი ავტორების მიზანია დაესმარონ მოსწავლეთ ქართული აღფაბეტის შესწავლაში და მით ხელი შეუწყონ წერა-კითხვის გავრცელებას.

პირველი „ანბანთ ქება“, რომელიც ჩვენ გვაქვს, ეს არის თეიმურაზ I-ს ლექსი. საფიქრებელია, რომ „ანბანთ ქება“-ს მანამდისაც იცნობდა ქართული პედაგოგიური აზრი, მაგრამ პირველობა ჯერჯერობით თეიმურაზ მეფეს ეკუთვნის, სხვა უფრო აღრინდელი დროის „ანბანთ ქება“ ჯერ აღმოჩენილი არ არის. თეიმურაზის ლექსებში, რომელიც გამოცემულია ზ. ჭიქინაძის მიერ, მოთავსებულია სამი „ანბანთ ქება“ ორი პატარა ოთხ-ოთხ სტრიქონიანი, მესამე კი უფრო დიდი, რომელიც შეიცავს ოც სტრიქონს.

თეიმურაზ პირველის „ანბანთ ქება“ ასე იკითხება:
„არა ბრძანებენ გიორგ დედათ.
ესე ეყავ ზეს სეთურად.
თმით იკ არ კუკ—ლალ მომცემ ნებნე,
აებდენ ორ პროკოპედურად,
როგორ სამის ტახ უკეთ ფეფ ქექ ღარღ.
ყუყ შიმ ჩამომჩქეტურად,
ცივ-ცივ ძეჲ წეწ ჭმუჭ ხეს.
კობიკ ჯღ ჰჰ ი ჰიი მ ომურად“.
მეორე „ანბანთ ქების“ პირველი სტრიქონი ასეთია:
„აღმეძრა ბაგე, გულის დადებით ეუწყო ვისხედ ესრედ თქმულგბა.
მესამე „ანბანთ ქების“:
„ამო აღვისა, ბანო ბროლო.
განო გარვეით ნაყოფად ესხეს“.

„ანბანთ ქება“ აქვს აგრეთვე არჩილ მეფესაც (1647—1713 წ.)

ასულა, ასულა,
მკერეტნი დასულა.
ესე ვინაა? ჩემი ასულა.
ბროლ მინარვეით,
მზისა მორვეით,
თვალნი მორვეით მეღნის ასულა.
გემკომზომ ენისა და სხე.

არჩილის „ანბანთ ქება“-ში აღფაბეტის ასოები პირველი სტრიქონის შემდეგ ყოველი მესამე სტრიქონის პირველი ასოა. ამის გამო ეს ლექსი საკმაოდ გრძელია

ძველი ქართველი პოეტები ევზიბრებიან ერთმანეთს „ანბანთ ქების“ შეთხზვაში და სხარტულად მოცემაში. ამ ჟანრის ლექსებს სწერენ აგრეთვე მე-19-ტე საუკუნის მწერლებიდან ალ. ჭავჭავაძე, აკაკი და სხვ. ალ. ჭავჭავაძის „ანბანთ

ქებისათვის“, რომლის სათაურია: „ანბანზე სით მიხვალ“, 1881 წელში გამოცემულ პოეტის ლექსების რედაქტორებს (ილ. ჭავჭავაძე და სხვ.) ასეთი შენიშვნა აქვთ გაკეთებული: „ანბანზე თქმულ სხვადასხვა გვარ ლექსთა შორის ამ ნაბეჭდის გვარის წერაც ყოფილა შემოღებული, ლხინში სმა-შაირობის დროს პასუხად მისაცემი. ერთი ჰკითხავდა: მითხარ ამ და ამ ასოზე სით მიხვალ, სად წახვალ, ვის ახლავხარ, რის შვილდი გაქვს და ისარი, რა მოკალ, რაში ჰქარ? ხელოვნება მდგომარეობდა ეპასუხნა მთქმელს ისე, რომ სახელები ერთის ასოზე დაწყებული ყოფილიყო. წარსულს და ამ საუკუნის პირველს ხანებში ამ გვარი ლექსები აქვსთ: დიმიტრი ორბელიანს, ბესარიონ გაბაშვილს, პეტრე ლარაძეს და სხვათა. აქ დაბეჭდილ ლექსს აკლია ჰუ და ოე“.

როგორც სჩანს, „ანბანთ ქებაში“ ვარჯიშობა გაბატონებული წოდების წარმომადგენლებს ერთგვარ გონებრივ გიმნასტიკად გადაუქცევიათ. ხოლო, „ანბანთ ქებათა“ ასეთი სიმრავლე იმას მოწმობს, რომ ამ წერებში ფართოდ ყოფილა გავრცელებული წერა-კითხვის შესწავლის სურვილი.

საინტერესოა აკაკის „ქართული ანბანი“, მოვიყვანოთ მისი ნაწილი.

ქართული ანბანი

ყმაწვილო თუ გსურს გიყვარდეს
შენი სამშობლო ძალიან,
ჯერ წიგნი უნდა ისწავლო...
პირველი ასო არის: ა.

თუ სწავლით თვით ვერ ამალდდი
მამულს ჩირქს ასე ვერ მოჰბან,
ჩირქს, მოდებულსა მტრისაგან...
მაგრამ იკითხე ჯერ ეს: ბ.

სამშობლო შეილსა ერთგულსა
ითხოვს ყოველთვის, ყოველგან
და ნუ უმტერებ შენს მშობელს...
მაგრამ ისწავლე ჯერ ეს: გ.

შენს ვალსა აასრულებდე
ერთგულად, რაც კი მოგანდონ
ნუ შეგაშინებს სიკვდილი...
მაგრამ ისწავლე ჯერ ეს: დ.

პირადი სარგებლობისა,
იციოდე, ძებნას დაეხსენ;
იყავ შენ მუშა ქვეყნისა,
მაგრამ იკითხე ჯერ ეს: ე.

თავგანწირულსა მუშასა
ვერ შეაშინებს ვერავინ.

ვერც ცეცხლი, წყალი, ვერც ტყვია...
მაგრამ ისწავლე ჯერ ეს: 3.

ვით მალღობი ჩაგონებული,
საქმეს რომ მისდგე, აღგზენ,
რომ ნაშრომს დასდო ბეჭედი.
მაგრამ ისწავლე ჯერ ეს: 4.

ჩვენ გავიცანით რამდენიმე „ანბანთ ქება“ და თუ დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ თითოეული ავტორი თავის „ანბანთ ქებას“ ისე აშენებს, როგორც ეს მის, მწერლის იდეოლოგიას შეეფერება: ასე, მაგ., თეიმურაზის „ანბანთ ქება“ რელიგიურის საკაზმით არის მოცემული, ბესიკის სექსუალურ ფონზე და აკაკის კიდევ პატრიოტულ-საზოგადოებრივზე.

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ჟანრის ლექსები მნემონიკის პრინციპზეა აგებული და ძველთაგანვე ცნობილია ველურ ხალხშიაც კი. მნემონიკა (ბერძნულია, ნიშნავს მესხიერებას) მიზნად ისახავს, რაც შეიძლება მეტი ცნობების დახსომებას რაიმე ხელოვნური საშუალების შემწეობით, მაგ., ველური ტომები ხეებს აღნიშნავენ ხოლმე მოსაგონებლად. რომაელები თითის ფრჩხილებზე ნიშნებს იკეთებდნენ დღესასწაულის გასახსენებლად, ჩვენში ძაფს შეიბამდნენ ხოლმე ხელზე და სხვ. ყველა ეს ცნების დასამახსოვრებლად მიმართული მექანიკური საშუალებებია. ასე უნდა შევაფასოდ „ანბანთ ქებაც“, რომლის სოციალური ფუნქცია წმინდა პედაგოგიური იყო.

საქართველთა სეპარტიზმში მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში

მე-18-19 საუკუნეების მიჯნაზე მეფის რუსეთი გარკვეული ეკონომიური და პოლიტიკური მიზნით შემოვიდა საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში. ეს მიზანი იყო ამ ქვეყნების სამთომადნო სიმდიდრის მტაცებლური გამოყენება, თავისი მრეწველობის სხვადასხვა დარგთა უზრუნველყოფა ამიერ-კავკასიის იაფი ნედლეულით, საკუთარი ფაბრიკატებისათვის აქ ბაზრების მოპოება, სავაჭრო-სამრეწველო კაპიტალისათვის ახლო აღმოსავლეთში გზის გახსნა და სპარსეთ-ოსმალეთის წინააღმდეგ საბრძოლველად ა/კ. მტკიცე დასაყრდენ ბაზად გადაქცევა.

მეფის რუსეთის ხელისუფლებას აღნიშნული მიზნების განხორციელება მხოლოდ თავისი მოხელეებისა და ჯარის მეშვეობით (თუ ადგილობრივი დასაყრდენი ძალა არ ეყოლებოდა) მეტად გაუძნელდებოდა. ამიტომ ყველაზე ადრე მან ეს ძალა, მცირე ნაწილის გამოკლებით, ქართველ თავად-აზნაურობაში ჰპოვა. მაგრამ რუსული ენის უცოდინარი, რუსულ კანონებს შეუქვეველი, ბიუროკრატიული მართვა-გამგეობისათვის უცხო, რუსულად „გაუნათლებელი“, ფეოდალურ-პარტიკულიარულ ტენდენციების მქონე ქართველი თავად-აზნაურობა მეფის მთავრობისათვის ყველაფერში გამოსადეგი არ იქნებოდა. ეს გარემოება ვათვალისწინებელი ჰქონდა მეფის რუსეთის ხელისუფლებას საქართველოში გაბატონების პირველსავე წლებიდან. რუსული სკოლა მთავარი იარაღი იქნებოდა, რომელიც მთავრობას ახლო მომავალში ახალი მართვა-გამგეობისათვის შესაფერ კადრსაც მისცემდა ადგილობრივ თავად-აზნაურთაგან და ამ უკანასკნელსა და მის შორის მჭიდრო ურთიერთობის დამყარებასა და თანამშრომლობას შეუწყობდა ხელს. უკეთ ფეოდალურ არისტოკრატიას გარდაქმნიდა თვითმპყრობელობის მონა-მორჩილ მსახურულ არისტოკრატად.

ეს მოვალეობა სხვა მრავალ ღონისძიებათა გატარებასთან ერთად კოვალენსკიმ და ციცოანოვმა ტფილისის კეთილშობილთა სასწავლებელსაც დააკისრეს. სანამ ტფილისის კეთილშობილთა სასწავლებლის ისტორიას შევეხებოდეთ, წინასწარ მოკლედ უნდა გავცნოთ, თუ როგორი იყო XIX საუკუნის პირველი ოცდაათი წლის, ე. ი. კეთილშობილთა სასწავლებლის არსებობის მანძილზე რუსეთის იმპერიის სასკოლო კანონმდებლობა და სასკოლო პრაქტიკა. აღნიშნულ

პერიოდში სასკოლო სისტემა და სწავლა-აღზრდის საქმე 1804 წლის 5 ნოემბრის დებულებას ემყარებოდა—„უმაღლესად დამტკიცებული უნივერსიტეტის უწყებაში შემაჯავლ სასწავლებელთა დებულებას“ (იხ. Пол. Собр. зак. Рос. Импер. ტ. 28, გვ. 626).

*
*
*

რუსეთში 1804 წლის დებულებით საშუალო განათლება სამ საფეხურიანია: სამრევლო სკოლა, სამაზრო სასწავლებელი და გიმნაზია. ყოველ საფეხურშიო ქალაქში ერთი გიმნაზია მაინც არის გათვალისწინებული. გიმნაზიაში ყოველგვარი წოდების მოწაფე მიიღება, რომელსაც სამაზრო ან სხვა შესაფერის სასწავლებელი აქვს დასრულებული. გიმნაზია ოთხწლიანია და ოთხი კლასისაგან შედგება. ის სამაზრო სასწავლებლის უშუალო გაგრძელებაა. სწავლა თერთმეტი თვე გრძელდება—პირველ აგვისტოდან პირველ ივლისამდის.

გიმნაზიაში სასწავლო საგნებია: ლათინური, გერმანული და ფრანგული ენები, გეოგრაფია, ისტორია (მითოლოგიით) და სიძველენი, ზოგადი და რუსეთის სტატისტიკის კურსი, ფილოსოფიის დაწყებითი კურსი, პოლიტეკონომიის საფუძვლები, წმინდა და გამოყენებითი მათემატიკის კურსი, საცდელი ფიზიკის და ბუნებისმეტყველების კურსი, დაწყებითი კურსი სავაჭრო მეცნიერებიდან, ტექნოლოგიის საფუძვლები და ხატვა. მეცადინეობა სწარმოებს დღით 8—12 საათებში და ნაშუადღევს 2—4 საათებში, გიმნაზიაში სწავლა უფასოა.

თეორიის პრაქტიკასთან უკეთ დასაკავშირებლად და მოწაფეთათვის კლასში გავლილ საგნებზე უფრო ნათელი წარმოდგენის მისაცემად, მათემატიკის, ბუნებისმეტყველებისა და ტექნოლოგიის მასწავლებლებს გაჰყავთ წარმატებით უკეთესი მოწაფენი არადადეგების დროს ქალაქს გარედ. მათემატიკის მასწავლებელი აცნობს მოწაფეებს გამოყენებითი გეომეტრიის მთავარ ნაწილებს და აჩვენებს მათ სხვადასხვა სახის წისქვილებს, ჰიდრაულიურ მანქანებს და სხვა მექანიურ საგნებს, თუ ასეთები მოიპოება იმ არემარეზე, სადაც გიმნაზიაა.

ბუნებისმეტყველებისა და ტექნოლოგიის მასწავლებელი აგროვებს ბაღებს, სხვადასხვაგვარ მიწას, ქვიშას და უხსნის მოწაფეებს მათ თვისებას და განმსხვავებულ ნიშნებს. ზამთრობით იგივე მასწავლებლები მოწაფეებთან ერთად ათვალთვინებენ ქარხნებს, მანუფაქტურებს და მხატვართა სახელოსნოებს, რომ საგნები, რომელსაც ისინი ასწავლიან, პრაქტიკით ახსნან, რადგან სურათებსა და აღწერას არ შეუძლია ნათელი და სავსო წარმოდგენის მიცემა მის შესახებ.

მასწავლებელი უნდა იყოს მომთმენი და რიგიანი და ეყრდნობოდეს უმეტესად თავის გულმოდგინებას და წესიერებას, ვიდრე თავის მოწაფეთა გადაჭარბებულ შრომას. მცირე ასაკის ბავშვთათვის ის უნდა ცდილობდეს სწავლა მსუბუქი, სასიამოვნო გახადოს, გასართობად გადაქციოს და არა მძიმე ტვირთად.

მასწავლებელი უფრო მოწაფის გონების განათლებასა და განახვილებაზე უნდა ფიქრობდეს, ვიდრე მისი მესსიერების დატვირთვისა და ვარჯიშზე. მან უნდა შეაჩვიოს მოწაფეები შრომას, აღძრას მათში სიყვარული და მისწრაფება მეცნიერებისადმი, უჩვენოს გზა მეცნიერებისაკენ, მასწავლებლის მოპყრობა მოწაფისადმი უნდა იყოს მშობლიური, ნაზი, გრძნობიერი, მოფერებითი.

დებულებით მოწადის ფიზიკური დასჯა არ არის გათვალისწინებული.

თითოეულ საჯარო და სამაზრო ქალაქში ერთი სამაზრო სასწავლებელი მინჯ უნდა იყოს, დიდ ქალაქებში ორი და მეტიც. სამაზრო სასწავლებელი ორკლასიანი—ორწლიანი. სამაზრო სასწავლებელში ყოველგვარი წოდების ახალგაზრდა მიიღება. აქ ისწავლება: საღვთო სჯული და საღვთო ისტორია, ადამიანისა და მოქალაქის მოვალეობა, რუსული გრამატიკა და ადგილობრივი ენა (სადაც ასეთი არის), მართლწერა, სუფთაწერა, საერთო გეოგრაფია, დაწყებითი მათემატიკური გეოგრაფია, რუსეთის სახელმწიფოს გეოგრაფია, საზოგადო ისტორია, რუსეთის ისტორია, არითმეტიკა, გეომეტრიის დაწყებითი წესები, დაწყებითი წესები ფიზიკისა და ბუნებისმეტყველების, ტექნოლოგიის დაწყებითი წესები ადგილობრივ მდგომარეობასთან და მრეწველობასთან დაკავშირებით, ხატვა.

სამრევლო სკოლა ერთწლიანია. სახანო სოფლებში ის მინდობილი აქვს მღვდელს, ხოლო შემამულეთა სოფლებში—თვით შემამულეს. სამრევლო სკოლაში ყოველი მდგომარეობის ბავშვები მიიღებიან, განურჩევლად სქესისა და წოდებისა. აქ ისწავლება წერა-კითხვა, საღვთო სჯული, დაწყებითი არითმეტიკა, დარიგება სოფლის მეურნეობის შესახებ, ცნობები ადამიანის აგებულებისა და ჯანმრთელობის შესახებ.

ასეთი იყო საიმპერო კანონმდებლობა სახალხო განათლების საქმეში ალექსანდრე I-ს პირველი ათი წლის მეფობის პერიოდში, ასე წოდებულ „თავადაზნაურულ ლიბერალიზმის პერიოდში“¹.

რუსეთში 1812 წლიდან იწყება რეაქციის ხანა, რომელმაც გამოხატულება ჰპოვა განათლების საქმეშიაც. 1817 წელს დაწესდა „სასულიერო საქმეთა და სახალხო განათლების სამინისტრო“. 1824 წელს განათლების მინისტრად ინიშნება შიშკოვი, რომელმაც პირველსავე სხდომაზე შემდეგი აზრი განავითარა: „Обучать грамоте весь народ или несоизмерное число оного количества людей, принесет бы более вреда, нежели пользы. Наставлять земледельческого сына в риторике было бы приготавливать его быть худым и бесполезным или еще вредным гражданином“ (Ист. России в 19 в., изд. Граната стр. 76).

1819 წელს პროგრაშიდან განიდევნა ბუნებისმეტყველება და ტექნოლოგია, შეიკუმშა გეოგრაფია და ისტორია; განიდევნა წიგნი „ადამიანისა და მოქალაქის მოვალეობათა შესახებ“, სავალდებულოდ იქნა აღიარებული ყველა სასწავლებელში სახარების კითხვა; შემოღებულ იქნა სწავლის ქირა.

ჩვენ აქ ვერ შევხებით საკითხს, თუ საიდან მომდინარეობს შედარებით ჰუმანიური იდეები, რომელმაც 1804 წლის დებულებაში ჰპოვა გამოხატულება, ხოლო აღენიშნავთ, რომ მაშინდელი პედაგოგიური პრაქტიკა სრულიად არ შეეფერებოდა აღნიშნულ იდეებს. განათლების სამინისტროს ოფიციალური ისტორიკოსებიც კი აღნიშნავენ, რომ დირექტორებად სამსახურის ვარეშე მყოფი გაუხანალებელი ოფიცრები ინიშნებოდნენ, სასწავლებლის ზედამხედველად უვიცი

¹ იხ. „Полное собрание законов Рос. Империи“ за 1804 г. т. 28, ст. 626.

ვაჭრები და მოქალაქენი. მასწავლებლები ლოთობდნენ, ჯამბაზობდნენ. მასწავლებელთა და სკოლის ნივთიერი მდგომარეობა აუტანელი იყო. ამიტომ სკოლა უვიც მოწაფეებს უშვებდა, ხშირად წერა-კითხვის უცოდინართ. თიზიკური სასჯელიც სინამდვილეში ძალაში რჩებოდა, მიუხედავად დებულებისა.

1828 წლის 8 დეკემბერს დამტკიცდა ახალი დებულება სასწავლებელთა შესახებ, რომელშიც გამოხატულება ჰპოვა ალექსანდრე და ნიკოლოზ I-ის რეაქციურმა რეჟიმმა განათლების დარგში. ამ ახალ დებულებით გიმნაზია მხოლოდ თავიდანაწარმოდა სასწავლებლად გადაიქცა, სამაზრო სკოლა ვაჭრებისა და ხელოსნების შვილებს განეკუთვნა, ხოლო სამრევლო სკოლებს წეოკაცითხვის შესწავლა დაეკისრა მომავალ მოხელეთათვის, რომელნიც მრავლად იყვნენ საჭირონი საუფლისწულო, სახაზინო და კერძო მამულებში დაბალ თანამდებობებზე¹.

ტფილისის კათედრული სემინარია

1802 წლის 5 სექტემბერს საქართველოს მმართველი კოვალენსკი მიმართავს ქართლ-კახეთის თავიდანაწარმოებას მოწოდებით, რომელშიც აღწობს მათ, სწავლა-განათლების მნიშვნელობას. ამა წლის 22 სექტემბერს განზრახული მატებს სასწავლებლის გახსნა. სწავლა უფასო იქნება, ხოლო ბავშვები თავიდანაწარმოებად თავისი ხარჯით უნდა შეინახოს. კოვალენსკის ამ დღისათვის გამოუშუშავებია ცერემონიალის ვრცელი წესი, რომ სასწავლებლის გახსნისათვის დიდი ზეიმის ხასიათი მიეცა. გენერალიტეტის, უმაღლესი სამღვდელთა და თავიდანაწარმოების დასწრებით სასწავლებელი გახსნილა დანიშნულ დღეს, რომლის შემდეგ 26 სექტემბრის თარიღით საქართველოს მმართველი კოვალენსკი ატყობინებს მთავარმართებელ კნორინგს: განზრახული სასწავლებელი გაიხსნა 22 სექტემბერს, რომელშიც 45 ბავშვმა მოიყარა თავი. რუსული ენის მასწავლებლად დაუნიშნავთ კანცელარიის მოხელენი პლემიევი და პოკროვსკი, ქართული ენის მასწავლებლად კი მღვდელი გრიგოლი. კოვალენსკი სთხოვს კნორინგს გამოიწვიოს რუსეთიდან ორი მასწავლებელი—გეოგრაფიისა, გეომეტრიისა და სხვა მეცნიერებათა მცოდნე.

კოვალენსკის დებულებაც შეუმუშავებია სასწავლებლისათვის: პირველ ხანებში სასწავლებელი ორკლასიანი იქნებოდა დებულებით; პირველ კლასში ისწავლება: რუსული და ქართული ენების წერა-კითხვა და არითმეტიკის ოთხი მოქმედება; მეორე კლასში ორივე ენის გრამატიკა, კატეხიზისი, საღვთო და საერო ისტორია, გეოგრაფია, გეომეტრია, არითმეტიკა, დარიგებანი და ცნობები ადამიანისა და მოქალაქის მოვალეობათა შესახებ და ხატვა. დებულებაში აღნიშნული დარიგებანი მოწადეთა ყოფაქცევის შესახებ სასწავლებელში და სასწავლებლის გარეშე.

ქ. გეორგიევსკში ჩამოსვლისას ახლად დანიშნულ მთავარმართებელს ციციანოვს საქმიანი მიმოწერის ვასინჯვისას გაუგია ტფილისის სასწავლებლის 22 სექტემბერს გახსნის შესახებ, რასაც ის ატყობინებს განათლების მინისტრს ზავადოვსკის 1802 წლის 23 ნოემბრის თარიღით.

¹ იხ. „Полное собр. Зак. Рос. Импер“. за 1828 г. т. III, стр. 1097

მაგრამ 1803 წლის 27 ივნისს იგივე ციციანოვი სწერს ზეადოვსკის, თუ რაზომ დიდი იყო მისი განცვიფრება, როდესაც ტფილისში ჩამოსვლისას მან ვერც მასწავლებელი, ვერც მოწაფენი და სასწავლებელი ვერ ნახა. ყოფილი მმართველას კოვალენსკის მტკიცებით „მოწაფეებმა თავი დაანებეს სასწავლებელში სიარულს ადგილობრივი ხალხის ველური ზნეობის და მიუჩველობის გამო“.

ამრიგად, ციციანოვს სასწავლებლის გახსნის საქმე დაუწყია თავიდან. 1803 წლის 27 ივნისს მას გაუგზავნია პეტერბურგს „ქართველი თავადაზნაურობის განათლებისა და ტფილისში სასწავლებლის დაარსების პროექტი“, რომელიც სათანადო განხილვის შემდეგ 8 აგვისტოს მეფეს დაუმტკიცებია. ცნობა ამის შესახებ ტფილისში 6 სექტემბერს მოსულა. მაგრამ, როგორც ციციანოვი აღნიშნავს, შავი ქირის გაერცვლების გამო, სასწავლებლის გახსნა ერთი წლით დაგვიანებულა. სასწავლებელი გახსნილა 1804 წლის 31 მაისს. ამ დღისათვის ციციანოვს არა ნაკლებად საზეიმო წესი შეუმუშაებია, ვიდრე კოვალენსკის. მაღალი მოხელეების, სამღვდლოების, თავადაზნაურობის თანადასწრებით ეკლესიაში წირვა გადარხნა. ქართულ ენაზე სიტყვები წარმოუთქვამთ, იმავე დღეს სწავლას შესდგომიან.

* * *

ციციანოვის მიერ შემუშავებული წესდებით სწავლა დილის 7 საათზე იწყებოდა. ვაკეეთილი $1\frac{3}{4}$ საათი გრძელდებოდა. შემდეგ ნახევარსაათიანი დასვენება და კვლავ $1\frac{3}{4}$ საათიანი ვაკეეთილი, რომლის შემდეგ, 11 საათზე ბავშვები შინ მიდიოდნენ. ნაშუადღევს სამ საათზე სწავლა ახლდებოდა და 6 საათამდის გრძელდებოდა. ნაშუადღევს მეცადინეობის გაგრძელება, მე-19 ს-ის პირველ ნახევარში რუსეთის ყველა სკოლებში იყო შემოღებული. დებულება ურჩევს მასწავლებლებს დილით კითხვა ასწავლონ, საღამოს კი წერა.

კოვალენსკის მიერ გამოცემულ მოწოდებაში სკოლის გახსნის მოტივად ცოდნიდან და მეცნიერებიდან გამომდინარე სარგებლობა აღნიშნული; ნამდვილად, არა მარტო მე-19 საუკ. დასაწყისში, არამედ მე-60 წლებამდის მთავრობა სკოლებს აკავკასიაში ერთადერთ ამოცანას უსახავდა: რუსულისა და ადგილობრივი ენების მეოღნე მოხელეების აღზრდას. თარჯიმნების სიმცირე მეტად საგრძნობი იყო მე-19 ს-ნის პირველ ნახევარში. სასკოლო პოლიტიკაც აქეთ იყო მიმართული. რუს მოხელეთა შვილების მიერ ადგილობრივი ენების (განსაკუთრებით თათრულის) შესწავლა სავალდებულო, წაქეზებისა და წახალისების საგნად იყო გაშვადარი. ადგილობრივი ენების შესწავლის აუცილებლობას რუს მოხელეთა შვილების მიერ ხაზგასმით აღნიშნავდა მთავარმართებელი როზენი ვანათლების მინისტრის უვაროვისადმი 1834 წელს სწავლა-განათლების შესახებ წარდგენილ პროექტში: „...необходимо вменить местному училищному начальству употреблять все меры к побуждению детей русских чиновников, воспитывающихся в здешних училищах, основательно изучать местные языки, преподаваемые в оных, особенно же татарский, как необходимый в большей части Зак. края“. (იხ. აქტები, ტ. VIII, გვ. 99).

ადგილობრივი ბავშვების მიერ რუსული ენის შესწავლაც ამავე მიზანს ემორჩილებოდა. ეს აზრი ციციანოვს აშკარად აქვს გამოთქმული 1803 წლის 27 ივნისს შეფისადმი გაგზავნილ მოხსენებაში: „Необходимая нужда в российском языке в той земле, где на оном отправляется судопроизводство, недостаток в переводчиках и крайнее невежество здешнего дворянства, даже до того, что большая часть оного не знает природного своего языка по правилам, побудили меня к введению в Грузии первых лучей просвещения“¹.

თავის ოცდახუთი წლის არსებობის განმავლობაში კეთილშობილთა სასწავლებელზე ხაზინას არცერთი კაპეიკი არ დაუხარჯავს. როდესაც ციციანოვმა ჭარბელაქანის ლეკები დაამარცხა და დაიმორჩილა, ბეგარად, სხვა სასჯელთან ერთად, ყოველწლიურად 1.100 ლიტრი (რუსული წონით 220 ფუთი) აბრეშუმის დაადვა, ან აბრეშუმის ნაცვლად ლიტრაზე 12 მან. ვერცხლით, რაც 13.200 მან. შეადგენდა. აი, ამ კონტრიბუციიდან გამოჰყო ციციანოვმა 10.000 მან. ყოველწლიურად კეთილშობილთა სასწავლებლის შესანახად.

ციციანოვს ეს თანხა ასე ჰქონდა განაწილებული:

1. დირექტორს ბინით	800 მ.
2. პირველი კლასის, რუსული ენის მასწავლებლს	500 მ.
3. — „ — ქართული ენის მასწავლებელს	400 მ.
4. მეორე კლასის რუსული ენის მასწავლებლს	250 მ.
5. — „ — ქართული ენის მასწავლებელს	250 მ.
6. ორ დარაჯს	60 მ.
7. გათბობა-განათება	180 მ.
8. სკოლის ბინის ქირა	300 მ.

ს უ ლ 2800 მ.

სკოლის ასაგებად გადადებული იქნა წლიურად 5.000 მანეთი. დარჩენილი 2.200 მანეთით მოსკოვის უნივერსიტეტის პანსიონში აღსაზრდელად უნდა გაგზავნილიყო ყოველწლიურად რვა ახალგაზრდა. სამი წლის შემდეგ, როდესაც სახლის ასაგები ყოველწლიური 5.000 მან. და ბინის ქირა 300 მ. განთავისუფლდებოდა, მოწაფეთა რიცხვი 50 უნდა გამზდარიყო, ხოლო მოსკოვის პანსიონში თავადანაწურთა თექვსმეტი ბავშვი უნდა გაეგზავნათ.

ეს 2.200 მანეთიც ადგილობრივ რჩებოდა, რადგან მოსკოვის პანსიონში ბავშვები არ გაუგზავნიათ. როგორც წერს ციციანოვი, პირველი ორი წლის განმავლობაში რუსული ენის უცოდინარობის გამო აზრი არ ექნება, მოსკოვს ბავშვების

¹ ციციანოვს კარგად მოეხსენებოდა თუ რას წარმოადგენდა ამ დროს მეფის რუსეთის თავადანაწურთა. მაგრამ როგორც მეფის ბეჯითი მიზნულ-კოლონიზატორი მდიდრურად ხევიდან დასცქეროდა დაპყრობილი ქვეყნის მისახლეობას და მის გაბატონებულ წოდებასაც. აღქმანდრე პირველის უახლოესი თანამშრომელი გრ. სტროგანოვი ასე ახასიათებს მე-19 საუკუნის დასაწყისის რუსეთის თავადანაწურთას: „Это — класс самый невежественный, самый грязный и ум которого наиболее ограничен“ (იხ. დიდი მთავარის ნიკოლოზ მიხეილის ძის „Гр. П. А. Строганов“, II, გვ. III). — ბ. ხ.

გაგზავნასო, ხოლო შემდგომში თვით მშობლებს განუცხადებიათ უარი ბავშვების გაგზავნაზე.

1806 წელს, როდესაც სასწავლებელი ვაიზარდა, ეს თანხა, ასე ნაწილდებოდა:

1. დირექტორს.	800 მ.
2. უფროს მასწავლებელს.	650 მ.
3. მათემატიკის მასწავლებელს	600 მ.
4. ლათ. და გერმანული ენების მასწავლებელს.	500 მ.
5. ქართული ენის უმცროს მასწავლებელს.	350 მ.
6. რუსული ენის სამაზ. კლასის მასწავლ.	250 მ.
7. დანარჩენი ხარჯები	600 მ.
ს უ ლ	4250 მ.

დანარჩენი თანხა ხშირად კერძო პირებს ეძლეოდა საპროცენტოდ.

1804 წლიდან ვიდრე 1827 წლამდის სასწავლებელს ერგებოდა 240.000 მან., ნამდვილად კი მან დახარჯა 142.652 მან. და 11¹/₂ კაპ. დანარჩენი 97.347 და 88¹/₂ კაპ. ვადაურიცხავთ სახელმწიფოს საერთო შემოსავალში (ინ. არქივი, საქმე № 24, ფ. 39).

მასწავლებლები. სასწავლებლის გახსნისას ციციანოვს დირექტორად დაუნიშნავს ყაზანის მუშაკატერთა პოლკის მღვდელი ქართველ ახნაოკთა წრიდან ალექსი პეტრიფი. ის ასტრახანის სემინარიის მოწაფე ყოფილა. 1796 წელს ყიზლარის ეკლესიის მღვდლად დაუნიშნავთ, 1789 პოლკში გადაუყვანიათ მღვდლად, 1803 წელს ბერად შედგომა განუზრახავს, მაგრამ ციციანოვს თარჯიმანად მიუწვევია და მალე სასწავლებლის გამგედ დაუნიშნავს. მისი მუშაობით სასწავლებელში კმაყოფილნი ყოფილან ციციანოვი, გუდოვიჩი და ტორმოსოვიც. ალექსანდრე I-საც კი დაეჯილდოებია ის და მის სახელზე რესკრიპტიც გამოუცია. მაგრამ პეტრიფეს ბერად შედგომაზე ხელი არ აუღია და 1810 წლის დასაწყისში მისი თხოვნა დაუკმაყოფილებიათ.

ციციანოვს რუსული ენის ორი მასწავლებელი—სტეფან გულიევი და პეტრე მალცოვი რუსეთიდან გამოუწერია. ქართული ენის მასწავლებლად მღვდელი იოანე ქართველიშვილი და ბერი ნეოფიტე დაუნიშნავს.

1805 წლის 28 ნოემბერს ციციანოვი სწერს ვანათლებელ მინისტრს ზავალოვსკის: მშობლები წინააღმდეგი არიან ბავშვების მოსკოვის უნივერსიტეტში გაგზავნისა და ამიტომ უფრო მიხანშეწონილად ვნახულობ 2.200 მანეთი განზრახული პანსიონისათვის დაიხარჯოს აქვე და სასწავლებელი გიმნაზიის ფარგლებამდე გაფართოვდესო.

ამ დროს ტფილისში ჩამოსულა ფილოსოფიისა და თეოლოგიის პროფესორი მარტინი—ტომით უნგრელი. ეს მარტინი რაღაც შემთხვევით სამეგრელოში მომხდარა. სამეგრელოს მთავარს გრიგოლს ის მიუწვევია თავის მემკვიდრის ლევანის ასალზრდელად, რომელიც ძველად ჰყავდა აფხაზეთის მთავარს ქელეშების. მთავარს მარტინისათვის სიგელიც კი მიუცია თორმეტ კომლ ყმაზე. მთავარი გარდაცვლილა, ლევანი ტყვეობიდან არ გამოუშვიათ, მარტინს არც ყმები და

არც მათგან რაიმე შემოსავალი მიუღია, ამიტომ ის ტფილისში ჩამოსულა გაცდენილი ერთი წლის ანაზღაურების საჩივრელად და დაპირებულის მისაღებად. ციციანოვის რჩევით მას საჩივარზე უარი უთქვამს და გერმანული ენის მასწავლებლობაზე დათანხმებულია წელიწადში 250 მანეთად (შემდგომში მარტინი სოფ. კონდოლში გაუგზავნიათ ევროპიულ წესით ლენინოების დასაყენებლად). ვადართებულ სასწავლებლისათვის ციციანოვი მათემატიკის მასწავლებელსაც ეძებდა სამხედრო პირთა შორის. 1804 წლიდან 1814 წლამდის კეთილშობილთა სასწავლებელში ქართული ენის წასწავლებლად ყოფილა დეკანოზი ზაქარია სიღამონოვი, რომელსაც თავის დროზე უსწავლია თელავში ქაოთულსა და სომხურ ენებზე გრამატიკა, რიტორიკა და ფილოსოფია. იცოდა არუსული და თათრული ენებიც. 1801 წელს მონაწილეობას იღებდა პეტერბურგს გაგზავნილ ერთერთ დელეგაციაში. 1818 წლიდან კი ახლად გახსნილ თელავის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად დაუნიშნავთ.

კეთილშობილთა სასწავლებლის მასწავლებელთა უმრავლესობა, განსაკუთრებით რუსეთიდან მოწვეულნი, თავის სიმაღლეზე ვერ იდგა. რუსეთიდან გამოწვეული მასწ. გულიევი ციციანოვს უკანვე გაუბუნებია, რადგან მის მიერ მოწაფეთა წინაშე წარმოთქმული სიტყვა ლანძღვა-გინებით ყოფილა სავსე. რუს მასწავლებელთა შორის მეტად ყოფილა გავრცელებული ლოთობა და ამის შედეგად ხულიგნობა, რომლითაც განსაკუთრებული სახელი ორმა მასწავლებელმა გაითქვა - მალცევა და ლუბკინმა. ამით სიმთვრალით, გინებით და ყვირილით მთელი უბანი ჰქონდათ აკლებული; ისინი რამდენჯერმე მსხდარან გაუბრუნებულნი გასასწორებლად, მაგრამ უშედეგოდ. ბოლოს, მთავარმართებლის ტორმასოვის განკარგულებით ისინი განსაკუთრებულ ბინაში მოათავსეს ექიმების ზედამხედველობის ქვეშ და დარაჯად ჯარისკაცები მიუჩინეს.

მასწავლებელთა ნივთიერი მდგომარეობა მეტად მძიმე იყო ხელფასის სიმცირისა და ტფილისში არსებულ განსაკუთრებული სიძვირის გამო.

1827 წლის მაისში კეთილშობილთა სასწავლებელში ქართული ენის მასწავლებლად დაუნიშნავთ 1832 წლის შეთქმულების ცნობილი მონაწილე სოლომონ დოდაშვილი, რომელსაც დირექტორი შიპულინი ახასიათებს: „Как чиновника отличного и усердного к своей обязанности и полезного своим соотечественникам.“

სასწავლებელი დიდ გაჭირვებას განიცდიდა საჭირო სახელმძღვანელოების უქონლობის გამო, განსაკუთრებით პირველ წლებში. წიგნებს იწერდნენ რუსეთიდან. 1804 წელს პენსის ეპისკოპოსს გაიოზს (ბარათაშვილს) სასწავლებლისათვის გამოუგზავნია 630 ცალი გრამატიკა და 600 ცალი ქართული ანბანი. რუსული სახელმძღვანელოები იგივე იყო, რაც რუს თის სასწავლებლებში.

უნდა ითქვას, რომ კეთილშობილთა სასწავლებელს თავადაზნაურთა წრეში ნდობა და სიყვარული მოპოვებული არ ჰქონია. პეტროაშვილის დირექტორობის დროსაც კი, რომელიც შედარებით ლკეთ ზრუნავდა სასწავლებელზე, ბავშვები გარბოდნენ სასწავლებლიდან და არც მშობლები ცდილობდნენ მათ დაბრუნებას. 1805 წელს ლაშქრობიდან დაბრუნებულ ციციანოვს სასწავლებელი დაკეტილი დახვდა, რადგან ბავშვებს სიარული შეეწყვიტათ. საჭირო შეიქნა ბავშვების ახ-

ლად მოგროვება და მათთვის სტიპენდიის დანიშვნა წასახალისებლად. ეს ზომა რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში დარჩა სახაზინო სკოლებში ბავშვების მისაზიდ საშუალებად.

საქართველოს უმაღლესი ხელისუფლება პირველ წლებში კმაყოფილი ყოფილა სასწავლებლის მდგომარეობით და მოწაფეთა წარმატებით. ზოგი მასწავლებელი ჯილდოზეც კი წარუდგენიათ. მეფეს ოქროს საათებით დაუჯილდოვებია აგრეთვე მოწაფეები: თავ. ბებუთოვი, სარაჯიევი, ჩუბინოვი და ამბროსოვი, რომელთაც საქართველოს ისტორია უთარგმნიათ რუსულად და ალექსანდრე I-თვის მიუძღვნიათ.

1806 წელს ნება დაურთათ სასწავლებელი ექვს კლასიანად გადაეცეთებიათ.

კეთილშობილთა სასწავლებელში სხვადასხვა დროს მოწაფეთა რაოდენობის სურათი ასეთია:

1804 წელს სასწავლებელში მიღებულ იქნა	36 მოწაფე.
1806 წელს სწავლობდა	£0 მოწ.
1814 " "	156 "
1826 " "	250 "
1828 წ. პირველ კლასში	92 მოწ.
II კლასში	73 "
III "	43 "
IV "	27 "
V "	16 "
VI "	28 "
ს უ ლ	271 მოწ.

1827 წელს სახაზინო ხარჯზე ყოფილა 70 მოწაფე (იხ. ც. არქივი, საქმე 24, ფ. 113).

სასწავლებლის მოწაფეობა ქართველ მაღალ არისტოკრატიისა და რუს მობელეთა შვილებისაგან შესდგებოდა. იყვნენ აქ აგრეთვე ამიერ-კავკასიის მფლობელ ხანთა შვილებიც.

კეთილშობილთა სასწავლებელი სავსებით განადგურდა, როდესაც საქართველოში და ამიერ-კავკასიაში შავი ჭირი მძვინვარებდა, განსაკუთრებით 1811-15 წლებში. ამ პერიოდში სასწავლებელი ან სავსებით დაკეტილი იყო, ან, 150 მოწაფის ნაცვლად, 20-30 მოწაფე დადიოდა.

კეთილშობილთა სასწავლებელი, როგორც ვთქვით, მშობელთა შორის და საზოგადოებაში ავტორიტეტით ვერ სარგებლობდა. იშვიათად თუ ეინმე ათავებდა სასწავლებლის სრულ კურსს. წერა-კითხვის შესწავლისა და ცოტაოდნად რუსული ენის შეთვისების შემდეგ მოწაფეები სასწავლებლიდან გამოდიოდნენ და სამსახურში შედიოდნენ, რადგან ცოდნის შექმნას ჩინების მიღებას და სამსახურში დაწინაურებას ამჯობინებდნენ. მოწაფეთა მიერ სასწავლებლის მიტოვებას ხელს უწყობდა სასწავლებელში გამეფებული რეჟიმი და სწავლების მეთოდი.

როგორც სასულიერო სემინარიაში, აგრეთვე კეთილშობილთა სასწავლებელშიც ერთს ადგენენ: ანიდან ბანამდე უაზროდ გაზეპირებას და რაიმე დანა-

შეულისათვის ხელისგულზე სახაზავით ცემას; ეს იყო და ეს მაშინდელი პედაგოგიური სიბრძნე“; — წერს თავის მოგონებაში ამავე სასწავლებლის ყოფილი მოწაფე ცნობილი დიმიტრი ყიფიანი¹.

სასწავლებლის გამგე ბუკრინსკი შუამდგომლობით მიმართავდა მთავარმართებელ რტიშჩევს, რათა მის სათანადო განკარგულება გაეცა, რომ უატესტატო მოწაფეები არც მშობლებისა და ნათესავების სახლში გაეჩერებინათ და არც სახაზინო დაწესებულებებში მიეღოთ. „... რათა ამით სასწავლებლისადმი მეტი პატივისცემა აღიძრასო“.

სასწავლებელში წლის დასასრულს ორმაგი გამგაცდები იმართებოდა. მოწაფეს პირველად მასწავლებლის ხელმძღვანელობით გამოცდიდნენ. მეორეჯერ ინიშნებოდა საჯარო აქტი მოწაფეების გამოსაცდელად, რომელსაც ხელისუფლების წარმომადგენელი და მაღალი არისტოკრატია ესწრებოდა.

აი როგორ ივონებს ამ გამოცდებს დიმიტრი ყიფიანი (იხ. „მემუარები“, გვ. 8-9): „გამოცდებს თავთავიანთ საგნებში თვით მასწავლებელნი ხელმძღვანელობდნენ, მაგრამ გარდა მანასეინისა (დირექტორი და რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი), დემენტევისა (რუსული სიტყვიერების მასწავლებელი) და არლუთინსკი-დოლოგორუკოვისა, სხვა დანარჩენი მასწავლებლებთან მოწაფენი შეგნებით მხოლოდ სიცრუესა სწავლობდნენ. გეოგრაფიის მასწავლებელი, მაგალ., გამოცდის ორი კვირის წინ გაკვეთილს აძლევს მოსამზადებლად: ერთს შვეციაზე, „არა სჯობს მე პორტუგალიაზე მომცეთ?— კარგი პორტუგალია იყოს, — მეორეს ისპანიაზე — პა? რაო? შვეციაზე გინდა? შვეციაზე იყოს, მესამეს ინგლისზე და სხვადასხვა და აწნაირად იქცეოდნენ დანარჩენი მასწავლებლებიც. რასაკვირვლია, გამოცდები კარგად ჩაივლიდა. გამოცდებს თან მისდევდა ჩვეულებრივი საჯარო აქტი. აქტის დროსაც იგივე ხერხი იყო მიღებული, კიდევ უფრო ზერულე და უფრო მოკლედ. ამას გარდა წარმოსთქვამდნენ გაზუბირებულ სიტყვებს, და ბოლოს საუკეთესო მოწაფეთ ჯილდოს მისცემდნენ, უფროს კლასებში გადაყვანილთა სახელებს გამოაცხადებდნენ და კურსდასრულებულთ ატესტატებს დაურიგებდნენ.“

აქტებს ღირსად ხდიდნენ და ესწრებოდნენ უმაღლესი პირები: მთავარმართებელი, საქართველოს ექსარხოსი, გუბერნატორი, შტაბის უფროსი და საერთოდ ყველა, შემთხვევით თუ მუდამ ტფილისში მცხოვრებნი წარჩინებულნი; რადგან სხვა ვასართობი არ იყო, საჯარო აქტები წლიურ სადღესასწაულო წარმოდგენას უდრიდა. აქვე მოვიყვანთ 1815 წლის პირველ ივლისს შემდგარ საჯარო აქტის ოფიციალური აღწერის შინაარსს: ბილეთებით მოწვეული მრავალრიცხოვანი საზოგადოება შეიკრიბა დილის 8 საათზე დანიშნულ დარბაზში. აქტს დაესწრნენ სრულიად საქართველოს ექსარხოსი ვარლამი, თელავის არქიეპისკოპოსის დოსითეოსის და საქართველოს მაღალი სამღვდელოების თანხლებით, მიტროპოლიტი ნერსესი ადგილობრივი სომხურ ეკლესიის მთავარმართველი ეპისკოპ. შინაისის და სომხური სარწმუნოების მაღალი სამღვდელოებით, აგრეთვე გენ. მაიორი ისმაილ-ხან ნუხელი თავისი მრავალრიცხოვანი ამალით და ყველა ადგილობრივი

¹ იხ. დ. ყიფიანის „მემუარები“, ს. ზუნდაძის რედაქციით.

რუსი და ქართველი მოხელეობა. მალე მობრძანდა სასწავლებლის მთავარი მზრუნველი მთავარმართებელი რტიშჩევი გუბერნატორი გენ. მაიორი სიმონოვიჩის და სხვა მრავალი გენერლებისა და ობერ-ოფიცრების თანხლებით. დამსწრეთათვის პროგრამების დარიგების შემდეგ ერთერთ ბრწყინვალე მოწაფის მიერ წარმოთქმულ იქნა სიტყვა რტიშჩევისადმი მიმართული. პირველ რიგში გამოცადენ მეორე ე. ი. დაბალი კლასის ორივე განყოფილების მოწაფენი: რუსულ ენაში — წერა და კითხვა, გრამატიკაში და არითმეტიკის პირველ ოთხ მოქმედებაში. ქართულ ენაში — წერა და კითხვა, აგრეთვე გრამატიკაში. გამოცდის დასრულების შემდეგ ამოიკითხეს ბეჯით და წარმატების მქონე მოწაფეთა გვარები. ამავე კლასის რვა წლის შოწაფემ სიტყვით მიმართა მზრუნველს (რტიშჩევს). ამის შემდეგ დაიწყო პირველი, ე. ი. მაღალი კლასის მოწაფეთა გამოცდა; რუსულ სიტყვიერებაში, სიტყვათწყობაში, რიტორიკაში და ზნობრივ ფილოსოფიაში, ქართულ სიტყვიერებაში, სიტყვათწყობაში, ლოლიკაში, ისტორიაში, გეოგრაფიაში; არითმეტიკაში, ალგებრაში და ხატვაში. წარმტებულთა გვარების ამოკითხვის შემდეგ მზრუნველისა და ყველა დამსწრეთა მიმართ ერთერთ მოწაფის მიერ წარმოთქმულ იქნა სამადლობელი სიტყვა. ბავშვების მიერ წარმოთქმული ეს სიტყვები შედგენილი იყო უფროსების მიერ კანცელარიის ენით, გაზეპირებული ბავშვების მიერ, რომლის შინაარსი ბავშვებს სრულიად არ ესმოდათ.

* * *

კეთილშობილთა სასწავლებლის კურსდამთავრებულებს ატესტატებს აძლევდნენ. ამ სასწავლებლის საქმეებში დღემდის შენახულია კურსდამთავრებულის თედორე ხოჯაპეტოვის ატესტატი. ის იყო საქთო ექსპედიციის თანამშრომლის ანასტასი ხოჯაპეტოვის შვილი, ანაური, ეროვნებით ბერძენი. შესულა სასწავლებლებით 1822 წელს და 18 წლისას დაუმთავრებია ის 1827 წელს. შემდეგ ხოჯაპეტოვი მასწავლებლად გამწესებულა; დიდხანს მასწავლებლობდა სიღნაღშიაც, საჯარო გამოცდების შედეგად შემდეგი ნიშნეი მიუღია:

საღვთო სჯული და საღვთო ისტორია — ძლიერ კარგი.

რუსული ენა — ძლიერ კარგი.

ქართული ენა — საკმაოდ კარგი.

თათრული წერა-კითხვა — ფრიად კარგი.

არითმეტიკა — ძლიერ კარგი.

ალგებრა — არა ცუდი.

გეომეტრია და სიბტყის ტრიგონომეტრია — პრწყინვალე.

საველე ფორტიფიკაცია — ძლიერ კარგი.

სიტუაცია — საშუალო.

გეოდეზია — აღმატებული.

სამოქალაქო არქიტექტურა — ძლიერ კარგი.

სახოვადო, რუსეთის და საქართველოს ისტორია — კარგი.

მათემატიკური, საერთო და რუსეთის გეოგრაფია — კარგი-ხაზვა — კარგი.

ხატვა — ძლიერ კარგი.

1826 წელს კეთილშობილთა სასწავლებლის დირექტორად დაუნიშნავეთ შე-
თავებით კავკასიის მხარის სკოლათა დირექტორი მანასეინი, ჰუმანიური და
განათლებული პედაგოგი, რომელსაც სასწავლებელში გაბატონებული მკაცრი
რეჟიმის შერბილება განუზრახავს. დიმიტრი ყიფიანი ამ დირექტორის შესახებ
შემდეგს გადმოგვცემს: „ელებიდიფოს პეტრეს-ძე მანასეინი დირექტორად და უმ-
ცროს კლასებში რუსული ენისა და უფროს კლასებში რუსული სიტყვიერების მას-
წავლებლად დაგვანიშნეს. ყველა ამ მოვალეობის პირნათლად შესრულება ერ-
თი კაცისათვის ფიზიკურად შეუძლებელი იყო და ამიტომ მანასეინმა მხოლოდ
ერთი სასწავლო წელიწადი დაჰყო ჩვენთან. მე დახვები მას მეოთხე კლასში.
მოწაფეებმა მხოლოდ მისგან დაიწყეს გადმონაცემის შეგნებით შეთვისება, მხო-
ლოდ მის დროს გადაიქცა დიდ სასჯელად მოწაფის ნახევარი საათით კუთხეში
დაყენება, ან ნახევარ საათით კლასში დატოვება, როდესაც დანარჩენნი უკვე წა-
სულნი იყვნენ. გულამოსკენით სტიროდენ ხოლმე, ვისაც ეს სასჯელი შეხედებოდა.

ყურებისა და თმების-მოწევა, სახაზავის ცემა, დაჩოქება, ან სხეულის სხვა-
გვარი სასჯელი მანასეინის ყოფნის დროს გულში გასაველელადაც შეუძლებელი
იყო. სამაგიეროდ ბავშვებიც არასდროს არ ყოფილან ისეთი კეთილშობილნი და
არასოდეს ისე კარგად „არ შეუგნიათ გადმონაცემი, როგორც მის დროს“ (იხ. დ.
ყიფიანის „მემუარები“ გვ. 7-8).

ხარკოვის უნივერსიტეტისთვის¹ 1826 წლის 31 ოქტომბერს გაგზავნილ
„შოსხენებაში მანასეინი აღნიშნავს მასწავლებლების მიერ მოწაფეების ცემასა და
უშვერი სიტყვებით ლანძღვას. მანასეინს მოწაფეთა ფიზიკური დასჯა ალუკეთია,
რასაც ზოგი მასწავლებლის უკმაყოფილება გამოუწვევია. მანასეინიც აღნიშნავს
ჰუმანიური ზომების დადებით შედეგებს. მაგრამ მანასეინი მალე პეტერბურგში
გადაიყვანეს—სასკოლო კომიტეტში, სასწავლებელში კი კვლავ ძველი ცემა-ტყე-
პის მეთოდები აღსდგა, რაც ხშირად გუბერნატორის გასარჩევ საგნად ხდებოდა“.

სასწავლებლის არსებობის დასაწყისში საქართველოს ადგილობრივი ხელის-
უფლება თითქოს კმაყოფილი იყო მრწაფეთა წარმატებით, მათ მიერ რუსული
ენის შეთვისებით, მასწავლებელთა მუშაობითაც. მხოლოდ შემდეგში (1810 წლი-
დან) მთავარმართებელსა და საქართველოს გუბერნატორს (რომელსაც უშუალოდ
ემორჩილებოდა სასწავლებელი) შორის გამართული მიწერ-მოწერიდან ამკარავ-
დება მთავრობის უკმაყოფილება სასწავლებლით. „უფროს კლასში საგნების შესწავ-
ლის ნაცკლად წერას სწავლობენ, ხოლო დაბალ კლასებში მოწაფეები რუსულადაც
ვერ ლაპარაკობენ, მიუხედავად იმისა, რომ ორი და მეტო წელი სხედან ერთ კლასში.
მშობლებსაც აღრიანად გაყავთ შვილები, რომ ისინი მალე ჩასწერონ სამსახურ-
ში ჩინის მისაღებად. ამიტომ საქირო შეიქნა განკარგულება, რომ სამსახურში არა-
ვინ მიიღონ სასწავლებლის კურსის დამთავრების მოწმობის წარდგენის გარეშე“—ო.

¹ 1835 წლის დებულებამდის, სასწავლო ოლქების შესახებ, რუსეთში ყველა საშუალო
სასწავლებელი ამათივე უნივერსიტეტს ემორჩილებოდა უშუალოდ. ტფილისის კეთილშობილთა
სასწავლებელი 1825 წლამდის ყახანის უნივერსიტეტს ექვემდებარებოდა, შემდეგ ხარკოვის უნივერ-
სიტეტს გადასცეს—„სიახლოვის“ გამო. ეს დაქვემდებარება ნომინალური იყო. არც ერისა და
არც მეორე უნივერსიტეტს მზრუნველობა და ხელმძღვანელობა არაფერში გამოუხატავს—ტ. ხ.
² იხ. დ. ყიფიანის „მემუარები“, გვ. 5-6, აგრეთვე „აქტები“ ტ. VI, ნაწ. I, გვ. 143.

მთავარმართველი რტიშჩევი გუბერნატორს სიმონოვიჩს წინადადებას აძლევს 1814 წელს, რათა მან გადაერთხილოს მასწავლებლები, მეტი მუყაითობით მოეკიდონ ბავშვებს. მთავრობას შემჩნეული აქვს მასწავლებელთა უმოქმედობა, რის გამო ბევრ შშობელს შვილები გაყავთ სასწავლებლიდან. შშობლები სასწავლებელში ვერაფრითარ სარგებლობას ვერ ხედავენ, რაც იმითაც მტკიცდება, რომ ორი და მეტი წლის განმავლობაში ზოგ ბავშვს რუსულად ერთი სიტყვაც კი ვერ შეუსწავლიაო¹.

კეთილშობილთა სასწავლებელი იმთავითვე ორკლასიანად დაარსდა. 1805 წელს საქართველოს მმართველს აღუძრავს შუამდგომლობა სასწავლებელში გიმნაზიის კურსი ყოფილიყო შემოღებული, რის ნებართვაც მიუღია. არსებულს მიმატებია მხოლოდ:

1. ზნეობრივ მეცნიერებათა კლასი (ჰუმანიტარული საგნები) სიტყვიერებითურთ, მასწავლებელი ბუკრინსკი.
2. მათემატიკისა და ზაზვის კლასი, მასწავლებელი მალცევი.
3. გერმანული და ლათინური ენების კლასი, მასწ. სამუილ მარტინი.
4. დაბალი რუსული კლასი, მასწავლებელი ფილუ.
5. ქართული ენისა და ქართულ ენაზე საგნების სწავლების კლასები—მასწავლებელი იოანე ქართველიშვილი და ზაქარია სიდომონოვი.

ციციანოვს სასწავლებელში მიუღია რამდენიმე მღვდლის შვილი (ორი ამბროსოვი, ჩუბინოვი, ტარტუანი და ტარმაზანოვი), ქართულის მცოდნე, ასაკით არა ნაკლები 15 წლისა, რომელთაც გორსა და თელავში განზრახულ სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლებად ამზადებდენ.

1810 წელს დირექტორის პეტრიევის განთავისუფლებასთან დაკავშირებით მთავარმართებელს ტორმასოვს შუამდგომლობა აღუძრავს, რომ სასწავლებლის გამგედ სამხედრო პირი დაენიშნათ, რადგან მაჰმადიანები ხალისით არ აძლევენ შვილებს სასწავლებელში, რომლის გამგედ მღვდელი იყო და გარდა ამისა „განზრახვა მაქვს სასწავლებელი „კეთილშობილთა სამხედრო სასწავლებლად“ გადავაკეთო, რადგან ასეთი სასწავლებელი შეეფერება საქართველოს კეთილშობილთა წოდების ზრახვებსა და ზნეობასაო. წარდგენილი პროექტი შემდეგ მთავარ მუხლს შეიცავს:

1. სამხედრო სასწავლებელში მიიღება 200 ბავშვი საქართველოს, იმერეთის, გურიის, სამეგრელოს თავადაზნაურთა. მუსულმან ბეგებისა და რუს მოხელეთა შვილები, ასაკით 8-11 წლისანი; მათ შორის 100 ბავშვი სახელმწიფოს სრულ კმაყოფაზე იქნება. 100 კი უფასოდ ისწავლის, მხოლოდ საკუთარ ბინაზე იცხოვრებს.
2. სწავლა რვაწლიანია. ის ბავშვები, რომელნიც განსაკუთრებით წარმატებას გამოიჩენენ, ოთხი წლის შემდეგ პეტერბურგის კადეტთა კორპუსში გაიგზავნებიან და შემდეგ უმაღლეს სამხედრო სასწავლებელში მიიღებიან. დანარჩენები კურსს აქვე ასრულებენ.
3. სამხედრო სასწავლებელი იქნება იდა ორ განყოფილებიანი ოთხ-ოთხ წლიანი კურსით.

¹ იხ. „აქტები“ ტ. V, გვ. 276.

პირველ განყოფილებაში ისწავლება: ქართული სიტყვიერება და ენები—რუსული, ფრანგული, გერმანული, აგრეთვე თათრული, რადგან ის დიდ ხმარებაში არა მარტო აზიაში, არამედ ევროპაშიც და საქიროა ყველა ოფიცირისათვის; მათემატიკის დაწყებითი კურსი, ისტორია, გეოგრაფია, ხატვა.

მეორე განყოფილებაში გრძელდება ყველა ენების სწავლება. მათემატიკის და გეომეტრიის უმაღლესი კურსი, ფორტიფიკაცია, ისტორია, გეოგრაფია, ხატვა, სამხედრო საქმე და სხვა.

ეს პროექტი განათლების სამინისტროში მოუწონებიათ და საკითხი დასამტკიცებლად სამხედრო სასწავლებელთა კომიტეტისათვის გადაუციათ. ახლად დანიშნულ მთავარმართებელს პაულიჩხაც 1811 წლის დეკემბერში აღუძრავს შუამდგომლობა პროექტის დამტკიცების დაჩქარების შესახებ, მაგრამ ალბათ, საგარეო მდგომარეობის გართულების გამო (ნაპოლეონის შემოსევა) პროექტი უყურადღებოდ დარჩა და შემდეგში საკითხი კეთილშობილთა სასწავლებლის სამხედრო სასწავლებლად გადაკეთების შესახებ არავის აღუძრავს, თუმცა არ შეწყვეტილა შემდეგშიც ცდა მიეცათ ამ სასწავლებლისათვის სამხედრო განხრა.

1819 წლის იანვარში მთავარმართებელ ერმოლოვს საქართველოს გუბერნატორის ხოვენის წინადადებით განათლების სამინისტროს წინაშე აღუძრავს შუამდგომლობა სასწავლებელში ახალი საგნების შემოღების შესახებ.

1. თათრული ენა — ამ ენის შემოღებას გენერალი ხოვენი იმით ასახუთებდა, რომ ა/კავკასიაში და საქართველოში ის მეტად გავრცელებულია; ის საქიროა აგრეთვე მოსაზღვრე ქვეყნებთან ურთიერთობისათვის; ამით შემდეგში ადგილობრივი ხელისუფლება თავს დააღწევს თარჯიმანების არ ყოლით გამოწვეულ გასაქირსაო.

2. გეოდეზია, 3. სავლელ ფორტიფიკაცია, 4. სამოქალაქო არტიტექტურა, 5. ცეკვა, 6. სიტუაცია. ამ საგნების შემოღებით სასწავლებელს ემატებოდა ერთი მებუთე კლასი და ის სამხედრო განხრას იღებდა. ერმოლოვი წინადადებას აძლევდა ხოვენს დაუყოვნებლივ შედგომოდა საქმეს.

1823 წელს თავადაზნაურთა ერთი ჯგუფის სთხოვნით კეთილშობილთა სასწავლებელს მეექვსე კლასიც მიმატებია.

კეთილშობილთა სასწავლებლის ზინაზიად გაღმართება

მე-19 საუკუნის 30 წლ. დასაწყისში, როდესაც რუსეთმა წარმატებით დაასრულა ომები ჯერ ირანთან, შემდეგ თურქეთთან, საქართველოს უმაღლესი ხელისუფლება შეუდგა სასკოლო ქსელის გაფართოებას და კეთილშობილთა სასწავლებლის გინაზიად გადაკეთებას. 1828 წლის 13 იანვარს, როდესაც მთავარმართებელი პასკევიჩი ბრძოლის ველზე იმყოფებოდა, მისი მოვალეობის აღმსრულებელი სამოქალაქო საქმეებში გენერალ-ადუტანტი სიბიაგინი კეთილშობილთა სასწავლებლის შესახებ მოხსენებას უგზავნის განათლების მინისტრს აღმირალ შიშკოვს, რომელშიც აღნიშნავს, რომ ადგილობრივ სასწავლებელში არც რიგიანი მასწავლებლებია და არც საგნების სათანადო განაწილება, ამიტომ არ სჩანს მოწაფეთა წარმატებაც, თუმცა ისინი ბუნებრივ ნიჭთან ერთად ყოველთვის მკაფიად კიდებენ ხელს მეცნიერებასო. სიბიაგინი სთხოვს მინისტრს დააჩქაროს გა-

სული წლის ოქტომბერში აღძრული შუამდგომლობის დამტკიცება სასწავლებლის გიმნაზიად გადაკეთების შესახებ. ამასთანავე ის საჭიროდ სცნობს ტფილისში კადეტთა კორპუსის დაარსებას 150 კაცისათვის, რომელშიც გიმნაზიის სრულ კურსდამთავრებულნი განაგრძობენ სწავლას.

1828 წლის სექტემბერში განათლების მინისტრს კავკასიის მხარის სასწავლებელთა დირექტორად და კეთილშობილთა სასწავლებლის გამგედ გრუბერი დაუნიშნავეს, როგორც ჩანს, პასკევიჩის წინადადებით. გრუბერს სასწავლებლის რეორგანიზაციის პროექტი შეუშუშავებია. გრუბერი მოწაფეთა მოუშაღებლობისა და დაბალი ზნეობის მთავარ მიზეზს მშობელთა უკულტურობაში ხედავს. მათ 10—12 წლის ბავშვები სრულიად გაველურებულნი შემოჰყავთ სასწავლებელში. ყოველდღიურად სასწავლებელში მცირე ხნით ყოფნის დროს დიდს გაჭირვებით ითვისებენ რამოდენიმე რუსულ სიტყვას, რომელიც შინ დაბრუნებისას ავიწყლებათ, რადგან ლაპარაკობენ ქართულად და მოკლებულნი არიან მშობლების მხრით ზედამხედველობას. მშობლები იმის ცდაში არიან, რაც შეიძლება მალე დაასრულებიონ. შეილებს ექვსი კლასი და ატესტატის აღების შემდეგ სამსახურში დანიშნებიან. ამიტომ კურსდამთავრებულნი არც რუსულ ენაში არიან გაწაფულნი და არც მეცნიერებაში. გრუბერს რუსული ენის შეთვისების საუკეთესო საშუალებად მოსაშაღებელ კლასში ურთიერთსწავლების მეთოდის შემოღება მიანიშნავს. საჭიროდ და აზნაურთა შეილების ზნეობრივი სიწმინდის დასაცავად მათი იზოლაცია დაბალი წოდების ხალხთა შეილებისაგან, რის გამო ის წინააღმდეგია მომავალი გიმნაზიის პირველ განყოფილებაში მიღებული იქნან სხვა წოდების პირთა შეილება, გარდა აზნაურებისა. მაგრამ გრუბერის შიში ზედმეტი იყო: 1828 წლის 3 დეკემბრის გიმნაზიების, სამაზრო და სამრევლო სკოლების სამიპერიოდებულებით, რომლის საფუძველზე იყო განზრახული კეთილშობილთა სასწავლებლის რეორგანიზაცია, გიმნაზია მხოლოდ თავდაზნაურთა და მალალ მოხელეთა შეილებისათვის იქნა განკუთვნილი.

ადგილობრივი უმაღლესი ხელისუფლებაც ასე ფიქრობდა: „Доселе обучались в Тифлисском благородном училище, да и впредь будут обучаться в преобразуемой из оного гимназии дети всех первых княжеских и дворянских грузинских фамилий.“ (იხ. აქტები, ტ. VII. გვ. 66—67)

მთავარმართებელი პასკევიჩიც უკმაყოფილოდ იყო სასწავლებელში საგნის დაყენებით; მოწაფეთა ჩამორჩენის მიზეზად, განსაკუთრებით რუსულ ენაში, მშობლების გაუნათლებლობას და შინაურ პირობების უვარგისობას აღნიშნავდა: „... только при совершенном удалении детей от домашняго воспитания можно надеяться на хорошие успехи и нравственность. Пансион должен составить главное основание учебного заведения для дворянского сословия“, სწერდა პასკევიჩი განათლების მინისტრს ლიგენს 1829 წლის აპრილში.

ამრიგად, მომავალ გიმნაზიასთან თავდაზნაურთა შეილათთვის პანსიონიც უნდა მოწყობილიყო მოწაფეთა მიერ რუსული ენისა და სხვა საგნების უნაკლოდ შეთვისების მიზნით.

1829 წლის 2 აგვისტოს დამტკიცებული იქნა-დებულება ამიერ-კავკასიის სასწავლებელთა შესახებ, როკლითაც ტფილისში გიმნაზია არსდებოდა, ხოლო ოც მასწავლებელს ორკლასიანი სამაზრო სასწავლებელი; მათვან საქართველოში უნდა გახსნილიყო: ტფილისში, გორში, თელავში, სიღნაღში, დუშეთში, ქუთაისში და სამეგრელოში (სამეგრელოს მთავრის ნებართვით).

1830 წლის მარტში ტფილისში კეთილშობილთა სასწავლებლის ნაცვლად გაიხსნა თავადაზნაურთა შვილებისათვის გიმნაზია, შემდეგში პირველ გიმნაზიად წოდებული.

ტფილისის გიმნაზიის მიზანი იყო ქართველ თავადაზნაურთა და მოხელეთა შვილებისათვის შესაფერი განათლების მიცემა. ტფილისის გიმნაზია, სხვა გიმნაზიების მსგავსად, შვიდკლასიანი იყო. პირველი კლასისათვის, რომელშიც კითხვას, წერას და არითმეტიკის ოთხ მოქმედებას ასწავლიდნენ, ვედა არ იყო განსაზღვრული, შემდეგი კლასები კი თითო წლიანი იყო. გიმნაზიაში ისწავლებოდა: საღვთო სჯული, რუსული გრამატიკა, სიტყვიერება და ლოლიკა, ენები: ქართული, თათრული, გერმანული და ფრანგული¹. გეოგრაფია და სტატისტიკა, ისტორია, ფიზიკა, რუსეთის მართლმსაჯულება და სამართლის წარმოება, სუფთა წერა. ხატვა და ხაზვი². პირველ კლასში ნებადართული იყო ლანკასტერის (ურთიერთსწავლების) მეთოდი. ისტორიის, მათემატიკის და რუსული სიტყვიერების მასწავლებლები უფროს მასწავლებლებად იწოდებოდნენ. რუსული გრამატიკის, გეოგრაფიის, ადგილობრივი და ახალი ენების კი—უმცროსად. უმცროს მასწავლებლებს პედაგოგიურ სხდომებზე მონაწილეობის უფლება არ ჰქონდათ.

ტფილისის გიმნაზიასთან დაარსებული იყო პანსიონი, რომელშიც სახაზინო ხარჯზე იზრდებოდა საქართველოს თავადაზნაურთა 30 ბავშვი და აკავასიანი მოსამსახურე რუს მოხელეთა 10 ბავშვი.

* * *

სამაზრო სასწავლებელი 1829 წლის დებულებით ორკლასიანია. ამ სასწავლებელში ყველა თავისუფალი მდგომარეობის ბავშვი მიიღება. სამაზრო სასწავლებელში ისწავლებოდა: საღვთო სჯული და საღვთო ისტორია, კითხვა, სუფთა წერა, არითმეტიკის ოთხი მოქმედება, რუსული და ადგილობრივი ენა. სამაზრო სასწავლებლიდან შეიძლება გიმნაზიაში გადასვლა.

დებულებით გიმნაზიის ყოველწლიური ხარჯისათვის გათვალისწინებული იყო ასიგნაციებით 34.700 მან, გიმნაზიის პანსიონზე 24,000 მან., სულ 58.700 მან. ასიგნაციით. კეთილშობილთა სასწავლებლის გიმნაზიად გადაკეთებისათვის გადებულ იქნა ერთდროულად 3.000 მან.

¹ დებულებით არ იყო გათვალისწინებული სომხური ენა. ამიტომ სომეხთა თავადაზნაურობას აღუძრავს შუამდგომლობა სომხური ენის შემოღების შესახებ გიმნაზიაში, რისთვისაც მხარი დაუჭირა ადგილობრივი ხელისუფლებასაც და 1831 წლის 4 ნოემბერს სათანადო ნებართვა მოსულა—ტ. ხ.

² ტფილისის გიმნაზიაში არ ისწავლებოდა ამ დებულებით ლათინური ენა, რომელიც იმპერიის ყველა გიმნაზიაში იყო გათვალისწინებული —ტ. ხ.

სამაზრო სასწავლებლის სასწავლო გეგმა:

ს ა გ ნ ე ბ ი	I კლ.	II კლ.	გაკვ. რაოდ.	საათების რაოდენობა ¹
1. საღ. სჯული	4	4	8	12
2. რუსული ენა	4	4	8	12
3. ადგილობრივი ენა	2	2	4	6
4. სუფთა წერა	3	3	6	9
5. არითმეტიკა	3	3	6	9
გაკვ. სულ	16	16	32	—
საათი სულ	24	24	—	48

თითოეულ სამაზრო სკოლას ეძლეოდა წლიურად—3.800 მან. ასიგნაციით, 20 სამაზრო სკოლას (3.800. 20)=76.000 მან.) სულ გიმნაზიაზე და 20 სამაზრო სასწავლებელზე გათვალისწინებული იყო (58,700 მან.+76,000 მ.)=134.700 მან. ასიგნაციით.

1828 წლის დებულებით გიმნაზიის დირექტორს ემორჩილება ყველა სამაზრო სასწავლებელი. დირექტორი კი ყველა სასწავლებლით უშუალოდ ემორჩილებოდა ადგილობრივ მთავარ სასწავლო უფროსს (Главное местное училищное Начальство). ადგილობრივ მთავარ სასწავლო უფროსის მოვალეობა დებულებით მთავარმართებელს პასკევიჩს დააკისრეს.

სამაზრო სასწავლებლები ერთბაშად არ გახსნილა. საქმეს აჭიანურებდა სათანადო ბინის უქონლობა და მასწავლებლების არ ყოლა, რომელთაც უმთავრესად რუსეთიდან იწერდნენ. მაგ., ქუთაისის სამაზრო სასწავლებლისათვის მასწავლებლები ტავანროვიდან გამოუწერიათ ჯერ კიდევ 1829 წელს—ათანას ნიტიკი, რომელმაც მთელი 1830 წელი ქუთაისში გაატარა სასწავლებლის გახსნის მოლოდინში. რუსეთიდან გამოუგზავნიათ აგრეთვე მასწავლებლები ფოგელი (რომელიც კობში—სამხედრო გზაზე—გარდაცვლილა), მიხაილოვსკი, ბაჟენოვი, ანტონოვი და სხვ. სასწავლებელთა დირექტორი გრუბერი 1831 წლის 18 მარტს ატყობინებს მთავარმართებელ პასკევიჩს: ათი სამაზრო სასწავლებლის ნაცვლად, რომლის გახსნა წარუშინ იყო განზრახული, გახსნილა მხოლოდ ხუთიო.

სამეგრელოს მთავარს/ლევან დადიანს 1830 წლის 4 აგვისტოს აღუძრავს შუამდგომლობა სამეგრელოს. თავადაზნაურთა შვილების გასანათლებლად სასწავლებლის გახსნის შესახებ. ამისათვის ის იძლეოდა შესაფერ ბინას, მოსამსახურეს, სანოვაგეს—პურის, ღვინისა და ხორცის სახით და, გარდა ამისა, ორას მანეთს ვერცხლით ხელფასად. სამეგრელოში ტფილისიდან მიუღვინებიათ გიმნაზიის პირველი კლასის მასწავლებელი ნაზაროვი პირობების გამოსარკვევად და სკოლის გასახსნელად. სამეგრელოში სასწავლებელი გახსნილა 1830 წლის 19 დეკემბერს სოფ. ნაოლაღევიში—სასწავლებელში შესულა 16 მოწაფე. თელავში სამაზრო სასწავლებელი გახსნილა 1830 წლის პირველ ნოემბერს, მიუღიბთ 15.

¹ გაკვეთილის ხანგრძლივობა უდრიდა საათნახვარს—ტ. ბ.

ბავშვი. გორში გახსნილა სასწავლებელი 1830 წლის 24 ნოემბერს, მიუღიათ 18 მოწ. ქუთაისში იმავე წლის პირველ დეკემბერს გაიხსნა სამაზრო სასწავლებელი 15 მოწაფით.

რუსეთში 1825 წლის დეკემბრის აჯანყების შემდეგ მოხვლეებისაგან და მასწავლებლებისაგანაც შემდეგი ხასიათის ხელწერილს თხოულობდნენ: „Я нижеподписавшийся сим объявляю, что я ни к какой Массонской ложе и никакому тайному обществу ни внутри Империи ни вне ея не принадлежу и обязываюсь впредь оным не принадлежать и никаких сношении с ними не иметь, в чем и подписываюсь“. 1834 წლის თებერვლისათვის ა/კავკასიაში დებულებით განზრახულ ოცი სამაზრო სასწავლებლის ნაცვლად გახსნილი იყო მხოლოდ თერთმეტი, მათგან საქართველოში ექვსი.

აქვე მოვიყვანთ თვითეული სასწავლებლის მოწაფეთა რაოდენობას სოციალური შემადგენლობის მიხედვით:

სასწ. დასახ.	თავადახ., ბევების და მოხელეთა შვილები	მოქალაქეების და ვაჭრების შვილები	დანარჩენ წოდ.	ს უ ლ
1. თელავის	45	10	1	56
2. გორის	66	5	—	71
3. ქუთაისის	91	10	2	103
4. სიღნაღის	43	45	1	89
5. ახალციხის	—	82	—	82
6. სამეგრელოს	39	1	3	43
7. შუშის	13	25	6	44
8. ერევნის	3	34	—	37
9. ბაქოს	11	14	4	29
10. ხაზის	7	21	—	28
11. ვანჯის	6	34	—	40

ამ ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ სამაზრო სასწავლებლებში საქართველოში თავადაზნაურთა ბავშვები სჭარბობდნენ. მცირეა მოქალაქეთა ბავშვები და თითქმის სრულიად არ ჩანს დანარჩენ თავისუფალი წოდების შვილები.

მაჰმადიანთა მოსახლეობაში სახაზინო სკოლები დიდხანს არ სარგებლობდა ავტორიტეტით. სამაგიეროდ მათი ბავშვებით სავსე იყო მედრესები.

1829 წლის დებულებით და სასწავლებელთა მდგომარეობით არ იყო კმაყოფილი ა/კავკასიის უმაღლესი ხელისუფლებაც. „აქაურ სასწავლებელთა ნამდვილ მდგომარეობას არ შეუძლია საესებით დააკმაყოფილოს ადგილობრივ ხალხთა შორის განათლების გავრცელების საჭიროება...“ სწერს მთავარმათებელი როზენი განათლების მინისტრს უფაროვს 1834 წელს. როზენმა სამინისტროს წარუდგინა აგრეთვე გიმნაზიის დირექტორის გრუბერის მიერ შედგენილი „განმარტებითი ბარათი ა/კავკასიაში სასწავლო ნაწილის გაუმჯობესების შესახებ“. ამ ბარათის საფუძველზე 1835 წლის 12 მაისს გამოიცა ახალი „დებულება ა/კავკასიის სასწავლებელთა შესახებ“. ამ დებულებაში წინა დებულებასთან შედარებით შემდეგი არსებითი ცვლილება შეტანილი.

1829 წლის „დებულებით“ ა/კავკასიაში სამაზრო სასწავლებლები ორკლასიანი იყო, რაც სასწავლო საგნების მოცულობით რუსეთის სამრევლო სკოლებს უდრიდა და თავადაზნაურთა შვილებს ვერც სამსახურისთვის ამზადებდა და ვერც განათლების შემდეგი საფესურისათვის—გიმნაზიისათვის.

1835 წლის „დებულებით“ სამაზრო სასწავლებელი სამწლიანი უნდა გახდეს, რომელშიც ისწავლება: საღვთო სჯული, რუსული გრამატიკა, გეოგრაფია, ისტორია, არითმეტიკა, გეომეტრიის დასაწყისი, სუფთა წერა, ხატვა, ხაზვა და ადგილობრივი ენები. ადგილობრივი ენებიდან ისწავლება: ტფილისში—ქართული, სომხური, თათრული; ყაზანის დისტანციაში—თათრული; დუშეთში, გორში, ქუთაისში, თელავში და სიღნაღში—ქართული და სომხური; განჯაში, შუშაში, ნუხაში, შემახაში, ყუბაში, ბაქოში, დარუბანდში, ერევანში, ნაიჩიევანში, ახალციხეში და ლენქორანში—სომხური და თათრული¹.

სამეგრელოში თუმცა ხალხური ენა მეგრულია, მაგრამ რადგან მას მწერლობა არა აქვს, იქაურ სასწავლებელში ისწავლება ქართული, დიდი ხნიდან იქ შემოღებული ნათქვამია მიწერ-მოწერაში. სამაზრო სასწავლებლის მაღალ კლასში საგნები რუსულ ენაზე ისწავლებოდა, დაბალ კლასებში ნებადართულია საგნის ახსნა ადგილობრივ ენებზე. გიმნაზიის პირველ ორ კლასშიც ნება ეძლევათ მასწავლებლებს აუხსნან მოწაფეებს გაკვეთილი ადგილობრივ ენებზე. გიმნაზიის ხელისუფლებას ევალება თვალყური ადევნოს, რათა გაკვეთილებისაგან თავისუფალ დროს მოწაფეები ურთიერთშორის უმეტესად რუსულად საუბრობდნენ. გიმნაზიის თითოულ მოწაფეს ევალებოდა რუსულსა, გერმანულსა და ფრანგულ ენებს გარდა ერთერთი ადგილობრივი ენა შეესწავლა.

ხელისუფლება დიდ საჭიროებას გრძნობდა თარჯიმანებში, განსაკუთრებით თათრულიდან, ამიტომ მომავალ მოხელეებს, რუსებსაც კი, ავალდებულებდა ერთერთი ადგილობრივი ენის, განსაკუთრებით თათრულის შესწავლას. „Училищному начальству вменяется в обязанность поощрять детей русских чиновников к основательнейшему изучению местных языков и преимущественно татарского“, ვკითხულობთ 1835 წლის დებულებაში.

ახალი დებულებით ტფილისის გიმნაზიიდან თუ სამაზრო სასწავლებლებიდან მშობლების თანხმობით და სასწავლებელთა ვაშის შერჩევით ყოველწლიურად ეგზავნება ათიოდე ადგილობრივ აზნაურთა ბავშვი ყოფაქცევითა და წარმატებით. გამორჩეული რუსეთის კადეტთა კორპუსებში. ამ მუხლის თანახმად 1837 წლის სექტემბერში მთავრობას ერთერთი მოხელის ზედამხედველობით გაუგზავნია კიდევ თავადაზნაურთა ათი ბავშვი ტფილისის გიმნაზიიდან პეტერბურგის კადეტთა კორპუსებში მოსათავსებლად.

გარდა ათი ბავშვისა, დებულებაში გათვალისწინებულია აგრეთვე ყოველწლიურად გზავნა რუსეთის უნივერსიტეტებში ზუთიოდე ადგილობრივი ენების-მცოდნე, გიმნაზიის კურსდასრულებულთა იმ პირობით, რომ ისინი უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ ექვს წელს მაინც იმსახურობენ: მასწავლებლებად ა/კავკასიის სკოლებში. 1835 წლის დებულებით სკოლებზე საქართველოში

¹ სავალდებულო იყო ერთერთი ენის სწავლა — ტ. 6.

მთავრობა ხარჯავდა ვერცხლით: 1) ტფილისის გიმნაზია—12.785 მან., 2) პან-სიონი მასთან—10.020 მან., 3) ტფ. სამაზრო სასწ.—2.030 მან., 4) სამეგრელოს სასწ. 1.530 მან., 5) გორის, თელავის, სიღნაღის, დუშეთის, ქუთაისის, ახალციხის სასწავლებლებზე თითოულზე 1.780 მ., სულ ექვსივე სამაზრო სასწავლებელზე 10.680 მან. დებულებით საქართველოს ყველა სასწავლებელზე უნდა დახარჯულიყო 37.045 მან. ა/კავკასიის ყველა სასწავლებელზე კი—55.375 მან. ეს იყო მეფის მთავრობის მთელი ბიუჯეტი განათლების საქმეზე ამიერკავკასიაში.

1837 წელს მეფე ნიკოლოზ I ა/კავკასიის ესტუმრა. მის მგზავრობასთან დაკავშირებით ა/კავკასიაში მრავალგვარი ბოროტმოქმედება გამოაშკარავდა, რომელშიც მონაწილეობას იღებდა მაშინდელი მთავარმართებელი როსენი თავისი ოჯახის ყველა წევრითურთ. მექრთამეობა და სახანინო ფულის მითვისება „სავალდებულოდ“ ითვლებოდა ყველა მოხელისათვის, ვისაც ამისი შესაძლებლობა ჰქონდა. საინტერესოა რომ გიმნაზიის მაშინდელ დირექტორსაც—გასსენ-მილერს გაუფლანგავს 50.000 მანეთი გიმნაზიისა და სამაზრო სკოლების მშენებლობისათვის გადადებული. დირექტორი ამ ბოროტმოქმედებისათვის, რომელიც 1839 წელს გამომჟღავნდა, ციხიბრში გაგზავნეს ყოველგვარი უფლების აყრით.

მეფე ნიკოლოზის მგზავრობას შედეგად როსენის მოხსნა მოჰყვა. 1837 წელს დაინიშნა სენატორ განის თავმჯდომარეობით კომისია ა/კავკასიის მოსაწყობად, ადმინისტრატული და სამოქალაქო მართვა-გამგეობის მოსაგვარებლად. ამ წლიდან დაიწყო მართვა-გამგეობის რეფორმები, რომელიც რყევას და სწრაფ ცვლას განიცდიდა მთელი ათი წელი.

1838 წელს დაარსებულ იქნა ა/კავკასიის მთავარი მართველობის საბჭო, რომელშიც სამი სამხედრო და ორი სამოქალაქო მოხელე შედიოდა

1842 წელს სკოლების მართვა-გამგეობა ა/კავკასიაში მთავარი მართველობის ერთერთ სამხედრო პირს დაეკისრა. ამ წლიდან მოკიდებული ა/კავკასიაში სასწავლო საქმის ხელმძღვანელებად ჯერ გენერალ-მაიორი კოხანოვი იყო, შემდეგ გენერალ-მაიორი შრამი, რომელთაც განათლების საქმე არც აცნტერესებდათ და არც არაფერი გაეგებოდათ. მეორმოცე წლების ადმინისტრატული რეფორმა განათლების საქმეს არ შეეხებია. სასკოლო საქმის ასეთ უმწურო მდგომარეობისათვის ყურადღება მიუქცევია სამხედრო მინისტრს ცნობილ ჩერნიშოვს, რომელიც მეორმოცე წლებში გამოგზავნილი იყო ამიერ-კავკასიაში სენატორ განის კომისიის მიერ გატარებული რეფორმების შესამოწმებლად.

ჩერნიშოვის მითითებით დაუწყიათ ა/კავკასიის სასწავლებელთა ახალი დებულების შედგენა, რაც მთავარმართებელ ნეიდგარტს მიუხდვია კომისიისათვის საქართველო-იმერეთის სამოქალაქო გუბერნატორის სოტნიკოვის თავმჯდომარეობით. სოტნიკოვის მიერ შემუშავებული პროექტი, მმართველობის მთავარ საბჭოში 1845 წელს წარდგენილი, როდესაც მეფის მოადგილე უკვე ვორონცოვი იყო, დაწუნებული იქნა. ახალი პროექტი შედგენა სათანადო ინსტრუქციების მიცემით, ვორონცოვს საბჭოს წევრის სემიონოვისთვის მიუხდვია. სემიონოვის მიერ შემუშავებული პროექტი მიღებული იქნა ვორონცოვის მიერ და 1848 წლის 18 დეკემბერს უმ.ლლესად დამტკიცდა. განმარტებით ბარათში,

რომელიც ვორონცოვმა თან დაურთო პეტერბურგში დასამტკიცებლად გაგზავნილ პროექტს, ნათქვამია, რომ „საქართველო ჯერ კიდევ არ არის მომზადებული იმისათვის, რომ აქ უნივერსიტეტი იქნეს. აუცილებელია ყველგან სწორი რუსული ენის გავრცელება, ეს საქმე დღემდის სრულიად მივიწყებულია და ამიტომ ადგილობრივ მცხოვრებთაგან ძლიერ მცირე რაოდენობას შეუძლია წარმატებით ემსახუროს სახელმწიფოს“.

რუს მოსწავლეთა მიერ ადგილობრივი ერთერთი ენის შესწავლა უდაო საჭიროებად მიაჩნდა ვორონცოვსაც. „ეს საქმე პირველ ხარისხოვანი მნიშვნელობისაა, რომელიც არა მარტო დააკავშირებს ერთმანეთს აქაურ მცხოვრებთა სხვადასხვა მდგომარეობის ხალხს, არამედ მოგვეცემს ზენს სასვებით საიმედო თარჯიმნებს“¹. რუსეთიდან გამოწერილი მოხელეები სახელს უტეხენ რუსობას და ზიანს აყენებენ დაწესებულებებსო, — სწერდა ვორონცოვი თანდართულ ბარათში.

ამრიგად, 1848 წლის 18 დეკემბერს დამტკიცდა „დებულება კავკასიის სასწავლო ოლქის შესახებ“. ოლქის მზრუნველად დამტკიცებულ იქნა სემიონოვი.

ახალი დებულებით სასწავლო ოლქი ხუთ დირექციად იყოფოდა:

1. ტფილისის, 2. ქუთაისის, 3. შემახა-დარუბანდის, 4. სტავროპოლის და 5. შავი ზღვის მხარის.

ტფილისის დირექციას ემორჩილება:

1. ტ. სააზნაურო გიმნაზია პანსიონით და ორი სპეციალური კურსით, და ტფილისის კომერციული გიმნაზია.

2. სამაზრო სასწავლებლები: გორის, დუშეთის, სიღნაღის, თელავის, განჯის, ერევნის, ნახიჩევანის და ალექსანდრეპოლის.

3. ქვეშეთის ორკლასიანი სამრევლო სკოლა პანსიონით.

ქუთაისის დირექციას ემორჩილება:

1. ქუთაისის საგუბერნიო გიმნაზია კეთილშობილთა პანსიონით.

2. სამაზრო სასწავლებლები: ახალციხეში და ოზურგეთში.

3. ორკლასიანი სამრევლო სკოლები ყულევში და ონში¹.

ვორონცოვის პოლიტიკამ ქართველი თავადაზნაურობის მშვიდობიანად დამორჩილების შესახებ გამოხატულება სასკოლო პოლიტიკაშიაც ჰპოვა. თავადაზნაურთა გიმნაზია ამ წოდებას განუუტუნენა, ხოლო ვაჭრებისა და „რანსონიკებისათვის“ კომერციული გიმნაზია დაარსეს.

ოლქის თითოეული გიმნაზია რეაკლასიანია: მათში — ერთი მოსამზადებელია, ორი — სამაზრო და ხუთი საკუთრივ გიმნაზიური კლასებია, ტფ. სააზნაურო გიმ-

¹ აქვე აღვნიშნავი, რომ ტფილისის გუბერნია 1846 წლის ადმინისტრაციული დანაწილებით შეიქმნა ყოფ. საქართველო-იმერეთის გუბერნიიდან. ახლად დაარსებულ ტფილისის გუბერნიამ შედიოდა მაზრები: ტფილისის, გორის, თელავის, სიღნაღის, განჯის, ერევნის, ნახჭევანის და ალექსანდრეპოლის და ოლქები თუშ-ფშავ-ხევსურეთი და ოსეთი. 1849 წელს ერევნის, ნახჭევანის და ალექსანდრეპოლის მაზრებისაგან შესდგა ერევნის გუბერნია, 1846 წელს ახალციხის მაზრა ქუთაისის გუბერნიას დაუქვემდებარეს. 1867 წელს ია ტფილისის გუბერნიას დაუმორჩილეს. 1847 წელს ახალციხის მაზრიდან გამოაყვეს ახალქალაქის მაზრა. 1859 წ. ოსეთის ოლქი გორის მაზრას შეუერთეს. თუშ-ფშავ-ხევსურეთის ოლქისაგან კი თიანეთის მაზრა შეიქმნა.

1868 წელს დაარსდა განჯის გუბერნია, 1880 წელს ტფილისის მაზრიდან გამოაყვეს ბორჩალო მაზრა — ტ. ხ.

ნაზიასთან არსებული ორი სპეციალური კურსის მიზანი იყო უნივერსიტეტში შემსვლელთა მომზადება (რადგან გიმნაზია საკმაო ცოდნას ვერ იძლეოდა) და დაბალი კლასებისათვის მასწავლებელთა მომზადება.

აღსანიშნავია საგნების სიმრავლე და სიჭრელე.

ისწავლებოდა: 1. საღვთო სჯული. 2. რუსული გრამატიკა, რიტორიკა, პიტიკა და რუსული სიტყვიერების ისტორია. 3. არითმეტიკა, ალგებრა, ლონგიმეტრია, პლანიმეტრია და სტერეომეჯრია. 4. რუსეთისა და ზოგადი გეოგრაფია. 5. საზოგადო და რუსეთის ისტორია, კავკასიისა და აკავკასიის მხარის ისტორიითურთ: 6. ზოგადი ფიზიკა. 7. კანონმდებლობის მოკლე ისტორია, ძირითადი კანონები, სახელმწიფო ან საგუბერნიო დაწესებულებანი, კანონები მდგომარეობათა შესახებ, სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონები და პრაქტიკული სამართლის წარმოება. 8. სოფლის მეურნეობა და სამოქალაქო არქიტექტურა — აზნაურთათვის, ვაჭართა შვილებისათვის კი კომერციული არითმეტიკა, ბუხალტერია, კომერციული გეოგრაფია, საქონლის მცოდნეობა და კომერციული სამართალი. 9. ენები ადგილობრივი: ტფილისის ორივე გიმნაზიაში ყველასათვის სავალდებულოა ქართული და თათრული, სომხებისათვის — სომხურიც, ქუთაისის გიმნაზიაში — ქართული და თურქული. 10. ფრანგული და 11. ლათინური, სავალდებულოა მათთვის, ვინც უნივერსიტეტში აპირებს შესვლას. 12. სუფთა წერა, 13. ხატვა და ხაზვა. სპეციალურ კურსზე ისწავლება ყველა საგანი უნივერსიტეტში შესასვლელად გამოცდებით ვათვალისწინებული და გერმანულიც სამკურნალო ფაკულტეტზე შემსვლელთათვის. პედაგოგიური განზრის კურსებზე ისწავლება პედაგოგიკა, დიდაქტიკა და ის საგნები, რომელთა სწავლება აქვს განზრახული მომავალ მასწავლებელს.

გიმნაზიებში დებულებით შემოღებული იყო სწავლის ქირა წელიწადში 3 მანეთი. წლიური გამოცდები 15 ნოემბრიდან იწყებოდა, სასწავლო წელი კი პირველი იანვრიდან. ზაფხულის არდადეგები ორი თვე გრძელდებოდა — ივლისი-აგვისტო.

მეორმოცე წლებიდან გიმნაზიაში შემოღებული იყო თავისუფალ მსმენელთა ინსტიტუტი, რაც დებულებით დასტურდებოდა. თავისუფალი მსმენელები მოწაფეებად არ ითვლებოდნენ: ისმენდნენ გაკვეთილებს და გიმნაზიის დასასრულს საგნების ჩაბარების უფლება ეძლეოდათ ატესტატის მისაღებად.

ტფილისის გიმნაზიის პანსიონში 70 მოწაფე სახაზინო: ხარჯით ცხოვრობდა, მათში 30 ბავშვი ტფ. გუბერნიის ღარიბ თავადაზნაურთა, 20 ბავში — კი დამსახურებულ რუს მოხელეთა, 20 ბავშვი მუსულმან და სომეხ არისტოკრატისა. ქუთაისის გიმნაზიაში 30 მოწაფე იზრდებოდა ხაზინის ხარჯზე. მათში: 15 ბავშვი გურია-იმერეთის თავადაზნაურთა, 5 ბავშვი — სამეგრელოს თავადაზნაურთა და 5 ბავშვი რუს მოხელეთა. მოწაფეთა შერჩევა მთავარმართებლის უფლება იყო, ხოლო სამეგრელოდან ბავშვები იგზავნებოდნენ სამეგრელოს მთავრის შერჩევით.

სამაზრო სასწავლებელს დებულება მიზნად უსახავდა: 1. ღარიბ აზნაურთა და მოხელეთა შვილების მომზადებას სახელმწიფო სამსახურის დაბალი საფეხური-სათვის. 2. საჭირო ცოდნის მიწოდებას ქალაქისა და ყველა თავისუფალი მდგო-

მარეობის ბავშვთათვის და 3. გიმნაზიისათვის მომზადებას მალალი და ყველა თავისუფალი მდგომარეობის ბავშვებისას.

სახსნიო საეკლესიო და საბატონო გლეხებს სამაზრო სკოლაში არ ღებულბდნენ.

სამაზრო, სასწავლებელი სამწლიანია: მოსამზადებელი და ორი კლასი. სწავლა უფასოა.

ღებულებით სამაზრო სასწავლებელში მასწავლებლად დანიშნისას იმას ეძლევა უპირატესობა, ვინც ცცის ადგილობრივი ენა იმ მაზრის მოსახლეობისა, სადაც სასწავლებელია გახსნილა.

სამაზრო სასწავლებელში თითქმის იგივე საგნები ისწავლება, რაც 1835 წ. ღებულებითაა გათვალისწინებული საკანცელარიო წესებისა და ამიერ-კავკასიის მაზრის გაცნობის დართით. ადგილობრივი ენის შესწავლა სავალდებულოა სამაზრო სასწავლებლის ყველა მოწაფისათვის. ადგილობრივ ენად ითვლება: ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიის ქართულ მაზრებში — ქართული ენა, ა/კავკასიის დანარჩენ მაზრებში — თათრული. სომხურ ენას მხოლოდ სომხებე სწავლობენ. სამაზრო სასწავლებელში შეიძლებოდა მეოთხე კლასის გახსნა სოფლის მეურნეობისა და დაწყებითი კომერციულ მეცნიერებათა (საეაჭრო წიგნების წარმოება ბუჰალტერიის წესით) შესასწავლად. თუ საეაჭრო წოდების პირი წარმატებით დაასრულებდა სამაზრო სასწავლებელს, ის თავისუფლდებოდა ფიზიკური სასჯელისაგან.

სამრეელო სკოლების გახსნა ა/კავკასიაში და საქართველოშიაც მხოლოდ 1848 წლის ღებულებით არის ნაგულისხმევი. ასეთი — სახსნიო ხარჯით მხოლოდ სამი სასწავლებელი გაიხსნა: ქვეშეთში — მთიელ წარჩინებულ პირების ბავშვთათვის ოცი პანსიონერთ. ო.წში — რაჭის თეადაზნაურთა და სენების და ოსების ზედაფენების ბავშვთათვის აგრეთვე პანსიონით ოცი ბავშვისათვის და ყუღევიში იქაურ ბერძენთათვის.

საერთოდ სამრეელო სკოლების გახსნა ნებადართული იყო კავკასიის მხოლოდ ქრისტიანულ მოსახლეობაში საზოგადოების ხარჯზე და მეფის ნაცვლის ნებართვით. სამრეელო სკოლაში ყველა მდგომარეობის ბავშვი მიიღება არა ნაკლები 8 წლისა. ორივე სქების ბავშვის ერთად სწავლება აკრძალულია. სწავლა უფასოა. სამრეელო სკოლა ორგვარია: ზოგადი, რომლის მიზანია პირველ დაწყებითი ცოდნის მიწოდება, საჭირო ყველაზე დაბალი მდგომარეობის ხალხისათვისაც კი, და სპეციალური, სადაც ისეთი საგნებიც ისწავლება, რომელიც ამათუიმ ცნობილ მდგომარეობის ხალხისათვის არის საჭირო.

ზოგადი სამრეელო სკოლა არის ერთი და ორკლასიანი (საზოგადოების ნიეთიერ შესაძლებლობათა მიხედვით). ერთკლასიანში ისწავლება: 1. საღვთო-სჯული მოსახლეობის რწმენის მიხედვით, 2. ოუსული წერა-კითხვა, 3. ადგილობრივი ენის წერა-კითხვა, 4. მარტივ რიცხვთა დითი მოქმედება. ორკლასიანში გაფართოებულია საღვთო სჯული, ანგარიში და შემოდებულია სუფთა წერა. სპეციალური სამრეელო სკოლები ორწლიანია და ზოგადი საგნების გარდა ისწავლება სოფლის მეურნეობა და მებაღეობა, თუ მოსახლეობა სოფლის მეურნეობა; ეწევა; სადაც მოსახლეობა ეაქობას მისდევს, სპეც. სკოლებში სავაჭრო წიგნების წარმოება და ბუჰალტერია ისწავლება.

ონისა და ქვეშეთის სახაზინო სამრეველო სკოლები ზოგადი ხასიათისაა, ყულევის¹ სპეციალურია. აქ, გარდა ადგილობრივ ახალ ბერძნული ენისა, ისწავლება თურქული და ქართული ენები.

ისწავლება დაწყებითი სასწავლებელში, ისე, როგორც სამაზრო და გიმნაზიის დაბალ კლასებში, ლანკასტერის მეთოდითაა. სამრეველო სკოლების ტიპად იყო აღიარებული ტფილისში, გორში, ქუთაისში და ხალციხეში. რომის კათოლიკეთა ეკლესიებთან არსებულ დაწყებითი სკოლები და აგრეთვე ტფილისში გერმანულ ხელოსანთა დაწყებითი სკოლა.

1848 წლის დებულებით გათვალისწინებულია აგრეთვე კერძო სასწავლებლებისა და პანსიონების არსებობა, აგრეთვე ქალთათვის კერძო სასწავლებლები. გარდა ამისა გათვალისწინებულია სოფლად და ქალაქად კერძო პირების მიერ ადგილობრივ ენებზე წერა-კითხვის შესასწავლად გახსნილი სკოლები. სასკოლო ხელისუფლებას ევალება თვალყური ადევნოს, რათა ასეთ სკოლებში, გარდა ადგილობრივი ენებისა, არაფერი ისწავლებოდეს.

1848 წლის დებულება არსებითად შემუშავებული იყო სემიონოვის მიერ და ნაწილობრივ, დებულების დამტკიცებამდე, ცხოვრებაში გატარებული. დებულება დროებით იყო შემოღებული, ცდის სახით.

გამოირკვა, რომ მზრუნველს სემიონოვს ოლქისა და დირექციების კუთვნილი ოცი ათასი მანეთი გაეფლანგა. ის გადააყენეს 1852 წლის დასაწყისში და მისი ადგილი ბარონმა ალექსანდრე პელეს-ძე ნიკოლაიმ დაიკვია. ახალმა მზრუნველმა 1848 წლის დებულება, საცდელად სამი წლით შემოღებული, გადაამუშავა. ახალი პროექტი მიზნად ისახავდა კავკასიის სასკოლო ორგანიზაციის დაახლოებას რუსეთში არსებულ ნორმებთან.

ეს პროექტი დამტკიცებული იქნა 1853 წლის 19 ოქტომბერს (ძალაში დარჩა 1860 წლამდის, თუმცა ისიც, ცდის სახით, ოთხი წლისათვის იყო განკუთვნილი).

კავკასიის ოლქი ეხლა ოთხ დირექციად დაიყო: ტფილისის, ქუთაისის, სტავროპოლის და შავი ზღვის მხარის.

ტფილისის დირექცია აერთიანებდა ტფილისის, შემინისა და დარუბანდის გუბერნიებში არსებულ სასწავლებლებს. ქუთაისის დირექციაში შედიოდა ქუთაისის და ერევნის გუბერნიების სასწავლებლები.

ტფილისის საახნაურო გიმნაზია საგუბერნიო გიმნაზიად გადაკეთდა, რომელშიც ყველგვარი თავისუფალი წოდების შვილს შეეძლო შესვლა. გიმნაზია შეიდიოდა კლასისა და ერთი მოსამზადებლისაგან შესდგებოდა. პანსიონები კი ტფილისისა და ქუთაისის გიმნაზიებთან მხოლოდ „კეთილშობილთათვის“ დარჩა-კომერციული გიმნაზია სამაზრო კომერციულ სასწავლებლად გადაკეთდა. ოდნავ

¹ ყულევი (იგივე რედუტ-კალე) მდ. ზობის შესართავთან, მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში შავი ზღვის საქართველოს სანაპიროზე ერთადერთი ნავსადგური იყო, რომლითაც შემოაქონდათ საქონელი არა მარტო ა/კავკასიაში და გააქონდათ აქედან უცხოეთში და რუსეთში. ის წარმოადგენდა აგრეთვე ევროპა-აზიის სატრანზიტო გზის ნავსადგურსაც. აქ ცხოვრობდა სხედანსხეა ეროვნების მოვაჭრე ხალხი, განსაკუთრებით ბერძნები. ყირიმის ომის შემდეგ ყულევა დაჰკარგა მნიშვნელობა, რომლის ადგილი ფოთმა დაიკვია - ბ. ზ.

გამრავლდა პირველდაწყებითი სკოლები (ღუშეთი, თიანეთი) ქვეშეთის ნაცვლად. (ოზურგეთი, ყულევი, ქუთაისი, რაჭა). მოისპო ნაშუადღევს ვაკეეთილების მიცემა. სწავლა ახლა დილის 8 საათიდან ორ საათამდის სწარმოებდა, მხოლოდ ოთხი გაფთვილი, თითო საათნახევრიანი.

სამაზრო სასწავლებლებს დაერთო ერთი მიზანდასახულობა — სამრევლო სკოლებისათვის მასწავლებლების მომზადება. 1853 წლის დებულებით სამაზრო სასწავლებლებში ყოველგვარი მდგომარეობის ბავშვები მიიღებიან. ის ორი კლასისა და მოსამზადებლისაგან შესდგება. ნიკოლაის შეხედულებით გიმნაზია საერთო განათლების მომცემი სასწავლებელი უნდა იყოს, რომელიც ახალგაზრდას უმაღლესი სასწავლებლისათვის ამზადებს და არა სპეციალობისათვის, მაგრამ ერთაზად გიმნაზიის მიზანდასახულობის შეცვლა მანც კერ მოხერხდა და მე-4 კლასიდან დარჩა სპეციალობად დაყოფა, როგორც ეს 1848 წლის დებულებით იყო გათვალისწინებული. გაძლიერებული იქნა რუსული ენის სწავლება, სამაგიეროდ ადვილობრივი ენები (ქართული და თათრული) სავალდებულო გახადეს გიმნაზიის მხოლოდ პირველ ორ კლასში; ზედა კლასებში კი — ერთი მათგანი შერჩევით. საერთო საგნები სამინისტროს პროგრამით ისწავლებოდა, ადგილობრივი პირობებით შემოღებული საგნების პროგრამას მთავარ მართებელი ამტკიცებდა. მაგრამ რუსული ენის უცოდინარობა შეუძლებლად ხდიდა სამინისტროს პროგრამის შეთვისებას. ამიტომ ზოგი საგანი ერთი კლასით ზევით გადაანაცვლეს (გეოგრაფიას იწყებდნენ მეორე კლასიდან ნაცვლად პირველისა, ბუნებისმეტყველებას მესამე კლასიდან, ნაცვლად მეორისა და სხვ.). რადგან უმაღლეს სასწავლებლებში შესვლის მსურველთა რაოდენობა თანდათან იზრდებოდა, 1860 წელს ლათინური ენის დაწყება მე-5 კლასიდან მე-3 კლასში გადმოიტანეს. 1857 წელს სწავლის ქირა ხუთი მანეთი გახადეს, შემდეგ წელს კი — თუმანი.

1855 სასწავლო წლის მიწურულში ტფილისისა და ქუთაისის დირექციებში შემავალი სასწავლებლების სურათი ამგვარი იყო:

ტფილისის დირექციაში შედიოდა:

1. ტფილისის საგუბერნია გიმნაზია, დაარსებული 1830 წელს, შესდგებოდა შეიდი კლასისა და ერთი მოსამზადებელისაგან, მასთან პანსიონით. აქ სწავლობდა 337 მოწაფე, მათში: თავადი — 38, მელიქი — 6, ბეგი — 7, აზნაური — 122, ობეროფიცრის შვილი — 67, სასულიერო — 6, მოქალაქე — 82, უცხოელი — 9. ხაზინა გიმნაზიის ყოველწლიურად აძლევდა 377.765 მან.

2. სამაზრო კომერციული სასწავლებელი, დაარსებული 1854 წ. შესდგებოდა სამი კლასისა და მოსამზადებელისაგან. ხაზინა აძლევდა მას 6.810 მან., აქ სწავლობდა 131 მოწაფე, ყველანი მოქალაქეთა შვილები იყვნენ.

3. გორის სამაზრო სასწავლებელი, დაარსებულია 1830 წ. ორი კლასით და მოსამზადებელით. ხაზინა აძლევდა 3.340 მან., სწავლობდა 98 მოწაფე. მოწაფეთა შემადგენლობა: თავადი — 15, აზნაური — 37, ობეროფიცრის შვილი — 11, სასულიერო წოდების — 7, საეკლესიო გლეხი — 1, სახვლეხი — 3, მოქალაქე — 24.

4. სიღნაღის სამაზრო სასწავლებელი (ორკლასიანი), დაარსდა 1831 წ., ხაზინიდან იღებდა 2.800 მან., სწავლობდა 60 მოწაფე.

5. თელავის სამაზრო სასწავლებელი, დაარსდა 1830 წ., ხაზინიდან იღებდა 2.820 მან., სწავლობდა 79 მოწაფე, —ამათში თვალი—8, აზნაური—11, ობეროფიცრის შვილი—2, სას. გლეხი—3, მოქ.—50, სახელმწიფო გლეხი—5.

6. დუშეთის პირველდაწყებითი სკოლა, დაარსდა 1834 წ., იღებდა ხაზინიდან 1.000 მან, იყო ერთკლასიანი. სწავლობდა მასში 25 მოწაფე. ამათში თვალი—5, სას. წოდ.—2, მოქ.—6, სახელმწიფო გლეხი—7, საეკლ. გლეხი—5.

7. თიანეთის პირველდაწყებით სკოლა, დაარსებულია 1852 წელს. ხაზინა აძლევდა 1250 მან., იყო ერთკლასიანი—პანსიონით. აქ სწავლობდა 35 სახაზინო გლეხის შვილი.

ტფილისის დირექციაში შემოდიოდა აგრეთვე შემაზის ოთხკლასიანი სკოლა, დარუბანდის, განჯის, ბაქოს, ნუხის და შუშის ორკლასიანი (და თითო მოსამზადებელი) სამაზრო სასწავლებლები და ყუბის ერთკლასიანი პირველდაწყებითი სკოლა.

ქუთაისის დირექციაში შედიოდა:

1. ქუთ. საგუბ. გიმნაზია პანსიონით, დაარსებული 1850 წელს. 1855 წელს აქ იყო ექვსი კლასი და 1 მოსამზადებელი. ხაზინიდან იღებდა 29.329 მან., სწავლობდა 174 მოწაფე. ამათგან თვალისა და აზნაურის შვილი—160, ობეროფიცრის შვილი—6, მოქალაქის—6, სასულეირო—6.

2. ახალციხის სამაზრო სასწ. დაარს. 1831 წ., ორკლასიანი და მოსამზადებელი—ხაზინიდან იღებდა 2.920 მან. სწავლობდა 52 მოწაფე—აზნაური—3, ობეროფიცრის შვილი—9, მოქალაქე—40.

3. რაჭის პირველდაწყებითი სკოლა, ერთკლასიანი, დაარსებული 1855 წ., იღებდა ხაზინიდან 650 მან. სწავლობდა 83 მოწაფე—აზნ.—61, ობეროფიცრ. შვილი—2, სას. წოდ.—9, მოქალაქე—11.

4. ყუულევის პირველდაწყებითი 2 კლასიანი სკოლა, დაარს. 1852 წ. ხაზინა აძლევდა 1.000 მან. 1855 წ. აქ მეცადინეობა ყირიმის ომის გამო არ სწარმოებდა, 1854 წ. 7 მაისს ინგლის-საფრანგეთის ფლოტიდან დაშენილმა ყუმბარებმა სკოლას შენობა დასწვა.

5. ოზურგეთის ორკლასიანი სკოლა, დაარსდა 1850 წელს.

6. ქუთაისის პირველდაწყებითი სკოლა. ამ ორ უკანასკნელ სკოლაშიც ომიანობის გამო 1855 წ. სწავლა არ ყოფილა.

ქუთაისის დირექცია განაგებდა აგრეთვე ერევნის სამკლასიან სასწავლებელს, ნახევეანის და ალექსანდრეპოლის ორკლასიან სამაზრო სასწავლებლებს, ორდუბათისა და ახალბაიზეთის ერთკლასიან სკოლებს.

ქალთა სასწავლებლები

აღსანიშნავია, რომ ა/კავკასიის სასწავლებელთა შესახებ გამოცემული დებულებები მეოთხმოცე წლებამდის სრულიად არ ითვალისწინებს ქალთა განათლებას. 1804 წელს გამოცემული საიმპერიო დებულებაში ნათქვამია, რომ სამრეცლო სკოლებში ყველა მდგომარეობის ბავშვი მიიღება, განურჩევლად სქესისა და პანსიონისა.

1828 წლის საიმპერიო დებულებაში, რომელიც უფრო რეაქციონური ხასიათისაა, ნათქვამია, რომ სამრევლო სკოლებში ორივე სქესის ბავშვები დაიშვებიან, მაგრამ გოგონები არა უმეტეს თერთმეტი წლისაო. 1848 წელს დამტკიცებულ დებულებაში კავკასიის სასწავლო ოლქის შესახებ ნათქვამია, რომ ორივე სქესის ბავშვთა მოთავსება ერთ სასწავლებელში (იგულისხმება სამრევლო სკოლა) სასტიკად აკრძალულიაო.

1867 წლის 26 ივნისის დებულებაში სასწავლო ნაწილის შესახებ კავკასიასა და ამიერ-კავკასიაში ვკითხულობთ: „ორივე სქესის ბავშვთა სწავლება ერთსადიმავე კლასში (ლაბარაკია დაწყებითი სკოლებზე—ტ. ხ.) აკრძალულია, მაგრამ თუ სკოლასთან მოიპოვება ცალკე ოთახი და მასწავლებლის ცოლი, ან სხვა კეთილსაიმედო პირი, საზოგადოებასთან ან მშობლებთან შეთანხმებით თავზე იდებს გოგონების ზედამხედველობასა და მათ სწავლებას, მათ არ აღეკრძალებათ ამისათვის სასწავლებელში შეკრება“.

ამრიგად ქალთა განათლებას აღნიშნულ პერიოდში არავითარი ყურადღება არ ექცეოდა.

მეორმოცე წლებში დაარსებული იქნა მაღალი არისტოკრატიის ქალთა გასანათლებლად ა/კავკასიის ქალთა ინსტიტუტი—ქალთა ერთადერთი სახაზინო სასწავლებელი სამოცდაათ წლებამდის. ამ ინსტიტუტის ჩანასახს ჩვენ უფრო ადრე ვნახულობთ: 1830 წლის 11 ივლისს მთავარმართებელს პასკევიჩს გამოუთხოვია უმაღლესი მთავრობისაგან 2500 მანეთი ყოველწლიურად მცირე წლოვან კეთილშობილ ქალთა პანსიონის შესანახად. პასკევიჩი აღნიშნავს, რომ ქალთა აღზრდა ხელს უწყობს ოჯახურ სათნოებას და აძლევს მათ შესაძლებლობას დედობის დროს თვითვე აღზარდონ შვილები.

პანსიონის გამგედ პასკევიჩს ამ დროს აქ მომუშავე ცნობილი ფრანგი კომერსანტის კასტელას ქვრივი დაუნიშნავს. როზენი მთავარმართებელი სწერს განათლების მინისტრს ლივენს 1832 წლის 2 ივლისს: „პანსიონის გამგე კასტელა გათხოვილა და პანსიონიც არ დამხვედრია... მაგრამ დავრწმუნდით რა რომ ადგილობრივი თავადაზნაურობა განსაკუთრებულ მისწრაფებას იჩენს მიაწოდოს დედათა სქესს ევროპული განათლება—ამის ხელის შესაწყობად მე გადავწყვიტე ამ პანსიონის განახლება და მისი გამგეობა შეეთავაზე ქ-ნ მორდინოვა-დანილევჩისას, რომელსაც, როგორც რუსს, უპირატესობა უნდა მიეცეს უცხოელის წინაშე: „Ибо людя свое отечество, конечно, внушит в своих питомцах, русских и здешних уроженок, тот образ мыслей и того духа, каких прavitельство имеет право ожидать, как плод своего благоденствия“.

მთავრობის მიერ ვალეუბი 2.500 მანეთის (ვერცხლით) ანგარიშში გამგეს უნდა აღეზარდა პანსიონში მთავრობის მიერ შერჩეული 6 ქალი ადგილობრივ რუს მოხელეთა და თავადაზნაურთა.

ფინანსთა მინისტრის კანკრინის მიერ გამოგზავნილი კომისიის შრომებში („Росс. владения за Кавказом“ ნაწ. I, გვ. 271) ვნახულობთ მცირე ცნობას აღნიშნული პანსიონის შესახებ: კეთილშობილ ქალთა პანსიონში ნ. მასწავლებელი და 21 მოწაფეა. მათში სახაზინო ხარჯით სწავლობს ერთი ქართველი, ორი სომეხი და

სამი რუსი. თავიანთ ხარჯით კი სწავლობენ: ქართველი — 1, სომეხი — 8, რუსი — 6. პანსიონის გამგეს ყოველწლიურად ეძლევა 2500 მ. ვერცხლით.

1838 წელს შთავარ მართებელს გოლოვინს პანსიონის გამგედ შინამასწავლებლის პერეირას ცოლი დაუნიშნავეს, რომელიც აღნიშნული სუბსიდიის ანგარიშში დათანხმებულია 12 მოწაფის მიღებას.

ქალთა აღნიშნული პანსიონი ქალთა ინსტიტუტად გადაუკეთებიათ მეორე მოცე წლებში. 1840 წლის 23 მარტს დაუმტკიცებიათ უმაღლესად ინსტიტუტის წესდება. ინსტიტუტს გარდა პანსიონისათვის ყოველწლიურად ვაღებულ 2.500 მანეთისა, გაეხსნა 1841 წლიდან ყოველწლიურად 21.500 მან. კრედიტი და მიეცა ერთდროულად შენობის გადასაკეთებლად 15.375 მ. და 97³/₄ კ. ვერცხლით. ინსტიტუტი დაარსდა 60 სახაზინო და 20 თავის ხარჯზე მყოფ მოწაფისათვის. 60 ადგილში ორმოცი ეთმობოდა ადგილობრივ მაღალ არისტოკრატის, ხოლო ოცი ადგილობრივ სამხედრო და სამოქალაქო სამსახურში მყოფ მოხელეებს. თავის ხარჯზე მყოფთ წლიურად შექონდათ 150 მან. ინსტიტუტის კურსი ექვსწლიანი იყო და სამ კლასად იყოფოდა: თითო კლასისთვის ორ-ორი წელი იყო განკუთვნილი.

ამ სასწავლებელში შემდეგი საგნები ისწავლებოდა: საღეთო სჯული, არითმეტიკა, ისტორია და გეოგრაფია ზოგადი და განსაკუთრებით რუსეთის, საჭირო ცნობები მუნიციპალიტეტებისა და ფიზიკიდან, რუსული ენა და ლიტერატურა, ფრანგული ენა და ლიტერატურა, ქართული ან სომხური ენები მსურველთათვის, სუფთა წერა, ხატვა, ხელსაქმე, ცეკვა. ამიერ-კავკასიის ქალთა ინსტიტუტი გახსნილია 1842 წლიდან. საზოგადოდ ყველა დახურულ სასწავლებლებში და მათ შორის ტფილისის ქალთა ინსტიტუტში სასტიკი რეჟიმი არსებობდა.

სათანადო ბინის უქონლობის გამო დებულებით გათვალისწინებული რიცხვი მოწაფე ქალთა ინსტიტუტში პირველ წლებში არ ყოფილა. 1842 წელს სახაზინო ხარჯზე 16 მოწაფე იყო, 1845 წლამდის მათი რიცხვი არ აღემატებოდა ოცდაათს. შემდეგში კი ნორმა შესრულდა. თავის ხარჯზე მყოფთა რიცხვი დასაწყისში 25 უდრიდა, 1847 წელს კი 16-ს. 1848 წლიდან ახალი შენობის მიშენებასთან დაკავშირებით თანდათან გაიზარდა მოწაფეთა რაოდენობა. ათეული წლის განმავლობაში (1843-1852 წ.) სასწავლებელი მხოლოდ 66 მოწაფემ დაასრულა. სახაზინო ხარჯით 52 მოწაფემ, თავის ხარჯით კი თოთხმეტმა (იხ. გვ. „კავკაზ“ 1852 წ. № 27). მათში ადგილობრივი — 28, რუსი — 24. 1852 წელს ინსტიტუტში 81 მოწაფე ყოფილა. ათი წლის განმავლობაში ინსტიტუტზე მთავრობამ დახარჯა 300.000 მან. ვერცხლით. მშობელს ექვსწლიანი კურსი 950 მ. უჯდებოდა, ხაზინის ხარჯზე მყოფი თითოეული მოწაფე კი 6 წელს 2.795 მ. ჯდებოდა.

ა/კავკასიის ქალთა ინსტიტუტი 1855 წლამდის მოთავსებული იყო ბაღის ქუჩაზე, შადინოვის სახლში (ენგელსის და მახარაძის ქ. კუთხე). 1857 წლიდან კი ერთბაშის ქ. თუმანოვის სახლში. ინსტიტუტის უკანასკნელი შენობა, შ. ჩიტაძის ქ., სადაც წინეთ ა/კ კომუნისტური უნივერსიტეტი იყო მოთავსებული, დაწყებულია 1888 წელს, როდესაც თბილისში მეფე ალექსანდრე III ჩამოვიდა.

1846 წლის 17 დეკემბერს დამტკიცებულ იქნა წმინ. ნინოს სახელობის ქალთა საქველმოქმედო საზ-ბის წესდება. საზ-ბა ქალებისაგან შესდგებოდა, რომელთაც ყოველ წლიურად საწევრო 10 მან. შეჰქონდათ (თვითეულს).

საზ-ბის მთავარს მიზანს შეადგენდა ხელმოკლე მშობლების ქალთა აღზრდა და მათთვის აუცილებელი ცოდნის მისაცემად ა/კავკასიის სხვადასხვა ქალაქებში სასწავლებლების დაარსება, აგრეთვე ქ. ტფილისში უბრალო კლასის (ასეა ნათქვამი წესდებაში) ბავშვთათვის თავშესაფარის გახსნა.

დასაწყისში ამ საზ-ბის სახსრებს შეადგენდა: 1) 1841 წ. მთავარ-მართებელ გოლოვინის მეუღლის მიერ შეკრებილი 1475 მ. და 51 კ. ვერცხლით, 2) ერთ-ერთი ქველმოქმედის მიერ შემოწირული 16.100 მან. ასიგნაციებით. სულ 6.104 მან. და 8¹/₇ კაპ. ვერცხლით.

აღნიშნულ საზოგადოებას წმ. ნინოს სახელობის სასწავლებელი გაუხსნია ტფილისში 1846 წლის 5 მაისს, ხოლო ქუთაისში 1847 წ. 14 მაისს (საზოგადოებას ასეთივე სასწავლებლები ჰქონდა აგრეთვე შემახაში და ერევანში): სასწავლებელი წესდებით მიზნად ისახავდა „სათნოიან ცოლებისა და ოჯახისათვის კარგი დედების აღზრდას“. მოწაფეები პანსიონერებისა და ნახევრადპანსიონერებისაგან შესდგებოდნენ. პირველი წლიურად 80 მ. იხდიდნენ, მეორე მთელი დღე სასწავლებელში იყვნენ, მხოლოდ დასაძინებლად მიდიოდნენ სახლში და წლიურად 40 მ. იხდიდნენ.

სასწავლო კურსი წმ. ნინოს სახელობის სასწავლებლებში ორ კლასად იყოფოდა, თითოეული სამ წლიანი იყო. პირველ კლასში ისწავლებოდა: კატეხიზისი და საღვთო სჯულის ისტორია, რუსული, სომხური და ქართული ენები, სუფთა წერა, გრამატიკა და არითმეტიკა. მეორე კლასში ისწავლებოდა: საღვთო სჯულის ისტორია, გრამატიკა, გეოგრაფია, საზოგადო და რუსეთის ისტორია. უკანასკნელ წელს ცეკვასაც ასწავლიდნენ. აცნობდნენ აგრეთვე საოჯახო საქმეებს.

ტფილისის სასწავლებლის გახსნისას 29 მოწაფე იქნა მიღებული. 1850 წელს 88 პანსიონერი იყო და 2 ნახევრადპანსიონერი. 1852 წელს 100 პანსიონერი იყო და 6 ნახევრად პანს. ამ წელს სასწავლებელს ჰქონდა პირველი სრული გამოშვება. სასწავლებელი დაასრულა 5 მოწაფემ, მათში ერთი ქართველი იყო (სოფიო ჯათარძი), საზოგადოებას ამ წელს ჰქონდა პრიკაზის ფასიანი ქალაღებები 10.000 მ. ვერცხლით. აგრეთვე სახლი კუკიაში, ღირებული 8.609 მ. ვერცხლით. საზოგადოების საპატიო წევრებს ე. ი. ზუბალოვს და დ. ი. თამაშშევს ყოველწლიურად შეჰქონდათ საზოგადოებაში 200—200 მან. ვერცხლით. 1846 წლიდან 1852 წლამდის საზოგადოებას შემოსვლია 73.000 მანეთი ვერცხლით (იხ. „კავკაზ“ 1852 წ. № 32).

ქუთაისის წმ. ნინოს სახელობის სასწავლებელში გახსნისას 1847 წელს მიღებული იქნა 15 მოწაფე. 1853 წელს იქ 30 მოწაფე ქალი იყო. მათში 20 თავისი ხარჯით იზრდებოდა: 15 მოწაფე რუსი იყო, 15—ქართველი. წლიური გადასახადი 50 მანეთი იყო. ამ წლისათვის გამოშვებული იყო 12 მოწაფე, მათში ექვსმა სრული კურსი დაასრულა. 1853 წლისათვის სასწავლებელს შეეკრიბა სულ 14. 770 მან., დაეხარჯა—13.173 მან. მთავარი გასავალი დაქირავებული სახლის

ქირა (5 წლის განმავლობაში 5.777 მან.), მასწავლებლები უფასოდ ასწავლიდნენ სასწავლებელში. პირველ საგამოშვებო ზეიმზე (1853 წ.) ქართველები რუსულად კითხულობდნენ ლექსებს, რუსები კი—ქართულად (იხ. „კავკასი“-ი 1853 წ. № 45).

ქირაო სასწავლებლები

სახაზინო სასწავლებლები ყველა მსურველს ვერ დააკმაყოფილებდა, მით უმეტეს, რომ მე-19 საუკუნის მესამოცე წლებამდის მათი რაოდენობა მეტად მცირე იყო. ვარდა ამისა ეს სკოლები საზოგადოების განსაზღვრულ ფენებისათვის იყო გახსნილი. მოსახლეობის დაბალი ფენები წერა-კითხვას შინაურ სკოლებში სწავლობდა, თუ ამისთვის საჭირო პირობები იქნებოდა. იყო აგრეთვე აქა-იქ კერძო, ოფიციალური, მაგრამ არა სახაზინო სკოლები. ასეთი სკოლების შესახებ მეტად კანტი-კუნტი ცნობებია დარჩენილი. ცოტაოდენი ცნობები ასეთი სკოლების შესახებ მოიპოვება ფინანსთა მინისტრის კანკრინის 1827 წელს ა/კავკასიის შესასწავლად გამოგზავნილ კომისიის ზემოდ დასახელებულ შრომებში. ცნობები სამწუხაროდ მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს მასრებს შეეხება¹. ტფილისის მასრაში სკოლები და სასწავლებლები არ მოიპოვება გარეუ იმისა, რომ რამდენიმე სოფელში ოცდაათზე მეტი ბავშვი სწავლობს სკოლის მსახურთან (დასახ. შრ. ნაწ. I, გვ. 291). ცნობილია, რომ ასეთი სკოლები ყველგან მოიპოვებოდა და საკმაო რაოდენობითაც. „ბოდბის მონასტერში არის სასწავლებელი ქართველ სამღვდელთა და საეკლესიო გლეხებისათვის“ (გვ. 324-325).

„გორში, ვარდა სამაზრო და სასულიერო სასწავლებლებისა, არის კიდევ კერძო სასწავლებელი კათოლიკეთა ეკლესიასთან, რომელშიაც კათოლიკე სომხები სწავლობენ“ (გვ. 59, ნაწ. II).

„ბორჩალოს დისტანციაში ორი სკოლაა: ბერძნული—ალავერდის სპილენძის სადნობ ქარხანაში, და გერმანული—ეკატერინფელდში. ორივეში მხოლოდ წერა-კითხვას ასწავლიან. სხვა, თათრების, სომხების და ქართველების სოფლებში არაა არავითარი სასწავლებელი, რისთვისაც ზოგი სომხის ბავშვი თბილისის სომხურ სასწავლებელში სწავლობს“ (ნაწ. II, გვ. 280).

„ტფილისის გერმანულ კოლონიტებს აქვს თავისი სკოლა 22 მოწაფითა და ორი მასწავლებლით“.

„კათოლიკეთა მონასტერთანაც არსებობს კათოლიკე ბავშვთათვის სკოლა“ (ნაწ. I, გვ. 27). კერძო სასწავლებლების შესახებ მე-19 საუკუნის დასაწყისში ცოტაოდენი ცნობები მოეპოვება აგრეთვე პლატონ იოსელიანსაც „Описание древностей гор. Тифлиса“ გამოც. 1866 წელს.

„კალობანში (ტფილისის გარეუბანი) აღრიდანვე არსებობდა სასწავლებელი, რომელიც 1820 წელს დაიხურა“ (გვ. 82).

„... 1804 წელს ააგეს ტფილისში ხაზინისა და მდიდარ კათოლიკე სომხების შემოწირულებით ზღვანდელი ლამაზი ეკლესია, აგრეთვე სახლი კაპუცინების

¹ უფრო ვრცელი მასალა კერძო სკოლების შესახებ XIX ს. 30-40 წლებში, იხ. ამავე კრებულში ანხ. ძიმისტარაშვილის წერილი. — რ ე დ.

მოსათავსებლად; სკოლა და თავშესაფარი მეფე ირაკლისა და გიორგი მე-13 სასახლის ეკიმის კარაივის ხარჯზე. ის 1862 წ. გარდაიცვალა (გვ. 236).

1835 წელს ტფილისში გარდაცვლილა სომეხი კათოლიკე პავლე შაქულოვი, რომელთანაც პლ. იოსელიანი სწავლობდა 1829 წელს ლათინურ ენას. შემდეგ ის გადასახლებულა ახალციხეში. ჰქონდა მდიდარი ბიბლიოთეკა და სკოლა ბავშვებისა და მოწაფეთათვის (გვ. 236).

კერძო სასწავლებლის ხასიათი ჰქონდა აგრეთვე ტფილისის სომეხთა სასწავლებელსაც. ზემოდ დასახლებულ შრომაში—(„Ониз росс. владений за Кавказом“ ნაწ. I; გვ. 271) ვკითხულობთ: „სომეხთა სასწავლებელი დაარსებულია 1825 წელს კერძო შეწირულებით. შეწირულების გარდა სასწავლებელს აქვს შემოსავალი უძრავ ქონებიდან. ასეთია: 29 დუქანი, ქარვასლა და ორი ვენახი. სულ აქედან შემოდის ორი ათასი მანეთი ვერცხლით, გარდა ამისა სასწავლებელს აქვს ერთი სომხისაგან ნაანდერძევი 4.000 მან. ვერცხლით. სკოლას აქვს ვეებერთელა ბინა, რომელიც 250 მოწაფეს იტევს“.

ამაზე უფრო დაწვრილებით ცნობებს ჩვენ, ენახულობთ მგზავრის, ბარონ ფონ-გასტაუზენის ნაშრომში: „ზაკეკაჰსკი კრაი“. ის საქართველოსა და სომხეთში 1843 წელს მოგზაურობდა. „როდესაც ეფრემი ავიდა პატრიარქის ტახტზე, გაგზავნა მან 1811 წელს ნერსესი საქართველოში ეპარქიის ეპისკოპოზად, მან შემოიღო თავის ეპარქიაში მკაცრი წესი და რიგი და ეპარქიის შემოსავლიდან დაიწყო თანხების დაგროვება სასწავლებლის დასაარსებლად. 1819 წელს მან დაიწყო ტფილისში სკოლისათვის ვეებერთელა შენობის აგება, რომელიც 1823 წელს საყვებით დასრულა. მაშინ გახსნილი იქნა ელემენტარული სასწავლებელი, რომელშიც 1828 წელს 400 მოწაფე ითვლებოდა. ნერსესმა ყოველი მხრიდან გამოიწვია მსწავლებლები, ცნობილი სომეხი შავან ჩერბეციც კი მოიწვია პარიზიდან. მაშინ ელემენტარულ სასწავლებლის პარალელურად შეიქნა სკოლის ახალი განყოფილება, უმაღლესი სასწავლებელი ღვთისმეტყველებისა და საეკლესიო ისტორიის შესასწავლად. მაგრამ სასწავლებელი განკუთვნილი იყო არა მარტო სასულიერო, არამედ საერო პირთათვისაც. ამიტომ ერთი განყოფილება სემინარია იყო, მეორე—გიმნაზია..ის (ნერსესი) არ კმაყოფილდებოდა ამით და აკადემიის ვრცელი გეგმა შეადგინა, რომელშიაც განზრახული იყო ყველა მეცნიერებათა სწავლება სრული მოცულობით. სასწავლებლის გვერდით მოწყობილი იყო ტიპოგრაფია“.

1845 წ. ტფილისში 4. კერძო პანსიონი ყოფილა, რომელშიც მოწაფეთა რიცხვი 163 აღწევდა (იხ. „ზაკე. ვესტნიკ“ №7, გვ. 58. არა ოფიციალური). შემდეგ წლებში კერძო პანსიონებისა და სკოლების რიცხვი მომრავლდა. აქვე მოვიყვანთ ცოტაოდენ ცნობას მათ შესახებ 1855-56 სამოსწავლო წლისას:

1. **ირიკუბუზოვის ორკლასიანი სკოლა**, დაარსებული 1842 წ. სწავლობს 29 მოწაფე, —აზნაური—15, მოქალაქე—14.
2. **იანიცკის კერძო ვაჟთა პანსიონი**, დაარს. 1605 წ., სწავლობს 39 მოწ., თავადი—4, ობეროფიც. შვილი—15, აზნაური—15, უცხ.—2, მოქალ.—3.
3. **ამბარდანიოვის ქალთა კერძო სკოლა**, დაარსებულია 1852 წ., ერთკლასიანი, სწავლობს 12 მოწაფე, ყველა მოქალაქე.

4. შაზნაზაროვის ვაჟთა სკოლა. ერთკლასიანი, დაარსებულია 1852 წ., სწავ-
ლობს 35 მოწაფე, ყველა მოქალაქე.

5. ბალახანოვის ერთკლასიანი სკოლა, დაარს. 1853 წ., სწავლობს 32
მოწ. თავ.—1, აზნ.—9, მოქ.—22.

6. ხატისიანის ორკლასიანი სკოლა, დაარს. 1853 წ., სწავლობდა 29 მოწ.
თავადი—15, აზნ.—14.

7. მონასტირსკის ორკლასიანი სკოლა, დაარს. 1854 წ., სწავლობს 16 მოწ.
თავადი—3, აზნ.—13.

8. ქ-ნ ფავრის კერძო ქალთა პანსიონი, დაარსდა 1854 წ., ორკლასიანი.
სწავლობს 47 მოწაფე,—აზნ.—36, თავ.—2, მოქ.—9.

ამ უკანასკნელ კერძო პანსიონის შესახებ ვახ. „კავკაზ“-ის 1854 წ., №69-ში
ვკითხულობთ: „ქალბატონი ფავრი, ცნობილი თავის განათლებით, აკავკასიის
კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტის ყოფ. დამრჩეველია. ნაცნობების თხოვნით
მან ქალთა პანსიონის გახსნა განიზრახა, რომლის ნებართვა უკვე მიიღო. ოფი-
ციალური გახსნა 1 ოქტომბერს მოხდა. უკვე თავმოყრილი იყო 15 გოგონა.
წლიური გადასახადი 210 მან. ვერცხლით. მოთავსებულია კუჩიაში, მტკვრის
ნაპირზე, ბელიაევის სახლში. ისწავლება: საღვთო სჯული, არითმეტიკა, გეოგ-
რაფია, ისტორია, რუსული, ფრანგული, ქართული, სამსუკრი, სუფთა წერა, ცე-
კვა, მუსიკა, ხელსაქმე. გამგეს განზრახვა აქვს აგრეთვე შეასწავლოს დიასახლისო-
ბა მომავალ ღედებს“-აო.

ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს პოლკოვნიკს კოლიუბიაკინს 1857 წ.
ქუთაისის მაზრის შემოვლისას სოფ. სვირში უნახავს, რომ ქუთაისის სასულიერო
სასწავლებლის ყოფ. მასწავლებელს სიმონ მიქიევს თავის ღარიბ სახლში გლე-
ხებისა და ღარიბ აზნაურთა შვილებისათვის გაუხსნია სკოლა, რომელშიაც 8 ბავ-
შვი იყო თავმოყრილი. „რამდენიმე თვის სწავლების შემდეგ ყველა მათგანს
შეეძლო თავისუფლად კითხვა ქართულად, ორს კი რუსულადაც. ძნელი გადმოსა-
ცემია გრძნობები, რომელითაც რუსი ისმენდა რუსულ ხმებს, დაბალი ხალხის
ბავშვთა მიერ წარმოთქმულს იმ ქვეყანაში, რომელსაც ჩვენ ემართავეთ ნახევარი
საუკუნე, მაგრამ სადაც იშვიათ აზნაურს ესმის ჩვენი ენა“-ო,—დასძენს კოლიუ-
ბიაკინი. იგი სთხოვდა უმაღლეს მთავრობას წასაქმებლად მასწავლებლის და-
ჯილდოვებას ფულით და სკოლისას კი საათით. უმაღლესმა ხელისუფლებამ საჩუ-
ქარზე უარით უპასუხა, ხოლო ქუთაისის დირექციას ასეთი სკოლების შესახებ
გამათრთხილებელი წინადადებებით მიმართა, რითაც, ალბად, გუბერნატორის
აღფრთოვანებული გრძნობებიც, სვირში რუსული ხმების გაოგნებით გამოწვეუ-
ლი, შენელდა.

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ 1860 წელს კავკასიაში გატარდა საერო
განათლების საქმის ხელმძღვანელობის რეორგანიზაცია. მთავარმართებელ ბარი-
ატინსკის მიერ გაუქმებული იქნა სკოლების მთლიანი ხელმძღვანელობა სამოს-
წავლო ოლქის სახით და სკოლებაც ისე როგორც მართვა-გამგეობის დანარჩენი
უწყებანი დაუმორჩილეს ხელისუფლების ადგილობრივ წარმომადგენელს—გუ-
ბერნატორებს.

ამ ზომებს ბარიატინსკი ასაბუთებდა ორი მოსაზრებით:

1. ოლქის გეოგრაფიული პირობებისა და ფართო მოცულობის გამო შეუძლებელი ზდება ოლქის მზრუნველის მიერ სკოლების ადგილობრივად ხშირი დავალიერება და უშუალო ხელმძღვანელობა, რისგანაც არის დამოკიდებული სასწავლებლების კეთილდღეობა და წარმატება.

2. ხელისუფლების წარმომადგენელს ადგილზე ემორჩილება მმართველობის ყველა უწყება, გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ სამოსწავლო დარგი და ადგილობრივი უფროსის დირექციის საქმეებში მცირეოდენი ჩარევის შემთხვევაშიაც კი იწვევს მათ შორის გაუგებრობას, დავას და მტრობასაც. ეს ცვლილება საცდელად შემოღებულ იქნა დროებით—სამი წლის ვადით. მაგრამ მან მეტი არეულობა გამოიწვია. 1864 წელს დაარსეს კავკასიის სასწავლებელთა მთავარი ინსპექტორის თანამდებობა, ხოლო 1868 წ. იანვარში აღდგენილ იქნა ცალკე სამოსწავლო ოლქი მზრუნველის თანამდებობით.

გვილისის სასულიერო სემინარია

1817—1835 წლებში

1801 წ. 12 სექტემბრის მანიფესტის ძალით მეფის რუსეთმა საქართველო შეიერთა. ამ დროიდან იგი მტკიცედ იკიდებს ფეხს საქართველოში და შემდეგ მთელს ამიერ-კავკასიაში. ჯერ კიდევ მე-16, მე-17 და განსაკუთრებით მე-18 საუკუნიდან ვითარდება მეფის რუსეთის ექსპანსია მახლობელ აღმოსავლეთისაკენ. წელში მომაგრებულ რუსეთის სავაჭრო კაპიტალს სჭიროდა ბაზრები და მახლობელი აღმოსავლეთი ამ მხრივ წარმოადგენდა საუკეთესო არეს, სადაც კაპიტალს შეეძლო გაეშალა თავისი მოქმედება და უშუალო ურთიერთობა ჰქონოდა ირანსა და ინდოეთთან, საქართველოს ანექსიამ თვითმპყრობელობას დასაყრდენი ბაზა მოუპოვა ამიერ-კავკასიაში და ე. წ. „კავკასიის (სამხედრო) ხაზიცი“, თუ სულ არა, ნაწილობრივ მაინც უზრუნველყოფილ იქნა მთიელების თავდასხმისაგან. თვითმპყრობელურ-ბიუროკრატიულ რუსეთს შემოაქვს ჩვენში თავისი სახელმწიფო აპარატი, კანონები და მოყავს თავისი მოხელენი და ჯარი. ყველაფერი ადგილობრივი (დაწესებულება, სკოლა, ენა და სხვ.) ისპობა და იდევნება. იწყება რუსიფიკაციის ფართო გეგმის გატარება. სწავლა-აღზრდა, მართვა-გამგეობა და საქმის წარმოება სულ რუსულ ენაზეა. 1811 წ. საქართველოში დაწესდა ეგზარქოსთა ინსტიტუტი. 1817 წლიდან ამ თანამდებობაზე სულ რუსები არიან, ქართული ეკლესია სინოდს დაუმორჩილეს.

რუსეთის ბიუროკრატიულ ხელისუფლებას საქართველოსა და ამიერ-კავკასიისათვის სჭირდება მოხელეთა დიდი შტატი. მაღალ, დიდ თანამდებობაზე მუდამ რუსებს ნიშნავდნენ, მაგრამ დაბალ ადგილებზე ადგილობრივი ელემენტიც საჭირო იყო. ოღონდ, იგი რუსულის მცოდნე, ან რუსულ სკოლაში უნდა ყოფილიყო ნასწავლი. ამ მოსაზრებით ტფილისში გაიხსნა „კეთილშობილთა სასწავლებელი“ (1802 წ.), რომელიც სახელმწიფო დაკვეთას ასრულებდა და მოხელეებს ზრდიდა.

1817 წ. ტფილისში დაარსებულ მართლმადიდებელთა სასულიერო სემინარიის უფრო ფართო მიზნები დაუსახეს: 1) მას უნდა აღეზარდა კულტის მსახურ-

ნი და თვითმპყრობელობისთვის საიშედო, სასულიერო სასწავლებელთა მასწავლებლები და შ) მოემზადებინა მისიონერები მთაში ქრისტიანობის დასაწესებად, რომ ხელისუფლება უფრო მტკიცედ გაბატონებულიყო და დაემონა კავკასიის მთის ხალხები.

საქართველოში რუსეთის თვითმპყრობელური მმართველობის დამყარების დღიდან დიდხანს არ გაველო, რომ ადგილობრივი ხელისუფლების წრეებში დაიბადა აზრი ტფილისში სემინარიის დაარსების შესახებ. 1809 წელს მთავარმართებელი ტორმასოვი სინოდის ობერპროკურორ გოლიცინისადმი წარდგენილ მოხსენებაში მოითხოვს, რომ ტფილისში დაწესდეს დიკასტერია საეკლესიო საქმეების მმართველობისათვის და ამასთან ერთად გაიხსნას სასულიერო სემინარია სასულიერო წოდების შვილთა სწავლა-აღსაზრდელად. საერთო სარგებლობის გარდა, რომელსაც მოიტანს ვანათლებული სამღვდელეობა, იგი შეიძლება გამოყენებულ იქნას საქართველოს მეზობლად მცხოვრებ წარმართ მიიღვ ხალხთა გაქრისტიანების საქმეშიო, დაასვენის ტორმასოვი (АКТЫ, IV, გვ. 139—140).

თვითმპყრობელურ ხელისუფლებისათვის ასეთი წარმტაცი პერსპექტივის დასახვის მიუხედავად, სემინარიის გახსნა სხვა დროისათვის გადაიდო, რადგან, როგორც ტორმასოვი ამბობდა, საქართველოს საეკლესიო მამულების შემოსავალი ჯერ მთლად ცნობაში არ არის მოყვანილიო (АКТЫ, IV, იქვე).

ორი წლის შემდეგ (1811-წ. 18 თებერვალს) იგივე ტორმასოვი თხოულობს, რომ სემინარიის ნაცვლად ტფილისში გაიხსნას გიმნაზია—60 ბავშვით სამღვდელთა შვილებისათვის (АКТЫ, IV, გვ. 163, 168) და საეკლესიო მამულების შესავალ-გასავლის ნუსხებში ნაჩვენებია 5200 მან. ვერცხლით ამ გიმნაზიის საჭიროებისათვის (АКТЫ IV, გვ. 370). ამ მიწერ-მოწერის შედეგად სინოდმა 1811 წ. 21 ივნისს თავის დადგენილების მე-4 პუნქტში მიიღო: „სამღვდელთა და საეკლესიო მსახურთა შვილების სწავლებისა და მომზადებისა მიზნით, დაარსებულ იქნას პირველ რიგში გიმნაზიის ნაცვლად სასულიერო სემინარია, რაც შეეხება სანაზრო სასწავლებლებს, ასეთები გაიხსნას მოხერხებულ ადგილებში იმ დროს, როცა ამ საქმისათვის სემინარიაში მომზადებულ იქნებიან მასწავლებლები. სემინარიის შენახვისათვის საჭირო თანხები გაღებულ იქნას საეკლესიო მამულების შემოსავლიდანაო“ (АКТЫ, IV, 169). ამ დადგენილებიდან უკვე ცხადად ჩანს, რომ სემინარია და მასთან დაკავშირებულნი სხვა სასწავლებლების შენახვა საეკლესიო გლეხებს უნდა დასწოლოდა კისერზე.

მართალია, სემინარიის გახსნის შესახებ სათანადო დადგენილება უკვე გამოტანილი იყო, მაგრამ მისი გახსნა მაინც მოკლე ხანში ვერ მოხერხდა, სანამ საქართველოში არ ჩამოვიდა (1817 წ. 17/VIII) ეგზარქოსი თეოფილაქტე, რომელსაც ქართლელმა სამღვდელთაგან სთხოვა საქმის დაჩქარება და თავის მხრივ პირდაპირად ხელის შეწყობას, ოღონდ მასწავლებელთა ჯამაგირისა და შენობის ქირის გადახდა მას არ შეეძლო. თეოფილაქტემ საქმის ვითარება აცნობა სინოდს და რადგან უკანასკნელს იმ დროს თავისუფალი თანხა არა ჰქონდა, წინადადება მისცა თეოფილაქტეს ოსეთის კომისიისათვის 1816 წ. მიცემულ 24000 მანეთიდან საჭირო თანხა აეღო. თეოფილაქტე სემინარიისათვის შუა მტატით ჩამოვიდა ტფილისში. თან ჩამოიყვანა რიაზანის სემინარიაში კურსდამთავრებული 9 სტუ-

დენტი (ილარიონ მოქაროვი, აფანასე ვასილევი, ალექსი ჩისტოსერდოვი, ხარიტონ გიაცინტოვი, დიმიტრი ნიკიფოროვი, მიხეილ ლუბავსკი, ვასილი ნეშუმოვი, ილარიონ დობრომისლოვი და ეგორ ბოგოლუბოვი) და დიდის ზემოთ 1817 წელს 1 ოქტომბერს გახსნა თბილისის სემინარია დარეჯან დედოფლისეულ სასახლეში, ავღაბარში, სწორედ ის სემინარია, რომელმაც შემდეგში საკმაოდ თვალსაჩინო როლი ითამაშა ქართველი ხალხის ნაციონალურ-რევოლუციონურ მოძრაობაში.

1809 წელს დამტკიცებული წესდების მიხედვით სასულიერო სკოლები იყოფოდნენ 4 საფეხურად: 1) სასულიერო აკადემია—მაღალი სკოლა; 2) სას. სემინარია—საშუალო სკოლის კურსით; 3) სამაზრო სასწავლებელი—სემინარიისათვის მოსამზადებელი საფეხური და 4) სამრევლო სკოლა—წერა-კითხვის შემსწავლელი. სინამდვილეში სამრევლო სკოლები სამაზროებს შეუერთეს და ცალკე არ არსებობდნენ. მთელი რუსეთი დაყოფილი იქნა ოთხ სააკადემიო ოლქად; აკადემია ხელმძღვანელობას უწევდა მის ოლქში შემავალ სასულიერო სასწავლებლებს, ხოლო მთლიანად ამ ოთხივე ოლქს განაგებდა სინოდთან არსებული სასულიერო სასწავლებელთა კომისია.

თეოფილაქტე რუსანოვი ტიპური ბერი იყო: ქედმაღალი, ვულუზიადი და ინტრიგანი. მისი ინტრიგების წყალობით პეტერბურგის აკადემიაში არეუდარევა მოხდა და აკადემიიდან გააძევეს იმ დროს ცნობილი ორიენტალისტი ფესლერი. ეს მხოლოდ ერთერთი ეპიზოდია რუსანოვის წარსულიდან. ბოლოს თითონაც ინტრიგების მსხვერპლი ხდება და „ძლიერთა ამა ქვეყნისათა“ რუსანოვი მოხსნეს აკადემიის პროფესორობიდან და რიაზანის ეპარქია დაუტოვეს მოსავლელად. რადგანაც იკოვდნენ. მისი დაუდგრომლობის ამავეი, რომ იქიდანაც შფოთს ბტუნდა, ამიტომ ვადმოსიროლეს შორეულ საქართველოში და თავიდან მოიშორეს.

სწორედ ამ რუსანოვმა გახსნა 1817 წელს ტფილისში სემინარია სასულიერო სასწავლებლით, — ხოლო პროვინციებში (თელავი, გორი და სიღნაღი) 1818 წელს სასულიერო სასწავლებლები. მასწავლებლებად და გამგებად ტფილისისა და პროვინციებში თეოფილაქტემ დანიშნა რუსეთიდან ჩამოყვანილი პირები, ქართულ ენის მასწავლებლად კი აირჩია ადგილობრივნი.

გორში—გამგედ დანიშნა ვასილ ნეშუმოვი, ქართული ენის მასწავლებლად მიხეილ კალუბანსკი — ქართველთაგანი.

სიღნაღში—ილარიონ დობრომისლოვი—გამგედ. თელავში—სკოლის გამგედ დეკანოზი ზაქარია სიღამონიძე, რომელიც უწინ 1804—1814 წ. კეთილშობილთა სასწავლებელში ქართული ენის მასწავლებლად იყო, მასწავლებლებად: გიაცინტოვი ხარიტონი, ბოგოლუბოვი ეგორი და ნიკიფოროვი დიმიტრი. საკუთრივ სემინარიისათვის მასწავლებლად დასტოვა: ვასილევია — ისტორიის მასწავლებელი, ჩისტოსერდოვი — გეოგრაფიისა, ქართული ენისა დეკანოზი იესე ჩუბინოვი, სემინარიისთან არსებულ დაბალ კლასებში — ლუბავსკი და შემდეგ ივანე იალალუზიძე.

მართალია, 1809 წ. წესდებამ მისი შემდგენელი ლიბერალურ მოვლენად სახავედნ და სემინარია აკადემიითურთ საერო დაწესებულებად უნდა ექციათ, მაგრამ სწავლა-აღზრდის საქმე ხსენებულ სასწავლებლებში ისევ ბერებს დარჩათ ხელში.

სემინარიის მთავარი მიზანი იყო ერთის მხრივ კულტის მსახურთა მომზადება და მეორეს მხრივ, საეკლესიო დაბალ სკოლებსათვის სათანადო კადრების გამოწვევა.

ათი წელი დასჭირდა, რომ ტფილისის სემინარია ორგანიზაციულად ჩამოყალიბებულიყო და სრულ კომპლექტიან სასწავლებლად გამხდარიყო. სემინარია შესდგებოდა სამი განყოფილებისაგან, თითო ორი წლის კურსით. პირველი, ანუ დაბალი განყოფილება, სხვანაირად რიტორიკის კლასი, გაიხსნა 1817 წელს; საშუალო განყოფილება, ანუ ფილოსოფიის კლასი, გაიხსნა 1823 წელს, ხოლო მაღალი განყოფილება, ანუ საღვთისმეტყველო კლასი—1827 წელს.

სემინარიაში შესასვლელად საჭირო იყო სათანადო საფეხურების გავლა, მომზადება და სწორედ ასეთი მოსამზადებელ ტიპის სკოლად 1809 წლის დებულების მიხედვით ცნობილ იქნა ევრეთწოდებული „სამრევლო სკოლა“ („приходское училище“) და „სამაზრო სასწავლებელი“ („уездное училище“). რუსეთის სემინარიების მსგავსად ტფილისის სემინარიის სისტემაში შედიოდა: ა) საკუთრივ სემინარია, ბ) სამაზრო სასწავლებელი—1 კლასი ორწლიანი კურსით და გ) სამრევლო სასწავლებელი—2 კლასით.

სამრევლოში (1 კლასი) ასწავლიდნენ: 1) ქართულ და რუსულ წერაკითხვას და 2) ქართულ-რუსულ უბნობას. 2 კლასი—ქართულ-რუსული გრამატიკას—ზმნებამდის, არითმეტიკის ოთხ მოქმედებას, ძველ ალთქმას, რუსულ წერას და ქართულ-რუსულ უბნობას.

სამაზროში—ვრცელი კატეხიზმო, მოკლე საღვთო ისტორია, არითმეტიკა 1-2 ნაწილი, რუსული და ქართული გრამატიკა, ვარჯიში ქართულ-რუსულ თარგმანში გრამატიკული ანალიზით და ქართულ-რუსული უბნობა.

საკუთრივ სემინარიის კლასებში ასწავლიდნენ შემდეგ საგნებს: **რიტორიკის კლასი** (დაბალი განყოფილება): რიტორიკა, საზოგადო ისტორია, საეკლესიო ისტორია (ბიბლიის პერიოდში), რუსეთის ისტორია, საზოგადო და რუსეთის გეოგრაფია, ვარჯიში თარგმანში ქართულიდან რუსულად და პირუკუ.

ფილოსოფიის კლასი (საშუალო განყოფილება): საეკლესიო ისტორია, სამოქალაქო ისტორია (ლიცეუმის პროფესორის კაიდანოვის წიგნის მიხედვით და გვემით), ფილოსოფია—ბაუმეისტრის წიგნი, ფილოსოფიურ სისტემათა ისტორია—ბრუკერის სახელმძღვანელო, ვარჯიში რუსულ-ქართულ თარგმანში.

ღვთისმეტყველების კლასი (მაღალი განყოფილება): საეკლესიო ისტორია, ღვთისმეტყველება, გერმენევტიკა და ახალი ალთქმა.

ასეთი იყო საერთოდ სემინარიის მთლიანი სახე და რუსეთის სემინარიებისაგან იმით განსხვავდებოდა, რომ ტფილისში არ იყო ძველი და ახალი ენები და მოწაფეებს გათავებისას არ ჰქონდათ მინიჭებული სტუდენტის ხარისხი.

სემინარიების წესდების მიხედვით სემინარიის სათავეში დგას რექტორი (ბერი, არქიმანდრიტის ხარისხით) მის ხელშია მთელი მმართველობის სადავე: აღმინისტრატული, სასწავლო და ფინანსიური. მართალია, არსებობს სემინარიის გამგეობა, რომელიც რექტორისა და ორი მასწავლებლისაგან არის შედგენილი, მაგრამ ნამდვილად რექტორია ყველაფერი, საჭმის ვადამწყვეტი, გამგეობის დანარჩენი წევრები მხოლოდ სტატისტიკია. რექტორი თვალყურს ადევნებს მასწავ-

ლებლების საქმიანობას, მუშაობას, უკეთუ დაინახა დაუდევრობა, სიზარმაცე, ნაკლი ან „რამე საეჭვო“ მათ ყოფაქცევაში, მაშინვე ითხოვს სამსახურიდან მიზეზის აღნიშვნით: „საიმიედო არაა“, „გაუსწორებელია“, „სუსტია“. ასე დაითხოვეს სამსახურიდან თელავის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი ზაქარია სიღამონოვი 1819 წელს და ტფილისის სემინარიიდან დაბალი კლასის მასწავლებელი ცნობილი ივანე იალღუზიძე (1822 წელს), პირველი როგორც შეუფერებელი პირი აღმინისტრაციული და სასწავლო საქმისათვის, ხოლო მეორე-სწავლების ჩვევათა უქონლობის გამო, „გამოუსწორებელია და საიმიედო არაა მისი შესრულებისათვისო“ („не имея навыка к учительской должности, неисправен и безнадежен к прохождению оной“ ტფ. სემ. 1822 წ. საქმე № 12). ასეთივე ბედი ეწვია თელავის მეორე გამგეს არქ. თეოდოსეს, სიღნაღის მეორე გამგეს — ინოკენტი ფიცხელაურს და გორის სკოლის გამგის მოადგილეს იესე გარსევანოვს.

სასულიერო უწყების მასწავლებლები უფლებრივად და ეკონომიურადაც გაცილებით დაბლა იდგნენ სამოქალაქო სამსახურის მოხელეებზე. ცნობილია, რომ 1803 წლ. 19 დეკემბრის კანონით საქართველოში სამოქალაქო სამსახურისათვის გამომგზავრებულ რუს მოხელეს ენიჭებოდა დიდი უპირატესობა და შოღავათი. „ჩინის“ მისაღებად დაწესებული ვადის (4 წელი) გასვლის შემდეგ, თუ შობელე მოისურვებდა იმავე თანამდებობაზე დარჩენას, მაშინ მას შემდგომი ჩინისათვის დაწესებული ვადა უნახევრდებოდა. გარდა ამისა, 1819 წლის 4 ნოემბრის კანონით საქართველოში დანიშნულ რუს მოხელეს ჩვეულებრივი საგზაო ხარჯების გარდა ეძლეოდა 200-300 მან. ერთდროული დახმარება ჯამაგირიდან გამოუქვითავად.

სემინარიისა და მის სისტემაში შემავალ სკოლების რუს მასწავლებლებზე ეს კანონი არა ვრცელდებოდა. ამ გარემოებით უნდა აიხსნას ის მოვლენა, რომ რუსი მასწავლებლები 3-4 წელს მსახურობდნენ და მერე სამოქალაქო სამსახურში გადადიოდნენ, სასულიერო უწყებას გაუბრუნდნენ. ასე მოიქცა სემინარიის მასწავლებელი ალექსი ჩისტოსერდოვი, გორის სასულიერო სასწავლებლის გამგე ვასილი ნებუშოვი, გიაცინტოვი და სხვ. რუს მასწავლებლებს ქართველებთან შედარებით მეტი ჯამაგირი ჰქონდათ, თვითველ მათგანს ეძლეოდა წლიურად 200-250 მანეთი ვერცხლით, ხოლო ქართველ მასწავლებლებს 100-125 მანეთი.

სემინარიის გახსნიდან გაღის 4 წელი და რუს მასწავლებლებს შორის ისმის ჩივილი, რომ ჯამაგირი არა ჰყოფნით სიძვირის გამო. სემინარიის რექტორმა ირინეოსმა 1821 წელს ეგზარხოს თეოფილაქტეს წარუდგინა მოხსენება, სადაც აღნიშნა, რომ საქართველოში სიძვირე იზრდება, პურსა და სხვა სანოვავეზე ფასები მატულობს, რუს მასწავლებლებმა შეასრულეს ვადა (4 წელი), შეიძლება ისინი რუსეთში წავიდნენ, ან სხვა სამსახურში გადავიდნენ და ამით სემინარიის შეუმცირდება მასწავლებლობა, რომ ეს არ მოხდეს, საჭიროა, ირინეოსის აზრით, რუს მასწავლებლებს შეუქმნათ განსაკუთრებული პრივილეგიები ჯამაგირის მომატებით და ხარისხის აწევით. ასეთი პრეტენზიები დამყარებული იყო იმ მოსაზრებაზე, რომ საქართველო უკულტურო ქვეყანაა, აქაურ ანალფაბრლობას არ აქვს სკოლისაკენ გულისყური, ამიტომ რუს მასწავლებელს ესაჭიროება განსაკუთ-

რებული ენერგია, ძალა და მოთმინება, რომ იმუშაოსო. „სწავლისადმი გულცი-
ობა აქაურ ახალგაზრდობაში იმდენად დიდია და შესამჩნევი, რომ მასწავლე-
ბელს ესაჭიროება დიდი მოთმინება, რაც რუსეთის პირობებში წარმოუდგენე-
ლია“ (холодность к учению здешних воспитанников при поступлении
их в училище столь заметна и велика, что учителям нужно иметь
в запасе терпение, неслыханное в российских училищах“, ტფ. სემ. 1821
წ. საქმე №12, 2-4 გვ.).

საქართველოში ცხოვრების მოუწყობლობა და პავის პირობებიც, მომხსენე-
ბლის შეხედულებით, აძინებდა აქ სამსახურს. ბევრი რუსი მასწავლებელი ვერ
უძლებდა აქაურ სრცხეს და ავადდებოდა. ყველა ამ მოსახრებათა გამო, რომ
მოეზიდოთ რუსეთიდან საჭირო კადრი მასწავლებლებისა, ან ამჟამად სამსახუ-
რში მყოფნი რომ შევინარჩუნოთ, საჭიროა რუს მასწავლებლებზე გაერთიანდეს
1803 წლის 19 დეკემბრის კანონი, დასძენდა რექტორი ირინეოსი. მოხსენების
ტენდენცია აშკარად ჩანს: რუს მასწავლებელთა მუშაობა და სამსახური წარმო-
დგენილია როგორც განსაკუთრებული საქმე, რომელიც მომუშავისაგან მოითხოვს
არაჩვეულებრივ მოთმინებას და მოწამებრივ თავგანწირვას. ერთი სიტყვით,
მდგომარეობა ისეა წარმოდგენილი, თითქო რუს მასწავლებლებს საქმე ჰქონდეთ
ზუსტებითან ან პოლინეზიის რომელიმე მიყრუებულ მოსახლეობაში.

სამმა წელმა განვლო და 1874 წელს უზენაესმა საიმპერიო ხელისუფლებამ
დაამტკიცა სემინარიის მიერ მასწავლებელთა ხარისხისა და დაწინაურების დე-
პუტატი, რომლის მიხედვით სამსახურის ვადა შემდგომი ჩინზე წარდგენისათვის
განახევრდა და რუსეთიდან საქართველოში მოვლინებულ რუს მასწავლებელს
საგზაო ხარჯების გარდა ეძლეოდა ერთდროული დახმარების სახით 200-300
მანეთი ვერცხლით.

ეს უპირატესობა ქართველ მასწავლებლობაზე არ ვრცელდებოდა. ერთიდა-
იგივე ხარისხი რომ მოეპოვათ, რუსს უნდა ემსახურა 2 ან 4 წელი, ქართველს კი
4, 6 ან 8 წელი.

ქართველი მასწავლებელი ამასთან მოკლებული იყო სამეცნიერო ხარისხს,
რადგანაც ტფილისის სემინარიაში კურს დამთავრებულებისათვის ჯერ-ჯერობით
არ იყო დაწესებული სტუდენტის ხარისხით გამოშვება, რაც შემოიღეს 1835 წლის
შემდეგ.

მასწავლებელთა ჩინზე წარდგენისა ან სამსახურში დაწინაურების დროს ყუ-
რადღებას აქცევდენ სოციალურ წარმოშობას. გორის სასულიერო სასწავლებ-
ლის მასწავლებლები გრიგოლ მიხეილის-ძე პაპიტაშვილი და ალექსი პეტრეს-ძე
დადიანიძე თხოულობენ, რომ ვადის დამთავრების გამო, დებულების მიხედვით,
წარადგინონ ჩინზე, მაგრამ მათმა ცდამ უშედეგოდ ჩაიარა, ეგზარქოსმა უარი
უთხრა წარდგენაზე იმ მოსახრებით, რომ აღნიშნული პირები გლეხური წარმო-
შობისა არიანო.

სასულიერო უწყების, განსაკუთრებით ქართველ მასწავლებლებს მიმე პირო-
ბებში უხდებოდათ მუშაობა: მცირე ჯამაგირი, დიდი სიძვირე, სახელმძღვანე-
ლოების უქონლობა და ამის გამო კონსპექტების შედგენა და წერა და მაგარი

რეჟიმი აიძულებს მათ 4-5 წელზე მეტს არ გაჩერდნენ ხსენებულ უწყებაში და შემდეგ გადავიდნენ სამოქალაქო სამსახურში.

ამ დარგის მასწავლებლებს უფლებებიც შეეკეცილი აქვთ. სამსახურის გარეშე სხვა რაიმე საქმეში ჩაბმა, ან კერძო გაკვეთილების შოვნა, აკრძალული აქვთ. მთავრობის რეგლამენტაცია ოჯახის სფეროშიც კი იჭრება: მასწავლებელს ქორწინების ნებართვა რექტორისაგან უნდა მიეღოს. რასაკვირველია საქირო იყო სათანადო ცნობების წარდგენაც იმის შესახებ, თუ ვისი ჩამომავალი ან რა აღზრდისა იყო საცოლედ.

რეჟიმის პირობებმა და ეკონომიურმა გაკერებამ რუს და ქართველ მასწავლებელთა შორის დაბადა უნდობლობა, ინტრიგა, მამუჭრობა. რუსი მასწავლებლები იჩენდნენ ყდმადლობას, როგორც გაბატონებული ერის წარმომადგენელი. გორის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი ხლებნიკოვი ვერ ურთობდა. იმ აზრს, რომ სასწავლებლის სამეურნეო ნაწილის უფროსად იყო ქართველი იხზე გარსევანოვი¹.

ხლებნიკოვს, როგორც ფულის მოყვარულ კაცს, ვერ აუტანია ის გარემოება, რომ მას ზღუდავს გარსევანოვი და მის თვითნებობას ფულის ხარჯვაში წინ ეღობება. იწყება ხანგრძლივი დავა, მართალია, გარსევანოვი აღარ ვაჩერებს, როგორც საქმისათვის ვითომც შეუფერებელი პირი, მაგრამ გამოძიებამ გამოარკვია, რომ გარსევანოვი მართალი იყო, ხლებნიკოვი კი ყოველ საქმეში უწესო, არ ვარგოდა როგორც გამზე, არ იცოდა საკანცელარიო საქმის დაყენება და გაძღობა, იყო უზრუნველი, ლოთი, მფლანგველი, უპირული და ამპარტავანი. ვისგანაც ფულს ისესხებდა, აღარ ახდიდა. ერთი ტფილისელი მკერავიც კი ეღავებოდა, რომ ორი წელია ტანისამოსი შემაკერვინა ხლებნიკოვმა ნისიათ და ფულს არ იხდისო. თავის დაუდევრობით გორის სასწავლებელი სრულ დაქვეითებამდის მიიყვანა. სემინარიის რექტორი ურჩევს ხლებნიკოვს, რომ ის, როგორც ზემდგომი სწავლით აღჭურვილი, თავის თვითნებობით და უხეშობით არ უნდა არცხვედნდეს აკადემიის სახელს, მეტადრე ისეთ კუთხეში, როგორც არის საქართველო, სადაც ახალწესების დამყარებასთან ერთად რუსი ვალდებულია აჩვენოს წყნარი, პატიოსანი ქცევა და მთავრობის ბრძანებას აუცილებლად უნდა დაემორჩილოს. ხლებნიკოვი არსებული დებულების მიხედვით (სემინარიის წესდება² § 277) დააჯარიმეს ფულადი გადასახადით (ტფ. სემ. 1825 წ. საქმე № 20).

მასწავლებელთა ცხოვრებაში, თუ ერთის მხრივ ვხედავთ ინტრიგებს და „დანოსებს“, მეორე მხრივ ჩვენ ვამჩნევთ ისეთ მოვლენას (გამონაკლისის სახით, რასაკვირველია), საიდანაც ჩანს, რომ მასწავლებელი არ დაქმყოფილებულა

¹ ეს იესე ანუ იახე გარსევანოვი იმდროისათვის საკმაოდ ცნობილი პირია, მასთანა წირეს თანაუგრძნობა, კარგად იცოდა რუსული ენა და მწიგნობრობასაც მისდევდა. რუსულიდან სთარგმნა: 1) პლუტარხოსის „შეთანასწორებანი ცხოვრება აღწერანი ღიდებულთა მამაკაცთანი“. 2) ომიროსის — „ილიადა“ 1836 წ. 3) ფინელინი — „მიმსველელობანი ტელემაქოსისანი“, 4) ვოლტერი — „ისტორია მეფობისა ლუდოვიკ XIV და XV — 1831 წ.“, 5) იროდოტე — „ისტორია“ წიგნი პიოველი და მეორე — 1836 წ., 6) მილოტი (აბატი) „ყოვლად საზოგადო ისტორია“ 1833 წ. და სხვა.

მხოლოდდამხოლოდ ჩინოვნიკის როლით. ზოგიერთი ღრმად ჩაპკვირვებია იმდროინდელ ცხოვრების სოციალურ ტკივილებს, გამსჭვალულა თანაგრძნობით ჩაგრულებისადმი და ცდილა, რამდენადაც ამის ძალა შესწევდა, მათ დახმარებას.

ასეთი პირი იყო თელავის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელი გედლონ ბუჩქიევი. თელავის მაზრის ორ თავადს იოვანე და დავით ჯორჯაძეს აუჯანყდენ ალმატელი ყმები, აღარ სურდათ მებატონეთა მორჩილება, უნდაოდათ როგორმე მათ უღლიდან თავი დაეღწიათ. გლეხებმა დაიწყეს სასამართლოში სიარული და ძიება. ამ საქმეში მათ ვზის მაჩვენებლად და წინამძღოლად გაუჩნდა გედლონ ბუჩქიევი. თავადები აღშფოთებული არიან ბუჩქიევის საქციელით, განცხადება შეაქვეთ თელავის სასულიერო სასწავლებლის გამგე ვასილ მატაბელოვთან (1823 წ. 21 ივნისს) და თხოულობენ, რომ ბუჩქიევი დაისაჯოს, მას დაეიწყებია თავისი პირდაპირი მოვალეობა რადგანაც „მეცადინეობს დაუცხრომელად შემწეობასა წინააღმდეგეთა ყმათა ჩვენთა ალმატელთასა,.... დაყავს სტრაფითან.... და აძლევს უსათუძლო შემწეობას“. ბუჩქიევის ასეთი საქციელი, ჯორჯაძის აზრით, მავნებელია არა მარტო მათთვის, „არამედ საზოგადოცა შორის დიდი მავნებლობა“.

ბუჩქიევს სემინარიის გამგეობამ მისცა ვაფრთხილება სხვის საქმეში ჩარევისათვის, ხოლო მებატონეებს აცნობეს, რომ მათ დაკმაყოფილება იძიონ სხვა გზით და სათანადო ადგილას გაასაჩივრონ ეს საქმე.

II

სემინარიასა და მის სისტემაში შემავალ სასწავლებლებში (გორი, თელავი, სიღნაღი, ქუთაისი—1821 წლიდან) სასწავლო წელი გრძელდებოდა 1-ლ სექტემბრიდან 1-ლ ივლისამდის. საგაზაფხულო არდადეგები ორი თვე (ივლისი-აგვისტო). შუა წელიწადში იყო ორი დასვენება: ზამთრის და გაზაფხულის, ორ-ორი კვირის ხანგრძლივობით. მეცადინეობა შემოდგომა-ზამთრის პერიოდში (1/IX—1/V) იწყებოდა დილის 8 საათიდან, ხოლო გაზაფხულზე (1/V—1/VII) დიდი სიციხების გამო დილის 7 საათიდან. რამდენადაც საბუთები საშუალებას იძლევა სემინარიის არსებობის პირველ პერიოდში (1817—1835) ვაკვეთილები იყო როგორც დილის საათებში 8—12, ისე საღამოს საათებში 2—4 საათამდის.

1817—1823 წლებში კვირული ვაკვეთილების რიცხვი სემინარიაში სულ იყო 28; რუსულ ენას და გრამატიკას — 11 საათი, ქართულს — 5 საათი, 12 საათი ვალობას, საზ. ისტორიას და გეოგრაფიას. ვაკვეთილების ასეთი სიმცირე, გამგეობის აზრით, გამოწვეულია იმ მდგომარეობით, რომ ისედაც სწავლისადმი გულგრილად განწყობილ ქართველ ახალგაზრდობაში ბევრმა ვაკვეთილებმა არ დაბადოს გულციობა და სიზარმაცე.

შემდეგ წლებში, როცა სემინარია სრულ კომპლექტიანი გახდა და უკვე ყველა კლასები არსებობდა, მაშინ ასეთი სურათი გვაქვს:

ა) რიტორიკის კლასი.	ბ) ფილოსოფიის კლასი.	გ) საღვთომეტყველო კლასი.
1. რიტორიკა 10 ს.	1. ფილოსოფია 14 ს.	1. ღვთისმეტყველება 10 ს.
2. საეკლესიო ისტორია 8 „	2. საეკლ. ისტორია 8 „	2. საეკლ. ისტორია 8 „

ა) რიტორიკის კლასი.	ბ) ფილოსოფიის კლასი.	გ) ხალთომეტყველო კლასი
3. საზოგადო ისტორია . . . 6 „	3. საზოგ. ისტორია . . . 6 „	3. გერმენეტიკა 10 „
4. თარგმანი ქართ. ენ. . . 4 „	4. თარგ. ქარ. ენიდ. . . 4 „	4. ახალი აღთქმა 8 „
5. გალობა 2 „	5. გალობა 2 „	
6. გეოგრაფია 4 „		
ს უ ლ 34 ს.	34 ს.	34 ს.

საგნები იყოფა ორ ციკლად: საერო და თეოლოგიური საგნები, ძველი და ახალი ენა თითქმის 1833 წლამდის არ უსწავლებიათ. ამ მხრივ ერთგვარი სხვაობა იყო რუსეთის სემინარიებსა და ტფილისის სემინარიას შორის. სამაგიეროდ ჩვენში დიდ ყურადღებას აქცევდნენ რუსულ ენას, მოწაფეებს ავარჯიშებდნენ თარგმანში ქართულიდან რუსულად და პირუტყუ. თვით სასწავლო საგნებიდან დიდი ყურადღება ჰქონდა მიქცეული თეოლოგიურ საგნებს.

სასულიერო სასწავლებელთა მთავარმმართველობა მოითხოვს, რომ განსაკუთრებული ყურადღებით ასწავლონ თეოლოგია. დანარჩენი საგნები მხოლოდ ერთგვარი საფეხურია თეოლოგიისაკენ ამყვანი. თეოლოგია ავეირგვინებს დანარჩენ საგნებს. სასწავლო გეგმა და პროგრამები ნათელ სურათს გვიხატავენ, თუ როგორ უნდა წარმოედგინა სემინარიელს სამყარო და მისი მოვლენები. ადამიანის ცხოვრება და მიზანი, სახელმწიფოთა განვითარება და მიეღი სამყაროს მოძრაობა — ყველაფერი ეს სქოლასტიურ ღვთისმეტყველების შუქფენით არის მოცემული. ყველგან მეფობს სასტიკი კანონზომიერება — თეოლოგია და მართლმსაჯულება, ვერაინ ვერ გაექცევა მას, სახელმწიფოთა ზედმავლობა და რღვევა, ადამიანის სიყვდილ-სიცოცხლე და სხვა, უზენაეს არსებაზე დამოკიდებული. ამ არსებას ადამიანი მხოლოდ რწმენით მისწვდება, გონება სუსტიაო, ეუბნებოდნენ ახალგაზრდებს ხელმძღვანელნი და ამ სახით ეკლესიის ავტორიტეტის უსიტყვოდ მიღება და ფეტიშად მიჩნევა იყო ძლიერი და მკვეთრი იადრისი იმდროის ხელისუფლებისათვის.

მოწაფეთა ცოდნის შემოწმებისათვის დაწესებული იყო ორი სახით გამოცედა: ა) ჩვეულებრივი, ანუ დახურული, წელიწადში ორჯერ — დეკემბერსა და მაისში, ბ) საჯარო — სასწავლო წლის ბოლოს.

საჯარო გამოცედას ესწრებოდნენ იმდროის სამხედრო და სასულიერო უზენაესი ხელისუფალნი. 1820 წელს 6—11 სექტემბერს ტფილისის სემინარიაში ერთი ასეთი გამოცედა ჩაუტარებიათ; დასწრებიან 1) თეოფილაქტე ეგზარქოსი, 2) მთავარმართველი გენერალი ა. ერმოლოვი, 3) გენერალი ველიამინოვი, 4) გენერალი ხოვენი, 5) სომხეთის არქიეპისკოპოსი ნერსისი და მრავალი სხვა მოხელე. გამოცედას დროს მოწაფენი დიალოგის სახით კამათობდნენ ისტორიის სარგებლობის შესახებ, მგორე ასეთი დისპუტი ჩაატარა მოწაფე სვეტლოვმა და სულხანაოგმა — სიტყვიერების შესახებ.

გამოცედას წინ, სტუმრებს, ჩვეულებრივ, დაურიგეს კონსპექტები და მოწაფეთა ნაწერები რიტორიკაში. დასასრულს მასწავლებელმა ვასილიევმა წარმოსთქვა სიტყვა იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა აქვს რუსულ ენას ქართველი მოზარდი თაობისათვის. შემდეგ წაიკითხეს წარჩინებულ მოწაფეთა გვა-

რები და დააჯილდოვეს „რაზღავორებისა“ და ახალი აღთქმის წიგნებით. ჯილდოს ურიგებდა თვით ა. ერმოლოვი.

სიტყვიერების კლასიდან დააჯილდოვეს: 1) ამბაკო ჩუბინოვი, 2) ალექსეევი იაკინთე, 3) იესე სულხანოვი, 4) დავით ფურცელაძე, 5) ვასილ მატაბელოვი, 6) გეგონ ბუჩქიევი, 7) ზაქარია ისაკოვი და სხვ.

სამაზრო სასწავლებლიდან: 1) იოთან შელიოვი (შელია), 2) ბესარიონ ლობერიძევი, 3) ივანე მაკაროვი, 4) ალექსანდრე სულხანოვი, 5) ივანე ბასხაროვი, 6) იმნაძოვი (იმნაძე), 7) პლატონ იოსელიანი და სხვ. (ტფ. სემ. 1820 წ. საქმე № 13, 20—21 გვ.).

სწავლების მეფოდი არ ყოფილა ფაქიზი და სათუთი. დებულების (§ 25) ფორმულა „სწორი და გარკვეული სწავლება“, ბევრ არაფერს გვეუბნება, რომ რამე ნათლად წარმოვიდგინოთ. საბუთები კი მოწმობენ, რომ მაშინდელ სემინარიაში რუსულ ენაზე სწავლების გამო მოწაფეებს უზღებოდათ მასალის კაჭკაჭივით დაზებირება, უცხო ტექსტის მექანიკურად ათვისება, რაც გონებას, ყურადღებას ძალზე აჩლუნგებდა და მის ნორმალურ განვითარებას აფერხებდა, ზოლუდავდა. ბევრი მოწაფე გამოეთხოვა ამის გამო სასწავლებელს.

სემინარიის მასწავლებლები ისეთი მეთოდით ხსნიდენ გაკვეთილს, რომ მოწაფის შეგნებაში გაკვეთილის მთავარი აზრი იჩრდილებოდა და გაუგებარი ხდებოდა (1829 წ. რევიზიამ ეს მოვლენა სავანგებოდ აღნიშნა და მოითხოვა მისი აღმოფხვრა). რადგან სახელმძღვანელოები (გარდა ქართული გრამატიკისა) ადგილობრივ არ მოიპოვებოდა, რუსეთიდანაც დროზე არ იყო გამოწერილი, ან გზაში სამი-ოთხი თვე იგვიანებდა, —მასწავლებელი ამის გამო თავის დისციპლინაში მოწაფეებს კონსპექტს აწერინებდა. ჩაწერა სწარმოებდა კარნახით, რუსული ენის სუსტად მცოდნე მოწაფე (ასეთები კი ბევრი იყო) შეცდომებით სწერდა, ჩაწერილის გასწორება და თარგმანა (თუ მასწავლებელმა ქართული არ იცოდა, ის თარგმანაში იშველიებდა ძლიერ მოწაფეს) ბევრ დროს /მოითხოვდა და პროგრამაც ზოგიერთ ნაწილში დაუმუშავებელი რჩებოდა.

კონსპექტებში მოცემული მასალის ათვისება მექანიკური წესით მიმდინარეობდა, ყველაფერი შეხსიერებაზე იყო დამოკიდებული. რაიმე დამხმარე ჭერხი, ან საშუალება, გარდა თარგმანის მეთოდისა, არ არსებობდა, მაგრამ საქმეს ესეც არა შველოდა, რადგანაც რუსულს და განსაკუთრებით სლავურ ტექსტს ხომ მაინც დაძლევა უნდოდა. იმ შემთხვევაში, როდესაც მასწავლებელი მეცადინეობაზე არ გამოცხადდებოდა, ჩვეულებრივ ძლიერი მოწაფე ამეცადინებდა და ამორებიანებდა გაკვეთილს. სუსტ, ჩამორჩენილ მოწაფეებზე არავინ არ ზრუნავდა. მათი გამოსწორება, ძლიერთან მიმაგრება, ან დამატებით მეცადინეობა აზრად არ მოსდიოდა არც ადმინისტრაციას და არც მასწავლებლობას. ჩამორჩენილ მოწაფეთა ბელი გადაწყვეტილი იყო: ძალიან ადვილად რიცხავდენ სასწავლებლიდან.

არა ნაკლებ მომაბეზრებელი იყო „ქართულ-რუსული უბნობანი“ და მისი დაზებირება. თითოეულ მოწაფეს რაც შეიძლება ბევრი უნდა დაესწავლა, მაგრამ რამდენად ტფილისელ მოწაფეს ეადვილებოდა ფერაზების დასწავლა, იმდენად პროვინციელს ძალზე უჭირდა და ხშირად „სუსტი“ შეფასება ჰქონდა. ქალაქელ მოწაფეებიდან ყველაზე დიდი მაჩვენებელი „უბნობის“ დასწავლაში იმ დროს:

ჰქონდა პლატონ იოსელიანს—30—35, ხოლო პროინციელებიდან სოლომონ დოღაშვილს 30—50, დანარჩენები 10—15 წევით ვერ აღიოდენ. „უბნობას“ თან სდევდა როგორც ცალკე დისციპლინა, თარგმანი ქართულიდან რუსულად და შებრუნებით. ამ საშუალებით უნდოდათ მოწაფე მალე დაუფლებოდა რუსულ ენას. მაგრამ მოწაფისათვის სემინარიის მთელი პროგრამა მისი მრავალ საგნიანობით მეტად მძიმე იყო, კავშირი არ ჰქონდა ბავშვის განცდებსა და სამყაროსთან, ბავშვს ეუცხოებოდა და ამის გამო სემინარიის მოწაფეებში დაინტერესება, სიცხოვლის გრძნობა სწავლისადმი არა ჩანს. ამას ზედ ერთეოდა ქართველ მოწაფისათვის თანამოყვარეობის შემლახავი მოვლენა, რომ ვითომ ის (რუსი მასწავლებლის აზრით) არის უიცი, უნიჭო და უკულტურო თავისი მშობლიანად. მოწაფის გულში მეტად მძიმე და არა სასიამოვნო გრძნობები იღვიძებდა. მოწაფე სასწავლებელში ვერ ხედავდა გულთბილობას, მზრუნველობას, პირიქით, ყველაფერი აქ თითქმის მის სატანჯველად იყო მოწყობილი.

მოწაფეთა წარმატების კურჩალში სამი მიმართებით გვხვდება შეფასება:

- ა) ყოფა-ქცევა რევ, благонаравен, добр, честен, предосудительно-го поведения.
- ბ) ნიჭიერება-მუყაითობა туп, ленив, нерадив, средственный, хороший.
- გ) საგნები—отлично, очень хорош, средственный, нехудых, неуспешен, малоуспешен, слаб.

მაგალითისათვის ავიღოთ ცნობები პლატონ იოსელიანის შესახებ: благонаравен, хороших способностей, 1) выучил разговор грузино российских—25

- | | |
|---------------------------------------|-----------|
| 2) перевод с грузинской на российский | } хороших |
| 3) пространный катехизис | |
| 4) арифметика | |
| 5) Священная история | |
| 6) Русская грамматика | |

(ტფ. სემ. 1820 წ. № 13, 43—44 გვ.)

მოწაფის კარგ ქცევას და სწავლაში წარმატებას აღმზრდელები იწონებდნენ საჯაროდ და მასწავლებლისავე წარდგენით რექტორი თავის ბინაზე, ან კლასში მოწაფეებს უცხადებდა მოწონებას. წესრიგის დამრღვევ მოწაფეთა გამო-სასწორებლად მიმართავდნენ ასეთ ზომებს: დარიცხება, საყვედური, კუთხეში დგო-მა, დაჩოქება, კარცერი, ცემა და სხვა.

სემინარიის წარდასთან დაკავშირებით, როდესაც აღმინისტრაცია ევლარ სწვდება შორეულ უბნებში მრსახლე მოწაფეების მოვლას, 1824 წლიდან შემოიღეს ეგრედწოდებული „უფროს მოწაფეთა“ ინსტიტუტი. ამ უფროსებს ევა-ლებათ მოწაფეთა საცხოვრებელი ბინების დათვალეირება, თვალ-ყურის დევნება მეცადინეობენ თუ არა, ეკლესიაში ესწრებიან საკულტო წესებს, ან უღროთ ქუჩაში ხომ არ დახეტიალებენ.

„უფროს მოწაფედ“ ნიშნავდნენ ზედა კლასის საუკეთესო მსმენელსა და მას თანამემწეც ჰყავდა. მთელი ტფილისი გაჰყვეს ექვს უბნად:

1) ანჩისხატის უბანი—მიაკუთვნეს პლატონ იოსელიანს.

2) ქაშუეთი— „ — — იოსებ მამაცეცს.

3) ავლაბარი— „ — — დავით გრიგორიეცს.

4) იერუსალიმის უბანი—ივანე მოძღვაროცს.

5) სომხის ბაზარი —ივანე რომანოცსკის.

6) მონასტრის უბანი —რომან ბორისოცს.

თუ ვინმე ამ „უფროსთაგანი“ წესიერად არ შეასრულებდა დავალებას, თანამდებობიდან სხნიდნენ. წესდების მიხედვით სხენებული „უფროსები“ თავში ერთხელ ინსპექტორს უდგენდნენ ანგარიშს თავის მუშაობისა და დაკვირვების შესახებ. „უფროსთა“ მოხსენება შეიცავდა შენიშვნებს იმის შესახებ დაიარება თუ არა ესათუის მოწაფე ეკლესიაში, ბინაზე როგორ მეცადინეობს, ან ზომ არ არღვევს სასწავლებლის წესებს.

მაგალითად, სემინარიასთან არსებულ სამაზრო სასწავლებლის სამი მოწაფის შესახებ (ეგორ, გამრეკელი, იასონ ბარნაბიშვილი, დიმიტრი ყიფიანი) ნათქვამია, რომ ისინი კლასში თავის ვალდებულებებს კარგად ასრულებენ და ეკლესიაში მუდამ იარებიან, ხოლო ლაგრენტი არდაზიანის შესახებ სწერია: „не брежен к церкви и классу“. ცნობები ეხება 1824 წელს.

1827 წელს სემინარიასთან სინოდის განკარგულებით დაწესდა ბურსა (პანსიონი), რომლის ხარჯები საქართველოს ეკლესიის შემოსავლიდან უნდა დაეფარათ. დარიის მონასტრთან, ავლაბარში, სადაც სემინარია იყო მოთავსებული, ააგეს რამდენიმე ოთახი და მოათავსეს 50 მოწაფე, 25 მოწაფე სრულ ხარჯზე—თითოს წელიწადში 80 მანეთი ეძლეოდა, 25 კი ნახევარ ხარჯზე, თითოს 40 მანეთი ვერცხლით წელიწადში. სრულ ხარჯიანს ჰქონდა ჭამა-სმა, ჩაცმა, გათბობა, განათება, ნახევარ ხარჯიანს—იგივე, ჩაცმა დახურვის გარდა. ტანზე სამოსად ხმარობდენ მუქ ლურჯ სერთუქს, ან შავ ახალუხს. საეკლესიო ყმების შეილებს ბურსაში არ იღებდენ, ეგზარქოსის შეხედულებით ისინი კმაყოფილნი უნდა იყვნენ იმით, რომ უფასოდ სწავლობენ სასულიერო უწყების სკოლებში.

საბუთების მიხედვით ირკვევა, რომ ტფილისის სემინარიის ბურსა არ იყო სათანადოთ მოწყობილი: ოთახები პატარა და დაბალი, ნაკლებ შუქიანი, უსუფთაო და მოუვლელი, ზამთრობით თითქმის გაუმთბარი. ხშირი იყო დაავადება, ამიტომ ავადმყოფ მოწაფის სიცოცხლე უწამლოდ და მოუვლელობის გამო მუდმივ საფრთხეში იყო. არა ნაკლები ბოროტება იყო მოწაფეთა კვებისა და ჩაცმის დარგში. სემინარიის ადმინისტრაციის მოწაფეთა მომარაგება ტანისამოსითა და საკმელოთ—იჯარით ჰქონდა გაცემული. ყოველი მოიჯარადრე ცდილობდა საიჯარო თანხაზე გაცილებით ნაკლები დაეხარჯა, რომ გამორჩენა მეტი ჰქონოდა. ამის გამო არც ტანისამოსი ვარგოდა და კვებაც ძალიან მდარე ხარისხის იყო. მთელი სასწავლო წლის განმავლობაში სემინარიელს 153 ლდემში სამარხოს საკმელი (ლობოი და სხვ.) უნდა მიეღო, დანარჩენ ლდემში სახსნილო. ბურსის საჭიროებისათვის გაწეულ ხარჯებში სემინარიის ადმინისტრაციას, უმეველია, ბოროტმოქმედება ჰქონდა ჩადენილი, მაგრამ შემდგომი ორგანოები ამას ყურადღებას არ აქცევენ.

ბურსის დაარსებამ სემინარიის ადმინისტრაციის ძლიერი იარაღი მისცა ხელში, მოწაფეობის 30% მისი უშუალო, ყოველდღიური მეთვალყურეობის ქვეშ მოექცა, სტიპენდიების დანიშვნამ მოწაფეთა მნიშვნელოვანი ნაწილი მორჩილ მონა-ყმად აქცია, დაუკარგა მათ საკუთარი სახე და თაოსნობა, მცირე შენიშვნა უწესობებში იწვევდა სტიპენდიების ჩამორთმევას, ჩნდებოდა სხვა, ახალი მოსურნე სტიპენდიისა; ცხადია, ამბისტანიანობა, მამულრობა იჩენს თავს. სამავიეროდ გარედან მოსიარულეთაც უნდა ეგრძნოთ მტკიცე ხელი და ამ მიზნით 1833 წელს სემინარიაში შემოიღეს კონდუიტის წიგნი, სადაც მრავალი ცნობებია მოწაფეთა დანაშაულობის, ან წესიერების შესახებ. ადმინისტრაციას სურს ხელში დაიჭიროს მოწაფეობა, თითოეულის ქცევა აწონ-დაწონილი უნდა იყოს და ხსენებულ წიგნში მთელი თვის მანძილზე აღნიშნულია, თუ რა საძრახი, უწყესო მოქმედება ჩაიდინა, ან რა დადებით სახის ქცევა აქვს. მოწაფის შემდგომი წარმატება იმაზე იყო დამყარებული, რომ კონდუიტში ჩანიშნული უარყოფითი დახასიათება, საყვედური და სხვა შემდეგში დადებითი დახასიათებით უნდა ყოფილიყო შეცვლილი. წინააღმდეგ შემთხვევაში გამოუსწორებლობას მოსდევდა სკოლიდან გამორიცხვა.

სიმონ გვარამაძის შესახებ 1835 წ. ჩაწერილია „в 1835 г.—в мае самовольно отлучился из Тифлиса и наказан телесно“, გიორგი იალღუზიძე (ცნობილი ივანე იალღუზიძის შვილი) „замечен в самовольной отлучке из бурсачных комнат; за что отобран у него сертук казенный до исправления“.

სემინარიის მკაცრი რეჟიმი და გამარჯვებელი პოლიტიკა ბევრ მოვლენებში პოულობდა თავის გამომდევნებას: ერთერთი მისი სახე არის მოწაფეთა გვარების შეცვლა-გადაკეთება რუსულის დაბოლოვებით—

(ბაქრაძე, იმნაძე და სხვა). არის მოვლენები გადათარგმნისა, მაგალითად დეკანოზიშვილი—რუსულად პროტოპოპოვი, ყველაშვილი—სიროვი, ხან სეროვი, (კაგარელი—ფომინი (მამის სახელზე გააკეთეს გვარი), ლუკაშვილი—ლუკინი, კალაუზბენელი—კოლუბანსკი და მრავალი სხვა.

მძიმე რეჟიმის გამო ახალგაზრდობაში იწყება უკმაყოფილება, თუმცა ახლილი გამოვლენა ვერ მიუღია. მოწაფე სასწავლებელში აღარ ჩერდება და უთქმელად გარბის, სტაგინს. მას; ჯერ სოფელს მიაშურებს, მერე შედის სამოქალაქო სამსახურში, რომ ფული აიღოს, გაჭირვება-სიღარიბეს თავი დააღწიოს და „ჩინითაც“ დაწინაურდეს.

საქართველოში დამკვიდრებულ ბიუროკრატიულ ხელისუფლებას კანცელარიებში ესაჭიროებოდა მოხელეები, უწყების უფროსები სამსახურში იღებდნენ, რასაკვირველია, სათანადო შერჩევით ადგილობრივი ენების მცოდნე ახალგაზრდებს, რომელთაც თუმცა სკოლა არ გაეთავებიათ, ყოველ შემთხვევაში რამდენიმე კლასი მაინც გაუვლიათ. ქართველი ახალგაზრდობა ვაიტაცა სამსახურში მოწყობის აზრმა და ვისაც სასწავლებელში არ შეეძლო რამე მიზეზის გამო დარჩენა, ის სამსახურში შედიოდა. ეს საერთო მოვლენა იყო მაშინ. ყველა უწყებაში. ტფილისის გუბერნატორი სიმონოვიჩი მთავარმართებელ რტიშჩევისადმი წარდგენილ მოხსენებაში აღნიშნავს, რომ ქართველი თავადაზნაურობა არ ზრუ-

ნავს თავისი შვილების აღზრდაზე. საკმაოა ცოტა რუსული ენა და წერა-კითხვა ისწავლონ, შემდეგ გამოჰყავთ სასწავლებლიდან და აწყობენ სამოქალაქო სამსახურში ჩინისა და ჯამაიკის მისაღებათი (ПРЯТЫ, V, 339)

სასწავლებლიდან მოწაფეთა წასვლა, გაქცევა და არდადეგების შემდეგ, მათი გამოუცხადებლობა, ძალიან აღიქრებს სემინარიის აღმინისტრაციას: ის ცდილობს ამ მოვლენას მიხეზი გამოჰჩინოს. მოწაფეთა გაქცევა შეაჩეროს.

სემინარიის გამგეობა და გეზარქოსი იმ აზრისა იყენენ, რომ მოწაფეთა წასვლის მთავარი მიზეზი არის ქართველი სამღვდლოების გულგრილობა და უკულტურობა. თელავის სასულიერო სასწავლებლის ოფროსი (ბერი თიოდოსე) ამ მოვლენას ხსნის მოწაფეთა სიზარმაცით და მშობლების მოუსურველობით. სილნალის სკოლის უფროსი, ბერი ინოკენტი, სილარბეჟა და გაჭირვებას სდებს ბრალს. 1825-1828 წლებში ბევრმა დაანება დაიე სწავლას (როგორც სემინარიისში, ისე სასულიერო სასწავლებლებში), გაიქცა სკოლიდან და როცა მათ დაკითხეს, გაქცევა-წასვლის მიზეზად ასახელებდნენ დიდ გაჭირვებას, სიღარიბეს, შიმშილს, რაც მათ ხელს უშლიდა სწავლაში. ასეთია განცხადება სტეფანე დამვილის, ნასიძის, კაპანაძის და სხვების.

ჯერ კიდევ ჭრილობა და მშუშული არ იყო, ყველას კარგად ახსოვდა ის აწიოკება და შეურაცყოფა რაც რუსეთის ბიუროკრატიულმა და იმპერიალისტური ზრახვებით გადღენთილმა ხელისუფლებამ მიაყენა თელავის ქართულ სემინარიას, რომელიც „ჰყვეს ქება ავაზაკთა“, როგორც ამის შესახებ წერს თვით სემინარიის რექტორი დავით (ალექსი მესხიშვილი), „მრავალი მაროჭნი მოაწიენეს ჩემს ზელა“ და ესრეთ ვარ „რუსთავან აკოუბულიო“ (საბას ღვეპკიკონი—დავით რექტორის ავტოგრაფი, სიტყვა „საკოფაქცევო“ ქვეშ). (ვ. ბერიძე დავით რექტორი.. ტფილ. უნივერ. შრ. I, 317 გვ.)

ცხადია, თელავის სემინარიის აკლება და გაუქმება სახელს ვერ მოუხვეჭავდა მის ნანგრევებზე აღმოცენებულ და უცხოეთიდან გადმონერგილ სასწავლებელს. თელავის სემინარიას საკმაო ავტორიტეტი ჰქონდა მოპოვებული, მრავალი მოღვაწე ბირი გამოზარდა და საკმაო კვალიც დასტოვა. ქართველ სამღვდლოებს ბევრი რამ აერთებდა ამ სასწავლებელთან და ამიტომ იყო, რომ ტფილისში რუსული სემინარიის არსებობას დიდი თანაგრძნობით არ უცქეროდა. 10-12 წელი სემინარიის სწავლის შესათვისებლად დაკარგულ დროდ მიაჩნდა და ღვდლობის ხარისხის მისაღებად მონასტრულ განათლებას—2 წლიანი კურსით საკმაოდ სთვლიდა.

გ. სამავლოვი—ივერიელის აზრით სემინარიიდან მოწაფეთა გაქცევის მიზეზი იყო ის გარემოება, რომ ახლად დაარსებული სემინარია არ აღმოცენდა ადგილობრივ ნადავზე, არამედ უცხოეთიდან იყო გადმოიტანილი. სასწავლებლის გამგეთ ვერ შეითვისეს მოწაფეები, მკიდრო კავშირი ვერ დამყარეს მათთან და წესიერ-გონივრული აღზრდის ნაცვლად, უფრო ხშირად „როზგს“ იყენებდნენ, რაც მოწაფეობას გულს უცრუებდა სასწავლებელზე და აიძულებდა როგორმე თავი დაეღწია ასეთი რეჟიმისაგან („ივერია“ 1893 წ. № 102 „გორის სასულიერო სასწავლებლის 75 წლის იუბილე“).

	ს უ ლ.	სასულ.	არასასულიერო
1823	175	103	72
1824	164	111	53
1825	165	116	49

წარმოდგენილი ცხრილის მიხედვით სემინარიაში სასულიერო წოდება სქარბობს, მაგრამ თუ ვხედავთ მათში მიუღებთ. იმ გარემოებას რომ საეკლესიო გლეხთა შვილებს სიაში სამღვდლოთა შვილებთან წერდნენ ხოლმე, მაშინ ნათელია ის ამბავი, რომ სამღვდლოთა შვილების რიცხვი ხელაწიურად არის გადიდებული. რომ მოვხდინოთ მოწაფეთა ზუსტი სოციალური დაჯგუფება სივრცის მიხედვით, მაგალითად, 1820 წლისათვის, ასეთს სურათს მივიღებთ:

	ს უ ლ.	სასულ.	აზნ.	მოქალაქე,	საეკლეს. გლეხი
1820 წ.	70	25	18	5	22

სემინარიის გამგეობა აღნიშნავს, რომ მოწაფეთა რიცხვი სასწავლებელში იზრდება, მაგრამ, მეორე მხრივ, ჩივის, რომ უმრავლესობა სხვა წოდებისა არის. მღვდლების მიმართ სამსახურიდან დათხოვნის მუქარა თავისი ნაყოფი გამოიღო, სასულიეროთა შვილები გამრავლდნენ და 1828 წელს მოწაფეთა საბუთებში საეკლესიო გლეხთა შვილები „სხვათა წოდების“ სექტში მოაქციეს. ვფიქრობთ, რომ ასეთი გამოიჯგუნა ბურსის განსნის შედეგი უნდა იყოს, რადგან იონა ეგზარქოსმა ასეთი ღირებულება მისცა სემინარიის ადმინისტრაციას, რომ ბურსაში საეკლესიო გლეხთა შვილები არ მიეღოთ; ისინი უნდა დაემყოფილდნენ იმით, რომ სასულიერო უწყების სკოლებში უსასყიდლოდ სწავლობენო (ტელი. სემინ. 1827 წ. საქმე № 36, 75).

სემინარია უკვე 11 წელი იყო, რაც არსებობდა და მისი საფუძვლიანი გამოკვლევა სინოდს არ ჰქონდა ჩატარებული, რადგან 1827 წლამდის დასრულებულ საშუალო ტიპის სკოლას არ წარმოადგენდა და არც ერთ აკადემიურ ოლქის მზრუნველობის ქვეშ არ იმყოფებოდა. მართალია, ადგილობრივი ხელისუფლება (ეგზარქოსი) სამოთხე წელიწადში ერთხელ მაინც რევიზიას ახდენდა, მაგრამ ეს რევიზია უფრო შინაურ დათვალიერებას გავდა, ვიდრე გამოკვლევას. სწორედ იმ მოსაზრებით, რომ სინოდს გაეგო თბილისის სემინარია ამართლებდა თუ არა თავის დანიშნულებას განაპირა კუთხეში, 1829 წელს ზაფხულში სარევიზიოდ ჩამოვიდა ტვერის სემინარიის რექტორი არქიმანდრიტი მიხეილი. რევიზორს დავალებული ჰქონდა გამოეკვლია როგორც სასწავლო-აღმზრდებლობით, ისე ადმინისტრატიულ-ეკონომიური მხარე.

ზაფხულის არდადეგების გამო მოწაფეობა და მასწავლებლები (რუსების გარდა) დასასვენებლად იყვნენ წასული. სასწავლო ნაწილის გამოკვლევა, მოწაფეთა ცოდნის შემოწმება და მეთოდების სიაკვარგის გაგება, რევიზორისათვის ძალიან ძნელი იყო, რადგან სწავლა არ მიმდინარეობდა და ახალ სასწავლო წლის დასაწყისამდის მოცდა უხერხული იყო; ამიტომ სემინარიის ადმინისტრაციამ ეგზარქოსის ნებართვით დაიბარა მოწაფეობა სასწავლებელში და ივლისის გასულს, საშინელ სიტუაციაში, სკოლას დაბალ ოთახებში სწავლა განაახლეს. დაიწყეს მოწაფეთა გამოცდა და შეფასება. ბევრ მოწაფეს აუტანელ სიტუაციის გამო გუ-

ლი მისდიოდა, მაგრამ დაწყებული საქმე ბოლომდე უნდა ყოფილიყო მიყვანილი. ორი თვის განმავლობაში რევიზორმა გამოიკვლია როგორც ტფილისის სემინარია, ისე მის სისტემაში შემავალი სასულიერო სასწავლებლები (გორი, თელავი, სიღნაღი და სხვა). რევიზიამ აღმოაჩინა შემდეგი:

1. საგამოცდო კონსპექტების წინასწარი განხილვა, როგორც ამას სემინარიის წესდების § 111 მოითხოვს, არ წარმოებს.

2. მოწაფეობამ არ იცის რუსული ენა.

3. გაკვეთილის ახსნის დროს საკითხის ზედმეტი დაწვრილმანება იწვევს მოწაფის მესხიერების დაღლას.

4. თეოლოგიაში არ არის გავლილი საკმაოდ ვრცელი ნაწილი, სახელმძღვანელოს უქონლობის გამო.

5. რიტორიკის კლასში გეოგრაფიის სწავლება მიზანშეწონილი არ არის

6. გალობა ცუდად არის დაყენებული.

7. ტფილისის მოწაფეობას (ზოგიერთის გამოკლებით) საგნებში წარმატება ეტყობა, რაც უნდა აიხსნას იმით, რომ მასწავლებლობა ტფილისში უკეთესია და მასთან პირობებიც ისეთია, რომ რუსული ენის შესწავლისათვის მეტი გასაქანი აქვთ. სხვაგან (გორი, სიღნაღი, ქუთაისი) ასეთი პირობები არ არის და მოწაფეს მასალის დაძლევა უხდება უფრო დიდი შრომის დახარჯვით და მესხიერების დატვირთვით, ვინემ შეგნებული ათვისებით.

8. სემინარიის ბიბლიოთეკა ვერ სწავლება მთელ მოწაფეობას და მომსახურეობას ვერ უწყებს. წიგნები და სახელმძღვანელოები საკმაოდ არ მოიპოვება.

9. მოწაფეთა გულცივობა და სკოლაში გამოუცხადებლობა (ზოგან სამიოთხი წლის განმავლობაში) აიხსნება მათი სიხარმაკით, მშობელთა წაქეზებით, სასულიერო განათლების შეუფასებლობით და სიღარიბით.

10. სიღნაღის სკოლის უფროსს ზაქარია ისაკოვს და იმავე სკოლის მასწავლებელს იოსებ ღვინიეოს, გორისა—გრიგოლ პაპიტოვს—არა აქვთ სათანადო ცოდნა რუსულ გრამატიკაში. გორში—დაბალი განყოფილების მასწავლებელი ალექსი დადიანიძე დასატოვია მხოლოდ იმიტომ, რომ სხვა უფრო ნიჭიერი აღმზრდელი არ მოიპოვება. საერთოდ ქართველებში იმ მასწავლებლებმა, რომლებიც რუსულ გრამატიკას ასწავლიან, არ იციან საკმაოდ ეს ენა და არც შესაძლებლობა აქვთ შეივსონ ცოდნა.

11. რექტორის ხელში ორი თანამდებობის შეთავსება ბევრ უხერხულობას ქმნის მეთვალყურეობისათვის.

სინოდთან არსებულმა სასულიერო სასწავლებლების კომისიამ, მიიღო რა რევიზორის მოხსენება, სემინარიის გამგეობას მისცა შემდეგი პრაქტიკული მითითებები:

1. საგამოცდო კონსპექტი წინასწარ უნდა განიხილებოდეს.

2. სემინარიაში მისაღები მოწაფეები სათანადოდ უნდა იყვნენ რუსულში მომზადებულნი.

3. კონსპექტები დასაშვებია, უკეთეს სახელმძღვანელო არ არის.

4. შემოღებულ იქნეს ქართული გალობა სემინარიაში.

5. ბიბლიოთეკა შეივსოს საჭირო წიგნებით.

6. გეოგრაფია გადატანილ იქნეს სამაზრო სასწავლებელში.

7. სამაზრო სასწავლებლებს დაემატოს ერთი კლასი.

8. რუს მასწავლებლებს ევალებათ შეისწავლონ ქართული ენა, რომ ასწავ-
განმარტების დროს გამოიყენონ იგი.

9. მასწავლებლებს: ღვინიევეს (სიღნაღი) და პაპიტოვს (გორი) მიეთითოს,
რომ რუსული გრამატიკის ცოდნა შეივსონ.

10. რექტორი განთავსდეს ინსპექტორის თანამდებობიდან და ამ აღ-
გელზე დაინიშნოს სენინარიის რომელიმე მასწავლებელი.

11. სიღნაღის სკოლის უფროსი მაქარია ისაკოვი და გორის მასწავლებელი
ალექსი დადიანიძე, როგორც არა საიმედონი (ცოდნისა და სწავლების თვალ-
საზრისით) შეიცვალონ მკოდნე და უკეთესი პირებით (ტფ. სემ. 1830 წ. საქმე
№ 62., ფ. 1-10)

რევიზიის მასალამ ხელისუფლების მაღალ წრეებში დაბადა აზრი სემინა-
რიის რეორგანიზაციის შესახებ, ამ საკითხმა სათანადო ინსტანციები განულო.
ჯერ კიდევ ადგილობრივი ხელისუფლების წრეებში (ეგზარქოსი, სამოქალაქო
მმართველობა) ფეხს იკიდებს ის აზრი, რომ კავკასიის მთიელების დაპყრობა
მარტო იარაღით შეუძლებელია. ძვირად ჯდება თითო ნაბიჯი, ვინაიდან გაბო-
რტებული მთიელები ხელდავენ, თუ როგორი ზრახვებით მიდის მთებში რუსე-
თის ფეოდალურ-იმპერიალისტური მმართველობა და ამიტომ არა ზოგავენ ძალ-
ღონეს, რომ დაიცივან, თავისი კერა, მამული და წესადათები. იწყება სამკვლ-
სასიცოცხლო ბრძოლა. ბრძოლის მონაწილე მოპირდაპირნი—ტოლ ერთეულს
არ წარმოადგენენ, ერთი მხარე სუსტია, მეორე მომხდურებს ყოველი ნაბიჯი
ძვირად უხით. სწორედ ასეთ პირობებში ისახება აზრი, რომ კავკასიის მთიე-
ლები უნდა მოინათლონ, გაჭრისტიანდნენ, წინაღმდეგ შემთხვევაში რუსეთს
ზურგს უკან მუდამ ამოწდელი მახვილი ექნება და მყუდროება კავკასიაში არას-
დროს არ დამყარდება.

ამ საქმისათვის საჭიროა სათანადოდ მომზადებული პირები და მაღალ სფე-
როებში იმედო აქვთ, რომ ტფილისის სემინარია შეასრულებს ამ მისიას. 13 აბ-
რილს 1829 წელს ნიკოლაი I შინაგან საქმეთა მინისტრთან და ობერპროკურორ-
თან შეთანხმებით თავის ბრძანებაში საჭიროდ სთვლის, რომ ტფილისის სემინა-
რიაში მომზადდეს მისიონერები კრისტიანობის გასავრცელებლად მთიელებში,
იქვე მოქწყოს მოქადაგეთა კლასი და მასთან ერთად დაწესდეს სემინარიაში ოსურ-
ი და თათრული ენის სწავლება. სასულიერო სასწავლებელში მთიელთა ბავშ-
ვებს უნდა გაეხსნას გზა. განსაკუთრებით კი მამასახლისებისა და მემამულეთა
შვილებს (Дополнения к проекту устава духовных семинарий с 1825 г.
по 1842 г. стр. 2—3).

ეგზარქოსს დაევალოს ამ საკითხის შესახებ დებულების წარდგენა სინოდში.
მოსე ეგზარქოსმა 18 მაისს 1833 წელს სინოდში, მართლაც, წარადგინა დებუ-
ლება და ავიერ-კავკასიის სასულიერო სასწავლებელთა შესახებ მოითხოვა:

1. ვადლიერდეს რუსული ენის სწავლება, რადგან ის არის განათლების მთა-
ვარი იარაღი, როგორც დაბალ კლასებში, ისე სემინარიაში. ქართულის გარდა
შემოღებულ იქნეს თათრული და ოსური ენის სწავლება.

2. ადგილობრივ სასულიერო სასწავლებლებზე გაერცელდეს ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით რუსეთის სასულიერო სკოლების წესდება.

3. საეკლესიო მამულების შემოსავლიდან დაითაროს ამ სასწავლებლებზე გაწეული ხარჯები.

4. მოწაფეთა სიმცირისა და შენობის უქონლობის გამო დაიხუროს სიღნაღის სასულიერო სასწავლებელი, მოწაფეები გადაყვანილ იქნენ თელავში.

5. ოსური ენის შესახებ, თუ რომელი შრიფტი იქნეს გამოყენებული, ეგზარქოსი მოსე გარკვეულად არას ამბობს, თუმცა მისი წინამოადგილმ (იონა) ქართულ შრიფტს უფრო მიზანშეწონილად სთვლიდა ოსებისათვის. (Дополнения к проекту... 4, 5, 6 ფ.).

სინოდთან არსებულმა კომისიამ მოსე ეგზარქოსის მოხსენებისა და ნიკოლოზ I 13 აპრილის 1829 წლის ბრძანების საფუძველზე ტფილისის სემინარიას დააკისრა სამისიონერო ფუნქციების შესრულება. 15 მაისს 1835 წელს დამტკიცდა დებულება ამიერ-კავკასიის სასულიერო სასწავლებელთა ცვლილების შესახებ.

ამ რეორგანიზაციის მიხედვით:

1. სასულიერო სასწავლებლებში ისპობა ლათინური ენა და მის ნაცვლად უნდა გაძლიერდეს რუსული ენა, რომელიც ისე უნდა იყოს ათვისებული, რომ მოწაფემ სემინარიაში თავისუფლად შესძლოს საგნების შესწავლა.

2. ბერძნული ენა რჩება სასულიერო სასწავლებელში.

3. ლათინური—სემინარიაში, ოღონდ

4. გერმანული და ფრანგული სწავლება სხვა დროისათვის გადაიდო.

5. ოსური და თათრული ენა სავალდებულოა როგორც სასულიერო სასწავლებლებში, ისე სემინარიაში, ოღონდ სურვილით საჭიროა ერთ-ერთის არჩევა.

6. მათემატიკის (ალგებრა, გეომეტრია) შემოღება გადაიდო სხვა დროისათვის.

7. ფიზიკა შეუერთეს ფილოსოფიას. სემინარიის საშუალო განყოფილებაში სავალდებულო გახადეს რუსეთის და საქართველოს ისტორია.

8. დაწესდეს ქართული გალობის კლასი.

9. ოსური ენისთვის 13 აპრილის 1829 წლის ბრძანების საფუძველზე დასტოვეს ქართული შრიფტი ასეთი შენიშვნით, რომ სამი ენისა და ორი ანბანის შედარების შემდეგ ვადაწყდეს ოსურისათვის რომელ ანბანს უნდა მიეცეს უპირატესობა (Дополнения... 6, 7, 11). დებულების მიხედვით სასწავლებლები რჩება შემდეგ ადგილებში:

1. თბილისი—სასულიერო სემინარია, სასულიერო სასწავლებელი.

2. გორი—სასულიერო სასწავლებელი.

3. თელავი—სასულიერო სასწავლებელი.

4. სიღნაღში დაიხუროს და თელავისას შეუერთდეს.

5. ქუთაისი—სასულიერო სასწავლებელი.

6. რაჭა—სამრევლო სკოლა.

7. სამეგრელო—მარტვილის მონასტერთან არსებულ სამრევლო სკოლას დაემატოს სამაზრო და გახდეს სრული სასულიერო სასწავლებელი.

8. გურიაში—დაარსდეს მხოლოდ სასულიერო სასწავლებელი.

ბსენებული სკოლების შენახვისათვის საჭირო თანხა ვაღებულ იქნეს ადგილობრივი საეკლესიო მამულების შემოსავლიდან. (Дополнения ფ. 11, 12, 13).

ტფილისის სასულიერო სემინარიისა და მის სისტემაში შემავალ სკოლათა რეორგანიზაცია გატარდა 1835 წ. 1 სექტემბრიდან. სემინარია დაუქვემდებარეს კიევის აკადემიის ოლქს და ამიერიდან ამ ოლქს უნდა ეზრუნა, ხელმძღვანელობა გაეწია მისთვის.

რეორგანიზაციის გატარების შემდეგ სასწავლებლებში რუსულის სწავლება მიანდეს მხოლოდ რუსებს, ქართველს აღარ ნიშნავდნენ. გაპირდა ოსურისა და თათრული ენის მასწავლებელთა მოძებნა, ასე რომ ზოგიერთ ალავას კარგანობამდის ამ დისციპლინებში მასწავლებლები არა ჰყოლიათ. საქართველოს და რუსეთის ისტორიის სწავლება სემინარიაში დაეკისრა ალექსი მარსოვს; საქართველოს ისტორიის პროგრამა მთლად „ქართლის ცხოვრებაზე“ იყო აგებული. ფილოსოფიისა და ფიზიკის მასწავლებლად სემინარიაში 1835 წ. 10 დეკემბრიდან მოწვეული იქნა პლატონ იოსელიანი, რომელმაც ამ წელს დაამთავრა პეტერბურგის სასულიერო აკადემია. მჭადგებელთა კლასი სემინარიაში არ დაარსდა. ოღონდ უფროსი კლასის მოწაფეებს ავალბედნ ვარჯიშობას ქადაგების წარმოთქმაში, რომ მისიონერობისათვის სათანადოდ მომზადებულიყვნენ.

სემინარიამ თავის არსებობის პირველ პერიოდში (1817—1835), როდესაც ახლად გახსნილ სასულიერო სასწავლებლებს ხელმძღვანელები და მასწავლებლები არა ყავდა, საკმაო სამსახური გაუწია მათ.

ჯერ ისევ სემინარიის რიტორიკის კლასიდან, განსაკუთრებით 1819—1823-4 წლებში მასწავლებლებლად ვაგზავნეს: 1) იოსებ ბორისოვი—1821 წლიდან, 2) ზაქარია და დავით ისაკოვეტი—სიღნაღი, ტფილისი, 3) ალექსანდრე სულხანოვი—1823 წ. ტფილისში, 4) გრიგორ პაპიტოვი—1823 წ. გორში., 5) ალექსი დადიანიძე—1823 წ. გორში, 6) ნიკოლოზ კოლუბანსკი—1823 წ. სიღნაღში, 7) მიხეილ კოლუბანსკი—1819 წ. გორში., 8) ივანე მაკაროვი—1825 წ. თელავში, 9) გედეონ ბუჩქიევი—თელავში—1824 წ., 10) ვასილ მატაბელოვი თელავში—1823 წ.. 11) სოლომონ დოდაშვილი—1822 წ. სიღნაღში და სხვა. (ტფ. სემ. 1827 წ. საქმე № 16. ფ. 10—15).

სემინარიის რექტორებად 1817—1835 წლებში შემდეგი პირები იყვნენ:

- 1) ვიტალი—1817—1818 წ.
- 2) ირინეოსი—1818—1824 წ.
- 3) ევკენი—1824—1832 წ.
- 4) სერგი—1832—1837 წ.

სოქ. ძივისგარეშვილი

კერძო სასწავლებლები საქართველოში

(1830—1836 წ.)

მეცხრამეტე საუკუნის გარიჟრაჟზე საქართველოში დამყარდა რუსეთის იმპერიის მმართველობა. დაიწყო საქართველოს ცხოვრებაში ახალი ხანა. შეიქმნა ახალი და უჩვეულო მმართველობის აპარატი. გადმოყვანილ იქმნენ ჩრდილოეთიდან რუსი მოხელეები ახალი რეჟიმის დასანერგავად. მაგრამ მალე გამოიჩინა, რომ მართო რუსი ჩინოვნიკები არ იყო საკმარისი თავისებურებით მდიდარ და ძველი კულტურის მქონე დაპყრობილი ქვეყნის მართვისათვის და ამიტომაც რუსეთის მეფის მთავრობა შეუდგა მოხელეთა კადრების შექმნას ადგილობრივ მკვიდრთაგან. სწორედ ამ მიზნით გაიხსნა ტფილისის კეთილშობილთა სასწავლებელი (1803 წ.), სასულიერო სემინარია (1817 წ.), ხოლო 1828 წ. 8 დეკ. გამოცემული დებულებით სამაზრო სასწავლებლებიც თელავს, სიღნაღს, დუშეთს, გორს, ახალციხეს, ქუთაისს, ზუგდიდსა და ტფილისში. ეს იყო დაბალი ტიპის სკოლა, მეტად დატაკი პროგრამით და მშრალი, უსულგულო შინაარსით. მის უვარჯისობას დაპყრობილ ქვეყნებში ემატებოდა უცხო (რუსულ) ენაზე სწავლება.

ისედაც ვერბალური სკოლა კარარუსთათვის სრულიად გაუგებარი იყო. ამავე დროს კი სავაჭრო და სავაზრო კაპიტალი თავის გზას იკვლევდა. წირა-კითხვისა და ანგარიშის ცოდნა გასაგებ-მშობლიურ ენაზე აუცილებელი ხდებოდა. ამის შედეგად, ცხადია, ამიერ-კავკასიაში და კერძოდ საქართველოში სწავლა-განათლების საქმეში კერძო ინიციატივას ასპარეზი უნდა გახსნოდა, კერძო სწავლებლის, კერძო სასწავლებლის ქსელი ქვეყანას ფართოდ უნდა მოსდებოდა.

რუსეთის მდგომარეობა ამ დროს ამიერ-კავკასიაში არც ისე მტკიცე და სახარბილო იყო; აჯანყებათაგან დამფრთხალს, მეფის მთავრობას ყოველგან და ყოველთვის ღალატი და შფოთი ელანდებოდა. ამიტომ ადვილი გასაგებია, რომ იგი თავის უშუალო კონტროლის გარეშე არ დატოვებდა ადგილობრივ ცხოვრების არც ერთს კუნტულს, არც ერთს კერძო ორგანიზაციას, მათ შორის კულტის და განათლების სფეროსაც. ნიკოლოზ პალკინს საერთოდ საკმაოდ დახელოვნებული აგენტურა გააჩნდა. კერძოდ განათლების დარგში ასეთი აგენტურის ბუდეც წარმოადგენდა სამაზრო სასწავლებელი. ამ მხრივ პირველად ისახელეს თავი ახალციხის სამაზრო სასწავლებლის ჩინოვნიკ-მასწავლებლებმა.

1833 წ. ამ სასწავლებელმა დაზეერა თავის ირგვლივ მდგომარეობა და ადგილობრივი მმართველობის წინ წამოაყენა საკითხი კერძო სწავლების შესახებ. სომხის მღვდლებმა და დიაკვნებმა ვახსენეს კერძო სასწავლებლები, ეს კი ძირიანად ეწინააღმდეგება არსებულ კანონებს და მთავრობის მიზნებსო და საჭიროა ასეთი „დაუშვებელ“ მოვლენის აღკვეთაო. დროებითმა მმართველობამ თავის მხრივ ბრძანება გასცა პოლიციის აღმინისტრაციის მიმართ ამის შესახებ და ხელწერილით აუკრძალა კერძო პირთ არა თუ ახალი სკოლების გახსნა, არამედ არსებულნიც დაუყოვნებლივ დაახურვინა და დააუაღლებულა თავიანთ სახლებშიაც აღარ ეწარმოებინათ წერა-კითხვის სწავლება. ამის შემდეგ ამავე დროგანთმა მმართველობამ მოხსენება გაუგზავნა მთავარმართებელს ბარონ როზენ 1-ლს, სადაც ნათქვამია: „...მოვახსენებთ თქვენს მაღალაღმატებულებას, რომ აქ გადმოსახლებულთა (სომხების) შვილები სწავლობენ კერძო სასწავლებლებში. ისინი იძულებული არიან იხადონ ამისათვის განსაზღვრული ქირა მაშინ, როდესაც ადგილობრივ სამაზრო სასწავლებელში ისინი ასეთი გადასახადებისაგან თავისუფალი იქნებოდნენ და, გარდა ამისა, აქ ისინი შეისწავლიან ისეთ საგნებს, რომელნიც არც კერძო სკოლებში და არც ადგილობრივ სასულიერო სასწავლებელში არ ისწავლება (სომხებს თავიანთი ეროვნული სასულიერო სკოლა ჰქონდათ ახალციხეში, რომელსაც უშუალოდ ხელმძღვანელობდა ექშიაძინის სინოდი—ს. დ.) სახელდობრ რუსულ ენას და მმართველობა თელის რა ასეთ მოვლენას საეჭვოდ და სააუგოდ (предосудительным), კერძო სასწავლებლებში მიღებული აღზრდა და ცოდნა აუცილებლად ეწინააღმდეგება მთავრობის მიზნებს და განზრახვებს...“ და სხვ.

მთავარმმართველმა დიდი ყურადღება მიაქცია ამ მდგომარეობას და ამიერკავკასიის პროვინციების მმართველებს დაუგზავნა ბრძანება—წარედგინათ მისთვის კერძო სწავლების და კერძო სასწავლებლების შესახებ ვერცხელ მოხსენებები. პროვინციათა მმართველებისაგან მიღებული პასუხები ფრთხილ საყურადღებო მასალას შეიცავენ. ზოგი მათგანი ვამოყენებულა ამ ნარკვევის დაწერის დროს, ხოლო ზოგი საჭიროა სიტყვა-სიტყვით მოვიყვანოთ, რადგან იგი იმდროინდელი სწავლა-განათლების ნათელ სურათს გვიშლის.

მოგვყავს იმერეთის მმართველის, ნაცვლის პოლკოვნიკ ჟინარიოვის მოხსენება, შედგენილი 1834 წ. 14 კ.

„... იმერეთის მმართველისადმი თქვენი მაღალაღმატებულების ა/წლის 17 სექტემბრის თარიღით № 5277 ბრძანების შესასრულებლად შეგროვილ იქნა ცნობები იმ პირებზე, რომელნიც კერძოდ ასწავლიან ახალგაზრდობას და აღმოჩნდა შემდეგი:

1) ქუთაისში არც ერთი კერძო სასწავლებელი არ არსებობს. სარც ეკლესიებში და არც ერთად-ერთ აქ არსებულ ბერძნულ-რუსულ მონასტერში (იგულისხმება ქართული მართლმადიდებელი მონასტერი—ს. დ.) მოსამსახურე მღვდელი და მონაზონი კერძო სასწავლებლობას არ ეწყეა, გარდა დეკანოზ ვიესე (იესე) გიორგაძისა, რომელიც დროგამოშვებით ასწავლის საეკლესიო წიგნის კითხვას შვილ ყმაწვილს.

ამისათვის იგი არავითარ სასყიდელს არ ღებულობს. ქართული საერო დიალექტის მასწავლებლებიდან აზნაური ლომინაძე ტინტიკოე (ტიტიკო) ასწავლებს ორ ყმაწვილს; ახალციხის მცხოვრებნი (უნდა იყოს „ახალციხიდან გადმოსახლებულები“ — ს. ძ.) იოჯან კოჭყეი — ოთხს, ივანე მესუმოვი — ორს, გრიგოლ აკოფოვი — ერთს. არც ღუქნიბიდან, არც ბაზრიდან მათ არავითარი სასყიდელი არ მიუღლიათ ამისათვის, მხოლოდ მოწაფეთა შრომების პატივისცემისათვის ეწვევიან ამ შრომას. გარდა ამისა, ქუთაისის სამხედრო ჰოსპიტალის კანტორის მოსამსახურე აზნაური ლუარსაბ კიდიევი ასწავლის ხუთს თავის ნათესავ ყმაწვილს რუსულ და სამოქალაქო (ქართულ მხედრულ) კითხვას და წერას. ებრაულ სასულიერო წოდებიდან ახალგაზრდებს ასწავლიან ფსალმუნს და დაბადებას სამი: სიმონ ფიჩხაძე; ხახანიე (ხახანი), იოსებ ციციავილი და ნირაულ იხრაილი მოციავილი. ფსალმუნის კითხვის დასწავლებისათვის ისინი ღებულობენ თითო მოწაფისაგან წელიწადში მანეთ-მანეთგამდის ვერცხლით, დაზავდობისათვის — ორ მანეთს. მიმდინარე წლის პირველი სექტემბრისათვის მათ ჰყავდათ სულ 33 მოწაფე. ანგაროშს ისინი არავის უღგვენენ. ვასულა 1833 წლის განმავლობაში ხსენებულ მოწაფეთაგან ხუთი გადავიდა სასულიერო წოდებაში, ე. ი. მიიღეს ხაზამობა. მიმდინარე 1834 წ. 1 იანვრისათვის მათ ჰყავდათ 33 მოწაფე.

2) ოლქების მიხედვით. ქუთაისის ოლქში: არ მოაპოვებიათ ისეთი პირები, რომელნიც ასწავლიდენ ახალგაზრდობას. მონასტრებთან და ეკლესიებთან არავითარი სასწავლებელი არ არსებობს. ზოგიერთი მღვდელი, მონაზონი და მედავითნეები ასწავლიან თავიანთ ნათესავებს საეკლესიო და საერო წერა-კითხვას თავიანთ უფროსებისაგან ნებადაურთველად; ანგარიშსაც არაკის უღგვენენ.

3) ვაკის ოლქში: ზოგიერთი სოფელში ზერძნულ-იმერული საეროწმუნოების მღვდლები (греко-иммеретинские священники) ასწავლიან ახალგაზრდებს. ასეთენია თერთმეტი: სხვა არც ქართველი და სომეხი მღვდლები, არც თათრის მოღვბი კერძო სწავლებას არ აწარმოებენ. (პირველებიდან) არიან: იღუმენი ვასილი, მღვდლები მათე ბახტაძე, იესე ტყეშელაშვილი, სიმონ ნიჟარაძე, ლაზარე ნუკუბიძე, სიმონ აბრამიძე, დავით ნიკოლაძე, სიმონ და იესე კორძაიები, ივანე მამფორია და ნიკოლოზ კვახიძე. არც ერთს მათგანს არა აქვს პანსიონი, ასწავლიან საღვთო სჯულს. მონასტრებთან სასწავლებლები არ არსებობს. ზემოხსენებულ მღვდლებს ჰყავდათ ამა წლის 1 სექტემბრისათვის სულ 8 მოწაფე. ეს მასწავლებლები ღებულობენ კურსის ბოლოში მოწაფეთა შრომებისაგან ცოტაოდენ სასყიდელს — ათიდან თორმეტამდე მარჩილს თითოთაგან, რაც უდრის ახლანდელი კურსით ორ მანეთზე ოდნავ მეტს. ანგარიშს თავიანთ უფროსებს არ უღგვენენ. არც სემინარიას აწვდიან ცნობებს. გასული წლის განმავლობაში არც ერთი ამ მოწაფეთაგანი სასულიერო წოდებაში არ გადასულა. 1834 წლის 1 იანვრისათვის მათი რიცხვი უდრიდა 18.

4) შორაპნის ოლქში: ქართველი და სომეხი მღვდლები არც თათრის მოღვბი კერძო მასწავლებლად არ არიან. მხოლოდ ს. ჰალაში საჩხერაში ასწავლიან ადგილობრივი აზნაურების შვილებს ქართულ და სომხურ ენების პირველადწეებითი წესებს და აგრეთვე არითმეტიკის პირველ ნაწილს. ჰალაში ასეთი მას ავლებელია აზნაური ელისე ჭიჭინაძე, საჩხერაში იქაური მცხოვრები სომეხი ხო-

ჯა ეოვაშვილი (შეიძლება იოზაშვილი—ს. ძ.) პირველთან ამაწლის პირველ სექტემბრისათვის სწავლობდა 8 კაცი, მეორესთან—12 კაცი, მოწაფეები იმყოფებიან მშობლებთა ხარჯზე და იხდიან წელიწადში ხუთიდან ათ მანეთამდე.

5) რაქის ოლქში: ქართველი და სომეხი მღვდლები და თათრის მოლები მასწავლებლად არ არიან.

6) გურიაში: ქართველი და სომეხი მღვდლები და თათრის მოლები ახალგაზრდებს არ ასწავლიან, გარდა ისეთი მღვდლებისა, რომელნიც ასწავლიან თავიანთ შვილებს ქართულ დიალექტზე წერაკითხვას. ამ მღვდლების წოდების და სახელის აღმოჩენა შეუძლებელი შეიქმნა, აქ ზოგი ქართველი მღვდელი ასწავლის თავის შვილებს ქართულ წერა-კითხვას, მეტს არაფერს. გურიაში არავითარი სასწავლებელი არ არსებობს, რის გამო მიმდინარე წლის პირველი სექტემბრისათვის იქ არც ერთი მოწაფე არ იყო. მღვდლად გასულ წელს გურულ მოწაფეთაგან არავინ კურთხეულა. იმის გამოანგარიშება, თუ რამდენი მოწაფე იყო გურიაში ამა წლის 1 იანვრისათვის შეუძლებელი ვახდა, ვინაიდან თუმცა ზოგიერთი მშობლები თავიანთ შვილებს ასწავლიან წერაკითხვას, მაგრამ არა სისტემატიურად და მაშინ, როდესაც ამას მოსწავლენი მოისურვებენ და მანამდის, სანამ ამაზე მოწადის თანხმობა იქნება. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს საქმე ეძლევა სამუდამო დაეწეებას... ბრძანების დროზე შეუსრულებლობის მიზეზი არის ვაკის ოლქის უფროსი მოკრიცი, რომელმაც ცნობები ამ საგანზე წარმოადგინა ამ თვის მხოლოდ ათს და ისიც წინადადების რამოდენიმეჯერ სასტიკი განმეორების შემდეგ.

პოლკოვნიკი უიხარიოვი.

1834 წ. 14 დეკ. ქ. ქუთაისი.

(იხ. ც. არხ. საქ. № 4, სერია Б. О частных учебных заведениях).

როგორც ამ მიმოწერიდან ჩანს, რუსის მთავრობას იმერეთში დღიდან მისი იქ დამკვიდრებისა 1834 წლამდე არაფერი გაუყეტებია. არა ჩანს არც ოდნავად მოწყობილი ტრანსპორტი, სააღმშენებლო საშუალებანი, მმართველობის აპარატში ანარქია გააფეხვებული (ვაკის მარაველი მოკრიცი აინუნშიაც არ იღლებს ზემდგომ ორგანოების ბრძანებას), სწავლა-განათლების საქმე სრულიად მივიწყებულია. ამ მხრივ იმერეთი დღიდან ჩამორჩენილია შედარებით აღმ. საქართველოსთან. აღმოსავლეთ საქართველოში (ტფილისში) ორი საშუალო სკოლა მიიწეოდა. პროვინციებში ხუთი სამაზრო სკოლა. იმერეთში კი—მხოლოდ ერთი—ქუთაისის სამაზრო სკოლა¹ (ზუგდიდის სამაზრო სკოლას არ ვიხსენებთ რამდენადაც სამეგრელო იმ დროს წარმოადგენდა ავტონომიურ სამთავროს)—მთავრობას სულ უბრალო ცნობებიც ვერ შეუკრებია ოთხი თვის განმავლობაში. რაც მოუჭროვებია, ისიც უსწორო და დამახინჯებულია (მაგ. ცნობები გურიის შესახებ). არ არის ცნობაში მოხსენებული ისეთი დიდი სამწიგნობრო ცენტრი, როგორიც იყო გელათის მონასტერი, ან ხონის ეკლესია,² ნიკორწმინდა და

¹ იყო სასულიერო სასწავლებელიც გახსნილი 1821 წელს—ს. ძ.

² უიხარიოვის ცნობაში არ არის მოხსენებული ხონის წმ. გიორგის ეკლესიასთან ამ ხანებში არსებული სკოლა, რომელსაც გასული საუკუნის 20-იან წლებიდან ხელმძღვანელობდა მთელ-ვაკე იმერეთში პოპულიარული მწიგნობარ-მასწავლებელი სვიმონ კუტი (ფირცხალავა). სვიმონ კუტის სკოლის შესახებ ამავე კრებულში ვათავსებთ პროფ. ვუკ. ბერძინის მიკვლე ცნობა-ნარკვევს—რ ე დ.

სხვა. ზოგიერთ ოჯახებში იმ დროს, ოჯახის დედებს საპატრიო სასოგადოებრივ ღვაწლად მიაჩნდათ თავიანთ სახლებში ნათესავ-მოყვების შევლებისათვის ესწავლენათ საღვთო რჯული და წერაკითხვა. ამაზე ცნობაში არაფერია ნათქვამი.

გადავხედოთ ახლა აღმოსავლეთ საქართველოში კერძო სწავლების საქმეს. როგორც ვიცით, 1836 წლამდის სწავლა-განათლების საქმე ადგილებზე გიმნაზიის დირექტორები და სამაზრო სასწავლებლები განაგებდნენ. ამიერ-კავკასია ამ მხრივ ექვემდებარებოდა ხარკოვის უნივერსიტეტს, რაც უფრო ფოქცია იყო მეტი სიშორის გამო.

1834 წელს დაარსდა ამიერ-კავკასიის სახალხო სასწავლებელთა დირექცია. მანაც მიიღო ბარონ როზენის ბრძანება კერძო სკოლების შეესახებ ორნავე დავიანებით. მასაც უწარმოებია კვლევა-ძიება ამ საკითხის ირგვლივ და შეუკრებია ცნობები. ამ ცნობით ტფილისში (ავლაბრით) ყოფილა 18 კერძო სასწავლებელი, თელავსა და გორში — 7; ეს ცნობა სრული არ უნდა იყოს. საგულეებელია, რომ სინამდვილეში მათი რიცხვი რამოდენიმეჯერ მეტი უნდა ყოფილიყო. ცნობა სრულად მ-გვეყავს (იხ. 132 და 133 გვ.).

ამას გარდა ხელთა გვაქვს საქართველოს მაშინდელი სამოქალაქო გუბერნატორის თავ. ფალავანდიშვილის ანგარიში ამავე საგანზე. ამ ანგარიშით იმავე ობიექტებში (ტფილისი, გორი, თელავი) გუბერნატორის აღმოუჩენია სულ ხუთი კერძო სასწავლებელი: ტფილისში 2, გორში—ორი და თელავში—ერთი. ამიერ-კავკასიის სკოლების დირექციის ანგარიშით კი დასახელებულ პუნქტებში 25 კერძო სკოლაა. გუბერნატორის ცნობით ტფილისში იყო ორი კერძო სასწავლებელი: იაკობ მამულაოვი და ტერ-დანიელ ივანოვი (იხ. აქვე § 2 და 8), რომელნიც ასწავლიდნენ ქართულ და სომხურ ენებზე. დირექციის ცნობით კი იგივე ივანოვი ასწავლიდა მხოლოდ სომხურ ენაზე დირექციის კვლევით მამულაოვს ჰყოლია 11 სომეხი მოწაფე, ივანოვს—20. გუბერნატორის ცნობით კი „მოწაფეთა რიცხვი ჯერჯერობით არაა გამოკვლეული და ებრძანა პოლიცემისტერს მომავალში გამოარკვიოს მათი რიცხვი“-ო. ამას გარდა, დირექტორს არა აქვს ცნობა, ლებულოდენ აუ არა ხელფასს მამულაოვი და ივანოვი; ფალავანდიშვილი კი მოახსენებს, რომ მდებარე იაკობ მამულაოვი ლებულოდენ კათოლიკეთა სასულიერო უწყებიდან 15დ მან. ვერცხლით წლიურად, ხოლო მღვდელი დანიელ ივანოვი—120 მან. ვერცხლის ფულით¹ სომხურ საეკლესიო სამმართველოდან. გუბერნატორის მოხსენებით გორში ყოფილა კერძო სასწავლებლები: მღვდელი იოსები და კათოლიკე მოქ. ანდრია შიხინოვი. ჰყავდათ მათ თიქოს სულ 12 მოწ. პატრი იოსები ასწავლიდა სამღვთო სჯულს ლათინურ ენაზე, ხოლო შიხინოვი ქართულზე; გასამრჯელოა ლებულოდენ მოწაფეთა მშობლებსაგან „მათ შეძლების და მდგომარეობის მიხედვით“. დირექციის ცნობით იმავე დროს (იხ. იქვე § 22, 23, 24 და 25) გორში ყოფილა არა ორი, არამედ ოთხი სასწავლებელი, რომელნიც ასწავლიდნენ მხოლოდ სომხურ ენაზე. მოწაფეთა რიცხვი უდრის 205-ს (ფალავანდიშვილს მხოლოდ 12 აღმოუჩენია). მათ ხელფასზე დირექციამ არაფერი იცის. თელავში გუბერნატორის ანგარიშით მხოლოდ

¹ ერთი მანეთი ვერცხლით იმ დროს უდრიდა 360 კაპ. ასიგნაციით—ს. ძ.

ქერქო სანსაქლეზლახი ზუილისში

ამიერ-კავკასიის სახალხო სკოლების დირექტორის ცნობა, დართული პატაკზე
1834 წ. 31 მაისის თარიღით № 525.

№ №	ვის მიერ, როდის და რა სახის სასწავლებელია გახსნილი.	დაწესებული რა რიცხვით	რას ასწავ. რომელ ენაზე.	მოწაფ. რიცხვი		
				ქართ.	სომხ.	მუს.
1	კალოუზნის კერძო სასწავლებელი, გახსნილია ამავე ეკლესიის მღვდლის და ვით კალუბანსკის მიერ 1830 წ.	1	ასწავლიან ქართულ და სომხურ ენებს.	4	3	
2	კათოლიკური ეკლესიის მედავითნე იაკობ მამაცოვის მიერ გახსნილი სკოლა 1815 წ.	1	რუს, ქართ, ლათ. და სომხურს.	5	39	
3	მოღნისის ეკლესიის მღვდ. ტერგაზარ დავიდოვის მიერ 1833 წ.	1	წერა-კითხ. სომხ. ენაზე.	—	11	
4	იმავე ეკ. მღვდ. ტერ-სტეფანე ოვანესოვის მიერ 1833 წ.	1	იგივე	—	7	
5	დიაკონ მოსე მანდენოვის მიერ 1833 წ.	1	წერა-კითხ. რუს, ქართ. და სომხურ ენებზე.	—	19	
6	ნორაშენის ეკლ. დარაჯ ელიაზარ გალუსტოვის 1795 წ.	1	წერა-კითხ. სომხ. ენაზე.	—	13	
7	ჯიგრაშნის ეკლ დეკანოზ ტერ-ისაია ტაშდუროვის მიერ 1825 წ.	1	წერა-კითხ. ქართულ ენაზე.	13	—	
8	სომხის ეკლ. მღვდ. დანიელ ივანოვის მიერ 1831 წ.	1	წერა-კითხ. სომხურ ენაზე.	—	20	
9	დიაკონ არუთინ ოვანესოვის მიერ 1833 წ.	1	სომხ. ენაზე	—	4	
10	სახაზინო გლეხის დავით კქედელიოვის მიერ 1833 წ.	1	წერა-კითხ. ქართულ ენაზე.	7	—	
თბილისის გარეუბანი ავლაბარში						
11	დიაკონ ვართან არუთინოვის მიერ 1830 წ.	1	წ. კ. სომხ. ენ.	—	40	145
12	მედავიფნე პეტრე ტაბლიოვის მიერ 1832 წ.	1	წ. კ. ქართ. ენაზე.	2	—	
13	სახაზ. გლეხის / გიორგი რეტანოვის მიერ 1833 წ.	1	ქართ. ენაზე.	6	—	
14	მედავითნე სილომონ სულხანოვის მიერ 1833 წ.	1	წ. კ. სომხ. ენაზე.	—	40	
15	დიაკონ ვარლამ პეტროვის მიერ	1	იგივე	—	40	
16	მღვდ. ტერ-ნიკოლოსოვის მიერ 1832 წ.	1	იგივე	—	13	
17	მღვდ. ტერ-ნერსეს არაქელიოვის მიერ 1833 წ.	1	იგივე	—	6	
18	სახაზ. გლეხ. ნიკოლოზ გორგეჯანოვის მიერ 1832 წ.	1	წ. კ. სომხ. და ქართ.	6	7	
				14	146	160

№ №	ვის მიერ, როდის და რა სახის სასწავ- ლებელია გახსნილი.	დაწესე- ბულემა- თა რიცხ- ვი	რა სასწავ. რო- მელ ენაზე.	შოწაფ. რიცხვი		
				ქარ.	სომხ.	მუს.
19	<p style="text-align: center;">თ ე ლ ა ე შ ი</p> <p>სასწავლებელი გაიხსნა სომხის პატ- რიარქის ბრძანებით 1831 წ. განაგებს მას სომხის ბლადონინი ტერ-ბაღდასარ ტერ-სარქისოვი. მასწავლებლებად არი- ან: სომხის მთავარ დიაკვანი არუთინ ტერ-მარტიროსოვი, მღვდლის შვილი აბელ ტერ-ზაჩატუროვი და მოქალაქე გლანა აკოფოვი</p>	3	<p>ასწავლიან წერა-კითხვას და ანგარიშს ქართულ და სომხურ ენებზე.</p>	20	40	60
20	<p style="text-align: center;">გ ო რ შ ი</p> <p>კათოლიკური სკოლა გაიხსნა კათო- ლიკური ეკლესიის უმაღლეს მთავრო- ბის მიერ, ასწავლის და განაგებს კიდევ ამ სკოლას მღვდელი ტერ-სტეფანე ტერ-მინასოვი</p>	1	<p>ასწავლიან წერა-კითხვას სომხურ ენაზე</p>	<p>205 აშ რიცხვიდან 10 კათოლიკეა.</p>		
21	<p>სომხური სკოლა გახსნილია სომხ. მღვდ. ტერ-გაზარ ტერ-გაზაროვის მიერ</p>	1				
22	<p>სომხური სკოლა გახსნილია მღვდ. ტერ-საჯ ტერ-ისაკოვის მიერ.</p>	1				
23	<p>სომხური სკოლა გახსნილია მოქალაქე ანდრია შიზინის მიერ.</p>	1				

ერთი მასწავლებელია (სამაზრო სასწავლებელი აქ სათაღავეში არაა მისაღები) — ტერ-მარტიროსოვი, რომელიც ასწავლის სომხურ ენაზე. დირექციას აქ ევლუება სამი მასწავლებელი: ტერ-სარქისოვი, აბელ ხანატუროვი და გლაზა აკოფოვი. თელავის სკოლაში ასწავლიან წერა-კითხვას და ანგარიშს ქართულ და სომხურ ენებზე.

ამ შედარებით პატარა სავანე ერთსა და იმავე დროს და ერთ ქალაქში ორი სხვადასხვა პასუხისმგებელი დაწესებულება (სკოლების დირექცია და გუბერნატორის სამმართველო) ამდენად განსხვავებულ ცნობებს იძლევიან. აქედან დასკვნა: ჩინოვნიკების „კაზიონურ“ და უგულვებელ საბოთებზე დამყარება მხოლოდ მათი ზედმიწევნითი შესწავლის, შედარების და დინჯი ახალიზის შემდეგ არის შესაძლებელი და მაშინაც კი მკაცრი სიფრთხილეა საჭირო, რომ მკვლევარი ფმართებულ და უხეშ შეცდომაზე არ მივიდეს.

ახლა ახალციხის ოლქის შესახებ: (იხ. ცხრ. გვ. 36, 37 38, 39, 40 და 41).

ამრიგად მოყვანილი ცნობის მიხედვით 1833—34 წლებში აღმოსავლეთ საქართველოში კერძო სკოლების ქსელი ასე წარმოგვიდგება:

მასწავლ. რიცხვი	მოწაფეთა რიცხვი				
	ქართ.	სომეხ.	რუს.	ებრ.	სულ
ტფილისში 16	43	262	—	—	305
თელავში 3	20	40	—	—	60
გორში 4	—	205	—	—	205
ქ. ახალციხეში და მის ოლქებში 31	218	175	51	6	453
სულ 54	281	682	54	6	1023

ეს ცნობებიც, როგორც აღნიშნული გვაქვს, ნაწილობრივი და დამახინჯებულია. ექვს გარეშეა, რომ კერძო მასწავლებლები და კერძო სკოლების წერტები აღნიშნულ ადგილებზე მეტი უნდა ყოფილიყო. ანგარიში უნდა გაეწიოს იმ გარემოებას, რომ კერძო სკოლების არსებობას ყოველმხრივ ფარავდენ სკოლების ხელმძღვანელი-მასწავლებლები, რომელთაც ემინოლათ მთავრობის აგენტების მხრივ დაჯარიმების, მათ საქმიანობაზე გადასახადების დაწესების და პასუხისმგებაში მიციმისა. საგულეებელია, რომ მთავრობის ცნობებზე მოჰყვებოდენ მხოლოდ ზოგიერთი „დაუღვეარნი“. უფრო მოზერსებულნი კი. ალბად თავს დაიძვრენდენ. ყოველ შემთხვევაში დაახლოებითი სურათის წარმოდგენა ამ ცნობებითაც შეიძლება.

თუ როგორ „ზრუნავდა“ მეფის მთავრობა განათლებისათვის, ამას სხვათაშორის გვიჩვენებს: ქარ-ბელაქნის მმართველის გენ. ანტროპოვის მოხსენება¹ მთავარმმართველისადმი:

¹ იხ. ცენტრ. არქივის მასალები № 4 „О частных учебных заведениях“.

... „Имею честь донести, что в Джаро-Белоканской области никаких учебных заведений не имеется, почтеннейше присовокупляя, что сделал распоряжение к опубликованию для всеобщего здесь известия о высочайших повелениях... коими воспрещается открывать учебные заведения без дозволения на то... и заниматься кому-либо обучением и образованием юношества...“ „ჩემს საბრძანებელში არც ერთი სკოლა არ არსებობს და არც არავინ უნდა გააღოს ასეთი გახსნა“. კომენტარიები ზედმეტია. ხოლო ეს „დოზოლონიის“ პროცედურა ადგილობრივ მკვიდრთ სრულიად უსშავდა გზას განათლებისაკენ. აი ამ ნებართვის დებულების ნაწილიც:

1) თითოეული სასწავლებლის გახსნისათვის უნდა იქნას მიღებული ნებართვა სასწავლო უწყებისაგან; ამასთანავე სასწავლებლის დამფუძნებელი ვალდებულია წარუდგინოს მთავრობას განსაზღვრულად გეგმა და პროგრამები.

2) მასწავლებლად კერძო სასწავლებელში შეუძლიან იყონ მხოლოდ ისეთი პირნი, რომელთაც ექნებათ სათანადო უფლება, ე. ი. ისეთი პირნი, რომელთაც ექნებათ უნივერსიტეტის, ანუ უკიდურეს შემთხვევაში გიმნაზიის დირექტორის და უფროსი მასწავლებლისაგან მოწმობა იმის შესახებ რომ მათ აქვთ უნარი და უოდნა იმ დისციპლინის სწავლებისათვის, რომლის გადაცემასაც ისინი აპირებენ კერძო სასწავლებელში (იგულისხმება რუსულ ენაზე).

3) კერძო სასწავლებელი, რომლის შენახვასაც აპირებს კერძო პირი ანუ და რომელიმე საზოგადოება, რა სახელწოდებასაც არ უნდა ატარებდენ ისინი, სასულიერო და სხვა ისეთი სასწავლებლების გამოკლებით, რომელნიც უმაღლესი ბრძანების თანახმად რწმუნებული და მიკუთვნილი აქვთ სხვადასხვა უწყებებს, უნდა ექვემდებარებოდენ: საკუბერნიო და სატახტო ქალაქებში უშუალოდ გიმნაზიის დირექტორებს, სამაზრო ქალაქებში—სამაზრო სასწავლებლის ზედამხედველებს.

4) თითოეულ კერძო სასწავლებლის დამაარსებელმა და შემნახველმა უნდა წარუდგინოს სასწავლო მთავრობას (დართული ფორმის მიხედვით) წლიური და ნახევარწლიური უწყისები.

5) სამაზრო სასწავლებლის თანატოლი კერძო სკოლის გახსნის ნებართვას იძლევა გიმნაზიის დირექტორი, ხოლო ამაზე უმაღლესის—უნივერსიტეტი“.

მეთვალყურეობა კერძო პანსიონებზე და სკოლებზე უმაღლესი ბრძანებით ეკისრებათ: სატახტო ქალაქებში განსაკუთრებულ ინსპექტორებს (აკადემიკოსებს, პროფესორებს, ადოქტორებს და ჩინოვნიკებს), ხოლო სხვა ადგილებზე—გიმნაზიების დირექტორებს და სამაზრო სკოლების ზედამხედველებს (1828 წ. 8 დეკ. ნიკოლოზ I. მიერ დამტკიცებული დებულების ნაწილი).

* * *

მთავრობის სკოლებს—რუსულ სკოლებს მოსახლეობა ვაუზროდა. მასში იგი მხოლოდ გარუსების იარაღს ხედავდა. დავიმოწმეთ თვით უმაღლესი მთავრობის მიმართ: როცა 1836 წელს პეტერბურგში გადაუწყვეტიათ ყველა გიმნაზიაში სწავლის ქირის შემოღება და მისი რაოდენობითი გათანასწორება, განათლების მინისტრი ს. უვაროვი შეკითხვითა ამის შესახებ კერძოდ კავკასიის უმაღლეს მმართველობასაც.

ახალციხის საზაფხულიან უფროსი ზენ, მანო
 ეკრძო სკოლების შესახებ (დართულია მის პატაჟ

ქალაქებისა და ს.წ.აკე-ბის დასახე-ლება.	რამდენია თითოეულ ქა-ლაქში ან სოფელში ქა-თეელი და სოფელი სდღე-ლი ან თათრის ძოლა, რა-მდენიც აქრძოდ აკე-ბიან ახალციხის რაიონში.	მათი წოდება და სახელი.	შეიძლება თუ არა პა-ტიონი	რა საგანს ასწავლიან და რომელ ენაზე.
ქ. ახალციხე-ში სომეხ-კათოლიკე მღვდლები	7	არქიმანდრიტი სეტი, ბერ-მონაზონები: ესვია მე-სრაკოვი, ტერ-თავაძე ლა-ზარევი, ტერ-ანტონ ოგა-ნოვი, ტერ-სტეფანე აბი-ნოვი, ტერ-სტეფანე ნაე-როზოვი, ტერ - გრიგოლ მფეისოვი.	არა.	არქიმანდრიტი ეფრემ სეტი და მონაზონი ესვია მესრობოვი ასწავლიან სომეხურ ენაზე, დანარჩენნი ქართულ ენაზე.
სომხის დიაკვნები	2	დიაკვნები: მიკირტინ ლაზარევი, სტეფანე მარკა-როვი.		

რის ორანსკის ცნობები საუბრალობოში

ზე 31 ოქტ. 1834 წ. თარიღით № 8242/3841

<p>რამდენი მოწაფე ითვლებოდა ამა წლის 1 სექტემბრისათვის.</p>	<p>რამდენი მოწაფე გადაეცა სასულიერო უწყებაში 1833 წლის განმავლობაში და რამდენი დარჩა 1834 წ. 1/1-თვის.</p>
<p>1833 წ¹ 1 სექტემბრამდე არქიმანდრიტ ეფრემ სეტს და მონაზონ მესრაჯოვს ჰყავდათ — 36 ძაწ. ტერ-ოგანებ ლაზარევეს 8, ტერ-ანტონ ოგასოვს — 4, ტერ-აბინოვს — 13, ტერ-სტეფან ნაგროზოვს — 6, ტერ-გრიგოლ მეფისოვს — 28, მიკიტჩი ლაზარევეს და სტეფანე მარკაროვს — 89. ლაზარევი და მარკაროვი ღებულაბენ სლონის არქიეპისკოპოს კარაპეტისაგან პირველი 63 მან., მეორე — 32 მან. ვერცხლის ფულით წლიურად. გარდა ამისა ყველაფერი, რაც აუცილებელია ცხოვრებისათვის, ეძლევათ მუჭთად.</p> <p>დანარჩენი არაფერს არავისაგან არ ღებულობენ.</p>	<p>არც ერთი.</p> <p>1834 წლის 1 იანვრისათვის მოწაფეთა რიცხვი იყო იგივე.</p>

¹ ამ მოხსენებაში ამ ალაგას ყველგან წერია: „1834 წლის 1 სექტემბრამდე“. ჩვენ გვევლინა ეს შეცდომა და აი რატომ: მთავარმმართველის ბრძანება დაგზავნილია 1833 წ. მას თან ახლავს ფორმა, რომელშიც წერია: „ამა წლის 1 სექტემბრამდე“, მაშ გამოდის: 1833 წ. 1 სექტემბრამდე. კანცელარიის უგიცი მოხელე ფორმის სიტყვას „ამა წლის“ იმეორებს და რადგან თვითონ იგი წერს 1834 წ. ამ რიცხვსაც ხმარობს და გამოუდის ნაცვლად „ამა 1833 წლის 1 სექტემბრისა“ „ამა 1834 წლ. 1 სექტემბრამდე“ — ს. ძ

ქალაქებისა და სანჯაყების დასახელება	რამდენა თითოეულ ქალაქში ან სოფელში ერთეული და სომხები მსუდღე ლი ან თათრის მოლა, რომელიც ეყოფოდ ასწავლიან ახალგაზრდობას	მათი წოდება და სახელი.	შეიქმნა თუ არა კანსონი	რა საგანს ასწავლიან და რომელ ენაზე.
ახალციხის სანჯაყ. ქვეში, სოფ. კათ. მღვდელი	1	ტერ-სტეფანე ავეშიანი.	კანსონი არ აქვს.	ასწავლის წერა-კითხვას სომხურ და ქართულ ენებზე.
თათრის მოლა	1	ალტუნ-ეფენდი.	—	ასწავლის წერა-კითხვას თურქულად.
ს. ვალეში, სოფ. კათ. მღვდელი	1	ტერ-პოლუს ხარისჩარფ.	—	ასწავლის წერა-კითხვას ქართულ ენაზე.
ს. ვალეში, თათრის მოლა	1	ალი ხაჯი.	არა	ასწავლის წერა-კითხვას თურქულად.
ს. ორალში, სოფ. კათ. მღვდელი	1	ტერ-ივანე მურადიანი.	—	ასწავლის ქართულად.
ს. წყაოტბაში, სოფ. კათ. მღვდელი	3	ტერ სიმონ ; ვან ტერგეტირ-ოჰანეს პარაშენცი. ტერ-აკიმ პარაშენცი.	—	ასწავლიან წერა-კითხვას სომხურ ენაზე.
ს. სუხლისში, სოფ. კათ. მღვდელი	1	ტერ-ოჰანეს ინსაცი.	—	ასწ. სომხურ ენაზე.
ს. ხერთვისი, სოფ. კათ. მღვდელი	1	ტერ-გეორგ მანუკოვი.	—	ასწ. სომხ. ენაზე.
ხერთვისის სანჯაყში (მაზრაში) ს. ხიზაბავრაში სოფ. კათ. მღვდელი	2	ტერ-ანტონ და ტერ-იოსები ზოდებეძე (ხუციანოვები).	—	ასწ. წერა-კითხვ. ქართულ და სომხურ ენებზე.

<p>რამდენი მოწაფე ითვლებოდა ამა წლის 1 სექტემბრისა- თვის.</p>	<p>რამდენჯ მოწაფე გადაეიდა სა- სულიერო უ ყებაში 1833 წლის განმავლობაში და რამდენი დარ- ჩა 1834 წ. 1 I-თვის.</p>
<p>1833 წლის 1 სექტემბრისათვის ჰყავდა ხუთი მოწაფე, სასყიდელს არ ღებულობს.</p>	<p>1833 წლის განმავლობაში მისი მოწა- ფეთაგან სასულიერო ხარისხსი არავის მიუღია.</p>
<p>1833 წ. 1 სექტ. ჰყავდა 3 მოწაფე, ხელ- ფას ღებულობს მოწაფეთა მშობლებისა- გან იეთანხმებით.</p>	<p>სას. უწყებაში არავინ გადასულა. 1834 წ. 1 იანვრისათვის ჰყავდა 12 მოწაფე.</p>
<p>1833 წ. 1 სექტ. ჰყავდა 5 მოწაფე. ხელფასს ღებულობს შეთანხმებით.</p>	<p>1833 წ. განმავლობაში მღვდლად მისი მოწაფეთაგან არავინ ყრთხიულა. 1834 წ. 1 იანვ. ჰყავდა 5 მოწაფე.</p>
<p>1833 წ. 1 სექტ. ჰყავდა 1 მოწ. ხელ- ფასს ღებულობს შეთანხმებით.</p>	<p>1833 წ. განმ. მისი მოწაფეებისაგან სას. უწ. არავინ გადასულა. 1834 წ. 1 იან. ჰყავდა 2 მოწაფე.</p>
<p>1833 წ. 1 სექტ. ჰყავდა 15 მოწაფე. ხელფასს ღებულობს შეთანხმებით.</p>	<p>ა რ ა ვ ი ნ. 1834 წ. 1 იან. ჰყავდა 15 მოწ.</p>
<p>1833 წ. 1 სექტ. ჰყავდათ 23 მოწაფე. ღებულობენ ხელფასს მოწაფეთა მშობ- ლებისაგან შეთანხმებით.</p>	<p>ა რ ა. 1834 წ. 1 იან. ჰყავდა 23 მოწ.</p>
<p>1833 წ. 1 სექტ. ჰყავდა 9 მოწ. ხელ- ფასს ღებულობს შეთანხმებით.</p>	<p>ა რ ა. 1834 წ. 1 იან. ჰყავდა 9 მოწაფე.</p>
<p>1833 წ. 1 სექტ. ჰყავდა 5 მოწაფე ხელ- ფასს არ ღებულობს.</p>	<p>ა რ ა. 1834 1 იან. ჰყავდა 4 მოწაფე.</p>
<p>1833 წ. 1 სექტ. ჰყავდათ 25 მოწაფე ხელფასს არ ღებულობენ.</p>	<p>ა რ ა. 1834 წ. 1 იან. ჰყავდათ 22 მოწაფე.</p>

ქალაქებისა და სახელმწიფოს დასახელება.	რამდენია თითოეულ ქალაქში ან სოფელში ქართველი და ოსები მღვდელი ან თათრის მღვდელი და რამდენი აწყვადილი ან ახალგაზრდობის.	მათი წოდება და სახელი.	შეირაფთ თუ არა პანსიონი	რა საგანს ასწავლიან და რომელ ენაზე.
ს. ბურნაშეთში, სომხ. მღვდელი.	1	ტერ-გეორგ გასაროვი.	პანსიონი არ აქვს.	აქ წავლის წერა-კითხვას სომხურ ენაზე.
ს. ხანდოში, სომხ. მღვდელი.	1	ტერ-ვართან სტეფანოვი.	არა	ასწავლის სომხურ ენაზე.
ს. ორბნუაში, სომხ. მღვდელი.	1	ტერ-ვართან მანასევი	არა	ასწ. სომხურ ენაზე.
ქ. აწყურში. სომეხი დიაკონი თათრის მღვდელი.	1 2	პეტრუს კარაპეტოვი აბდულ რაზამ ეფენდი და სულეიმან ქაჯენდი.	— —	ასწ. წერა - კითხვას და სამღვდლო რჯულს სომხურ ენაზე. ასწ. წ.-კით. არაბულ და თურქულ ენებზე.
ს. აწყურში ებრაელი რაბინი	1	მერაბ აბრამაშვილი.	—	ასწ. წ.-კ. ებრაულ ენაზე.
აწყურის სანჯაქ სოფლებში კვლდუში (კვლდუ)	1	ადონი ეფენდი.	—	არაბულ და თურქულ ენ.
თათრის მღვდელი აშორაში თათრ.	1	ხუსეინ.	—	არაბ. და თურქულ ენ.
რავუნეთში თათრის მღვდელი.	1	მაჰომედი.	—	არაბ. და თურქ.

<p>რამდენი მოწაფე ითვლებოდა ამა წლის 1 სექტემბრისათვის.</p>	<p>რამდენი მოწაფე გადავიდა სასულიერო უწყებაში 1833 წლის განმავლობაში და რამდენი დარჩა 1834 წ. 1/1-თვის.</p>
<p>1833 წ. 1 სექტ. ჰყავდა 20 მოწ. ხელფასს არ ღებულობს.</p>	<p>სასულიერო უწყებაში 1833 წ. არავინ გადასულა. 1834 წ. 1 იან. ჰყავდა 16 მოწ.</p>
<p>1833 წ. სექ. იყო 15 მოწაფე. ხელფასს არ ღებულობს.</p>	<p>არა. 1834 წ. 1 იან. ჰყავდა 12 მოწ.</p>
<p>1833 წ. 1 სექ. მანასვეს ჰყავდა 12 მოწ., ხელფასს არ ღებულობს.</p>	<p>არა. 1834 წ. 1 იან. იყო 12 მოწ.</p>
<p>1833 წ. 1 სექტ. ყივლას ქ. აწყურში და მის მახრამში ჰყავდათ 81 მოწ. ხელფასს ღებულობენ მოწაფეთა შრომლები-საგან შეთანხმებით.</p>	<p>1833 წ. განმავლობაში არც ერთ სარწმუნოების უწყებაში მოწაფეთაგან არავინ გადასულა. 1834 წ. 1 იანვრისათვის დარჩა: მუსულმანებიდან 40 სომხები საა 25 ებრაელებიდან 8</p>

- შენიშვნა 1. ამ ანგარიშში აღნიშნული პირები არ უღებენ ანგარიშს თავიანთ საქმიანობის შესახებ არავის, გარდა სომხის დიაკვების ლახარევის და მარკარევისა, რომელიც სომხის მთავარ ეპისკოპოსს კარაბტეს უღებენ ანგარიშს, მაგრამ არა წერილობით, არამედ სიტყვიერად. აგრეთვე სომხური კათოლიკური პრეფექტი ფილიპეც არავისგან არ ღებულობს ცნობებს.
- შენიშვნა 2. ახალციხის საღაშალიკოში მონასტრებთან სასწავლებლები, არ არსებობენ.
- შენიშვნა 3. ამ ცნობაში ხსენებულთა გარდა საღაშალიკოში არ არიან ისეთი პირები, რომელნიც ასწავლიდნენ ახალგაზრდობას. ზოლო ზოგი ამბობდა იცოდა მათხულობით ტოვებენ მოწაფეებს და ეწეიან ფიზიკურ შრომას თავიანთ სახლებში.

გენ. მაიორ ორანსკი, 1834 წ. 31 თქტომ. № 8242
3841

მთავარმმართველს ბარონ როზენს ასეთი პასუხი გაუგზავნია:

... „თქვენი მომართვის პასუხად ბატონი მაქვს მოგასენოთ, რომ რა რაოდენობისაც არ უნდა იყოს, სწავლის ქირის შემოღება ტფილისის გიმნაზიაში სრულიად შეუძლებელია, ... სწავლის ქირის შემოღებას ტფილისის გიმნაზიაში შესაძლოა სრულიად არასასურველი შედეგები მოჰყვეს, ეს მით უმეტეს, რომ არც ისე დიდი ხანია მას აქეთ, რაც მთავრობა იძულებული იყო ტფილისის კეთილშობილთა სასწავლებელში (აწ გიმნაზიად გადაკეთებულში) ყველა შემსველელთათვის ეძლია თვითურად ხუთი მანეთი ვერცხლით და ხშირად მეტიც“... და ამის შემდეგ ვასაგებიაო, სწერს მთავარმმართველი, რომ სწავლის ქირის შემოღება ტფილისის გიმნაზიაში დააფრთხობს, „ტუზემცეპს“ და შეიძლება გიმნაზია სრულიად დაცარიელდესო. (ც. არქ. Дело попеч. кавк. учени. округа № 55 — 1836 г. 10)

ამრიგად, სწავლა-განათლების საქმე ამიერ-კავკასიაში და კერძოდ საქართველოში მე-19 ს. ოცდაათიან წლებში ჩიხში მოემწყვდა. ამიერ-კავკასიის სკოლების დირექტორს არ შეეძლო ყურადღება არ მიექცია ასეთი მდგომარეობისათვის და ნაწილობრივ მაინც არ შეზრდილობდა ვანკარგულებებს კერძო სკოლების აღკვეთის შესახებ. ამითი შეიძლება აიხსნას მთავარმმართველისადმი წარდგენილი მისი განსაკუთრებული აზრი. იგი სწერს, რომ კერძო სასწავლებლის არსებობა და მომავალშიც მათი გახსნა ნაწილობრივ საჭიროა. მათი მთლიანად და ერთბაშად აკრძალვა სავნაო, რადგან სამთავარმმართველოში სახაზინო სკოლების რაოდენობა ძალზე მცირეა, ამასთან ერთად ისინი მოუწყობელია, სკოლები არაა უზრუნველყოფილი შესაფერი შენობებით, ისე რომ მათ არ შეუძლიათ დაიტონ ნავარაუდები კონტინგენტიც კი. ამის გარდა სომხებს და მუსულმანებს არ გააჩნიათ მთავრობის მიერ გახსნილი და სუბსიდირებული სახელმწიფო სასულიერო სასწავლებელი და ამიტომ კერძო სკოლებს უმთავრესად ისინი ხსნიან. განსაკუთრებით მუსულმანური სკოლების დახურვა არაა მიზანშეწონილი, რადგან მათი სასულიერო პირნი—მოღვიბი და ეფენდები—ფანატიკოსი ხალხია, ხოლო მეორის მხრივ კერძო სკოლების დახურვა მათ მატერიალურადაც დაზარალებდა და, რამდენადაც მათი ავტორიტეტი და გავლენა მორწმუნეთა შორის თითქმის განუსაზღვრელია, იმდენათ მათ შეუძლიათ ააზვდრონ მოსახლეობა რუსის მთავრობის წინააღმდეგ, რაც სრულიად არ შედის ამ უკანასკნელის ინტერესებსა და ანგარიშშიო. მაშ, ამ ორი კულტის მიმდევრებისათვის სკოლების დახურვა დირექტორს პოლიტიკურ შეცდომად მიაჩნია. კერძო სკოლების გახსნის ნებართვა, მისი აზრით, არაა საჭირო მიეცეს ტფილისს, სიღნაღს, თელავს, დუშეთს, გორს, ქუთაისს და ზუგდიდს იმიტომ, რომ ტფილისში უკვე არსებობს გიმნაზია (იყო სემინარიაც) და ახლო მომავლისათვის ნაბრძანებია სამაზრო სასწავლებლის გახსნა, ხოლო დანარჩენ ქალაქებში ასეთები უკვე არსებობს.

სპიომონ-კუჭი უიკსხაღაჰა

(ჰემომ იმერეთში წმინდა-კითხვის ბავშვთა სასწავლებლის ინტორირისაჰის)

ჩვენი მცირე ცნობა იმერეთს, უკეთ: ქვემო-იმერეთს ეხება, უპირატესად მე-19 ს. პირველ ნახევარში.

იმერეთისათვის ეს გარდატეხის დროა. მეფის მთავრობა შედარებით ახალი დამკვიდრებულია, პოლიტიკურად საქემპყრობელობს, კულტურულად მცირე რას-მე აკეთებს.

ყოველ შემთხვევაში, თვით მთელ დასავლეთ საქართველოს ცენტრშიაც კი, ქუთაისში, ახალ ბატონის კულტურტრეგერობა მარტოოდენ სამაზრო სკოლით და სასულიერო სასწავლებლით ამოიწურება. ცხადია, ეს სკოლები, როგორც ძალზე დაშორებულ პერიფერიებს და ამასთანავე ერთად-ერთნი, მთელი დასავლეთი საქართველოს წყურვილს ვერ დააკმაყოფილებდენ.

მართალია, ქუთაისში შემდგომ სხვა სკოლებიც გაიხსნა: ვაჟთა გიმნაზია და წმ. ნინოს სასწავლებელი, მაგრამ ეს მოგვიანებით მოხდა: პირველი 1850 წ. დაარსდა, ხოლო მეორე — 1865 წ., მაშასადამე, სსენებული მიზეზების გამო, აგრეთვე იმიტომაც, რომ ორივე ეს სასწავლებელი უპირატესად პრივილეგიურ წოდებისათვის იყო განკუთვნილი, ძირითადი მასა სკოლის გარეშე, წერა-კითხვის უცოდინარი უნდა დარჩენილიყო.

აქედან: პერიფერიებს შინაური, საკუთარი საშუალებითა და ღონისძიებით უნდა დაეკმაყოფილებინათ განათლების წყურვილი. ამიტომ აქ ისევ ძველი ტრადიცია გრძელდებოდა: კვლავ ძველი ეკლესია იყო სასულიერო და საერო წიგნის გამავრცელებელი.

ამ მხრივ მთელ ვაკე-იმერეთისათვის განათლების ცენტრად ხონი ითვლებოდა. ვაკე-იმერეთი ჯერ კიდევ ცალკე ეპარქიად იყო გამოყოფილი, ხონში საამისოდ კათედრა არსებობდა. ამ კათედრას ადგილ-მამულიც ბლომად ჰქონდა და სხვებთან შედარებით ეკონომიურად ძლიერი იყო.

განათლების ცენტრად ცნობილი წმ. გიორგის ეკლესია იყო მიჩნეული, უკეთ: ეკლესიის ახლოს საგანგებოდ აგებული შენობა-სასწავლებელი.

როდის დაარსდა ეს სასწავლებელი, ამის შესახებ ჩვენ ცნობა არა გვაქვს, ყოველ შემთხვევაში, პირადად მე არ მომეპოვება, მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ამ სასწავლებლიდან არა-ერთი მწიგნობარი — სასულიერო მოღვა-

წე გამოსულა, განსაკუთრებით ებისკოპოსისი, რომელნიც მე-18, მე-17 და უფრო ადრე საუკუნეებში მოღვაწეობდნენ, აგრეთვე ისიც, რომ ამ ეკლესიაში მოიპოვება ამავე სკოლაში დამზადებული წიგნები როგორც წირვა-ლოცვისათვის საჭირო, ისე სასწავლო ხასიათისა, და ეს წიგნები დათარიღებულია მე-14 საუკუნიდან მე-18 ს. დასასრულამდე, უნდა დავასკვნაო, რომ სკოლას დიდი ხნის, რამოდენიმე საუკუნის ტრადიცია ჰქონდა.

მე-19 ს. მე-20 წლებიდან ამ სკოლას ხელმძღვანელობს სემონ კუტი, ანუ როგორც იმერეთში ეძახდნენ, სიმონა კუტი, გვარად ფირცხალავა.

სიმონა წარმოშობით მათხოველია. დაბადებული უნდა იყოს 1780 წ., ფიზიკურად დეფექტური იყო: ორი ქვედა კიდური არ ჰქონდა განვითარებული, მარტო ნიშნებიდა აჩნდა, არც ხელებითაც ყოფილა საღი: მარჯვენაზე 3 თითი ჰქონდა, მარცხენაზე—ორი, მოკლედ, **საპყარი იყო**.

სიმონა ხონში ბავშობიდანვე მოყვანილი, თავდაპირველად ცხოვრობს და იზრდება ხონის ეკლესიის გვერდით აგებულ სპეციალურ შენობაში, რომელსაც **სასაპყარე** ეწოდებოდა და სადაც ფიზიკურად დაავადებულნი იყვნენ მოთავსებულნი.

თვითონ სასაპყარე, როგორც საქველმოქმედო დაწესებულება, დაარსებულია ბასილ ილუმენის მიერ მე-18 საუკ. უკანასკნელ მეოთხედში.

საპყართ უვლიდენ, პატრონობდენ და ხელსაქმარს ასწავლიდენ, განსაკუთრებულ ყურადღებას წერა-კითხვის სწავლებას აქცევდენ. აქედან: საპყართან საუკეთესო კალიგრაფისტები, გადამწერნი გამოდიოდნენ. როგორც ჩანს, ეკლესია ამ შემთხვევაში ეკონომიური მოსაზრებითაც ხელმძღვანელობდა: ყოველი წიგნის გადაწერა და განსაკუთრებით ძირითად საეკლესიო წიგნებისა (ლოცვანი და სხ) ხანგრძლივსა და დაუცხრომელ შრომას მოითხოვდა და საამისოდ ყველაზე უფრო სწორედ **საპყარნი**, უმოძრაონი გამოდგებოდნენ. წერა-კითხვის გარდა სხვადასხვა ხელობასაც ასწავლიდენ, როგორიცაა სამკინძველო საქმე, ტყავზე მუშაობა, საფეიქრო ხელობა და სხვ. მაგრამ სიმონას სწორედ მეცნიერებაში გამოუჩენია ნიჭი და, ვინაიდან „**მღვდლად არ ივარგებდა და დიაკვნად არ გამოდგებოდა**“—ო, კვალიფიკაციის ასამაღლებლად სასაპყრიდან სასწავლებელში გადაიყვანეს. აქ იგი აღრმავებს თავის ცოდნას სკოლაში იმ დროს არსებულ ყველა სასწავლო დისციპლინაში, როგორიცაა:

ა) **სადვთო წერილი**, რაც გულისხმობს: წერა-კითხვას, ღვთის-მეტყველებას, გრამატიკას, ლექსთა წყობას და სხვ.

ბ) **რუსული ციფრი**,¹ ე. ი. მათემატიკა.

გ) ძირითად საგნად ითვლებოდა **აგრეთვე გალობა და საერო სიმღერა და**

დ) **კალიგრაფია**.

¹ სანტერესთა, რატომ იწოდებოდა ასე ეს საგანი: **რუსული ციფრი**? მათემატიკას წინადაც ასწავლიდენ, მაგრამ მას ანგარიში ეწოდებოდა; ახლა კი რუსული ციფრი. საქმე ისარის, რომ ანგარიშის სწავლება წინეთ ახოთი გამთხატულების საშუალებით წარმოებდა, ახლა კი უკვე ე. წ. არაბულ ციფრებზე ვადასულან. მაგრამ, რატომ უწოდებდნ ამ არაბულს რუსულ ციფრს? ქართველები ხომ გაცილებით ადრე, რუსებთან შედარებით, იცნობდენ და ხმარობდენ არაბულ ციფრებს: ჯერ კიდევ მე-10 საუკუნეში. როგორც ჩანს, დაკვირვება და დაკინების ხანაში, არაბულის ხმარება შენელებულა ან მოლიანად შეწყვეტილა, ყოველ შემთხვევაში, ძველი ტრა-

განსაზღვრულ დროიდან ყველა ამ საგანს ასწავლის სიმონა: მას, რასაკვირ-
ველია, ჰყავს „ასისტენტები“, დამხმარე პირები, მაგრამ მთავარ ხელმძღვანელად
თვითონ არის: ამ მხრივ იგი ენციკლოპედისტია.

სკოლაში უსასტიკესი დისციპლინა იყო გამეფებული: წკებლა, „როზგი“
მთავარი საყრდენი იყო, რომლითაც ინახვებოდა მოსწავლეთა შეგნება ყოველ-
თვის: მაშინაც, როდესაც მოწაფეს არავითარი დანაშაული არ მიუძღოდა (ამ
შემთხვევაში გაწკებლა შემდეგი დებულებით იყო განმტკიცებული: ცემა ჯანს
ამაგრებს) და განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ახალგაზრდა რასმე დაშა-
ვებდა. თუმცა სიმონას, როგორც საპყარსა და დავრდომილს, დამოუკიდებლად
მოძრაობა არ ეზღერებოდა და, მაშასადამე, დასასჯელსაც შეეძლო ქედი თვისი
არ მოეძრია დამსჯელის წინაშე და თავი არ გაეწკებლებინა, მაგრამ წინააღ-
მდეგობის გაწევას, უჩრობას ვერავენ ბედავდა და „დამნაშავეც“ იღვა გაქავე-
ზული და იწვევდა სიმონას რისხვას.

„დამნაშაული ყოველი უნდა დაისაჯოს, თვინიერ სასჯელისა კაცი კაცად არ
ელირებაო“, ასეთი იყო ის დასაბუთება, რომლითაც სიმონა მეტისმეტად
ფართო გასაქანს აძლევდა როზგს: როზგავდა ყველას, დიდსა თუ მცირეს, გა-
ნურჩეულად პიროვნებისა, წოდებისა და ღირსებისა და ცნობილია არა ერთი
არქიელი, სიმონის მიერ გაწკებლილი, უდიდესი რიდითა და მოწიწებით იხსენი-
ებდა თავის აღმზრდელსა და გამწკებელს.

ხოლო ერთმა მოწაფეთაგანმა, თავის დროზე სასტიკად გაწკებლილმა, ძვე-
ლიც კი დაადგა მის საულავს ხიანში.

სიმონას სკოლაში იყო მეორე ხასიათის სასჯელიც:

დამნაშავე გამოყავდა გარეთ და ხის ძირში, მზეს რომ არ დაეწვა (ეს შე-
ლავათი კი იყო), ძაფით ბალახზე მიბამდნენ. დამნაშავეც ვანუშრევლად უნდა
ყოფილიყო, ბალახი არ მოეგლიჯა, თორემ სასტიკად დაისჯებოდა, გაიწკებლე-
ბოდა: „ბალახი ღეთის გაჩენილია, ცოდვა არ არის, რომ მოგლიჯეო?“ — ეტყო-
და „დამნაშავეს“ სიმონა.

მიუხედავად ამ სიმკაცრისა სკოლა მაინც არსებობდა და ხალხიც მას ეტა-
ნებოდა, ეტანებოდა, რადგან სხვა ვამოსავალი და გასაქანი არ იყო.

როგორც უნდა ყოფილიყო სწავლის დონე?

ამის შესახებ ჩვენამდე არავითარ ოფიციალურ ანგარიშს არ მოუღწევია. ამ
კითხვაზე პასუხის გასაცემად არის სხვა წყაროები: ესენია სასულიერო ხასიათის,
წირვა-ლოცვისათვის საჭირო წიგნები, მთელი ბიბლიოთეკა, სპეციალურად ამ
სკოლაში (სხვადასხვა დროს) დამზადებული, ხშირად მოწაფეთა მიერ, თვით
მოწაფეთათვის განკუთვნილი¹.

დიცია საცემით დაიწყებულა და ხმარებაში ისყ ასათის გამოხატულებაზე გადასულან. ხოლო
მას შემდეგ, რაც მეფის რუსეთი ვაბატონდა და იგი კი მხოლოდ არაბულს, სმარობდა, ქართვე-
ლისათვისაც ეს — რუსთან ნახული და მისგან გადმოღებული, — უკვე რუსული ციფრი შეიქცა.

ეს ანლაც ასეა. სოფელი მას რუსულ ციფრს უწოდებს. — ვ. ბ

¹ უკანასკნელ დრომდე ეს წიგნები (როგორც სასულიერო, ისე საერო ხასიათისა) ხინის
ეკლესიაში ინახებოდა, ახლა კუთხისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმშია გადატანილი.

საგულისხმოა წიგნების ტექნიკური გაფორმება: არაფრით არ ჩამოუვარდება სხვა დიდ ცენტრებში, (როგორცაა ველათი, ათონი და სხვაგან) დამზადებული. ყველაფერს ამას სკოლა აწვადებდა სიმონა კუტის უშუალო ზედმძღვანელობით.

შეძლო თუ არა სიმონას ხელმძღვანელობა, იყო თუ არა იგი საამისოდ მომზადებული?

დროის მიხედვით—უპეველად.

ამ მხრივ ჩვენ ზეპირ გადმოცემათა გარდა, სადაც სიმონა მეტად განსწავლულადაა წარმოდგენილი, მოგვეპოება თვით სიმონას ხელით დაწერილი პატარა ნაკვეთი, არა გადაწერილი, არამედ დაწერილი, ასე ვთქვათ, დამოუკიდებელი, ორიგინალური ნაწარმოები. იგი მის მიერვე დამზადებულ საბას ლექსიკონზეა მიწერილი და სავსებით არკვევს სიმონას ცოდნას, ყოველ შემთხვევაში, ქართულ ენაში.

ნაწარმოები ეხება მზის დაბნელებას საქართველოში 1851 წელს. აი თვით მინაწერი—ნაწარმოებიც:

„ჩენა-სა (1851-სა) წელსა ივლისის ივ(15)-სა, დღესა ორშაბათსა, შუა დღით მეექვსეჲ ქამის პირველსა წამსა, ოდესცა დღე იგი იყო თენიერ ღრუბლისა და ნისლისა და ყ-დ განწმენდილ, იწყო მზემან კლება ბრწყინვალებისა თვისისა, და კნინოდენ კლებითა. მასვე ქამისა ოცდამეათესა წამსა წყუდიად ბნელ-იქმნა ცაი და ქვეყანა, ოდეს იხილვებოდენ ვარსკვლავნი ბრწყინვალედ და წყუდიადი იგი განგრძობილ იქმნა ვიდრე ხუთ წამამდე; შემდგომად იწყო ნათელი დასავლეთით, გარნა მას დღესა არასრულისა ბრწყინვალებისა მექონი მზე დახდა შთასავალსა თვისსა; და მე სვიმონ კუტი ფირცხალავა ვსჯედ ძაერსა ქვეშე უსართაულოდ და პირისპირ განვიციდიდი ამას განსაკრთომელსა სახილავსა და მივეც დიდება მხოლოსა ღმერთსა კაცთათვის კეთილმოაზრეობით სიბრძნით მავლინებელსა შვიდთა მნათობათათა: მასვე დიდება უკუნიით უკუნისამდე. ამინ“. (იხ. საბას ლექსიკონის ხელნაწერი, გვ. 400 verso). რას გვეუბნება ეს მინაწერი?

ჯერ არსებითად სიმონა ცოდნას იჩენს ასტრონომიაშიაც: ზედმიწევნით ზუსტად გადმოგვეცემს მზის დაბნელების სურათს. ამ მხრივ საგულისხმოა შევადაროთ შემომოყვანილ აღწერილობას უკვე ნამდვილ სპეციალისტების მიერ მოცემული ჩანაწერები.

„Ходзько Г. И. Свод наблюдений, произведенных в разных местах Кавк. и Закавк. края над солнечным затмением, бывшим 16—28 июля 1851 г. З. I. (Записки кавказского отдела ИРГО).

მრავალ აღწერილობას შორის ქუთაისის ავილით, როგორც უფრო უახლოესი ხონისათვის: აქ აღწერას აწარმოებდნენ სპეციალისტები. აი, რას ვკითხულობთ ამ აღწერილობაში:

1. 5 ч. 20 м. 40 с. Появилась маленькая вырезка со стороны солнечного круга.

20. 5 ч. 35 м. 25 с. Закрылась одна третья часть всего солнечного круга.

4. 5 ч. 52 м. 22 с. Закрыта половина солнечного круга.
5. 6 ч. 2 м. Закрыты три части всего солнечного круга.
6 ч. 14 м. По совершенном затмении солнца видно было 5 звезд. (სიმონ კუტი: მასვე ჟამის ოცდამეათისა წამსა წყუღიად ბნელი იქმნა ცაი და ქვეყანა, ოდეს იხილბოდენ ვარსკლავნი ბრწყინვალედ). Когда солнце совершенно закрылось, мы не могли писать без свечи.
4. 21 м. Открылась четверть всего солнечного круга. (შემდგომად იწყო ნათელი დასვალეთით).
- 6 ч. 36 მ. Открылось три части всего солнечного круга.
- 6 ч. 57 მ. Солнце скрылось за горой: четвертая часть его диска еще была затемнена луной. (სიმონ კუტი: გარნა მას დღესა არასრულისა ბრწყინვალეებისა მექონი მწე დახდა შთასავალსა თვისისა).

რა ირკვევა?

სიმონა არაა უბრალო მდაბიოთაგანი. იგი საქმის კურსშია, თუ შეიძლება ასე ითქვას. მართალია, მზის დაბნელება, როგორც, უმჯველია, ბუნების სხვა მოვლენებიც, სიმონას ღვთაებრივ სასწაულად მიაჩნია, მაგრამ ჩვენთვის ეხლა ამას აღარ აქვს მნიშვნელობა.

საქმე ის არის, რომ ფაქტი, მოვლენა სწორედ იყოს გადმოცემული. ამ მხარეს სიმონა აკმაყოფილებს. რაც შეეხება მოვლენის წარმოშობის მიზეზს, ამას სიმონას წუ მოვთხოვთ. არამცთუ სიმონა, ამგვარ რასმე იმდროინდელი (და აღრინდელიც) უფრო მეტად განსწავლულიც ვერ მოგვეცემს.

მაგალითისათვის დავით იმამყულის გუჯარი მოვიყვანოთ 1722 წლისა. აბა, როგორ არის აქ ქართა ბუნება აღწერილი:

„ც, რომელმან დაბადე ქარნი, მრავალგვარნი... მეორე მათგანი არს, რომელ ვიეთთა ჟამთთა შეგვამებ ბრძანებითა შენითა მეტისა სიცივისა მიერ ვიეთთა ჰაერთასა და შეკრებს გვამოვნება იგი იმ ჰაერთა ვიეარცა ყინვა წყალთა და ამაღ ინებებს ჰაერი იგი შეგვამებული ალაგსა უიწროესსა ალაგისა თვისისასა და დარჩების ცარიელ ალაგი იგი ჰაერისა შეგვამებულისა და ინებებს მის ახლოდ მყოფი ჰაერი შეუგვამებელი იმა შეგვამებითა დაცლილისა ჰაერისა ადგილისა ადგესებასა და აგრეთვე მას ახლოდ მყოფი ჰაერიცა და ამაღ შეიძვრის სრულად ჰაერი და იქროლებს ქარად“.

დღევანდელი ქართულით ეს ასე იქნება: მეტის სიცივისაგან სადმე ჰაერი იკუმშება და იჭერს ნაკლებ ადგილს. ცარიელს ადგილს იჭერს მის ახლო მყოფი შეკუმშვავე ჰაერი, მაგრამ, ვინაიდან იქ ცივა, ისიც იკუმშება, აცარიელებს ადგილის ნაწილს, რომელსაც კვლად ინებებს, ე. ი. იკავებს მას ახლომყოფი ჰაერი. ამრიგად იწყება ჰაერის მოძრაობა, რასაც ეწოდება ქარი.

ბუნება ქარისა სახვებით სწორადაა წარმოდგენილი, მაგრამ ყველაფერი ეს მიეწერება ღვთაებრივ სასწაულს.

ამგვარადვე ესმოდათ თოვლის ბუნება და, წარმოიდგინეთ, მიწის ძვრაც.

ამრიგად, სიმონა თავისებურად ერკვევა მზისდაბნელების საქმეში, მაგრამ ჩვენთვის არა ევაბა საგულისხმო, არამედ გადმოცემის ფორმალური, ენობრივი მხარე. აქ სიმონა, პირდაპირ სწორუბოვარია.

საქმე ის არის, რომ ეს დოკუმენტი იწერება იმერეთში, ხონში, სხვადასხვა კუთხეთა შესაყარზე, გზაჯვარედინზე, სადაც ყველაფრის აღრევასთან ერთად განსაკუთრებით ენა წარყვნილი. (ხონი ცენტრია, სადაც ყველა კოთხისა და უბნის ხალხსა და ენას მოუყრია თავი) და თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ დასავლეთ საქართველოში, კერძოდ იმერეთში, შედგენილ საბუთებს ენობრივად იმთავითვე ადგილობრივი კუთხური გამოთქმანი, თავისებური იმერიზმები ახასიათებდა, ვადაჭრით უნდა ვთქვათ, რომ სიმონა კუტის ეს ნაწყვეტი ამ დანაშაულისაგან, ლიტერატურული ენის თვალსაზრისით, უეჭველად დაზღვეული და თავისუფალია.

მისი ენა მთლიანად და სახესებით შეესაბამება მწიგნობრულ კლასიკურ ნორმებს და ბუნებრივია: ამგვარი ენის პატრონი, ენას ამგვარად დაუფლებული, თავის მოწაფეთაც მეტნაკლებად გადასცემდა ენის ცოდნას. და სწორედ ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ სიმონას სახელი განთქმული იყო მთელ იმერეთში, სადაც ხონის გარდა, სხვა ცენტრები, კერებიც იყო (უნდა ყოფილიყო).

სიმონას ხელიდან გამოსულს მაინც სხვა ფასი, სხვა ღირსება და სხვა მიღება ჰქონდა. მისი სკოლა თავისი დროისათვის თავისებური საცდელ-საჩვენებელი იყო, წარმოიდგინეთ, გლეხთა განთავისუფლების შემდეგაც რამდენიმე წელს.

გლეხთა განთავისუფლებას, ჩვენ ვიცით, ცოტა რამ „სიკეთეც“ მოყვა გლეხებისათვის. სარაიონო ცენტრებში იხსნება ე. წ. ნორმალური სკოლები. პირველი ამგვართაგანი მთელ ქვემო იმერეთისათვის ხონში გაიხსნა (1872 წ.). რასაკვირველია, მას, როგორც უკეთ მოწყობილს უნდა მოეზიდა მოწაფეთა კონტინგენტი, მთლიანად უნდა აეკრიფა (არც ისე დიდი იყო იგი მაშინ) და თავის ქერქვეშ მოეყარა, მაგრამ სახაზინო სკოლის გახსნის შემდეგაც „სიმონას კლასი“ კიდევ მოქმედებდა, თვით სიმონას გარდაცვალების შემდეგაც.

აღსანიშნავია ერთი რამ. სიმონა ახალ ვითარებას ანგარიშს უწყევდა. რეფორმის შემდეგ „როზგი“ აღკვეთა.

სიმონა გარდაიცვალა 1870 წლის მიწურულში. დაკრძალულია ხონში.

მ. ბერძენიშვილი

პირველი ზეპირი ქართული არითმეტიკისათვის

ბიბლიოგრაფიული ევროსტიკით მოპოვებულ ცნობების მიხედვით ირკვევა, რომ მე-19 საუკუნეში მანძილზე ქართულ ენაზე დაიბეჭდა სულ ცხრა სახელწოდების სახელმძღვანელო არითმეტიკისა. ამათგან მეტი წილი ორიგინალურია, ხოლო ორი თარგმნილია (ევტუშევსკისა — ოლ. დიდებულის მიერ, გამოცემული 1880 წ., და პეტრე ოლიფეროვისა, დ. ჩიმაკაძის მიერ ნათარგმნი, რუსულ-ქართული პარალელური ტექსტით, გამოცემული ქუთაისში 1884 წ.). აღსანიშნავია ისიც, რომ სამი ავტორის სახელმძღვანელო რამდენჯერმე იქმნა გამოცემული, სახელდობრ, მიხეილ ყიფიანისა — ორჯერ (მეორედ მან გამოსცა უკვე მარტომ 1884 წ. და მეტად ვრცლად), რაჟდენ ჯაჯანაშვილისა — ოთხჯერ და ანტონ ნატროშვილისა — სამჯერ. ამრიგად რაღაც 37-38 წლის მანძილზე (1862 წლიდან 1899 წლამდე) სულ დაიბეჭდა არითმეტიკის დარგში 15 ერთეული და ამათ შორის ყველაზე უადრესი, უზუცესია ამ წერილის ობიექტი — ყიფიან-თულაშვილისეული არითმეტიკა, უკეთ: ფოგელის არითმეტიკა, ქართულად ნათარგმნი და დამატებული მიხეილ ყიფიანისა და ვახტანგ თულაშვილისაგან და გამოცემული 1862 წელს.

რომ ეს არითმეტიკა ნამდვილად პირველი იყო დაბეჭდილ სახელმძღვანელოთა შორის, ამას ჩვენი ბიბლიოგრაფიული ძიების გარდა ადასტურებს მიხ. ყიფიანის ნეკროლოგის ავტორი გ.გ. რომელიც სიტყვა-სიტყვით ასე წერს: „1862 წელს მიხეილ ზაალის-ძემ ვახტანგ თულაშვილთან ერთად შეადგინა და დაბეჭდა პირველად პირველი ქართული არითმეტიკა“¹. ამასვე ადასტურებს თითონ ავტორთავე წინასიტყვაობა, რომელიც შემდეგი სიტყვებით იწყება: „ქართულს ენაზედ, ვგონებთ, ეს პირველად იბეჭდება არითმეტიკა და ამისათვის ხელთ-სამძღვანებელი არა გვექონდა-რაო“.

ამ ასრს უფრო დაბეჯითებით და გადაწყვეტით იმეორებს მიხ. ყიფიანი თავის არითმეტიკის მეორე გამოცემის წინასიტყვაობაში, რომელიც ასეთი სიტყვებით იწყება: „არა მაქვს ეჭვი, მკითხველო, დამეთანხმები ამაზე და რომ ყოველი საქმის დაწყობა ძნელია და მეტადრე ისეთი საქმისა, როგორც დაწერს სახელ-

¹ „ივერია“, 1891 წ. № 48.

მძღვანელო წიგნისა ისეთს სწავლაზედ, რომელსაც წინამძღოლი შრომა ჩვენ ენაზედ არა ჰქონია. მართალია, 1862 წ. პირველად დაიბეჭდა შემოკლებული არითმეტიკა ჩემგან ნათარგმნი საკვირადღეო სასწავლებლისათვის, მაგრამ... ამ სახელმძღვანელოშიაც თითქმის იმავე ტერმინოლოგიისა ვხმარობთ, რაც იყო ნაბმარევი უწინ“-ო.

იმდროინდელი პრესაც, ქართული და რუსული, ამოწმებს ამ გარემოებას. მაგალითად, „ცისკარი“ წერს: „წარსულ წელიწადს უ. უ. თულაევმა და ყიფიანმა გამოსცეს ქართულს ენაზედ არითმეტიკა, რომელიცა ჯერ არა გვექონდა ქართულს ენაზედ და რომელსაც ასწავლიან ახლა სახალხო სასწავლებლებში“¹.

ამავე აზრისაა იმ ხანებში საკმაოდ ცნობილი ლიტერატორი და კრიტიკოსი ნიკოლოზ ბერძენოვიც, რომელიც გულთბილად და თანაგრძნობით შეხვდა ამ არითმეტიკის წიგნს და მაშინ ერთადერთ გაზეთ „კავკაზის“ ფურცლებზე ყურადსაღები ბიბლიოგრაფიული წერილით გამოეხმაურა მის დაბეჭდვას. აი დასაწყისი სიტყვებიც მისი წერილისა: „Маленькая, крошечная эта книжечка в 96 страниц, в 16-ю долю листа, недавно вышедшая в свет, не должна быть пройдена молчанием, как явление замечательное и почти единственное в области грузинской литературы, древней и новейшей“².

ასეთ მოწმობათა შემდეგ, ცხადია, არავითარი საბუთი არა გვაქვს იმისი, რომ ყიფიან-თულაშვილისეულ არითმეტიკის პირველობაში თუ ადრინდელობაში რაიმე ეჭვი შევიტანოთ.

მაგრამ ეს ოდნავადაც მის არ ნიშნავს, რომ ამ პატარა წიგნაკის დაბეჭდვამდე ჩვენში არითმეტიკისა არა იცოდნენ-რა. პირიქით, ჩვენს სიძველეთსაცავებში დაცულ ხელნაწერთა შორის არის ისეთი ხელნაწერები, რომელნიც მოწმობენ, რომ ჩვენში საარითმეტიკო ცოდნა გაცილებით უფრო ადრინდელი დროისაა და რომ ყიფიან-თულაშვილი არსებითად არიან მხოლოდ გამგრძელებლები იმ საქმისა, რომელიც შეწყდა ჩვენში წარსული საუკუნის დასაწყისში, შეწყდა სულ ცოტა 50-60 წლით მანც.

მოვიყვანთ ერთს. მაგალითს იმის ცხადსაყოფად, რომ საარითმეტიკო ცოდნა ჩვენში, ვიდრე რუსეთის მეფის რეჟიმი დამყარდებოდა, წინადაც იყო და რომ ეს ცოდნა საკმაოდ ორიგინალური ფორმით ვითარდებოდა. ამის მოხდენილ ილუსტრაციას წარმოადგენს თუნდაც შემდეგი ამოცანა, ამოღებული ძველი ხელნაწერიდან:

„ერთმან ვინმე ზემო კერძო საქართველოს ჩინებულთავანმან აზნაურმან განიზრახა დღესა შობისა მისისასა განცხრომა მეგობართათანა და უბრძანა მონათა თვისთა ხუთ რიგთა ღვინოთა სყიდვა 19 მილანთუნისა და 10 შაურისა, რათა იყოს ხუთივე იგი ღვინო სწორნი საწყაონი. ხოლო მონანი იგი წარვიდნენ მსწრაფლ ქალაქად, მოიყიდეს და მოართვეს ხუთი ესე ქაშნიკი: ატენური 14 ფულად საწყაო, ანბეტური--13-ტად, კასპური—ცხრად, მანაური—რვად და თელაუ-

¹ ტფილისის მიმოხილვა. 1863 წ. იანვრ. №-ი, გვ. 148.

² „Кавказ“, 1862 г. № 53.

რი—ექვს ფულად. ხოლო აზნაური იგი კვალად ჰკითხავს მონათა მათ, თუ რაოდენნი საწყაო არს თვითო მათ ლეინოთავანი; და ვერ შცნობელნი ამის მონანი მი-
მოვდოდეს მწუხარედ წინაშე უფლისა თვისისა; და განრისხნა უფალი იგი მათ მო-
ნათა ზედა; და მოიანგარიშა თვითონ მან აზნაურმან ესრეთ, ვითარცა იხილავ
ქმნულთა ამათ.

ფასი მათ ლეინოთა:

ატენური	14
ახმეტური	13
კასპური	9
მანაური	8
თელაური	6
	50 - 1 = 3900

19 მილანთუნი
 × 200 ფული არს ერთი მილანთუნი
 3800
 + 100
 3900

× 10 შაური
 10 ფულს [შეიცავს] ერთი შაური
 100

3900: 50 = 78 საწყაო არს თვითო ლეინო¹
 350
 400
 400
 0

ამასვე ადასტურებს იოანე ბატონიშვილი თავის „კალმასობაში“ ჯერ ერთი იმით, რომ საკუთრივ არითმეტიკას ანუ, მისი ტრანსკრიპციით „არიხმეტიკას“, უთმობს თითქმის 4 დაბეჭდილ გვერდს² და შემდეგ ასეთი ფრაზით, რომლითაც აბოლოებს ნოლის განმარტებას: „ამა აღრიცხვაში ნოლნი არღას ნიშნენ, მხოლოდ ციფრი იქმნების შენიშნული. ესრეთ იხილეთ არიხმეტიკის წიგნთა შინა და მუნითგან ისწავლეთო“. ცხადია, რომ იმ ხანებში ქართულად „არიხმეტიკის წიგნები“ უნდა ყოფილიყო, რომ „მუნითგან ესწავლათ“.

მართლაც, „კალმასობის“ ავტორის—იოანე ბატონიშვილის—ასეთი განცხადება რომ ლიტონი სიტყვა არ იყო და რომ ჩვენში ნამდვილადაც არსებობდა „არიხმეტიკის წიგნები“, ამას, ადასტურებს სხვათა შორის მისი შვილიშვილის იოანე გრიგოლის-ძის გრუზინსკის ბიბლიოთეკის კატალოგიც³, სადაც ნაჩვენე-

¹ წერა-კითხვის სახ. ფონდის მე-XVIII [?] საუკ. ხელნაწერი № 1531, გვ. 133; ციტატის თანამიმდევრობა ზუსტად არის დაცული დედანთან.

² ხ. ჭიჭინაძის გამოცემა, ტფ., 1895 წ., გვ. 413-416.

³ А. А. Сагарели. Сведения о памятниках грузинской письменности, т. I. вып. III. СПб. 1894 г. стр. 229-230.

ბია რამდენიმე წიგნი არითმეტიკისა, სახელდობრ: „არითმეტიკა შედგენილი და ნაწერი 1813 წ. აღექისსაჲ და ვით რექტორისაგან“, „თეორეტიკული და პრაქტიკული არითმეტიკა ყრმათათვის, ახლად დაწერილი ორისავე ღიწნაზის ინსპექტორის დიმიტრი აქონიკოვისაგან“ და „არითმეტიკის ზაღაჩები (კითხვები)“, XVIII ს. დასაწყისის ხელნაწერი.

ამ გარემოებასვე ადასტურებს მიტროპოლიტი ევგენი ბოლსოვიტინოვი თავის წიგნში¹.

„Преосвященный Варлаам Архиепископ Ахталымский и член Св. Синода сочинил ныне и напечатал в Санкт-Петербурге краткую грузинскую грамматику, некоторое руководство к Арифметике давно уже было на грузинском языке; но недавно переведена еще и Арифметика, для Российских народных школ изданная“.

ცოტა ქვემოთ იგივე ავტორი უმატებს არაუინტერესო ცნობას:

„Из всех вышеупомянутых грузинских классических книг (ე. ი. კლასში, სკოლაში სახმარებელ წიგნებიდან.—მ. ზ.) ни одна еще кроме краткой грамматики и букваря не напечатана, а употребляются все в Тифлисе по школам рукописными“.

არაა უგულვებელსაყოფი აგრეთვე ცნობა, რომელსაც იძლევა „История грузинской иерархии“²-ს ავტორი: „В последствии времени (ე. ი. ანტონის შერე.—მ. ზ.) поддерживал оное (образование) преосвященный Варлаам, ексарх Грузии, сочинив краткую грузинскую грамматику, руководство к арифметике (ხაზი ჩვენია.—მ. ზ.), географический атлас и толкование евангелий на господские и богородичные праздники с нравоучительными беседами“³.

ინტერესს არაა მოკლებული აგრეთვე ნიკოლოზ დავ. ჩუბინაშვილის ცნობა, რომელიც მოჰყავს პროფ. ალ. ცაგარელს თავის „Сведения о памятниках груз. письменности“-ში⁴: ჩუბინაშვილს იოანე ელიზბარის-ძე ერისთავისათვის უთარგმნია სასწავლებელში მოწაფეთათვის შედგენილი მოკლე არითმეტიკა⁵, რომელიც 1814 წ. ავტორს ორივე ენაზე შეუსწორებია. ამ და სხვა „სასწავლოთა წიგნთა თარგმნისათვის“ ერისთავმა, თავის მამის ელიზბარის თანხმობით, ჩუბინაშვილს აჩუქა ყმად ოსი ბიჭი, სოლომონ ფუხაშვილი.

ამასაც რომ დავეთხოვოთ, ჩვენი სახელოვანი ლექსიკოგრაფოსის—საბას ლექსიკონის დასაწყისში მოთავსებული „ნულა“ თუნდაც იმას მოწმობს, რომ არითმეტიკის წესებს თუ არა, არაბულ ციფრებს მაინც იცნობდა მისი თანამედროვე და მომდევნო ქართველობა. ეს ნათლად ჩანს საბას ლექსიკონის წინართიდან, რომელიც პროფ. აკაკი შანიძისეულ გამოცემაში გამოტოვებულია, მაგრამ დაბეჭდი-

¹ Историческое изображение Грузии в политическом, духовном и учебном ее состоянии . . . СПб. 1802 г. стр. 76.

² იქვე, გვ. 78

³ II издание, Москва, 1853, стр. 18; პირველი გამოცემა ეკუთვნის 1826 წელს.

⁴ ტ. I, ნაკვ. III, გვ. 13 და 15.

⁵ იქვე, გვ. LXII

ლია რაფიელ ერისთავისეულში. იქ XIX-XXI გვერდებზე მოთავსებულია ეგრეთ-
წოდებული „ნულა—ქართული რიცხვის სწავლა“, სადაც საბას პარალელურად
მოყვანილი აქვს არაბული ციფრები და მათ გვერდით მათი შესატყვისი დამწერ-
ლობანი ქართული ასოებით შემდეგნაირად:

- 1 ა
- 2 ბ
- 3 გ
- 4 დ და სხვა.

სამწუხაროდ ამ სიტყვა „ნულას“ განმარტება ვერსად ვიპოვე. მას არც თი-
თონ საბა გვიხსნის. ვფიქრობ, რომ ეს სიტყვა თითონ ლექსიკოგრაფმა შეთხ-
ზა ატაბული ციფრების ცნების აღსანიშნავად იმ ნოლის თუ ნულის მიხედვით,
რომელიც არაბულ ნუმერაციაში რიცხვს მარტივად დაუსრულებლივ ცვლის.
ასეთივე გაგებით ხმარობს ამ სიტყვას „ნულას“ თითონ საბაც, თუ ქვემო ცი-
ტატას გულისხმიერებით ჩაეკითხავთ. აი რასა წერს საბა: „ესე ნულა ყოველთა
რიცხვთა და ანგარიშთა უმჯობესია; ყოველნი ქრისტიანენი, ანუ ჰურბანი, გინა
წარმართნი ამის მიერ რიცხუჲს. ქართუჲსთა მიკვირან, რად არ დასჭირიტეს ანუ
წმიდათა მამათა დაუტევეს“. აწ მე, — განაგრძობს საბა, — სომხურის წიგნიდამ გად-
მოვიღე; მუნცა ესრე ნაკლებ-ნაკლები ეწერა, სიგრძისათვის აღარ შეესრუ-
ლებინათ. ვინც აქამდის ისწავლის, სხუასაც თვითან მიხუდებდა და შესარულეს.
ქართულისა ანბანთა სათვალავი თან ჩართეთ დამისხამს, ვისცა უნდა, საჭირო
არის და ვისაც არ ენებოს, განსვენებით იჯდეს.“—ო, დასაკენის ლექსიკოგრაფი.

ყოველ შემთხვევაში ჩვენი საკითხის—საქართველოში საართომეტრიკო ცოდ-
ნის ისტორიის—გარკვევისათვის საბას ამ ცნობას ნულაზე დიდი მნიშვნელობა
ენიჭება: ირკვევა პირველ ყოვლისა ის, რომ საბას დროს არაბული ნუმერაცია
არ ყოფილა მასობრივად გავრცელებული საქართველოში, ყოველ შემთხვევაში
იგი ისე საფუძვლიანად იყო დავიწყებული, რომ განათლებულ მწიგნობარს დასჭირდა
მეზობლებისგან მისი დასესხება-გადმოღობა და მეორე: ცხადი ხდება კიდევ
ერთი წყარო ჩვენში არაბული ციფრის კვლავ შემოღებისა—სომხური. „აწ მე სომ-
ხურის წიგნიდამ გადმოვიღე“, აღიარებს უზაკველად საბა.

მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ არითმეტიკული ცოდნა,
უკეთ რომ ეთქვას, არაბული ციფრებით ანგარიში ამის შემდეგაც ფართოდ
მანაც არ ყოფილა გავრცელებული. ამას ამტკიცებენ უამრავად შენახული სავა-
ჭრო დავთრები, ეგრეთწოდებული „ნუსხები“, სადაც ანგარიში ასოებითაა წარ-

¹ ხაზი ჩვენია. უხდა ვიფიქროთ, რომ საბა, როგორც მეტად განათლებული პიროვნება და
დიდი მწიგნობარი, უფუოდ იცნობდა ჩვენში ძველადაც არაბული ციფრის ხმარების შემთხვევებს
და ამიტომაც გამოისთქამდა განცვიფრებას, თუ რატომ „დაუტევეს“ წმიდა მამებმა“, ე. ი. ძველმა
მწიგნობრებმა, ეს ნუმერაციათ. ხოლო რომ ჩვენში ძველად, მაგალითად, XI საუკ. დასაწყისში,
მართლაც იხმარებოდა არაბული ციფრი, ამას გვიჩვენებს თუნდაც იატაკის განმტკიცების ქორო-
ნიკონი 223, ე. ი. 1003 წ., არაბული ციფრებით რომ არის გამოყვანილი ბაგრატის ტაძარზე
(იხ. ა. შანიძე და სხვ. ძველი ქართული ენა და ლიტერატურა. მეორე გამოცემა. ტფ., 1935
გვ. 036, აგრეთვე 9).

მოებული: ამასვე ადასტურებს ბატონიშვილი თეიმურაზიც, რომელიც ს.-პეტერ-ბურგიდან აკადემიკოს ბროსეს პარიზში სწერს სხვათა შორის შემდეგს: „თუმცა საქართველოს მონაგარიშე კაცთა აღრევაცა და ახლაც არითმეტიკის ანგარიში იცინ და იცოდნენ; მაგრამ ნამეტნაჲად ვაჰარნი საქართველოსანი ყოველთვის ამ თავიანთს ძველს ანგარიშს ხმარობდნენ და ახლაც ამასვე ხმარობენ“-ო!.

როგორი იყო ეს ძველი ანგარიში? ბუნებრივად იზადება კითხვა. და ჩვენც, თუმცა ძირითად თემას ცოტა დავშორდებით, მოკლედ მაინც შევეცდებით მის გარკვევას. სამწუხაროდ; ცნობები ძალიან მცირედი მომეზოვება. ძველად ციფრების მავიერობას ასოები ეწოდნენ. ასე იყო ყველგან, ასევე იყო ჩვენშიც.

აი რას ვკითხულობთ საბას ლექსიკონის რაფ. ერასთავისეულ გამოცემის

XVIII გვერდზე:

„ქ. ანბანთა რიცხვთა სწავლანი, თუ რომელნი რაოდენთა რიცხვთა იტყვიან:

ა ერთი	ნ ორმოცდაათი	ყ რვაასი
ბ ორი	ჟ სამოცი	შ ცხრაასი
გ სამი	ო სამოცდაათი	ჩ ათასი
დ ოთხი	პ ოთხმოცი	ც ორიათასი
ე ხუთი	ჟ ოთხმოცდაათი	ძ სამი ათასი
ვ ექვსი	რ ასი	წ ოთხი ათასი
ზ შვიდი	ს ორასი	ჭ ხუთი ათასი
ც რვა	ტ სამასი	ხ ექვსი ათასი
თ ცხრა	*უ,ჟ ოთხასი	კ შვიდი ათასი
ი ათი	ფ ხუთასი	ღ რვა ათასი
კ ოცი	ქ ექვსასი	ჭ ცხრა ათასი
ლ ოცდაათი	ღ შვიდასი	ყ ათი ათასი
მ ორმოცი		

ამგვარად ძველად და დაახლოვებით წარსული საუკუნის 70-80-იან წლებამდე ციფრების ნაცვლად იხმარებოდა ქართული ანბანის ყველა ასოები დაწყებული ანით და გათავებული ჰოეთი (ჰ). საინტერესოა სისრულისა და სიზუსტისათვის, რომ საბას წინანდელ საქართველოში 400-ის აღსანიშნავად ხმარობდნენ ვიეს (ვ), რომელზედაც საბა ასეთ განმარტებას იძლევა: „ესეჲ ძველად ტართან იჯდა და რიცხვშიაჲც მეოთხასედ ყოფილა, წერილთა შინა ღია სახმარია და ონსა და ვიესა უნად სვემდენ (ე. ი. ოჯ იხმარებოდა ანუ იკითხებოდა უნად, უ), და შემდგომად ვიე რიცხვიდამ ამოჴლიათ და ოთხ-ასად უნი დაუსვამთ. რადგან ფარი მესუთასე იყო, უნსა და ფარს შუა ვიე ცუდად რაღად მჯდარიყო. ამისათვის ბოლოს ჰ-ოეს ქუჴვით დავსვით, რათა რიცხვი რიცხვს მოგბას (ე. ი. დავ რიცხვი რიცხვს მისდევდეს გაბმით ანუ მიყოლებით.—მ. ზ.) და ესე (ასო ვ) ბოლოს იყოს, რათა რიცხვი არ აღირიოს“-ო.

საკითხავია: როგორ აღინიშნებოდა ათი ათასზე მეტი რიცხვი, მაგალითად 36.000, 100.000, მილიონი, როცა ქართულ ანბანში უკანასკნელი ასო ჰ (ჰოე)

¹ წ. კ. სახ.-ბის ხელნაწერთა ღონდი, № 4797, თეიმურაზ ბატონიშვილის წერილი 1834 წ. ნოემბრის 16-ის თარიღით.

² რ. ერისთავის გამ. გვ. 411, ა. შანიძის გამ. გვ. 474.

მხოლოდ ათი ათასი აღნიშნავდა? ასეთ შემთხვევაში იქცეოდნენ ასე: 36 ათასის შესატყვის რიცხვობით დამწერლობად ხმარობდნენ ლგჩ-ს, ე. ი. 30, 6, 1020, რადგან პირველი ორი აქ მოყვანილი ასო ლვ აღნიშნავდა 36-ს, ხოლო უკანასკნელი — 1000-ს, მთლიანად კი ჩვენთვის საინტერესო ციფრს — 36.000-ს. მსვავსადვე დაიწერებოდა 100.000; ამ ციფრს ჩვენი წინაპრები რჩ-თი აღნიშნავდნენ, ხოლო მილიონის აღსანიშნავად იხმარებდნენ, ჩემის აზრით, ჩჩ-ს (1000×1000) ან რგ-ს (100.10000; და არა გგ-ს, როგორც ეს შეცდომით უნდა ჰქონდეს აღნიშნული დასტურლამალის გამომცემელს პეტრე უმიკაშვილს¹ წინააღმდეგ რადიელ ერისთავისა².

როგორც ვხედავთ, ასოებით რიცხვის აღნიშვნა ძველ საქართველოში მეტად ძნელს მანიპულაციას წარმოადგენდა; მაგრამ ეს სიძნელე უფრო რთულდებოდა და დაუძლეველი ხდებოდა მოწაფისათვის, როცა მას იმავე ასოებით ფულის ანგარიში უნდა დაეწერა. მეტი გარკვეულობისათვის საჭიროდ მიმაჩნია გავიხსენოთ, თუ ფულის რა ერთეულები ტრიალებდა აღმოსავლეთ საქართველოში პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოსპობამდე (ე. ი. XIX საუკუნემდე)³.

აი ამ ერთეულთა სახელებიც: ფული ($\frac{1}{2}$ კ.), ბისტი (2 კ.), შაური (5 კ.), აბაზი (20 კ.), მინალთუნი ან მილანთული (1 მ.) და თუმანი (10 მ.)

ფული ($\frac{1}{2}$ კ.)	აღინიშნებოდა მეხუთე ასოთი ე—ით ⁴	
ბისტი (2 კ.)	„	კ—ით
შაური (5 კ.)	„	ნ—ით
აბაზი (20 კ.)	„	ს—ით
მინალთუნი (1 მან.)	„	ჩ—ით
თუმანი (10 მ.)	„	ჭ—ით ან ც—ით

თუ ძველად დაიწერებოდა: „ჩმე ქ:“ — ეს ნიშნავდა ხუთ აბაზს, 2 ბისტს და ერთ ფულს ანუ ჩვენებურად 1 მან. და 4 $\frac{1}{2}$ კაპიკს; ან ეწერა „ცკ ქ:“. ეს ნიშნავდა: „ორი მინალთუნი და ერთი ბისტი“; „სნ ქ:“ აღნიშნავდა ხუთ შაურს (უფრო ზუსტად: ერთს აბაზს და ერთს შაურს). ჩვეულებრივ კი იწერებოდა უფრო მარ-

¹ დასტურლამალი მეფის ვახტანგ მეექვსისა 1886, გვ. 193, სვეტი 1-ლი.

² საბას ლექსიკონი, ტფ. 1884, XXI გვ., 1-ლი სქოლიო.

³ დასავლეთ საქართველოში, სახელდობრ, იმერეთის სამეფოში ვხედავთ ფულის შემდეგ ერთეულებს: ფარა 1/3კ.

შაური 4 ფარა.

რუბი 13 ფარა.

აბაზი 4 შაური ანუ 17 ფარა.

ყურუში 3 რუბი ანუ 40 ფარა.

მარჩილი 4 რუბი ანუ 52 ფარა.

ფლური 2 მარჩილი ანუ 104 ფარა.

(იხ. სოლომონ მეფის ნიხრადებულება მ. ისის 20-ს 1808 წ. „დროება“ 1868 წ. № 27).

⁴ რატომ მეხუთე ასოთი და არა პირველი ასოთი აღინიშნებოდა ფულის უკნინესი ერთეული, ამას დამაჯერებლად ასახულებს პროფ. ივ. ჯავახიშვილი თავის შრომაში „ქართულ საფას-საზომთა მცოდნეობა ანუ ნუმისმატიკა-მეტროლოგია“-ში (ტფ., 1925 წ. 34—35 გვ.)

⁵ დაწვრილებითი აღრიცხვა ფულისა ასოებით იხ. ცალკე, მომდევნო გვერდზე.

	მეფულე- ბრივ აღ- ნიშნავდა	ფულის აღრიცხვისას კი ნიშნავდა	ძველი ფულის აბლანდელი ღირებულება
მ	5	1 ფული	$\frac{1}{2}$ კ.
ი	10	2 ფული	1 კ.
კ	20	1 ბისტი	2 კ.
ლ	30	6 ფული	3 კ.
მ	40	2 ბისტი	4 კ.
ნ	50	1 შაური	5 კ.
ე	60	3 ბისტი	6 კ.
ვ	70	1 $\frac{1}{2}$ ფული	7 კ.
კ	80	4 ბისტი	8 კ.
შ	90	18 ფული	9 კ.
რ	100	2 შაური	10 კ.
ს	200	1 აბაზი	20 კ.
ტ	300	6 შაური	30 კ.
უ	400	2 აბაზი	40 კ.
ფ	500	10 შაური	50 კ.
ქ	600	3 აბაზი	60 კ.
ც	700	14 შაური	70 კ.
ც	800	4 აბაზი	80 კ.
შ	900	18 შაური	90 კ.
ჩ	1000	1 მილანთუნი	1 მ.
ც	2000	2 "	2 მ.
ძ	3000	3 "	3 მ.
წ	4000	4 "	4 მ.
ჭ	5000	5 "	5 მ.
ხ	6000	6 "	6 მ.
კ	7000	7 "	7 მ.
ჯ	8000	8 "	8 მ.
კ	9000	9 "	9 მ.
ა) ფ	—		
	10000	10 "	10 მ.

ტივად: „ჩემ პური“, რაც ნიშნავდა: პურში მიეცა ხუთი აბაზი, ორი ბისტი და ერთი ფული ანუ ჩვენებურად 1 მ. და 4 $\frac{1}{2}$ კაპ.

ზემოთსენებულ ბატონიშვილ თეიმურაზს, რომელსაც აკადემიკოსი შარი ბროსე თავის მასწავლებელს უწოდებს და რომელსაც, მისი სიტყვით, შედგენილი აქვს პარიზის სააზიო ჟურნალში დაბეჭდილი ნარკვევი ქართული ძველი არითმეტიკის შესახებ¹, მოჰყავს ერთი მაგალითი იმისი, თუ როგორ იწერებოდა ძველს საქართველოში ფულის ანგარიში:

„ჩმე	ქ:	პურში მიეცა.
ცკ	ქ:	ხორცში მიეცა.
სნ	ქ:	ღვინოში მიეცა.
ფ	ქ:	ქათამში მიეცა.
ქ	ქ:	ბრინჯში მიეცა.
ჟ	ქ:	ერბოში მიეცა.
რ	ქ:	მწვანილში მიეცა
ო	ქ:	სანელებელში მიეცა.

ჯამი ამისი (ე. ი. ერთბამად) წყრმე: (შეკრებული ერთიანად არის 4 რუბლი, 4 აბაზი, 1 (2?) შაური და 9 ფული)“-ო და იქვე არშიაზე განმარტავს მეცნიერი ფრანგი მეგობრისა და მოწაფის ბროსეს საყურადღებოდ: „ქ: სარიცხვოს წერილების განწესება ასე არის. ყოველს დასაწყისში ქანი დაუჯდება, ამისათვის რომ წერილი საანგარიშო ერთმანეთში არ აირიოს“-ო.

ფულის ანგარიშის ასოებით გამოხატულების სურათის სისრულისათვის აღსანიშნავია ისიც, თუ როგორი დამწერლობა ჰქონდა ძველად მსხვილ ფულს, მაგალითად, თუმნებს. მე უკვე აღვნიშნე, რომ თეიმურაზ ბატონიშვილის სქემით თუმანი გამოისახებოდა უკანასკნელი ასოთი ჰოეთი ანუ მ-თი; მაგრამ მისივე განმარტებით, რასაც მისგან დამოუკიდებელი² ადასტურებენ პეტრე უმიკაშვილიც და რაფიელ ერისთავიც, მეტი სიმარტივისათვის თუმნების რაოდენობას აღნიშნავდნენ ქართული ანბანის დასაწყისი ასოებით, ოღონდ ზემოდან ქარაგმასავით რკალს ავლებდნენ. მოუსმინოთ თითონ თეიმურაზს: „ა. ეს ხომ ერთი რიცხვი არის, და როდესაც რომ ანსა ზევიდამ გადმოხრილი ნიშანი ღაჯდება ეს სახედ ნ, მაშინ ერთს თუმანს ნიშნავს, ნ ორს თუმანს ნიშნავს, ნ სამს თუმანსა და ასე აღირიცხვის ბოლომდის. წერილი ფულის ანგარიში ხეჲ ზემოთ დაიწერა და ბევრის ფულისაც ეს არის“-ო².

საკმარისია ოდნავ მაინც თვალი გადაველოს ზემოთ წარმოდგენილ ფულის ანგარიშის ასოებით გამოხატულ სქემას, რომ თავისთავად ცხადი და უდაო შეიქმნეს მისი შეთვლების სიძნელე. მართლაც რა გულისყურისა და მესხიერების დაჭიმვა იყო საჭირო ქართველი მოწაფისათვის, რომ შეეთვისებინა ერთი და იმავე ასოს სხვადასხვა მნიშვნელობა ჩვეულებრივ თვლა-ანგარიშისა და ფულის ანგარიშის დროს. მაგალითად, 3 ჩვეულებრივ აღრიცხვისას ნიშნავდა 80-ს, ხოლო

¹ „Кавказ“, 1846 г. № 47, Грузинский царевич Теймураз.

² წერაკითხვის საზნის ფონდი, № 4797.

ფულის ანგარიშისას უკვე ოთხ ბისტს აღნიშნავდა (ჩვენებურათ 8 კაბ.). ან ასო
ლ; ჩვეულებრივი თვლით ის 700-ს უჩვენებდა, ფულის ანგარიშისას კი — 14 შაურს.
სიძნელე უფრო თვალსაჩინო ხდება, თუ ასე მოვიქცევით: ვთქვათ, მოწაფემ ასო-
თი უნდა გამოხატოს იგივე 14 შაური, მას უკვე ვაკვეთილი აქვს, რომ 14-ის
აღსანიშნავად იღ უნდა დაიწეროს და იმის ნაცვლად, რომ შეჩვეულმა ხელმა იღ
შაური დაწეროს, მან უნდა ღ დაწეროს, რომელიც ჩვეულებრივ 700-სს აღ-
ნიშნავს.

და ასეთი სისტემით ანგარიშის სწავლება ჩვენში გამეფებული იყო არა მე-
თვრამეტე და წინა საუკუნეებში მარტო. მას საკმაოდ დიდი გასავალი ჰქონდა
მეცხრამეტე საუკუნის 70-80-იან წლებამდეც, განსაკუთრებით იმ მრავალრიცხ-
ხოვან ფენაში, რომელიც რუსულ სკოლაში არა სწავლობდა და ცოდნის წყურ-
ვილს იკლავდა ძველებურ ქართულ ოჯახებსა და საეკლესიო თუ სამონასტრო
სკოლებში.

ამიტომაც ცხადია, რომ ყოფიან-თულაშვილისეული არითმეტიკის დაბეჭდვა
ჩვენთვის არითმეტიკული ცოდნის დარგში უდაოდ დიდი ნაბიჯი იყო წინ და
საესებით გასაგები უნდა იქნეს ის, რომ იმდროინდელი მოწინავე საზოგადოება
სიამოვნებით და კმაყოფილებით შეეგებებოდა ამ პაწია წიგნაკის გამოცემას:
მართლაც აი რასა ვკითხულობთ ამ წიგნაკის ბიბლიოგრაფიულ მიმოხილვაში:

„ამ წიგნს არ შეიძლება დუმილით აუხვიოთ გვერდი, რადგან იგი წარმოად-
გენს შესანიშნავსა და თითქმის ერთადერთ მოვლენას ქართულს ლიტერატურა-
ში, ძველსა და უახლესში. ჩვენ უკვე წინდაწინვე ვიცით, რომ ეგრეთწოდებული
„პატრიოტიზმი“ ამ წუთას თქმულ ფრაზას წაიკითხავენ შეკავებული გეს-
ლიანი ღმილით და მას დამწერს აუხედრდებიან იმის გამო, რომ მან ვაბედა
ლიტერატურისათვის, ისიც ქართული ლიტერატურისათვის მიეკუთვნებინა რა-
ღაც არითმეტიკა, შედგენილი, რა თქმა უნდა, (მათი გაგებით), საწერილობანო
დუქანებში ფეხმორთხვით მჯდომარეთათვის, იმათთვის, ვისაც წილად ხვდა, ისე
იმავე პატრიოტიზმის აზრით, სააუგო ხვედრი შავი ფულის თვალ-ანგარიშისა და
გაქონილ შემოსავალ-გასავლის დავთრების (ნუსხას) ყოველცისმარე დღე წარმოე-
ბისა... აი სწორედ ეს გარემოება, რომელსაც შეუძლია ვარკვეული წყების ხალხს
მარტო სიცილი და გულიწყრომა აღუძრას, ჩვენ გვაძულდებს ზ. ბ. ყოფიანსა
და თულაევის შრომას შევხედოთ სრულის პატრიოტიზმით და შევიტანოთ იგი
ადგილობრივი ლიტერატურის მატრიანეში“-ო.

შემდეგ რეცენზენტი ნიკ. ბერძენაძე ვაკვრით იხილავს ძველ ქართულ ლი-
ტერატურას, იძლევა მის შეფასებას და საშარტლიანად შენიშნავს, რომ „ძვე-
ლი დროის სასულიერო პირები, განათლების ერთადერთი მცველები და მამო-
ძრავებელნი, ვართული იყვნენ მარტო სულით და შექვეყნიურ სამყაროს მოვლე-
ნებით და ნეტა მათ შორის ერთს ვისმეს მინც... ეწილადა თავის გონების
ტაბლიდან თუნდაც ორიოდ ნამცეცი უმცროს ძმისათვის, რომელნიც მათ თვალ-
წინ ზიზზილობდნენ და სიცივისგან ითოშებოდნენ, რომ აქ შენაძენი ოჯახში
გამოეყენებინათ და ეხელმძღვანელოთ“.

ცოტა ქვემოთ იგი განაგრძობს: „როდესაც ჩვენი პოეტები და პროზაიკოსები
თავის ჭიას ახარებდნენ, რაღას აკეთებდნენ იმ დროს უმცროსი ძმანი, ე. ი.

მასსა, ხალხი? ის თავის დიდად ნამაშვრალევსა და განაწამებ სიცოცხლეს აღონ-ლილებდა სრულს უმეცრებაში, მან არ იცოდა არც კითხვა და არც თვლა-ან-გარიში, თუ კი რამ ებადა სათვლელ-საანგარიშო. წერაზე ხომ არას ვაბობთ; ეს ისეთ იშვიათობას წარმოადგენდა, რომ მრავალი სასულიერო პირი, რომელსაც სახელი ჰქონდა გავარდნილი როგორც საუკეთესო მწიგნობარს, ძლივს ახერხებდა საკუთარი სახელის მოწერას“.

რეცენზენტი მერე ხსარტულად გვიხატავს ძველი სწავლების სისტემას, აღნიშნავს მის ხელმოწევიდომობას მდაბიო ხალხისათვის და დასძენს: „მდაბიო ხალხს. სწავლა-განათლების მიღება ვიდრე ჩვენ დრომდე, მეტად იშვიათი გამო-ნაკლისის გარდა, მძიმე პირობებში უხდებოდა. ამავე დროს კი ამ ხალხში ბევრს ჰქონდა ხალისი სწავლისა, მერე ნიჭიც მოსდევდა სწავლისა. ვადასინჯეთ კავკასიის სამიჯნაო სკოლასთან არსებულ ტფილისის საკვირაო სკოლის ანგარიშები მისი არ-სებობის პირველი წლის მანძილზე; მოწაფეთა შორის თქვენ შეხვედებით მკვიდრ მცხოვრებთაგან („ტუშმეცებისაგან“) 25 და 30 წლის ჯეილებს, რომელნიც მოწა-დინებულნი დაიარებოდნენ სკოლაში და ალბად რასმეს მაინც ისწავლიდნენ. ამ სკო-ლის მისწრაფება— დააკმაყოფილოს მკვიდრი მოსახლეობის მოწაფეობა, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს,— ბრწყინვალედ იმაში გამოიხატა, რომ მან თავის ხარჯით დაბეჭდა ბ. ბ. თულაევისა და ყიფიანის არითმეტიკა, წიგ-ნაკი, რომელსაც შეუძლია უეჭველი სარგებლობა მოუტანოს იმ მრავალრიცხოვან წრეს, ვისთვისაც ჩგია განკუთვნილი. საჭიროა მხოლოდ ვისურვოთ, რომ ის რაც შეიძლება ფართოდ გავრცელდეს ამ წრეში; მისთვის ხომ დღემდე განათლება უცხო ხილი იყო და მას არც რამე წარმოადგენა აქვს ეგრეთწოდ. არაბულ ციფრებზე; ამათი დანმარებით განათლებულმა ხალხებმა უკვე კარგა ხანია შეითვისეს საკვირ-ველი გამოგონება იმისი, რომ რიცხვებს მნიშვნელობა მიეკუთვნება მათი განლა-გების მიხედვით. ეს წრე საჭირო შემთხვევაში დღესაც ითვლის ხელის თითებზე ან კიდევ ლაბიოს თუ სიმინდის მარცვლებზე ან ჯოხზე ვაკეთებულ ჭდეებით; თუ სოფლიად ცოტათი მაინც ახნეულია ანაგრიში, ნეტა იცოდეთ, რამდენი ძვირ-ფასი დრო იკარგება, რამდენი ატეხილა დაფა ან გაუგებრობა წამოჭრილა, სში-რად ლანძღვა-გინებით და ცემა-ტყეპითაც ვათავებული, რამდენს იმტვრევენ თავს რაიმე სულ უბრალო ამოცანაზე, რომელსაც კაცი ერთბაშად გადასწყვეტს არითმეტიკის პირველი წესების მოშველებით“—ო¹.

როგორც ამ რეცენზიიდან და აგრეთვე თითონ წიგნაკის თავფურცლის რუ-სული ტექსტიდან ჩანს, იგი წარმოადგენს კავკასიის სამიჯნაო სკოლასთან დაარ-სებულ საკვირაო სკოლის გამოცემას. რეცენზია იმასაც გვიჩვენებს, რომ ეს არით-მეტიკა განკუთვნილი ყოფილა აღნიშნულ საკვირაო სკოლაში მოსწავლეეთათვის, რომელთა შორის მრავალრიცხოვნად ყოფილან თურმე 25-სა და 30 წლის ვაჟ-კაცები.

რა იყო კავკასიის სამიჯნაო სკოლა, რა მიზნებს ისახავდა იგი და რა საჭიროებამ და პირობებმა წარმოშვეს ეს სასწავლებელი და მასთან სა-კვირაო სკოლა, ეს მეტად საინტერესო თემაა, რაზედაც დაწვრილებით

¹ „Кавказ“ 1862 г. № 53.

ლაპარაკი ძირითად საკითხს უფრო დაგვაშორებდა. ერთს კი ვიტყვიტო მოკლედ და გავკრიტიკო, რომ ეს სკოლა დაარსდა ჩვენში 1846 წ. (ფაქტიურად ჩამოყალიბდა 1847 წ. 1 მარტს); მისი მიზანი იყო კავკასიის სამეფისნაცივლოში მოემზადებინა ტოპოგრაფები, ხოლო ასეთ ტოპოგრაფთა კადრის შექმნას და მომზადებას მოითხოვდა მამულების გამოიჯენა და ამასთან დაკავშირებით კანონიერი მფლობელის უფლებათა გამორკვევა და აღდგენა. ილია ქავჭავაძის „საქართველოს მოამბის“ შინაური მიმოძილველი თებერვლის №-ში ეხება ამ მტკივნეულ საკითხს და აღნიშნავს, რომ „მთელ საქართველოში ოცი მამული არ იპოვება, რომ მორდავე არ ჰყავდეს... ამ დავების და საქმეების დახლართვის მიზეზი მრავალია, მავრამ მათ შორის უპირატესი ადგილი უჭირავს იმას, რომ თვითეული მამული არ არის თვითეულად გამოიჯენილი... როგორც წვიმის ნიაღვარი ისე მიემო დავები სასამართლოებში. გაიშო სასამართლოები დავებით! და სასამართლონიც ისე გულმოდგინედ აწარმოებენ საქმესა, რომ ბაბის საქმესა შვილისშვილის დროს გადასწყვეტდა ხოლმე, ისიც თუ ძალიან აქარადებოდა“-ო.

ასეთ მდგომარეობას ბოლო უნდა მოჰდებოდა და ამ მეფისნაცივალმა ვორონცოვმა შეადგინა კომისია საქართველოს გამოიჯენის ახალი წესის და კანონების შესამუშავებლად, რადგან რუსეთის კანონები ჯერ ერთი აქაურ პირობებს არ შეეფერებოდა და მეორე იქაც საკმაოდ მოძველებული იყო. ამ საქმის გავრძელება მოუხდა ალ. ბარიატინსკის, რომელმაც სტარიცკის დაავალა საზღვარგარეთ შესწავლა ეს საკირობოროტო საკითხი, მერე საქართველოში ადგილობრივ მცხოვრებთა გამოკითხვით შეიმუშავებინა სრულიად ახალი და მარტივი წესი მამულების გამოიჯენისა. და აი შეიმუშავეს წესიც: გამოჰყვეს ცალკე კომისიები სამიჯნაო ორგანიზაციის წარმომადგენლისა და სასამართლოს წევრის მონაწილეობით, რომელნიც ადგილობრივ დაიარებოდნენ და იქვე არკვევდნენ სადაო მამულების საზღვრებსა; ჰყრიდნენ მიჯნებს, გამოჰქონდნათ დადგენილებანი. ამ კომისიათა განაჩენის განსაჩერება შეიძლებოდა ა/კ. სამიჯნაო პალატაში ორიოდ თვის განავლობაში. ასე რომ ყოველნაირი დავა, რავინდ ძალიან რთული ყოფილიყო ასეთი სისტემის წყალობით ნახევარ წელიწადში, ერთ წელიწადში შინც უნდა დამთავრებულიყო საბოლოოდ.

ცხადია, რომ ამ საქმის წარმატებით დავგირვენიებისათვის საჭირო იყო მცოდნე ხალხი და მათი მომზადება. ტოპოგრაფების გარდა ტექნიკურ თანამშრომელთა ნაკლებობაც უდაოდ დიდი იქნებოდა და აი ასეთი ტექნიკური პერსონალის მოსამზადებლად მოწყობილი იყო სამიჯნაო სკოლასთან საკვირაო სკოლა, სადაც წერა-კითხვას და ანგარიშს სწავლობდნენ მოსწრებული ვაჟაკებიც¹.

აი სწორედ ამ პერსონალისათვის იყო ნავარაუდვე მიზ. ყიფიანისა და ვახტურელაშვილის არითმეტიკა.

¹ ეს სკოლა ახვე დროს იყო ტფილისში პირველი საკვირაო სკოლა, დაარსებული 1859 წ., რომელიც ორ განყოფილებას შეიცავდა: ქართულსა და რუსულს; ქართული განყოფილება თავის წხრიც ორ ჯგუფად იყო დანაწილებული: „ტუხუშეკებისა“ და „არატუხუშეკებისა“ ჯგუფად. „ტუხუშეკების“ ჯგუფს ამეცადინებდა სამიჯნაო სკოლის მასწავლებელი დიმ. გიორ. სიღამონერისთავი. იხ. ვახტ. თულაშვილის წერილი: „О первой воскресной школе в Тифлисе“ („Новое Обозрение“, 1901 г. № 5617).

მაგრამ საკითხავია: ვინ იყენენ ეს მიხ. ყიფიანი და ვახტანგ თულაშვილი? ორივენი სპეციალობით ტოპოგრაფები იყვნენ, ერთმაც და მეორემაც სწავლა მიიღეს კავკასიის სამიჯნაო სკოლაში¹ და აქ განათლების დამთავრების შემდეგ ორივენი, როგორც სპეციალისტები, სამიჯნაო საქმეში ჩაებნენ; ამიტომაც ცხადია, რომ სხვებზე უფრო მეტად და აქტუალურად ესენი იქნებოდნენ დაინტერესებულნი რაც შეიძლება კარგად და მალე მოემზადებინათ თავიანთი ყოველდღიური მუშაობისათვის ევროპულ საჭირო დამხმარე ტექნიკური პერსონალი; ყიფიანიც და თულაშვილიც ღარიბი აზნაურშვილები იყვნენ, და თუ შემდეგში ორივეს ჩვენ მოწინავე ქართველ მოღვაწეთა რიგებში ვხედავთ, ამაში ერთგვარი წილი უდევს მათ ასეთს სოციალურ ფიქარებას. ხნითაც ყიფიანი და თულაშვილი ტოლები იყვნენ: ყიფიანი დაბადებულია 12/IV 1833 წ., თულაშვილი—6/XI 1834 წ. ორივენი ცხოვრების ასპარეზზე გამოვიდნენ 60-იან წლების დასაწყისში, სწორედ იმ ხანებში, როცა ფეოდალური წყობილებასტორიას ბარდებოდა და მის ნაცვლად ახალი ხანა იწყებოდა რუსეთისა და კერძოდ საქართველოს ხალხის ცხოვრებაში. მესამოციანეთა თაობის ეს წარმომადგენელი ყიფიანი და თულაშვილი მხარში ამოუდგნენ იმ თაობის მებაირალტრეს ილია ჭავჭავაძეს და მასთან ერთად მხურვალე მონაწილეობას იღებდნენ როგორც სამწერლობო სარბიელზე: (ორივენი აქტიურად თანამშრომლობდნენ ილ. ჭავჭავაძის „საქართველოს მოამბეში“), ისე ყოველნაირ საზოგადო საქმიანობაში: წერა-კითხვის საზღვის დაფუძნებაში, ბანკის დაარსებაში, სახალხო სკოლების გახსნაში, სტამბის მოწყობასა და სხვა ამგვარში².

ცოდნით აღჭურვილები ყიფიანი და თულაშვილი სამსახურში მალე დააწინაურეს. „Записки Кавк. отд. Рус. географического об-ва“ მე-VI წიგნში, სადაც მოთავსებულია კავკასიის სამიჯნაო პალატის ანგარიში, ჩვენ შემდეგსა ვკითხულობთ:

„Некоторые межевые чиновники, ссылаясь на прежние чины и должности, сочли себя вправе помогать высших назначений. Межевая Палата приняла за правило: не останавливаясь на внешних преимуществах чинов и званий, назначать на высшие должности по межеванию только тех чиновников, которые представляли бы наиболее гарантии знания, трудолюбия и добросовестности. Опыт настоящего года вполне утвердил Палату в необходимости принятой системы назначений и она неуклонно будет следовать ей и в будущее время, подвергая все более и более строгой сравнительной оценке труды и достоинства всех и каждого, с тем чтобы высшее положение каж-

¹ მიხ. ყიფიანმა პირველდაწყებითი სწავლა მიიღო გორის სამხარო სასწავლებელში. თულაშვილი მიიღეს ქ 1847 წ. 37-ტე მოწაფედ „(Кавказ“ 847 г., № 13, стр. 4.

² „1864 წ. მიხ. ყიფიანმა ხვათა მორის მედგენა სტუფანე მელიქოვის სტამბისათვის ეგრეთწოდებული ევნის ბრაფტი-“ო, წერს გ-გ („ივერია“, 811 წ. № 8). „ნოვოე ობოზრენიე“ (811 წ. № 2477) უფრო აკონკრეტებს ამ ცნობას: „Им же был придуман и начерчен шрифт. весьма быстро приобревший гражданство в грузинской печати под названием „меликопского“.

ДОГО межевого чиновника было бы и истинным выражением его действительного превосходства“¹.

მართლაც ყიფიანიც და თულაშვილიც დანიშნულ იქმნენ მალე ტფილისის საოლქო სასამართლოს სამიჯნაო ნაწილის წევრებად, ამათვან მიხ. ყიფიანი 1871 წ. დანიშნულ იქმნა თერგის ოლქში სამიჯნაო ნაწილის მმართველად იმ დროს, როცა თერგის ოლქის უფროსად ითვლებოდა გრაფი ლორის-მელიქოვი, და ამ თანამდებობაზე იგი დარჩა 20 წლის განმავლობაში უცვლელად. გარდაიცვალა გულის დამბლისაგან 1891 წ. 2 მარტს.

ვახტანგ თულაშვილის მოღვაწეობა ყოველთვის საქართველოს საზღვრებში მიმდინარეობდა და ამიტომ მისი როლი ქართველობაში უფრო საჩინო იყო: სასამართლოს წევრობას მან იძულებით დაანება თავი, რადგან სასამართლოს თავმჯდომარესთან საზოგადოებრივ ნიადაგზე უსიამოვნება ჰქონდა; ამის შემდეგ ის იყო ახალციხე-ახალქალაქის მახრებში მომრიგებელ შუამავლად. მერე ავადმყოფობის გამო ამასაც თავი მიანება და აქტიურად ჩაება ქართულ საზოგადოებრივ საქმიანობაში: მეცადინეობდა თეატრისათვის, იყო სათავად-აზნაურო ბანკის სამეთვალყურეო კომიტეტის წევრი-მდივანი, იღვწოდა ქართულ სათავად-აზნაურო სკოლის, შემდეგში გიმნაზიად გადაკეთებულის, დაარსებისათვის, მისთვის საკუთარი შენობის (ახლა რომ უნივერსიტეტია) ასაგებად და სხვა. გარდაიცვალა 1910 წ. 9 დეკემბერს და არა 1911 წ., როგორც ეს შეცდომით აღნიშნული აქვს განსვენებულ სიმონ ზუნდაძეს².

ორივემ—მიხ. ყიფიანამც და ვახტ. თულაშვილიმაც—განსაკუთრებული სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურეს. სამწუხაროდ პრესაში თულაშვილის შესახებ ცნობები ნაკლებად მოიპოვება და, რაც არის, ისიც ზერელედ და გაკვირვითაა მოცემული, რის გამო მათზე დამყარება არ შეიძლება. სულ სხვა მდგომარეობაა მიხ. ყიფიანის მიმართ. მისმა მოულოდნელმა და უცაბედმა სიკვდილმა ღრმა და მწვავე მწუხარება გამოიწვია როგორც კავკაეში (ახლანდელ ორჯონიკიძეში), ისე ტფილისში.

ნეკროლოგის ავტორი, გ—გ ასოებს ამოფარებული, ზუსტ ცნობებს იძლევა მის განვლილ ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ, და თავის გულთბილ წერილს ასეთი სიტყვებით ათავებს: „მიხ. ყიფიანმა დასტოვა ოზლად და მგლოვიარედ იქ თავის დიდად-ნაამაგვეი კავკაეის ქართული სკოლა და აქ ის მცირე დასი ქართველ მოღვაწეთა, რომლის მხნე და დაუღალავი წევრი იყო განსვენებული“³. ივერიის ერთ-ერთ ამის მომდევნო №-ში (53) მოთავსებულია ვრცელი კორესპონდენცია ვინმე ლახარიძისა სათაურით: „წერილი კავკაეიდან“, სადაც დაწერილებით მოთხრობილია, თუ როგორ გამოემშვიდობა კავკაეი თავის მოამაგეს, როცა მის ცხედარს ტფილისში ისტუმრებდნენ დიდუბეში დასაკრძალვად, მოყვანილია სიტყვა მისი თანამოსამსახურის ი. ფ. მალიაეკინისა და ლექსი ოს პოეტის კოსტა ზეთაგულისისა (1859—1906), რომლითაც იგი გამოემშვიდობა ყიფიანს

¹ VI кн. Записок, Смесь, 29-30 стр.

² გიორგი წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. I, ტფ. 1931 წ., გვ. 407, სქოლიო პირველი

³ ივერია, 1891 წ. № 48.

რუსულად და ოსურად. რადგან ეს ლექსი მეტად ნიშნობლივად ახასიათებს ყიფიანს, როგორც: პიროვნებას, ზედმეტი არ იქნება მოვიყვანო იგი აქ. მთლიანად

Умер!.. О, это холодное слово
Скорбью звучит безпределной для нас!
Умер.. и ты, обездоленный снова,
плачешь и стонешь, родимый Кавказ!
Да, потерял ты достойного сына!
Все, что ты нашей земле завещал
в образе скромном простого грузина,
все незабвенный наш брат совмещал.
Много ль их было, способных народу
также всецело отдаться, любя,
также бороться за нашу свободу,
светоч познания в сакли внося?!

Нет, их немного. И эту потерю
наши потомки припомнят нераз..
Плачь!.. Я в грядущее наше поверю
слушая плач твой, родимый Кавказ!¹

მაგრამ უფრო ბევრის მეტყველი და გრძნობით აღსავსე იყო ილია ქავჭავაძის წერილი, რომელიც დაიბეჭდა „ივერიის“ იმავე 53 №-ში ყიფიანის დაკრძალვის დღეს, საიდანაც ჩვენ მხოლოდ ორიოდ აღვიღეს მოვიყვანთ. „რაც გინდა პატარა იყოს სამშობლო ქვეყანა,—ამბობს ერთი ჭკვიანი კაცი,—პატიოსანს გულში დიდი ადგილი უჭირავსო“, და აი, ჩვენდა საუბედუროდ, წუთისოფელმა კუბოთი მოგვყავნა კარ. წინ ის პატიოსანი კაცი, რომლის პატიოსან გულშიც ჩვენს პატარა სამშობლოს არამც თუ დიდი, მთელი ადგილი ეჭირა. სიყვარული ეს ბევრისათვის არის, არამედ იგი იყო დაუღალავი ღონე ვარჯისა და მხნობისა. იგი აღამებდა დღეს და ათენებდა ღამეს იმ უნაგარო ზრუნვით, იმ სიყვარულიან გულის ტკივილით, რომ რთიმე გვარგოს, რაიმე შეგვიძინოს“-ო.

შემდეგ ქავჭავაძე იგონებს, რომ სიკვდილის წინ ორიოდ დღით ადრე ყიფიანმა მოიწერა ტფილისში: სტეფანწმინდაში სკოლას ვაპირებთ, ბავშვებს წიგნები დაუფრიგეთ და დიდად გაეხარეთ პატარა მოხევენიო და დასკვნის: „სიტყვა აქ იმაში კი არ არის, რომ პატარა მოხევენი გაახარა, იმაშია, რომ თვით გააზარებია ბავშვების სიხარული, იმიტომ, რომ ვისაც იგი მაღლი ღეთისა არა აქვს, რომ სხვის სიხარულით გაიხაროს, სხვის სიხარულს ვერც შეამცნევს, ვერც აღიბეჭდავს“-ო... და ბოლოს: „იგი იყო იმისთანა კაცი, რომელსაც, ინდოელუბის არ იყოს, დაბადების დღესვე ბედი ასე აკურთხებს და დღეოცავს ხოლმე:

¹ ეს ლექსი აქ ციტირებულია იმ რედაქციით, როგორაც დაიბეჭდა მომდევნო წელს ბროშურაში: Памяти Михаила Зааловича Кипиани. Владикавказ, тип. областн. правления герской области, 1892 г., стр. 21; ეს რედაქცია „ივერიის“ ტექსტისგან ოდნავ განსხვავებულია.

და უმცროსი ბიძაშვილი ნიკოლოზ დიმიტრის-ძე ყიფიანი. ნებიერ და საყვარელ ზაეშეს დიმიტრისას—ნიკოს—გარს ენეიენენ მასწავლებლები და გუგერნიორებრ, რომლებიც სხვადასხვა საგანსა და ენას ბეჯითად ასწავლიდნენ მას; მაგრამ არა გამოდიოდა-რა. ბოლოს დიმიტრიმ თავისი ვაჟი ჩააბარა თავისი ბიძაშვილის (ზალიკას) ახალგაზრდა და გამოუცდელ შვილს—ჩვენს მიხაკოს. პირველი გაკვეთილი გეოგრაფიაში მქონდაო,—იგონებს ნიკო ყიფიანი,—ისე გამიტაცა მისმა თხრობამ დედა-მიწის და საერთოდ პლანეტების ტრიანლის შესახებ, რომ სულ ვეხვეწებოდი—კიდევ მიამბეო და როცა წასვლისას მითხრა: „ამ საღამოს მოვალ და თუ ეს ღრუბლიანი არ იქნება, ზოგიერთ პლანეტებს გაჩვენებო“, მე სულ იმას ვევედრებოდი ღმერთს, რომ მალე დაღამებულიყო და ცაც არ მოღრუბლულიყო. გეოგრაფიის სწავლებისას ისე ცოცხლად მიხატავდა ცალკალკე ქალაქების სურათსა, კერძოდ ჰოლანდიის ქალაქი ბროკი (Broek) ისე ცხადად და-მიხატა, რომ როდესაც მე ოციოდე წლის შემდეგ ნამდვილად მომიხდა ამ ქალაქში ყოფნა, მე იგი ნაცნობ და ძველად ნანახ ქალაქად მივიჩინეო. ამიტომაც იყო, რომ როდესაც მიხაკოს ასეთი მეცადინეობის შემდეგ ნიკომ სერიოზულად მოჰკიდა ხელი და უწინ უმაღლესი მასწავლებლები ეხლა კმაყოფილებას აცხადებდნენ დიმიტრის წინაშეო, ის (ე. ი. დიმიტრი) ყოველთვის აღტაცებით შემოსძახებდა ზოლმე: ჯან ჩემს მიხაკოსაო! დამცვიფრებული ამით დედას შევეკითხე: მამაჩემი რატომ სულ მიხაკოზე ამბობს ჯან, ჯანსა და არა სხვა მასწავლებლებზეო? დედამ მომიგო: იმიტომ, შვილო, რომ თუ არ ჩვენი მიხაკო, შენ ისევ კვლავინდებურად არას ისწავლიდი ხალისითაო!

მიხ. ყიფიანი რომ მართლაც ბუნებით უხვად ყოფილა დაჯილდოებული კარგი პედაგოგის ნიჭით, ამას ეხედავთ იმ წინასიტყვაობაში, რომელიც მან წაუძღვანა თავის გეომეტრიის პირველ ნაწილს 1886 წ. (თუმცა წიგნი გვიან გამოიცა, 1888 წ., ცენზურის ვიზა კი დათარიღებულია 1889 წ. 24/III-ით). აი რასა წერს აქ ყიფიანი: „ვის არ ახსოვს ჩემს ტოლსა, ის უწინდელი ცუდი ჯამი, როდესაც სასწავლებელში წასვლა ემსგავსებოდა იმ გულსაკლავს და საშიშნელ წამს, როცა განტყუნიებული ბრალდებული მიჰყავდა დასასჯელად. რაღაო, იკითხავთ?—მხოლოდ იმიტომ, რომ ოსტატის ენა არ გვესმოდა. იმ დროში სიტყვა „გეომეტრია“ იყო ჩვენთვის უბედურების მომნიჭებელი,—ესეც იმ მიზეზით, რომ თითონ ოსტატსაც არ ესმოდა ის მეტოდური გეომეტრია, რომელსაც ჩვენ ვვასწავლიდა. ამას მოვასწავნებთ გორის სამაზრო სასწავლებელზედ. ნაკვთვდ ერთი ასოს მაგიერად მეორე ასო რომ დაგვესვა, თითონ ოსტატსაც დაუბნეოდა თავგზა და ჩავარდებოდა დიდს ქირებებაში, მაგრამ გონიერი ადამიანი რომ

ძველი არ მოგვეპოება. ჩანს, რომ ეს შეცდომა კაცაველ რედაქტორ-გამომცემლებსა, რომელთაც თავის სათუთად გამოცემულ memento-ში 1911 წელს 10 მარტს, დღის 1-ლ საათზე, მიხ. ყიფიანის დასაფლავებისას, კ. ყიფი ნს ათქმევინეს ის, რაც არ უთქვამს და რასაც „ივერის“ შკითხველები იმ დღიდანვე უკვე იცნობდნენ, როგორც ვახუთის მეთაურსა. ან იქნებ ეს მეთაური მართლაც კოტე ყიფიანს ვკუთვნის, ხოლო ილიამ ისე საფუძვლიანად „გააშალა ზინა“, ისე ძალუმიდ დასვა მას თავისი სტილი-ს ბეჭედი, რომ არტემ ახნაზაროვი და თედო სახოკია, რომელთა ცოწმობით ინფოროყვა და აბაშელი წერლის ილიას აკუთვნებენ, შეცდომაში შევიდნენ? ილია ჭავჭავაძის შემოქმედების სპეციალისტებს მართებთ ამ კითხვის ეჭვიმოუტანელად გარკვევა!

¹ „კვალი“ 1893 წ. № 15.

დაუფიქრდეს, რა არის ძნელი გეომეტრიის სწავლაში, თუ კი სახელმძღვანელო წიგნი ხეირიანად არის შედგენილი“ო.

ცოტა ქვემოთ ყოფიანი წერს: „რადგანაც ამ გეომეტრიის უმეტესი ნაწილი შეადგენს ნაკეთირობის—პრაქტიკულს გეომეტრიას, ამისათვის აუცილებლად საჭიროა მოსწავლემ იქონიოს ფარგალი (კარაკინი), რეისფედერი, სახაზავი (ლინეიკა) და კარანდაში; სტერეომეტრიაში—სქელი ქაღალდი (კარდონი) სხეულების დასაწებებლად; უმდაბლეს გეოდეზიაში თავთავის შესაფერი იარაღები და ტრიგონომეტრიაში ლაგარითმული ტაბლიცები“.

„დიდად შემცოდნეულია ის,—განავრძობს ყოფიანი,—ვინც შევირდს არ ვაიყვანს მინდორში და იქ არ აჩვენებს გეომეტრიის ყოველ ასახსნელებსა და ნაკვთებს! ზამთარში შეიძლება იგივე აჩვენოს ოთახში იატაკზე, ფიცარზე ან სტოლზე, სადაც რამდენიმე ქინძისთავი და რამდენიმე არწმინი ძაფი ძალიან ადვილად დაიჭერენ ჯაჭვისა, თოკისა და პალოების ალაგსა“.

კიდევ ერთი ადგილი იმავე წინასიტყვაობიდან: „მე ვზნაობ ამ ქართულს ასოებსა (წერტილების აღსანიშნავად), რადგანაც გეომეტრიას ვამზადებ ისეთ ქართულსათვის, რომელმაც ქართულის მეტი არა იცის—რა“.

ეს ამონაწერები საკმაო სიცხადით გვისურათებენ მიხ. ყოფიანის, როგორც საღად მოაზროვნე პედაგოგის, ფიზიონომიას. ამიტომ არც ვასაკვირია, რომ სამშობლოს და მოზარდი თაობის გულწრფელად მოყვარულმა მის. ყოფიანმა ბევრი იშრომა ქართველების სწავლა-განათლებისათვის და თავის სახელის უკვდავსაყოფად დავეტიოვა რიგინი,—მეტი რომ არა ეთქვა არასპეციალისტმა,—მათემატიკური სახელმძღვანელოები იმ დროს, როცა საამისო პრეზუმცია თითქმის არ არსებობდა.

მინ. ყოფიანის პირველი ნაშრომი, რომლის თანავეტორად ვახტანგ თულაშვილიც იყო, არ წარმოადგენს საესებით ორიგინალურ შრომას. როგორც მის თავფურცელზედგვა წარწერილი, იგი ქართულად ნათარგმნია უფ. ფოგელის არითმეტიკიდან და მათ მიერ მხოლოდ რამატებულია. მაგრამ ყოფიან-თულაშვილს უდაოდ დიდი შრომა აქვთ გაწეული ტერმინოლოგიის ანუ, როგორც თითონ წერენ, „ტეხნიკურ სიტყვათა“ დადგენის მხრივ. მართლაც აქ მოყვანილია მხოლოდ 25 „ტეხნიკური სიტყვა“, რომელთა ქართული შესატყვისები მე შევადარე თანამედროვე ჩვენს ტერმინოლოგიას, მათემატიკაში რომ მიღებულია სატერმინოლოგიო კომისიის დასტურით, და აღმოჩნდა, რომ 25 სიტყვიდან 18 იხმარება დღესაც ისევე, როგორც ეს შემოიღეს ყოფიან-თულაშვილმა, რაც უდაოდ მათ სასარგებლოდ ლაპარაკობს¹.

ტერმინოლოგიის მხრივ ყურადსაღებ შრომებს წარმოადგენენ საკუთრივ მინ. ყოფიანის შემდგომი სახელმძღვანელოები არითმეტიკისა და გეომეტრიისა. მისი ნეკროლოგიის ავტორი გ—გ წერს, რომ „განსვენებულმა ბევრი შრომა გასწია სამათემატიკო ტერმინების მოსაპოვებლად. ამ აზრით გადათვალეგრა თუ რამ სამათემატიკო შინაარსის ძველი ხელთნაწერი მოიპოვებოდა „წ. კ. სან-ბის“ წიგნთსაცავში და იქილამ ამოკრიბა გამოსადეგი ტერმინები“.

მართლაც, ჩვენ ვხედავთ, რომ ამათუიმ ტერმინის გარშემო ყოფიანს საკმაო შრომა ჩაუტარებია. მაგ., ერთ ადგილას წერს: „შუა წერტილსა ჰქვიან ბერძნუ-

¹ იხ. სქოლიო 167 გვერდზე.

ლად კენტრონი, ლათინურად ცენტრი და ქართულად ცქიტი. ქართველთა უწინდელს დროში, ბერძენთა გავლენის დროს, უხმარიათ ბერძნული სიტყვა კენტრონი, მაგრამ თავისებურად გადაუკეთებიათ და დაურქმევიათ კენტრონი“-ო. ან კიდევ: „იმ ადგილას, რაც წრეს უჭირამს, ქართულად ჰქვიან წრის სიფრიახა“-ო (გვ. 20) „უფ. გიორგი თარხანი, რომელსაც 1725 წ. შეუდგენია თოფხანის ანგარიში, უწოდებს ხაზს ბოძთაღარსა“ (გეომეტრ. 24 გვ.) და სხვ.

მაგრამ დაუბრუნდეთ ისევ ჩვენს არითმეტიკას. ეს პატარა წიგნაკი შეიცავს უწინასიტყვაოდ სულ 90 გვერდს და გაყოფილია 15 თავად.

1-ლ თავში მოცემულია განმარტება საგნის, ერთეულის და რიცხვის; მეორე თავში „წარმოება პირველი ცხრა რიცხვისა“, არსებითად მიმატება 9-ის ფარგლებში; მე-3 თავში წარმოდგენილია დაშლა ან დარღვევა პირველი ცხრა რიცხვისა, ე. ი. გამოკლება ისევ 9-ის ფარგლებში; თავი მე-4 ვეაძლევს ახსნას რიცხვის რიგებისა და იმათი წარმოებისას; აქ განმარტებულია მეათე ნიშანი 0 და მისი მნიშვნელობა რომელიმე ციფრის მარჯვნივ მოწერისას; მაგ., 1-ს რომ 0 მიეწეროს, იქნება 10; თუ ორი 0 მიეწერება—ასი, თუ სამი—ათასი; მეხუთე თავში ახსნილია რიგების შეერთება; მე-6-ში მრავალნიშნა რიცხვების შეკრება; მე-7 თავში ეხებავთ გამოკრებას როგორც ერთნიშნა რიცხვისას, ისე მრავალნიშნა რიცხვებისას. მე-8 თავში მოცემულია გამრავლება, გამრავლების ან

აი თითონ ტერმინებიც. ხაზი (—) აღნიშნავს, რომ სატერმინოლოგიო კომის მიღებულია-ლი აქვს ყოფიან-თულაშვილისეული სათანადო ტერმინები.

	ყოფიან-თულაშვილისა	სატერმინოლოგიო კომისისა
1. Вычитаемое	1. გამოსაკრები	მაკლები
2. Вычитание	2. გამოკრება	გამოკლება
3. Деление	3. გაყოფა	—
4. Делимое	4. გასაყოფი	—
5. Делимость чисел	5. რიცხვით-განყოფილება	გაყოფადობა
6. Делитель	6. გამყოფი	—
7. Десятичная дробь	7. ათწილადი ნაწევარი	ათწილადი, ათეულობითი წილადი
8. Десяток	8. ათეული	—
9. Дробь	9. ნაწევარი	—, წილადი
10. Единица	10. ერთეული	—
11. Множимое	11. სამრავლი	—
12. Множитель	12. მამრავლი	—
13. Остаток	13. ნაშთი, დანარჩენი	—(ნაშთი)
14. Проверка	14. შემოწმება	—
15. Произведение	15. ნაწარმოები	—, ნამრავლი
16. Простое число	16. მარტივი რიცხვი	—
17. Слагаемые числа	17. რიცხვითი შესაკრებნი	—, საკრები
18. Сложение	18. შეკრება	—
19. Сложное	19: რიცხვი შერთული	რთული
20. Сотня	20. ასეული	—
21. Степень	21. ხარისხი	—
22. Сумма	22. ჯამი, ჯამი	— ჯამი, ნაკრები, თანხა
23. Уменьшаемое	23. შესამცირი	საკლები
24. Умножение	24. გამრავლება	—
25. Частное	25. კერძობითი	განყოფი, ნაწილადი.

პითაგორეს ფურცლითურთ (ე. ი. პითაგორეს ტაბულით); მე-9 თავში წარმოდგენილია ვაყოფა როგორც პირველი ათეულის ფარგლებში, ისე მრავალნიშნა რიცხვების ფარგლებშიაც; აღსანიშნავია, რომ ამ თავში მოყვანილია ისეთი მაგალითები, რომელნიც არ იყოფა უნაშთოდ, მაგ. $3725 : 40 = 93 \frac{5}{8}$ ანუ $93 \frac{1}{8}$, როგორც წიგნში მოყვანილი, როცა არც წილადის თუ ნაწიერის კვეცა (сокращение дроби) და საერთოდ არც ნაწიერება განმარტებული. თითქოს ასეთი შეუსაბამობა თიფონ ავტორსაც უგრძენია და ამიტომ იქვე, იმავე მეცხრე თავში, იძლევა განმარტებას ნაწიერისას როგორც მარტივისას, ისე ათწილადისას და მათ დამწერლობას; შემდგომი (მე-10) თავი იძლევა რიცხვთა განყოფილების ანუ, თანამედროვე ტერმინოლოგიით, ვაყოფადობის (делимость чисел) განმარტებას; მე-11 თავში ვხედავთ უკვე არითმეტიკულ მოქმედებათა შემოწმებას (მიმატებისას გამოკლებით, გამოკლებისას მიმატებით, ვაყოფისას გამრავლებით, გამრავლებისას ვაყოფის საშუალებით); მე-12 თავში, რომელსაც სათაურად „დასკვნა“ უწერია, მოცემულია განმარტება უკვე კვადრატისა და კუბისა. იქვე რატომღაც ვხედავთ აგრეთვე ხუთ, ექვს, შვიდს და მეტნიშნა რიცხვების გამოთქმის ახსნას, ყოველ სამი ციფრის ერთი მეორისაგან მძიმეთი ვაყოფის ხმარებას, რაც გამოთქმას აადვილებს; მე-13 თავში, რომელიც, უდაოა, ფოგელის ნაღვანს არ წარმოადგენს, არამედ ყიფიან-თულაშვილს ეკუთვნის, მოცემულია რუსული და ქართული ზომა-წონის შესაფარდებელი ფურცელი, ამოღებული ხანიკოვის მეტად საინტერესო და ვრცელ ნარკვევიდან, 1852 წ. „კავკასიის კალენდარში“ რომ იყო დასტამბული. შემდეგ ამას მისდევს მე-14 თავად გამოსაცნობი კითხვანი და ამოცანები, რიცხვით სულ 49, არითმეტიკის ოთხივე მოქმედებაზე. უკანასკნელს, მეთხუთმეტე თავს (ყოველ შემთხვევაში სარჩევში ეს ცალკე მეთხუთმეტე თავიდაა მოცემული) წარმოადგენს ახსნა ანუ ჩვენებურად პასუხი იმ 49 მაგალით-ამოცანისა, რომელიც წინა თავშია მოცემული.

აი მოკლედ ასეთია პირველი ქართულად დაბეჭდილი არითმეტიკა. ეს გარეგნობით მეტად ბაწია წიგნაკი, როგორც უკვე მოვიხსენიეთ, საკმაოდ დიდ მოვლენას წარმოადგენდა თავის დროზე, ვინაიდან ის იყო პირველი დაბეჭდილი ქართული არითმეტიკა; ამ წიგნაკის საშუალებით შეეძლო სწავლა-მოწყურებულსა და ოფიც. სკოლის ვარეშე მყოფ მოზარდ ქართველობას ავად თუ კარგად დაეკმაყოფილებინა საარითმეტიკო ცოდნის შეძენის წყურვილი. მაგრამ თვალსაჩინოდ კი გაუადვილებდა მას შრომას? იოლად დასძლევა ის არითმეტიკულ წესებს ამ წიგნაკის მოშველებით? ფიქრობთ, რომ არა. და ეს იმითომ, რომ რაღაც 90 პაწია გვერდზე მოცემულია არითმეტიკის ოთხივე მოქმედება არა მარტო ათეულის ფარგლებში, არამედ ათასების საზღვრებსაც გადაცილებული მანაბულაციები, აქვე მარტივი წილადიც (ნაწიერაცი), ათწილადიც, კვადრატიც, კუბიც და სხვა. მერე ყველაფერი ისე სქემატურად და მოკლედ არის წარმოდგენილი, რომ ამ წიგნაკის გამოყენება მასწავლებლის დაუხმარებლივ მოსწრებულ ვაჟაკებსაც გაუძნელდებოდათ, არა თუ ბაწია მოწაფეებს. საზოგადოებრივი აზრიც წიგნაკის გამოცემის მეცხრე წელიწადს უარყოფითად აფასებს მას, რამდენადაც ეს ჩანს „დროების“ მოწინავე წერილის შემდეგ სიტყვებში: „უ. უ. ვ. თულაშვილისა და

მ. ყიფიანის არითმეტიკას მე არა ვთვლი, რადგან ის ისეთ დროს და ისეთიანად არის დაწერილი, რომ ახლა დიდის გაჭირვებით შეიძლება გამოიყენოს კაცმა“-ო¹. ალბად ამიტომაცაა, რომ თავის მეორე გამოცემაში მის. ყიფიანი 22 წლის შემდეგ გულმტკივნეულად შენიშნავს: „... ჯერ ჩვენ არ ვიცით არის წარმოებაში ის არითმეტიკა თუ არაო“ და იქნებ ამ პირველი ცდის სისუსტემაც ვალდებულყო ის, ხანგრძლივი შრომის შემდეგ, შემოეძღვნა „სოფლის მოზარდებისათვის“, როგორც თითონვე წერს თავის წინასიტყვაობაში, უკვე საკუთარი ორიგინალური ნაწარმოები, ზომითაც და მოცულობითაც პირველზე შეუდარებლივ მოზრდილი.

კიდევ ერთი კითხვა: რა მეთოდზეა აგებული ფოგელ-ყიფიანი-თულაშვილის არითმეტიკა? სამწუხაროდ, ფოგელის ორიგინალი ვერსად ვიშოვეთ, რის გამო შეუძლებელი შეიქმნა მისი ქართულ თარგმანთან შეჯერება, რაც უდაოდ სანტერესო სურათს მოგვცემდა თუნდაც მეთოდის მხრივ. არც ვიცით, როდისაა ის დედანი დაბეჭდილი. ყოველ შემთხვევაში გრუბებს მონოგრაფიულ მეთოდთან ანუ რიცხვთა შესწავლის მეთოდთან, რომელსაც რუსეთში პოპულარობა მოუხვეჭეს ი. პაულსონმა და ვ. ევტუშევსკიმ უკვე შემდგომ ხანებში, მას საერთო არა აქვს-რა. იგი უფრო უახლოვდება მეორე საწინააღმდეგო მიმართულების მეთოდს, რომელსაც მოქმედებათა შესწავლის მეთოდი ეწოდება და რომელსაც რუსეთში იცავენდენ გოლდენბერგი და სხვანი.

¹ „ქართულ სახელმძღვანელოებზე“ 1871 წ., № 8, ხაზი ჩენია-მ. ბ.

თ. ბეზიაშვილი

ქართლი ანა ჳვილისის სასულიერო სემინარიის 1859 — 67 წლები¹

სასულიერო სასწავლებლებს და საეკლესიო სკოლებს ხანგრძლივი ისტორია აქვს, როგორც საქართველოში, ისე რუსეთში.

ასეთი სასწავლებლების მთავარი დანიშნულება იყო აღეზარდა საეკლესიო მსახურებისათვის საჭირო კადრები მართლმადიდებელი ქრისტიანული მიმართულებით, რომლებიც თავისი პოლიტიკური მსოფლმხედველობით ერთგული დამცველი იქნებოდნენ თვითმპყრობელური წყობილებისა და ხალხშიაც ასეთსავე იდეებს გაავრცელებდნენ.

ასეთი სკოლები საქართველოში მრავლად არსებობდნენ უძველეს საუკუნეებიდანვე. თვით ტფილისში, საქართველოს სამეფოს უკანასკნელ წლებში, (XVIII საუკ.) ცნობილია სიონის, კალოუბნის, მეტეხის, ქაშუეთის, ანჩისხატის და სხვა სკოლები, სადაც ოთხასამდე მოსწავლე ითვლებოდა, და სადაც ასწავლიდნენ გრამატიკას, კატეხიზმოს, ისტორიას, ღვთისმეტყველებას, ზოგან კი ფილოსოფიასაც².

მეთვრამეტე საუკუნის სამოციან წლებში დაარსდა ორი სემინარია—ტფილისში და თელავში. ამ სასწავლებელთა მიზანი იყო აღეზარდა სპეციალური განათლების მქონე სასულიერო-საეკლესიო სარბიელის მოღვაწე. მათი სასწავლო გეგმა, სასწავლო საგნები, სასკოლო სისტემა და სხვ. ძალიან წააგავდა სხვა ქვეყნებში არსებულ სქოლასტიკურ სკოლებს. ანტონ I აზრით, ეს სკოლები უნდა ყოფილიყო მოსკოვის სლავურ-ბერძნულ-ლათინურ აკადემიის მსგავსი სასწავლებლები, მსგავსი თავისი მოწყობილობით და დანიშნულებით³. ანტონ I,

¹ ამ ნარკვევისათვის ვისარგებლეთ საარქივო მასალით, რომელიც გამოავლინა და შეკრიბა პედაგოგიკის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის სახალხო განათლების ისტორიის სექტორის დავალებით ვლ. ხიზანიშვილმა.

² Акты Кавк. археогр. ком. т I, გვ. 530, შეად. ებ. კირიონი „Краткий очерк истории Гruz. экзархата“, стр. 161

³ ებ. კირიონი „Краткий очерк истор. груз. экз.“, стр. 163.

რომელიც რუსეთში ცხოვრობდა, და მსახურობდა რამოდენიმე წელს, საფუძვლიანად გაეცნო იქაურ სკოლებს და მათი ტიპის გადმოტანა მოისურვა საქართველოში. ამიტომ ტფილისის და თელავის სემინარიები ძირითადად წააგავდნენ რუსეთის ამავე ტიპის სასულიერო-საეკლესიო სკოლებს. რუსეთის სასულიერო სკოლების ტიპი სასტიკად განსაზღვრული იყო სპეციალური დებულებით, „სასულიერო რეგლამენტით“, რომელიც გამოიცა პეტრე I დროს.

ანტონ I ინიციატივით გახსნილი ქართული სემინარიები მეტნაკლებად წააგავდნენ სასწავლო ხაზით და პოლიტიკური მიზანდასახულობითაც რუსულ სკოლებს. ამიტომ იყო რომ საქართველოს უკანასკნელი მეფეები—ერეკლე II და გიორგი XIII განსაკუთრებით ზრუნავდნენ ამ სკოლებისათვის: აძლევდნენ საკმაო თანხებს სამეფო ხაზინიდან, პირადად ნახულობდნენ ამ სასწავლებლებს და ხშირად უშუალოდაც ერიოდნენ მათ ცხოვრებაში¹.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, რუსეთის მეფის მთავრობა ცდილობს საქართველოში თავისი რეჟიმის დანერგოს ცხოვრების ყოველ დარგში და მათ შორის სწავლა-განათლების საქმეშიც. რუსეთის მთავრობა თავიდანვე რუსიფიკატორულ პოლიტიკას დაადგა. ყველა დაწესებულებაში წარმოება რუსულ ენაზე გადაიტანა, და ამგვარად საქართველოში პირველიდანვე სახელმწიფო ოფიციალურ ენად რუსული გამოცხადდა. ეს პოლიტიკა სკოლებსაც შეეხო. ამიტომ საქართველოში არსებული საეკლესიო სკოლები და მათ შორის ტფილისის და თელავის სემინარიებიც დაიხურა².

ახალი მთავრობა შეუდგა თავისი სკოლების გახსნას, სადაც სწავლება რუსულ ენაზე იქნებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ სკოლების გახსნა თავიდანვე მეტად ძუნწად სწარმოებდა. მთელ საქართველოსათვის განზრახული იყო ერთი სასწავლებლის დაარსება, ისიც „კეთილშობილთა“ შვილებისათვის.

1803 წლის 25 ივლისს უმაღლესი მთავრობის მიერ დამტკიცებულ იქმნა პროექტი ქართველ თავადაზნაურების შვილების სწავლა-აღზრდის და ტფილისში სასწავლებლის დაარსების შესახებ. ამ პროექტში ნათქვამია: „Из суммы, выручаемой за шелк с Чарской области, в день Грузии приносимой, отделить 10 тысяч рублей для учреждения училища в Тбилисе грузинского и российского языков двух классов, на первый раз на 25 питомцев, приходящих в училище, а по прошествии трех лет на 50 учеников“³. (ქარის ოლქიდან საქართველოს ხარკად შემოსულ აბრეშუმის საფასურიდან, გამოიყოს 10 ათასი მანეთი სასწავლებლის დასაარსებლად ტფილისში რუსული და ქართული ენების შესასწავლად, ორი კლასით, პირველად 25 მოწაფისათვის, ხოლო 3 წლის შემდეგ—50 მოწაფისათვის). მაგრამ ეს პროექტი უფრო საერთო განათლებას შეეხებოდა. მთავრობის პოლიტიკისათვის კი სასულიერო-საეკლესიო ხასიათის სასწავლებელი უფრო საჭირო იყო. და აი 1809 წლის 6 ივნისს საქართველოს მთავარმართებელი გენერალი ტარმასოვი სინოდის

¹ З. იოსელიანი „ცხოვრება მეფის გიორგი XIII-ისა“. შედ.ავ. კირიონი „Краткий очерк“, стр. 163.

² Акты Кавказск. археогр. ком. т II стр. 195.

³ Собр. Зак. Рос. Империи т. XXVII, № 20864.

ობერპროკურორს გალიცინს სწერდა: „საჭიროა საქართველოში დაარსდეს სასულიერო დიკასტერია და სასწავლებელი“¹. ტორმასოვის პროექტით ეს სასწავლებელი უნდა ყოფილიყო გიმნაზიად წოდებული, სადაც სასულიერო წოდების ახალგაზრდობა მიიღებდა განათლებას.

ტორმასოვის მიმართვაზე, სინოდმა დაადგინა: „სამღვდლო-საეკლესიო მსახურთა შეიღების სასწავლებლად და სასულიერო წოდებისათვის მოსამზადებლად, დაარსდეს პირველ ხანებში გიმნაზიის მაგიერ სასულიერო სემინარია“². მაგრამ მიუხედავად ოფიციალური დადგენილებისა, ვავიდა რამოდენიმე წელი და ასეთი სასწავლებელი ტფილისში არ გაუხსნიათ. როგორც ვთქვით, მთავრობა ძუნწობდა და დაპყრობილ ქვეყნებში სასწავლებელთა ქსელის გაფართოვებას ერიდებოდა, რადგან ეს სასწავლებლები, მართალია რუსულ ენაზე იმუშავებდნენ, მაგრამ ადგილობრივ მკვიდრთა განათლებას ასე თუ ისე მაინც ხელს შეუწყობდნენ.

საქართველოში რუსული სისტემის სასულიერო სწავლა-აღზრდის და კერძოდ ტფილისის სასულიერო სემინარიის (რუსული ტიპის) დაარსების ინიციატორი იყო საქართველოს პირველი (რუსთავანი) ეგზარქოსი თეოფილაქტე რუსანოვი.

რუსეთის თვითმპყრობელურმა მთავრობამ საქართველოს სამეფოსთან ერთად, გააუქმა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია. უკანასკნელი კათალიკოსი ანტონ II რუსეთში გადაასახლეს, ხოლო ეკლესიის მმართველად რუსი ეგზარქოსები ინიშნებოდნენ. პირველი რუსი ეგზარქოსი თეოფილაქტე ჩამოვიდა საქართველოში 1817 წელს. მისი ინიციატივით ამავე წლის 1 ოქტომბერს ტფილისში, დარის მონასტრის შენობაში გაიხსნა სასულიერო სემინარია.

უნდა აღინიშნოს, რომ ეგზარქოსი თეოფილაქტე საქართველოში მოსვლის პირველ დღიდანვე უხეშო პოლიტიკით შეუდგა თავის საქმიანობას. პირველიდანვე ახილად დაიწყო მან ქართული ენის დევნა. ასე, მაგალითად, ის დაინიშნა საქართველოში 1817 წლის 14 მაისს, ხოლო ამავე წლის 9 ნოემბერს შემდეგი ბრძანება გამოსცა: „კვირა დღეების, დღესასწაულების და საუფლისწულო დღეების გარდა, ამიერიდან სიონის ტაძარში ღვთისმსახურება უნდა იქნას შესრულებული რუსულ ენაზე ზემოთან ერთად რუსეთიდან ჩამოსული სამღვდლო და საეკლესიო მსახურების მიერ კვირაში სამ დღეს“.

ამგვარად საქართველოს რუსეთთან შეერთების 16 წლის შემდეგ თეოფილაქტემ აკრძალა ქართულ ენაზე წირვალოცვა საქართველოს დედაქალაქის იმ ეკლესიაში, რომელშიაც 1400 წლის განმავლობაში არც სპარსელებს, არც სხვა მუსულმანებს — არაბებს, მონღოლებს, თურქებს და სხვ. არ აუკრძალიათ იგი³. თეოფილაქტეს ზემოყვანილი განკარგულება, რომლითაც კვირადღეების, უქმედღეების და საზეიმო დღესასწაულების გარდა კვირაში სამ დღეს კიდევ რუსუ-

¹ Акты Кав. археогр. ком. т. II, стр. 140.

² Собр. Зак. Рос. Импер. т. XXXI, № 24696

³ პროფ. ივ. ჯავახიშვილი „Политическое и социальное движение в Грузии в XIX в. стр. 21-22.

ლად უნდა ყოფილიყო წირვალოცვა, ქართული ენის სრულ აკრძალვას ნიშნავდა ქართულ ეკლესიაში.

ამის შემდეგ ცხადია, თეოფილაქტეს მიერ დაარსებული სასულიერო სემინარია რა ხასიათისა იქნებოდა.

საერთოდ ყოფილ რუსეთის იმპერიაში სასულიერო სასწავლებლებს დიდი პოლიტიკური როლი ჰქონდათ დაკისრებული. მათ უნდა აღეზარდათ მოზარდი თაობა ეკლესიურ-მონარქიულ წყობილების ერთგულებაში. რელიგიური დოგმატებით ვაემართლებინათ ის საზიზრობანი, რომელიც მეფის ტახტთან იყო დაკავშირებული. „ცარიზმის და მისგან განუყოფელი მკვლელობის გამართლება სახარების სიმაღლიდან: ყველა ეს იყო არა მარტო სასულიერო, არამედ საერო სკოლაშიც... აი ის მძლავრი აპარატი, რომლითაც სამღვდლოება მუშაობდა და ვალდებული იყო ხალხისათვის თავს მოეხვია მისთვის მიუღებელი უქვე-შევრდომილესი გრძნობები“¹.

ასე ახასიათებს სასულიერო სასწავლებლებს ცნობილი საეკლესიო მოღვაწე. ტფილისის სემინარიასაც ასეთი მიზანდასახულება დაუდევს საფუძვლად, მხოლოდ იმ დამატებით, რომ ეს სასწავლებელი ამავდროს ყოფილიყო რუსული სულის გამტარებელი ადგილობრივ მოსახლეობაში. ამგვარად ტფილისის სემინარიას ორი მისია ჰქონდა დაკისრებული: ემსახურა მონარქიული წესწყობილებისათვის, მკვიდრად დაენერგა ხალხში მეფის ტახტის და თვითმპყრობელური რეჟიმისადმი ერთგულება და ხელი შეეწყო ქართველი ახალგაზრდობის ვარუსების პოლიტიკისათვის.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ტფილისის სემინარიამ თავისი ასი წლის არსებობის მანძილზე ვერ გაამართლა მთავრობის მიერ მასზე დამყარებული იმედები. საქართველოში არსებულ არც ერთ სასწავლებელს არ გამოუზრდია იმდენი ათვისტი, იმდენი პოლიტიკური და რევოლუციური მოღვაწე, რამდენიც ტფილისის სემინარიის კედლებმა. სემინარია აშკარად საწინააღმდეგო შედეგებს იძლეოდა. მოსწავლეების ის ნაწილი, რომელიც სწავლის დამთავრების შემდეგ მღვდლად მიდიოდა, მაინც და მაინც ვერც ის ამართლებდა მეფის მთავრობის იმედებს; თვით ქართველი ხალხის მორწმუნე ნაწილს ამ სემინარიიდან გამოსული მღვდლები არ მოსწონდა და ეჯავრებოდა.

ერთერთი მიზეზი ამ გარემოებისა ის იყო, რომ სემინარიაში კურსდამთავრებულებმა ზედნიწევით იცოდნენ რუსული ენა და ლიტერატურა, რუსული ისტორია და რუსულადვე საღვთისმეტყველო და ზოგადი განათლების საგნები. ხოლო ქართული ენა, ლიტერატურა და ისტორია — ნაკლებად. ქართულ სამრევლოებში სლავერ წიგნებზე აღზრდილი სემინარიელები, ქართულ საეკლესიო წიგნების კითხვას და წიოვლოცვის შესრულებას ძლივს ახერხებდნენ. მათი სურვილი იყო მეტი გამოჩენა და შემოსავალი ჰქონოდათ.

სემინარია, რომელიც თავის მიზნებით სრულიად უცხო იყო ხალხისათვის, უმეტეს შემთხვევაში აღზრდიდა ისეთ ელემენტებს, რომელნიც ხალხის ინტერე-

¹ А. Введенский. Церковь и государство, стр. 17.

სებისათვის ნაკლებ იქნებოდნენ გამოსადეგი. მართალია, სემინარიის მოწაფეთა კარგა საგროძნობი ნაწილი სულ სხვა გზას დაადგებოდა ხოლმე, ვიდრე ეს გათვალისწინებული იყო სასწავლო პროსპექტით. ეს ნაწილი თავისით ზრუნავდა თვითგანვითარებაზე, აარსებდა სხვადასხვა წრეს და ცხოვრებისათვის ღირსეულად ემზადებოდა. ამ ნაწილიდან გამოდიოდა ის თვალსაჩინო საზოგადო პოლიტიკური და მეცნიერული მოღვაწენი. მაგრამ ეს მხოლოდ ნაწილი იყო, უმრავლესობა კი სემინარიაში კურსდამთავრებულთა სავსებით იმსახურებდა ვაკე-ცხვას.

ამ უარყოფითი მოვლენის ერთერთი მთავარი მიზეზი ის გარემოება იყო, რომ სემინარია ამზადებდა ქართველი ხალხისა და ქართული სოფლებისათვის მუშაკთა კადრებს (საეკლესიო თუ საზოგადო სარბიელისათვის), ხოლო ქართული ენის, ლიტერატურის და ისტორიის სწავლება ამ სასწავლებელში ისე უხეიროდ იყო დაყენებული, რომ იქ ნასწავლი ახალგაზრდობა ქართული სინამდვილისათვის უსარგებლო რჩებოდა.

ტფილისის სემინარიაც, როგორც მთავრობის სხვა სასწავლებლები საქართველოში, გამარუსებულ პოლიტიკის ერთერთი იარაღი იყო. მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში რუსეთის თვითმპყრობელური მთავრობის კოლონიალურმა პოლიტიკამ მტკიცედ გაიდგა ფეხი ყოფილ რუსეთის იმპერიის ყველა დაბყრობილ ქვეყნებში. მაგრამ მეფის მთავრობას მთავარი იერიშები მაინც საქართველოსკენ მოჰქონდა. ამასაც თავისი მიზეზი ჰქონდა: ჯერ ერთი — საქართველო გეოგრაფიულად ისეთი პუნქტია, ურომლისოდაც თვითმპყრობელობას სრულებით არ შეეძლო მცირე და ახლო აღმოსავლეთში თავისი პოლიტიკის წარმოება; საქართველოს გარეშე რუსეთის ბურჟუაზიისათვის და მისი კაპიტალისათვის შეუძლებელი იყო „აღმოსავლეთის საკითხის“ გადაწყვეტა (დარდანელის სრუტე, კონსტანტინეპოლი და სხვ.). ეს საკითხი კი რუსეთის თვითმპყრობელობის საგარეო პოლიტიკაში ქვეკუთხედს წარმოადგენდა; მეორე — საქართველო ბუნებრივად იმდენად მდიდარია. რომ რუსეთის წარმოებისათვის ძვირფასს ნედლეულობის ბაზას წარმოადგენდა (ჩაი, თამბაქო, ნავთი, ღვინო და სხვა); მესამეც — საქართველო პოლიტიკურად საშიშვულკანს წარმოადგენდა, სადაც მკვიდრი მოსახლეობა თვითმპყრობელობის მუდამ უკმაყოფილო იქნებოდა როგორც ნაციონალურ, ისე საერთო პოლიტიკურ ნიდაგზე და ყოველი აჯანყება და რევოლუციური გამოსვლა პირველად მძლავრ გამოძახილს საქართველოში ჰპოვებდა¹. მთავრობაც, ხედავდა რა, რომ პოლიტიკურ მოძრაობაში წამყვანი როლი საქართველოს ჰქონდა ხოლმე, ცდილობდა ამ ქვეყნის „დასუსტებას, ან მის სრულიად გადაქართველებას, ე. ი. გადარჯულებას ან გარუსებას“².

¹ თ. ბეგაშვილი. „რუსეთის თვითმპყრობელობის კოლონიალური პოლიტიკა საქართველოში“ უფრ. „ისტორიული კრებული“ 1933 წ. გამოც. მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტორიული სექციისა.

² ფ. მახაიაძე. „საქართველო მეცხრამეტე საუკუნეში“. უფრ. „მნათობი“ 1926 წ. № 3, გვ. 198.

ამ პოლიტიკის გატარება თვითმპყრობელურმა მთავრობამ უფრო ინტენსიურად წარსული საუკუნის ორმოციან წლებიდან დაიწყო. 1844 წლიდან კავკასიაში რუსეთის ბატონობის ისტორიაში ახალი ეპოქა იწყება. ამ წლისათვის კავკასიის დაპყრობა ძირითადად მოთავებულ იყო. აქა-იქ ჯერ კიდევ დაუმყრობელი სახანოები თავის დამოუკიდებლობის უკანასკნელ დღეებს ღა ითვლიდნენ. ამიტომ მთავრობამაც კავკასიაში თავის პოლიტიკაში ცვლილება შეიტანა. ეს მხარე სანაშენიკოდ გადააქციეს, და მთავრობის ყურადღება უფრო სანაშენიკო საქმეებისაკენ გადაიხარა. ამ საქმის შესასრულებლად, კავკასიის ნამესტნიკად 1844 წელს ინიშნება მიხეილ ვორონცოვი,

„მის. ვორონცოვი მეტად გაქნილი და გაიქვერა მოხელე გამოდგა. მან თავისი პოლიტიკით მტკიცედ დაუმკვიდრა კავკასია რუსეთის თვითმპყრობელობას, მანვე უფრო ფართოდ მოჰქიდა ხელი ყველა დარგში კოლონიალურ პოლიტიკის გატარებას. საერთოდ ვორონცოვის ეპოქა საქართველოში ცნობილია იმით, რომ რუსეთის თვითმპყრობელობის ბატონობას მკვიდრი საფუძველი ჩაეყარა აქ. რუსული კაპიტალი მოწესრიგებულად იპყრობს შინაურ თუ საგარეო ბაზრებს; რუსული ბიუროკრატიაში მკვიდრდება მართვა-გამგეობის ყველა დარგში; რუსული ადამ-ზნე-ჩვეულება და ენა ფეხს იკიდებს საზოგადოების ყველა წრეში“¹. სასწავლებლებშიაც ამ დღიდან უფრო და უფრო იღვწება ქართული ენა. ქართული ენის სწავლება ზოგან სრულიად იკრძალება, ზოგან რჩება მხოლოდ იმ მოსახრებით, რომ მისი შემწეობით უკეთესად შეასწავლონ ადგილობრივ მკვიდრთ რუსული ენა.

ვორონცოვის შემდეგ ამ პოლიტიკამ მტკიცედ მოიკიდა ფეხი და ქართული ენის სწავლება სასწავლებლებში არაარაობამდე დავიდა. განსაკუთრებით სასულიერო სასწავლებლებში ამ ენის სწავლებას, სხვა რომ არა ვთქვათ რა მეტისმეტად არაპედაგოგიური ხასიათი ჰქონდა. ქართული ენის გაკვეთილებზე მასწავლებელი მოწაფეებს აკითხებდა სამღეთო წერილს და საეკლესიო წიგნებს და რუსულად ათარგმნიებდა, რომ მოწაფენი გავარჯიშებულიყვნენ რუსულ ენაში და რუსული სიტყვების მეტი მარაგი ჰქონოდათ. ამას აშკარად გვიჩვენებს ოფიციალური დოკუმენტები. მაგ., სასულიერო სასწავლებლის სარევიზიო ანგარიშებიდან ირკვევა, რომ ამ სასწავლებელში განსაკუთრებული ყურადღება მიქცეული ჰქონია რუსულ ენას და მის შეთვისებას. თელავის სასულიერო სასწავლებლის რევიზორი (რევიზია ჩატარდა 1865 წლის 16 ივნისიდან 20-დე), სწერს: „თანახმად მთავრობის მოწერილობისა, მასწავლებლები დიდ ყურადღებას აქცევენ მოწაფეთა გაწაფვას რუსულ ენაში; მაგრამ ამ ენის უკეთ გავრცელებისათვის სასურველი იქნება შემდეგი წესი, მოწაფეებმა სასწავლებელში ყოფნის დროს, როგორც ერთმანეთში, ისე მასწავლებლებთან, უშუალოდ ილაპარაკონ რუსულ ენაზე. ეს მით უმეტეს საჭიროა, რომ სკოლის ყველმებს გარეშე მათ რუსულად ლაპარაკი თითქმის არსად უნდებათ.“

გორის სასულიერო სასწავლებლის რევიზორი უფრო მეტს თხოულობს: „მასწავლებლები განსაკუთრებით ყურადღებას აქცევენ მოწაფეთა გავარჯიშებას

¹ თ. ბეკიაშვილი, ზემოდასახელებული ნაშრომი, გვ. 87-88.

რუსულ ენაში და მოწაფეთა წარმატებაც ამ მხრივ დამაკმაყოფილებელია; მასწავლებლები საკმაო დაეალებებს აძლევენ მოწაფეებს, რაც შემდგომში მდგომარეობს: თარგმონ მასალა რუსულ ენიდან ქართულად და ქართულიდან რუსულად, მოახდინონ სიტყვების და წინადადებების გრამატიკული გარჩევა და დასწერონ ისტორიულ მოთხრობათა წინაარსი; ასეთი ვარჯიში დაახლოებით თვეში რეგულერ იმართება¹.

როგორც რევიზორთა ანგარიშიდან ჩანს, ქართული ენის გაკვეთილები მასწავლებელში მხოლოდ რეგულერ ჰქონიათ თვეში. ეს გაკვეთილებიც უფრო რუსული ენის შესწავლას ემარებოდა, ვიდრე ქართულ ენას და მწერლობას, და ამრიგად ქართული ენის არსებობა მასწავლო გეგმაში მხოლოდ ფორმალური იყო.

ასეთივე მდგომარეობაში იყო ქართული ენა სასულიერო სემინარიაშიც. ამას გვიჩვენებს ჩვენ ჯერ ერთი გაკვეთილების ცხრილი სემინარიის თითოეულ განყოფილებაში: უმაღლეს განყოფილებაში იყო 43 კვირეული გაკვეთილი, აქედან ქართულ ენას დათმობილი ჰქონდა 1 გაკვეთილი; საშუალო განყოფილებაში იყო 43 კვირეული გაკვეთილი. ზოგიერთ წლებში ნაჩვენებია, რომ ქართულ ენას დათმობილი ჰქონია 1 გაკვეთილი, ზოგჯერ კი არცერთი, ხოლო 1865—67 სასწავლო წლის ცხრილში შეტანილია სამი კვირეული და ი.ე. ქართული ენისა; დაბალ განყოფილებაში ქართული ენისათვის სპეციალურად არ იყო საათები დათმობილი, ხოლო ქართული სიტყვიერების ისტორია მუშავდებოდა საერთო რიტორიკის და პოეზიის მასალასთან ერთად რუსულ ენაზე, ამ საგნისათვის დათმობილი იყო 9 კვირეული გაკვეთილი².

როგორც გაკვეთილების ცხრილიდან ჩანს, ქართული ენის მდგომარეობა მეტად სავალალოა, რადგან თითო საათი კვირაში, ანდა 9 საათი კვირაში სამივე განყოფილებისათვის, როგორც ეს შემოუღიანთ 1866—67 სასწ. წლიდან, ამ საგნის არარობამდე დაყვანას უდრის, მით უმეტეს, რომ გაკვეთილების ამ რიცხვში შედის ქართული საეკლესიო ენა, ქართული საეკლესიო კითხვა, საეკლესიო წიგნთა მოკლე ისტორიული მიმოხილვა და საეკლესიო გალობა³.

სემინარიაში ქართული ენის სავალალო მდგომარეობა და უხეიროდ სწავლება მართლაც გაკვეთილების სიმცირით არ ამოიწურება. მთავარი იყო ის, თუ იმ მცირე გაკვეთილებზედაც რას ასწავლიდნენ, ან რა სახელმძღვანელოებს ჩმარობდნენ ამ ენის შესასწავლად? ამის პასუხს ოფიციალურ დოკუმენტებში ვპოულობთ. მათი მიხედვით ირავება, რომ სემინარიაში მთავარი ყურადღება საეკლესიო წიგნების (კუთხოვანი ანუ ხუცური შრიფტით დაბეჭდილი) კითხვასა და გაგებას ექცეოდა. მასწავლო წლის განმავლობაში სამივე განყოფილებაში კითხულობდნენ საეკლესიო წიგნებს: დავითნი, ყამნი, ტიბიკონი და სხვ. 1860—61 და 1861—62 სასწავლო წლებში, როგორცა ჩანს, ქართული ენის მასწავლებლის საანგარიშო ბარათიდან: „ქართული საეკლესიო ენაში უმცროს განყოფილე-

¹ იხ. ტფილისის სასულიერო სემინარიის გამგებობის არქივი 1865 წ. საქმე №114. სასულიერო მასწავლებელში რევიზიის ჩატარების შესახებ მოხსენებები, გვ. 219—228.

² სემინარიის გამგებობის არქივი 1866—67 წ. საქმე № 179 „О распределении учебных часов“ გვ. 2-7.

³ იხ. იგივე საქმე გვ. 493—94.

ბის მოწაფეები ვარჯიშობდნენ დავითნის კითხვაში. უხსნიდნენ მათ ძველ ქართულ სიტყვებს. სწავლობდნენ აგრეთვე ცისკრის და მწუხრის წესებს ქართულ ენაში¹, უმაღლესი და საშუალო განყოფილებების მოსწავლენიც სწავლობდნენ საეკლესიო მსახურების წიგნებს. აღსანიშნავია, რომ იმდროს, როდესაც სხვა დისციპლინების პროგრამები ვრცელი მოცულობისა და გარკვეული შინაარსისაა, ქართული ენის პროგრამა რამდენიმე წინადადებისაგან შედგება, როგორც ეს შემოყვანილ საანგარიშო ბარათიდან სჩანს:

1864—65 სასწავლო წლიდან ქართული ენის სწავლების მდგომარეობა ცოტაოდნად გაუმჯობესდა და მოსწავლეებს საშუალება მიეცათ, გასცნობდნენ და შეესწავლათ ქართული ძველი ლიტერატურა და ზოგიერთი ისტორიული ძეგლები: ამის ნათელსაყოფად მოვიყვანთ ქართული ენის მოსწავლეების განმარტებით ბარათს:

„1864 წლის სექტემბრის ტრიმესტრის განმავლობაში ტფილისის სემინარიის უმაღლესი განყოფილების მოწაფეები ქართულ ენაში კითხულობდნენ ბატონიშვილი ვახუშტის ისტორიულ მატრიანებს, ჩახრუხაძის პოემას „თამარიანი“ და ყოველად სამღვდლო ვარლამის საუბრებს ფილოლოგიური გარჩევით“.

„უმაღლესი და საშუალო განყოფილების მოსწავლენი ქართულ ენაში კითხულობდნენ ქართულ ლიტერატურას, საქართველოს ეკლესიის წმ. მამათა შესაქმეთა ფილოლოგიური გარჩევით და ყოველად სამღვდლო ვარლამის მოძღვრებას.

დაბალი განყოფილების მოწაფეები კითხულობდნენ ღვთისმსახურების დროს სახმარ საეკლესიო წიგნებს... უმაღლეს და საშუალო განყოფილებაში მოსწავლენი ქართულად ადგენდნენ ქადაგებებს და საეკლესიო კათედრიდან წარმოსთქვამდნენ; სწერდნენ თხზულებებსაც მიცემულ თემებზე. დაბალ განყოფილებაში მოწაფეები კითხულობდნენ და გალობდნენ ქართულ საეკლესიო ენაზე სემინარიის ეკლესიაში და მახლობელ ეკლესიებში“.

უმაღლეს განყოფილებაში მოწაფეები აწარმოებდნენ შოთა რუსთაველის პოემის „ვეფხისტყაოსანის“ გრამატიკულ-ფილოლოგიურ განხილვას, საშუალო განყოფილებაში კი მოწაფეები კითხულობდნენ და არჩევდნენ ქართული მწერლების საერო და სასულიერო თხზულებებს“².

როგორც ამ ცნობიდან ირკვევა სემინარიაში ქართული ენის სასწავლო მასალა ყოფილა მშრალი, მთავარი ყურადღება საეკლესიო წიგნების კითხვას და შეთვისებას ექცეოდა. გრამატიკის შესწავლას მექანიკური და დოგმატიური ხასიათი ჰქონდა. საერთოდ სასულიერო უწყებების სასწავლებლებში ქართული ენა მეორე ხარისხიდან სივრცულად ითვლებოდა და მისდამი დამოკიდებულება როგორც მასწავლებელთა, ისე მოწაფეთა მხრით სასხვათაშორისო იყო. ქართული ენისათვის არამცთუ არ არსებობდა დამოუკიდებელი კათედრა (როგორც ეს სხვა საგნებისათვის იყო), თვით ქართული ენის მოსწავლებელიც კი უფლებრივად და ეკონომიურად სხვა მოსწავლეებთან გათანასწორებული არ იყო.

¹ ტფილ. სას. სემ. გავგეობის არქივი, 2 ვაყ. 1860 წ. საქმე № 68, გვ. 31. იგივე არქივი 1861-62 წ. საქმე № 65, გვ. 26.

² სემინარიის გამგეობის არქივი, 1864 წ. გაცვეთილების კონსპექტი. გვ. 168

ქართული ენის გარდა ტფილისის სემინარიაში ასწავლიდნენ: ა) საქართველოს ეკლესიის საღმრთო მსახურების წიგნთა მოკლე ისტორიულ მიმოხილვას საბერძნეთ-რუსეთის საღმრთო მსახურების წიგნთა მოკლე ისტორიასთან დაკავშირებით; ბ) საქართველოს ეკლესიის ისტორიას და გ) საქართველოს სამოქალაქო ისტორიას. ამ საგნების მდგომარეობაც უცნაური იყო. მათი მეთოდოლოგია ყოველგვარ პედაგოგიურ პრინციპს იყო მოკლებული. პირველ საგანს, ე. ი. ქართულ საეკლესიო წიგნთა მიმოხილვას, ცალკე საათები არ ჰქონდა დათმობილი, იგი ისწავლებოდა საბერძნეთ-რუსეთის საეკლესიო წიგნთა ისტორიასთან ერთად.

1865 წლიდან ამ საგნის მასწავლებელი ყოფილა იესე სულხანოვი, და როგორც მისი წარდგენილ პროგრამიდან ჩანს, ამ საგნის სწავლებას უფრო ფორმალური ხასიათი ჰქონია, რადგან მეცნიერულ ბიბლიოგრაფიულ დამუშავების ელემენტები არა ჩანს პროგრამაში, არც მთარგმნელების ბიოგრაფიასა და მოღვაწეობას აქვს მიქცეული ყურადღება და არც საეკლესიო კულტურულ ცენტრების ისტორია არ არის, სადაც სრულდებოდა ეს დიდი მუშაობა—წიგნების თარგმნა და გადაწერა.

რამდენად უყურადღებოდ ყოფილა მიტოვებული ქართული საგნების სწავლება, ჩანს იქიდან, რომ საქართველოს სამოქალაქო და საეკლესიო ისტორიას ასწავლიდნენ რუსი მასწავლებლები, რომელთაც არც ქართული ენა იცოდნენ და არც საქართველოს წარსული ცხოვრება. საქართველოს სამოქალაქო ისტორია ისწავლებოდა მხოლოდ საშუალო განყოფილებაში და დათმობილი ჰქონდა ორი კვირეული გაკვეთილი, ზოგჯერ კი ერთი გაკვეთილი¹.

ისტორიის პროგრამა შეიცავდა შემდეგ საკითხებს:

ბერძენ და რომაელ მწერლების თქმულება საქართველოზე. მატიანეთა თქმულება ქართლოსის, მცხეთოსის და უფლოსის შესახებ. მეფე ფარნაოზის მმართველობა, მისი საქმენი, თავად-აზნაურთა წოდების წარმოშობა და ფარნაოზის მემკვიდრეები. არშაკსა და ასფაგურზე. ვახტანგ გორგასლანის მეფობა, მისი საგმირო საქმენი და სახელმწიფოს მოწყობა. საქართველოს მდგომარეობა მის მემკვიდრეობის დროს, სირიელ მამათა ჩამოსვლა საქართველოში. იოანე ზედაზნელის, შიო მღვიმელის და დავით გარესჯელის ცხოვრება. გურამ კურაპალატის, არჩილ II და ბაგრატის შესახებ. ივერთა მონასტრის დაარსების შესახებ. დავით აღმაშენებლის, მის დაპყრობათა და მემკვიდრეების შესახებ. თამარ მეფის, იმის საგარეო და შინაგანი საქმეების და კეთილმსახურების შესახებ. თამარის მემკვიდრეები: გიორგი I-მა და რუსუდანი. დავით V და დავით VI. საქართველოს დაყოფა და თემურლანგის თავდასხმა. ალექსანდრე I და მცხეთობის დაწესება. ალექსანდრეს საგმირო მოღვაწეობა და შინაგანი საქმე. მეფე ალექსანდრე II და თეიმურაზ I. ვახტანგ VI მეფობა. მეფე ირაკლი II, მისი აღზრდა, სამხედრო მოქმედებანი, მის მიერ ელჩების გაგზავნა დედოფალ ელისაბედ პეტრეს ასულთან და ეკატერინე II-თან; ალა-მამაღბანის შემოსევა საქართველოში და მისი განდევნა. საქართველოს უკანასკნელი მეფე გიორგი XIII, (მასწავლ. მღვდელი პავლე მიცკევიჩი“).

¹ სემინარიის არქივი, 1865 წ. საქმე № 179 გაკვეთ. ცხრილ. შეს. გვ. 227.

ცხადია, ასეთი პროგრამით ნასწავლებ საქართველოს ისტორიას, ისიც რუსულ ენაზე და ისეთი მასწავლებლის მიერ, რომელმაც ქართული ენა არ იცოდა, რა სარგებლობა ექნებოდა მოსწავლეთათვის და ან რა ინტერესს აღუძრავდა მათ.

საქართველოს ეკლესიის ისტორია მსოფლიო და რუსეთის საეკლესიო ისტორიასთან ერთად ისწავლებოდა და ყველა ამ საგნებს დათმობილი ჰქონდა უმეტეს განყოფილებაში ოთხი კვირეული გაკვეთილი. ამ საგნებსაც ქართული ენის არ მცოდნე რუსი მასწავლებელი ასწავლიდა ჯერ კიდევ 1848 წლიდან. სახელმძღვანელოდ ქართულ საეკლესიო ისტორიაში შემოღებული იყო პლატონ იოსელიანის წიგნი „Краткая история грузинской церкви“, რომელიც „ქართლის ცხოვრების“ და სხვა ისტორიულ წყაროების ლეგენდარულ თქმულებებზეა შედგენილი და პროგრამაც ამ წიგნის შინაარსის მიხედვით არის შედგენილი.

ასეთ მდგომარეობაში იყო ჩაყენებული ქართული ენის და ისტორიის სწავლება ტფილისის სასულიერო სემინარიაში. მიუხედავად იმისა, რომ სემინარიის მიზანდასახულებმა სრულიად სხვა იყო: მას უნდა გამოეზარდა ქართული ეკლესიისათვის და ქართულ სოფლებში მომუშავე კადრები, მაშასადამე მათი აღზრდა ქართულ ენაზე და ქართულ ნიადაგზე უნდა ყოფილიყო, მაინც მეფის მთავრობა ანგარიშს არ უწყევდა ამ გარემოებას და სემინარიაც რუსიფიკატორული პოლიტიკის იარაღად გადააქცია. სემინარიის რეჟიმს საფუძვლად დიდმპყრობელური შოვინიზმი ედო და მთელი სისტემა სწავლა-განათლებისა მის მიხედვით იყო აწყობილი.

II

მე-19 საუკუნის სამოციან წლების „რეფორმებმა“ რუსეთის თვითმპყრობელურ-მთავრობის სისტემაში დროებით მოლიბერალო ტენდენციები გამოიწვია. მთავრობის „ლიბერალიზმი“, ცხადია, თვალსაჩინო არა იყო რა, მაგრამ მაინც ძველი ნორმების ვადასინჯვა თითქოს ყველა დარგში ხდებოდა. ლიბერალიზმის სურტი ტალღა სემინარიის ცხოვრებასაც შეეხო. ქართული ენის სწავლებას ეს ტალღა დაეტყო იმ მიმართულებით, რომ უმაღლესი სასულიერო მთავრობა მომხრე იყო სემინარიაში ქართული ენის გაკვეთილები გადიდებულიყო და ზოგიერთი საგნის სწავლებაც ქართულ ენაზე ყოფილიყო შემოღებული. ასე, მაგალითად, 1864 წელს სემინარიის გამგეობის ერთერთ სხდომაზე შემდეგი საკითხი დაისვა:

„უმაღლესმა, როგორც სასულიერო, ისე საერო მთავრობამ შეინიშნა მშობლიურ ენის და მშობლიურ საგნების უცოდინარობა და ყურადღება მიაქცია ამ არაბუნებრივ მდგომარეობას. ეგზარხოსმა ჯერ კიდევ 1863 წელს წინადადება მისცა სემინარიის გამგეობას მიეღოთ ზომები ქართული ენის გასაძლიერებლად და ზოგიერთ საგნის ამ ენაზე სწავლებლად“¹.

სემინარიის გამგეობამ ეგზარხოსის წინადადება განიხილა და მასწავლებლებს გიორგი ხელიძეს და იესე სულხანოვს დაავალა თავიანთი აზრი წარმოედგინათ ამ საქმის შესახებ. დამახასიათებელია სულხანოვის გულცივი და ფორმალური მოპყრობა ამ მეტად მტკივნეული ეროვნული საკითხისადმი. სემინარიის გამგეო-

¹ სემინ. გამგ. არქივი, 1864 წ. 1 განვ. საქმე № 13 გვ. 23-25.

ბის ოქმებში ვკითხულობთ: „სულხანოვმა რექტორის სიტყვიერ დავალებზე განაცხადა, რომ სემინარიაში ქართული ენისათვის განსაკუთრებული მასწავლებლის მოწვევა საჭირო არ არისო“. ამ განცხადებას მოჰყვა სემინარიის გამგეობის განკარგულება, რომელიც ავალებდა სულხანოვს ქართული სამოქალაქო ისტორიის სწავლებას, ხოლო ხელიძეს ქართულ სიტყვიერების ისტორიისას.

მაგრამ თუ სემინარიაში ქართველი მასწავლებლები მთავრობის ამ პატარა „წყალობას“ ფორმალურად შეხვდნენ, „ჩინოვნიკური“ სული გამოიჩინეს და არ ისარგებლეს მოცემული უფლებით, სამაგიეროდ მოწაფენი სულ სხვანაირად შეხედნენ მას. საერთოდ სემინარიის მოწაფენი ყოველთვის უკმაყოფილონი იყვნენ ამ მასწავლებელში არსებულ რეჟიმისა; თავის უკმაყოფილებას ისინი ძალიან სწორად გავიცივებით გამოხატავდნენ ხოლმე, ამ შემთხვევითაც ისარგებლეს. სემინარიის უმაღლესი განყოფილების მოწაფეებმა: ვასილ პეტრიაშვილმა, ნიკოლოზ ინაშვილმა და დიმიტრი ჯანაშვილმა¹. სემინარიის გამგეობის სახელზე 1864 წლის სექტემბრის 29 განცხადება შეიტანეს ქართული ენის, ქართული სამოქალაქო და საეკლესიო ისტორიის ცალკე კათედრათ გამოყოფის და მასწავლებლად ამ საგნებისათვის ქართველი პიროვნების დანიშვნის შესახებ. რადგან განცხადება მეტად საყურადღებოა, მოგვყავს სიტყვა-სიტყვით:

„Преподавание грузинской церковной истории нам, ученикам высшего отделения, возложено на господина наставника Феодора Андреевича Фаворского, незнакомого с грузинским языком и, вследствие этого, с самыми источниками преподаваемого им предмета, которые заключаются в грузинских рукописях и других церковных актах и недоступны для не грузина.

При таком состоянии дела поневоле должно ожидать неуспешности и напрасной потери времени со стороны учеников“... შემდეგ თბილისში აღნიშნულია, რომ საქართველოს სამოქალაქო ისტორიის მასწავლებლად დაინიშნა იესე სულხანიშვილი, ხოლო ქართული სიტყვიერების ისტორიისა — გიორგი ხელიძე. „Но эта мера, как и следовало ожидать, не оправдало надежд и ожиданий. Иначе и не могло быть. Грузинской гражданской истории, как науки еще не существует. У нас есть сырые материалы и только. Разработка этих материалов требует огромных усилий и упорного усидчивого труда. Только такими усилиями и постоянным трудом можно у нас создать науку — гражданскую грузинскую историю. А то возможно только тому, кто исключительно или по крайней мере по преимуществу может заниматься грузинской историей и не будет развлекаться другими предметами. Только при этом условии возможно более или менее удовлетворительное преподавание грузинской истории. Отсюда следует, что г. Сулханов при всех своих дарованиях и в добросовестности в исполнении своих обя-

¹ ვასილ პეტრიაშვილი, შემდეგ ცნობილი პროფესორი და ერთხანს რექტორი ოდესის უნივერსიტეტისა. დ. ჯანაშვილი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ბევრს სწერდა საინგლის ისტორიისა და ყოფაცხოვრებაზე.

знанностей, не может быть удовлетворительным преподавателем грузинской истории до тех пор, покуда для него занятие грузинской историей будет делом побочным, а не главным, исключительным, до тех пор, покуда вместе с грузинской историей он будет обременен обязанностью преподавателя каких либо предметов на русском языке. Следовательно, для сколько нибудь успешного преподавания грузинской истории нужен совершенно особый учитель. В противном случае, такое преподавание не будет успешно.

Что же касается до отца Хелидзе, то его предмет—всеобщая словесность—так обширен, исправление ученических задач отнимает столько времени, постороние занятия его до того сложны, что ему не остается ни малейшего времени ни для занятия историей грузинской литературы, которой опять не существует и которую нужно еще создать, ни для классного преподавания. Все то, что он может сделать, это в конце курса прочесть несколько лекций по истории грузинской литературы. Даже и это соединено с условием, если останется время после окончания всеобщей словесности. Значит, успешное преподавание истории грузинской литературы для учителя всеобщей словесности, как бы добросовестен ни был, невозможно.

Впрочем, для изучения как грузинского языка, так и церковного устава была предпринята еще другая мера. Это преподавание обозрения богослужебных книг на грузинском языке и учреждение службы по средам на том же языке. Но что этою мерою не может достигнуто во-первых изучение живого свободного разговорного языка—это всякому грузину очевидно, так как язык церковно-богослужебных книг устарелый и многим отличается от нынешнего живого народного языка; а во-вторых, учениками не изучается этого мерою и устав церковный...

Одним словом, изучение грузинского языка и предметов, если не вовсе, то по крайней мере, очень мало подвинулось вперед. А вследствие этого, ученики опять останутся бесполезными как для общества, так и церкви божьей, подобно кончившим курс наук прежде этого, которые поступали в священники и не могли об'ясняться с прихожанами на своем родном языке. Они не могли сообщить прихожанам ни одной мысли, не примешивая к словам грузинским и русским, совершенно непонятных для народа грузинского...

Эти грустные факты будут повторяться до тех пор, пока не усилятся и не улучшится в здешней семинарии преподавание грузинского языка. А это может состояться при одном только условии: нужен особый учитель и жалованье, совершенно обеспечивающее к добросовестному исполнению своей обязанности...

Посему принимаем смелость благопокорнейше просить семинарское правление, приняв во внимание все наименованное, ходатайствовать перед высшим начальством о назначении в нашей семинарии особого учителя по тем предметам, которые преподаются на грузинском языке вместе с грузинской церковной историей с назначением ему приличного жалованья, тем более, что языки татарский и осетинский имеют особого учителя с особенным жалованием¹, а наш родной лишен, почему-то, этого права.

Видим очень большую потребность в особом учителе грузинского языка в нашей семинарии.

Василий Петриев, Николай Инаев, Дмитрий Джанаев.

29 сентября 1864 г.²

როგორც ამ განცხადებიდან ჩანს, მოწაფეები მოითხოვენ ქართული ენისა და ისტორიის ცალკე კათედრის გახსნას და შესაფერი ჯამაგირით სპეციალური მასწავლებლის დანიშვნას, იმ აუცილებელი პირობით, რომ ამ მასწავლებელმა იცოდეს უეჭველად ქართული ენა. განცხადებაში აღნიშნულია, რომ მასწავლებლები სულხანოვი და ხელიძე, რომელთაც მიანდო სემინარიის გამგეობამ ამ საგნების სწავლება, მიუხედავად თავიანთი კეთილსინდისიერებისა და შესაფერი მომზადებისა, მაინც ღირსეულად ვერ ასწავლიან მინდობილ საგნებს, რადგან ისინი სხვა საგნების მასწავლებლები არიან, დატვირთული არიან საქმეებით. ეს მით უფრო საჭიროა, რომ საქართველოს ისტორია და ქართული სიტყვიერების ისტორია მეცნიერულად დამუშავებული არ არის, ხელმძღვანელობა მასწავლებელს მოუხდება უშუალოდ პირველი წყაროებით, რაც შეუძლებელია ჯერ-ჯერობით ქართულის არამცოდნე პიროვნებისათვის, და მეორეც, სხვა საგნებით და სხვა სამუშაოთი დატვირთული მასწავლებლისათვის.

გარდა ამისა განცხადებაში აღნიშნავენ, რომ ოსური და თათრული ენები უკეთეს პირობებში არიან. არსებობს მათთვის ცალკე კათედრები და ამ ენების მასწავლებლებიც უფლებრივად და მატერიალურადაც გათანასწორობებული არიან დაწარჩენ დისციპლინების მასწავლებლებთან.

აღნიშნული განცხადება სემინარიის რექტორმა წარუდგინა სემინარიის გამგეობას ვანსახილველად. გამგეობამ, გაითვალისწინა რა, რომ საქართველოს ეკლესიის ისტორიას 1848 წლიდან ასწავლის საეკლესიო-ბიბლიური ისტორიის მასწავლებელი თევდორე ფავორსკი, 1864 წლის 3 ნოემბერს დაადგინა:

„ამ საგანზე მსჯელობისათვის წინასწარ უნდა გვექონდეს დასაბუთებული ცნობები იმის შესახებ, თუ ა) ქართული საეკლესიო ისტორიის სწავლების დროს მასწავლებლის მიერ რომელი სახელმძღვანელო იმზარება და შეიძლება იგი ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად სემინარიის მოწაფეებისათვის სათანადო ცნობების მისაცემად ამ საგანში?, ბ) რუსულ და უცხო ენებზე რომელი სახელმძღვანელოებით სარგებლობს თავისი საგნის ვადაცემის დროს, აღნიშნული სახელ-

¹ იმ დროს სემინარიაში ასწავლიდნენ თათრულს და რუსულს ენებს, რისთვისაც არსებობდა ცალ-ცალკე კათედრა და ცალ-ცალკე შტატის მასწავლებელი.

² სემინარიის გამგეობის არქივი, 1864 წ. 1 განყ. საქმე № 47 გვ. 23-34.

მძღვანელოების გარდა? (და ვ) კიდევ რომელი სახელმძღვანელოები და დამხმარე წიგნები აქვს მას მხედველობაში, რომლებიც სემინარიის ბიბლიოთეკაში არ მოიპოვება და რომლის შეძენაც საჭიროა? ყველა ეს ცნობები მოეთხოვოს ქართული საეკლესიო ისტორიის მასწავლებელს ბატონ ფეოროსკის.

განცხადების განხილვამდე საჭიროა მოეთხოვოს მასწავლებელ ფეოროსკის: რომელი სახელმძღვანელოთი ასწავლის საქ. საეკლესიო ისტორიას და არის თუ არა ეს წიგნი დამაკმაყოფილებელი?

ამ წიგნის გარდა კიდევ რა წყაროებით სარგებლობს რუსულ და უცხო ენებზე და რა წიგნები ან სახელმძღვანელოები იქნება საჭირო, რომლებიც არ მოიპოვება სემინარიის ბიბლიოთეკაში და რომლის შეძენაც საჭირო იქნება¹.

გამგეობის ეს მეტად კუროიზული დადგენილება ყურადღებას იპყრობს იმ მხრივ, თუ რამდენად არა სერიოზულად სთვლიდა მთავრობა ქართული ენის და ისტორიის სწავლებას; თუ როგორ უშლიდა ის ხელს ამ საქმეს. და მართლაც, სხვა რომ არა იყოს რა, საქართველოს ეკლესიის ისტორიის ასწავლის მასწავლებელი ფეოროსკი 1848 წლიდან და ვაშკეობამ 1864 წელშიაც არ იცის, რა სახელმძღვანელოთი ასწავლის იგი ამ საგანს? შეუძლია თუ არა მასწავლებელს რუსულის გარდა სხვა ენაზე დაწერილ წყაროებით სარგებლობა და, რაც უმთავრესია, არის თუ არა სემინარიის ბიბლიოთეკაში ამ საგნისათვის საჭირო სახელმძღვანელოები და დამხმარე ლიტერატურა.

მასწავლებელ ფეოროსკიმ გამგეობის შეკითხვაზე უფრო უარესად კუროიზული პასუხი ვასცა. იგი უპასუხებს, რომ საქართველოს ეკლესიის ისტორიის სწავლების დროს სარგებლობს პლატონ იოსელიანის წიგნით „Краткая история грузинской церкви“ და სხვა დამხმარე წყაროებით სარგებლობა მას არ შეუძლიან ქართული და უცხო ენების უტოლინარობის გამო. ის თხოულობს, რომ მოწაფეებმა თითონ წაიკითხონ ისტორიული მასალა და სასწავლო საგანს დაწვრილებით თითონ გაეცნონ. მაგრამ ფეოროსკის მოხსენებაში უფრო საყურადღებო ის არის, რომ ეს ადამიანი საქართველოს ისტორიას არა სთვლის დამოუკიდებელ და ღირსეულ საგნად, მისი აზრით ე'ა უნდა ემსახურებოდეს რუსულ ისტორიას: „ბატონ იოსელიანის საეკლესიო ისტორიაში გატარებულია და ფაქტებით საკმაოდ გარკვეული ის მთავარი აზრი, რომ საქართველოს ეკლესიამ, მიუხედავად ძლიერი და თითქმის განუწყვეტელი, განსაკუთრებით გარეშე, თავისებურებისა, უტკვლელად შეინარჩუნა მართლმადიდებლობა და, ბოლოს, მტკიცე სიმშვიდე შოვა სრულიად რუსეთის მონარქიის მფარველობის ქვეშ, რუსეთის ეკლესიასთან შეერთებით... თუ საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებელი არსებობის მთელ მანძილზე, ისტორიის მნიშვნელობას სახელდობრ ამ ამოცანის შესრულებას დაუკავშირებთ, მაშინ ბ. იოსელიანის თხზულება იძლევა ამისათვის სათანადო ცნობებს, რომლებიც მოწაფეებისათვისაც დამაკმაყოფილებელია. მაგრამ თუ საჭირო იქნება ქართული ეკლესიის წარსული ცხოვრების კრცლად და მეცნიერულად გამოკვლევა, როგორც ეს ხდება საზოგადო ისტორიაში, ან კიდევ მსოფლიო ეკლესიის რომელიმე დიდი განყოფილების ისტორიაში, რომელიც

¹ სემინარიის არქივი. გამგეობის სხდომის ოქმები 1864 წ. გვ. 71-72.

თავის დამოუკიდებელ არსებობას და განვითარებას განაგრძობს (როგორც, მაგალითად, რუსეთის ეკლესიის ისტორიაში), ამისათვის საჭირო იქნება ქართული საეკლესიო ისტორიის მასალების და წყაროების წესრიგში მოყვანა და დამუშავება, რაც ჩემთვის უცნობია, რადგან ყველა ეს ქართულ ენაზე არის¹.

ასეთი გამოსვლა საეკლესიო შეეფერებოდა იმ რეჟიმს, რომელსაც ნერგავდა თვითმპყრობელური მთავრობა საერთოდ დაპყრობილ ქვეყნებში და კერძოდ საქართველოში. ისიც ვასაკვირველია, თუ სემინარიის გამგეობამ როგორ მიაქცია მოწაფეთა ზემოყვანილ განცხადებას ყურადღება და როგორ გახადა იგი მსჯელობის საგნად. მაგრამ ამის მიზეზი არის, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ის უმნიშვნელო „ლიბერალური“ სიო, რომელიც დაპბერა საერთოდ რუსეთში სამოციან წლებში და გარდა ამისა ტფილისის სემინარიის სპეციალური მდგომარეობა. ამ სასწავლებელს უნდა გამოეზარდა საეკლესიო მისახურების პირები ქართული სოფლისათვის და ქართული ენა და ისტორია ასეთ სასწავლებელში სულ ყურმიუღებელი ყოფილიყო, არც ეს ივარგებდა. მთავრობა ხერხიანად იქცევა: თითქოს საკითხს ამუშავებს, სდგება პროექტები, ზრუნავენ პროგრამის შედგენაზე, მსჯელობენ სხვადასხვა ინსტანციაში, მაგრამ, როგორც ქვევით დავინახავთ, პრაქტიკულად არაფერი კეთდება. ბევრი მსჯელობის შემდეგ, ამ საგნების მდგომარეობა სემინარიაში ძველ პირობებში დარჩა.

სემინარიის გამგეობამ თავის სხდომაზე 1865 წლის თებერვლის 19 მოისმინა მასწავლებელ ფავორსკის მოხსენება საქართველოს ეკლესიის ისტორიის შესახებ და გამოიტანა შემდეგი რეზოლუცია:

„წინასწარი საბოლოო დასკვნა ამ საგანზე მიენდოს სემინარიის ქართველ ბატონ დამრიგებელს, მასწავლებელ სულხანოვს და პროფესორ მღვდელ ხელიძეს, არ მოისურვებს რომელიმე მათგანი, დასტოვოს რა აღებული სასწავლო საგნები, იკისროს სემინარიის ყველა კლასებში მხოლოდ ქართული ენისა და მასთან ერთად ქართული საეკლესიო და სამოქალაქო ისტორიის სწავლება, და რომელი მათგანიც სურვილს გამოსთქვამდა ამაზე, ის სემინარიის გამგეობაში წარმოადგენდა ზემოაღნიშნულ მეცნიერებათა პროგრამას განპარტებით, თუ რა დამატებების შეტანას მოისურვებდა ამ საგნებში არსებულ ბ. ბ. იოსელიანის და მარსოვის სასწავლო წიგნებში“².

დადგენილება დიპლომატიურია. იმის ნაცვლად, რომ გამგეობას ოფიციალურად დაეარსებინა ქართული ენის კათედრა, დაენიშნა სპეციალური მასწავლებელი, სასწავლო გეგმაში შეეტანა საათები ამ საგნისათვის, მან მხოლოდ სურვილი გამოსთქვა და ერთგვარი ორაზროვანებით მიმართა ქართველ მასწავლებლებს—სულხანოვს და ხელიძეს, ხომ არ მოისურვებენ ესენი მიატოვონ თავისი საგნები და გადავიდნენ ქართული ენის სწავლებაზე, ამასთან წარმოადგინონ პროგრამა და მოსაზრება. თუ რა დამატებები იქნება საჭირო გაუკეთდეს პლ. იოსელიანის და მარსოვის არსებულ სახელმძღვანელოებს.

როგორც სემინარიის შემდეგი წლების საარქივო მასალიდან ირკვევა, ქართული ენისა და ისტორიის ცალკე დისციპლინად გამოყოფა, მისი კათედრის

¹ სემინარიის გამგეობის არქივი, 1864 წ. 1 განყ. საქმე № 13, გვ. 3-4

² სემინარიის გამგეობის არქივი, 1864 წ. საქმე № 201, გვ. 792-91

დაარსება და ქართველი მასწავლებლის მოწვევა ამ საენისათვის ღიად დარჩენილა. სემინარიის მასწავლებლებს—სულხანიშვილს და ხელიძეს, სხვა საგნები არ დაუტოვებიათ, რომ რომელიმე მათგანს ქართული კათედრა დაეკავებინა. პროფ. ხელიძეს¹ საერთო სიტყვიერებასთან ერთად ქართული სიტყვიერების ისტორია უსწავლებია, მასწავლებელ სულხანიშვილს, საქართველოს სამოქალაქო ისტორია და მასწავლებელ ფავორსკის ძეგლებურად ისევ საქართველოს ეკლესიის ისტორიის სწავლება დარჩენია².

გადის დრო და სემინარიაში ეს მცირედიც ისპობა: საქართველოს, როგორც სამოქალაქო, ისე საეკლესიო ისტორიებს, როგორც ცალკე საგნებს სულ სპობენ. მათ ნაცვლად ისწავლება მხოლოდ მსოფლიო და რუსეთის სამოქალაქო და საეკლესიო ისტორიები. მხოლოდ ქართული ენა დარჩა სასწავლებლად, რასაკვირველია, შემცირებული საათებით და უფრო შემცირებული პროგრამით.

დასკვნა ასეთია: 1. მეფის თვითმპყრობელური მთავრობა ინტენსიურად აწარმოებდა საქართველოში დიდმპყრობელურ კოლონიალურ პოლიტიკას, მისთვის დამახასიათებელ რეჟიმით და სისტემით.

2. მთავრობა სკოლების გახსნის საკითხში დიდ სიძუნწეს იჩენდა: ყოველგვარ დაბრკოლებებს ჰქმნიდა, რომ არ გახსნილიყო აქ რაიმე ტიპის სასწავლებელი, განსაკუთრებით საშუალო ტიპისა: უმაღლეს სასწავლებლებზე ლაპარაკი ხომ დაუშვებელი იყო.

3. არსებული სკოლები გამოყენებული იყო კოლონიალური პოლიტიკის განსახორციელებლად: იდგენებოდა ქართული ენა და რუსული ენის გაძლიერებით ხელს უწყობდენ ხალხის გარუსებას.

4. ტფილისის სასულიერო სემინარიასაც ასეთი როლი ჰქონდა დაკისრებული, და მიუხედავად სემინარიის სპეციალური დანიშნულებისა, ყოველივე ქართული აქაც სასტიკად იდგენებოდა.

5. ქართული ენის და საქართველოს ისტორიის სწავლება ფორმალური იყო ამ სასწავლებელში. რუსი „ჩინოვნიკები“, თვითმპყრობელობის ერთგული აგენტები, სასაცილო მდგომარეობაში აყენებდენ ამ საგნებს.

6. სემინარიის მოწინავე მოწაფეებში ქართული ენისა და ისტორიის მშრალი, ლეგენდარული მასალით და დაძველებული გაზეპირებული მეთოდით სწავლება უკმაყოფილებას იწვევდა, და, როცა შესაძლებლობა ეძლეოდათ, მოწაფეები თავის პროტესტს სხვადასხვა სახით³ გამოსატყვედენ ხოლმე.

¹ სემინარიების სტრუქტურა საერთოდ პირველ ხანებში უმაღლეს სასწავლებლებთან სტრუქტურას წაავადდა. სასწავლო დისციპლინები დაყოფილი იყო კათედრებით და კათედრის გამგეს, თუ მას ჰქონდა მეცნიერების ხარისხი, პროფესორი ეწოდებოდა. ხელიძეს ჰქონდა მეცნიერების მაგისტრის ხარისხი.

² სემინარიის გამგეობის არქივი, 1854-65 წ. საქმე № 89. გვ. 538

გვიდისში უმაღლესი სასწავლებლის დაარსების ივსოკიისათვის

საქართველოში უმაღლესი სასწავლებლის დაარსების საკითხს საქმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. პირველად ეს საკითხი დააყენა კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ ორმოცდაათიანი წლების მიწურულში. მეფის რუსეთი დაპყრობილ ქვეყნებში განათლების საქმესაც ყოველი დარგის მართვა-გამგეობის მსგავსად. კოლონიალურ პოლიტიკას უმორჩილებდა. მეფის რუსეთის მთავრობისათვის ათეული წლების მანძილზე ამიერ-კავკასიაში და საქართველოში მტკიცე დასაყრდენ ბაზას საქართველოს თავადაზნაურობა წარმოადგენდა. კადრები მართვა-გამგეობისათვის—მოხელეები—კავკასიის მთავრობას ადგილობრივ უნდა აღეზარდა, რადგან რუსეთიდან გამოგზავნილი მოხელეები სიმციროს გამო მოთხოვნილებას ვერ დააკმაყოფილებდნ და ადგილობრივი ენებისა და პირობების უცოდინარობის გამო არც იმდენად გამოსადეგნი იყვნენ ხელისუფლების მიზნების განსახორციელებლად.

ამიტომ ადგილობრივი პრივილეგიურ ფენებიდან, კერძოდ თავადაზნაურთაგან „რუსულად განათლებული“: საიმედო, რუსული კანონების მცოდნე ერთგულ მოხელეების აღზრდა კავკასიის ხელისუფლების საზრუნავ საგანს შეადგენდა. ეს საკითხი აწუხებდა ცნობილ ციციანოვს, როდესაც ის ტფილისის კეთილშობილთა სასწავლებელს აარსებდა. „მომზადებულ ჩინოვიციების კადრების შექმნით ხელმძღვანელობდა ვორონცოვი, როდესაც ის „განათლების საქმის“ როგორგანიზაციას ახდენდა. (იხ. ამის შესახებ ამავე კრებულში ჩემი წერილი „საერო განათლება საქართველოში XIX ს. პირე. ნახევარი“).

მაღალი თანამდებობის მოხელეების შექმნა ჰქონდა განზრახული კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს ბარონ ალ. ნიკოლაისაც, როდესაც ის ადგენდა პროექტს ტფილისში ლიცეუმის დაარსების შესახებ, რადგან რუსეთშიც ლიცეუმებს მიზნად უსახავდნენ „აღზრდას ახალგაზრდობისას, განკუთვნილს უმაღლესი სახელმწიფო სამსახურისათვის“.

ათენის სამს. გიმნაზიაში ერთერთის ლიცეუმს უწოდებდნ, სადაც არისტოტელე ლექციები კითხულობდა. საფრანგეთში. ლიცეუმი ნაპოლეონის დეკრეტით დაარსდა 1802 წლიდან, როგორც საშუალო სასწავლებელი. რუსეთში რამდენიმე

ლიცეუმი არსებობდა; ეს იყო საშუალო სკოლაზე დაშენებული უმაღლესი სასწავლებელი. პირველი ლიცეუმი დაარსდა 1811 წელს კარსკოე სელოში. მოსკოვის ლიცეუმი მიზნად ისახავდა გიმნაზიისათვის მასწავლებლების მომზადებას. ნეჟინის ლიცეუმი, რომელმაც მრავალგვარი რეორგანიზაცია განიცადა, დაბოლოს პედაგოგიურ ინსტიტუტად გადაკეთდა. ვოლინის ლიცეუმი ქ. კრემენცში მთელი პოლონეთის ახალგაზრდობის განათლების ცენტრად იყო გადაქცეული. პოლონეთის 1830-31 წლების აჯანყების შედეგად, რომელშიც აღნიშნული ლიცეუმის ყველა სტუდენტებმა მიიღეს მონაწილეობა, ეს მდიდარი სასწავლებელი კიევში გადმოიტანეს და კიევის უნივერსიტეტს დაუდგეს საფუძვლად. რიშელიეს სახელობის ლიცეუმი არსებობდა ოდესაში 1837 წლიდან და ორი განყოფილების: ფიზიკო-მათემატიკურისა და იურიდიულისაგან შედგებოდა. ეს განყოფილებანი თითქმის იმავე კათედრებს შეიცავდნენ, რასაც უნივერსიტეტის შესატყვისი ფაკულტეტები. 1842 წლიდან რიშელიეს ლიცეუმთან გაიხსნა კამერალური განყოფილება, რომელიც აერთიანებდა აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო და საბუნებისმეტყველო მეცნიერებას. 1862 წელს აღნიშნული ლიცეუმი ნოვოროსიის უნივერსიტეტად გადაკეთდა.

ლიცეუმი წარჩინებული ფენების სასწავლებელი იყო, სადაც „თავად აზნაურთა ბრწყინვალე მოწაფეებს იღებდნენ“.

ბარონი ალ. ნიკოლაი, რომელსაც ეკუთვნის პროექტი ამიერ-კავკასიაში პირველი უმაღლესი სასწავლებლის დაარსებისა¹, მაღალი სანოვნიკი იყო და მუშაობდა განსაკუთრებით განათლების დარგში².

კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველად ყოფნის დროს ნიკოლაიმ 1857 წელს შეადგინა ტფილისში ლიცეუმის დაარსების პროექტი. ცხადია, ლიცეუმის დაარსების საქორეობას ალბად გრძნობდა კავკასიის მაშინდელი ხელისუფლება, რომ განათლების სამზრუნველოში პროექტი დამზადა და სხვადასხვა უწყებათა შორის ამის შესახებ მიწერ-მოწერა გაიმართა.

საკითხი ლიცეუმის დაარსების შესახებ მაშინ მთავრობის კანცელარიებს არ გასცილებია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქართველ საზოგადოების მოწინავე ნაწილში საქართველოში უმაღლესი სასწავლებლის დაარსების აზრი არ არსებობდა. ეს მოთხოვნილება პირველად 1832 წლის შეთქმულებმა წამოაყენეს, რომელთაგან ერთი³ თავის ჩვენებაში აღნიშნავდა: „არ არის საკმარისად სასწავლო დაწესებულებანი საქართველოში და ქართველი ახალგაზრდობის სწრაფი და შესა-

¹ არის ცნობა, რომ მთავარმართებელ გოლოვის 1839 წელს აღუძრავს შეამდგომოლთა მეფის წინაშე უნივერსიტეტის მსგავსი უმაღლესი სასწავლებლის გახსნის შესახებ ტფილისში.

² კარსკოე სელოს ლიცეუმის დასრულების შემდეგ ბაოზნი ალ. ნიკოლაი მონაწილეობას იღებდა დაილესტინის საწინააღმდეგო კამპანიაში. 1848 წელს მეფის ნაცვლის სალაშქრო კანცელარიის დირექტორად დანიშნეს. 1852 წელს - კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველად, 1860 წელს კავკასიის სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის სამმართველოს უფროსად, 1861 წელს კიევის სასწავლო ოლქის მზრუნველად, 1862 წელს - განათლების მინისტრის აშხანაჯად, 1863 წელს - სენატორად და ძეფის ნაცვლის მთავარ სამმართველოს უფროსად, 1870 წლიდან სახელმწიფო საბჭოს წევრად მიიწვიეს. 1881-82 წლებში განათლების მინისტრი იყო. ალ. ნიკოლაის ცოლად პოეტის ალ. ჰაქვაძის ქალი ჰყავდა და გრიბოედოვის ქვისლი იყო.

³ მასწავლებელი ავიანდილოვი.

ფერისი განათლებისათვის მთავრობამ უნდა დააწესოს ტფილისში გარდა გიმნაზიისა უნივერსიტეტი, სამხედრო კორპუსი და სხვა სასწავლო დაწესებულებანი“ (იხ. ს. ხუნდაძის მონოგრაფია „დემიტრი ყიფიანი“ გვ. 71-72, ტფ. 1936 წ.).

მეორმოცე წლებიდან მთავრობა იწყებს სახაზინო ხარჯზე ახალგაზრდების გზავნას რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში: მართლმსაჯულების სასწავლებელში იგზავნება 5 სტუდენტი, მოსკოვის ლაზარეის ინსტიტუტში — 5, პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთ ენების ფაკულტეტზე — 10. იგზავნებიან აგრეთვე საინჟინერო ინსტიტუტშიც. ინსტრუქციაში ნათქვამია: „Одношей сих выбирать из знатнейших и почетнейших княжеских и дворянских фамилий“ (იხ. აქტები, ტ. IX, გვ. 634). მეორმოცდაათე წლებში რუსეთში უმაღლესი განათლების მისაღებად გამგზავრებულთა რიცხვი იზრდება.

1848 — 1853 წლების დებულებით სასწავლო ქსელი გაფართოვდა. 1850 წ. ქუთაისშიც დაარსდა გიმნაზია, მაზრებში — სამაზრო თუ დაწყებითი სასწავლებლები გაჩნდა. ვორონცოვმა ქართული თავად-აზნაურობა შეირიგა და დაიასლოვა. ვაჭრობა-წარმოების ხელის შეწყობამ ქალაქი ამოძრავა, გამოაცოცხლა. ასეთ პირობებში ქართველ თავად-აზნაურულ ინტელიგენციისა და ვაჭართა კლასის მოწინავე წრეებში ჩვენში უმაღლესი სასწავლებლის დაარსების სურვილი უსათუოდ იქნებოდა, თუმცა ვორონცოვი თავის მოხსენებაში საქართველოს კიდევ არ სცნობდა მომზადებულად უმაღლესი სასწავლებლისათვის¹.

ლიცეუმის პროექტს დართული აქვს განმარტებითი ბარათი. პროექტის და ბარათის ავტორი ნიკოლაი აღნიშნავს, რომ „ამ მხარეში მისწრაფება უმაღლესი განათლებისადმი გამოსჩანს, მაგრამ არა საკმაოდ არის განმტკიცებული... სამსახურებრივი სარგებლიანობის მოპოვების სურვილის გამო“ — ი. ნიკოლაის განმარტებით ბარათში ის აზრი აქვს გატარებული, რომ განზრახულ სასწავლებელს პრაქტიკული მიზანი აქვს დასახული — მოხელეების მომზადება ორი მთავარი სარბიელისათვის (სამოქალაქო და სამხედრო). ასეთი მიზანდასახულება სასწავლებლის იმით არის გამოწვეული, რომ ყველა მოსწავლეს სამსახურში შესვლა აქვს განზრახული, და ისეთ სასწავლებელში, რომელსაც წმინდა მეცნიერების შესწავლა ექნებოდა დასახული, არავინ შევიდოდა. — „არ უნდა დავივიწყოთ, — განაგრძობს ნიკოლაი, — რომ აქაური მხარე განათლების დარგში ჩამორჩება რუსეთს 50 წლით მაინც. რუსეთში კი უკვე შეიქმნა კლასი ისეთი ხალხისა, რომელიც ეძებს მეცნიერებას მეცნიერებისათვის, რომელიც გრძნობს, რომ განათლება ერთგვარი ბეგარა არ არის იმისათვის გაღებული, რომ უფლება მიიღო რომელიმე კანცელარიაში სამსახურისა ან ეპოლეტების ტარებისა. ასეთი წარმატების მოთხოვნა შეუძლებელია მხარისაგან, სადაც მთავრობა ბავშვებს სტაპენდიებს აძლევდა, რომ სასწავლებელში ევლოთ და ამისი მაგალითი სხვებისათვის მიეცათ“.

უნდა გვახსოვდეს, რომ დასაარსებელი სასწავლებლის ტიპის შერჩევა რომელიმე, თუ ვინღა დიდი მოხელის თეორიული მოსაზრებით კი არ განისაზღვრე-

¹ „Русия еще не готова для того, чтобы иметь университет“ — სწერს ვორონცოვი ჩერნიშოვს 1848 წ. (იხ. აქტები, ტ. X, გვ. 126).

ბოდა, არამედ სახელმწიფოს საპირობებით, და სახელმწიფოს კი სწორედ ლიცეუმში სპირიტუალიზმის მოხელეების და არა მეცნიერების მოსამზადებლად. ბარონ ნიკოლაი, როგორც კოლონიზატორი, ზევიდან, მდიდრულად დასცქერის ქართულ ხალხს, მისი აზრით ქართველი ხალხი და საერთოდ ყველა დაპყრობილი ხალხი მოკლებულია მეცნიერების შეთვისების უნარს. მაგრამ სწორედ იმ დროს, როდესაც ნიკოლაი ზემოდ მოყვანილ სტრუქტურებსა სწერდა, საქართველოდან რუსეთისა და საზღვარგარეთისაკენ მიეშურებოდნენ ი. ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, კირ. ლორთქიფანიძე, გ. წერეთელი და სხვანი მეცნიერების შესაძენად და არა კანცელარიისა და ეპოლექტივისათვის მოსამზადებლად. კარვად მოეხსენებოდა ბარონ ნიკოლაის ისიც, რომ მთავრობა თუ სტაბილიზაციის არიგებდა ბავშვების-სკოლაში მისაზიდად, ამის მიზეზი მშობლისა და ბავშვების უკულტურობა კი არ იყო, არამედ—მეფის სკოლის ყაზარმული პირობები და აღზრდის უვარგისი მეთოდები, მეფის მოხელეთა ჩვეულებრივი პოლიტიკა, რომელითაც იშინაურებდნენ და მეფის მორჩილებაში მოყავდათ ურჩი ქართველი ფეოდალები.

პროექტის მიხედვით ტფილისში განზრახული იყო სამწლიანი ლიცეუმის დაარსება, რომელიც ახალგაზრდებს მოამზადებდა სამოქალაქო და სამხედრო სამსახურისათვის. ოიგი საგნებისა საეაღდებულო იყო ორივე განყოფილებისათვის: ლეთისმეტყველება, ფსიქოლოგია, ლოგია, აღზრდის თეორია, მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ფიზიკური გეოგრაფია, სოფლის მეურნეობა, რუსული სიტყვიერება, ფრანგული სიტყვიერება, თათრული ენა¹, ისტორია, გეოგრაფია და სტატისტიკა.

სამოქალაქო ნაწილისათვის ვინც ემზადებოდა, ისინი საერთო საგნებს გარდა სწავლობდნენ მართლმსაჯულებას, ლათინურ ენას და პოლიტიკურ ეკონომიას. სამხედრო სამსახურში შემსვლელთ უნდა შეესწავლათ საერთო საგნების გარდა სავიდე ფორტიფიკაცია, არტილერია, ტაქტიკა, ზახეა და ადგილმდებარეობის გადმოღება, ხელოვნებიდან ისწავლება ხატვა მსურველთათვის და ფარეკაობა.

ლიცეუმისათვის განზრახული იყო ექვსი პროფესორის და სამი ადიუნქტ-პროფესორის მოწვევა. სამხედრო მეცნიერებათა მასწავლებლებად იგზავნებოდნენ გენერალური შტაბის, სანიჟინერო და არტილერიის შტაბის ოფიცრები შტაბის უფროსის შერჩევით.

ლიცეუმში უნდა აგებულიყო გიმნაზიის კლასებზე; ლიცეუმში და გიმნაზიაში ექსტერნებიც ნებადართული იყო, რომელთაც სათანადო გამოცდების შემდეგ შესაფერი მოწმობა ეძლეოდათ. გიმნაზიაში და ლიცეუმში ყველა თავისუფალიყოლებების ბავშვი მიიღებოდა. ლექციების მოსმენა და ლიცეუმში ყველა მსურველს შეეძლო, აგრეთვე ამათუმი კურსის მოსმენა და ჩაბარება, მოწმობის მიღებაც.

¹ თათრული ენის შეტანა სასწავლო საგნად ლიცეუმის სასწავლო გეგმაში ნათელჰყოფს კიდევ ზედმეტად, რომ ამ სასწავლებლით მთავრობას მხოლოდ მოხელეების მომზადება ჰქონდა. გათვალისწინებული, რადგან თათრული ენის, ამიერ-კავკასიაში როგორც ყველაზე უფრო გავრცელებული ენის, მცოდნე მოხელეების გამოძებნა ან აღზრდა საზრუნავ საგანს შეადგენდა ადგილობრივი მთავრობისათვის მთელი მეცნარამეტე საუქუნის მანძილზე მეთხოზოცე წლებამდის.

რაც არავითარ უფლებას არ ანიჭებდა. სწავლის ქირა ლიცეუმში 25 მან. უნდა ყოფილიყო.

ლიცეუმს გიმნაზიითურთ მართავდა დირექტორი, რომელიც ამავე დროს ტფილისის გუბერნიის სკოლების დირექტორადაც ითვლებოდა. ლიცეუმთან განზრახული იყო პანსიონის მოწყობა 60 სტუდენტისათვის. ამათში 24 კაცი სახელმწიფო ხარჯზე იქნებოდა; მათში 9 ახალგაზრდას შეარჩევდა მეფის მოადგილე აზნაურთა და მალაღწოდების წრიდან, სამს კი რუს მოხელეთა შვილებიდან. პანსიონში თავის ხარჯზე მყოფთ 250 მან. ახდევინებდნენ და 50 მან. შესასვლელს. პროექტით დაწვრილებით არის დამუშავებული როგორც სასწავლო, აგრეთვე ადმინისტრატიულ-სამეურნეო ნაწილი. ლიცეუმის შენახვა 32090 მ. ჯდებოდა, გიმნაზიითურთ—66485 მანეთი წლიურად.

რადგან ლიცეუმს ოფიცრებიც უნდა მოემზადებინა, პროექტი განსახილველად კავკასიის არმიის შტაბს გადაეგზავნა; შტაბის უფროსმა მილიტინმა პროექტი დაწვრილებით გააკრია, გააკრიტიკა; მან შეუძლებლად დაინახა, რომ სასწავლებელი, სადაც სამხედრო პირები უნდა მომზადებულიყვნენ, სამოქალაქო უწყებას დაქვემდებარებოდა. სამხედრო შტაბის აზრით, საერთო განათლების აღნიშნული საგნები ოფიცრს ვერ მოამზადებსო. შტაბის აზრით ლიცეუმის დასრულება სამხედრო პირების სამსახურში დაწინაურებას ვერ შეუწყობდა ხელს; გიმნაზიის შემდეგ პირდაპირ სამხედრო უწყებაში შესვლა მეტსა და სწრაფ დაწინაურებას უქადა ახალგაზრდებს. ამრიგად შტაბის უფროსმა მილიტინმა საჭიროდ და შესაძლებლად ვერ დაინახა ოფიცრების მომზადება ლიცეუმის საშუალებით. მზრუნველის მოსახრებებს, რომ იუნკერთა სასწავლებელში მეცნიერება მეორე რიგშია და მხოლოდ ეპოლეტებს იძლევა, როგორც ჩანს, სამხედრო შტაბზე ვერ უმოქმედებია. ნიკოლაი სწერს მთავარ სამმართველოს უფროსს კრუხერშტერნს, რომ, თუ მთავარმართებელი, მილიტინის მოსაზრებებს გაიზიარებს, მაშინ ის იძულებული იქნება გახსნას ლიცეუმი იურიდიული და კამერალური ფაკულტეტებითო. ნიკოლაი თანახმა იყო მილიტინის მითითებათა საფუძველზე გადაეკეთებია ლიცეუმი¹; ჩანს, ნიკოლაი მტკიცე მოსურნე ყოფილა ტფილისში უმაღლესი სასწავლებლის გახსნისა, მაგრამ 1860 წელს კავკასიის სასწავლო ნაწილის რეორგანიზაცია გატარდა: სასწავლო ოლქი გააუქმეს, დირექტორები და სასწავლებლები უშუალოდ გუბერნატორებს დაუქვემდებარეს, ნიკოლაი კი სხვა თანამდებობაზე გადაიყვანეს.

ასე დასრულდა ტფილისში უმაღლესი სასწავლებლის გახსნის პირველი ცდა. ეს საკითხი მთავრობის კანცელარიაში დაიბადა და იქვე ჩაკვდა. შემდგომში უმაღლესი სასწავლებლის გახსნის საკითხი ამიერ-კავკასიის მთავრობის წრეებში მთელი ორმოცდაათი წლის განმავლობაში არ დასმულა და დროგამოშვებით მხოლოდ საზოგადოებრივი ორგანიზაციების, პრესის თუ კერძო პირების მსჯელობისა და მოთხოვნის საგნად ხდებოდა.

¹ როგორც ვაზ. ჯღრავის¹ ქვემოდ მოყვანილ ამონაწერიდან დავინახავთ, ნიკოლაის პროექტს პეტერბურგამდისაც მიიღწევია.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენში უმაღლესი სასწავლებლის გახსნის მოთხოვნას საზოგადოებისაგან არ ჰქონია მტკიცე და სისტემატური ხასიათი 1905 წლის რევოლუციის მომდევნო წლებამდის.

ჩვენი საზოგადოებრივი დაწესებულებანი თუ კოროპორაციები უნივერსიტეტის საჭიროების საკითხს მაშინ გაიხსენებდნენ, როდესაც რაიმე მნიშვნელოვანი ამბავი მოხდებოდა, როგორც იყო მეფის თუ რომელიმე მინისტრის ჩამოსვლა ტფილისში ან სხვა რამ საგულისხმო ფაქტი. ქართველი თავად-აზნაურობა და ტფილისის ბურჟუაზია (თვითმმართველობაში გაბატონებული), რომელიც მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ქვეყნის ბატონ-პატრონად იყო გამხდარი, უმაღლესი სასწავლებლის გახსნას უცქეროდა არა როგორც ქვეყნის განვითარებით გამოწვეულ აუცილებელ და გარდაუვალ საჭიროებას, არამედ როგორც მოწყალებას, ბოძებულს მეფისაგან და უმაღლესი მთავრობისაგან.

ასეთი მომენტს შერჩევდა უნდოდა. მაგრამ თავად-აზნაურობის და ბურჟუაზიის ცდამ ამოდ ჩაიარა 1871 წელს, როდესაც საქართველოში მეფე ალექსანდრე II ჩამოვიდა, 1880 წელსაც, როდესაც იმავე მეფის მეფობის ოცდახუთი წლის თავს დღესასწაულობდნენ, მაშინაც, როდესაც ჩვენს მხარეს მიწადმოქმედების მინისტრი ერმოლოვი ესტუმრა (1894 წ.) და მაშინაც, როდესაც წარჩინებული წრეები საქართველოში რუსეთის ბატონობის ასი წლის თავს დღესასწაულობდნენ.

ამრიგად, ტფილისში უმაღლესი სასწავლებლის გახსნის საკითხის დაყენება ამ დატებთან არის დაკავშირებული და ჩვენც ამის მიხედვით განვიხილავთ შპს. სამოცდაათიანი წლების დასაწყისიდან მოკიდებული, დროგამოშვებით, თითქმის ამავე დატებთან დაკავშირებით ალაპარაკდა ჩვენი პრესაც უმაღლესი სასწავლებლის საჭიროების შესახებ.

მართლაც, მესამოცე წლებიდან ჩვენს ცხოვრებაში ისეთი მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა, რომ შეუძლებელი იყო პროგრესულ პრესაში მაშინდელი მოწინავე ინტელიგენცია სხედასხვა საჭირობოროტო საკითხთა შორის განათლებისა და უმაღლესი სასწავლებლის დაარსების საჭიროების შესახებ არ ალაპარაკებულყო. 1864-5 წლებში საქართველოში გლეხთა „რეფორმის“ გატარება დაიწყო, რომელიც, **ლენინის** თქმით, „ბატონ-ყმური“ (ანუ ფეოდალური) საწარმოო ურთიერთობათა ბურჟუაზიული (კაპიტალისტური) შეცვლის ერთ-ერთი ეპიზოდი იყო. 1867 წელს შემუშავდა ახალი დებულება კავკასიაში სწავლება-განათლების შესახებ, რომლითაც იხსნებოდა ახალი სასწავლებლები — რეალური, ქალთა, საოსტატო სემინარია და სხვა. 1871 წელს გაიხსნა სარკინიგზო შიმოსკლა ფოთსა და ტფილისს შორის, 1874 წელს ტფილისში შემოღებული იქნა 1870 წლის საქალაქო დებულება და ამით ტფილისს მიეცა თვითმმართველობა; 1877-8 წლების ომისა და ბერლინის ტრაქტატის შედეგად ამიერ-კავკასიას შემოუერთდა ყარსი და ბათომი თავისი ოლქით. მეოთხმოცე წლების დასაწყისში განახლდა ტყებულის ნახშირის ამოღება და დაიწყო ჭიათურის მარგანეცის გადმოტანა. ამავე წლებიდან შენდებოდა ტფილის-ბაქოსა და სამტრედიის-ბათომის რკინის გზა.

ჩამოთვლილი ფაქტები და მრავალი სხვა ისეთი მნიშვნელობისა იყო, რომ მათ უდიდესი ცვლილებანი შეიტანეს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურსა და სოციალურ ვითარებაში.

ტფილისი საკრძობლად გამოიცვალა, გაიზარდა. 1835 წელს ტფილისში 25000 სული ცხოვრობდა; აქ 3625 კერძო სახლი იყო და 37 სახაზინო (იხ. Орест Евецкий „Стат. описание Зак. края. СПб.“). 1864 წლის აღწერით ტფილისში 60.085 სული ცხოვრობდა, 1876 წლის 25 მარტის აღწერით კი 91,768 სულს უდრიდა ტფილისის მოსახლეობა. ამ აღწერით ტფილისში 14346 კერძო შენობა იყო და 319 სახაზინო. ამ წლის აღწერით ტფილისში 141 ფაბრიკა და ქარხანა¹ არსებობდა, 2416 სავაჭრო დაწესებულება, სახელისნო წარმოებათა რიცხვი 1160 უდრიდა (იხ. „Тифлис по однодневной переписи 25 марта 1876 года“ стр. 23-28)

1870 წელს ტფილისში ხუთი ქართული ჟურნალ-გაზეთი გამოდიოდა: „დროება“, „მნათობი“, „ცისკარი“, „სასოფლო გაზეთი“ და „კრებული“, 1877 წლიდან ი. ქავჭავაძემ დაიწყო „ივერია“-ს გამოცემა. მეოთხმოცე წლებში პერიოდულ გამოცემათა რიცხვმა იმატა. რკინის გზების გაყვანამ, ახალმა ეკონომიურმა ურთიერთობამ ადრე დაქუცმაცებული საქართველოს ნაწილები დაახლოვა და ტფილისი მთლიანი საქართველოს ეკონომიური და კულტურული ცენტრი გახადა.

„საქართველო, როგორც ერი. გაჩნდა მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც ბატონყობის დაცემამ და ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების ზრდამ, გზების განვითარებამ და კაპიტალიზმის წარმოშობამ დააწესა შრომის და ნაწილება საქართველოს ოლქებს შორის, საბოლოოდ შეარყია სამთავრობის სამკურნეო კარჩაკეტილობა და შეაკავშირა ისინი ერთ მთელად“—ამბობს აშხ. სტალინი ამ პერიოდის შესახებ (იხ. ი. სტალინი—მარქსიზმი და ნაციონალურ-კოლონიალური საკითხი, გვ. 9, გამოც. 1934 წ.)

ამ ახალ ეკონომიურსა და კულტურულ პირობებში გაბატონებული კლასების—ბურჟუაზიისა და თავად-აზნაურობის—მოწინავე ნაწილმა თუმცა შიშით და მოკრძალებით, მაგრამ მაინც წამოაყენა საკითხი ტფილისში უმაღლესი სასწავლებლის დაარსების შესახებ.

ტფილისში უმაღლესი სასწავლებლის გახსნის საკითხი პირველად ქართულ პრესაში დაისვა 1871 წელს, მეფის ალექსანდრე მეორის ტფილისში სტუმრობასთან დაკავშირებით (მეფემ ტფილისში დაჰყო 20-28 სექტემბერი 1871 წ.). ქართველი თავად-აზნაურობა სხვა სათხოვართა შორის უმაღლესი სასწავლებლის გახსნის თხოვნასაც აპირებდა. ეს აზრი მაშინ საკმაოდ გავრცელებული ყოფილა. როგორც ამას გაზეთ „დროება“-ს სიღნაღელ კორესპონდენტი გვაცნობს: „სიღნაღში არის ხმა, ვითომც ჩვენ ხელმწიფე იმპერატორს, რომელიც მობრძანდება წრელს საქართველოში, ქალაქის საზოგადოება უპირებს თხოვნას, რომ გახსნას ტფილისში ტექნოლოგიური ინსტიტუტი ან სამეურნეო აკადემია. თუ ეს ხმა მართალია, ზრდა მოგახსენოთ, მშვენიერი აზრია; ყველა დარწმუნდება, რომ ჩვენ ბუნებით მდიდარ ქვეყანას ყველაზე მეტად ესაჭიროება აგრონომი და ტექნიკი“ (იხ. „დროება“ 1871 წ. № 33).

¹ ეს ფაბრიკა-კაონები მეტწილად წვრილი, ხელოსნური ტიპის წამოწყებანი იყო.—რ ე ლ

„დროება“-ს 1871 წლის 3 ივნისის ნომერში მოწინავე წერილი აქვს მიძღვნილი უნივერსიტეტის საკითხს—სათაურით „საქიროა კავკასიაში უნივერსიტეტი თუ არა“?... „საქიროა ისეთი კაცები, — ამბობს მოწინავე, — რომელთაც ხალხის კეთილდღეობისათვის შესტკიოდეთ გული და იმის დახმარებისათვის საკმაო ცოდნა და სურვილიც ჰქონდეთ. ამისთანა კაცებს საზოგადოებას უმაღლესი სასწავლებლები უმზადებენ და ამ სასწავლებლებში, შექველია, პირველი ადგილი უნივერსიტეტს უჭირავს. მართლაც, კარგ უნივერსიტეტსავით ყმაწვილ კაცს ვერცერთი სხვა სასწავლებელი ვერ გაუხსნის გონებას და ვერ გააგებინებს ხალხის საჭიროებას და მოთხოვნილებას; თვით ცხოვრებაში გამოსადეგ ცოდნის გარდა, ყოველ ყმაწვილ კაცს ის პატიოსნების და მოქალაქეობის თესლს უნერგავს გულში, და ეს თესლი, თუ კარგად შემუშავებულ ნიადაგზე დაეარდა, დარწმუნებული იყავით, ყოველთვის სასარგებლო ნაყოფს მოიტანს. თუ ზოგიერთი ჩვენი ახალგაზრდობის მაგალითი არ ამართლებს ამ აზრს, თუ ზოგიერთი უნივერსიტეტში კურსდასრულებული ჩვენი ყმაწვილები მხოლოდ თავის მუცლისა და ჯიბის, და არა საზოგადოების სამსახურს შეუდგენ, ამის უმთავრესი მიზეზი ის იყო, რომ ისინი თავიდანვე არ იყვნენ კარგად მომზადებულნი კეთილი თესლის მისაღებად. ამას ვაძრებ „ბევრ“ კარგში „რამდენსამე“ უხეიროს ყოველთვის უნდა მოელოდეს კაცი.

კავკასიაში, — განაგრძნობს წერილის ავტორი, — უნივერსიტეტის გახსნა ძლიერ გაუადვილებდა ჩვენს მამებს შვილების აღზრდას და ჩვენ ახალგაზრდობას უმაღლესი სწავლის მიღებას. უნივერსიტეტი გააჩენდა ჩვენში გონებით ცხოვრებას და ჭკუით მოძრაობას. უნივერსიტეტის შემწვობით ჩვენი მეურნეობა, ჩვენი ვაჭრობა, ჩვენი საზოგადო ცხოვრება წინ წაიწვედა. უნივერსიტეტის წყალობით ჩვენ გავიცნობდით ჩვენს თავს, ჩვენ შევიტყობდით რამდენი სიმდიდრე, რამდენი სიუხვე მოუტია ჩვენი ქვეყნისათვის ბუნებას და მისივე შეწევნით ამ სიმდიდრის გამოყენებას შევისწავლიდით. ერთი სიტყვით, ვერ მოთვლის კაცი იმ სარგებლობას, რომელსაც ჩვენი უნივერსიტეტი მოგვითმანდა.

ჩვენი აზრით, ის ჩვენში მმართველობასაც და ქვეყანასაც უფრო მომეტებულს სარგებლობას მოუტანდა, ვიდრე რომელიმე ყაზანის, ხარკოვის და იქნება ზოგიერთი სხვა ქალაქების უნივერსიტეტები“.

ამგვარად, ქართველი წვრილი ბურჟუაზიის მისწრაფებათა გამომხატველი ორგანო „დროება“ ასაბუთებს უნივერსიტეტის გახსნის საჭიროებას იმით, რომ ის საზოგადო მოღვაწეებს დაზრდის—პატიოსნებისა და მოქალაქეობის თესლის მატარებელთ, გაუადვილებს მამებს შვილების აღზრდას, გადააქცევს ჩვენს ქვეყანას გონებრივი მოძრაობის მხარედ და ხელს შეუწყობს ჩვენში ვაჭრობის, მეურნეობისა და საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებას.

„შესაძლებელია ჩვენში უნივერსიტეტის გახსნა თუ არა?“, — კითხულობს ავტორი. — „თუ კივესი, ყაზანში, ხარკოვში, ოდესაში შესაძლებელი იყო, ტფილისში რატომ არ შეიძლება?“. შემდეგ წერილის ავტორი განმარტავს, თუ რამდენ მასალას იპოვიან ჩვენში ბუნების გამომაცნობელი პროფესორები, ფილოლოგები და ლინგვისტები, ამიტომ მათი ტფილისში წამოუხსნელადობის შიში არ უნდა გვექონდეს. არც იმის შიში, რომ ნაკლები იქნება შემსვლელ სტუდენტთა რიცხ-

ვი, რადგან კავკასიის გიმნაზიები მრავალმა ახალგაზრდამ დაასრულა“. მარტო ქუთაისის გიმნაზია იმ წელს 45 კაცს გაუთავებია, რომელთაგან 25 რუსეთსა და უცხოეთში აპირებს გამგზავრებას და ტფილისის უნივერსიტეტში კი ყველანი შევიდოდნენ. „საჭიროა მხოლოდ უნივერსიტეტის გასასხნელად ღონისძიებათა მოპოება, რომელიც კარგა ბლომადაა საქირო, განსაკუთრებით დასაწყისში“— დასკვნის ავტორი.

უმაღლესი სასწავლებლის გახსნის საკითხისათვის ვრცელი წერილი მიუძღვნია ცნობილ მწერალს, პუბლიცისტს და საზოგადო მოღვაწეს გიორგი წერეთელს. ის წერილის დასაწყისში ავნიწერს ჩვენი ქვეყნის დაკნინებას, სიღარიბეს. „მაშ რა გვეშეველება, რა გვეჭირება?“—კითხულობს გიორგი წერეთელი. „ისეთი ცოდნის წყარო, რომ იმან ჩვენ ახალგაზრდობას თვალი აუხილოს, ეს დრო კარგად გააცნოს და იმდენად გააფარჯიშოს იმისი გონება, რომ ყოველ ახალს დროს შეეთვისოს, არც ერთი ახალი მოთხოვნილება იმის გონების თვალს არ გამოეპაროს, ეს ყველაფერი შეუძლიან მოახდინოს ჩვენში უმაღლესმა სასწავლებელმა, რომელიც უნდა გაიხსნას ჩვენსავე ნიადაგზე, მაგრამ უმაღლესი სასწავლებელი ბევრნაირია. ჩვენ რომელი უფრო გამოგვადგება იმათში?“

უმაღლეს სასწავლებლებში სახელგანთქმული არიან ინჟინრების აკადემია, ტექნოლოგიური ინსტიტუტი, მეურნეობის და ოჯახობის მასწავლებელი აკადემია და უნივერსიტეტი. ყოველს ამ სასწავლებელს აქვს თავისი დაუფასებელი თვისება, მაგრამ სამივე ზემოხსენებული სასწავლებლები განირჩევიან უნივერსიტეტისაგან შინაგანი თვისებებით“. შემდეგ ავტორი განმარტავს, თუ რას აძლევს თითოეული სპეციალური სასწავლებელი ახალგაზრდობას და განაგრძობს... „ისინი (სპეციალისტები—) მხოლოდ თავის განკერძოებულ საქმეს ჩასჩერებიან და სხვა საქმიანობა, საზოგადო საქმის ყურისგდება, ახალი მოთხოვნილების, ახალი დროის გარჩევა, თუ ერთ საქმეში ვერ იხეირებს, მეორეს ხელის მოკიდება არ შეუძლიათ. ამას გარდა იმათ უნდა ჰქონდეთ უეჭველად კაპიტალი. უამისოდ ისინი ქვეყნის გამოუსადეგარნი ხდებიან და სადაც ფაბრიკები და ზაფოდები ბევრი იქნება იქ გასწევენ სამუშაოდ. მაშასადამე, თუ ჩვენში ფეხი ვერ მოიკიდეს, საზღვარს გარეთ წავლენ. უნივერსიტეტი კი სულ სხვა რიგზე ზრდის ახალგაზრდობას... უნივერსიტეტის მოწაფე არაფერს მეცნიერებაში თავით ფეხებამდის არ არის ჩაფლული, მაგრამ ყოველს მეცნიერებას, ყოველს საზოგადო და კერძო საქმეს ზევიდან დაჰყურებს, რასაც უნდა მოჰკიდებს ხელს, ყველას მოკლე ხანში იგებს და ყველაფერში ოსტატი ხდება... ევროპაში მაგალითებით დამტკიცებულია, რომ ბირველი კაცები ყოველ ხელობაში და მეცნიერებაში სულ უნივერსიტეტში ყოფილან და არიან.

ამას გარდა უნივერსიტეტი ზრდის ისეთს ახალგაზრდებს, რომელსაც სისხლში აქვთ გამაჯდარი საზოგადოების სიყეთის წადილი. ის ჩვეულებრივის გონების სიფხიზლით ადევნებს საზოგადო საქმეებს თვალს და სადაც გასაჭირია, იქ ეტანება.

რომელს ქალაქშიც უნივერსიტეტია, ის ქალაქი ხდება ყოველ საქმეში დაწინაურებული, იმის მცხოვრებლებს ემატებათ ცოდნა და გონების სიმკვირცხლე, პატიოსნური მოქმედება მრავლდება, ზნე მალღდება“.

გ. წერეთლის აზრით უნივერსიტეტი ხელს შეუწყობს საშუალო სასწავლებლების გამრავლებას და მათი ხარისხის ამაღლებას.

„მოკლედ ვთქვათ, — განაგრძობს ავტორი, — უნივერსიტეტი ამრავლებს განათლების წყაროებს მხარეში და თვითონ ამ წყაროებსაც თანდათან აუმჯობესებს. თავისთავად უნივერსიტეტი ზრდის მოხერხებულს, მშრომელს და ახალ მოთხოვნილების ნათლად მსჭვრეტელს თაობას, ბოლოს ამრავლებს მეცნიერებაში და ბევრნაირ ხელობაში განვითარებულს კაცებს, სპეციალისტებს. ყოველივე ამ თვისების გამო, ჩვენს გაჭირვებულ მდგომარეობას თუ რამე უშველის, ისევე უნივერსიტეტი“.

გ. წერეთლის ეს ვრცელი წერილი მოთავსებულია ჟურნალ „კრებული“-ს მეხუთე წიგნში. ცენზურის მიერ ნებადართულია დასაბუქდად 1871 წლის 25 სექტემბერს და უნდა ვიფიქროთ, დაწერილია მეფისათვის განზრახულ თხოვნასთან დაკავშირებით. ამ წერილშიც, რომელიც საგრძნობლად არის დამახინჯებული ცენზურის მიერ, თითქმის იმგვარივე აზრია გამოთქმული უნივერსიტეტის შესახებ, როგორც „დროების“ ზემოთაყვანილ სარედაქციო წერილში. გ. წერეთლის აზრით უნივერსიტეტი იძლევა განვითარებულ ადამიანებს, საზოგადო მოღვაწეებს, და ქვეყანას, სადაც არ არის კაპიტალი, არ არის მრეწველობა, ქარხნები, წარმოება, ესაჭიროება არა ვიწრო სპეციალისტები, არამედ ზოგადად განათლებული პირები. სპეციალისტი, გ. წერეთლის აზრით, უსუსურია წარმოების გარეშე, უნივერსანტი თვითონ ქმნის შესაფერ პირობებს. ამიტომ ჩვენი ქვეყანა, გ. წერეთლის აზრით, უნივერსიტეტმა უნდა იხსნას.

როგორც ხჩანს, ტფილისში უმაღლესი სასწავლებლის დაარსების მოსურნეი ცდილობდენ ამ საკითხისათვის პოპულარიზაცია ეყოთ არა მარტო საქართველოში, არამედ რუსეთშიც. „დროების“ 1871 წლის 15 ოქტომბრის (№ 4) ნომერში წერილია დაბეჭდილი: „ერთს რუსულ გაზეთში („Всемирная иллюстрация“ № 139) ტფილისიდან გაგზავნილი ფუც. მ-ის შემდეგი კორესპონდენციაა დაბეჭდილი: „მთელი აქაური საზოგადოების ყურადღება ახლა ხელმწიფის მობრძანებაზეა მიქცეული. ტფილისის აზნაურობას სურს სათხოვრები წარუდგინოს ხელმწიფე იმპერატორს. სხვათა შორის აზნაურობას აქვს განზრახვა ტფილისში უმაღლესი სასწავლებლის გახსნა სთხოვოს, რადგან ეს განზრახვა საიდუმლოებას არ შეადგენს, ამიტომ ამ საქმის თაობაზე ჩვენ ორიოდე სიტყვის თქმა გვიინდა.“

1839 წელს საქართველოს მთავარმართებელი გოლოვინი ხელმწიფე იმპერატორის წინაშე შუამდგომლობდა ტფილისში ისეთი უმაღლესი სასწავლებლის გახსნას, რომელიც „უნივერსიტეტის მაგირობას შესძლებდა“, მაგრამ მაშინ, ამ შუამდგომლობიდან არაფერი ად გამოვიდა, რადგან ტფილისში უმაღლესი სასწავლებლის გახსნა უღროოდ დაინახეს. შემდეგ, თავ. ბარიატინსკის დროს 1857 წელს ლაპარაკობდენ ლიცეის გახსნაზე ტფილისში. ჩვენ ვიცით, რომ შტატიც და წესდებაც. მოწავალი ლიცეისა მაშინდელ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველისაგან შედგენილი იყო. საქმის მსვლელობიდან ჩანდა, რომ ლიცეის გახსნას არაფერი დაბრკოლება არ ექნებოდა; მაგრამ საუბედუროდ, აქ ერთი ისეთი რამ გაერია, რომელმაც ჩაშალა ეს კეთილი საქმე: ლიცეისთან ისეთი ვანყოფილების გამართვა მოინდომეს, სადაც სამხედრო მეცნიერება და ვარჯი-

შობაც უნდა ესწავლათ. სამხედრო უწყებამ გამოაცხადა, რომ ლიცეიში ამისთანა განყოფილების გამართვა სრულიად უსარგებლო იქნებაო. ლიცეის პროექტმა პეტერბურგში მინც მიადწია და რამდენიმე წლის შემდეგ იქ შეჩერდა.

1861 წელს, როცა ხელმწიფე იმპერატორი ქუთაისში ბრძანდებოდა, ქართველ თავადაზნაურობამ მიართვა იმას თხოვნა, რომ „ჩვენი შვილებისათვის კავკასიაში უმაღლესი სახელმწიფო სასწავლებელი გაგვიხსენი და მანამ რიშელიეს ლიცეიაში ოდესაში, 12 აზნაურიშვილი გაგზავნეთ სწავლის მისაღებადაო“. შემდეგ წერილის ავტორი ამტკიცებს — „დროა კავკასიაში უნივერსიტეტი გაიხსნას, რადგან მას მსმენელთა საკმაო კონტინგენტი ეყოლება“¹-ო.

1871 წლის შემდეგაც ტფილისის პრესაში კანტიკუნტად გაისმოდა ხოლმე ხმა უნივერსიტეტის დაარსების საქიროების შესახებ. ზოგი ადგილობრივი დიდი რუსი მოხელეც იზიარებდა აზრს უნივერსიტეტის გახსნის შესახებ. მაგ. 1874 წლის 26 ივლისს „დროების“ ნომერში დაბეჭდილია სკალკოვსკის წერილი (ალ. აბ. სკალკოვსკი ქუთაისის ოლქის სასამართლოს წევრი ყოფილა): „ჩემი მყოფობის დროს ტფილისში, მე ხშირად გამიგონია სურვილი, რომ იქ ერთი უნივერსიტეტი დაარსდეს. მსგავსი სურვილი, უნდა აღვიაროთ, სრულიად კანონიერია... ტფილისში უნივერსიტეტის დაარსება აქამდის სხვადასხვა უსაფუძვლო მოსაზრების გამო იყო შეჩერებული, მაგრამ უეჭველია, რომ რუსის უნივერსიტეტი საუკეთესო საშუალება იქნებოდა აქაური ხალხის გასარსებლად და ჩვენთან ამ ქვეყნის შესაკავშირებლად“. შემდეგ სკალკოვსკის მოყავს სხვა მოტივებიც უნივერსიტეტის გახსნის სასარგებლოდ. საინტერესოა, რომ „დროების“ იმავე ნომერში, იმ პერიოდში ცნობილი პუბლიცისტის მეველე-ს² მოწინავე მოთავსებული განათლებისა და უნივერსიტეტის შესახებ, გამოწვეული სკალკოვსკის წერილით და ერთი სატყვიათაც არ უსაყვედურებს სკალკოვსკის გარუსების პოლიტიკით უნივერსიტეტის გახსნის დასაბუთებას.

უნივერსიტეტის დაარსების საკითხი უყურადღებოდ არ დაუტოვებია ნიკო ნიკოლაძესაც, რომელმაც თავის გაზეთში „Отецъ“-ში (1878 წლის 23 მარტის ნომერში) მოწინავე უძღვნა.

„საშუალო სასწავლებლები გადატვირთულია ახალგაზრდობით — ამბობს მოწინავე — დასრულების შემდეგ მცირეოდენი მიდის რუსეთში. მაგრამ იქ სიღარიბისა და მკაცრი ჰაიენაგან ჭლექდება, იღუპება. გინაზიაიც 8—10 წლის განმავლობაში ლათინური ენითა და მათემატიკით უტენის ტფინის ახალგაზრდას, რომლისაგანაც ცხოვრება ამ ცოდნას არ მოითხოვს, სხვა კი, შესაფერით ის შვიარაღებული არ არის. ტფილისის უნივერსიტეტი კი მათ ამ უბედურობისაგან იხსნადა.

შემდეგ ავტორი ენება საკითხის ისტორიას, განსაკუთრებით თავადაზნაურების ადრესს მეფისადმი 1871 წელს. თუმცა, სამწუხაროთ, სამოქალაქო უწყების მაშინდელი ხელმძღვანელი ჩვენში, ბარ. ალ. ნიკოლაი (ლიცეუმის პროექტის ავტორი 1857 წ.) არ ურჩევდა თავადაზნაურობას მეფისათვის უმაღლესი სასწავლებლის გახსნის თხოვნას, საკითხის ნაადრევი ხასიათის გამო, ამის მიუხედავად

¹ მეველე — მიქელაძე

თავდაზნაურთა საგანგებო კრებამ მისართმევ ადრესში ეს საკითხიც შეიტანა. ამ ადრესს არ ჩაუვლია უშედეგოდ—განავრძობს მოწინავეს ავტორი—და ეხლა მალღ წირებში აზრი უნივერსიტეტის შესახებ ახალი კი არ არის, არამედ ცნობილი, მოსაზრებული და საფუძვლიანია.

თავდაზნაურობასა და ქალაქის თვითმართველობას, მიუხედავთ მათი ნივთიერი სიციწროვისა, მართებთ სათანადო ნაბიჯების გადადგმა უნივერსიტეტისათვის მატერიალური ბაზის შესაქმნელად, რომელთაც კერძო პირებაც მიზაძავენო.

გაზ. „კავკასი“ წინააღმდეგი იყო ტფილისში უნივერსიტეტის გახსნისა, რადგან მას, გაზეთის აზრით, იგივე ბედი ეწვევა, რაც ნოვოროსიის უნივერსიტეტს, სადაც მხოლოდ 350 კაცი სწავლობს, თითო სტუდენტი კი სახელმწიფოს წლიურად 590 მანეთი უჯდებაო.

საშუალო სასწავლებლებში კურსდამთავრებულთა სიმცირე—გაზეთის აზრით—არ იძლევა უნივერსიტეტის გახსნის შესაძლებლობას, რადგან მას საკმაო კონტინგენტი არ ეყოლება. 1879 წლის სამისწავლო ოლქის ანგარიშიდან სჩანს, რომ საშუალო სასწავლებელში კურსდამთავრებულთა შორის რუსი არის 42⁰/₁₀₀, სომეხი—33⁰/₁₀₀, ქართველი მხოლოდ—4⁰/₁₀₀, რაც აიხსნება ქართველი მოსახლეობის სიღარიბით და შეუძლებლობით დაასრულებინონ ბავშვებს საშუალო სასწავლებელი.

გაზეთის აზრით მთავრობას კავკასიაში სჭირდება ადგილობრივი ენების მცოდნე მოხელეები, რისთვისაც მართლმსაჯულების სასწავლებლის ან მხოლოდ იურიდიული ფაკულტეტის დაარსება უფრო ხელსაყრელი და მიზანშეწონილი იქნება ნივთიერადაც, ვიდრე უნივერსიტეტისა, რომელიც ცარიელი დარჩება. ჯერ საშუალო და დაწყებითი სასწავლებლები უნდა მოვაზრავოთ და უნივერსიტეტზე შემდეგ ვიფიქროთ—ასეთია „კავკასის“ შეხედულება ამ საკითხის შესახებ, რომელიც მე-80 წლებში აქტუალური შეიქმნა. (იხ. გაზ. „კავკასი“ 1879 წ. № 247, 13 ნოემბერი).

ამრიგად, ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ: 1) სამოცდაათიანი წლების მანძილზე (1871-1879) უმაღლესი სასწავლებლის დაარსების საჭიროებას გრძნობდა ქართველი მოწინავე თავდაზნაურობა და წერილობურუაზიოლი ინტელიგენცია, 2) მედგრად და გაბედულად ეს საკითხი არც ერთსა და არც მეორეს არ დაუყენებია და არც საკმაო პროპაგანდა უწარმოებიათ საკითხის პოპულარიზაციისათვის, 3) მთავრობის წრეები და მისი აზრების გამომხატველი პრესა უმაღლესი სასწავლებლის გახსნის წინააღმდეგი იყო, 4) სადაოდ და საკამათით არ არის გამხდარი საკითხი, თუ როგორი უმაღლესი სასწავლებელია ჩვენთვის საჭირო—უნივერსიტეტი თუ რომელიმე სპეციალური სასწავლებელი, ყველანი უნივერსიტეტს აკუთვნებენ უპირატესობას.

როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, ტფილისში უნივერსიტეტის დაარსების მოთხოვნას საზოგადოებრივი ორგანიზაციები რაიმე მნიშვნელოვან და მეფის მთავრობისათვის სასინარულო დღეებს უკავშირებდენ.

1880 წლის 19 თებერვალს სრულდებოდა 25 წლის თავი აღექსანდრე II მეფობისა. ტფილისის პრესაში და სხვადასხვა ორგანიზაციებში გაცხოველდა აზ-

როა გაცვლა-გამოცვლა უმაღლესი სასწავლებლის შესახებ და დაიბადა აზრი ამ დღის აღსანიშნავად ეთხოვათ მეფისათვის ტფილისში უნივერსიტეტის დაარსება.

„დროების“ კორესპონდენტი ს. ასკანელი იწერება მოსკოვიდან: „... მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი თავადაზნაურობა ისარგებლებს ამ შემთხვევით, წაბაძავს ვორონეჟის თავად-აზნაურობას და იშუამდგომლებს უმაღლეს მთავრობასთან, ერთის ხმით, როგორც ამერეთის, ისე იმერეთის თავად-აზნაურობა, რომ ტფილისში ამ დღის სასწავლოდ დაწესდეს უნივერსიტეტი. უმაღლეს მთავრობას ისე ჰყავს ჩაბარებული საქართველო მის მეფისაგან, რომ ხელმწიფე იმპერატორი ამ შუამდგომლობას არ დაავდებს უყურადღებოდ და დაგვასაჩუქრებს ამდენი რეფორმების დასაგვირგვინებლად უნივერსიტეტით...“

ამასთანავე უნდა ვთქვა, რომ ეს თხოვნა იყოს ერთად-ერთი, რადგანაც ამ დროებით ჩვენი საზოგადოება ვერაფერს ამის უკეთეს ვერ სთხოვს მის იმპერატორობითის უდიდებულესობას“ (იხ. „დროება“ 1880 წ. № 2).

ტფილისში უნივერსიტეტის გახსნას თანაურგაძობდენ სახელმწიფო დაწესებულებათა მაღალი მოხელენი. 1880 წელს 12 იანვარს სტუდენტთა ბანკეტზე სახელმწიფო ბანკის მმართველი ვ. ი. კაიდანოვი სიტყვაში მიუთითებდა ციმბირის მკვიდრთა მავალითებზე, რომელნიც, გრძნობდენ, რომ ციმბირის მომავალი უნივერსიტეტზეა დამოკიდებული, რომ სანამ მათ არ ექნებათ უნივერსიტეტი, მათი ბედისა და საქმეების გამგევი იქნებიან არა ამ მხარის მცოდნენი და მოყვარულნი, არამედ მოსულნი, მასზე როგორც ეტააზე მაქქერალნი.

ციმბირის უნივერსიტეტი იხსნება, რადგან მის უდიდეს მნიშვნელობაში დარწმუნებულმა ციმბირელებმა ხელთ აიღეს მისი გახსნის ინიციატივა და უხვი შემოწირულებით საფუძველი ჩაუყარეს მას. შემდეგ კაიდანოვი გამოსთქვამს საერთო სურვილს კავკასიის უნივერსიტეტის ხილვის შესახებ. (იხ. „კავკაზი“ 1880 წ. 15 იანვარი).

1878-80 წლებში ტფილისში უმაღლესი სასწავლებლის დაარსების საკითხი იმდენად პოპულარული ყოფილა, რომ მის შესახებ ლაპარაკობდენ როგორც დღიურ მიმდინარე საკითხზე, კამათობდენ პრესაში, მსჯელობდენ საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მას თანაგრძნობით ეკიდებოდენ არა მარტო ცალკეული წევრები ადგილობრივ მაღალი სანოვნიკებისა, არამედ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი შემდეგში ცნობილი შავრაზმელი კ. პ. იანოვსკიც კი, რომელიც თავის წლიურ საანგარიშო მოხსენებაში ოლქში განათლების მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ საჭიროდ აღიარებდა ტფილისში უმაღლესი სასწავლებლის დაარსებას.

„მოწაფეები, რომელნიც წარმატებით ამთავრებენ რეალურ სასწავლებლებს—სწერს იანოვსკი თავის მოხსენებაში—მიემგზავრებიან პეტერბურგს და გამოცდების ჩაბარების შემდეგ უფლება აქვთ უმაღლეს სპეციალურ სასწავლებლებში შესვლისა, მაგრამ ვაკანსიების სიმცირის გამო ხშირად სასწავლებლის გარეშე რჩებიან. ბევრი მათგანად სატახტო ქალაქში რჩება უსაქმოდ ხანგრძლივად და ხშირად ხდებიან არა თუ უსარგებლონი, არამედ მავნე წევრები საზოგადოებისა.“

„Самым лучшим исходом из такого затруднения было бы учреждение высшего специального училища на Кавказе, с отделениями техниче-

ским, агрономическим и горным. Учреждение такого заведения не только было бы благотельно для молодых людей, оканчивающих курс в средних учебных заведениях края, удержав их на родине и сохранив их здоровье, которое нередко страдает при перемене ими жаркого климата на холодный и сырой, но такое учреждение было бы в высшей степени благотельно и для края и даже для государства: оно оживило бы первый, посредством привлечения сюда молодых сил из России, оказало бы действительное содействие к распространению и улучшению в крае технической, агрономической и горной промышленности и повело бы к открытию в стране таких богатств, которые послужили бы в пользу целому государству. В особенности же горный был бы не только полезным (без всякого сравнения с Петербургом), но даже необходимым для Кавказа, где сама природа указывает на естественное положение здесь этого высшего училища. Не менее естественно было бы на Кавказе и положение факультета восточных языков, факультета, который существует в Петербурге при самом незначительном числе слушателей. Здесь же так много языков и наречий, из числа которых происхождение некоторых остается загадкой для науки, что изучение их на месте в непродолжительном времени принесло бы несомненную пользу истории этнографии и языкознанию“.

(იხ. „Отчет попечителя Кавказск уч. округа о состоянии учебных заведений за 1878 г. ст. 168-169).

ჩვენ თითქმის მთლიანად ამოწყვერეთ ანგარიშის იმ თავიდან, რომელიც შეეხება კავკასიაში სწავლა-აღზრდის გაუმჯობესების ზომებს, მზრუნველის აზრი უმაღლესი სასწავლებლის დაარსების შესახებ. ეს ანგარიში იწერებოდა მეფის მოადგილისათვის და გამოსაქვეყნებლად. ანგარიშზე 1879 წლის 24 აგვისტოს თარიღით მეფის ნაცვალს, დიდ მთავარს მიხეილს წაუწერია: „Благодарю г. Попечителя за его столь интересный и полезный труд. Желаю, чтобы всем его полезным предположениям дан был ход по мере открытия денежных средств“.

კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა კ. პ. იანოვსკიმ დასაწყისში ბევრს აღუძრა იმედი ქართულ მოწინავე საზოგადოებაში. „ივერია“ მის შესახებ სწერდა:... „განათლებას საზოგადოდ და ხალხის განათლებას კერძოდ კარგს მომავალს უქადის მიდრეკილება და მიმართულება მისი; ვინც ახლად დანიშნული იქნა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მეთაურად და მზრუნველად“... (იხ. „ივერია“ 1879 წ. № 1, გვ. 152, წერილი ი. ჭავჭავაძეს უნდა ეკუთვნოდეს). მალე ეს მოხელე შავი რეაქციის ერთერთი ბურჯი გახდა ჩვენში და სწორედ ის ყველაზე უარყოფითად უყურებდა ტფილისში უმაღლესი სასწავლებლის გახსნას.

როგორც დავინახეთ ტფილისში უმაღლესი სასწავლებლის დაარსებას აღფრთოვანებით ხედებოდა საზოგადოება, მის საქროებას სცნობდა კავკასიის უმაღლესი მთავრობა, სასწავლებლის შესახებ მსჯელობდნენ, წერილებს ათავსებდნენ რუსეთისა და ტფილისის გაზეთებში. ამასთან დაკავშირებით ტფილისის ქალა-

ქის თვითმართველობამაც სცადა, უნივერსიტეტის ნიეთიერი საფუძელის შესაქმნელად პირველი ნაბიჯის გადადგმა.

არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ცნობილი ქართველი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის აზრი უნივერსიტეტის დაარსების შესახებ, რომელიც მან გამოთქვა გაზეთ „დროების“ 1880 წლის 22 იანვრის ნომერში ი. სიმონიძის ფსევდონიმით— „მზათა ვართ?“.

„უქანასკნელ დროში ხშირად იმართება საუბარი და სჯა შესახებ უმაღლესი სასწავლებლის ვახსნისა ჩვენს ქვეყანაში. ქადაგობს მწერლობა და აღვიარებს მთავრობა.

რუსეთის გაზეთებმა არა ერთხელ აღძრეს ეს საკითხი. ჩვენში ხომ არც ერთი ორგანო, არც ერთი გაზეთი არ დარჩა, რომ არ გამოეთქვა თავისი მოსახრება, თავისი საბუთები უნივერსიტეტის გამართვის საქიროებაზე.

„ტფილისის მოამბე“, „ობზორი“, „კავკასი“ და სომხის გაზეთები ერთმხრივ ამტკიცებენ, რომ უმაღლესი სასწავლებლის დაფუძნებას კავკასიაში ერთნაირად ითხოვენ როგორც სახელმწიფო ინტერესები, ისე საზოგადოებრივი... მსრუწველი კავკასიის სასწავლო ოკრუგისა... იანოვსკი წარსული წლის ანგარიშში პირდაპირ აღიარებს, რომ მას უმაღლესი სასწავლებლის დაარსება ჩვენში ახლო მომავალში მიაჩნია ფრიად სასარგელო საქმედ, როგორც ჩვენი მხრისათვის, ისე საზოგადოდ რუსეთისათვის.

როცა ზამთრის გასულს გესმის ჭიკჭიკი არა ერთი მერცხლისა, არამედ მთელი გუნდისა, მაშინ დარწმუნებული ხარ, რომ საამური გაზაფხული კარზე გყავს მოდგომილი. საზოგადო საქმეებშიც ასე გახლავთ. თუ თითქმის ყოველი უწყებიდან, ყოველი ბანაკიდან და ყოველი სალიტერატურო ორგანოდან გესმის ერთი და იგივე მოთხოვნილება, ერთი და იგივე სურვილი, უნდა იცოდეთ, რომ ეს სურვილი მალე ასრულდება, მოთხოვნილებას მალე ეღირსება დაკმაყოფილება.

აზრი კავკასიის უნივერსიტეტზე ღრმად იღვამს ფესვებს, ვრცელდება, მწიფდება. მისი სისრულეში მოყვანა, მისი განხორციელება უქვეყლად მოხდება ამ რამდენიმე წლის განმავლობაში“. შემდეგ ავტორი კითხულობს: „ამ გონებითი მნათობის სხივები ჩვენც მოგვეფინება, თუ ისევ ჩრდილში დავგარჩენს და მისი შუქი ამაღლებს მართო ჩვენ იღბლიან მკვობლებს?“ ავტორის უიმედობა იმიტოა გამოწვეული, რომ საშუალო სასწავლებლებ დასრულებულთა შორის ქართველი მხოლოდ 1%-ია. ტფილისის უნივერსიტეტში ქართველობა უმნიშვნელო იქნებაო—სწუხს ავტორი.

ეს ამონაწერი იაკობ გოგებაშვილის წერილიდან იმიტომ კი არ მოვიყვანეთ, რომ ავტორის მოსახრება ქართველი საუნივერსიტეტო კონტინენტის სიმცირე საქმაო საბუთი ყოფილიყო უნივერსიტეტზე უარის სათქმელად. როგორც ზემოდ დავინახეთ ტფილისში უნივერსიტეტის დაარსებას საზოგადოდ კონტინენტის სიმცირის გამო არ სცნობდა საქიროდ ვაზ. „კავკასი“, მთავრობის ოფიციატის კავკასიაში, რაზედაც სამართლიანად უპასუხებდენ სხვა გაზეთები, რომ უმაღლესი სასწავლებელი წაახალისებს და სტიმულს მისცემს ღარიბ მოზობლებსაც კი დაასრულებინონ შვილებს საშუალო სასწავლებლებიო.

ეს წერილი საყურადღებოა იმით, რომ მასში გამოსკვივის ქართველი ინტელიგენციის ერთი ჯგუფის ნაციონალისტურ-შოენინისტური სფლისკვეთება ჯერ მხოლოდ განზრახულ უნივერსიტეტის საკითხში, რომელიც შემდეგში დიდი დავისა და ბრძოლის საგნად გადაიქცა ტფილისში მოსახლე ქართველებისა და სომხების გაბატონებულ კლასებსა და მათ ინტელიგენციას შორის.

მეორე მხრით, ეს წერილი, დაკვირვებული და გამიცდილი საზოგადო მოღვაწის მიერ დაწერილი, ცოცხალი საბუთია იმისა, თუ რამდენად ყოფილა შეოთხმოცე წლების დასაწყისში ქართველი საზოგადოება დარწმუნებული დღედღეზე უმაღლესი სასწავლებლის გახსნაში — საკითხი, რომელსაც დადებითად გადაქრა მხოლოდ ოცდათხუთმეტი წლის შემდეგ ეღირსა.

* * *

1880 წლის 19 თებერვალს იმპერატორ ალექსანდრე II მეფობის ოცდახუთი წლის თავი უსრულდებოდა, და ოფიციალური დაწესებულებანი იუბილესათვის ემზადდებოდნენ. 1879 წლის 12 ნოემბრის სხდომაზე ტფილისის თვითმართველობამ ქალაქის თავის მატინოვის წინადადებით გამოჰყო კომისია (თავმჯდომარე მატინოვი, წევრები: სტატნიოესკი, კორიანოვი, პიტოევი, ზალცმანი და გამბაროევი), რომელსაც დაავალა შეემუშაებია წინადადებანი იუბილეს აღსანიშნავად.

1880 წლის 16 თებერვლის სხდომაზე ქალაქის საბჭომ მოისმინა კომისიის მოხსენება:

1. მიერთვას მეფეს უქვეშევრდომილესი ადრესი მისი მეფობის 25 წლისთავის აღსანიშნავად.

2. დაარსდეს ერთი ქალთა პროფესიონალური სკოლა.

3. დადგენილ იქნეს, თუ ტფილისში უნივერსიტეტი ან ტექნოლოგიური ინსტიტუტი დაარსდება, ქალაქი მას უთმობს შენობისათვის საჭირო მიწის ნაკვეთს და თავის მხრით შენობის ასაგებად იძლევა ასი აფას მანეთს ვერცხლით და სხვ.

კომისიის წინადადების მესამე მუხლმა გამოიწვია მეტად საინტერესო დავა. ამ მუხლის გარშემო ატეხილი კამათი შეიძლება შემდეგი საკითხების გარშემო დაეჯგუფოდ:

1. არის თუ არა ტფილისში ნიადაგი უმაღლესი სასწავლებლის გასახსნელად?

2. მოხსენებული იქნას თუ არა ადრესში უმაღლესი სასწავლებლის გახსნის საჭიროება, ან როგორი რედაქციით?

3. კატეგორიული იყოს შეწირულება, თუ პირობითი (თუ გაიხსნება).

4. როგორი ტიპის უმაღლესი სასწავლებელი გაიხსნას?

5. ტფილისის რომელ რაიონში დაეთმოს მას მიწის ნაკვეთი?

თუმცა სუსტად, მაგრამ ხმოსანთა შორის მაინც გაიხსნა ხმა უმაღლესი სასწავლებლის გახსნის წინააღმდეგ. რომ ტფილისში უნივერსიტეტი გაიხსნას, ამისათვის წინასწარ ნიადაგის მომზადება საჭირო. ჯერ ქალაქი ღარიბია, მასა უფიცია, რაიმე კარგს არ უნდა მოველოდეთ. ხშირად უნივერსიტეტიდან დაბრუნებული ახალგაზრდობა, რომელიც ყვავილი და იმედი უნდა იყოს საზოგად-

დომბრსა, ყალბ მიმართულებას ღებულობს გარემოს გავლენით. (იგულისხმება სტუდენტების მონაწილეობა რევოლუციურ მოძრაობაში — ტ. ხ.). ყველაზე უწინარეს მასის განვითარებაა საჭირო, მასში ვნების გავლით კეთილშობილ შრომისადმი. უნივერსიტეტი უღონოა, როდესაც მასა უფიცია. ყველა ქალაქში, სადაც ხალხის კითხილდობა დაბალია, შემოწირულება გროვდება ტექნიკური განათლების გასავრცელებლად.

ხმოსანი (ელიმირხოვე) წინადადებას იძლევა გაიხსნას ისეთი სასწავლებელი მეცნიერული და გამოყენებით ხასიათისა, რომელშიც სახელოსნო სასწავლებლის კურსდასრულებულს შეეძლება შესვლაო.

ხმოსანთა ერთი ნაწილი (მცირე) აღიარებდა, რომ საჭიროა ფული გადაღებული იქნას ყოველგვარი პირობის გარეშე, ამიტომ საჭიროა დადგენილება ეხლავე იქნას გამოტანილი. თუ საკითხი არასოდეს არ აღიძრება, უნივერსიტეტი ტფილისში არასოდეს არ გვექნება. აუცილებელია იცოდეს მთავრობამ, რომ საზოგადოება გრძნობს უნივერსიტეტის გახსნის საჭიროებას (სტატკოვსკი, გამბაროვი).

„Заявление думы будет иметь громадное политическое значение на всю Россию и принципиальное решение вопроса важнее наличных денег“ — აცხადებს ხმოსანი ნ. ნიკოლაძე.

ხმონებს წინადადებათა შემდეგი რედაქციები შემოაქვთ:

„В надежде скорого открытия в Тифлисе университета, так существенно необходимого для нашего города и для всего Кавказа ассигновать.....“

„Сознавая необходимость открытия в Тифлисе высшего учебного заведения, дума постановила: в видах оказания правительству содействия к скорейшему открытию здесь университета или технического института, ассигновать.....“

....„В виду доклада попечителя Кавказского учебного Округа о необходимости основания высшего учеб. заведения.....“

ნ. ნიკოლაძე აღნიშნავდა, რომ მზრუნველის განზრახვის შესახებ მხოლოდ ხმა იყო გაზეთში, და თუ საბჭო მის შესახებ მოიხსენიებს თავის დადგენილებაში, ამით ის დაუკარგავს ყოველგვარ აზრს თავის ინიციატივას. გარდა ამისა, მზრუნველი თავის მოხსენებაში მხოლოდ ტენხნოლოგიურ ინსტიტუტზე ლაპარაკობდა, რომელსაც კავკასიისათვის მეორე ხარისხიანი მნიშვნელობა აქვს. ასეთი სასწავლებელი თავისთავად გაჩნდება, როდესაც მისი საჭიროება დაიბადება, ახლა კი საზოგადოება გრძნობს უმაღლეს საერთო განათლების სასწავლებლის ე. ი. უნივერსიტეტის საჭიროებასო.

როგორც აქ მოყვანილი კამათიდან სჩანს და ქვემოთ მესამე მუხლის მიღებული რედაქციიდან დავინახავთ, ტფილისის ხმოსანთა საბჭომ ვერც ის გაბედდა, რომ უნივერსიტეტის დაარება ეთხოვა ადრესში მეფისათვის და ვერც იმდენი გამბედაობა გამოიჩინა, რომ ყოველგვარი პირობის გარეშე, კატეგორიულად აღენიშნა განსაზღვრული თანხის გადაღება ტფილისის მომავალი უნივერსიტეტისათვის.

ქალაქის თვითმმართველობის აღნიშნულ სხდომაზე დიდი კამათი გაიმართა უმაღლესი სასწავლებლის ტიპის შესახებ. ტენზოლოგიური ინსტიტუტის მოწინააღმდეგენი ასაბუთებდნენ ამ ტიპის სასწავლებლის ჩვენი ქვეყნისათვის გამოუყენებლობას. რუსეთში არსებული ტენზოლოგიური ინსტიტუტები ორი განყოფილებისაგან შედგება—მექანიური და ქიმიური, ამბობდა ეს ჯგუფი, მექანიურ კურსდამთავრებულნი რკინისგზის სამსახურში შედიან, ქიმიკოსები კი—ფაბრიკა-ქარხნებში: ასეთი კი ჩვენ არ მოგვეპოება. ამიტომ ტენზოლოგიური ინსტიტუტის საჭიროება ჩვენში არ არის. ჩვენთვის საჭიროა უნივერსიტეტი, როგორც წყარო ზოგადი განათლებისა. უნივერსიტეტი არა მარტო აამაღლებს ტფილისის ზნეობრივად, არამედ გაამდიდრებს მას მრავალი ახალგაზრდის მოხილვით (ევანგულოვი).

ტენზოლოგიური ინსტიტუტის მომხრენი ასაბუთებდნენ, რომ რეალურ სასწავლებლის კურსდამთავრებულთ დასული აქტე ვა უნივერსიტეტში. ამიტომ სასურველია ტენზოლოგიური ინსტიტუტი ან პოლიტექნიკური სასწავლებელი. გარდა ამისა ახლა შენდება ბაქოს რკინისგზა, რასაც შედეგად მოყვება ნავთის საქმის განვითარება. მაღალ დიწყება ტყიბულის რკინისგზის მშენებლობა, რაც განვითარებს ქვანახშირის მრეწველობას და მასთან დაკავშირებულ რკინისწარმოებას (მებუთოვი).

ნ. ნიკოლაძე იგონებს ჩვენს მიერ ზემოდ მოყვანილ სტუდენტთა ბანკეტზე კაიდანოვის მიერ წარმოთქმულ სიტყვას ციმბირის უნივერსიტეტის შესახებ, მხარს უჭერს უნივერსიტეტს, რადგან მხოლოდ ის მოგვეცემს კონტინენტს საზოგადო და სახელმწიფო სამსახურისათვის, ტექნოლოგიური ინსტიტუტი კი მოვა თავისთავად, როდესაც ჩვენში მრეწველობა განვითარდება. არ უნდა დავივიწყოთ, ამბობს ნიკოლაძე, რომ ადამიანი ყოველთვის ადამიანია; ადამიანის ბუნება კი ამგვარია: როდესაც ითხოვს, მეტი უნდა მოითხოვოს, რომ ნაკლები მაინც მიიღოს. მოგვეცემენ ტენზოლოგიურ ინსტიტუტს—ისიც კარგია... საბჭომ კი გამოსთქვას საზოგადოების ნამდვილი სურვილი.

უნივერსიტეტს ხმა მისცა დედაბუნა ხმოსანმა, რვა კი წინააღმდეგი იყო. ამრიგად, მესამე მუხლი მიღებული იქნა შემდეგი რედაქციით.

„ტფილისში უნივერსიტეტის გახსნის შემთხვევაში, ქალაქი უთმობს მას საჭირო მიწის ნაკვეთს და აძლევს შენობის სახაგებად 100.000 მანეთს (ნ. ქალაქის საბჭოს 1880 წლის „მოხსენებები“).

როგორც ზემოდმოყვანილ მასალებიდან და კამათიდან სჩანს მე-80 წლებში არა მარტო ქართველი თავადაზნაურული, ბურჟუაზიული და წვრილ-ბურჟუაზიული ინტელიგენცია, არამედ სომხის საეპრო ბურჟუაზიაც უბირატესობას. ზოგად განათლებას აძლევდა სპეციალურთან შედარებით, რადგან ჩვენი მხარე ეკონომიურად ჩამორჩენილი იყო და გზას სახელმწიფო და საზოგადო კარიერისაკენ უნივერსიტეტი უხსნიდა შეძლებულ პირთა შვილებს.

აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში სრულიად არ გამოუწვევია დავა საკითხს, თუ ტფილისის რომელ უბანში აგებულყო საუნივერსიტეტო შენობა. ერთმა ხმოსანმა კუკია დაასახელა, სადაც ქალაქს მრავლად მოეპოვებოდა თავისუფალი მიწა, მეორემ ობსერვატორიის მიერ დაკავებულ ქალაქის დიდ ფარ-

თობზე მიუთითა. ეს საკითხი, შემდეგში სასტიკი ბრძოლის საგნად გადაქცეული, მაშინ ყურად არავის უღია.

ტფილისის ქალაქის თვითმმართველობის დადგენილებას ქუთაისის ქალაქის თვითმმართველობაც გამოეხმაურა, რომლის საბჭომ გადასწყვიტა, რომ „ხელმწიფე იმპერატორის 25 წლის მეფობის სახსოვრად შესწიროს ოცი ათასი მანეთი, როდესაც ტფილისში უნივერსიტეტი დაარსდება“.

ქუთაისის საადგილმამულო ბანკის ზედამხედველ კომიტეტსაც გადაუწყვეტია წარუდგინოს ბანკის საზოგადო კრებას დასამტკიცებლად ოცი ათასი მანეთი, რომელსაც ის სწირავს ტფილისის უნივერსიტეტს, როდესაც ასეთი დაარსდება (იხ. „დროება“ 1880 წ. № 40).

როგორც დავინახეთ, 1879-80 წლებში ტფილისში უნივერსიტეტის დაარსება თითქმის მორიგი საკითხი იყო, რომლის ნებართვას დღე-დღეზე მოელოდა ადგილობრივი საზოგადოება. უნივერსიტეტისა და სხვა მნიშვნელოვან საკითხების დღიურ წესრიგში დაყენება შედეგი იყო იმ თავდადებულ ბრძოლისა, რომელსაც ნაროდოვოლცები აწარმოებდნენ მთავრობის წინააღმდეგ. ალექსანდრე II მთავრობა შედრკა, შეტორტმანდა და მეფე დათმობის გზას დაადგა, ერთ-ერთი ტერორისტული აქტის შემდეგ 1878 წ. 20 აგვისტოს მთავრობის ცნობაში ნათქვამი იყო: „მთავრობამ უნდა ჰპოვოს დასაყრდენი თვით საზოგადოებაში“.

მეფემ 1880 წლის თებერვალში შინაგან საქმეთა მინისტრად ლორის მელიქოვი მოიწვია. მისმა განცხადებამ — „в поддержке общества он видит главную силу, могущую содействовать власти в возобновлении правильного течения государственной жизни“ — ლიბერალურ წრეებში დიდი იმედები აღძრა. მისგან კონსტიტუციონალური წყობილების შემოღებას ელოდნენ. მაგრამ მან მალე გააქარწყლა საქმითაც და სიტყვითაც მოიმედეთა ილუზიები. ლორის-მელიქოვი ხალხის თვალის ასახვევად რევოლუმების ნამცეცებს ამზადებდა. ეს იყო მისი „კონსტიტუცია“. „ნაროდნაია ვოლიამ“ მას „განათლებული დესპოტი“ უწოდა სამართლიანად. 1881 წლის 1 მარტს დასრულდა „განათლებულ დესპოტისა“ და დიქტატორის „ლიბერალური“ ერა. ახალ დიქტატორად გახდა ახალი მეფის უახლოესი ადამიანი, სინოდის ობერ-პროკურორი პობედონოსცევი. მმართველობის ყველა დარგში საშინელი რეაქცია გაბატონდა. ტფილისის უნივერსიტეტზე ლაპარაკი ხანგრძლივად შეწყდა.

* * *

ამის შემდეგ იშვიათად თუ შეხებია ჩვენი პრესა უნივერსიტეტის საკითხს; იშვიათად მოაგონებდა მკითხველს ესათვის გაზეთი ჩვენში უნივერსიტეტის გახსნის საჭიროებას და პრაქტიკული ნაბიჯის გადადგმას მის სასარგებლოდ. მაგ., გაზ. „ივერია“ 1890 წ. № 217 აყენებდა საკითხს საუნივერსიტეტო თანხის შეგროვების შესახებ შემომწირველთა შორის.

1894 წლის სექტემბერში ამიერ-კავკასიაში და ტფილისში განხრახული იყო მიწადმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის ა. ერმოლოვის ჩამოსვლა.

ადგილობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციები — თავიდანშეუბრუნება, ქალაქის თვითმმართველობანი დაფუძნებულნი დაემუშავებინათ საკითხები აღნიშნულ სამინისტროსთან დაკავშირებული და მინისტრისათვის მათი განხორციელება ეთხოვათ. ტფილისის ქალაქის თვითმმართველობამ განიზრახა ძველი საკითხის განახლება, ტფილისში პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაარსება ეთხოვა მინისტრისათვის.

შუამდგომლობის შესამუშავებლად გამოყოფილ კომისიის მოხსენებაში ნათქვამია: დღიდან კავკასიის შეერთებისა რუსეთთან მთავრობა ცდილობდა განეთარებინა ადგილობრივი სოფლის მეურნეობა, სამთომადნო და საქარხნო მრეწველობა. ჰქმნიდა ფერმებს, ბაღებს, სანერგეებს, აქეზებდა კერძო პირთა წამოწყებებს სახაზინო მიწებისა და სუბსიდიის მიცემით... მაგრამ მთავრობისა და ყველა კერძო პირთა წამოწყებანი მარცხით სრულდებოდა... ერთერთი მთავარი მიზეზი ამისა ის იყო, რომ ამ წამოწყებათ არ უსწრებდა წინ სისტემატური მეცნიერული კვლავიერება სხვადასხვა პრაქტიკული საკითხებისა ადგილობრივ სამრეწველო მეურნეობასთან დაკავშირებული.

ამასთანავე სხვადასხვა დაწესებულებანი, მთავრობის მიერ შექმნილი ამათუიმ სპეციალობათა საჭიროების მიხედვით, როგორც წასაბაძი მაგალითი, აგრეთვე უშედეგონი დარჩენ, რადგან არ იყვნენ აღჭურვილი იმ ცოდნით, იმ გამოცდილებათ, რომელსაც ყველა ქვეყანაში ჰქმნის უმაღლესი სამეცნიერო ინსტიტუტი.

კავკასიის ეკონომიური ცხოვრება მჭიდროთა დაკავშირებული მეურნეობის იმ დარგებთან, რომლისთვისაც ჩვენმა ბუნებამ განსაკუთრებული ხელისშემწყობი პირობები შექმნა. ნავთის, მარგანეცის, სპილენძის, ქვანახშირის, კობალტის და სამთომადნო მრეწველობის სხვა დარგები ერთის მხრით და მეორეს მხრით სიმინდის, ბამბის, ღვინის, აბრეშუმის, მატყლის, ბრინჯის, ზეთიან თესლეულის, თევზეულის ექსპორტი მიგვითითებენ იმ დარგებზე, რომელთაც დიდი მომავალი აქვთ.

ადგილობრივი სოფლის მეურნეობა-მეღვინეობა, მებაღეობა, მებამბეობა და სხვა მოითხოვს წინასწარ შესწავლასა და ცდებს მის ადგილობრივ, ბუნებრივ პირობებში და რაც გამოსადეგი არის სხვა ქვეყნებში არ იძლევა მისი შაბლონიური გამოყენება აქ შედეგებს.

ცხადია, აღნიშნული საკითხების გადაჭრა შეუძლია წარმატებით მხოლოდ ადგილობრივ ინსტიტუტს, შეიარაღებულს ყველა საშუალებებით მეცნიერულ ცნებების დასაყენებლად.

კომისია საჭიროდ აღიარებდა პოლიტექნიკუმის დაარსებას სასოფლო-სამეურნეო და სამთო განყოფილებებით (იხ. „მოხსენებანი“ ტფ. ქალაქის რჩევისა 1894 წ. № 822).

საბჭოს სხდომაზე კომისიის მოხსენების გამო არ გაშლილა კამათი პოლიტექნიკური ინსტიტუტისა თუ უნივერსიტეტის უბიარტესობის შესახებ, რადგან მიწადროქმედების მინისტრის კომპეტენციაში მხოლოდ სპეციალური სასწავლებელი შედიოდა. ხოლო ზოგი ხმოსანი (ა. ბაბოვი) აღნიშნავდა, რომ მხარისათვის საჭიროა არა უმაღლესი, არამედ საშუალო ტექნიკური განათლება, რად-

გან ის ბევრს იცნობს უმაღლესი აგრონომიული ცოდნით აღჭურვილს, რომელიც მოკლებულია საშუალებას სათანადო შესაძლებლობის უქონლობის გამო პრაქტიკულად გამოიყენოს თავისი ცოდნა, ან იტომ იძულებულია კერძო კანტონში დადგეს მოსასახურედ, ან განეთის რეპორტიორობა იკისროს.

საბჭომ დაადგინა: მოხსენება დამტკიცდეს. პოლიტენიკუმი უმთავრესად უნდა იქნეს სასოფლო-სამეურნეო და სამთო-სამრეწველო განყოფილებებით.

გადაირიცხოს მინისტრის განკარგულებაში ერთდროულად ასი ათასი მანეთი და გამოიყოს 200 დეს. მიწა, სადაც ეს ინსტიტუტისათვის უმჯობესი იქნება.

შეწყდეს უნივერსიტეტის თანხიდან ფულის ვასესება. გამოთხოვილ იქნას უმაღლესად ნებაართვა მთელს კავკასიაში ფულის შესაგროვებლად პოლიტენიკუმისათვის, თუ მთავრობა მის გახსნას დაადგენს. (იხ. „უწყებანი“ ტფ. ქალაქის თვითმმართველობისა 1894 წ.).

გაზეთი „ივერია“ გამოეხმაურა მინისტრის ჩამოსვლას და სამეურნეო განათლების საქმეს მოწინავე უძღვნა; წერილი ი. ჭავჭავაძეს უნდა ეკუთვნოდეს: „... ცოდნისათვის ყველაზე უწინარეს სამეურნეო სკოლებია საქირო და მათ შორის ერთი მინც იმისთანა, რომელსაც უმაღლეს სკოლას ეძახიან. დღესაც ყველა მკოდნე კაცს ეოცება, რომ ამისთანა მდიდარ ქვეყანაში ერთი ამისთანა უმაღლესი სკოლა არ არის. სკოლები, რასაკვირველია, თავის სარგებლობას მოიტანს თავის დროს. მაგრამ ამას ჟამი და დრო უნდა. დრო კი თავისას არ იმლის და ჩვენ უკან მივიღვართ. ამისათვის, გარდა სკოლისა, აქაურ მკვიდრთათვის დიდი რამ იქნება სამაგალითო ფერმები...“ (იხ. „ივერია“ 1894 წ. № 204).

მინისტრმა ეროლოვმა შავიზღვის სანაპიროები შემოიარა; სოსუმში განაცხადა, რომ ეს მშვენიერი მხარე უფრო კულტუროსანი ხალხით უნდა დავასახლოთო. ბათომიდან ქუთაისს ეწვია. ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობამ სთხოვა ყოველ მაზრაში თითო დაბალი სასოფლო-სამეურნეო სკოლის გახსნა, ხოლო გუბერნიაში ერთი საშუალო სამეურნეო სკოლის დაარსება.

თავადაზნაურთა წინამძღოლმა აღნიშნა, რომ ეს საქმე მთავრობამ უნდა იკისროს, რადგან ქუთაისის გუბერნიაში ერობა არ არის, თუმცა საერობო ფული 710.000 ყოველწლივ იკრიბებაო. მინისტრს არ უთქვამს უარი შუამდგომლობის აღძვრაზე (იხ. „ივერია“ 1894 წ. № 206)

ტფილისის თავადაზნაურთა წინამძღოლმაც მინისტრს თხოვნა წარუდგინა საშუალო სამეურნეო სასწავლებლის დაარსების შესახებ. მინისტრმა დახმარება აღუთქვა, „რადგან—განაცხადა მან—მე იმ აზრისა ვარ, რომ ამგვარი სასწავლებელი კავკასიაში ფრიად სასურველიაო.“

როგორც ვხედავთ, ამ პერიოდში ქართველი თავადაზნაურობა მხოლოდ საშუალო და დაბალ აგრონომიულ სასწავლებლის გახსნას მოითხოვდა, ისიც მთავრობის ხარჯით, რადგან უმაღლესი სასწავლებლისათვის საქირო თანხების გაღება მას ეძნელებოდა.

გაზ. „Кавказ“-იც კი ამჟამად უმაღლესი სასწავლებლის დამკველად გამოვიდა და ქართველ თავადაზნაურობას საკუთარი ინტერესების შეუფერხლებლად მიუთითა:...

„ქუთაისის თავდაზნაურობას ღრმად უნდა ჩაებნენ თავის მდგომარეობაში, არ დაკმაყოფილებულიყო მარტო სიმინდით და თავის თხოვნაში ბ-ნ მინისტრისადმი უნდა აღენიშნა უმაღლესი აგრონომიული ინსტიტუტის აუცილებლობა ჩვენი მხარისათვის. ქუთაისლების შემდეგ იგივე შეიძლებოდა გამოეთქვათ ტფილისის თავდაზნაურობას, სოფლის მეურნეობის საზოგადოებას და ქალაქის თვითმმართველობას. ასე ერთსულოვნად გამოსატულ თხოვნას შეუდარებელი დიდი წარმატება ექნებოდა, ვიდრე ესლა, როდესაც ასეთი განცხადებით იკრიბებინ ტფილისის თვითმმართველობა და ჩვენი სოფლის მეურნეობის საზოგადოება... საქმე, რასაკვირველია, არ არის წამხდარი, მაგრამ ყოველ შემთხვევაში სასურველია, რომ ამ დანარჩენმა საზოგადოებრივმა ჯგუფებმა მაინც მიმართონ ბ-ნ მინისტრს შუამდგომლობით ჩვენში სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გახსნის შესახებ“ (იხ. „Кавказ“ 1894, № 235).

მინისტრმა მიიღო ქალაქის დეპუტაცია. ქალაქის მოურავმა იზმაილოვმა მიართვა ეროლოვს მოხსენება და სიტყვიერადაც განუმარტა საკითხი, რაზედაც მინისტრმა უბასუხა: „მე დიდად მოხარული ვარ, რომ ქალაქის გამგეობა ამ სასარგებლო უმაღლესი სასწავლებლისათვის სწირავს ასი ათას მანეთს, მაგრამ ჩემის აზრით ამ ფულით შეუძლებელია ინსტიტუტის დაარსება ტფილისში. ამგვარ სასწავლებლისათვის საჭიროა უკანასკნელი მილიონახევარი მანეთი, ხოლო ამოდენა ფულის დახარჯვა ქალაქის გამგეობას არ შეუძლია“.

მინისტრისათვის გამართულ სადილზე ქალაქის მოურავმა იზმაილოვმა შემდეგი სიტყვით მიმართა მას: „მინისტრმა მრავალი იმედი აღგვიძრა გუშინ სამეურნეო საზოგადოების კრებაზე; მან სამგვარი დაპირება აღგვითქვა: 1. შემწეობა სწავლა-განათლების საქმეში, 2. ზნეობრივი დახმარება ამ საქმეში და 3. დახმარება ფულადი, იმედი მაქვს, რომ ყველა ეს დაპირება ასრულდება და ტფილისს იქნება დაპირებული უმაღლესი სამეურნეო სასწავლებელი—პოლიტექნიკუმი“. თუ რას დაპირდა მინისტრი პოლიტექნიკუმის შესახებ, ეს ჩვენ ზემოდ დავინახეთ. ხოლო არც სხვა „სიკეთე“ აგრონომიულ განათლების გავრცელებაში არც მაშინ, არც მას შემდეგ მეფის მინისტრისაგან არაფერ მოსწრება ამიერ-კავკასიაში, რომელსაც მხოლოდ ორიოდ დაბალი სამეურნეო სკოლა ებადა და არც ერთი საშუალო ან უმაღლესი.

ასე დასრულდა ეს მორიგი ამოძრავება უმაღლესი სასწავლებლის დაარსების გარშემო ამ ეტაპზე—1894 წ.

* * *

შემდეგი ბიძგი ტფილისში უმაღლესი სასწავლებლის დაარსების საკითხს მისცა ქალაქ კავკაისის თვითმმართველობის დადგენილებამ.

1896 წელს 6 მარტის სხდომაზე კავკაისის ქალაქის თვითმმართველობამ განიხილა ქალაქის თავის მოხსენება კავკაეში პოლიტექნიკუმის დაარსების შესახებ. მოტივებად შემდეგი მოსაზრებანი მოყვება:

1. კავკავი მთელი კავკასიის ცენტრია.
2. აქვე არის კავკასიის ქედი თვისი სიმდიდრით.
3. მის მეზობლადაა გროზნის ნავთის რაიონი.

4. ქალაქს აქვს მშვენიერი ადგილმდებარეობა, სალი ჰავა, იაფი ცხოვრება.
5. მასთან ახლოს არის ღონის სამრეწველო რაიონი, არ არის შორს აქედან ვოლგის სამრეწველო რაიონიც.

6. კავკავი უფრო მეტად არის რუსული ქალაქი, ვიდრე სხვა.

7. მხარის ყოველი კუთხიდან კავკავში ჩამოსვლა უფრო მოხერხებულია, ვიდრე ხარკოვში, რიგაში ან სხვაგან გამგზავრება, მით უმეტეს, რომ საქართველოს სამხედრო გზა არ არის საშიში, რადგან საუღელტეხილო გზის გაყვანადლის საკითხად სდგას და გადასვლის საფასური საფოსტო ცხენებით ერთი სამად შემცირებულია.

კავკავის ქალაქის რჩევაზე ამ საკითხის განხილვისას ზოგი ხმოსნის მიერ (უსპენსკი) კავკავის სასარგებლოდ განვითარებული იყო დამატებით დებულება, რომ „ეს ქალაქი მეტად არის რუსული, ვიდრე სხვა“, მავალითად ბაქო, მოშორებული კავკასიის ცენტრს, ან ტფილისი, სადაც ანგარიშგასაწყევია ნაციონალური საკითხი: ეს გარემოება კი იწვევს სასწაულო საჭმისათვის არა სასურველ სხვადასხვა მოვლენებს, როგორც, მავალითად რიგაში, სადაც არის პოლიტენიკუმი და სადაც სქარბობს გერმანელი ელემენტები.

კავკავის პოლიტენიკუმს კონტინენტიც ეყოლება, რადგან კავკასიაში საშუალო სასწავლებელს 226 გიმნაზიელი და 105 რეალური სასწავლებლის მოწაფე ათაეებსო.

მოსხენების მოსმენისა და კამათის შედეგად კავკავის ქალაქის რჩევამ დაადგინა: 1. გაიხსნას კავკავში პოლიტენიკუმი, რომლისთვისაც ქალაქმა უფასოდ გამოიყოს საკირო მიწის ნაკვეთი. 2. გაღებულ იქნას ამ მიზნისათვის თერგის კახაკთა ჯარის თანხებიდან ფულადი სახსრები. 3. დაეგზავნოს მიმართვა კავკასიის ქალაქებს და კერძო პირებს შიიღონ ფულადი მონაწილეობა კავკავში პოლიტენიკუმის დაარსების საქმეში.

ეს ცნობები და მიმართვა კავკავის თვითმართველობას გამოუგზავნია ტფილისის ქალაქის თავისათვის წინადადებით: დაესვა მას ეს საკითხი თვითმართველობის სხლომაზე, ხომ არ დაინახავდა ის, როგორც დაინტერესებული პოლიტენიკუმის გახსნით, გაეღო ამ მიზნისათვის ფულადი სახსრები. ცოტა ხნის შემდეგ კავკავის თვითმართველობა ცნობას უგზავნის ტფილისის ქალაქის თავს, რომ სახალწო განათლების მინისტრს გრაფ დელიანოვს განუხილავს მათი თხოვნა და, რომ ის, დელიანოვი, სახელმწიფოსა და მხარის ინტერესებიდან გამომდინარე უმჯობესად სთვლის განზრახული პოლიტენიკუმის კავკავში დაარსებას; ამასთანავე მინისტრი დაინტერესებულია საკითხით, თუ რამდენად შესაძლებელია პოლიტენიკუმის დასაარსებელი თანხების ნაწილი გაღებული იქნას ადგილობრივი ორგანიზაციებისა და კერძო პირების მიერო.

ამასთანავე ტფილისის ქალაქის თავს მოსდის ხმოსანთა შორის გასავრცელებლად ვაზეთ „კაზბეკ“-იდან ამონაბეჭდები, რომელშიც ნათქვამია, რომ საკითხი პოლიტენიკუმის დაარსების შესახებ გადაჭრილია ქ. კავკავის სასარგებლოდ, და ვაზეთი წინადადებას აძლევს ტფილისის, ქუთაისის და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქების თვითმართველობებს „უკუავღონ განზრახვა არ მისცენ არც ერთი კაპიკი“ კავკავის პოლიტენიკუმს. ვაზეთი ურჩევს ყველა აღნიშნულ

ქალაქებს დახმარება გაუწიონ კავკავში პოლიტენიკუმის გახსნის საქმეს, რადგან ეს უკანასკნელი მთელი მხარის კუთვნილება იქნება. „კანზეკი“ წინადადებას იძლევა აგრეთვე ტფილისისა და ქუთაისის მიერ უმაღლესი სასწავლებლისათვის გადადებული ასორმოცდა ათი ათასი მანეთი გადაირიცხოს კავკავის პოლიტენიკუმისათვის და სხვა ქალაქები თავისი პრეტენზიებით ხელს ნუ შეუშლიან კავკასიის საერთო საქმეს.

1897 წლის 13 ოქტომბერს ტფილისის ქალაქის ხმოსანთა სხდომა ადგენს:

1. ქალაქ კავკავის თვითმართველობის შუამდგომლობა უარყოფილ იქნას.
2. ქალ. ტფილისმა განაახლოს შუამდგომლობა პოლიტენიკუმის დაარსების შესახებ ამავე ქალაქში.
3. ქალაქის საბჭოს დასახმარებლად არჩეულ იქნას კომისია სარედაქციოთ და გამოსარკვევად, თუ დაახლოებით რა თანხები შეუძლია ქ. ტფილისს იკარაულოს დახმარების სახით სხვა ქალაქებიდან და ორგანიზაციებიდან.
4. დადასტურდეს, რომ ტფილისის გადადებული აქვს პოლიტენიკუმისათვის ასი ათასი მანეთი და 200 დესეტინა მიწის ფართობი მისი საკუთრებისათვის.

5. დავგავნოს ტფილისის თვითმართველობის სახელით ყველა ქალაქის თვითმართველობას და სხვადასხვა დაწესებულებებს მიმართვა საბჭოს მოხსენებითა და ქალაქის შუამდგომლობით დაეხმარონ მას პოლიტენიკუმის გახსნაში (იხ. ტფილისის „იზვესტია“, 1898 წ. გვ. 391).

ამრიგად ქალაქ კავკავის თვითმართველობის განზრახვამ პოლიტენიკუმის კავკავში დაარსების შესახებ შეაფოთა ტფილისის თვითმართველობის წარმომადგენელი და ამ საკითხის წინ წასაწევად მორიგი ნაბიჯი გადაადგმევინა.

13 ოქტომბრის სხდომაზე გამოყოფილმა კომისიამ ტფილისში პოლიტენიკუმის დაარსების შესახებ მოტივირებული შუამდგომლობა შეიმუშავა და თანახმად წესისა ქალაქმა ის გუბერნატორს წარუდგინა.

1898 წლის 12 თანვარს ქალაქის ხმოსანთა სხდომაზე თავმჯდომარემ, ქალაქის თავის მოადგილემ ივანენკომ საბჭოს მოახსენა, რომ ის ტფილისში პოლიტენიკუმის დაარსების საკითხზე ესაუბრა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს, სურდა რა გაეგო მისი შეხედულება ამ საკითხის შესახებ. მზრუნველს (იანოვსკის) აღუნიშნავს, რომ ქალაქის შუამდგომლობაში რელიგიურად არის გამოქვეყნებული საკითხი კავკასიისათვის პოლიტენიკუმის საკუთრების შესახებ, მაგრამ, მზრუნველის აზრით, ეს იმას არ ნიშნავს, რომ პოლიტენიკუმი აუცილებლად ტფილისში უნდა დაარსდეს, რომ პოლიტენიკუმი მთავრობისაგან დიდ ხარჯებს მოითხოვს, ხოლო ტფილისის მონაწილეობა მის ხარჯებში მეტად უმნიშვნელოაო.

ტფილისის ქალაქის თვითმართველობა კიდევ იმ გარემოებამ აამოძრავა, რომ განათლების სამინისტრომ დაავალა სამინისტროსთან არსებულ ტენიკური და პროფესიული განათლების სამეცნიერო კომიტეტს დაემუშავებინა საკითხი 1898-9 სასწავლო წლისათვის ახალი უმაღლესი სპეციალური სასწავლებლის გახსნის შესახებ.

ამის შედეგად ბევრ ქალაქს რუსეთში აღუძრავს შუამდგომლობა უმაღლესი სასწავლებლის დაარსების ნებართვის შესახებ, და რადგან ასეთი სასწავლებლის დაარსების ნებართვა საგრძნობლად იყო დამოკიდებული თანხების იმ რაოდენობაზე, რომელსაც ესა თუ ის ქალაქი გაიღებდა, ტფილისის მიერ გაღებული თანხა კი ადგილობრივმა ხელისუფლებამაც უმნიშვნელოდ სცნო, ამიტომ ხმოსანთა აღნიშნულ სხდომის კომისიამ წინადადება მისცა ტფილისის თვითმმართველობას გაეღო დამატებით 30.000 მანეთი ყოველწლიურად დღიდან ტფილისში პოლიტექნიკუმის გახსნისა. სხდომამ ეს წინადადება მიიღო (იხ. ქ. ტფილისის „იზვესტია“ 1898 წ. გვ. 20).

1898 წლისათვის ტფილისის პოლიტექნიკუმისათვის შემდეგი თანხა იყო გაღებული.

ე რ თ დ რ ო უ ლ ა დ:

1. ტფილისის ქალაქის თვითმმართველობისაგან	100.000 მ.	და 200 ლეს. მიწა
2. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისაგან	50.000 მან.	
3. „ ურთიერთ ნდობის საზოგადოებისაგან	10.000 მან.	
4. ძმ. მირზოევების და აშხ. ნავთის მრეწველობისა და საეაქრო ამხანაგობისაგან	25.000 მან.	
5. ი. გ. ტუშავევისაგან	10.000 მან.	
6. ქალაქ ოზურგეთისაგან	1.000 მან.	
7. ი. ა. ტაიროვისაგან	1.000 მან.	
8. ვ. ვ. ლესევიჩისაგან	101 მან.	
9. ტფილისის კომერციულ ბანკისაგან	30.000 მან.	
10. ტფილისის სათავადაზნაურო ბანკისაგან	5.700 მან.	
	<u>სულ . . .</u>	<u>250.801 მან.</u>

ყ ო ვ ე ლ წ ლ ი უ რ ა დ:

1. ტფილისის ქალაქის თვითმმართველობისაგან	30.000 მან.
2. ბათუმის „ „ „	2.000 მან.
3. ქუთაისის „ „ „	1.000 მან.
4. ბათუმის ურთიერთ ნდობის საზოგადოებისაგან	200 მან.

ს უ ლ . . . 33.200 მან.

საანგარიშო დღისათვის ტფილისში პოლიტექნიკუმისათვის დახმარების საკითხი ღიად ჰქონია დატოვებული სახსრების გამორკვევამდის ალექსანდროპოლს, ნუხასა და შუშას. ქალაქ ბაქოს თვითმმართველობას იმ დღეებში უნდა განეხილა დახმარების საკითხი. სახსრების უქონლობის გამო დახმარებაზე უარი განუცხადებიათ, მაგრამ პოლიტექნიკუმის ტფილისში დაარსების გამო სრული თანაგრძნობა გამოუთქვამთ შემდეგ ქალაქებს: ფოთს, პეტროვსკს, ვანჯას, თემირხანშურას, ნოვოროსიისკს, პიატიგორსკს, არმავირს, დუშეთს, ყუბას, ყიზლიარს, ორდუბათს, მოზდოკს. ქალაქ სტავროპოლს 1898 წლის ანგარიშში განსაზღვრული თანხის შეტანა ჰქონია განზრახული (იხ. ქალ. ტფილისის „იზვესტია“ 1898 წ. გვ. 140).

ტფილისში პოლიტექნიკუმის დაარსების შესახებ ქალაქის საბჭოს მორიგი უშუაღმომლობის აღძვრის შემთხვევა მიეცა 1901 წელს. ამ წელს სრულდებოდა ასი წელი დღიდან საქართველოს რუსეთთან „შერთებისა“. საქართველოს თავად-აზნაურობა ზეიმისათვის ემზადებოდა და მას არც ტფილისის ქალაქის თვითმართველობა ჩამორჩენია¹.

ტფილისის ქალაქის საბჭოს 1900 წლის სექტემბრის სხდომაზე ხმოსანმა გ. მ. თუმანიშვილმა აღძრა საკითხი ტექნოლოგიური ინსტიტუტის დაარსების შესახებ, დაასაბუთა მისი საჭიროება და აღნიშნა, რომ იგი თავისი იდეით და დიდი მნიშვნელობით უფრო შეეფერება დიადს ისტორიულ ფაქტს საქართველოს რუსეთთან შერთებისასო. ახრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ საბჭომ მიიღო გამგეობის წინადადებანი და დაადგინა აგრეთვე აღძრულიყო უშუაღმომლობა უმაღლესი სასწავლებლის – ტექნოლოგიური ინსტიტუტის დაარსების შესახებ. (იხ. „ცნობის ფურცელი“ 1900 წლის № 1244).

მორიგ სხდომაზე, 1900 წლის 29 ნოემბერს, ტფილისის საბჭო აღგენს:

1. გარეშე იმ 30.000 მანეთისა, რომელსაც ქალაქი ყოველწლიურად სწირავს პოლიტექნიკუმს დღიდან მისი გახსნისა, ის ერთდროულად იღებს კიდევ ამ მიზნისათვის 30.000 მანეთს, რა რომ უმაღლესად იქნება ნებადართული პოლიტექნიკუმისათვის შეწირულებათა მიღება. 2. აღიძრას უშუაღმომლობა განზრახულ სასწავლებელს ეწოდოს „იმპერატორ ალექსანდრე I-ის პოლიტექნიკუმი“. ქალაქის თვითმართველობამ უკვე მონათლა ჯერ არ შობილი ბავშვი. მაგრამ ეს უშუაღმომლობანი შინაგან საქმეთა და მიწადმოქცელების სამინისტროებმა უშედეგოდ დასტოვეს.

ამით დასრულდა პირველი პერიოდი ტფილისში უმაღლესი სასწავლებლის დაარსების საკითხისა. ამ პერიოდში, რომელიც სამოცდაათთან წლებიდან იწყება და 1901 წლით სრულდება, უმაღლესი სასწავლებლის დაარსების ინიციატივა ადგილობრივი საზოგადოებიდან გამომდინარეობს: პრესა და სხვადასხვა ორგანიზაციები, განსაკუთრებით ტფილისის თვითმმართველობა ასე თუ ისე „იბრძვიან“ ამ საქმისათვის.

1905-6 წლის რევოლუციასთან დაკავშირებით ლიბერალურად და ოპოზიციურად განწყობილი საზოგადოებრივი ჯგუფების თვალის ასახვევად და მოსატყუებლად უმაღლესი სასწავლებლის დაარსების საქმეს კავკასიაში ხელი მოკიდა თვით მთავრობამ, რომელმაც მთავარმართებლის სამმართველოსთან დააარსა მთავარი კომიტეტი ტფილისში უმაღლესი სასწავლებლის მოსაწყობად.

¹ რუსეთთან საქართველოს „შერთების“ ასა წლის თავის აღსანიშნავად ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობას არა თუ უმაღლესი სასწავლებლის დაარსების საკითხი არ დაუსუქავა, არამედ საზოგადოდ რაიმე საჭირო და ხალხისათვის სასარგებლო საქმეს წამოაწვებაც არ განუზრახავს. 1901 წლის 21 ნოემბრის საანგებო სხდომაზე ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობამ დაადგინა: 1) გაიგზავნოს პეტერბურგს ოცი კაცისაგან შემდგარი დელუტაცია; 2) დელუტაციამ შეამოს გვირგვინებით ყ-ლა მეფის საფლავი, მოვიდებოლი პავლეანი; 3) გაიმზარსთოს ხელისმომწერა ი) თანხების შესაგროვად, რომლითაც უნდა დაიდგას ძეგლი ამ ღირსშესანიშნავ დღის აღსანიშნავად; დაარსებულ იქნას ოთხი სტიპენდია კადეტთა კორპუსში იმ ბავშვებისათვის, რომელთა მამები მსახურობენ საქართველოში პირველად შემოსულ პოლკებში; 4) იუბილეს დღეს (12 სექტემბერი 1901 წ.) გად-ხდით იქნას წირვა და პარაკლისი და შემდეგ გაიმართოს სადილი. (იხ. „ცნობის ფურცელი“ 1900 წ. გვ. 1307).

ეპიზორი ვაქა-შხაველას პერაგომიერ მოღვაწეობიან¹

1879 წელი ღირსშესანიშნავი თარიღია ქართველი საზოგადოებრივობის ისტორიაში. გამარჯვებული პოლიტიკისათვის წინააღმდეგობის გაწევის მიზნით თვითმპყრობელობის ლეგალობის პირობებში იქმნება მთელი რიგი ორგანიზაციებისა. მათი ერთი ნაწილის მიზანია ხალხში სწავლა-განათლების შეტანა მშობლიურ, ქართულ ენაზე, ქართული ლიტერატურისა და ხელოვნებისათვის ხელის შეწყობა და სხვა. კონკრეტულად: 1879 წელს დაარსდა შეუქლებელ მოსწავლეთა საზოგადოება, რომელმაც მაშინვე გახსნა სკოლა, შემდეგში ქართულ გიმნაზიად გადაკეთებული, აგრეთვე ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რომელიც მიზნად ისახავდა ქართველი ხალხის უფრო ფართო წრეების კულტურულ მოთხოვნილება-საჭიროებათა მომსახურებას, და, ბოლოს, მომდევნო 1880 წელს ქართული დრამატული საზოგადოება, რომელიც მუდმივ დასს ჰქმნის და მშობლიური სცენის ირგვლივ რაზმავს მაყურებლის ინტერესსა, ზრუნვას და სიყვარულს.

ამ ორგანიზაციანთა შორის ჩვენი თემისთვის უფრო საგულეებელია ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რომელმაც თავისი არსებობის პირველი წელივე აღნიშნა ტფილისში სანიმუშო მასობრივი სკოლის დაარსებით, ხოლო მომდევნო წლებში იზრუნა ასეთივე სკოლები გაეხსნა პროვინციებშიც, სახელდობრ, გორის მაზრის სოფელ წინარესსა და ტფილისის მაზრის სოფ. დიდ-თონეთში, რის სათანადო ნებართვა ტფილისის გუბერნატორისაგან მიიღო კიდევ 1881 წლის ივნისის 8-ს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დამტკიცებული წესდების მესამე მუხლის ძალით, წ-ქ. საზოგადოების სკოლებში ყველა სავანის სწავლება უნდა წარმოებულყო ქართულ ენაზე. ამავ დროს კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველმა, ცნობილმა რუსიფიკატორმა კირ. იანოვსკიმ გამოსცა სასწავლო გეგმა პირველდაწყებით სკოლებისათვის, რომლის მიხედვით სკოლებში სწავლება მეორე წე-

¹ წერილი დამუშავდა მ. ა. ს. ბერძენიშვილმა 1936 წ. მაისში, ვარლამ ბუღაძის მიერ 1934 წ. შეგროვილ მასალების მიხედვით.

ლიწადს რუსულ ენაზედაც უნდა ყოფილიყო, მესამე წელიწადს კი დედანის გაკვეთილებიც კი არსად ჩანდა¹. მოკლედ: 1879 წელს დამტკიცებული წ.-კ. სასოგადოების წესდების მე-3 მუხლი უკვე ეწინააღმდეგებოდა 1881 წ. გამოცემულ სასწავლო გეგმას. და ამიტომაც მზრუნველმა იანოვსკიმ და მისმა ხელქვეითმა სახალხო სკოლათა დირექციამ წერა-კითხვის სასოგადოებას ნება არ მისცეს წინარეხსა და დიდ-თონეთში სკოლები გაეხსნა, თუმცა გუბერნატორისაგან ნებართვა სასოგადოებას უკვე მიღებული ჰქონდა.

გაიმართა ბრძოლა სასწავლო უწყებასა და წ. კ. სასოგადოებას შორის, რომელიც მტკიცედ იღვა მესამე მუხლის პოზიციანზე. ის ხომ მზრუნველზე უმაღლესი ხელისუფალის, მეფის ნაცვლის მიერ იყო დამტკიცებული! ბრძოლა ორ წელიწადს გაგრძელდა, სასოგადოების სიმედვრე შეერყა და 1883 წ. 3 ივნისის სასოგადო კრებაზე უკვე თავი იჩინა მზრუნველისადმი დათმობის მიმდინარეობამ, ოღონდ კი სკოლის გახსნის ნებართვა მიეღო.

იქნებ ამ მიმდინარეობას გაემარჯუა კიდევ, რომ სასოგადოების თავმჯდომარის ამხანაგა ილია ჭავჭავაძე არ გამოსულიყო და შემდეგი სიტყვებით არ ემაილებინა შემდრკალი ნაწილი თანაწყევრებისა:

„მე ვერ გამოვიცა, რა არის დათმობა ამ შემთხვევაში? ან კანონი ან უკანონობა. თუ უკანონოდ გვექცევა, როგორ დაუთმოთ? თუ კანონით მოქმედობს, რას დაგვითმობს?! ან კარგი, დაუთმოთ, მერე როდემდინ დაუთმოთ, სად არის სახლვარი, რომლის იქით დათმობას აღარ მოვებთოვინ? პაუკის რომ თავი მოარღვიო, ბოლომდის სულ რღვევით წავა. თუ ერთხელ დაუთმოთ, მეორედაც მოვიხდებათ დათმობა. ჩვენ, იმედია, გავმართლდებით უმაღლესი მთავრობის წინაშე. ამ შემთხვევაში დირექციისა და სასწავლო მთავრობის თვითნებობა მოქმედობს და არა კანონი. თუ კანონიერად ითხოვს, რასაც ითხოვს, მაგას ევრაეინ დაათმობინებს. ჩვენც, რასაკვირველია, მოხელეს არ უნდა დაუთმოთ იქ, სადაც იმის თვითნებობა მოქმედობს“².

მართლაც ამ სიტყვების შემდეგ კრების განწყობილება შეიცვალა და ილიას წინადადებით აღგენენ სასწავლო ოლქისა და დირექციის მოქმედების გასაჩივრებას უმაღლესი მთავრობის წინაშე. ამასთანავე პრესამაც ატეხა განვაში, მეტადრე მას შემდეგ, რაც იანოვსკის ბრძანებით პოლიციამ დაკეტა წინარეხის სკოლა (1882 წ. იანვრიდან იგი ფაქტიურად მინც მოქმედებდა).

და აი 1883 წ. ნოემბერში წ. კ. სასოგადოების განგეობას მოულოდნელად მოსდის სახალხო სკოლათა დირექციისაგან წინარეხსა და დიდ-თონეთში სკოლების გახსნის ნებართვა.

ასეთ პირობებში წარმოიშვა დიდი-თონეთის სკოლა, რომელთანაც დაკავშირებულია ჩვენი პოეტის ვაჟა-ფშაველას ცხოვრების ერთი ეპიზოდი, ჩვენი თემის მთავარი საგანი.

* * *

დიდი-თონეთის სკოლაში ვაჟა მეორე მასწავლებელი იყო. მასზე ადრე სკოლას გახსნიდანვე ხელმძღვანელობდა ბესარიონ ჭილაძე, რომელმაც აქ და-

¹ იაკობ გოგებაშვილი, რჩეული ნაწერები. ტფ. 1910 წ. გვ. 52.

² ცენტრ. არქივი, № 42/2, წ. კ. სახ. ფონდი 1833 წ. გვ. 173-181.

ჰყო 3 წელიწადი 1883 წ. 23/XI-დან 1886 წ. ზაფხულამდე. სამეგრელოს რბილ ჰავაზე აღზრდილი ჭილაძე ვერ შეეწყო დიდი-თონეთის ცივ ჰავას და მიდის იქი-დან. იმ ხანებში ვაჟა მასწავლებლობდა მშობლიურ თიანეთის მაზრაში, სოფ. ამტნისხევის სკოლაში, რომელიც ეკუთვნოდა სასულიერო უწყებას, კავკასიაში მართლმადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებას. ეს დაწესებულებ-ა ყურადღებას არ აქცევდა ქართული ენის სწავლების საქმეს, არც ზრუნავდა მასზე და ვაჟაც არ მუშაობს აქ გულდანილობით, წადიერად. ერთ-ერთ განცხადებაში, წ. კ. საზ-ბის საარქივო ფონდში რომაა. დაცული, იგი სწერს საზოგადოების მმართველობას:

„ჩემდამი რწმუნებული სკოლა (იგულისხმება ამტნისხევისა მ. ბ.), რომელ-შიაც იმყოფება 30 ყმაწვილი და 10-მდე ქალი, ეჭვემდებარება კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებას. რადგანაც იგი საზოგადოება გულგრი-ლად უცქერის დედა-ენაზე სწავლების საქმეს, ამიტომ არ აკმაყოფილებს ამ მოთხოვნილებას და არ გზავნის სამშობლო ენ.ზე სახელმძღვანელო წიგნებს (ხაზი ჩვენი. — მ. ბ.). გთხოვთ გამომიგზავნოთ 5 ეგზ. „ბუნების კარი“ და 15 „დედა ენა“. ლუკა რაზიკაშვილი 9/X 1882 წ. 1“.

აღბად მშობლიურ ენისადმი სასულიერო უწყების უყურადღებობით აფ-ხსნება პოეტის საერთოდ ამტნისხევის სკოლაზე გულაჩხრეკილობა და ისიც, რომ მას ჩვენ უადგილოდ ვებრძვით იმ ხანებში, როცა დიდი-თონეთის სკოლას ათავისუფლებს ბეს. ჭილაძე. ის მიისწრაფის იქ, სადაც ქართული ენა პატივსა და ძალაშია, მიდის წ. კ. საზოგადოების სკოლაში და 1886 წ. 27 ივლისს წ. კ. საზოგადოებას თხოვნით მიმართავს:

„წერა-კითხვის საზოგადოების მიმართ
ლუკა რაზიკაშვილის
თხოვნა“

უმორჩილესად ვთხოვ წ. კ. გამაერთელებელ საზოგადოების გამგეობას, უკეთუ დამინახოს ღირსად თვის გამგებლობის ქვეშ სამსახურისა, ჩამაბაროს დიდი თონეთის სკოლა, რადგან ამ სკოლის მასწავლებლის ადგილი დაცლილია, ამასთანავე, თუ ჩემი თხოვნა შეწყნარებული იქნას, მაუწყოს შემდეგი ადრესით: Через Душет в сел. Тионети Николаю Хизанову, передать Луке Ра-зикашвили.

ლუკა რაზიკაშვილი.

1886 წ. მკათათვის 27-სა³

მთხოვნელი იმ ხანებში უკვე ცნობილი იყო, როგორც მწერალი. ჩვენს იმ-დროინდელ საყმაწვილო ლიტერატურას, კერძოდ ჟურნალ „ნობათს“, უკვე ამ-შვენიერდა „შელის ნუკრის ნაამბობი“, თუმცა სხვა კლასიკური ნაწარმოებნი მის კალამს ჯერ არ გამოემზებურებინა. ამიტომაც საზოგადოებამ მას მისცა უპირა-ტესობა მეორე მთხოვნელის წინაშე და იგი დანიშნა დიდი-თონეთის სკოლის

¹ ცენტრაქტივი, № 2, 1879 – 1885 წლ. წ. კ. საზ-ბის ფონდი, საქმე „ღირაქც. სკ. დაბ-ბარების აღმოჩენის შესახებ“.

² ც. არქივი, № 104, წ. კ. საზ. ფონდი, თონეთის სკოლის საქმე № 6, 1886 წ., გვ. 12.

მასწავლებლად 1886 წ. 1 სექტემბრიდან. იმავე თვის 23-ს სახალხო სკოლათა დირექციაში გადაგზავნილი¹ თხოვნა საბუთებით დირექციამ მალე, ექვს დღეში, დაამტკიცა (29/IX-ს № 1943).

პოეტი-მასწავლებელი, როგორც ჩანს სკოლის არქივიდან, საქმაოდ ენერგიულად მუშაობს. სკოლის შენობა, წინამოადგილის დროს რომ დაიწყო, მის ხელში მოთავდა და 15 ნოემბრიდან ბავშვები უკვე ახალ სკოლაში დაიარებინან. ახალი მასწავლებელი, ჩვენი ვაჟა, მოითხოვს, რომ შენობის იჯარით ამშენებლემმა სამკოდაშვილებმა შეავსონ ის დეფექტები, რაც შენობას აქვს, თხოულობს ბავშვებისათვის სასწავლო ნივთებს, რვეულებს, წიგნებს და სხვა.¹

ასეთ საქმიანობაში გაატარა პოეტმა^{* * *} 1836-1887 სასწავლო წელი. მომდევნო 1887-1888 წელიც მშვიდობიანად დაიწყო. უფრო მეტიც ითქმის: დადებითი მუშაობით გამაზნეებული ვაჟა გამგეობას სთხოვს—ჯანაგირი გამიდიდეთო². მაგრამ 1887 წლის ბოლოს საზოგადოების გამგეობაში შედის საჩივარი მასწავლებელ ლუკა რაზიკაშვილზე: თავის მოვალეობას პირნათლად არ ასრულებსო, ნადირობაში ატარებს დროსო და სხვა. ამაზე გამგეობის შეკითხვისათანავე პოეტი თავს მართლულობს და ცილისწამებას უწოდებს შესულ საჩივარს. ჩანს გამგეობას სერიოზული ყურადღება მიუქცევია ამ განცხადებისათვის, რომ თუმცა 8 დეკ. სდრომაზე³ „რაზიკაშვილის პასუხი მხედველობაში მიიღო“, მაინც საკიროლ დაუნახავს საქმის ადგილობრივ გამორკვევა, რაც დაუფალებია საზოგადოების საქმისმწარმოებელ იაკობ მანსვეტაშვილისათვის, მწერლობაში დონიავოს ფსევდონიმით რომაა ცნობილი.

ამ უკანასკნელის სარევიზო ანგარიში თუმცა ვრცელია, მაგრამ ისე ცოცხლად წარმოგვიდგენს იგი საქმის ნამდვილ ვითარებას ღიდ-თონეთში და ისე დამაჯერებლად ჰყენს ნათელს პოეტ-მასწავლებლის წინააღმდეგ აღძრულ საჩივრის მოტივებს, რომ არ შეიძლება ის აქ მეტნაკლები სისრულით არ მოვიყვანოთ:

„იმ ამბების გამო, —წერს მანსვეტაშვილი, —რომელიც აქ ითქვა თონეთის სკოლის მასწავლებლის და თვით ხალხის შესახებ, არა სასიამოვნო გრძნობით მივიდიოდი თონეთში და ვამბობდი, ვაი თუ მართლა ყველაფერი მართალი აღმოჩნდეს მეთქი. უფრო მეტმა შიშმა და რაღაც ცუდმა წინაგრძნობამ აღმიტანა, როდესაც პრიუტში ერთი უცნაური და ფრიად სამწუხარო ამბავი შევიტყვე: თონეთში ეს არის ეხლა პროკურორი, ენდარმის კაპიტანი და მაზრის პოლიცია წავიდა საქმის გამოსაძიებლად, თონეთელებს რმერატორის პორტრეტი დაუხვევიათ სოფლის კანცელარიაშიო. შევწუხდი, ვთქვი, რაღაც უბედურება მომხდარა მეთქი. მივედი თონეთს, იქნებოდა საღამოს 9 საათი. სოფელში მართლა არაჩვეულებრივი მოძრაობა იყო, ყუ: ლგან სინათლე სჩანდა. ვიკითხე მასწავლებელი. მასწავლებელი შინ დაშვდა. ეს ძლიერ მიამა. მამ ერთი ის ამბავი, რომ მასწავლებელი არ მოსულაო, ტყუილი გამოდგა მეთქი. ვკითხე რა არის, რა

¹ ცენტრ. არქივი, № 133, დიდი თონეთის სკოლის საქმე, გვ. 8.

² იქვე, გვ. 17.

³ ამ ს.დრომას დაესწრნენ: ა. ჭყონია, დიმ. ბაქრაძე, ი. მირიანაშვილი, ი. მაჩაბელი, ი. გოგებაშვილი.

ამბავია, მართალია ყველა, რაც მითხრეს მეტი? — მართალიაო, მითხრა, და აი, ხალხსაც აქამდე იმიტომ არა სძინავს, რომ გამოძიება სწარმოვბსო. ეს არის შენი მოსვლის წინად წავიდა ხალხი ჩემგან, დარიგებას მკითხვედა, როგორ მოქმედო, რა ვთქვით, რა ჩვენება მივცეთ გამომძიებელსო და მეც დაწვრილებით მიამბო ამ საქმის გარემოება. აი რა აღმოჩნდა:

თონეთში, ისე როგორც ყველა ჩვენ სოფლებში ხალხი ორ დასად ყოფილა გაყოფილი. ერთ დასს შეადგენენ მდიდრები, მეორეს ღარიბები, ნაკლებ მიწა-წყლის პატრონები. ამათ შორის ისეც მუშაში მტრობა და განხეთქილება ყოფილა და ესეთი არასანაშრომლო ურთიერთ შორის განწყობილება უფრო განწვავებულია მას შემდეგ, რაც ტიხევის აგენტების შთავონებით გლეხებს მიწების თანასწორი გაყოფა დაუწყიათ.¹

ღარიბები, რასაკვირველია, ერთგულად შესდგომიან ამ საქმეს. მაგრამ მდიდრებს არაფერად ეპიტნავათ ასეთი ყოფა (ძეძეჟ) მიწებისა. ატყდა თურმე ჩხუბი, დავიდარება. ყველა ამას ხშირად ზედ დაერთობოდა კიდევ ხოლმე თურმე ცემა-ტყემა შიგ სასოფლო კანცელარიაში, სადაც ხელმწიფის პორტრეტი ძალიან დაბლა კიდებულია კედელზე. ამ ჩხუბების დროს თუ სხვაგვარად როგორმე მომხდარა, სწორედ არავინ იცის, მხოლოდ ერთ დღეს უნახავთ, რომ ხელმწიფის პორტრეტი დახულია. ხალხში დაუწყიათ ლაპარაკი, რომ ეს სწორედ იმათი ბრალია, ვინც მიწების გაყოფას მოწადინებულა. ააცილი მისახედომია, ვის უნდა გავერცელებინა ეს ხმა. შეძლებულმა დასმა დაიხვია ხელზე თურმე ეს გარემოება და ემუქრებოდა თავის მოწინააღმდეგე დასს. აბა თქვენ ნუ დაიშლით თქვენსას და ჩვენ განჩენებთ საქმესაო — თუქვამთ და სისრულეშიაც მოუყვანიათ... ამბობენ მამასახლისია ამაში ბრალიო და დასაჯერებელიც არის, რადგან მამასახლისი ნამიკიტნარია და ძალიან გაიძვერა და გაქლესილი კაციცა სჩანს, რამდენადაც მე ის გავიცანი, შეუდგენია ქალაქი, დაუსახლეებია ღარიბი დასის მოთავაყეები, ვითომ ამათ დაეხიოთ ვანგებ, განზრახვით პორტრეტი და გაუგზავნია პრისტავთან. პრისტავსაც არც აუღია, არც დაუღია, არ გამოუკვლევია საქმე ადგილობრივ. ეტყობა უფიქრია, ეს არის ბუნტი, ხელმწიფის წინააღმდეგ შეთქმულება აღმოვაჩინეო. დავასმენ ამას მთავრობასთან და ჯილდოს მივიღებო, უფიქრია, ვამბობ, და ეს ქალაქი უმადლეს მთავრობისთვის გადაუტყვი. და ჟანდარმის პროკურორმა და პოლიციამ საქმე გამოიძიეს და ნახეს რა? პროკურორმა საქმე მოსპო. ცილისწამება აღმოჩნდა. უთუოდ იმ გავლენიან პირთ, რომელთაც ეს პროვოკაცია მოაწყვეს, სკოლასთანაც აქვთ საქმე. მაგრამ როდესაც აქ დამარცხდნენ, ეხლა ხალხი უარობს ჩვენ რა გვაქვს მასწავლებელთანო? მასწავლებლით და სკოლით კმაყოფილნი ვართო. ეს მითხრა მე მამასახლისმა. ეჭვი ავიღე: გამოვკითხე თონეთის მთავარს. მან მამასახლისს დაადო ხელი, მამასახლისი მისი სიძე ყოფილა. ტყუილს არ მეტყოდა. ხალხს არ ეცალა. წირვები ჰქონდათ — ქეიფობდნენ...

კვირა დღეს დავიბარე ხალხი და ვკითხე მართალია თუ არა, რომ თქვენ მასწავლებელთან რაღაც უკმაყოფილება გექვთ?

¹ ასეთ გავებასა და ახსნაში სასეხებით გამოსჩანს თითონ რევიზორ მანსვეტაშვილია პირადი ნარაონიკული მსოფლმხედველობა. რე დ.

ყველამ ერთხმად გულწრფელად მიპასუხა: არაო, ცუდი არაფერი გავგიგონაო. ჩვენი მასწავლებელი, მართალია, ცხარე კაცი, მაგრამ სამართლიანი არისო და ჩვენ მაგის დიდი მადლიერნი ვართო.

— რატომ ბავშვებს არ ატარებთ თავის დროზე სკოლაში?— ვკითხე მე.

— შინ სამუშაოდ გვეპირდებიანო, — მიპასუხეს.

ფურჩიე მზრუნველები აერჩიათ, თვალუფრი აღევნონ, რომ სკოლაში იარონ ბავშვებმა...¹

ამრიგად, ცხადი ხდება, რომ ვაჟა და სოფლის შეძლებული ფენა ერთმანეთს ვერ შესწყობიან. ცხატია, ხალხის მეგობარი და მასწავლებელი ლუკა რაზიკაშვილი სოფლის ამ დიდი ამბის გარეშე მაყურებელი არ იქნებოდა, მასაც უნდა ედოს წილი გლეხობის გააქტივებაში; ის ხალხს რჩევა-დარიგებას აძლევს ყოველ გაპირებულ მომენტში. ამის გამოძახილს წარმოადგენს სარევიზიო აქტში მოყვანილი მისი სიტყვები: „ეს არის შენი (ე. ი. რევიზორ მანსვეტაშვილის - მ. ბ.) მოსვლის წინად წავიდა ხალხი ჩემგან, დარიგებასა მკითხავდა, როგორ მოვიქცეთ, რა ვთქვათ, რა ჩვენება მიეცეთ გამოძიებელსაო?“ ძოსახლეობასთან ასეთი დაახლოვეული და თანაზიარი ცხოვრება მასწავლებლისა, აშკარაა, სოფლის შეძლებულ ტენის მამასახლისის მეთაურობით ქვეყანაში არ დაუჯდებოდა და ის შეეცდებოდა ამ არასასურველი პირის სოფლიდან გამოძევებას. ამიტომაცაა, რომ რაკი სკოლისადმი ამ მტრულად განწყობილ ჯგუფს პირველად ვერა გაუვიდა რა, პირიქით, ამ ჯგუფის ხელმძღვანელის ვინაობა მამასახლისის სახით რევიზორმა გამოარკვია კიდევ („დავკითხე თონეთის მთავარს. მან მამასახლისის დაადო ხელი. მამასახლისი მისი სიძე ყოფილა. ტყუილს არ მეტყუდა“), ახლა ეს ჯგუფი უკვე აშკარად გაოროდის პოეტ-მასწავლებლის წინააღმდეგ საბრძოლველად. მართლაც 1883 წლის 11 იანვრის თარიღით მამასახლისი და მოსამართლენი („სულეები“) ასეთი განცხადებით მიმართავენ ილია ჭავჭავაძეს:

Его Сиятельству, г-ну Илье Чавчавадзе
(редактору газеты „Иверия“)

Сельских судей и старшины Большепетонетского общества Георгия Гогишвили, Соломона Мchedlidze и старшины Дмитрия Шавшишвили

П р о ш е н и е

Вами командирован в означенное селение для воспитания детей поселян учитель Лука Разикашвили. Человек этот был прислан Вашим Сиятельством для воспитания детей и образования учеников, но благая цель Вашего Сиятельства не осуществилась в виду того, что, во-первых, он все свое время употребляет на охоту и разные собственные удовольствия и, во-вторых,... до такой степени деспотически

¹ იქამუ გვ. 18

обращается с учениками, что из 70 душ детей учащихся при... бывшем учителе осталось каких нибудь 5 или 6 душ, из это[го] легко усмотреть Вашему Сиятельству, насколько он приносит пользу обществу, напрогив прослыл он... бунтовщиком, зачинщиком и скандальщиком... Ежедневные его угрозы лишить каждого жизни выводят поселян из терпения.. Подобный суб'ект... есть зараза и отрава воспи[тыва]ющих-ся... Положительно ни один ребенок не соглашается идти в училище, опасаясь этого деспота. Мало всего этого, он даже между поселянами производит бунт и скандал и при... сопротивлении... обнажает кинжал и не прочь отрубить первовстречному голову...

Доводя до сведения Вашего Сиятельства, мы... просим сменить его...¹

მასწავლებელ ლუკა რაზიკაშვილის მტრებმა ნიღაბი ჩამოიხსნეს, საშკარაოზე გამოვიდნენ და ძველ ბრალდებას ახალი, უფრო მძიმე და პოლიტიკური ხასიათის ბრალდებაც წაუმატეს. ამ მხრივ საეკლესიო მისიონერო მესამე მუხლი ბრალდებისა: მასწავლებელმა სახელი გაითქვა როგორც „ბუნტოვშიკმა“, ამბოხების თავმა (გამოდის, ხელმწიფის სურათი ხალხმა მისი გავლენით დახია), აყალბაყალბის ამტეხმა („სკანდალშიკმა“) და მთელი საზოგადოების შემგულიანებელ-წამქეზებელმაო.

ახლა უკვე საცხებით ცხადი და უქვევლია ის მოტივები, რომელთაც ამოძრავებს დიდი თონეთის ბობოლები ვაჟას წინააღმდეგ. მართლაც რომ ის ღარიბ გლეხობასთან ერთად იყო და ბობოლათა სულის მყოფროებას არღვევდა. ამიტომაცაა, რომ ისინი იმავე განცხადებაში ილია ჭავჭავაძეს სთხოვენ: „მოგვაშორეთ რაზიკაშვილი“ („просим его сменить“).

11 იანვარს თონეთიდან გამოგზავნილი საჩივარი წ.-კ. საზოგადოების გამგეობას მეორე დღესვე განუხილავს და რაზიკაშვილისათვის მოუთხოვნია პასუხი, როცა ის ტფილისში ჩამოვა, თანაც რაკი მასწავლებელი დამოუკიდებლად ამას პირად საქმეებისათვის ორი დღით ქალაქში ჩამოსვლის ნებას თხოულობდა, ამის ნებაც დაურთოვა.

ვაჟა 21 იანვარს შემდეგი პასუხით ეხმაურება მიკიტან-მამასახლისის საჩივარს:

ქართველთა შორის წ. კ. გამაგრებულ საზოგადოების გამგეობას.

დიდი თონეთის მასწავლებლის ლუკა რაზიკაშვილის

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა

თონეთის მამასახლისს შემოუტანია ჩემზე საჩივარი გამგეობაში. დასამტკიცებლად იმისა, რომ ის ცილს მწამებს, შემოიღიან მიემართო გამგეობის ყურადღება იმ შემთხვევაზე, რომლის მოწამეც მე ვიყავი 19 იანვარს ამა 1838 წლისას. დიდი-თონეთის საზოგადოებამ წარუდგინა ტფილისის მაზრის უფროსს განჩინება, რომ დაეთხოვათ მამასახლისობიდან დიმიტრი შავშიშვილი. პირადად 50 კაცი წარ-

¹ საქმე № 169, გვ. 7. ციტატები აქაც და საერთოდ ყველგან მოყვანილია უცვლელად იმ სახით, როგორც ამოწერილი აქვს ამხ: ბ უ რ ჯ ა ნ ა ძ ე ს.

სდგა მაზრის უფროსთან. თუ რომ ჩემზედაც ჰქონდათ საჩივარი, განა არ შეეძლო ამ ხალხს გამგეობისათვისაც მოეხსენებინა ჩემი ურიგო ყოფაქცევა?

ლუკა რაზიკაშვილი

1888 წ. იანვ. 21.¹

ოღონდაც რომ შეეძლო და მოახსენებდა კიდევ, რომ პოეტ-მასწავლებლის ცხოვრებაში მართლაც რამე ყოფილიყო „ურიგო“, მართლაც რომ „შელის ნუკრის ნაამბობის“, ამ ნაზი სიყვარულისა და მწარე ობლობის პოემის, ავტორი დესპოტურად მოჰქცეოდა ბავშვებს ან ყოველდღე მოკვლის მუქარები ეთავალ ხალხისათვის!

მაგრამ მოსახსენებელი არა იყო რა და ყოველივე ეს ოინები და ინტრიგები ნამიკიტნარ მამასახლისისა სამ დღეში პოეტმა სააშკარაოზე გამოიტანა, ყველაფერი გამოამჟღავნა. 24 იანვარს იგი საზოგადოების გამგეობას უგზავნის ლაპიდარულ ქაღალდს და ზედ ურთავს თავის საჩივარებელთა ცივი საბუთს.

მოვიყვანოთ ჯერ ვაქას მოხსენება:

„რომ დიდი თონეთის მამასახლისი ჩემთან არის დამნაშავე და არა მე იმასთან, დასამტკიცებლად ამჟამა მე ვარდგენ რწმუნების ქაღალდს წინაშე გამგეობისა, რომ ეს საქმე და ჩემი ვარემოება საყურადღებოდ ტვილისის მაზრის უფროსს ეცნობოს. ლ: რაზიკაშვილი. 24/1—88 წ.“²

თვალი გადავაფლოთ ახლა საჩივარებელთა ქაღალდს, რომელსაც „რწმუნების ქაღალდი“ ეწოდება:

„დიდი-თონეთის სკოლის მასწავლებელმა, ლუკა რაზიკაშვილმა, გამოუცხადა სოფლის ყრილობას, რომ იმაზედ საჩივარი მიუცია დიდი-თონეთის მამასახლისს დიმიტრი შავშიშვილს და სუდიებს წერა-კითხვის საზ. გამგეობისათვის. გიორგი გოგიშვილს და სოლომონ ჩუქელიძეს დაუკრავთ თხოვნაზე ბეჭედი. ყრილობამ სამდურავი გამოუცხადა სოფლის სუდიებს, რომ ამათ მასწავლებელზე საჩივრის მიცემა არ შეეძლოთ, რადგან დიდი-თონეთის საზოგადოებას საჩივარი არაფერი არა აქვს მასწავლებელზე. მჭედლიძემ განაცხადა, რომ იმან დაუკრა მამასახლისს ბეჭედი მასწავლებელზე მიცემულ თხოვნაზე კი არა, არამედ გუბერნატორთან მისაცემ თხოვნაზე გზის ხარჯის პატიებაზე, როგორც თხოვნის შინაარსი მამასახლისმა იმას აუხსნა. გიორგი გოგიშვილმა სთქვა, რომ იგი მამასახლისმა შავშიშვილმა დაათრო და შეცდომით დააკრეფინა ბეჭედი.

რომელსაც სახელმწიფო ბეჭედის დასმით ვამტკიცებთ დიდი თონეთის სოფლის სუდიები პავლე გოგიშვილი, გიორგი გოგიშვილი და სოლომონ მჭედლიძე. რადგან წერა არ ბცოდნენ, მათ მაგიერ ხელს ვაწერ ლევან თეთრაძე. (ბეჭედების ადგ.)³

გამგეობა მოითხოვს პოეტისგან უფრო დაწვრილებით განმარტებას, რადგან ფიქრობს საქმე მაზრის უფროსს გადასცეს. ასეთი გადაწყვეტილების თანახ-

¹ იქვე, გვ. 12.

² იქვე, გვ. 13.

³ იქვე, გვ. 27.

მად საზოგადოების საქმისმწარმოებელი იაკობ მანსვეტაშვილი შემდეგს ნახევრად ოფიციალურსა და ნახევრად შინაურულ წერილს უგზავნის ვაჟს 4 თებერვლის თარიღით და 7 №-ით:

„თონეთის მასწავლებელს ბ-ნს რაზიკაშვილს.

საზოგადოების გამგეობამ მოისმინა მამასახლისის საჩივარი და შენი პასუხი ამ საჩივრის გამო, მაგრამ რადგან გამგეობას სურვილი აქვს მსვლელობა მისცეს ამ საქმეს, მაზრის უფროსს ყველაფერი შეაჯუკობინოს, ამიტომ საჭიროდ დაინახა მოვთხოვოს უფრო დაწვრილებითი პასუხი. პასუხი უნდა იყოს დაწერილი რუსულად, დალაგებით და შეეხებოდეს პირდაპირ შემდეგ საკითხებს, რომელიც მამასახლისის საჩივარშია (მოჰყავს ზემოთ დასახელებული საბრალმდებლო მუხლები.— მ. ბ.). ყველა ამ კითხვებზე უნდა დასწეროთ პასუხი დალაგებით, რომ ეს ცილის წამებაა.

იაკობ მანსვეტაშვილი.¹

ვაჟაც რუსულად წერს განმარტებას:

Комитету общества распространения грамотности
среди грузинского населения

Учителя Диди-Тонетской сельской
школы Луки Разикашвили

Объяснение.

Комитет общества от 4/II сего 1888 года предписывает мне объясниться с ним по жалобе бывшего Диди-Тонетского старшины Дмитрия Шавшишвили. По поводу этой жалобы мне приходится объясняться третий раз, хотя она недостойна никакого внимания, потому что в ней, кроме кляузы и домогательства повредить мне, ничего нет.

Если Комитет Общества находится в сомнении и думает, что я все время посвящаю охоте и разным личным удовольствиям, как доносит Дмитрий Шавшишвили, то самое верное средство выйти из сомнения командировать одного из своих членов для ревизии, не веря ни моему голословному оправданию, ни равно и голословному обвинению моего жалобщика...

В опровержение пункта, в котором говорится, что я будто обращаюсь с детьми так деспотически, что из 70 душ при старом учителе, осталось 5-6 человек, я скажу следующее:... школа имеет... 15 парт, каждая для 3 человек, следовательно, если даже пополнить все вакансии, то всего составит 45 (15 · 3), а у меня в данное время 40 уча-

¹ იქვე, გვ. 14.

щихся.¹ Из... журналов моего предместника не видно, чтобы у него число учеников превышало 42-х.

На те пункты, в которых говорится, что я бунтовщик, деспот и т. п., я считаю лишним давать какое-нибудь объяснение. Кто из нас виновен перед обществом я или старшина, это уже обнаружилось в нынешнем году, 26/1, в присутствии Тифлиского уездного начальника, который был командирован губернатором для производства полицейского дознания и удаления старшины Димитрия Шавшишвили от должности, по жалобе Дид-Тонетского общества. Старшина, не выслужив срока, был сменен большинством 140 голосов против 4-х. Я думаю, что этот факт многое может сказать в пользу того положения, что и перед учителем мог жалобщик грешить, как пред обществом он оказался грешным и виновным.

1888 г. 4/II

Лука Разикашвили².

განმარტების მოთხოვნა და მზრის უფროსისადმი საქმის გადაცემა უკვე ზედმეტი შეიქნა, რადგან, როგორც ჩანს პოეტის მიერ რუსულად დაწერილ განმარტებიდან, უკვე 26 იანვარს გუბერნატორის დეკლარაციით დიდ-თონეთში ჩასულა მზრის უფროსი ერასტი ზოლოტაშვილი და ნამიკიტნარი მამასახლისი დიმიტრი შავიშვილი თანამდებობიდან გადაუყენებია სოფლის ყრილობის თითქმის ერთობლივი მოთხოვნისგან (140 ხმით წინააღმდეგ მარტო 4-სა).

უეჭველია ამ გარემოებით აიხსნება ის, რომ წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობას ხელი აუღია თავის წინა გადაწყვეტილებაზე — საქმე მზრის უფროსისათვის გადაეცა, — და 16 თებერვლის სხდომაზე, მხოლოდ ადგენს: დიდი-თონეთის სკოლის მასწავლებლის განმარტება „მხედველობაში მიიღოს“.

ამრიგად ბოძოლასთან ბრძოლაში სახალხო მასწავლებელი გამარჯვებულია: შავიშვილის აყარა ძველი გავლენა და პატივი. საზოგადოების გამგეობაც თითქოს დაკმაყოფილდა ამით. მაგრამ, როგორც მომდევნო ამბები მოგვითხრობენ, ვაჟა-ფშაველას გარშემო სასურველი პირობები ევლარ შექმნილა. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის ერთი ნაწილი გარკვეულად არაა პოეტის მომხრე და თანამგრძობი.

ამას ნაწილობრივ გვიჩვენებს იმავე მასწავლო (1887-1888) წლის დასასრულს, 7 ივნისს, ალექსი მირიანაშვილის მიერ დიდი-თონეთის სკოლაში ჩატარებული რევიზია. აი რას ეკითხულობთ მის სარევიზიო ანგარიშში:

„მასწავლებელი სკოლაში არ დახვდა (თუმცა ნაცნობები ჰქონდა)... მამასახლისის შემწევობით შეგკრიბე ბავშვები და გამოვცადე ყველა საგნებში.

1. მე-4 განყოფილება სკოლაში არ ყოფილა.

2. ნასაღილევს სწავლება სრულიად არ ყოფილა.

¹ მანსვეტაშვილის რ ვიზიის დროს 26 ბავშვი სწავლავდა.

² იქვე, გვ. 6.

3. საღვთო სჯული მეტად სუსტად იციან ყველა განყოფილებაში:

4. პირველ განყოფილებაში ბავშვები ჩათვლით კითხულობენ ქართულს.

მომეტებული ნაწილი მე-II განყოფილებაშიაც სუსტად კითხულობს. ჯეროვანად ვერა კითხულობენ ლექსებს... კითხვაში ჩქარობენ.

5. არითმეტიკა ყველა განყოფილებაში სუსტად იციან. პირველ განყოფილებაში სრულიად არ იციან თვეს რამდენი დღე აქვს და გირვანქას რამდენი მისხალი. მე-III-შიაც არ სცოდნიათ. ვერ გაპყვეს 30 ხუთ თანასწორ ნაწილად...

6. არითმეტიკის რვეულები სრულიად არავის ჰქონდა.. ქართული წერა ცუდ მდგომარეობაშია... შეცდომები მასწავლებელს არ გაუსწორებია.

7. სოფლის მცხოვრებთა მომეტებული ნაწილი უჩივის მასწავლებელს... და სურს, რომ ის გადაყვანილ იქნეს...

...დაწერილებით ცნობებს და ანგარიშს რევიზიისას მოკლე ხანში წარმოვადგენ.

10/VI-88 წ. ქ. ტფილისი.¹

რევიზორის მოხსენება, 10 იენისით დათარიღებული, გამგეობას მეორე დღესვე მოუსმენია და ოთხი ხმით წინააღმდეგ სამისა გადაუწყვეტია: „თონეთის სკოლის მასწავლებელი დათხოვნილ იქმნას არზით და ჯამაგირი მიეცეს პირველ სექტემბრამდის. სეკრეტარს მიენდოს მასწავლებლის მონახვა“. ამ დადგენილებას ხელს აწერენ: ივ. მაჩაბელი, გრ. ვოლსკი, ექვ. თაყაიშვილი და ან. თუმანიშვილი. სამი წევრი კი განსაკუთრებული აზრისა ყოფილან. აი რა აზრი წარუდგენიათ მათ:

„შესახებ რაზიკაშვილის გადაყენებისა მე არა ჭარ თანაბმა განჩინებისა და ჩემის აზრით გამგეობას უნდა მოეთხოვა პასუხი რაზიკაშვილისაგან იმ საგანზე, რომელიც მოხსენებულია ბ. მირიანაშვილის მოხსენებაში.

ა. ჭყონია, ნ. ცხედიძე, ფაველნიშვილი“.

რევიზორის შენიშვნები უპასუხოდ არ დაუტოვებია პოეტ ვაჟას. 21 იენისის თარიღით იგი უდგენს საზოგადოების გამგეობას შემდეგ მოხსენება-განმარტებას:

„...მირიანაშვილის რევიზია უკანონოდ უნდა ჩაითვალოს, როგორც ჩემს დაუსწრებლად მომხდარი. აზრი ბ-ნი მირიანაშვილისა ჩემი მოქმედების შესახებ არ არის საყურადღებო, რადგან მირიანაშვილი სტუმრებია ჩემს მომჩივარს, რომლისაგან სიმართლეს ვერასოდეს ვერ შეიტყობდა. შეგირდები მე დავითხოვე პირველ თიბათვეს, რადგან ყვაილით ხდებოდნენ ავად და ვგონებ ესეთი მოქცევა ჩემის მხრით უკანონო არ უნდა იყოს.

ორ რიგად ყმაწვილების სწავლება არ მოხერხდა. ამაზე თავის დროზე კიდევ ვაცნობე გამგეობას, მაგრამ მდივანმა თქვა არ მიმიღიაო.

მოვითხოვე რვეულები 1-ლი განყოფილებისათვის და არ მომივიდა, რის გამოც მოწაფეებს მთელი ერთი თვე არაფერი დაუწერიათ რვეულებზე. ვიკითხე მიზეზი და იგივე პასუხი ივიღო.

¹ იხ. იქვე.

გამოვგზავნე სკოლის ანგარიში და არც ის მიუღია კანცელარიას. რადგანაც ყველა ის მოწერილობანა, რომელზედაც ბედ-იღბალი სკოლისა დამოკიდებული იყო, გაქრენ უნუგეშოდ, ამიტომ ეხლანდელ ჩემს მოხსენებას ვგზავნი... ი. გოგე-ბაშვილის სახელობაზე და ეთხოვ წაკითხულ იქნეს გამგეობის სნდომაზე⁴.

შემდეგ რაზიკაშვილი დაბეჯითებით თხოვს გამგეობას დანიშნოს კომისია საქმის ადგილობრივ გამოსარკვევად. ორი კაცის, ისიც პირადად დაინტერესებული პირის, საჩივარზე დაყრდნობა და დასკვნის გამოტანა მას მიუღებლად მიაჩნია; გამგეობის წევრთა შორის მასზედ გავრცელებული უცხო და არასასიამოვნო ხმები უთუოდ უნდა გაიფანტოს, გაბათილდეს და ეს შეიძლება მხოლოდ კომისიის ძიერ საქმის მიუდგომლად გამორკვევის საშუალებით.

„თუ პირობა, რომელსაც მე ვუსახავ გამგეობას თავის გასამართლებლად, ე. ი. კომისიის დანიშვნა, ასრულებული არ იქნა, მაშინ მე მეცოდინება და დაფრწუნდები, რომ გამგეობას ორი წლის ვადით დაუნიშნვიარ მასწავლებლად, ვადა გავიდა და უნდა ავიბარო; რასაც ამბობენ და რასაც ფიქრობენ, იგი უნდა გაიყიდოს ჭეშმარიტებისა და სიმაართლის ფასად.

ლ. რ ა ზ ი კ ა შ ვ ი ლ ი.

1888 წ. 21 თბათვე.

P. S. გადაწყვეტილება გამგეობისა ეთხოვთ მაცნობოთ ამ ადრესით: В сел. Тионети. ☞ Тионетское уездное управление для передачи Луке Рацикашвили.

ლ. რ.¹

ვაჟას განმარტების კილო არა მარტო გულმტკივნეულია, არამედ გაბედულიც, რამდენადაც ის მირიანაშვილის რევიზიას თელის მიეკრძებულად, ტენდენციურად, ხოლო თითონ მირიანაშვილს ნამამასახლისაარ შავშიშვილთან ერთად დაინტერესებულ პირად აღიარებს. ცხადია, მომჩივანაან რევიზორის სტუმრად ჩამოხტომა, მის ტენდენციურ ინფორმაციაზე დამყარებით მასწავლებლის მიმართ განაჩენის გამოტანა, მერე ისიც სასტიკი განაჩენისა, გამგეობის წევრებში უცხო და არასასიამოვნო ხმების გავრცელება ისეთი მასწავლებლის შესახებ, რომლის კალამმა იმ ხანებში უკვე შესძისა ქართულ მწერლობას ისეთი კლასიკური ნაწარმოები, როგორცაა „გოგუთურ და აფშინა“ (იგი „ივერიაში“ დაიბეჭდა 2/IX 1887 წ. № 18; იხ. ვაჟა-ფშაველა, ტ. III, გვ. 354.), ყოველივე ეს წ.კ. საზოგადოების გამგეობას ავალებდა უთუოდ დაეკმაყოფილებინა ვაჟას მოთხოვნილება კომისიის დანიშვნის შესახებ. ყოველ შემთხვევაში ავალებდა მეტ სიფრთხილეს, წინდახედულობას და აუქქარებლობას.

მაგრამ გამგეობამ ეს არ მოიმოქმედა; პირიქით, ჩვეულებრივ წესიერმა და დაუგვიანებელი პასუხის გამცემმა გამგეობამ ასლა თავის გადაწყვეტილება ძალიან დაახანა და ორი თვის შემდეგ 23 აგვისტოს ივ. მაჩაბლის თავმჯდომარე-

⁴ იქვე, გვ. 25.

ობით დაადგინა: თხოვნა უყურადღებოდ დარჩეს და ახალი მასწავლებელი იქნეს მოწვეული.

მდგომარეობა ვერც თონეთელების (რიცხვით 83 კაცის) თხოვნამ გამოასწორა, რომელიც ილია ქვაჭავაძის სახელზე იყო შედგენილი და შემდეგ შეიცავდა:

„...ჩვენ, მიწის თონეთის საზოგადოებას, გვსურს ლუკა რაზიკაშვილი ისევ მასწავლებლად. არაფერი დანაშაული არა აქვს სოფელთან სიკეთის მეტი და არც სკოლის შევირდებთან. ჩვენ ამაზე უკეთესი მასწავლებელი არც გვიხდა და წ. კ. საზოგადოებასაც ვთხოვთ ჩვენი თხოვნა მიიღოს“-ო.

მაგრამ ისიც უყურადღებოდ იქნა დატოვებული (21 სექტემ. სხდომის ოქმი). ამრიგად პოეტი ლუკა რაზიკაშვილი დარჩა უადგილოდ. ასეთი უსამართლობის შემდეგ მასწავლებლობას სამუდამოდ ზურგს აქცევს და მშობლიურ მთას მიემართება, ვინაიდან დარწმუნდა, რომ „რასაც ამბობენ და რასაც ფიქრობენ, იგი შეუძლებელი იყიდება კემარტებისა და სიმართლის ფასად“.

მანაც ერთხელ კიდევ სცადა პოეტმა საზოგადოების გამგეობის განწყობილებისა და სამართლიანობის შემოწმება. 14 ნოემბერს ის ასეთი მოხსენებით მიმართავს:

„მაქვს პატრივი მოვასხნო გამგეობას, რომ მე შეკუთვნის მასწავლებლის ჯამაგირი ნახევარი ენკენისთვის ამ 1888 წლისა, საბუთს თხოვნისა და მოსსენებისა მძღვეს ის შემთხვევა, რომ ჩემმა წინამოადგილემ, ვილაძემ, მიიღო ნახევარი ენკენისთვის ჯამაგირი, თუცა მე ეიყავი დანიშნული 1/IX-დან.

ლუკა რაზიკაშვილი¹.

მაგრამ ამაზედაც უარი მიიღო (14/IX-ისავე სხდომის ოქმი).

ასე დამთავრდა პოეტ-მასწავლებლის სამსახურებრივი ურთიერთობა წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან.

* * *

ბუნებრივად ისმის კითხვა: ობიექტური იყო თუ არა წ. კ. ვ. საზოგადოების გამგეობა ვაჟის მიმართ, რომ ასეთი სასტიკი განაჩენი გამოიტანა?

აქ განხილული საბუთებიდან და საერთოდ არქივში დაცულ დიდი თონეთის სკოლის მასალებიდან აშკარად ჩანს, რომ ვაჟა, როგორც მასწავლებელი, პირნათლად ასრულებდა თავის მოვალეობას. მოწაფეთა რიცხვიც მის დროს იმდენი იყო, რამდენიც მის წინათ და რაც არ ყოფილა მისი მომდევნო მასწავლებლის დროს (როგორც ეს ჩანს რევიზორ ნიკ. მთვარელიშვილის მოხსენებიდან). მამ რატომ უნდა დაეთხოვია ვაჟა სამსახურიდან?

ნუ თუ იმიტომ, რომ მასზე საჩივრები შედიოდა? მერე ხომ გამოირკვა, რომ ამ საჩივრების ავტორი იყო მამასახლისი შავშიშვილი, რომელიც, რევიზორ ი. მანსვეტაშვილის სიტყვით, იყო „ნამიკიტნარი და ძალიან გაიძვერა და გაქლე-

¹ იქვე, გვ. 34.

სილი კაცი“ და რომლის „პატიოსნება“ განსაკუთრებით ნათელ-ჰყო „რწმუნების ქალაქი“. მაშ რა ფასი-ლა ჰქონდა მის საჩივრებს? მით უფრო, რომ ადმინისტრაციამ ის მალე სამსახურიდან მოხსნა, ხოლო თითონ ხალხს რევიზორისთვის განუცხადებია, რომ მასწავლებელთან კარგი განწყობილება გვაქვს და რომ მასზე „ცუდი არაფერი გავცივდეთ“.

რაც შეეხება ალ. მირიანაშვილის რევიზიას, უნდა ითქვას, რომ ამ რევიზიის კეთილსინდისიერება და მიუდგომლობა, ცოტა არ იყოს; ექვის ქვეშ დგას. მირიანაშვილი რევიზიას ახდენს მაშინ, როცა ბავშვები დათხოვნილი არიან მორალური სენის (ყვავილის) გამო და როცა თითონ მასწავლებელიც აღარაა სკოლაში. რევიზორი სტუმრად სწვევია მასწავლებლის მომჩივანს და, როგორც ჩანს, მის ინფორმაციას დანდობია. რევიზორი აღნიშნავს, რომ „უმეტესი ნაწილი უჩივის მასწავლებელს და სურს მისი გადაყვანა“; თონეთელების თხოვნა კი, 140 კაციდან 83-ის მიერ ხელმოწერილი და მამასახლის „სუდიებით“ დამოწმებული, საწინააღმდეგოს ღალადებს: ჩვენ ამაზე უკეთესი მასწავლებელი არ გვინდა, მასწავლებლად ისევე ლუკა რაზიკაშვილი დავიკეთებთო. ყოველივე ამის შემდეგ ალ. მირიანაშვილის ობიექტურობა მართლაც რომ ეჭვებს იწვევს.

ორიოდე სიტყვა თითონ წ. კ. გ. საზოგადოების გამგეობაზეც. როგორც პოეტის ბოლო განცხადებიდან შეიძლება მივხვდეთ, გამგეობის წევრებს შორის უცხო და არასასიამოვნო ხმები გავრცელებულა ალბად რევიზორ მირიანაშვილის მეოხებით და გამგეობაც მისი ინფორმაციის გავლენის ქვეშ მოქცეულა და ვაჟას გაუფრთხილებლივ, მისგან განმარტების მოუკითხავად პირდაპირ და უყოყმანოდ მოუხსნია სამსახურიდან, ისიც ერთი ხმის უმეტესობით. მერე კი, ჩანს, გამგეობის პრესტიჟის დასაცავად ერთხელ თქმული და ნაჩქარევად, უსამართლოდ გამოტანილი დადგენილება აღარ შეუცვლიათ, არც ვაჟას კანონიერ თხოვნისამებრ კომისია გაუგზავნიათ, თვით თონეთელების თხოვნისათვისაც არავითარი ყურადღება არ მიუქცევიათ. ყოველივე ამას თავის საკუთარი ხელწერით თითქმის ყველა წევრი ადასტურებს გარდა ილიასი და ალ. ჭყონიასი.

ესეც კია: იქნებ გამგეობას ეფიქრებოდა—გაბოროტებულმა ბობოლემა ვაჟას არა აუტყუნონ რაო—და მისი მოხსნით ჩვენი პოეტი გამოარდია იქაურობას და ამ გზით შეუნარჩუნა ქართულ პოეზიას მისი ნიქიერი ქორუმის სიცოცხლე?!

თ. გეგიაშვილი

ფილინის ქალთა ეკაქილეა სანსაქველის ისჯობიდან

მონარქიზმის იდეოლოგიის მქადაგებელი და ცხოვრებაში გამტარებელი ძველ რუსეთში სხვა ორგანიზაციებთან ერთად საერთოდ სკოლა და კერძოდ სასულიერო სკოლები იყო. სასულიერო წოდებამ თავიანთი სკოლები (სემინარიები, ეპარქიალური სასწავლებლები და სხვა) ამ მიზნისათვის ფართოდ გამოიყენა. ამას აღიარებს თვით ეკლესიის ცნობილი წარმომადგენელი—დეკანოზი ა. ვედენსკი:

„ხალხის მასების აღზრდა საეკლესიო-მონარქიულ მიმართულებით სკოლის საშუალებით ხდებოდა. საღვთო სჯულის სავალდებულო სწავლა, ცარიზმის და მასთან დაკავშირებულ მკვლევობის, სისხლისმსმელობის გამართლება სახარების პრინციპებით, ყველა ეს ხდებოდა არა მარტო სასულიერო, არამედ საერო სკოლებშიაც. დაუმატოთ ამას უამრავი საეკლესიო-სამრევლო სკოლები, სადაც გლეხის ბიჭები უნდა აღზრდილიყვნენ თავის მეფისადმი შრობილურ სიყვარულის და განუსაზღვრელ თავდადების მიმართულებით. აი ეს მძლავრი აპარატი, რომლის საშუალებითაც სამღვდლოება მოვალე იყო ჩაენერგა ხალხისათვის მისთვის უცხო უქვეშევრდომილესი გრძნობები“ (ა. ვედენსკი „Церковь и Государство“, 1923 წ. გვ. 19).

მონარქიული მთავრობის მოხელენი ცდილობდნენ სკოლა ამ მიზნისათვის არასოდეს არ დაეშორებიათ და ამიტომ ძალზე უფრთხილდებოდნენ სკოლას, რომ რაც არ შეპარულიყო თვითმპყრობელობის საწინააღმდეგო აზრი, რათა მოწაფეები დაეცვათ საერთოდ პროგრესიული აზროვნების გავლენისაგან. ამის დამატკიცებელია, სხვათა შორის, ქვემოდმოყვანილი დოკუმენტი. რუსეთის ეკლესიის სინოდის ობერ-პროკურორი პობედონოსცევი სწერს საქართველოს ეგზარხოს 1887 წლის იანვარში № 74-ით:

„ყოველდღისამღვდლო მეუფეო, მოწყალეო ხელმწიფეო და მწყემსმთავარო! უკანასკნელ ხანებში მოწაფეთა შორის ვრცელდება გრაფ ლ. ტოლსტოის ცნობილი თხზულების „В чем моя вера“ ჰექტოგრაფზე დაბეჭდილი ეგზემპლარები. ამ თხზულებას, რომელიც საესეა მანეთ აზრებით, გამჭვალულია ურწუმუნობების იდეებით, რომლებიც არყევენ არა მარტო ეკლესიის, არამედ სამოქალა-

ქო საზოგადოებრიობის ძირითად საფუძვლებს, შეუძლიან მეტისმეტად მაგნე გავლენა მოახდინოს ახალგაზრდათა აზროვნებაზე და ხელი შეუწყოს მათი აზრების და გრძნობების საესეებით გარყენას. ამგვარი თხზულებები განსაკუთრებით დაუშვებელი უნდა იყოს სასულიერო სასწავლებლებში. ამისათვის მოვალედ ვთვლი ჩემს თავს უმოზილესად ვთხოვთ თქვენ, მოწყალეო მეუფეო და მწყემსმთავარო, დაეალოთ თქვენდამი რწმუნებულ სასულიერო სასწავლებლების უფროსებს, ინსპექციის წევრებს და მასწავლებლებს, რათა თვალყური ადევნონ, რომ ხსენებული თხზულება არამცდარამც არ ჩაუვარდეთ მოწაფეებს ხელში. თუ ვინიცობაა გამოირკვეა, რომ ხსენებულ თხზულებას უკვე იცნობენ მოწაფეები, სასურველი იქნება მასწავლებელმა ან დამრიგებელმა, რომელიც კარგად იცნობს ამ საგანს, განუმარტოს ახალგაზრდაობას ხსენებულ თხზულების შინაარსი და ყოველი გაუგებრობა, რასაც იწვევს ეს წიგნი ახალგაზრდებში. ლიტერატურულ წყაროდ ამისათვის გამოიყენონ ვრცელი სტატიები, რომლებიც გასულ წელს დაიბეჭდა შემდეგ ჟურნალებში: „პრაგოსლავნი სობესედნიკ“, „ვერა ი რაზუმ“, „პრავოსლავნოე ობოზრენიე“ და ქადაგებანი წარმოთქმული ქ. ოდესაში ყოვლადსამღვდელო არქიეპისკოპოზი ნიკანორის მიერ. ეს ქადაგებები დაბეჭდილია ზოგიერთ სასულიერო გამოცემებში“. კ. პობედონოსცევი.

(ტფილისის ეპარქიალურ სასწავლებლის არქივიდან 1887 წ.).

მონარქიულ რეჟიმისათვის არა სასურველ წიგნების კითხვის აკრძალვასთან ერთად მთავრობის მოხელენი ცდილობდნენ ჩამოეშორებიათ ყველა საფეხურის სკოლის მოსწავლენი საზოგადოებრივ ცხოვრებას, უკრძალავდნენ მათ ნებადართულ თუ ნებადაურთველ საზოგადოებრივ ორგანიზაციების წევრად ყოფნას და თვითგანვითარების წრეების შექმნასაც კი. დამნაშავე სასტიკად უნდა დაესაჯათ თვით სასწავლებლიდან დათხოვნამდე. ამას მოწმობს იგივე პობედონოსცევის ცირკულიარი, მოწერილი საქართველოს ეგზარხოსთან 1887 წ. 14 მარტს:

„იმ გარემოების გამო, რომ სხვადასხვა სასწავლებლის მოწაფეები პოლიტიკური აგიტატორების ზეგავლენით ხშირად მონაწილეობას იღებენ. მანე და დაუშვებელ საზოგადოებათა საქმიანობაში, ანდა თავიანთ წრეებში აარსებენ სხვადასხვა, თითქოს სასარგებლო, და კანონით ნებადართულ საზოგადოებას, რომლის ფულადი გადასახადი ხშირად ხმარდება კანონის საწინააღმდეგო მიზნების განხორციელებას; სახალხო განათლების უწყებაში გაცემულია განკარგულება, — ჩამოართვან უმაღლეს სასწავლებლების მოწაფეებს, აგრეთვე ახლად მიღებულ სტუდენტებს და მსმენელებს ხელწერილი, რომ ისინი არ მიიღებენ მონაწილეობას არავითარ საზოგადოებაში, როგორც მაგ. სათვისტომოებში და სხვა. აგრეთვე არ ჩაეწერებიან ისინი წევრად კანონით ნებადართულ საზოგადოებაშიც კი. თითოეულ ცალკე შემთხვევაში უახლოეს მთავრობის ნებადაურთველად, წინააღმდეგ შემთხვევაში დამნაშავე დაუყოვნებლივ გარიცხული იქნება სასწავლებლიდან; ხოლო საშუალო სასწავლებლების, სამოსწავლო ინსტიტუტების და სემინარიების გამგეებს დაევალოს განუწყვეტლივ თვალყური ადევნონ თავიანთ სასწავლებლების მოწაფეებს, თუ ვინიცობაა აღმოჩნდება მოწაფეთა მონაწილეობა არა მარტო უკანონო საზოგადოებებში, სათვისტომოებში და სხვ., არამედ კანონით ნებადართულ საზოგადოებაშიც კი, ანდა თუ იგინი თავიანთ წრეში

მოაწყობენ, მსწავლებლის ნებადაურთველად, ყრილობებს ან კრებებს, პედაგოგებთან საბჭომ დამნაშავენი დაუყოვნებლივ უნდა დაითხოვოს სასწავლებლიდან.

ვიღებთ რა მხედველობაში, რომ სასულიერო სასწავლებლების მოწაფეთა შორისაც, განსაკუთრებით კერძო ბინებზე მაცხოვრებელთა შორის, ხშირად ეწყობა სასწავლებლის ინსპექციის ნებადაურთველად სხვადასხვა ეგრედწოდებული თვითგანვითარების წრეები, სადაც იკითხება პედაგოგიის ცენტრის მიერ ნებადაურთველი, ანდა პირდაპირ აკრძალული წიგნები; სადაც ვითარდება სასულიერო განათლების მიზნებთან და ამოცანებთან შეუფერებელი აზრები; წრეები, რომლებიც მოუმწიფებელ ახალგაზრდობაში აღვივებენ სასულიერო სასწავლებლის სააღმშენებლო-სასწავლო წყობილების საწინააღმდეგო აზრებს, რომლებიც შემდგომ განვითარებაში ხშირად არსებულ წესწყობილების წინააღმდეგ სამრძოლო ხასიათს იღებენ—საჭიროდ ვცნობ უმორჩილესად ვთხოვო თქვენ უსამღვდელოესობას, დაუდასტუროთ თქვენდამი რწმუნებულ სასულიერო სასწავლებლების უფროსებს, თვალყური ადევნონ ამ მხრივ მათდამი რწმუნებულ სასწავლებელთა მოწაფეებს, ხოლო დამნაშავეთა წინააღმდეგ იგივე ზომები გამოიყენონ, რაც მიღებულია სახალხო განათლების სამინისტროს უწყებაში“.

კ. პობედონოსცევი.

(ტფ. ეპარქ. სასწავლებლის არქივიდან, საქმე 1887 წ.).

ზემოაღნიშნული დოკუმენტები აშუქებენ სწავლა-განათლების სისტემაში წარმოებულ პოლიტიკას საერთოდ მთელ რუსეთში. საქართველოში ეს პოლიტიკა უფრო მწვავე და რეაქციული იყო. აქ სკოლა გარდა მონარქიზმის პრინციპებისა, ემსახურებოდა კიდევ კოლონიალურ პოლიტიკის დანერგვას და რუსიფიკაციას.

განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო ეს სასულიერო უწყების სკოლებში—სემინარიებში, ეპარქიულ სასწავლებლებში, სასულიერო სასწავლებლებში და სხვ. ამ სასწავლებელთა სათავეში რუსის სამღვდელოება იდგა. მათ მიზანს იმდენად სწავლის სათანადო დონეზე დაყენება არ შეადგენდა, რამდენადაც თავიანთი პოლიტიკური მიზნების განხორციელება. აქ მთელი პედაგოგიური საქმიანობა ამ თვალსაზრისით განიხილებოდა. ეს, როგორც დავინახავთ ქვემოთმოყვანილ დოკუმენტებიდან, ახასიათებდა არა მარტო ამ სასწავლებელთა საერთო რეჟიმს, არამედ სასწავლო გეგმებს, თითოეული სავნის შინაარსს და მოწაფეთა მიერ აღმზრდელობით სისტემას. ამ გარემოებას თვალსაჩინოდ გვიშუქებს ტფილისის ეპარქიალური ქალთა სასწავლებლის საბუთები.

ტფილისის ეპარქიალური ქალთა სასწავლებელი დაარსდა 1879 წელს. ზრეველად გაიხსნა ორი მოსამზადებელი განყოფილება და სამი კლასი, თითოეულ კლასის კურსი ორი წლით განისაზღვრებოდა. უფრო ღარიბ მოწაფეებს პანსიონში დებულობდნენ, დანარჩენი მოწაფეები ვერადან მოსიარულენი იყვნენ. ეს უკანასკნელები იხდიდნენ სწავლის ფულს, სასულიერო უწყების პირთა შვილები 15 მანეთს წელიწადში, საეროსი კი 40 მანეთს. სასულიერო უწყების პირთა შვილებს, უფრო ღარიბებს ანთავისუფლებდნენ სწავლის ფულის გადასახადისაგან, საერო პირთა შვილებს სულ არ ანთავისუფლებდნენ. სასწავლებლის თითოეულ

კლასში უნდა ყოფილიყო არა უმეტეს 45 მოწაფისა, ამის ზევით იხსნებოდა პარალელური განყოფილება. მოსამზადებელ განყოფილებაში იღებდენ მოწაფეებს არა ნაკლებ რვისა და არა უმეტეს ათი წლის.

სასწავლებლის სტრუქტურა სინოდის მიერ 1879 წელს დამტკიცებული წესდებით შემდგენიანი იყო:

სასწავლო ხაზით. სასწავლებელში ისწავლებოდა რუსული ენა და სიტყვიერება, ქართული ენა და სიტყვიერება, რუსული და ქართული სუფთაწერა, არითმეტიკა, გეომეტრია (ალგებრა სულ არ ისწავლებოდა), სამოქალაქო ისტორია და გეოგრაფია, ფიზიკა შემოკლებით, ზოგადი მეთოდისა, ხელსაქმე, საეკლესიო გალობა რუსული და ქართული, და, როგორც მთავარი საგანი, საღვთო სჯული. სასწავლებლის არქივში დაცულ სტანდარტულ პროგრამებიდან ჩანს, რომ ყოველი საგნის პროგრამა რელიგიურ-ზნეობრივ თვალსაზრისით იყო შედგენილი, მასალაც ამ სახით იყო შერჩეული და მისი დალაგება-გაშუქებაც ამას მოითხოვდა.

სასულიერო უწყების სასწავლებელში დიდი ყურადღება ექცეოდა წერითი ვარჯიშობას. თემები მოსწავლეთა თხზულებებისათვის უნდა შეერჩია მოსწავლელს სასწავლო წლის დასაწყისშივე, წარედგინა პედაგოგიურ საბჭოსათვის დასამტკიცებლად, საბჭო განხილვის შემდეგ წარუდგენდა საქართველოს ეგზარხოსს საბოლოო დასამტკიცებლად. რასაკვირველია, თემები უნდა შერჩეულიყო ისეთი მასალიდან, რომელიც განამტკიცებდა სასწავლებლის საერთო მიმართულებას და იდეოლოგიურ მხარეს.

ჩვეულებრივ მოწაფეებს შემდგენიანი თემები ეძლეოდათ თხზულების დასაწერად:

საღვთო სჯულში III კლასის მოწაფეებს— „Учение о самоотвержении, трудность его для естественного человека и высокое при этом утешение, сообщаемое благодатною помощью“.

II კლასის მოწაფეებს საღვთო სჯულში „Воспитательное значение искушений в жизни христианина, по учению св. апостола Иакова“. რუსულ ენაში— „Церковь родного села с внутренней и внешней стороны“ და სხვ.

1900 წელს მოხდა ეპარქიალურ სასწავლებლის რეორგანიზაცია, იგი გადაეკურთხა ექვსკლასიან სასწავლებლად, ხოლო 1908 წელს გაიხსნა ორი პედაგოგიური კლასიც, მეშვიდე და მერვე. ამის მიზნდევით სასწავლო გეგმაც შეიცვალა და რამოდენიმე ახალი დისციპლინაც, მაგ. საქართველოს ეკლესიის ისტორია და არქეოლოგია, ფსიქოლოგია დაემატა, ხოლო პედაგოგიკის ისტორიის, დიდაქტიკის და ზოგადი მეთოდის სწავლება გაძლიერებულ იქნა. საქართველოს ისტორია და არქეოლოგია ისწავლებოდა რუსულად და სავალდებულო იყო როგორც ქართველ, ისე! არაქართველ მოწაფეთათვის.

ზნეობრივი აღმზრდელობითი ხაზით. მოწაფეების აღმზრდელობითი სისტემა შეფარდებული იყო სასწავლებლის მიზანთან და დანიშნულებასთან. სასულიერო უწყების სასწავლებლებს, ისე როგორც საერთოდ სასწავლებლებს ყოფილ რუსეთის იმპერიაში, უნდა აღეზარდათ მონარქიული რეჟიმის ერთგული,

მორჩილი მოხელენი. საქართველოში ამას, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ მეორე გარემოებაც ემატებოდა: აქ სკოლას უყურებდენ როგორც კოლონიალურ პოლიტიკის გამტარებელ იარაღს, ადგილობრივ მოსახლეობის გარუსებისათვის საუკეთესო საშუალებას. ამიტომ აქ, სასწავლებლებში აღმზრდელითი სისტემა ისე იყო აწყობილი, რომ დასახელებულ მიზნებისათვის სასწავლებელს ადვილად მიეღწია.

კერძოდ ეპარქიულ სასწავლებელში კლასთა ინსპექტორის გარდა, რომელიც სასწავლო ნაწილს ედგა სათავეში და ამ მხრივ ხელმძღვანელობდა სასწავლებელს, იყო უფროსი ქალი („ნაჩალნიცა“), რომლის მოვალეობასაც აღმზრდელითი ნაწილის ხელმძღვანელობა შეადგენდა. ეს უკანასკნელი თავის ხელქვეით აღმზრდელი ქალების საშუალებით ატარებდა მთავრობისათვის სასურველ აღმზრდელითი პოლიტიკას.

ზოგადი აღმზრდელითი ზომების გარდა საინტერესოა აღმზრდელების პოლიტიკური გავლენა სასწავლებლის ცხოვრებაზე და მოწაფეებზე. მაგალითად, 1905 წელს ტფილისის ეპარქიალურ სასწავლებლის სათავეში იდგა ცნობილი შავრაზმელი მღვდელი გოროდცევი. გოროდცევი იყო ტფილისის „Сюзь русских народа“-ს ორგანიზაციის თავმჯდომარე, ამ ორგანიზაციის ორგანოს „პატრიოტიჩესკაია ლეტაჰის“-ის რედაქტორი და ხელმძღვანელი, შავრაზმულ გაზეთის „გოლოს კავკაზას“ აქტიური თანამშრომელი და საერთოდ მონარქიული ჯგუფის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი ტფილისში.

გოროდცევმა ეპარქიალურ სასწავლებელში დანერგა მონარქიულ-შავრაზმული სულისკეთება. ამიტომ მოწაფეების უმრავლესობა მტრულად უყურებდა სასწავლებლის ხელმძღვანელობას და აღმზრდელებს. ხშირი იყო მოწაფეთა გალაშქრება სასწავლებელში შექმნილ რეჟიმის წინააღმდეგ, გაფიცვის გამოცხადება და სხვ. ერთი ასეთი გაფიცვა მომხდარა ამ სასწავლებელში 1905 წლის 28 იანვარს. ამ გაფიცვის სურათი დოკუმენტების მიხედვით შემდეგნაირია: გაფიცვის მიზეზების გამოკვლევ კომისიის ოქმებში ვკითხულობთ: „სასწავლებლის უფროსი ქალის, ინსპექტორის, აღმზრდელების და მასწავლებელთა დაკითხვიდან გამოირკვა, რომ ტფილისის ქალთა ეპარქიალურ სასწავლებლის აღმზრდელ ქალებს ერთმანეთში და სასწავლებლის უფროს ქალთანაც მტრული განწყობილება აქვთ, ხოლო უკანასკნელ ხანებში მათში ნაციონალურ განხეთქილებამაც იჩინა თავი რუსეთ-იაპონიის ომის დაწყების შემდეგ, როდესაც აღმზრდელებს შორის თვით სასწავლებლის სასადილოშიაც კი, მოწაფეთა თანდასწრებით, ზღებოდა გაცხოველებული დავა იმის შესახებ თუ ვინ ვისი მომხრეა, ამასთან ზოგიერთები აშკარად, მოწაფეთა წინაშე, აცხადებდენ თავის სიმპატიებს იაპონიის მიმართ.“

აღმზრდელ ქალთა შორის უთანხმოების მოსასპობად არც უფროსი ქალისა და არც სასწავლებლის საბჭოს მიერ არავითარი ზომები არ იყო მიღებული, რადგან უფროსი ქალი რატომღაც საჭიროდ არა სთვლიდა სასწავლებლის საბჭოში გადაეტანა სასწავლებლის შინაური ცხოვრების უთანხმოებანი. ასეთი არანორმალური ამბები, რასაკვირველია, მოქმედობდენ მოწაფეთა განწყობილებაზე. ეს უკანასკნელები სასწავლებლის უფროს ქალში ხედავდენ. ისეთ პიროვნებას.

რომელიც განურჩევლად არ უცქერის მოწაფეთა ნაციონალიზმს. III კლასში მომხდარ ინციდენტმა უფრო დაარწმუნა მოწაფეები ამ გარემოებაში. საერთო მოძრაობამ და არეულობამ საბაზი, მისცა ზოგიერთ პირობებში პირს, ესარგებლა მოწაფეთა უკმაყოფილებით სასწავლებლის უფროს ქალზე და მოეწყო არეულობა იმ რწმენით, რომ დამნაშავენი არ იქნებიან აღმოჩენილნი და დაუსჯელად დარჩებიან, რადგან მოწაფეთა შორის ერთგვარი შეკავშირება და მთლიანობა არსებობდა“-ო. (სასწავლებლის არქივიდან. გამომიების მასალები).

მოწაფეთა პირველი გაფიცვა ეპარქიალურ სასწავლებელში მოხდა 1905 წ. 28 იანვარს. უმაღლესმა სასულიერო მთავრობამ, საქართველოს ეგზარხოსის აღქმის განკარგულებით გამოჰყო კომისია, რომელსაც დაწვრილებით უნდა შეესწავლა მოწაფეთა უკმაყოფილების და გაფიცვის მიზეზები, სასწავლებლის საერთო რეჟიმი და სწავლა აღზრდის დაყენების საქმე. კომისიამ დაპკითხა სასწავლებლის უფროსს, მასწავლებლებს და მოწაფეებს, რომლებიც გაფიცვის სურათს შემდეგნაირად გვიხატავენ:

სასწავლებლის უფროსი ქალის ტროფიმოვის ჩვენება: „27 იანვარს საღამოთი გვიან შემეტყობინეს, რომ III კლასის მოწაფე შარვაშიძემ დღეს სასწავლებელში მოიტანა მთელი ტომარა პროკლამაციები და დაურთა ჯერ თავის ამხანაგებს, შემდეგ ჩამოიარა სხვა კლასები და იქაც დაარბია პროკლამაციები. ამ ფაქტს მე მაინცდამაინც დიდი ყურადღება არ მივაქციე. 28 იანვარს დილით დაგუძახე შარვაშიძეს, მაგრამ მან თავი დამნაშავედ არა სცნო და ტირილი დაიწყო. დიდი დასვენების შემდეგ დაიწყო ბუნტი. ბავშვებთან მე არ ვავსუღვარ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი მირახუნებდნენ და მიმტვრევდნენ კარებს. გარკვევით მესმოდა მათი ყვირილი „ძირს სასწავლებლის უფროსი ქალი“.

მასწავლებელი პოლიტოვის ჩვენება: „დიდ დასვენებაზე გაისმა ხმაურობა და ყვირილი. ავედი ზევით სართულში და დავინახე, რომ მოწაფეები იკრიფებოდნენ სასწავლებლის დარბაზში და ყვიროდნენ: „ძირს უფროსი ქალი“. მე მიწოდდა იგინი დამეწყნარებინა, მაგრამ ვერ მოვახერხე. ისინი ხელში მაჩეჩებდნენ პროკლამაციებს. მე მოწაფეების დაწყნარების იმედი დავკარგე, გამოველ გარეთ და გავემართე სახლისაკენ. ვერც კი მოვასწარ სასწავლებლის ტროტუარის გავლა, რომ მოისმა ზრიალი და დარბაზის ფანჯრებიდან დამტვრეული შუშები წამოცივიდა ტროტუარზე. მე უკანვე გამოვიქციე. ვნახე უფროსი ქალის ოთახში შეცივიდნენ მოწაფეები. სამასწავლებლო ოთახის კარებთან იდგნენ „ოკოლოლონი ნაღზირატელი და გოროდოვოები“; ერთი ოკოლოლონი ყვიროდა: „მე გამიშვით, ხელად დავაწყნარებ მათ, რამოდენიმე მათგანს ვტყიცავ სილას და გათავდა ყველაფერი“. მე ეთხოვე პოლიციელებს არ ჩარეულიყვნენ საქმეში, ვიდრე მათ არა სთხოვდნენ ამის შესახებ. როდესაც პოლიციელები წავიდნენ, მოვიდა მამა სერგი (მღვდელი გოროდოვე, სასწავლებლის ინსპექტორი—თ. ზ.) რომელმაც მალე დააწყნარა მოწაფეები“.

პოლიციელების სასწავლებელში მოყენას საგამომიებლო ოქმი შემდეგნაირად ხსნის:

აღმზრდელი ქალი მდივანი აცხადებს: „როდესაც მოწაფეები ასეთ მდგომარეობაში დაეინახე, ცუდად გავხდი, კარგად მესმოდა ოლგა ალექსანდრეს ასულის¹ სიტყვები „დაუშინეთ მავათ მათრახები“.

კომისიის მიერ დაკითხული IV კლასის მოწაფეები აჩვენებენ: „სასწავლებლის უფროსი ქალი ქართველ და რუს მოწაფეთა შორის აღვივებს ნაციონალურ შუღლს და ანტაგონიზმს. სხვადასხვანაირ დაპირებით ატყუებს პატარა ბავშვებს და აიძულებს დააბეზლონ თავისი ამხანაგები, რითაც უჭუჭუებს მათ ხასიათს და აჩვენებს ჯაშუშობას. აღმზრდელი ქალი გრომოვსკაია ჯაშუშია. ეს უკანასკნელი უკრძალავს მოწაფეებს თავიანთ მშობლიურ ენაზე ლაპარაკს და ამით ავიწყებს მათ ენას. III კლასში იგი ლანძღავს ქართველებს, თითქოს ესენი ავიწროებდნენ რუს მოწაფეებს, ნამდვილად კი თვითონ შეაქვს ასეთი განხეთქილება მოწაფეებში და უთანხმოების მიზეზიც სწორედ მისი საქციელია. ჩვენ სწავლას არ დავიწყებთ, თუ უფროსი ქალი აქ დატოკვეული იქნება“.

28 იანვრის გაფიცვის უშუალო მახლობელი მიზეზი იყო მესამე კლასში მომხდარი ინციდენტი. ამ ინციდენტის შესახებ დოკუმენტებში ნათქვამია: „14 იანვარს, ეკლესიაში წირვის დროს, მესამე კლასის მოწაფემ ციციშვილმა შენიშნა, რომ მისი ამხანაგი გრომოვა პირჯვარს არ იწერს. როცა ციციშვილმა მიზეზი ჰკითხა, გრომოვამ უპასუხა—პირჯვარს არ ვიწერ, რადგან ქართული არ მესმისო (14 იანვარს, ნინოაზის დღეს ნებას აძლევდნენ წირვა ქართულად შესრულებულიყო, სხვა დროს ეკლესიაში წირვა-ლოცვა სულ რუსულ ენაზე სწარმოებდა—თ. ბ.). ეს ამბავი ვიღამაც უფროს ქალს შეატყობინა. ეს შევიდა III კლასში და მოწაფეებს დაახლოვებით შემდეგი უთხრა: „მე გავიგე, თითქოს თქვენ ავიწროვებთ თქვენ ამხანაგ რუსებს. თქვენ არ იცით, რომ ქართველებმა მართო მაშინ იგრძნეს მშვიდობა და წყნარი ცხოვრება, როდესაც შეუერთდნენ რუსეთს. ვინ ცხოვრობს თქვენ ხარჯზე? პირიქით ქართველები სჭამენ რუსეთის ხაზინის ფულს, როგორც, მაგ., მამა პლატონი (გამრეკელი, მღვდელი და ეკონომი იყო სასწავლებლისა—თ. ბ.). იღებს ჯამაგირს ხაზინიდან და საერთოდ თქვენი მამები რომ სახელმწიფო ჯამაგირს არ იღებდნენ, მათხოვრები იქნებოდნენ. თქვენ ყველა ჩვენი მონები ხართ, ეს ნუ გავიწყდებათ. თქვენ იცოდეთ, რომ მისაღებ გამოცდებზე ქართველმა რომ მიიღოს 5, რუსმა კი 3 ან 2, უფრო მივიღებთ რუსს, ვიდრე ქართველს“. გარდა ამისა მოწაფეებმა დამატებით კიდევ უჩვენეს კომისიას: „უფროსმა ქალმა უთხრა გრომოვას: „შენ ყველაფერი შემატყობინე ხოლმე, რაც ხდება კლასში, ხოლო მოწაფე ოქროპირიძეს დაუძახა—შენ მგლის ლეკვი ხარო“.

23 იანვარს მეორე ინციდენტი მოხდა ამავე მესამე კლასში. დილის ლოცვას კითხულობდა III კლასის მოწაფე მელიშვილი. ლოცვის შემდეგ სასწავლებლის უფროსმა ტროფიმოვამ მოიხმო თავისთან მელიშვილი და უთხრა: „შენ კარგად კითხულობდი, მაგრამ მე არც გაკოცებ და არც შეგაქვებ, რადგან შენ ქართველი ხარ“. ტროფიმოვას საქციელის გამო დაკითხულმა აღმზრდელმა ქალმა მდივანმა განაცხადა: „დასამტკიცებლად იმისა, რომ უფროსი ქალი აღვივებს

¹ ოლგა ალექსანდრეს ასული (ივანოვი) იყო აღმზრდელი ქალი, შავრანგელი და გოროდცევის მარჯვენა ხელი სასწავლებელში—თ. ბ.

ბავშვებში ნაციონალურ შუღლს, შეიძლება მოვიყვანოთ ერთი ფაქტი, თუ როგორი ურთიერთობა არსებობს უფროს ქალთა და აღმზრდელ ქალთა შორის. უფროსმა ქალმა ერთხელ აღმზრდელ ქალებს ქართველებს ასე მომართა: „თქვენ, ქართველები მაღლობელს იყავით ჩვენი, რუსებისა, თორემ თქვენ ახლა იქნებოდით სადმე ჰაერამხანაში, ან რომელიმე შაჰის ცოლები იქნებოდით“. მდიენის განცხადება, ნათქვამია საგამომძიებლო მასალებში, დაამოწმეს სხვა აღმზრდელებმა ქალებმაც, თვით რუსებმაც კი“.

აქ მოხსენებული ინციდენტები მხოლოდ მახლობელი მიზეზი იყო 28 იანვრის გაფიცვისა, არსებითად კი ეს გაფიცვა შემზადებული იყო ათეულ წლებით განმტკიცებულ რეჟიმით, იმ საერთო სისტემით, რომელიც გაბატონებული იყო საერთოდ სკოლებში და კერძოდ სასულიერო უწყების სასწავლებლებში. გარდა ამისა, თვით მოწაფეთა მოთხოვნები, რომლებიც არეულობის დღეს წერილობით წარუდგინეს დასაწყნარებლად მისულ ეგზარქოსს ალექსის და ეპისკოპოსს დიმიტრის (დიმიტრი აბაშიძე, გადაგვარებული ქართველი, დიდი მოძულე ქართველებისა, შავრაზმელი და მეფის რეჟიმის ერთგული მსახური — ბ.), ცხადყოფენ, რომ მოწაფეთა უკმაყოფილება გამოწვეულია არა მარტო ამ ინციდენტით, არამედ სასწავლებელში გამეფებულ რეჟიმით და პედაგოგიური სისტემით. აი ეს მოთხოვნებიც.

„ღღარ ძალგვიძს ავიტანოთ ის პოლიტიკური რეჟიმი, რომელიც თანდათან გაბატონდა ჩვენს სასწავლებელში. ეს რეჟიმი ყველგან საგრძნობია, მაგრამ უფრო ძლიერად მოსჩანს ეკლესიაში, სადაც ჩვენ გადაგვაქციეს უსულა ავტორიტეტად და გვალოცებენ უფროსი ქალის ბრძანებით.“

ამიტომ ვთხოვლობთ: 1) უფროსი ქალის გაძევებას, 2) თანაბარ მოპყრობას ყველა ეროვნების მოწაფეებთან და თავისუფალ ლაბარაკს მშობლიურ ენაზე, 3) სასწავლებლის მთავრობის ჩაურევლობას მოწაფეთა კერძო ცხროგრებაში, 4) ზოგიერთ შემთხვევაში, მაგ. პირჯვრის წერაში ძალდატანების მოსპობას, 5) მარხვის შენახვა მხოლოდ დიდ მარხვის პირველ და უკანასკნელ კვირებში“.

იყო ხოლმე შემთხვევა, როდესაც ეპარქიალურ სასწავლებლის ადმინისტრაცია ყალბ წერილებს ადგენდა თავის პოლიტიკის გასამართლებლად. ამ შემთხვევაშიც სასწავლებლის უფროსი ქალის ტროფიმოვას გასამართლებლად შეთხზული იქნა წერილი ვინმე გრომოვის, სადაც აღნიშნულია, თითქოს ქართველები ავიწროვებდნენ რუსებს. აი ეს წერილიც, რომელსაც სწევრს გრომოვი ტროფიმოვას:

„Глубокоуважаемая Надежда Николаевна!

Сию минуту получил Ваше любезное письмо, преувеличивающее чрезмерно какой-то якобы долг по отношению ко мне, тогда как на самом деле никакого долга нет, а только услуга за услугу, как делается между хорошими знакомыми, если я смею считать себя таким по отношению к Вам, с Вашего доброго согласия на это. Простите добрейшая Н. Н., если я осмеливаюсь Вам писать горькую правду и просить покорнейше Вашей всемогущей защиты моей дорогой

Клавдии от нападок грузинок—учениц. Прежде всего прошу Вас, чтобы то, что я пишу и буду писать, осталось тайной между нами, иначе те же грузинки узнают об этом и заедят окончательно Клавдию. Клавдия натура впечатлительная и на ней сильно отражается малейшая неприязнь, а потому ради Господа бога прошу принять ее под свое вместо матери покровительство.

Привожу копию ее письма к нам и опять прошу не говорить и не подавать намека Клавдии о том, что вы знаете от меня.

„Милые папа и мама. Возьмите меня и Нюсю отсюда, я не могу здесь учиться после того, что случилось 14 января. Я вам сейчас напишу что было: 14 января здесь служили божественную литургию по грузински, а часы и молебен по славински и вот все девочки III класса начали сердиться, заеи часы и молебен по русски, так как на все языки можно славить бога и на грузинском и на русском, тем более, что некоторые русские были именницы и они хотели молиться на знакомом языке. Все грузинки начали сердиться и сказали, что можно молиться и на грузинском языке. Во время обедни одна девочка мне говорила зачем ты не крестишься, ты хочешь чтобы по грузински не служили и все начали на меня смотреть и смеяться. Мне стало стыдно и я заплакала. Меня начала ругать та девочка, которая говорила мне зачем я не крещусь и сказала: „Громова, не реви, я не испугаюсь твоих слез“. Я не хотела плакать, но не могла и вышла из церкви. Ко мне пришла классная дама и сказала: Громова зачем ты плачешь. Я сказала, что мне не хорошо и меня отправили в больницу. А та девочка, которая наделала мне в церкви неприятность, разносила слухи, как будто я плакала потому, что не хотела, чтобы служили по грузински. Классная дама узнала и рассердилась на меня. Сегодня я вышла из больницы и опять начали девочки надоедать. Я опять плакала. Милые папа и мама, я не могу здесь оставаться, возьмите меня отсюда. Мои одноклассницы еще говорят, зачем здесь русские учительницы и ученицы, у нас денег нет содержать вас. Весьма печально, что на нас русских, спасших Грузию от Персидского и Турецкого ига, так смотрят грузины, или старая хлебосоль забывается“.

ამგვარად მოპყვას რა გრომოს თავისი შვილის კლავდიას წერილის პირი მთლიანად, მეგრე თავისით სწერს: „Если нападки на Клавдию грузинами будут продолжаться, то к великому нравственному прискорбию и материальному ущербу, должен взять своих дочерей из заведения, заедят совсем или вгонят в чахотку. Возьму своих детей, такова должна быть судьба нас, русских, что мы не равноправны в своем государстве, а нечто поменьше“.

Глубокоуважающий Вас Ваш покорный слуга священник

Игнатий Громо в“.

ეს წერილი წარუდგინა ტროფიმოვამ სასწავლებლის პედაგოგიურ საბჭოს დასამტკიცებლად იმისა, რომ იგი კი არ სდევნის ქართველებს, პირიქით ქართველები ავიწროვებენ რუსებს. მაგრამ საბჭომ ეჭვი შეიტანა წერილის სინამდვილეში. სხდომის ოქმში ნათქვამია:

„სასწავლებლის საბჭომ ეჭვი შეიტანა მღვდ. გრომოვის შეილის კლავდიას მიერ მამისადმი მიწერილ წერილის სინამდვილეში მისი სტილის მიხედვით. წერილი დაწერილია, ან რედაქტირებულია ვინმე გამოცდილი პირის მიერ“. (ეპარქ. სასწავლებლის არქივი. პედ. საბჭოს ოქმები. 1905 წ.).

გრომოვას წერილიდან აშკარად ჩანს, რომ ეპარქიალურ სასწავლებლის ხელმძღვანელობა თავის პოლიტიკის გატარებაში ყალბი ქაღალდების შეთხზვასაც კი არ ერიდებოდა და განზრახ სთესდა და აღვივებდა მოწაფეთა შორის ნაციონალურ შუღლს.

ამგვარად, ჩვენი ამ მოკლე მიმოხილვის დასკვნა ასეთია: სასულიერო უწყების სკოლების მიზანდასახულება იქითკენ იყო მიმართული, რომ ახალგაზრდობისთვის განეეითარება კონაერვატული და რეაქციული მსოფლმხედველობა, დაენერგა მათში სარწმუნოებრივი ნორმები, განედენა ყოველი პროგრესიული სკოლიდან. მონარქიისა და დიდმპრობელური შოვინიზმის აგენტი—მასწავლებლები დესპოტურ რეჟიმს ამეფებდენ სკოლაში, დასცინოდენ და აბუჩად იგდებდენ ადგილობრივ ენას, კულტურას და ამიერ-კავკასიაში მოსახლე ერთა ეროვნულ ღირსებას.

ყოველივე ეს თვით სასულიერო სასწავლებლის მოსწავლე ახალგაზრდობის ნაწილში წინააღმდეგობას იწვევდა. მოწაფეები უნდობლად უცქეროდენ სწავლა-აღზრდის მთელ სისტემას, რაც თავის გამოხატულებას ჰპოულობდა მოწაფეთა გაფიცვებში, მათ პოლიტიკურ გამოსვლებში. მოწაფეთა ერთ-ერთ ასეთ პოლიტიკურ გამოსვლას წარმოადგენს გაფიცვა ტფილისის ქალთა ეპარქიალურ სასწავლებელში 1905 წ. იანვარში.

პედაგოგიური ბიბლიოგრაფია

სახალხო განათლების ისტორიის სექციის თავის საწარმოო გეგმით ნავარაუდევია აქვს თავი მოუყაროს და გამოაქვეყნოს მასალა, განათლების საკითხებზე, რომელიც გაბნეულია ჩვენს ძველს პერიოდიკაში: ვაჭეთებსა და ჟურნალებში. ამ დიდი სამუშაოს მცირე ნაწილს წარმოადგენს წინამდებარე მასალა, შეგროვილი აშხ. ლ. ციხისთავისა და არკ. ხუნდაძის მიერ.

ეს მასალა შეიცავს პედაგოგიური ხასიათის წერილებს, კორესპონდენციებსა და ცნობებს, რაც მოთავსებულია შემდეგ შვიდ ჟურნალში: „ცისკარში“ (1852, 1857, 1874 წლ.), ილია ჭავჭავაძის „საქართველოს მოამბე“-ში (1863 წ.), ნიკ. ავალიშვილის „მნათობში“—(1869-1872 წლ.), „კრებულში“ (1871-1873 წ.), ყოველკვირეულ (1877-1878 წლ.) და ყოველთვიურ (1879-1885 წლ.), „ივერიაში“, „იმედში“ (1881-1883 წლ.) და „თეატრში“ (1885-1889 წლ.).

თუმცა ჩამოთვლილ ჟურნალებში მოთავსებული პედაგოგიური ინტერესის მასალა სისრულით არაა ბიბლიოგრაფიულ ნუსხაში შესული, არაა სისტემატურ და საგნობრივ რიგზე გალაგებული და არც ანბანურ წესზეა გაწყობილი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი ამ სახითაც (ე. ი. ქრონოლოგიური თანამიმდევრობის დაცვით) სასარგებლო და საჭიროა, რამდენადაც დაინტერესებულ პირთ უადვილებს სახალხო განათლების საკითხების ირგვლივ საჭირო ლიტერატურის გაცნობას.

ორიოდე სიტყვა ამ ნუსხის გამოცემის ტექნიკაზე. შვიი პეტიტით აწყობილია ავტორი ანუ ე. წ. საავტორო სათაური—თავსიტყვა, რომლითაც იწყება ანონიმური წერილი; კვადრატულ ფრჩხილებში [] მოცემულ ტექსტი აღნიშნავს იმას, რაც ბიბლიოგრაფოსებმა თავისით შეიტანეს მასალის დაკონკრეტების მიზნით და არ იყო მოცემული თითონ წერილის სათაურში ავტორის ან რედაქტორის მიერ; ჟურნალების სახელწოდებაც შეკვეცილია ეკონომიის დასაცავად, სახელდობრ: ცსკ „ცისკარის“ ნაცვლად სქრთ. მბე „საქართველოს მოამბეს“ მაგიერ, მნო. „მნათობის“ აღსანიშნავად, კრბ. „კრებულის“ ადგილას, ივ. „ივერიის“ სანაცვლოდ, იმ. „იმედის“ მაგიერ და თტრ. „თეატრის“ ნაცვლად. სახელწოდების მომდევნო ოთხნიშნა ციფრი წვლიწადის მაჩვენებელია, მისი შემდგომი ციფრი—ჟურნალის ნომრისა, ხოლო ორწერტილს მიყოლებული ციფრები აღნიშნავენ გვერდებს ნომრისა, სადაც მოთავსებულია ესა თუ ის მასალა. აღწერილობის ტექსტის ბოლოს ზოგჯერ მოცემულია რვაჯგუფი ფრჩხილებში ასეთი შემოკლებანიც: კორესპ., რაც ნიშნავს კორესპონდენციას, ცნ.—ცნობას, სქრთ. მტნ.—„საქართველოს მატიანეს“ (ჟურნ. „ივერიის“ ერთ-ერთი განყოფილება).

რედაქცია

„ც ი ს კ ა რ ი“

4. „ციხკარი“, რედაქცია.
[„კვერცხთა რიცხვის ზადანის ამოცნობა, მისი დაქარგვა სტამბაში და თხოვნა ასხნის მეორედ გამოგზავნისა“]
ცსკ. 1852, 7: 80
ხელწერა: [რედაქტორი]
თ. გ. ერ.[ისთავი].
2. ბიბლიოგრაფია.
ღ რ ა მ მ ა ტ ი კ ა უფ. ჩუბინოვისა, დაბეჭდილი ს. პეტერბურღში, საიმპერატორო აკადემიის სტამბაში.
ცსკ. 1857, 5: 39—45.
3. ორბელიანი, ალექსანდრე.
ქართული უბნობა ანუ წერა.
ცსკ. 1860, 6: 90—104.
4. ბერიევი, დიმიტრი.
წ ი გ ნ ი მ ო წ ე რ ი ლ ი თ. ალექსანდრე ჯამბაკურიან - ორბელიანისადმი შესახებ მისის „ქართულის უბნობისა ანუ წერისა“.
ცსკ. 1860, 8: 313—333.
5. სულხანოვი, ალექსანდრე.
მეცხრამეტე საუკუნეში მცხოვრებლის ქართველის მხედველობა: თუ რაოდენ დამცირებულარს ზნეობითი განათლება დასავლეთის ევროპიასა შინა.
ცსკ. 1861, 3: 249—261.
7: 247—261.
6. სულხანოვი, ალექსანდრე.
ახრი აღზრდასა ზედა ყრმათათა დასავლეთის ევროპაში.
ცსკ. 1861, 5: 63—69.
7. წერეთელი, კ. ს.
ასლანდელის აღზრდის სურათი საფრანგეთში.
ცსკ. 1861, 10: 171—174.
8. თუმანოვი, გიორგი.
ახალი ამბავი [საწაფლეებელთა შესახებ].
ცსკ. 1862, 6: 63—83.
9. ვილიამს, ჯორჯ.
კემბრიჯის ქალაქში ბენციონის გამართვის დაპირება უცხო კვეყნის სტუდენტებისათვის.
თარგ. პ. უ.
ცსკ. 1862, 8: 194—201.
10. კლაიკური აღზრდა
ცსკ. 1862, 8: 191—195.
11. ფურცელაძე, ანტონ.
[სკოლების გახსნა. ტფილისის მიმოხილვა. თეატრი. ქართული წიგნები. „კალმასობის“ დაბეჭდვა—ცირკი]
ხელწერა სარჩევშია.
ცსკ. 1863, 1: 147—151.
12. ჩარეკოვი, პეტრე.
რამდენიმე სიტყვა ქალის აღზრდაზედ.
ცსკ. 1863, 2: 301—309.
13. ჯავახიშვილი, თ.
ყმაწვილი პირველს წლებში. [მოგონება რუსეთის ჩრდილოეთის ქალაქის საოჯახო ცხოვრებიდან]
ცსკ. 1863, 8: 413—516 [416?]
14. კარბელოვი, ფილიმონ.
სიტყვა თქმული მოსწავლეთა მიმართ ქართულის გალობისა... ბოდბეს.

- ცხ. 1864, 5: 74—80;
ხელწერა: მღვდელი ფილიპონ კარბე-
ლოვი.
15. მაჩაბელი, დავით.
ქართუპელთა ზნეობა. გალობა [მიმო-
ვიღვა]
ცხ. 1864, 5: 49—73.
16. „ცისკარი“, რედაქცია.
გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
[სტეფანე მელიქიშვილის და კომპ. სტამბა-
ში ქართული ანბანისა და ქართული გრა-
მატიკის გაყიდვისა. ვენიდან მოტანილი
ახალი ქართული ასოებით დაბეჭდვის შე-
სახებ].
ცხ. 1865, 2: 14 [?]
17. „ცისკარი“, რედაქცია.
საქალაქო სასწავლებელი ტფილისში 1865 წ.
1/IV-დან ყველა წოდებისათვის.
ცხ. 1865, 3: 9—13.
18. [ტფილისის საქალაქო სასწავლებლის (და-
არს. 1865 წ. I[IV-დან] წესდება]
ცხ. 1865, 3: 14—22.
19. ლ ვ ი მ ე ლ ი .
ჩემი დროების მწერლები
[პროფ. ჩუბინაშვილის ქრესტომატიკის
გამოცემის გამო ქართული ლიტერატუ-
რის მიმოხილვა]
ცხ. 1865, 4: 70—86; 7: 67—81; 10: 5—15.
20. ბეთანოვი, მიხ.
წიგნი მიწერილი [ქუთაისის ხელთნაწერ
ჟურნალის „მსაჯულის“ რედაქციაში სკო-
ლასა და საზოგადოებაში ქართული ენის
დაცემის შესახებ]
ცხ. 1865, 5: 4—13.
ხელწერა. სასწავლებლის მოწაფე მიხ. ბე-
თანოვი.
21. გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა .
[ქართული ანბანის ახალ მეთოდზე და
პიროველი საკითხავი წიგნის გასასყიდად
გამოსვლის შესახებ]
ცხ. 1865, 6: 58.
22. ხუციშვილი, ან.
ბიბლიოგრაფიული ფურცელი.
უწყება ახალ წიგნთათვის [ქართული
ქრისტომატიკა... დავით ჩუბინაშვილისა. სპბ.
1863 წ.; ქართული ანბანი და საკითხავი
წიგნი... დ. ფურცელაძისა. ტფ. 1863 წ.;
ქართული ანბანი მეორე გამოცემული. სტ.
მელიქიშვილის... სტამბაში ტფ. 1865 წ.]
ცხ. 1865, 9: 22—42.
23. მამაცაშვილი, კრისტ.
სწავლის საჭიროებაზედ.
ცხ. 1867, 2: 36—39.
24. მაჩაბელი, ვ.
გამოცემების დარიგება ყმაწვილების
აღზრდაზე.
ცხ. 1866, 6: 170—181; 7: 182—267.
25. გაბრიელ ეპისკოპოზი.
სიტყვა გაზრდისათვის შეიღებთა.
ცხ. 1868, 5: 1—6.
26. აზიის ოსმალეთში მოგზაური.
ორიოდე სიტყვა შთაღებზე.
ცხ. 1869, 5: 47—51.
27. რამდენიმე დარიგება ყრმის აღზრდი-
სათვის.
ცხ. 1871, 3: 192—201.
28. კერესელიძე, ივანე.
ტფილისის კლასიკური გიმნაზია [და
მისი დირექტორი ფელიხოვსკი
ცხ. 1874, 1: 153—160.

„საბაჟოთველოს მოამბე“

29. ზალცმანი, ვ. გ.
კონრად კიფერი ანუ დარიგება ყმაწვი-
ლების კარგად აღზრდისათვის.
თბ. კ. გ. ზალცმანისა რედაქციის წინა-
სიტყვაობით. თარგ. ლ. ჯ ა ნ დ ი ე რ ი .
შ ე ი ლ ის ა .
სქრთ. ბე 1863. 3: 45—49; 4: 80[50?]—
77; 8: 41—66; 4: 76—99.
30. უიფანი, დავით.
რიგანი ქართული გრამატიკის შესამუ-
შავებელ მასალებად.
1. ქართული ენა და მისი გრამატიკები.
2. ასოები.
სქრთ. ბე. 1863 3: 70—102.
31. სტუდენტების რიცხვი რუსეთის უნივერ-
სიტეტებში, ეპიზოდული უნივერსიტეტის

ცხოვრებიდან. ახალი წესდებულება რუსეთის უნივერსიტეტებისათვის. სქრო. მბე. 1863, 3:103-123 სხვადასხვა ამბები.

„მ ნ ა თ ო ზ ი“

33. ინგილო ჯანაშვილი.
კაცს განათლებამ უნდა მისცეს სახსარი ცხოვრების გაფაქიხებისა და სიმდიდრის მოპოვებისა
მნთ. 1869, 1:1-21; 2:43-64.

34. ელიოზიშვილი, ივანე.
ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან [ბიბლიოგრაფია]
მნთ. 1869, 2:67-99.

„ა რ ი ბ უ ლ ი“

37. ნიკოლაძე ნიკო.
ჩვენი ახალგაზრდობა. საუბარი მკითხველთან.
კრბ. 1871, 2:147-190.
ხელწერა: ნ. სკანდელი.

38. ნიკოლაძე, ნიკო.
ახალგაზრდობის აღზრდა

„ი ვ ი რ ი ა“

41. ტფილისის პედ. ინსტიტუტთან არსებულ ოთხკლასიან სკოლაში ქართული ენის არ სწავლებისა და ახლად დანიშნულ ორ მასწავლებლის მიერ ქართული ენის უცოდინარობის შესახებ. (სქრო. მტნ.)
ივ. 1877, 2:5.

42. გორის სემინარიის ინსპექტორის მიერ ახალციხისა და თიანეთის მაზრებში ქართული ენის სწავლებისა და ქართული წიგნების აკრძალვის შესახებ. (სქრო. მტნ.)
ივ. 1877, 2:5-6

43. გორის სასტატო სემინარიასა და დაწყებით სკოლაში ქართული ენის არ სწავლების შესახებ. (სქრო. მტნ.)
ივ. 1877, 2:5:

44. ერთ ქართველ თავადის თხოვნა რეალურ სასწავლებლის დირექტორის წინაშე, რათა მის შვილს არ ასწავლონ ქართული ენა. (სქრო. მტნ.)
ივ. 1877, 2:6.

32. ბელინსკი, ზესარიონ.
ბელინსკის აზრი შვილების აღზრდაზედ. [თარგ. მაქსიმე დოლანოვიჩი].
სქრო. მბე. 1863, 9:50-57; 10:57-71.

35. შოროპნელი ბლალაჩინი.
მეორე კრება იმერეთის ეპარხიის სამღვდელთო სასწავლებლის გაუმჯობესების თაობაზედ.
მნთ. 1869, 7-8:54-59.

36. კომბი.
ბავშვების მოვლა მთარგმ. ვახ. შაჩაბელი.
მნთ. 1870, 1:3-42; 2:42-86; 3:87-112; 4:113-184.

კრბ. 1871, 3:187-207.
ხელწერა: ნ. სკანდელი.

39. რა გვეჭირვება?
[უმაღლესი სასწავლებლის საკირობა].
კრბ. 1871, 5:171-193.

40. ი. — ი.
ყმაწვილების აღზრდა შვეიცარიაში.
კრბ 1873, 8:141-166.

45. არა დედაენაზე სწავლების ზიანის შესახებ ახალგაზრდობისათვის (სქრო. მტნ.)
ივ. 1877, 2:4-5

46. ი. გოგებაშვილის „დედაენა“-ს სამზრუნველო საბჭოს მიერ მოწონებისა და სახალხო სკოლებში სახელმძღვანელოდ მიღების შესახებ. (სქრო. მტნ.)
ივ. 1877, 2:5.

47. კახის სასწავლებლის მდგომარეობის შესახებ.
„დროების“ № № 28 და 29-ში ივ. როსტომაშვილის (კახის სკოლის მასწავლ.) წერილთან დაკავშირებით. (სქრო. მტნ.)
ივ. 1877, 3:3-4

48. კავკ. ქრ. აღმ. საზღვის ინსპექტორ ლიხაჩოვის წერილის გამო („კავკაზ“ № 46), სასწავლებლებში ქართული ენის სწავლების შესახებ. (სქრო. მტნ.)
ივ. 1877, 3:4-5

49. გერმანიის უნივერსიტეტების და სტუდენტთა რიცხვი, საშუალო სასწავლებლებისა და მოსწავლეთა რიცხვი, სახალხო სასწავლებლებისა და მოსწავლეთა რიცხვი და ჟურნალ-გაზეთები. (მოკლე მოთხრობა სხვადასხვა სახელმწიფოთათვის).
ივ. 1877, 3: 12—14.
50. რუსეთში 1875 წ. 1 იანვრისათვის პირველდაწყებით სასწავლებელთა და მოსწავლეთა რაოდენობის შესახებ. (გაზეთებიდან ამოკრეფილი ამბები).
ივ. 1877, 5: 16.
51. ინსპექტორ ლინაჩოვის ბრძანება, რომ ქართული ენა მოსწავლეებს პირველ ორ-სამ თვეს ასწავლონ. (სქოთ. მტნ.).
ივ. 1877, 5: 4.
52. კუშინსკის პ. სუხის პასუხი ტფ. სემინარიაში ქართ. ენისა და გალობის სწავლების შესახებ (სქოთ. მტნ.).
ივ. 1877, 6: 4—5.
53. სახალხო სასწავლებლებში ახალგაზრდა მოსწავლეებელთა წინააღმდეგ სამღვდელთა მოქმედების შესახებ (სქოთ. მტნ.).
ივ. 1877, 7: 4.
54. სოფლის სკოლებისათვის სახელმძღვანელოებისა და სხვა სასწ. ნივთების დროზე გაუგზავნელობის შესახებ (სქოთ. მტნ.).
ივ. 1877, 7: 4—5.
55. მოსწავლეთა შორის თვითმკვლელობის განხორციელების შესახებ (რუსეთი).
ივ. 1877, 7: 9.
56. კიევის უნივერსიტეტში ქალებისათვის ცალკე ისტორიულ-ფილოლოგიურ და ფიზიკო-მათემატიკურ განყოფილებათა გახსნის შესახებ. (რუსეთი).
ივ. 1877, 7—9.
57. ვაიწინათ თუ ვიტროთ. გორის საოცრატო სემინარიაში ქართული ენის სწავლების და მასწ. ნათიევის უგუნური მეთოდის შესახებ (სქოთ. მტნ.).
ივ. 1877, 10: 1—2.
58. ტფ. სას. სასწავლებელში ქართ. ენის მასწავლებლის მიერ ქართ. ენისათვის განკუთვნილ დროის რუსულ საღმთო ისტო-

რიისათვის მოხმარების შესახებ (სქოთ. მტნ.). ივ. 1877, 11: 4.

59. სოფ. ხოვლის სასწავლებელში ქალაქეთა ერთად სწავლის შესახებ და გლეხობის კეთილი განწყობა ამ მდგომარეობისადმი (სქოთ. მტნ.).
ივ. 1877, 11: 4.
60. ორიადე სიტყვა ხოვლის სასწავლებელზედ. სასკოლო შენობის აგების შესახებ. სოფლის ხარჯზე (კორესპ.).
ივ. 1877, 11: 5.
ხელწერა: მასწავლებელი ხოვლის სკოლისა ი. ც.
61. ი. გ—ე.
წერილი პეტერბურგიდამ.
საქმიო აკადემიაში ქალთათვის 1872 წ. დაარსებულ საქმიო კურსების შესახებ.
ივ. 1877, 11: 12—13.
62. ღარიბ ბავშვთა აღზრდისათვის მზრუნველ საზოგადოების შედგენის შესახებ. (წერები: გ. რ. ერისთავი, კ. ქ. მამაცაშვილი, ი. კ. ბაგრატიონ-მუხრანსკი, ა. ხ. ჩილოვაშვილი, დ. ი. აკალიშვილი, დ. გ. ერისთავი, ი. გ. ტაყვაძე და დ. ხ. ბაქრაძე) (სქოთ. მტნ.).
ივ. 1877, 12: 3.
63. „ორიადე სიტყვა საქალაქო სასწავლებლებზედ“.
საქალაქო სასწავლებელში ყველა ეროვნებისათვის პირველ განყოფილებაშივე ერთნაირი წიგნით და პროგრამით სწავლების შესახებ (კორესპ.).
ივ. 1877, 12: 9.
64. ფიცი გეწამს და ბოლო გვაკვირებს. [ჯორის სემინარიის ქართ. ენის მასწ. ნათიევის მიერ ქართ. ენის უტოლინარობისა და მის დაუბეჭდავ სახელმძღვანელოს შესახებ].
ივ. 1877, 16: 11—14.
65. საქართველოს მატიაენ.
თ. თარხნიშვილის პეტერბურგის საქმიო აკადემიაში ფიზიოლოგიის პროფესორად დანიშნვის შესახებ (სქოთ. მტნ.).
ივ. 1877, 17: 2.
66. გოგოლეთის მეზობელი.
რაკაში. სწავლისა და ქართული ენის.

მასწავლებელთა მდგომარეობას შესახებ
(კორესპ.).
ივ. 1877. 20 : 1-4.

67. ქართველი.

თელავის სასულიერო სასწავლებელი და
ოლქის სამღვდელთა ყრილობა. ქ. თე-
ლავეში 1875-1877 წ.
ივ. 1877. 25 : 9-12;
26 : 7-12;
27 : 10-12;
31 : 12-15;
32 : 11-14.

68. კავთელი, ა.

პირველდაწყებითი სკოლის გახსნის მო-
თხოვის შესახებ კავთისხევის საზოგადოე-
ბისაგან (სქრთ. მტნ.).
ივ. 1877, 22. 9-10

69. მეგრელიშვილი.

მინგრელიის სას. სასწავლებელი.
სამეგრელოს სამღვდელთების და მარტვი-
ლის სას. სასწ. ზედამხედველის „მოღვა-
წეობის“ შესახებ.
ივ. 1877. 25. 3-4.

70. იღვლეი.

კავთისხევის მოსახლეობაში ადგილობრივ
მღვდლის ბარნაბიშვილის მიერ სკოლის
გახსნის საწინააღმდეგო ხმების გავრ-
ცელება (სქრთ. მტნ.).
ივ. 1877, 26 : 4-5

**71. სახელმძღვანელონი, შედგენილნი ი. გო-
გებაშვილისაგან.**

(ქართული ანბანი, დარჩევა, დედა ენა,
ბუნების კარი, საყმაწვილო კონა (განცხა-
დება).
ივ. 1877, 27. 15.

**72. თ ვ ი თ მ ა ს წ ა ე ჳ ე ბ ე ლ ი, წიგნი ქარ-
თული ენისა შედგენილი და გამოცემული**

გაბრიელ ტერგაბრიელიანისაგან [გან-
ცხადება]
ივ. 1877. 27. 15.

73. ჯიბიაშის სკოლის მასწ. შენგელიას და

უშვებელ საქციელის შესახებ. [ხედმეტი
შვილის გადახდევინება წიგნებში, მოწაფე-
თაცემა და სხვა სასჯელები] (სქრთ. მტნ.).
ივ. 1877. 29 : 2-3.

74. დ. რ.

გაკვირთ [სკოლების მუშაობის შეფერხება
ფშავში მოსახლეობის ერთი მეორისაგან
დიდი მანძილით დაშორების გამო; კახეთ-
ში სკოლების გამრავლების და მასწავ-
ლებელთა მოუშვადებლობის შესახებ].
ივ. 1877. 30 : 4-5.

75. გ. ი.

ტფილისის სამხედრო გიმნაზიაში მისაღებ
ეგზამენიების შესახებ.
[ღარიბ თავად-ახნაურთა შვილებისათვის
მოსამზადებელი კლასის დაარსების შესა-
ხებ]. ივ. 1877. 32 : 9-11
33 : 6-7.

**76. ღარიბ თავად-ახნაურ მოწაფეთა დამ-
ხმარე საზ-ბის მნიშვნელობა ქვეყნის გან-
ვითარებისათვის (სქრთ. მტნ.).**

ივ. 1877, 37 : 1-3.

77. ქვემო ქართული.

ჩვენი ხალხის განათლება, ხელოსნობა და
მეურნეობა.
[მოსწავლეთათვის ზოგადი განათლების
მიცემის შემდეგ, სპეციალური სასოფლო-
სამეურნეო განათლების მიცემის შესახებ
რედაქციის შენიშვნით].
ივ. 1877. 33 : 10-13
34 : 11-13
35 : 10-13
36 : 8-11
37 : 11-14

**78. ქუთაისიდან გვწერენ [ქართველი სტუდენ-
ტების მიერ კიევის უნივერსიტეტის და-
არსების დღესასწაული ქუთაისში] (კო-
რესპ.). ივ. 1877, 38 : 2.**

79. დ. რ.

გაკვირთ, თუშ-ფშავ-ხევსურეთის მღვდლე-
ბის კრება სკოლების შესახებ თიანეთის
მაზრაში ივ. 1877, 38 : 7-8

80. უმკაცრო, პეტრე.

გარდამწერელი ქართულის წიგნებისა და-
ვით რექტორი. (ცხოვრება და მოღვა-
წეობა).
ივ. 1877, 39 : 7-12
ხელწერა: პ. უ.

**81. გორის საქალბო სკოლის სიღარიბისა
და მასწავლებლის უვარჯისობის შესახებ**

(კორესპ. სქრთ. მტნ.)
ივ. 1877. 40 : 1-2.

82. დაჯდებაშილი.
გორის საოსტატო სემინარია.
[მასწავლებელთა უდიერი მოპყრობისა და
მოსწავლეთა ცუდი კვების შესახებ].
ივ. 1877. 41: 1—2.

83. ქართველი.
კ ა ხ ე თ ი
[კახელების გულმოდგინეობა სკოლის
გახსნაში].
ივ. 1877. 41. 2.

84. ო ხ უ რ გ ე თ ი ს ს. სასწავლებელი [ის-
ტორიული მიმოხილვა, კურსდამთავრე-
ბულთა ცხოვრებისთვის უარგისობის შე-
სახებ] (სქრთ. მტნ.)
ივ. 1878, 2. 1—3; 5: 5—6.

85. დ. რ.
ზოგიერთი მასწავლებელი.
[კახეთის სოფ. ნაფარეულის, ალვანის, თიანეთის, ართანის და ზაქათალის სკოლების მასწავლებელთა უდიერი და დაუსველებელი მოქმედების შესახებ].
ივ. 1878, 3. 1—3.

86. ტფ. სას. სემინარიაში ავადმყოფ მო-
წაფის კაპიტან ქუთათელაძისათვის ყუ-
რადღების მიუქცევლობა. ავადმყოფის გა-
რდაცვალება. (სქრთ. მტნ.)
ივ. 1878, 4: 1—2.

87. ქართველი.
სოფ. ყვარელის სკოლის მასწავლებლის
ზარმაცობის შესახებ. (სქრთ. მტნ.)
ივ. 1878, 5: 3—4.

88. ი ა ი-ძე.
ქუთაისის ორკლასიან კერძო სასწავლებ-
ლის მზრუნველის ალ. ბეს-ძე ჭიჭინაძის
სამაგალითო მოღვაწეობის შესახებ (სქრთ.
მტნ.)
ივ. 1878, 6: 4—5

89. დ. რ.
თიანეთის სკოლებში უკულმართი მეთო-
დით მუშაობის შესახებ (სქრთ. მტნ.)
ივ. 1878; 6: 6.

90. ქართველი.
კ ა ხ ე თ ი
„ლივერის“ № 3 მოთავსებულ უვარგის
მასწავლებელთა და ს. საბუის მასწავ-
ლებლის შესახებ].
ივ. 1878, 6: 7—8

91. კ—ვი, პ.
გურჯაანის სკოლის მოწაფეთა შემადგენ-
ლობისა და მათი ცოდნის დონის შესა-
ხებ. (სქრთ. მტნ.)
ივ. 1878, 7: 2—3
ხელწერა: გურჯ. სკოლის მასწ. პ. კ—ვი.

92. ზ. დ.
თ ი ა ნ ე თ ი.
ქალთა სკოლის მასწავლებლის უხნეო
საქციელის შესახებ.
ივ. 1878, 7: 3—4.

93. კ—ვი, პ.
ზამოდენიმე სიტყვა რიგიანის „საწერი
დედნის“ უქონლობაზე.
ივ. 1878, 7: 9—10

94. ქართელი.
ქართლის სოფლებში სკოლების გახსნის
საჭიროებისა და მასწ. მ. ნათაძის დაღე-
ბითი მოღვაწეობის შესახებ. (სქრთ. მტნ.)
ივ. 1878, 10. 2.

95. მ—ვილი.
ორიოდე სიტყვა ოზურგეთზე.
[სხვა საკითხებთან ერთად ლაბარაკია
ოზურგეთის სასწავლებელში გამეფებულ
უდიერობაზე ზედამხედველის წყალობით].
ივ. 1878, 11: 2—3.

96. ი. გ—რე
რუსეთი, — პეტერბურლი.
პეტერბურგის საექიმო აკადემიასთან არ-
სებულ საექიმო კურსებ დამთავრებულ ქა-
ლების შესახებ.
ივ. 1878, 12: 11—12

97. ვანო.
კახის უჩინაკი დამ.
[სოფ. აღბეგლოს და ყორანის სკოლის
დაარსებისა და მოწაფეთა ცოდნის შე-
სახებ].
ივ. 1878, 14: 4—5.

98. ქართველი.
კ ა ხ ე თ ი.
[სხვა საკითხებთან ერთად ავტორი ეხე-
ბა სოფ. კონდოლის სკოლის დაღებით მუ-
შაობას].
ივ. 1878, 14: 6—7

99. კავთისხველი
წერილი ქართლელის მიმართ.

- [კავთისხევის სკოლის მდგამარეობის შესახებ].
ივ. 1878, 15 : 2—3.
100. ვანო.
კახის უჩასტკა
[სოფლის სკოლის მასწავლებელთათვის გამოცდილ და მკოდნე ხელმძღვანელის დანიშნის საჭიროების შესახებ].
ივ. 1878, 16 : 7—9
101. ტფ. გუბ. თვად-აზნაურთა შეუძლებელ მოსწავლეთა შემწე საზოგადოების დაარსების შესახებ. (სქო. მტნ.)
ივ. 1878, 18 : 1—3
102. ვანო.
ერთი დღე კახის საკვირაო სკოლაში. [კახის საკვირაო სკოლის მუშაობის შესახებ].
ივ. 1878, 19 : 2—3.
103. გორის მაზრის სოფ. ზოვლის, ახალ-ქალაქის, მეტეხის, გომისა და კავთისხევის სკოლების გახსნის შესახებ (სქო. მტნ.)
ივ. 1878, 20 : 1—2
104. თქვენი ვანო.
ალბიგვლის სკოლა (კახის უჩასტკაში). [სკოლის მუშაობის შესახებ] (კორესპ.)
ივ. 1878, 20 : 4—5.
105. თვალდელი.
სოფ. ხოვლეს, ახალქალაქს, მეტეხს, გომსა და კავთისხევში სკოლების გახსნის შესახებ.
ივ. 1878, 21 : 7
106. ძამსაშვილი.
სასოფლო სკოლები თელავის მაზრაში. [მოდლების მოქმედება სკოლების წინააღმდეგ, მასწავლებელთა მუშაობის შეფასებისა და ახალი სკოლების გახსნის შესახებ].
ივ. 1-78. 22 : 1—32; 23 : 4—6.
107. ია ი-ძე.
სოფ. პატარა ჯიხიანში ახლად სკოლის გახსნისა და ლუკა ივანეს-ძე ჩომახიძის მოღვაწეობის შესახებ.
ივ. 1878, 24 : 2—3
108. ვანო.
ჩვენი სკოლა [მშობლიურ ენაზე სწავლების საჭიროებისა და ბუნებრივი აღზრდის უპირატესობის შესახებ რედ. შენიშვნით].
ივ. 1878, 24 : 6—9.
109. ვანო.
ბიბლიოგრაფიული ცნობა. ორიოდ სიტყვა ჩვენი საგმარწილო ლიტერატურაზე. [განხილვა ი. გოგებაშვილის წიგნისა „პატარა ბიბლიოთეკა“].
ივ. 1878. 30 : 9—12
110. ქართველი მგზავრი.
მაკლე შენიშვნები საზღვარ-გარეთიდან. [ავსტრიის და გერმანიის ზოგიერთ ქალაქებში და მასრებში სწავლა-განათლებლისა და მასწავლებელთა შესახებ].
ივ. 1878, 31 : 7—11; 32 : 7—8; 33 : 11—15; 34 : 7—11; 35 : 8—11; 39 : 8—12; 41 : 69—; 42 : 6—8.
111. ანანია.
ტფილისის გუბერნიის სახალხო სასწავლებლების მასწავლებელთა კრება ქ. ტფილისში. [ვრცელი ანგარიში, ცნობები მასწავლებელთა მიერ სანიშნო გაკვეთილების გადაცემის, სახელმძღვანელოების და პროგრამების განხილვის შესახებ].
ივ. 1878, 35 : 1—3; 36 : 1—3; 37 : 1—3; 38 : 1—3; 39 : 1—3.
112. წერილი გურიიდან. სკოლებში ქართულ და რუსულ ენების დამახინჯებულად სწავლების შესახებ.
ივ. 1878, 38. 13—16
113. მარტვიელი.
მარტვილი. [სამეგრელოს რომელ ადგილს უნდა იქნეს გადატანილი ოთხკლასიანი სასულიერო სასწავლებელი].
ივ. 1878, 38 : 2—4.
114. ია ი-ძე.
ორიოდ სიტყვა ქართულ სახელმძღვანელოებზე. [სასოფლო სასწავლებლებში ყველა საგნების ქართულ ენაზე სწავლებისა და ქართული სახელმძღვანელოების შესახებ].
ივ. 1878, 41 : 1—2
115. ფიცხელაური.
თელავის სასულიერო სასწავლებლის ოქტის სამღვდელთა კრება ქ. თელავში 1878. წ. 3-ს. ღვიწხი. [სასულიერო სასწავლებლის ნიჭიერი მდგომარეობის ანგარიში] ივ. 1878, 42. 1—3.

116. „ტფ. გუბ. თავად-ანხ. საზოგადოება შეუქმნებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის“ — თხოვნა სასწავლებლის გახსნის შესახებ. (სქრთ. მტნ.)
ივ. 1878, 42 : 4.
117. იანვრიდან სკოლის გახსნის დაპირება „ტფ. გუბ. შეუქმნებელ მოსწავლეთა დამხ. თავად-ანხანაურთა საზოგადოების“ მიერ. (სქრთ. მტნ.)
ივ. 1878, 43 : 2.
118. ა. ჯ.
ორიოდე სიტყვა კიდევ მასწავლებელთა კრებაზე.
[მასწავლებელთა და სკოლის ნიეთიერი მდგომარეობა. სასწავლო პროგრამები და გეგმა].
ივ. 1878, 43 : 5 - 7.
119. „ტფ. გუბ. თავად-ანხანაურთა საზოგადოების შეუქმნებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის“ — მიერ გამოცხადებული პირობები სასწავლებელში მიღების შესახებ. (სქრთ. მტნ.)
ივ. 1878 44 : 2-3.
120. სინოდის რევიზია სასულიერო სკოლების შესამოწმებლად და ამ სკოლებში ქართული ენის გაკვეთილების შესახებ. (სქრთ მტნ.)
ივ. 1878, 44 : 3-4.
121. ქუთაისის გუბერნიის სკოლების მდგომარეობის შესახებ. (სქრთ. მტნ.)
ივ. 1878, 45 : 2-3:
122. შენი და x.
W-თან მიწერ-მოწერიდან
[ქუთაისის საქალებო გიმნაზიის გახსნისა და სასწავლო საგნების მდგომარეობის შესახებ.]
ივ. 1878, 45 : 6-9.
123. თავად-ანხანაურთა და სამედიცინოების სკოლები (შინ. მიმოხ.)
ივ. 1879, 1 : 136-158
124. სტრეფეცკი, ხითაროვი. და იანოვსკი [ამათი საქმიანობა სწავლა-განათლების დარგში] (შინ. მიმოხ.)
ივ. 1879, 1 : 136-158
125. „ტიფლისკი ეესტინკის“ და „დროების“ ღვაწლი სწავლა-განათლების საქმეში (შინ. მიმოხ.)
ივ. 1879, 1 : 136-158.
126. მასწავლებელთა შარშანდელი კრება.
ივ. 1879, 1 : 136-158
127. ქართული საზოგადოება სწავლის გაერცელებისათვის.
ივ. 1879, 1 : 136-158.
128. ჩენი ხალხის სწავლა-განათლების საქმე.
ივ. 1879, 1 : 136-158
129. [აჭარა-ქობულეთში ქართული ენის მდგომარეობის შესახებ.]
ივ. 1879, 2 : 121-135.
130. „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მომავალი მუშაობის შესახებ“.
ივ. 1879, 4 : 151-163.
131. კლასიკურ გიმნაზიაში ქართველ მოწაფეთა მდგომარეობის შესახებ.
ივ. 1879, 4 : 151-163.
132. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მოღვაწეობისა და მისი ურთიერთობის შესახებ წინად დაარსებულ შეუქმნებელ მოწაფეთა დამხმარე საზოგადოებასთან.
ივ. 1879, 4 : 151-163.
133. განცხადება. სიტყვა წამკითხველისადმი. სასოფლო შკოლებისათვის სახელმძღვანელო ქართული წიგნების გამოცემასზედა.
ივ. 1879, 5-6 : I-XI.
134. ჩვენებური კლასიკური გიმნაზია და ქართველები. [ქართველ მოწაფეთა სიმცირე კლასიკურ გიმნაზიებში]
ივ. 1879 5-6 216-223.
135. რატომ არა ესწავლობთ. [სიძნელეების აღწესება თუ რატომ არ ესწავლობთ.]
ივ. 1879, 5-6 : 216-223.
136. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების საქმიანობა.
ივ. 1879, 5-6 : 216-223.

137. ჩვენებურა სოფლის შკოლების შესახებ [გლეხის შვილების სწავლების შესახებ]. ივ. 1879, 5—6 : 216—223.
138. სად რამდენი შკოლაა, რამდენი მოსწავლეა, რა ხარჯს იხდის გლეხი შკოლისათვის; რა გზას უნდა დაადგეს ჩვენი საზოგადოება განათლების საქმეში. ივ. 1879, 5—6 : 216—223.
139. ხალხის განათლება იაპონიაში. [იაპონიაში 1876 წ. სახალხო სკოლებისა, მოწაფეთა და მასწავლებელთა რაოდენობის შესახებ]. ივ. 1879, 5 : 233.
140. სამხედრო გიმნაზიაში სწავლის მსურველთა შესახებ. ივ. 1879, 7—8. 209—223
141. სხვადასხვა ამბავი და ცნობა ხალხის განათლებაზე. ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოში ხალხის განათლების საქმე. ივ. 1879, 7-8 : 249—251.
142. ძამაშვილი, რ. წერილი კანთიდიამ. [თელავის საქალებო სასწავლებელში რუსულს ენაზე სწავლებისა და სასწავლებლის შენობის მდგომარეობის შესახებ.] ივ. 1879, 9—10 : 121—131
143. როსტომაშვილი. ი. განათლება და ეკარობა. ივ. 1880, 4 : 31—49
144. რაზიკაშვილი. ფეოდალის აღზრდა. (თარგმანი) პრუსიის ბარონის შვილის აღზრდა ოჯახში. ივ. 1880, 4 : 3—30.
145. ქართული არითმეტიკული საანგეზოები, ანუ გამოსაცნობები, ანუ ზადაჩები და რიცხვითი მაგალითები. ნათარგ. ევტუშევსკისაგან ოლ. დიდუბულისის მიერ. ივ. 1881. 1 : 144—154.
146. ქართული ანბანი, მოძრავი ასოებით და პირველ საკითხავი წიგნი, თბილისი 1880 წ. ივ. 1881 წ. 2 : 144—146.
147. იანოვსკისა და სუპოინოვის პროექტი ქართული და რუსული ენების სწავლების შესახებ. —გაზ. „კავკაზის“ ვალაშქრება სახელოსნო სასწავლებლის წინააღმდეგ. — იალია წინამძღვრიშვილის სკოლის პროექტის ნაკლი. ივ. 1881, 2 : 147—159.
148. იანოვსკის სასწავლო გეგმა მშობლიური და რუსული ენების შესახებ და მისი წერილი გაზ. „კავკაზში“ № 344. ივ. 1881; 3 : 127—136.
149. წყარო, № 1. ყრმათათვის საკითხავი წიგნი, ანთ. ჯუღელის რედაქციით. ტფ. 1881 წ. ივ. 1881, 3 : 145—160.
150. დედა ენა, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი სახალხო სკოლებისათვის, შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან. მესამე გადასწორებული გამოცემა. ტფილისი 1881 წ. ივ. 1881. 3 : 145—160.
151. გოგებაშვილი, ი. უმეტრების ამყობა [პასუხი ჟურ. იმედის თანამშრომელს, ვადამთიელს, მის მიერ „დიდენა“ და „ბუნების კარის“ განხილვის გამო.]. ივ. 1881 : 6. 157—190; 7 : 109—129.
152. „მერცხალი“. შმიტლის მოთხრობი-დამ დადმოკეთებული მ. ჯან-საგან, ტფ. 1881 წ. ივ. 1881. 6 : 191—192.
153. სწავლა-განათლების მინისტრის ცირკულიარი, ჩვენი სწავლა-განათლების უხერო მსგელოობის მიზეზი, ქართველ ბავშვების სიმცირე სასწავლებელში. სა-მღველოება და სწავლა-განათლების საქმე. ივ. 1881, 7 : 130—139.
154. შთარულიშვილი, ნ. თელავის სასულიერო სემინარია და მისი პირველი რექტორი გაიოზ ნაცვლი-შვილი.

- [გ. ნაცვლიშვილის მოღვაწეობის შესახებ საქართველოში და მის გარეთ]
ივ. 1881, 8: 90 - 117.
9: 98 - 118.
10. 135 - 154.
155. წყარო № 2, გაზაფხული, ყრმათათვის საკითხავი წიგნი ანთ. ჯუღელის რედაქციით. 1881 წ.
განხილვა.
ივ. 1881. 9: 135 - 138.
156. ხატაური, საყმაწვილო მოთხრობა რუსულიდამ გადმოღებული ანასტასია თუმანიშვილისაგან. ტფილისი 1881 წ.
ივ. 1881. 9: 138 - 139
157. წითელი ფარანი, საყმაწვილო მოთხრობა. თხზულება გუშეტისა, რუსულიდან გადმ. გ. ანდრონიკაშვილისაგან. ტფ. 1881 წ.
ივ. 1881. 9: 139 - 140.
158. ხაფხული, ყრმათათვის საკითხავი წიგნი. განხილვა.
წყარო № 3 და 4. ჯუღელის რედაქციით. განხილვა.
ივ. 1881. 10: 155 - 160.
159. პავკვაძე, ილია.
ახალი პროექტი და სახელისწო-სამეურნეო სკოლების და არსება.
ივ. 1881. 11: 150 - 157.
160. განათლების საქმის შესახებ.
ივ. 1881. 12: 123 - 142.
161. სასოფლო მასწავლებელს რა შეუძლიან? [მასწავლებლის როლი სოფლად]
ივ. 1882, 2: 77 - 90.
162. ქართული ენისა და ლიტერატურის შესწავლის შესახებ საერო და სასულიერო სასწავლებლებში.
ივ. 1882, 2: 213 - 232.
163. „თამარ დედოფალი“ სახალხო სკოლებში საკითხავი წიგნი, კ. ბ-შვილისა. (რეკენზია)
ივ. 1882, 3: 142 - 151.
164. ხუდადოვი, ნ.
ახალგაზრდობის მიმართულებაზე.
[სტუდენტობის განათლებაზე და სკოლების შესახებ - გრ. ყიფშიძისა და გურგენიძის წერილების გამო].
ივ. 1882, 4-5: 159 - 185.
165. სწავლაც გვინდა და აღზრდაც.
ივ. 1882. 6: ?
166. ყიფშიძე, გრ.
ნ. ხუდადოვის პასუხად.
[ქართველი სტუდენტობის აღზრდის და მოღვაწეობის შესახებ. რედ. შენიშენით.]
ივ. 1882. 6: 104 - 120.
167. დედა ენის საჭიროების მქადაგებელნი უცხო ენაზედ
ივ. 1882. 7-8: 168 - 176.
168. წერაკითხვის საზოგადოების მუშაობის შესახებ.
ივ. 1883. 2.
169. ქუთათური ბორა.
ჩვენი პედაგოგიის ნაყოფი.
[პირველ დასაწყისი კურსი რუსული ენისა ქართველთათვის შედგ. კალანდარიშვილის მიერ, მეშვიდე გამოცემა შეცვლილი და დამატებული ი. გოკავაშვილისაგან].
ივ. 1883. 2.
170. გოგებაშვილი, იაკობ.
უკუღმართი ნაბიჯი.
რუსული ენის სახელმძღვანელო შესახებ.
[საუბი ქუთათურ ბორას]
ივ. 1883. 3.
გაგრძელება აღარ დაიბეჭდა.
171. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების საქმეთა წარკობა.
1882 წ. 15|V - 1883 წ. 15|V.
ივ. 13-33. 7-8: 1 - 20.
172. ჯანაშვილი, დიმ. (მღვდელი)
ქართველი ხალხის მწერლობა და განათლება მე-VI საუკუნეებდე.
ივ. 1833. 9: 3 - 21; 10: 8 - 26.

173. მაღაროელი გლეხი
ძნელი საქმე.
Первый шаг в изучении русского
языка для начальных грузинских
школ, составил Агниашвили
ივ. 1883, 9: 63—86.

174. ილია წინამძღვრის შვილის და ილია კე-
ჭავაძის სიტყვები წარმოთქმული წინამ-
ძღვრისათვის სკოლის გახსნის დროს.
ივ. 1883, 9: 96—112.

175. ს — ნისა.
რუსული სკოლის დასაწყისი ჩვენში, [სა-
ქართველოს რუსეთთან შეერთების შემ-
დეგ გახსნილი სასწავლებელი და ბისი
სასწ. გვემა]-
ივ. 1883, 11: 40—61

176. ნახიძე, მ.
პედაგოგიური მოსახრებანი.
„ნობათი“ №№ 2 და 3. კრიტიკული გარ-
ჩევა. [რედაქციის შენიშვნით]
ივ. 1884, 4: 68—90.

177. ვადაშვილი.
ლიტერტი, როგორც პედაგოგი [ლიუ-
ტერის შეხედულებანი აღზრდაზე]
ივ. 1884, 5 — 6: 127—138

178. ქართველთა შორის წერა-კითხვის გა-
მავრცელებელის საზოგადოების საქმეთ-
წარმოება. 1883 წ. 15/V—1884 წ. 15/V.
ივ. 1884, 7-8: 1—16.

179. ნახიძე, მხ.
„არითმეტიკა“ სახელმძღვანელო სოფ-
ლის სასწავლებლებისათვის, შედგენილი
მიხ. ხაალის-ძის ყოფიანისაგან. თბილი-
სი 1884 წ.
ივ. 1885, 1: 69—88

180. მედიატორეთა განჩინება ბ. ბ. გოგება-
შვილის და ლულაძის პოლიემიკის შე-
სახებზე.
ივ. 1885, 2: 139—144

187. პ-მონ.
ქდაწესებულებებში ქართული ენის ხმა-
რების შესახებ]
ივ. 1881, 1: 126—137

181. გოგებაშვილი, იაკობ.
განმარტებითი წერილი მეტიატორეთა
სამართალს.
ივ. 1885, 2: 145—166*

182. ნახიძე, მიხეილ.
პედაგოგიური მოსახრებანი ქართული
ენის სწავლების შესახებ.
საქალაქო სასწავლებლების პირველი 6-
წლის ქართული ენის პროგრამის გარ-
ჩევა.
ივ. 1885, 3: 64—71.

183. თელაწუღელი
პედაგოგიური მოსახრებანი
„ქართული ქრისტიანობა“ უმცროს კლას-
ებისათვის, შედგენილი მიხეილ ნახიძე-
საგან.
ფასი 70კ. თბილისი 1885 წ.
ივ. 1885, 7: 80—91..

184. თელაწუღელი
პედაგოგიური მოსახრებანი.
ოჯახის მნიშვნელობის შესახებ ბაკ-
შვილის ხასიათის აღზრდაში. კაპიტრევის
წიგნის „პედაგოგიური ფსიქოლოგია“-ს
მოკლე შენიშვნა.
ივ. 1885, 8: 52—64

185. ტარაზვი (პოფესორი)
ქალების განათლების შესახებ. ქალე-
ბის აღზრდა რუსეთში, საფრანგეთში,
გერმანიაში, ინგლისში და ამერიკაში.
ივ. 1885, 9: 84—102; 10: 107

186. სამეგრელოს სათავადაზნაურო სკოლის
კურობევა.
[სენაკში ქუთაისის სათავად-აზნაურო
სკოლის განყოფილების ზემოთ გახსნის
შესახებ]
ივ. 1885, 10: 77—79

„ი მ ე ღ ი“

188. აბდუშელიშვილი, დ. ა.
ჩვენებური სასწავლებლის ახლანდელი
მდგომარეობა. [საქართველოში სასწავ-
ლებლებისა და მოწოდეთა რაოდენობის
შესახებ.]
ივ. 1881, 2: 119—136.

189. ტატალა.

პოლიტიკა
უკონდინარობა მომავლისა [სწავლა-განათლების საჭიროების შესახებ]
იმ. 1881, 2: 142-161.

190. გადაღმელი.

ბიბლიოგრაფია. დედა-უნა ანუ ანბანი და პირველ საკითხავი წიგნი სახალხო სკოლებისათვის შედგენილი იაკობ გოგებაშვილისაგან. მესამე გადასწორებული გამოცემა.
იმ. 1881, 3-4: 42-56

191. გადაღმელი.

ჩვენი სასოფლო სკოლები.
[სოფლად სკოლების მდგომარეობა].
იმ. 1881, 5: 66-67

192. უიფშიძე, გრ:

თავიდან თუ ბოლოდან?
[შენიშვნები ჩვენი სტუდენტობის მიმართულუბაზე და მოგალობაზე].
იმ. 1881, 5: 84-119.

193. საფუძვლები სახალხო განათლებისა.

იმ. 1881, 6: 3-20.

194. გადაღმელი.

უფ. იაკ. გოგებაშვილის „უმეტრების ამჟამობა“ [დედა-ენის კრიტიკა].
იმ. 1881, 7-8: 120-149.

195. ელი.

წითელი ფარანი, ვუჩტიჩისა. ნათარგმნი ანდრონიკაშვილისაგან.
[ბიბლიოგრაფია]
იმ. 1881, 7-8: 150-156.

196. ელი.

ხატურთ. საყმაწვილო მოთხრობა. გადამოკლებული ანასტასია თუმანიშვილისაგან. [ბიბლიოგრაფია]
იმ. 1881, 7-8: 156-160.

197. ძამბაშვილი.

ბიბლიოგრაფია. რამდენიმე სიტყვა გალობა-სიმღერაზე და ყმაწვილებისათვის სამღერავი სახალხო სიმღერები. შედგენილი მაკაეარინისა.
იმ. 1881, 9: 86-101.

198. გურგენიძე, მიხეილ.

შინაური მიმოხილვა [ქუთაისში სასულიერო სემინარიის გახსნის შესახებ]
იმ. 1881, 9: 102-112

199. კერეხელიძე, ივ.

თბილისის გიმნაზიის 50 წლის იუბილეი. [ლექსი]
იმ. 1881, 10-11-12: 39-40

200. ხიზანივი, ნიკო.

საფუძვლები სახალხო განათლებისა
იმ. 1882, 5: 3-19.
6: 42-68
7-8: 51-73
9-10: 29-58

201. ტატალა.

თავდაუნაურთა კრების თაობაზედ. [განათლების შემოღების საჭიროების შესახებ]
იმ. 1882, 5: 37-96.

202. კეთაღის მოხუცი.

„ქართული ბიბლიოთეკა 1883 წ. № 1“ (ყოველთვიური გამოცემა, ფასი 6 მან. ქუთაისი)
იმ. 1883, 3: 61-66.

„თ ე ა ტ რ ი“

203. ნავთლუღის პირველ დაწყებითი სასწავლებლის მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ
თტრ. 1885, 8: 71

204. ტყ. ნიკოლოზის სასწავლებლის ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელი საზოგადოების კრება
თტრ. 1885, 8: 71.

205. ალ. მირიანაშვილის მიერ შედგენილი მოძრავი ასოები თჯანში სახარებლად.
თტრ. 1885, 13: 123

206. ტყ. საქალეზო გიმნაზიის ღარიბ მოსწავლეთათვის სასარგებლოდ საღამოს გამართვის შესახებ.
თტრ. 1885, 14: 137

207. პირველი კლასიკური გიმნაზიის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ კონცერტის გამართვა
თტრ. 1885, 15 : 149.
208. ნეკროლოგი [ახალციხის სამოქალაქო სასწავლებლის ინსპექტორის ივანე ზურაბისძე კობაძის გარდაცვალების გამო].
თტრ. 1885, 15 : 149
209. „პატარა ბავშვების საჩუქარი. შალვას თავგადასავალი“ პ. ცახელის წიგნის გამოცემა (ცნ.)
თტრ. 1885, 18 : 176.
210. წერა-კითხვის საზოგადოების მიერ რუსეთიდან ბავშვების საჩუქრად სათამაშოების ჩამოტანის შესახებ. (ცნ.)
თტრ. 1885, 19 : 182
211. თავდა-ახნაურთა სკოლაში მეხუთე კლასის გახსნის შეუძლებლობა (ცნ.)
თტრ. 1885, 19 : 182
212. სათავად-ახნაურთა სკოლის სასარგებლოდ საღამოს გამართვის შესახებ.
თტრ. 1886, 1 : 8.
213. საყოველწლიურთა სურათოვანი საყმაწვილო ჟურნალი „ნობათი“ [ბიბლიოგრაფიული შენიშვნა]
თტრ. 1886, 2 : 15 - 6.
214. კავთელი, ი.
საყოველწლიურთა სურათოვანი საყმაწვილო ჟურნალი („ნობათი“ [ბიბლიოგრაფია])
თტრ. 1886, 4 : 33 - 34
215. წერა-კითხვის საზოგადოების სასარგებლოდ ბალის გამართვა. (ცნ.)
თტრ. 1886, 6 : 59
216. ჭიჭინაძე, ზ.
ორი საგრამატიკო შენიშვნის გამო [ქართული გრამატიკის და ფორმების შესახებ]
თტრ. 1886, 11 : 119.
217. ავლაბრის სამრევლო სკოლაში მოსწავლეთა შემადგენლობის შესახებ. (ცნ.)
თტრ. 1886, 13 : 137.
218. წერილი გურიიდან.
ი. გოგებაშვილის „ბუნების კართან“ და რთულ რუკაზე გურიის მცხოვრებთა რაოდენობის არა სისწორის შესახებ.
თტრ. 1886, 14 : 146.
219. წიგნის „სამშობლო ენის შესასწავლად“ ნასიძისაგან შედგენილის გამოცემა. (ცნ.)
თტრ. 1886, 16 : 167
220. წერა-კითხვის საზოგ. მიერ „რობინზონ კრუზოს“ გამოცემა (ცნ.)
თტრ. 1886, 16 : 167.
221. სათავად-ახნაურთა სკოლის მოწაფეების მიერ სალიტერატურო საღამოს გამართვა. (ცნ.)
თტრ. 1886, 16 : 167.
222. სამი ქართველი კაცის ევროპაში გამგზავრება სწავლის მისაღებად. (ცნ.)
თტრ. 1886, 17 : 175
223. მადლობის გამოცხადება ვაკრებ მოსე-შვილს და სიხარულიძეს ხონის სამასწავლებლო სემინ. მოწაფეთათვის დახმარების გაწევის შესახებ. (ცნ.)
თტრ. 1886, 17 : 175.
224. საყმაწვილო მოთხრობა „ქუდბედიანი“ ეკ. ასათიანისა [ბიბლიოგრაფია]
თტრ. 1886, 18 : 187.
225. გულისაშვილი, დ.
წერილი საგარეჯოდან.
საერთო სკოლების მდგომარეობის შესახებ.
თტრ. 1886, 18 : 189 - 191;
19 : 201.
- 2.6. სა ნ ე მ ძ ღ ე ა ნ ე ლ ო წიგნის „ღუდა-ენის“ ხელმოკრედ დაბეჭდვის შესახებ. (ცნ.)
თტრ. 1886, 19 : 199.
227. ფოთელი.
წერა-კითხვის გამავ. საზოგადოების სასარგებლოდ წარმოდგენების გამართვა. (კორესპ.)
თტრ. 1886, 19 : 202 - 203.

228. რ. ჯ ა ჯ ა ნ ა შ ე ი ლ ი ს „არითმეტიკული ამოცანები“ და „სამშობლო ენის შესასწავლებელი სახელმძღვანელო“. ალ. ნასიძისაგან გამოსვლის შესახებ.
თტრ. 1886, 21 : 217.
229. რექტორ ჯუდეციის მკვლელ მოწაფე ლაგვივის საქმის სამხ. სასამართლოსთვის გადაცემა. (ცნ.)
თტრ. 1886, 22 : 225
230. „მეზის ამბავი“ ვადმოთარგ. გ. შარაშიძისაგან და „შალვას თევგადასავალი“ ცახელისა. [ბიბლიოგრაფია]
თტრ. 1886, 22 : 226—227.
231. საყმაწვილო წიგნი „შალვას თევგადასავალი“, ცახელისა [ბიბლიოგრაფია].
თტრ. 1886, 23 : 235.
232. პეტერბურგში ტენიკური სასწავ. ლეზლის განსნის შესახებ.
თტრ. 1886, 25 : 257
233. რექტორ ჯუდეციის მკვლელ მოწაფე ლაგვივისათვის 20 წლის კატორღის მისჯის შესახებ ცნობა
თტრ. 1886, 25 : 258
234. რეალურ სასწავლებელში კურსდამთავრებულთა რაოდენობის შესახებ.
თტრ. 1886, 28 : 303
235. სურამში წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების სასარგებლოდ წარმოდგენის გამართვის შესახებ.
თტრ. 1886, 28 : 303
236. ბანაოზის დროს მოწაფის დაბრძობის შესახებ.
თტრ. 1886, 39 : 321
237. დ. ყვირილაში 1878 წელს დაარსებულ სკოლის დაკეტის შესახებ
თტრ. 1886, 30 : 340
238. სამეურნეო სკოლების განსნის საჭიროების შესახებ.
თტრ. 1886, 32 : 374.
239. გიმნაზიებში ვაკანსიების უქონლობის გამო.
თტრ. 1886, 33 : 340
240. ტფ. სას. სემინარიაში რექტორად პაისის დანიშნვის შესახებ.
თტრ. 1886, 33 : 391
241. ძველი ხელთნაწერი წიგნის „კითხვა-მოგებითი სწავლა“-ს შესახებ. წინასიტყვაობა ამ წიგნისა გადმოგვცემს თუ მეფე ერეკლე სად სწავლობდა.
თტრ. 1886, 33 : 391
242. სას. სემინარიაში საქმეების გამოსაძიებლად ჩისტოვიჩის ჩამოსვლის შესახებ.
თტრ. 1886, 34 : 405
243. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების განზრახვა სკოლის ბათუმშიდან ქობულეთში გადატანის შესახებ.
თტრ. 1886, 43 : 499
244. ტფ. სასულ. სემინარიასთან სამრევლო სკოლის დაარსება და მოწაფეთა რიცხვი.
თტრ. 1886, 47 : 555
245. კოეფილი.
კრიტიკა. „მეთოდური სახელმძღვანელო-სამშობლო ენის შესასწავლად. შედგ. ალ. ნასიძისაგან“.
თტრ. 1886, 46 : 541—543; 50 : 589—590; 1887, 1 : 10—12
246. წერა-კითხვის გამავ. საზოგადოების მიერ „რაბოზონის“ გამოცემის შესახებ.
თტრ. 1887, 1 : 13.
247. „სწორმეტყველების“ გამოცემის შესახებ.
თტრ. 1887, 1 : 13—14
248. ქართული გრამატიკის ტერმინოლოგია [ბიბლიოგრაფია]
თტრ. 1887, 12 : 9—11
249. დეკანოზიძე, დ.
ქართული სწორმეტყველება, სასინჯი სახელმძღვანელო პირველი წიგნი, შედგ. პ. კვიციანიძის მიერ [ბიბლიოგრაფია].
თტრ. 1888, 15 : 7—12; 23 : 8—11
250. ნოვოროსიის უნივერსიტეტის მიერ სტუდენტების პალესტინაში გაგზავნის შესახებ. (ცნ.)
თტრ. 1888, 15 : 13

251. სას. სემინარიის ინსპექტორის პატოკის გადაყვანის შესახებ. (ცნ.)
თტრ. 1888, 15 : 13
252. წერა-კითხვის საზოგ. სასარგებლოდ ლატარიის გამართვის შესახებ. (ცნ.)
თტრ. 1888, 17 : 5
253. პროფ. დ. ჩუბინაშვილის 50 წლის მოღვაწეობის აღნიშვნა. (ცნ.)
თტრ. 1888, 17 : 5.
254. 24 აგვისტოდან სწავლის დაწყების შესახებ. (ცნ.)
თტრ. 1888, 18 : 5.
255. წერა-კითხვის საზოგადოების სხდომა განსვ. დიშ. ყიფიანის საპატივცემულოდ. (ცნ.)
თტრ. 1888, 19 : 5.
256. მოსკოვის უნივერსიტეტში კურსდამთავრებულ ქართველების სია. (ცნ.)
თტრ. 1888, 19 : 5
257. საიუწყრო სასწავლებლის საზაფხულოდ სურამში გადაყვანის შესახებ. (ცნ.)
თტრ. 1888, 19 : 5.
258. ტფ. სასულიერო სემინარიაში გამოცდების დამთავრება (ცნ.)
თტრ. 188, 20 : 1
259. პირველ კლასიკურ გიმნაზიაში გამოცდების დამთავრება. (ცნ.)
თტრ. 1888, 20 : 2
260. ვ. ვ. ორბელიანის მიერ წერა-კითხვის საზოგადოებისათვის წიგნების შეწირვა. (ცნ.)
თტრ. 1888, 20 : 3
261. ი. წინამძღვარიშვილის მიერ ს. წინამძღვარიანთკარში სკოლის გახსნათვისი ხარჯით.
თტრ. 1888, 21 : 1-4
262. ტფ. სემინარიაში მედიცინის სწავლების შემოღება (ცნ.)
თტრ. 1888, 21 : 5
263. ქალთა გიმნაზიაში კურს დამთავრებულთა რაოდენობის შესახებ (ცნ.)
თტრ. 1888, 21 : 5
264. ტომსკის უნივერსიტეტში საექიმო ფაკულტეტის გახსნის შესახებ (ცნ.)
თტრ. 1888, 21 : 5
265. განათლების მინისტრის განკარგულება გიმნაზიებსა და პროგიმნაზიებში თითო მსასწავლებელი კლასის დარჩენის შესახებ (ცნ.)
თტრ. 1888, 22 : 2
266. პროფ. პეტრიაშვილის სტუდენტებით ტფილისში ჩამოსვლა. (ცნ.)
თტრ. 1888, 22 : 3.
267. პროფ. პეტრიაშვილისა და 12 სტუდენტების მიერ ჯორჯიას ლენინის სარდაფის დათვალღერება. (ცნ.)
თტრ. 1888, 22 : 3
268. წინამძღვარიანთ სკოლის სასარგებლოდ სეირნობის გამართვა. (ცნ.)
თტრ. 1888, 28 : 3
269. ელისაბედ კოლდევინისა. მიერ ს. ხოელის სასწავლებლისათვის წიგნების შეწირვა (ცნ.)
თტრ. 1888, 28 : 4
270. პროფ. ლაშკვეიჩის მიერ ხარკოვის უნივერსიტეტისათვის 20,000 მანეთის დატოვების შესახებ. (ცნ.)
თტრ. 1888, 29 : 1.
271. პროფ. ცაგარლის ტფილისში ჩამოსვლა. (ცნ.)
თტრ. 1888, 29 : 1
272. ტფ. სას. სემინარიაში მედიცინის სწავლების დაწყება (ცნ.)
თტრ. 1888, 41 : 2
273. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წევრთა კრების დანიშვნა 27 ნოემბრისათვის (ცნ.)
თტრ. 1888, 44-45 : 2
274. ხმების გავრცელება სააზნაურო სკოლაში უფულოების გამო რამდენიმე კლასის დაკეტვის შესახებ. (ცნ.)
თტრ. 1888, 14 : 2
275. სუტკინაზი.
განათლება ჩვენში და ამერიკაში.
[შედარება]
თტრ. 1888, 14 : 11 - 12

276. სახანაურო სკოლის მასწავლებელთათვის ხელფასის დაკლების შესახებ. (ცნ.)
თტრ. 1889, 15 : 1-2.

277. პეტერბურგელ ქართველ სტუდენტების თარგმნილი წიგნი „ჟანა დარკ და „ბერლინის გარემოცვის“ მიღება. (ცნ.)
თტრ. 1889, 19, 20, 21 : 4.

278. გ. იოსელიანის წიგნის „ყმაწვილების ფიზიკურად აღზრდის“ გამოცემა. (ცნ.)
თტრ. 1889, 28, 29 და 30 : 3.

279. ვ.-ლი.

ჩვენს სწავლა განათლებაზე [ჩვენში სწავლა-განათლების მდგომარეობის შესახებ]
თტრ. 1889, 37-38 : 1-9.

280. პირველ გიმნაზიაში მომხდარი წლიური კრება და ცნობა მოწაფეების შესახებ. (ცნ.)
თტრ. 1889, 39, 10 : 11.


281. აკაკი.

ჩვენს შშობლებს.

[სასწავლებლებში ქართველ მოწაფეთა რიცხვის დაკლების შესახებ]
თტრ. 1889, 43-44 : 3, 6.

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობა	3
1. დოც. ნ. ბერძენიშვილი — მასალები მეთერთმეტე საუკუნეში სწავლა-აღზრდის შესახებ	5
2. პროფ. სიმონ ჯანაშია — შეხედულება ფეოდალურ აღზრდისა და განათლების შესახებ და მათი წესები XVII საუკუნის საქართველოში	23
3. ქ. შარაშიძე — ქართული ნაბეჭდი სახელმძღვანელოები მეთვრამეტე საუკუნეში	34
4. პროფ. ა. ბარამიძე — საჯარო პაექრობა თელავის სემინარიაში	51
5. ვ. ხუროძე — კითხვისა და წერის შესწავლის მეთოდი ძველ საქართველოში	66
6. ტრ. ხუნდაძე — საერო განათლება საქართველოში მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში	74
7. ი. ბაკურაძე — ტფილისის სასულიერო სემინარია 1817—1835 წ.	107
8. სოკ. ძიმისტარიშვილი — კერძო სასწავლებლები საქართველოში 1830—1836 წლ.	127
9. პროფ. ვუკოლ ბერიძე — სვიმონ-კუტი ფირცხალავა (ქვემო იმერეთში წერა-კითხვის გავრცელების ისტორიისათვის)	143
10. მ. ბერძენიშვილი — პირველი ბეჭდური ქართული არითმეტიკისათვის	149
11. თ. ბეგიაშვილი — ქართული ენა ტფილისის სასულიერო სემინარიაში 1859—67 წლებში	170
12. ტრ. ხუნდაძე — ტფილისში უმაღლესი სასწავლებლის დაარსების ისტორიისათვის	186
13. ეპიზოდი ვაჟა-ფშაველას პედაგოგიურ მოღვაწეობიდან	212
14. თ. ბეგიაშვილი — ტფილისის ქალთა ეპარქიალურ სასწავლებლის ისტორიიდან.	226
15. პედაგოგიური ბიბლიოგრაფია	237



О Г Л А В Л Е Н И Е

Предисловие	3
1. Доц. Н. Бердзенишвили—Материалы о воспитании и образовании в XI веке	5
2. Проф. С. Джанашия—Взгляды о феодальном воспитании и просвещении и их порядки в Грузии XVII века	23
3. Хр. Шарашидзе—Грузинские печатные учебники в восемнадцатом веке	34
4. Проф. А. Барамидзе—Публичный диспут в Телавской семинарии	51
5. В. Хуродзе—Метод обучения чтению и письму в древней Грузии	66
6. Тр. Хундадзе—Светское образование в Грузии в первой половине 19-го столетия	74
7. И. Бакурадзе—Тифлисская духовная семинария в 1817-1835 г.	107
8. Сок. Дзимистаришвили—Частные школы в Грузии в 1830—1836 г. г.	127
9. Проф. В. Беридзе—Свимон-Кути Пирцхалава (к истории распространения грамотности в Нижней Имеретии)	143
10. М. Бердзенишвили—Первая печатная арифметика на грузинском языке	149
11. Ф. Бегиашвили—Грузинский язык в Тифлисской духовной семинарии в 1859—67 годах	170
12. Тр. Хундадзе—К истории учреждения высшей школы в Тифлисе	186
13. Эпизод из педагогической деятельности Важа-Пшавела	212
14. Ф. Бегиашвили—Из истории Тифлисского женского епархиального училища	226
15. Педагогическая библиография (по материалам 7 грузинских журналов за период 1852—1889 г. г.)	237

შეხვედრი შეცდომების გასწორება

პერ- ლი	სტრიქონი	დაბეჭდილია	უნდა იყოს
24	10	ამბობს აგი	ამბობს იგი
26	17	ტანვარჯიშობას გართობაზე	ტანვარჯიშობას, გართობის გარდა,
28	3	ძალიან ხშირადი პირად და	ძალიან ხშირადი პირადი და
32	2	აქ მთლიანდა	აქ მთლიანად
33	14	აქეს 353)	აქეს (353)
45	5 ქვევოდ.	დაბეჭდილი დ ა ვ ი თ ნ ი. (სურა- თი ი. გვ. 44).	დაბეჭდილი დ ა ვ ი თ ნ ი. (სურათი იხ. გვ. 46).
51	11-12	(გვ. 5 - 11).	(ამ კრებულის გვ. 53-57)
"	9	„ქრობისათვის“ გვ. 12-14).	„...ქრობისათვის“ გვ. 53).
52	10	12 მუხლისაგან შედგება (გვ. 15--20)	12 მუხლისაგან შედგება (გვ. 58-62).
"	13	„ლრამმატიკისა“ (გვ. 20--24)	„...ლრამმატიკისა“ (გვ. 62--65);
80	21	1789 პოლკში	1789 წ. პოლკში
111	14	ვასილი ნებუშვიცი,	ვასილი ნეშუშვიცი,
112	18	ზულუშებთან	ზულუსებთან
"	19	1874 წელს	1821 წელს
117	19	с грузинскои на российский	с грузинского на российский
123	13	არ იციან ს. კმაღო	არ იციან საკმაოდ
125	9	მიზანშეწონილად სთვლიდა ოსებისათვის	მიზანშეწონილად სთვლიდა ოსურისათვის.
"	21	გერმანული და ფრანგული სწავლება	გერმანულისა და ფრანგულის სწავლება
128	11	შედგენილი 1834 წ. 14 კ.	შედგენილი 1834 წ. 14 დეკ.
129	4	იოჯან კოკჩევი	იოჯან კოკჩევი
"	12	სულ 8 მოწაფე.	სულ 13 მოწაფე.
"	4	მხოლოდ ს. ჭალაში საჩხერეში ასწავლიან	მხოლოდ ს. ჭალაში და საჩხერეში ასწავლიან
131	5	სწავლა-განათლების საქმე ადგილებზე	სწავლა-განათლების საქმეს ადგილებზე
"	12	ამ ცნობით ტფილისში	ამ ცნობებით ტფილისში
"	6	„მათ შეძლების	„მათი შეძლების

მკვრ- დი	სტრუქციონი	დაბეჭდილია	უნდა იყოს
132	15 ქვევიდ.	თბილისის გარეუბანი ავლაბარში	ტფილისის გარეუბან ავლაბარში
133	ცხრილის შკანასკნელ სვეტში	205 ამ რიცხვიდან	215 ამ რიცხვიდან
142	14 ქვევიდ.	სახელმწიფო სასულიერო სასწავლებელი	სახელმწიფო სასულიერო სასწავლებლები
167	ცხრილის თავ ზე პეტიტით აწყობილ სტრაქონებში	სატერმინოლოგიო კომისი მიღებული აქვს	სატერმინოლოგიო კომისიას მიღებუ- ლი აქვს
178	16 "	კვიდრეები. არშაკსა და ასფაგურზე	კვიდრეები. თქულება არშაკსა და ასფაგურზე.
180	14 15 "	не оправдало надежд	Не оправдала надежд
182	3 "	თათრულს და რუსულს ენებს	თათრულს და ოსურ ენებს
188	14 ხევიდან	ქართული თავადაზნაურობა	ქ.რთველი თავადაზნაურობა
191	14-10 ქე.	ლენინის თქმით, „ბატონ- ყმური“ (ანუ ფეოდალური) საწარ- მოი ურთიერთობათა ბურჟუა- ზიულით (კაპიტალისტურით) შეც- ვლის ერთ-ერთი ეპიზოდი იყრ	ლენინის თქმით, „ბატონ- ყმური“ (ანუ ფეოდალური) საწარ- მოი ურთიერთობათა ბურჟუაზი- ულით (კაპიტალისტურით) შეც- ვლის ერთ-ერთი ეპიზოდი იყო“.

